საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
ს ა ქ ე ქ ს პ ე რ ტ ი ზ ა

ნინო იაშვილი, ეკა მალალაშვილი,
ზაურ ნაჭყებია

სახელშეკრულებო ურთიერთობების პრაქტიკა

კონსულტანტი: ჯემალ ინაიშვილი
რედაქტორები: ზაურ მირველაშვილი
დიმიტრი აბესაძე

თბილისი
2006

ნინო იაშვილი, ეკა მაღალაშვილი, ზაურ ნაჭყებია; სახელშეკრულებო ურთიერთობების პრაქტიკა. გვ 528. თბ, 2006.

წინამდებარე კრებული უნივერსალური გამოცემაა. აქ ამომწურავადაა წარმოდგენილი როგორც წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების პერიპეტიები, ასევე ტიპიური ხელშეკრულებებიც.

ავტორები სათანადო ადგილს უთმობენ სახელშეკრულებო ურთიერთობის სამართლებრივ საფუძვლებს. კვალიფიციურად გვიხსნიან, როგორ ავიცილოთ თავიდან მოსალოდნელი შეცდომები და როგორ შევარჩიოთ საქმიანი პარტნიორები. განხილულია ხელშეკრულების პროექტის მომზადების საერთო მეთოდიკა.

დარწმუნებული ვართ, კრებული საიმედო დასაყრდენი იქნება საქმიანი წრეებისათვის და არა მარტო მათთვის.

გამომცემლები: საგამომცემლო სახლი „ინოვაცია",
შპს „ლამპარი-99".

ზოგადი ნაწილი

შესავალი

დღეისათვის სამეწარმეო ურთიერთობების ძირითად ბაზისს ხელშეკრულება წარმოადგენს. ამასთან, რთულ, მრავალმხრივ და წინააღმდეგობებით სავსე ურთიერთობებში წამოჭრილი კონფლიქტების მიზეზი ძალზე ხშირად არასწორად, თუ უყურადღებოდ შედგენილი ხელშეკრულებაა, რაც ცხადყოფს, რომ წარმატებული ბიზნესისთვის საკმარისი როდია იყოთ ენერგიული, მიზანდასახული, გამბედავი, ან ინიციატივიანი, ერთი სიტყვით, „საქმიანი“ ადამიანი. ამავე დროს, აუცილებელია კარგად ვიცნობდეთ და ეფექტურად ვიყენებდეთ იმ სამართლებრივ წესებსა და ნორმებს, რომლებიც არეგულირებს ადამიანების ქცევას საბაზრო ურთიერთობების პირობებში. ამ შემთხვევაშიც, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ყველაფერი ხელშეკრულებით იწყება. **ნებისმიერი საწარმოს კომერციული გეგმის რეალიზაცია შეუძლებელია გარიგებისა და ხელშეკრულების გარეშე - იყო მეწარმე, განახორციელო სამეწარმეო საქმიანობა და არ განახორციელო გარიგება, არ დადო ხელშეკრულება - უბრალოდ წარმოუდგენელია.**

ხელშეკრულება არ არის მარტო ის დოკუმენტი, რომელიც საჭიროა თქვენი საწარმოს სალაროში ფულის შემოსავალში ასაღებად. **ხელშეკრულება - პირველ რიგში მხარეებს შორის ნებაყოფლობითი შეთანხმებაა, იურიდიული აქტია, რომელშიც გამოხატულია ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის თანხმობა.**

ცნობილია, რომ ყველა საქმიანი ურთიერთობა სამეურნეო სუბიექტთა შორის რეგულირდება კანონმდებლობითა და იმ პირობებით, რომლებსაც ისინი ითვალისწინებენ შესაბამის ხელშეკრულებებში. ცალკეული ოპერაციისა თუ საერთოდ, კომერციული საქმიანობის წარმატება მნიშვნელოვნადაა განპირობებული იმით, რამდენად სწორადაა შედგენილი და გაფორმებული ყოველი ცალკეული ხელშეკრულება. ეს არცაა გასაკვირი, რადგან, **სწორედ ხელშეკრულება განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებებს, მათ პასუხისმგებლობას, პროდუქციის ფასებს, მიწოდების ვადებს, ანგარიშსწორების წესებს და სხვა.**

ხელშეკრულებების შესრულების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მე-

წარმოები სერიოზულ შეცდომებს უშვებენ სახელშეკრულებო ურთიერთობების უკლებლივ ყველა ეტაპზე. ეს ეტაპებია:

- პარტნიორის შერჩევა;

- წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებები;

- ხელშეკრულების მომზადება, განხილვა, ხელმოწერა;

- ხელშეკრულების შესრულება;

- ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების წარმოება.

შემოთავაზებული ცნობარის ყურადღებით გაცნობა მკითხველს საშუალებას მისცემს თავიდან აიცილოს დღეისათვის გავრცელებული ისეთი შეცდომები, როგორებიცა:

- ხელშეკრულების დადება პირთან, რომლის შესახებ პრაქტიკულად არაფერი ვიცით;

- ხელმოწერა ხელშეკრულების ტიპიურ ბლანკებზე, რომლებშიც მხოლოდ მხარეთა მისამართები და ხელმოწერებია შეცვლილი;

- ბუნდოვანი მითითებები ხელშეკრულების საგანზე თუ მიზანზე; დაუკონკრეტებელი ვადები;

- არაფრისმთქმელი მუხლები მხარეთა უფლებებისა თუ ვალდებულებათა შესახებ;

- მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის რეალური წყაროებისა და მექანიზმების არარსებობა.

აქედან გამომდინარე, აუცილებელი ხდება პარტნიორთან მოლაპარაკებისას გათვალისწინებული იქნეს ყველა შესაძლო ასპექტი, რათა ხელშეკრულება თქვენთვის საიმედო და იურიდიულად გარანტირებული იყოს და ამით თავიდან აიცილოთ არასწორად გაფორმებული, ან იურიდიულად გაუმართავი ხელშეკრულების შედეგად გამოწვეული ზიანი.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვაც:

როგორი უნდა იყოს „საიმედო" ხელშეკრულება?

ამგვარი ხელშეკრულება ცალსახად განსაზღვრავს მხარეთა ინტერესებს და უფლება-მოვალეობებს. ამასთან იგი არ უნდა შეიცავდეს ე.წ. **„იურიდიულ წყალქვეშა ქვებს"**, თუ **„იურიდიულ ნაღმებს"**, რომელთა არსებობაც საშიშროებას უქმნის მთლიანად გარიგებას და შესაძლოა მინიმუმამდე დაიყვანოს ნებისმიერი ტექნიკურად და ეკონომიკურად ყოველმხრივ გააზრებული და დამუშავებული პროექტი.

წინასახელშეკრულებო მოლაპარაკება

ხელშეკრულება მოლაპარაკებით იწყება

ადამიანები ცხოვრებისეულ სიტუაციებში (მათ შორის მოლაპარაკებების დროსაც) განსხვავებულად იქცევიან. ერთნი ისწრაფვიან ფულისაკენ, მეორენი ხელისუფლებისაკენ, მესამეთათვის მთავარია მხოლოდ გამარჯვება, ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანის პირად თვისებებზე და ცხოვრებისეული ფასეულობებისადმი მის დამოკიდებულებაზე.

ამავე დროს არსებობს ორი უდავო ჭეშმარიტება:

- თქვენ ვერასოდეს ვერ მიიღებთ იმას, რაც თქვენ გსურთ - თუ არ იცით, რა გინდათ;

- წარმატების შანსი არა გაქვთ, როდესაც ოპონენტი უკეთ გიცნობთ, ვიდრე თქვენ იცნობთ საკუთარ თავს;

იმისათვის, რომ დარწმუნდეთ, თუ როგორ შეუძლია სხვას ამოიცნოს თქვენი ზრახვები, აიღეთ ფურცელი და ჩამოწერეთ თქვენთვის ყველაზე მნიშენელოვანი ხუთი სურვილი. შემდეგ სთხოვეთ რომელიმე თქვენს მეგობარს ასევე ჩამოწეროს მისი აზრით თქვენი ყველაზე მნიშენელოვანი ხუთი მისწრაფება. შედეგი ალბათ გაგაოცებთ, როცა ტესტები ერთმანეთს დაემთხვევა. წარმოიდგინეთ როგორ შეიძლება გამოიყენოს ეს გარემოება თქვენმა ოპონენტმა, თუ იგი შესძლებს გამოიცნოს, რა გამოძრავებთ თქვენ.

შეიცანით თქვენი ოპონენტი. როგორც წესი, ადამიანები ადვილად ამოსაცნობნი არიან. მათი პერსონალური სტილი ვლინდება ყველაფერში, რასაც ისინი აკეთებენ (მოლაპარაკებების ჩათვლით). ამიტომ, ოპონენტთან შეხვედრამდე (თუ მას არ იცნობთ და პირველად ხვდებით), ესაუბრეთ მის ნაცნობებსა და ახლობლებს, ადამიანებს, რომლებსაც უკვე ჰქონდათ ურთიერთობა მასთან, ყური მიუგდეთ ჭორებსაც. ეცადეთ, ესაუბროთ ტელეფონით შესაძლოა ამოიცნოთ მისი მიზნები: შემდეგ გაანალიზეთ მოპოვებული ინფორმაცია და დაგეგმეთ, თუ როგორ შეიძლება იმოქმედოთ მოლაპარაკების შედეგზე.

ამასთან, საჭიროა გვახსოვდეს რამდენიმე „ოქროს წესი“:

- ეცადე, წინასწარ არ იფიქრო მოლაპარაკების შედეგზე; ნებისმიერი მოლაპარაკება თამაშია, თამაშის დროს კი მუდმივი და

უკმეელი გამარჯვების იმედი არც თუ კარგი დამხმარეა. გადაჭარბებული მღელვარება ადვილად გადადის ნერვიულობაში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გამარჯვებისა და მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შანსებს;

- ნუ დაწვრილმანდებით და მთელი ენერგია წარმართეთ საბოლოო გამარჯვებისათვის;

- მზად იყავით რისკისათვის.

მოლაპარაკების ფსიქოლოგია. ოპონენტი მზად არის მოლაპარაკებისათვის, როდესაც მას რაღაც აქვს განზრახული, ან რაღაცის ეშინია. არსებობს ოპონენტისათვის წინადადების შეთავაზების ორი გზა. შეიძლება უთხრათ, **„ჩვენი შეთანხმების შედეგად თქვენ მიიღებთ...“** ან **„თუ ვერ შევთანხმდით, თქვენ ვერ მიიღებთ...“** ეს ორი მიდგომა ურთიერთშემავსებელია და რა კომბინაციით იქნება ისინი გამოყენებული, დამოკიდებულია თქვენს მიერ ოპონენტის შეფასებასა და მისი ქცევის მოტივებზე.

ეცადეთ მოეწონოთ ოპონენტს. ბევრად უფრო სასურველია ურთიერთობა იმ ადამიანებთან, რომლებიც ჩვენ მოგვწონს. ბევრად მეტი შანსი გაქვთ ელოდოთ დათმობასა თუ შეღავათს ოპონენტისაგან, თუ იგი თქვენში დაინახავს სასიამოვნო, პატიოსან, ღია და კეთილმოსურნე ადამიანს.

სიცრუე, გადაჭარბება, თავის მოკატუნება – თამაშის აღიარებული ელემენტებია. თუმცა, ესეც საჭიროებს გარკვეულ გულწრფელობასა და კეთილმოსურნეობას. აშკარად არაბუნებრივი გამომეტყველება და ქმედება აუცილებლად გამოიწვევს ადეკვატურ ქმედებას ოპონენტის მხრიდან და პირიქით, კეთილმოსურნე, თანამშრომლობისათვის განწყობილი ტონი აუცილებლად გამოიწვევს ოპონენტის კეთილმოსურნე განწყობასაც.

იყავით თავდაჯერებული. არასდროს მოიხადო ბოდიში შეკითხვისათვის. შესაძლოა ამან კარგი შთაბეჭდილება დატოვოს ოპონენტზე, მაგრამ, იგი აუცილებლად ჩაგთვლით რბილ ადამიანად და აუცილებლად ეცდება გამოიყენოს თქვენი გაუთავებელი ბოდიში თავის სასარგებლოდ. **იყავით თავაზიანი, მაგრამ, ნუ იქნებით ადვილად დამჯერე.** ეცადეთ, არ დაიმსახუროთ ორაზროვანი შენიშვნები და უადგილო ხუმრობები. როდესაც რაიმეს გეკითხებიან, პასუხისათვის ნუ დაიწყებთ თვალების ცეცებას, ტუჩების ლოკვასა და ხვნეშას.

გახსოვდეთ, არ არის საკმარისი მოუწოდოთ ოპონენტს, თქვენ უნდა მოიპოვოთ მისი პატივისცემა.

ყურადღებით ადევნეთ თვალი და უსმინეთ. ხშირად ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ის, რაც არ ითქვა, ვიდრე ის, რაზეც მრავალი საათი საუბრობდით. არ მოექცეთ მაღალფარდოვანი ფრაზების გავლენის ქვეშ. თუ შეამჩნევთ, რომ ოპონენტის პასუხები თქვენს კითხვებზე ძალზე წააგავს ტელეკამერის წინ მიცემულ ინტერვიუს, დაფიქრდით - ხომ არ არის ამის მიზეზი თქვენი კითხვა. მყისიერად შეაფასეთ რა აღელვებს ოპონენტს, რატომ გრძნობს თავს უხერხულად, მიაქციეთ ყურადღება მის ხელებს, თვალებს; არ გამოგრჩეთ თუნდაც მცირე წინააღმდეგობა ოპონენტის ლაპარაკსა და აზრების მსვლელობას შორის.

თავი დაიჭირეთ ისე, თითქოს ბევრად ნაკლები იცით, ვიდრე ეს სინამდვილეშია, ოპონენტი აუცილებლად გაგიმხელთ მეტს, ვიდრე თქვენ ელოდებით.

იყავით აქტიური მსმენელი, აგრძნობინეთ ოპონენტს, რომ თქვენ გესმით მისი და პატივს სცემთ მას.

დასვით რაც შეიძლება მეტი შეკითხვა, ყურადღებით მოისმინეთ, რას გპასუხობენ და როგორ პასუხობენ.

დააყენეთ თქვენი თავი ოპონენტის ადგილზე. მოლაპარაკებებში წარმატებისათვის აუცილებელია გახსოვდეთ: **მიაღწიოთ გარიგებას, არ ნიშნავს აიძულოთ ოპონენტი ისე ხედავდეს და აფასებდეს საგნებსა და მოვლენებს, როგორც თქვენ.** მოლაპარაკების დაწყების წინ გააანალიზეთ რისი მიღწევა სურს ოპონენტს, ნუ დაამახინჯებთ მის მიზნებსა და მისწრაფებებს საკუთარი პრობლემების სასარგებლოდ. წყლის ნაყვად დარჩება ყველა მცდელობა, წუწურაქი გადააქციოთ ფილანტროპად.

ნუ ილაპარაკებთ ზედმეტს. არ არის აუცილებელი დიპლომატობა, რომ სიჩუმე საკუთარი მიზნის მისაღწევად გამოიყენოთ. თქვენი დუმილი აფიქრებს, აბნევს, აფორიაქებს ოპონენტს, იგი ცდილობს გაერკვეს დუმილის მიზეზში. იქმნება თქვენი თავდაჯერებულობის შთაბეჭდილება, რაც უბიძგებს ოპონენტს დათმობებისაკენ. ამიტომ, ეცადეთ დაარღვიოთ მოლაპარაკების რიტმი.

ხანმოკლე მოლაპარაკებები

გადადით **პირდაპირ საქმეზე**. თუ საქმის არსი ნათელია, ნუ შეიწუხებთ თავს სტრატეგიისა და ტაქტიკის ჩამოყალიბებაზე. გამოტოვეთ გრძელი შესავალი თქვენი ვიზიტის მიზეზებზე. პირდაპირ და შეძლებისდაგვარად მოკლედ ჩამოაყალიბეთ რა გსურთ.

თუ შეამჩნევთ, რომ ოპონენტი ხშირად ხელმძღვანელობს მტკიცე პრინციპებით, ნუ იფიქრებთ, რომ ეს პრინციპები ურყევია.

შეახსენეთ ოპონენტს კონკურენტები. აგრძნობინეთ ოპონენტს, რომ თქვენ გაქვთ ფართო არჩევანი და არ არსებობს საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტის მკაცრი აუცილებლობა. როგორც წესი, კონკურენციის ფაქტორი ზემოქმედებას ახდენს რამდენიმე მიმართულებით: **რადგან არსებობს ალტერნატივა, წინადადება უნდა იყოს აუცილებლად მიმზიდველი; თუ არ ვიყიდი (არ გავყიდი) მე, ამას გააკეთებს სხვა; კონკურენცია აჩქარებს მოლაპარაკებებს და ამცირებს მისი ხანგრძლივობის დიაპაზონს; ნუ ეცდებით კონკურენციის ფაქტორის ბოროტად გამოყენებას, ოპონენტი სიცრუეს არ გაპატიებთ; ეცადეთ აიძულოთ ოპონენტი, შემოგთავაზოთ მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები.**

გამოავლინეთ კომპეტენტურობა. თუ ოპონენტი თქვენში შეიცნობს ექსპერტს, რომელიც ჩინებულად ერკვევა განსახილველი საკითხის ყველა წვრილმანში, იგი აღარ ეცდება თქვენს გაბრუებასა და თვალში ნაცრის შეყრას. გამოიყენეთ თქვენი გამოცდილება, მაქსიმალურად ზუსტი იყავით დეტალებში და განმარტებებში, ნუ გაუშვებთ ხელიდან შესაძლებლობას გამოავლინოთ თქვენი პროფესიონალიზმი.

იყავით ფრთხილად. ოპონენტი აუცილებლად ეცდება დარწმუნდეს თქვენს კვალიფიკაციასა და კომპეტენტურობაში. ელოდეთ მოულოდნელ და ერთი შეხედვით უმნიშვნელო შენიშვნებსა და შეკითხვებს მოლაპარაკების მსვლელობისას. **ნუ ეცდებით გამოიყურებოდეთ იმაზე ჭკვიანად, ვიდრე ნამდვილად ხართ.**

აიძულეთ ოპონენტი, დაიჯეროს თქვენი პროფესიონალიზმი და იგი კიდევ უფრო გამორჩეული პატივისცემით მოგექცევათ.

ნუ უფრთხილდებით ოპონენტის დროს. აიძულე ოპონენტი, დაგითმოს რაც შეიძლება მეტი დრო და ენერგია. მიეცი რაც შეიძლება მეტი შეკითხვა, მოითხოვე სრული განმარტება თუნდაც ნაკლე-

ბალ მნიშვნელოვან საკითხზე. რაც მთავარია, ნუ დაიშურებ საკუთარ დროს. **ეცადე გააგრძელო მოლაპარაკება მეორე, მესამე დღისათვის.**

რაც მეტ დროს და ენერგიას გაიღებს ოპონენტი, მით მეტად იქნება იგი დაინტერესებული მოლაპარაკებით, უფრო თამამად წავა დათმობებზე დადებითი შედეგის მისაღწევად.

მოერიდეთ სატელეფონო მოლაპარაკებებს. ვინც ტელეფონით მოლაპარაკებას იწყებს, უკვე ფლობს უპირატესობას. მან შეარჩია მოხერხებული დრო, ხელთ აქვს აუცილებელი ინფორმაცია, შედგენილი აქვს მოლაპარაკების გეგმა. მეორე მხარე კი ამავე მოტივებით სავსებით მოუმზადებელია მოლაპარაკებისათვის. მაქსიმალურად თავაზიანად ეცადეთ გადადოთ საუბარი. არ აჰყვეთ სატელეფონო მოლაპარაკებას, თუ დეტალურად არ მომზადებულხართ საუბრისათვის. სატელეფონო მოლაპარაკებისას მზად იყავით შეუფერხებლად გასცეთ პასუხი ყველა კითხვას, თუნდაც ამისათვის მოგიწიოთ უკვე თქმულის განმეორებამ.

გაჭიანურებული მოლაპარაკებები

ცვალე მოლაპარაკების სტილი. პერიოდულად ცვალე მოლაპარაკების სტილი, როდესაც რეგულარულად ხედები ერთი და იგივე ოპონენტს.

თუ ოპონენტი გაარკვევს თქვენს სტილს, თქვენი აზრებისა და მისწრაფებების მსვლელობას, მას უჩნდება სერიოზული უპირატესობა. ნუ მისცემთ მას ამის შესაძლებლობას - იყავით არათანმიმდევრული. ეცადეთ შეცვალოთ შეხვედრის ადგილი: დღეს ოფისში, ხვალ რესტორანში; ნუ მისცემთ საშუალებას ოპონენტს თავს მოგახვიოს საკუთარი მიდგომები. ასეთ პირობებში იგი იძულებული იქნება ილაპარაკოს საქმეზე, მოგეკიდოთ მეტი სიფრთხილით და პატივისცემით.

დაიწყეთ მოლაპარაკება განცხადებით, რომელიც ხაზს უსვამს თქვენს სურვილს, მიაღწიოთ ერთიერთხელსაყრელ შეთანხმებას.

იფიქრეთ ხისტად, იმოქმედეთ რბილად. ხშირად ჩნდება ცდუნება, დათმოთ, რათა არ გაართულოთ სიტუაცია. გახსოვდეთ, **რომ მოლაპარაკების მიზანია თქვენი პრობლემების გადაწყვეტა და არაპოპულარობის კონკურსში გამარჯვება.** ეცადეთ,

არ დატოვეთ უნებისყოფო ადამიანის შთაბეჭდილება, ამავე დროს ნუ გამოიჩენთ უმიზეზო აგრესიულობას. იყავით კეთილ-განწყობილი ოპონენტის მიმართ და იგივეს მიიღებთ ოპონენტის მხრიდანაც.

თუ ოპონენტი თქვენზე გამოცდილია, ააგეთ მოლაპარაკება კონკრეტულ ფაქტებზე, ციფრებზე, პროცენტებზე. ინფორმაციის „ვაკუუმს“ კარგი სამსახურის გაწევა შეუძლია.? ნუ მოგერიდებათ აღიაროთ ის, რაც ყველასათვის ნათელია.

გამოიყენეთ დროის ფაქტორი

ეცადეთ მოლაპარაკება დაასრულოთ მანამდე, სანამ მისი შედეგი კრიტიკული გახდება თქვენთვის.

დროულად გაიგეთ, როდის დგება კრიტიკული ვადა ოპონენტისათვის. **გააკეთეთ ყველაფერი იმისათვის, რომ ოპონენტმა ვერ შეიტყოს თქვენი კრიტიკული თარიღი.**

გახსოვდეთ, კრიტიკული ვადის მიღწევისას თქვენ იძულებული ხდებით დათანხმდეთ არახელსაყრელ პირობებზე;

შეგნებულად გადადეთ მოლაპარაკება, რათა დარწმუნდეთ, რამდენად არის დაინტერესებული ოპონენტი გარიგებით.

ერიდეთ უუფლებო შემსრულებელს

შრომა წყალში იქნება გადაყრილი, თუ დადებითად დამთავრებული მოლაპარაკების ბოლოს მოისმენთ: „ახლა უნდა შევათანხმოთ ხელმძღვანელობასთან“.

იმ შემთხვევაში, თუ იძულებული ხართ მოლაპარაკება აწარმოოთ ხელმძღვანელობის წარმომადგენელთან: **ნუ დათმობთ ნურაფერს; განუცხადეთ ოპონენტს, რომ იტოვებთ უფლებას, გადასინჯოთ მიღწეული შეთანხმება.**

აქ საინტერესოა საწინააღმდეგო სიტუაცია, როდესაც თავად შეგიძლიათ მოიმიზეზოთ გამოგონილი „უფროსი“, რათა გადადოთ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, ან, საერთოდ უარი თქვათ მოლაპარაკების გაგრძელებაზე - როდესაც დაგვიანებით აღმოაჩინეთ მოლაპარაკების არაპერსპექტიულობა.

ნურაფერს გასცემთ, თუ სანაცვლოდ არაფერს იღებთ

ყოველი დათმობის შემდეგ გარიგება ნაკლებად ხელსაყრელი ხდება. ამდენად, **ყოველი დათმობის სანაცვლოდ უნდა ეცადოთ მიიღოთ რაიმე.** არ იფიქროთ, რომ თქვენი მორჩილება სწორად იქნება გაგებული და მომავალში ანაზღაურდება. **როდესაც ოპონენტი რაიმეს ითხოვს, აუცილებელია ჰკითხოთ, რას იძლევა სანაცვლოდ.**

ეცადეთ, რაც შეიძლება ნაკლები დათმოთ, დაარწმუნეთ ოპონენტი თქვენი დათმობების სერიოზულობაში და შემხვედრი დათმობის აუცილებლობაში. ამ პროცესში ნუ იქნებით ზედმეტად კატეგორიული.

პროფესიონალები და ბიუროკრატები

როგორც წესი, მცირე ფირმები და კერძო პრაქტიკით დაკავებული იურისტები სარგებლობენ სტანდარტული ტიპიური კონტრაქტების ბლანკებით. ის, რომ კონტრაქტი ლამაზად არის დაბეჭდილი და ტოვებს იურიდიულად სწორად შესრულებული დოკუმენტის სახეს - სულაც არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება მისი შეცვლა, ანუ, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. თუ აღმოჩნდება, რომ კონტრაქტში რაიმე არ მოგწონთ, ან არ გაწყობთ, დაუყოვნებლივ გადახაზეთ, ან ჩაასწორეთ. ძალზე ყურადღებით წაიკითხეთ კონტრაქტი, არ მოუსმინოთ და მით უმეტეს არ მიიღოთ განმარტებები: **„როლს არ თამაშობს“, „უმნიშენელო იურიდიული დეტალებია“, „მერე ვნახოთ“** და სხვა.

გახსოვდეთ: **კონტრაქტის ნებისმიერი ცვლილება დაიშვება მის ხელმოწერამდე.**

კარგად გაერკვიეთ, რა დგას რესპექტაბელურობის უკან

არ შეუშინდეთ პროფესიონალებს. თუ რაიმეს ვერ იგებთ, არა გაქვთ იურიდიული განათლება და დოქტორის ტიტული - ამან არ

უნდა შეგიძლიათ ხელი იკითხოთ, გაარკვიოთ, ან დააზუსტოთ, რაც თქვენ გაფიქრებთ და თქვენთვის აუცილებელია. გახსოვდეთ, **„პროფესიონალებს“ სჩვევიათ - გელაპარაკონ ისე, როგორც უსუსურ ბავშვს, თავგზა აგიბნიონ უცხო ტერმინთა კორიანტელით.** ყალიაროთ ისიც, რომ ადამიანები მიდრეკილი არიან ადვილად დაუჯერონ კარგად ჩაცმულ და ლამაზად მოლაპარაკე ადამიანებს. იმისათვის, რომ ადვილად დააღწიოთ თავი მსგავს შემთხვევებს: შეადგინეთ თქვენთვის საინტერესო და სადავო საკითხების ზუსტი ჩამონათვალი, დააზუსტეთ ჰონორარისა და დამატებითი ხარჯების საკითხი. ეცადეთ, არ დატოვოთ გაურკვეველი არც ერთი საკითხი.

ყველა წესს აქვს გამონაკლისი

ნუ დაუშვებთ, რომ „ოფიციალური ნორმები“ ან ვიღაცის მიერ დადგენილი „წესები“ ბარიერად იქცეს თქვენი საქმიანობისათვის. თუ როდესმე წააწყდებით გადაულახავ ბარიერს დადგენილი წესებისა და ნორმების სახით, ნუ დაჰყრით ფარ-ხმალს. გაიხსენეთ, რომ სადღაც იმავე სართულის დერეფნის ბოლოში ზის ჩინოვნიკი, რომელსაც შეუძლია ამ წესს გადააბიჯოს. მოითხოვეთ მასთან შეხვედრა. თუ მოლაპარაკებით არაფერი გამოვიდა, მოითხოვეთ აუცილებელი დოკუმენტი. ბოლოს აღმოჩნდება, რომ არავითარი ოფიციალური შემზღუდველი დოკუმენტი არ არსებობს, ან, თქვენი შემთხვევა დასაშვებ გამონაკლისთა რიგს მიეკუთვნება. **გახსოვდეთ, ძალზე სასარგებლო ინფორმაციის მიღება შეიძლება ბიუროკრატიული სამსახურის რიგითი მოხელისაგან.**

როგორ გამოვიდეთ ჩიხიდან

არასდროს ჩათვალოთ, რომ გამოცხადებული უარი საბოლოოა.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოლაპარაკების პროცესში ნათქვამი „არა“ ნიშნავს „ჯერ არა“-ს, ან, შეიძლება „ოღონდ ჯერ არა“-ს.

გახსოვდეთ:

ოპონენტი რომ მართლა თვლიდეს საკითხს ამოწურულად, უბრალოდ მოტრიალდებოდა და წავიდოდა;

გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს;

თუ მართლაც წააწყდებით უარყოფის გადაულახავ კედელს, პირდაპირ ჰკითხეთ ოპონენტს - რამ შეიძლება აიძულოს, შეცვალოს გადაწყვეტილება;

ნუ დაიწყებთ ერთ ადგილზე ტკეპნას და რთული საკითხის უშედეგო რჩევას - ასეთ საკითხს დაუბრუნდით მოგვიანებით.

ხაზი გაუსვით საერთო მიზნებს

როგორც კი აღმოჩნდებით ჩიხურ მდგომარეობაში, დაუბრუნდით საერთო ინტერესებს და თავიდან დაიწყეთ მოლაპარაკება.

აუცილებლად დააზუსტეთ და გაანალიზეთ მიღწეული შედეგები, შემდეგ ჩამოაყალიბეთ საკითხები, რომლებმაც გამოიწვიეს აზრთა სხვაობა, გაარკვიეთ, რა უშლის ხელს მოლაპარაკების წინსვლას.

რთული მოლაპარაკება დაყავით ცალკეულ მუხლებად და შეუდექით მათ ნაბიჯ-ნაბიჯ გადაწყვეტას. ნუ მოერიდებით ოპონენტთან ერთად ჩიხიდან გამოსავლის ძებნას, წინასწარ გააფრთხილეთ იგი, რომ მსჯელობის პროცესში გამოთქმული იდეა ჯერ კიდევ არ არის წინადადება.

გახსოვდეთ: ხომ არ აფასებთ თქვენც და ოპონენტიც სადავო საკითხს დიამეტრალურად განსხვავებული პოზიციებიდან, რომელთა უკან შესაძლოა იმალებოდეს საერთო ინტერესები, ეცადეთ შეაფასოთ პრობლემა ახლებურად, გამოძებნეთ მისი ისეთი სახით წამოყენების ხერხი, რომ იგი აღარ წარმოადგენდეს გადაულახავ პრობლემას.

თუ შეამჩნევთ, რომ მოვლენებზე კონტროლს კარგავთ, აიღეთ ტაიმ-აუტი

ნუ დაუშვებთ, რომ მოლაპარაკების პროცესი გამოვიდეს თქვენი კონტროლიდან, თუ დაიღალეთ, გრძნობთ მნიშვნელოვან ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ დაძაბულობას, თვლით, რომ მოლაპარაკება განწირულია უშედეგოდ დასრულებისათვის - შეისვენეთ. სასარგებლოდ გამოიყენეთ შესვენება, მოიხსენით დაძაბულობა, გადასინჯეთ შემდგომი მოქმედების გეგმა, დაიმორჩილეთ საკუთარი

თავი. ხშირად ხანმოკლე შესვენებაც კი სავსებით საკმარისია დაძაბული ატმოსფეროს განსამუხტავად. თუ აღმოჩნდება, რომ ხანმოკლე შესვენებამ სასურველი შედეგი არ მოიტანა, მოლაპარაკება გადადეთ მეორე დღისათვის. ამგვარი ნაბიჯი უდავოდ ჩრდილს აყენებს თქვენს ავტორიტეტს, ამიტომ, მას უნდა მიმართოთ გამონაკლის შემთხვევაში.

თუ მოლაპარაკებას აწარმოებთ ორ ოპონენტთან, ცალკე გაჰყოთ ისინი. ამისათვის გამოიყენეთ ნებისმიერი უთანხმოება ოპონენტთა ჯგუფში.

გახსოვდეთ: თანამოაზრე ოპონენტების ბანაკში თქვენი წარმატების ძალზე სერიოზული პირობაა.

როგორ აღვუდგეთ თაღლითობას

თუ გაქვთ სერიოზული მოტივები, არ ენდოთ ოპონენტს, ნუ ენდობით მას, არ დაივიწყოთ სიფრთხილე. მოლაპარაკებების ფუნდამენტური წესის თანახმად: **თუ არ შეიძლება შემოწმება, არც დაიჯეროთ. მოითხოვეთ აუცილებელი ინფორმაცია, ყველა საჭირო დოკუმენტი, დარწმუნდით, რამდენად ემთხვევა ოპონენტის სიტყვები თქვენს დასკვნებს.** ნუ გაგიკვირდებათ, თუ გარკვეულ ეტაპზე აუცილებლად დაიწყება თქვენი დანამუსება: **„როგორ არ მენდობით“, „ეჭვი როგორ გეპარებათ ჩემს პატიოსნებაში“, „ტყუილად კარგავთ დროს“** და სხვა. ნუ იქნებით უპრინციპო - მოითხოვეთ ყველა დოკუმენტი წერილობით. თუ აღმოჩნდება, რომ ოპონენტის განცხადებათა უმრავლესობის შემოწმება შეუძლებელია, გადადეთ მოლაპარაკება ან საერთოდ უარი თქვით მასზე.

გამოაშკარავეთ ოპონენტის თაღლითობა.

თუ მოლაპარაკებების პროცესში შეამჩნევთ თაღლითობას, ან თამაშის წესების დარღვევას, გამოაშკარავეთ ოპონენტის მოქმედება. ასეთი მოქმედების შედეგად:

ოპონენტი შეცვლის ტაქტიკას, შეეცდება აღარ დაარღვიოს თამაშის წესები.

შეურაცხყოფად მიიღებს თაღლითობაში მხილებას და გაცხარდება.

გახსოვდეთ:

ნუ შეუტევთ ოპონენტს პირადად, რათა არ გამოიწვიოთ დამცავი აგრესია;

შესთავაზეთ ინციდენტის დავიწყება და მოლაპარაკების გაგრძელება კონსტრუქციულ ჩარჩოებში.

მიატოვეთ მოლაპარაკება და დაელოდეთ ოპონენტის სატელეფონო ზარს.

არ მისცეთ საშუალება არაკეთილსინდისიერ ოპონენტს გარემომცველი გარემო გამოიყენოს თქვენზე გავლენის მოსახდენად.

განსაკუთრებით ფრთხილად იყავით თქვენთვის უცხო გარემოში (ოპონენტის ოფისში), უცხო გარემოცვაში (ოპონენტის თანამშრომლები, კონსულტანტები, ექსპერტები და სხვა): ეცადეთ, მოლაპარაკების პროცესში უარი თქვათ შემოთავაზებულ ტკბილეულზე, ჩაიზე, ყავაზე თუ მაგარ სასმელებზე.

კრიტიკულად მოეკიდეთ შემოთავაზებას, მოლაპარაკება შეზღუდული დღის წესრიგით აწარმოოთ. გახსოვდეთ, როდესაც ოპონენტი განსაზღვრავს მოლაპარაკების დიაპაზონს, ფაქტიურად იგი განსაზღვრავს მოლაპარაკების შედეგსაც.

როდესაც თქვენს წინ არაკეთილმოსურნეა

ეჭვის, უნდობლობის, საუბრისა თუ მოლაპარაკების საგნისადმი არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულების გამოვლინების სტანდარტული ფორმაა ხელების მკერდზე გადაჭდობა ცერა თითების აქტივიზაციის გარეშე. თუ შეამჩნიეთ, რომ თქვენ ოპონენტმა მკერდზე ხელები ასეთი სახით გადაიჭდო, ძალზე სავარაუდოა, მას არ მოეწონა თქვენს მიერ დასმული საკითხი, რომ იგი მას თქვენგან არ მოელოდა, იგი აღგიქვამთ კონკურენტად, ყველა გამომდინარე შედეგით.

კიდევ უფრო დამაფიქრებელია პოზა, როდესაც ოპონენტს თავი დახრილი აქვს და ასეთ მდგომარეობაში ცდილობს თვალი თვალში გაგიყაროთ; დარწმუნებული იყავით ოპონენტის უარყოფით დამოკიდებულებაში, უფრო მეტიც, უნდა იფიქროთ, რომ იგი უსიტყვოდ ჰკიცხავს თქვენს მოქმედებას. თქვენ აუცილებლად გექნებათ სერიოზული პრობლემები ასეთ ოპონენტთან ურთიერთობისას. თუ თქვენ ხშირად ხვდებით ოპონენტის ასეთ პოზასა და გამომეტყველებას, აუცილებლად იფიქრეთ საუბრისა და მოლაპარაკებების ტაქტიკის დახვეწაზე.

ნუ იქნებით ჯიუტი საკუთარი პოზიციის დაცვაში

ნებისმიერი მოლაპარაკებები ფასდება სამი კრიტერიუმით: მოლაპარაკება უნდა დასრულდეს მიზანშეწონილი შეთანხმებით, თუ ასეთი საერთოდაა შესაძლებელი. მოლაპარაკება უნდა იყოს ეფექტური. მოლაპარაკებამ უნდა გააუმჯობესოს, ყოველ შემთხვევაში არ უნდა გააუარესოს ურთიერთობა მხარეებს შორის.

წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების გავრცელებული ფორმაა, როდესაც მხარეები იკავებენ გარკვეულ, როგორც წესი, საკმაოდ ხისტ პოზიციას და ყველაფერს აკეთებენ ასეთი პოზიციის რეალიზაციისათვის. პოზიციის შერჩევა მოლაპარაკებებში რამდენიმე მიზანს ისახავს. მათ შორის, იგი აჩვენებს მეორე მხარეს, თუ რა გსურთ, რის მიღწევას აპირებთ თქვენ; გიქმნით საყრდენს რთულ და გაურკვეველ სიტუაციაში; იძლევა მისაღები შეთანხმების პირობების შემუშავების საშუალებას.

იგივე მიზნების მიღწევა შეიძლება სხვა, უფრო ეფექტური გზითაც. მიიჩნევა, რომ პოზიციური გარიგებები ხელს არ უწყობენ ძირითადი მიზნის, მიზანშეწონილი, ეფექტური და ურთიერთმისაღები გარიგების მიღწევას.

როდესაც მოლაპარაკების მხარეები იკავებენ ხისტ პოზიციას, არც თუ იშვიათად, ისინი ექცევიან ასეთი პოზიციის ტყვეობაში. რაც უფრო ზუსტად აყალიბებთ თქვენს პოზიციას, რაც უფრო გააფთრებით იცავთ მას მეორე მხარეს კრიტიკისაგან, რაც უფრო ენერგიულად ცდილობთ დაარწმუნოთ მეორე მხარე თქვენი პოზიციის ურყევობაში, მით უფრო ძნელი ხდება ასეთი პოზიციის დაცვა და რეალიზაცია.

რაც უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მხარეების პოზიციებს, მით უფრო ნაკლებია მხარეთა ინტერესების შეთანხმების პერსპექტივა. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, იგი შეიძლება აღმოჩნდეს ნაკლებად ეფექტური, ვიდრე შეიძლება ყოფილიყო მხარეთა პოზიციური დაპირისპირების თავიდან აცილების პირობებში.

მოლაპარაკების წარმოების სტანდარტული მეთოდი, როგორც წესი, სრულდება შეთანხმებით, ან მხარეთა ურთიერთობების შეწყვეტით. შერჩეული პოზიციის ხისტი დაცვა აგრძელებს მოლაპარაკების პროცესს და ამცირებს შეთანხმების მიღწევის ალბათობას. როდესაც მხარე დაჟინებით იცავს საკუთარ პოზიციას, იგი ცდი-

ლობს მიაღწიოს მისთვის კეთილსასურველ შეთანხმებას. ზუსტად ივივეს ცდილობს მეორე მხარეც. რაც უფრო მკაცრი და ექსტრემალურია მხარეთა პოზიციები. მით ნაკლები დათმობებია მოსალოდნელი მათი მხრიდან და მით მეტი დრო და ძალისხმევა სჭირდება შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობის გარკვევას.

მხარეთა პოზიციების ასეთი დაპირისპირება. ხშირად მთავრდება თავმოყვარეობათა, შემდეგ კი პატივმოყვარეობათა დაპირისპირებით. მხარეები ცდილობენ აიძულონ მეორე მხარე, მათი პოზიციის გაზიარებაში. ასეთი „მოლაპარაკების" შედეგად ადეკვატურია, გარიგება არათანასწორია, არ ასახავს სამეურნეო გარიგების უპირველეს პრინციპს. მხარეთა ნების თავისუფალ გამოვლენას. კიდევ უფრო რთულდება სიტუაცია, როდესაც მოლაპარაკებებში მონაწილეობს რამდენიმე მხარე.

როდესაც ვაღიარებთ მხარეთა ხისტი პოზიციების დაპირისპირების უარყოფით გავლენას გარიგების პირობებსა და მხარეებს შორის ურთიერთობებზე, უნდა გვახსოვდეს, რომ არც ყველაფერზე დათანხმებაა უკეთესი გამოსავალი. გაუმართლებულია, როდესაც მხარე ზედმიწევნით დელიკატური გზით ცდილობს მოლაპარაკებების წარმოებას. ნაცვლად იმისა, რომ მხარე განიხილოს როგორც მოწინააღმდეგე, ცდილობს მასთან დაამყაროს მეგობრული ურთიერთობები და იმის ნაცვლად, რომ მიზანს მიაღწიოს მოლაპარაკებებში, კმაყოფილდება შეთანხმების მიღწევით. ადამიანების ნაწილი მიიჩნევს, რომ მოლაპარაკებები მხოლოდ ამ გზითაა მისაღები და გამართლებული, რადგან იგი ხელს უწყობს მხარეებს შორის ურთიერთობების შენარჩუნებასა და გაძლიერებას.

დელიკატური მოლაპარაკებების ტექნიკა, მეტწილად ეფექტურია ნათესავებსა და მეგობრებს შორის. როდესაც ორივე მხარე ერთმანეთს ეჯიბრება გულუხვობასა და ხელგაშლილობაში, შეთანხმება მიიღწევა შედარებით სწრაფად, თუმცა, ასეთი გზით მიღწეული შეთანხმება, შეიძლება ყოველთვის არ აღმოჩნდეს გააზრებული და მიზანშეწონილი. უფრო მეტიც, მოლაპარაკების ასეთი მანერა შეიძლება აღმოჩნდეს ძალზე არახელსაყრელი ერთი მხარისათვის, როდესაც მეორე მხარე ინარჩუნებს ხისტ პოზიციას და არც ისე ხელგაშლილი და გულუხვია, როგორც ეს მის კონტრაგენტს მიაჩნია.

თუ თქვენთვის მიუღებელია არჩევანი მოლაპარაკების დელი-

კატური და ხისტ სისტემებს შორის, შეგიძლიათ ითამაშო.

თუ თქვენ მაინც გადაწყვეტთ მიიღოთ პასუხი კითხვაზე, მოლაპარაკების რომელი ტაქტიკაა უკეთესი – დელიკატური თუ ხისტი, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არცერთი მათგანი. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, შეცვალეთ თამაშის წესი.

ვხედავთ თუ ვგრძნობთ ამას, მოლაპარაკება ყოველთვის მიმდინარეობს ორ დონეზე. პირველ დონეზე მოლაპარაკების საგანია გარიგების მიზანი, მეორე დონეზე ხდება ამ მიზნის მიღწევა.

ბოლო ხანებში ფართო გავრცელება ჰპოვა მოლაპარაკების პრინციპული წარმოების მეთოდმა,რომელიც მიმართულია ეფექტური შედეგების დაჩქარებულ მიღებაზე, მოლაპარაკების მხარეების ინტერესებისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

ასეთი მოლაპარაკების ტექნიკა ეფუძნება ოთხ პრინციპს,რომელთა გამოყენება შეიძლება პრაქტიკულად ნებისმიერ პირობებში. თითოეულ ეს პრინციპი დაკავშირებულია მოლაპარაკების საბაზო ელემენტთან და სრულად განსაზღვრავს იმას, თუ რა უნდა გაკეთდეს.

პირველი პრინციპი – ასახავს იმ გარემოებას,რომ ადამიანები მანქანები არ არიან. ყოველ მათგანს აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები, ემოციები, რომლებიც დაკავშირებულია პრობლემის ობიექტურ ღირებულებასთან, ხშირად ართულებენ მოვლენების აღქმას, აძნელებენ ურთიერთობას. ამიტომ, სანამ პრობლემის გადაწყვეტას შევუდგებოდეთ, აუცილებლად უნდა გამოვაცალკევოთ, გამოვყოთ ადამიანები ამ პრობლემისაგან. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, მოლაპარაკების მონაწილეებმა კარგად უნდა შეიგნონ, რომ ისინი ერთ მიზანს ემსახურებიან, ისინი ებრძვიან პრობლემას და არა ერთმანეთს. აქედან პირველი პრინციპი – **გამოაცალკევე ადამიანები პრობლემისაგან.**

მეორე პრინციპი – მოწოდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს საკუთარი პოზიციის დაჟინებული დაცვის შესაძლო უარყოფითი შედეგები. მოლაპარაკების ამოცანაა ყველა მხარის ინტერესების დაკმაყოფილება. ხშირად, მხარეების პოზიცია მოლაპარაკების პროცესში, არსებითად განსხვავდება მათი მიზნებისაგან, იმისგან, რაც მათ რეალურად სურთ სინამდვილეში.

როგორც წესი, კომპრომისი პოზიციებს შორის ყოველთვის არ

სრულდება შეთანხმებით, რომელიც აკმაყოფილებს იმ ადამიანების ინტერესებს, ვინც ამ პოზიციებს წარმოადგენს.

აქედან მოლაპარაკების მეორე პრინციპი – **აუცილებელია კონცენტრაცია ინტერესებზე და არა პოზიციებზე.**

მესამე პრინციპი – ასახავს გადაწყვეტილების მიღების სირთულეს მეწოლის პირობებში. მოლაპარაკების პროცესში, მოწინააღმდეგე მხარის არსებობას, რთული, ხშირად საწინააღმდეგო მიზნებით, მნიშვნელოვნად ამცირებს თქვენს შესაძლებლობებს. რაც უფრო მაღალია მისაღები გადაწყვეტილების ფასი, მით მეტი შეზღუდვების დაძლევა ხდება აუცილებელი, მით უფრო ძნელი ხდება ერთადერთი და სწორი გადაწყვეტილების მიღება, სხვადასხვა ინტერესების გათვალისწინებით. მესამე პრინციპი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ – **სანამ შეეცდებით შეთანხმების მიღწევას, მოიძიეთ ასეთი შეთანხმების ურთიერთხელსაყრელი ვარიანტები.**

მეოთხე პრინციპი – როდესაც მხარეების ინტერესები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, არ არის გამორიცხული, წარმატების მიღწევა დაჟინებითა და სიჯიუტით, რომელსაც მიეყავართ ნაძალადევ შედეგებამდე. ასეთ სიტუაციაში, მხარეს უნდა განემარტოს, რომ მისი წინადადებები არ არის საკმარისი შეთანხმება უნდა ასახავდეს სამართლიან სტანდარტებს. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მხარემ მოითხოვოს მის მიერ შეთავაზებული სტანდარტების მიღება. მოლაპარაკებებსა და შესაბამისად, შეთანხმებას საფუძვლად უნდა დაედოს ისეთი ნეიტრალური სტანდარტები, როგორებიცაა: **საბაზრო ღირებულება, სამართლებრივი ნორმები, აღიარებული სავაჭრო პრაქტიკა და ჩვეულებები, ექსპერტების დასკვნები, საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობა, კონკრეტული ბაზრისა და ეკონომიკური სივრცის რეალური პირობები.** ასეთ სტანდარტებზე დაფუძნებული შეთანხმება, სამართლიანი და მისაღები იქნება ყველა მხარისათვის. აქედან მეოთხე პრინციპი – **ეცადეთ გამოიყენოთ ობიექტური კრიტერიუმები.**

სახელშეკრულებო მოლაპარაკების მოყვანილი ოთხი პრინციპის გამოყენება აუცილებელია, მოლაპარაკების თათბირზე ფიქრის დაწყებისთანავე იმ წუთამდე, სანამ მიღწეული იქნება შეთანხმება, ან შეწყვეტთ ყოველგვარ ძალისხმევას ასეთი შეთანხმების მიღწევისათვის.

ემოცია იწვევს საპასუხო ემოციას

მოლაპარაკებების პროცესში გრძნობები შესაძლოა, აღმოჩნდეს მეტად მნიშვნელოვანი, ვიდრე სიტყვები. ასეთ შემთხვევაში მხარეები შეიძლება უფრო მზად აღმოჩნდნენ ბრძოლისათვის, ვიდრე, ეფექტური თანამშრომლობისა და ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების მიღებისათვის. როგორც წესი, **ემოცია იწვევს საპასუხო ემოციას, რასაც მოლაპარაკება შეჰყავს ჩიხში, ხშირად კი უშედეგო მოლაპარაკებამდე.**

მიუხედავად ამისა, ემოციის გამორიცხვა შეუძლებელია, იგი ადამიანის ქცევის, ადამიანური ურთიერთობების ბუნებრივი ელემენტია. როგორც ამბობენ, გრძნობებს ვერ უბრძანებ. ამიტომ აუცილებელია ვაღიაროთ ემოციების არსებობა ადამიანების, მათ შორის, მოლაპარაკების მხარეთა ურთიერთობაში და გავიგოთ მისი ბუნება. ძალზე მნიშვნელოვანია, მხარეებმა აკონტროლონ თავისი და ერთმანეთის ემოციები. ჰკითხეთ საკუთარ თავს, **რატომ ბრაზდებით? რა აღიზიანებს თქვენს კონტრაგენტს? ხომ არ გამოძრავებთ თქვენ და თქვენს პარტნიორებს რევანშის გრძნობა წარსულში განცდილი მარცხისათვის? ხომ არ სჭარბობს საქმიან პრობლემებს პირადი ინტერესები?**

შესაძლოა არსებობდეს ემოციების მრავალი სხვა მოტივი, თუ მიზეზი. ეცადეთ გამოავლინოთ ისინი, მათი კანონიერება და სამართლიანობა. გახადეთ საკუთარი და კონტრაგენტის ემოციები ერთობლივი განსჯის საგანი. გარწმუნებთ, ეს სულაც არ შეამცირებს განსახილველი პრობლემის მნიშვნელობასა თუ არსებითობას და მოლაპარაკების რეაქციული ფაზიდან გადაიყვანს პრორეაქციულ ფაზაში. **ემოციებისგან განთავისუფლებული ადამიანები უფრო მეტი მზადყოფნით ერთვებიან უშუალოდ პრობლემის გადაწყვეტაში.**

მოლაპარაკებებისა და ემოციების კონტექსტში, განსაკუთრებით საშიშია ემოციური მუხტის ამოფრქვევა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იწვევს ემოციების ამოფრქვევას კონტრაგენტის მხრიდან. ყველაფერი გააკეთეთ, რათა აკონტროლოთ საკუთარი ემოციები, არ დაუშვათ მოლაპარაკების გადასვლა უმართავ პროცესში.

როდესაც ურთიერთობა არ გამაღლებს, იგი ქვევით გექაჩება

ურთიერთობების გარეშე არ არსებობს მოლაპარაკებები. უფრო მეტიც, მოლაპარაკება არის ურთიერთობა ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებისათვის მხარეთა შორის თანხმობის მისაღწევად. ადამიანების ურთიერთობა ადვილი არ არის. განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა ურთიერთობები წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების წარმოებისას. ამ პროცესში ურთიერთობა უჭირთ იმ ადამიანებსაც, რომლებიც კარგახანია იცნობენ ერთმანეთს და საერთოც ბევრი აქვთ. მიუხედავად ყველაფრისა, მზად იყავით იმისათვის, რომ მოწინააღმდეგე მხარე ვერ გაგიგებთ, ან, საერთოდ არ ეცდება გაიგოს თქვენი მოტივები და, მითუმეტეს, ინტერესები.

ურთიერთობებთან დაკავშირებული სიძნელეებიდან გამოყოფენ სამ პრობლემას:

პირველი, არც თუ იშვიათად მოლაპარაკების მონაწილეები საერთოდ არ საუბრობენ ერთმანეთთან, ან არ საუბრობენ ისე, რომ ერთმანეთს გაუგონ. ხშირად, ერთი მხარე მხოლოდ გამოთქვამს თავის აზრს, ისე რომ, არ ცდილობს რაიმე ურთიერთობის დამყარებას მეორე მხარესთან.

განსაკუთრებით რთულდება ურთიერთობა, როდესაც მოლაპარაკების მონაწილეები ურთიერთობების დამყარების ნაცვლად, ცდილობენ შთაბეჭდილების მოხდენას ხელმძღვანელობაზე და მაყურებელზე.

მეორე, ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ მეორე მხარემ ვერ გაგიგოთ მაშინაც კი, როდესაც თქვენ უშუალოდ და პირდაპირ მას მიმართავთ. სწორედ აქ იჩენს თავს, ურთიერთობების მეორე სერიოზული პრობლემა.

შეამჩნევდით, რომ ზოგჯერ ადამიანები ყურადღებას არ აქცევენ თქვენს სიტყვებს. შესაძლოა, ვერც თქვენ შეძლოთ იმის გამეორება, რაც ეს-ესაა გითხრათ თანამოსაუბრემ. არც თუ იშვიათად, მოლაპარაკების მხარეები მეტს უსმენენ თავის უფროსებს, ვიდრე კონტრაგენტის არგუმენტებს. ბუნებრივია, რომ თქვენ ანგარიშს უწევთ ხელმძღვანელების აზრს, ცდილობთ დააკმაყოფილოთ მათი მოთხოვნები და შეასრულოთ მათი დავალებები. მაგრამ, თუ თქვენ არ მოუსმენთ მეორე მხარეს, არ შედგება ურთიერთობა თქვენს

შორის, ვერ მიიღწევა მოლაპარაკების მიზანი, ვერ მიიღწევა თქვენი ხელმძღვანელების დავალებების შესრულება.

ურთიერთობის მესამე პრობლემაა – გაუგებრობა, ანუ ის, რასაც ლაპარაკობს ერთი მხარე, ნებსით თუ უნებლიედ, სულ სხვაგვარად ესმის მეორე მხარეს, მაშინაც კი, როდესაც მხარეები ერთმანეთის პირდაპირ სხედან. განსაკუთრებით იზრდება გაუგებრობის წარმოქმნის ალბათობა, როდესაც მხარეები ლაპარაკობენ სხვადასხვა ენაზე, ამ ცნების პირდაპირი მნიშვნელობით.

როგორ შეიძლება გავართვათ თავი, ურთიერთობასთან დაკავშირებულ, მოყვანილ პრობლემებს?

აქტიურად უსმინეთ თანამოსაუბრეს და დაადასტურეთ ყველაფერი გაგონილი. მოწინააღმდეგის მოსმენა აუცილებელია, ძნელია აქტიური მოსმენა, განსაკუთრებით ძნელია ეს სტრესულ სიტუაციაში, რაც სავსებით ბუნებრივია მოლაპარაკების პროცესისათვის.

აქტიური მოსმენის სტანდარტული ფორმა იმაში მდგომარეობს, რომ ყურადღებით უსმინოთ მოსაუბრეს, თხოვოთ მას განმარტოს გამოთქმული აზრი ყოველგვარი გაუგებრობისა და ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად. ეცადეთ, არა მხოლოდ რეაგირება მოახდინოთ მოსაუბრის განცხადებებზე, ზუსტად გაიგეთ, რის თქმას ცდილობს იგი. ჩააყენეთ თქვენი თავი მის ადგილზე, გაიაზრეთ მისი მოთხოვნები და შეზღუდვები.

ბევრი მოლაპარაკების იდეალურ ტექნიკად მიიჩნევს, როდესაც მეორე მხარის პოზიციას, საერთოდ არ აქცევს ყურადღებას. სპეციალისტები კი სულ სხვაგვარად ფიქრობენ. **სანამ თქვენ არ დაუდასტურებთ მეორე მხარეს, რომ თქვენ გაიგეთ მისი ნათქვამი და არ მოახდენთ ასეთი გაგების დემონსტრირებას, თქვენი პარტნიორი დარწმუნებული იქნება, რომ თქვენ მას არ უსმენდით.** ასეთი დემონსტრაციის შემდეგ, იზრდება თქვენი შანსი, ეფექტურ დიალოგზე, შესაძლო გაუგებრობის შემცირებაზე და სასურველი მატერიალური შედეგების მიღწევაზე.

ისაუბრეთ ისე, რომ გაგიგონ. ელაპარაკეთ უშუალოდ მოლაპარაკების მონაწილეს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მოლაპარაკება არ არის არც დებატები და არც სასამართლო პროცესი. თქვენი ამოცანა არ არის მესამე მხარის დარწმუნება. ის, ვინც თქვენ უნდა დაარწმუნოთ, თქვენს პირისპირ ზის. **ურთიერთობა შეიძლება გა-**

უმჯობესდეს მოლაპარაკების მონაწილეთა რიცხვის შემცირებით. არა აქვს მნიშვნელობა რამდენი პირი მონაწილეობს მოლაპარაკებებში. ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება ხდება მაშინ, როდესაც მოლაპარაკების ოთახში რჩება არაუმეტეს ორი ადამიანისა.

ილაპარაკეთ საკუთარ თავზე და არა კონტრაგენტზე. არც თუ იშვიათად, მოლაპარაკების პროცესში, ზედმეტად ბევრი დრო ეთმობა ერთმანეთის განზრახვებისა და მოტივაციის კრიტიკას. ზოგჯერ ასეთი კრიტიკა, სცდება აღიარებული საქმიანი ეთიკის ელემენტარულ ნორმებს.

ნუ ილაპარაკებთ მოწინააღმდეგეზე. ისაუბრეთ საკუთარ თავზე, პრობლემები შეაფასეთ საკუთარი თვალთახედვიდან. ნაცვლად იმისა, რომ თქვათ „თქვენ გატეხეთ სიტყვა“, უმჯობესია თქვათ: „მე გაოცებული ვარ“.

თუ თქვენ ხმამაღლა მოახდენთ მეორე მხარის შეფასებას, რომელსაც მოწინააღმდეგე არ ეთანხმება, იგი ან ყურებში გაატარებს მას, ან ეცდება გააკეთოს იგივე, ოდნავ უფრო „უკეთესად“. ამავე დროს, პირადი შეგრძნებების გამოელვების იგნორირება, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ გზით თქვენ შეძლებთ, კვლავ ადვილად მიიტანოთ მოწინააღმდეგემდე აუცილებელი ინფორმაცია და არ გამოიწვიოთ მათი მხრიდან არასასურველი თავდაცვითი რეაქცია.

როგორ მოვიქცეთ, როდესაც ისინი უფრო ძლიერები არიან

არც ერთი წიგნი თუ მეთოდი არ იძლევა წარმატების გარანტიას, როდესაც ყველა უპირატესობა მოწინააღმდეგის მხარეზეა. რა ინტერესებზე, ვარიანტებზე, ობიექტურ კრიტერიუმებზე შეიძლება საუბარი, როდესაც მოწინააღმდეგე მხარე მთელი ძალით იცავს თავის ერთადერთ პოზიციას? რა შეიძლება იღონო, როდესაც მეორე მხარე უფრო მდიდარია, აქვს მეტი კავშირები, ჰყავს უკეთესი პერსონალი და მეტი გამოცდილება აქვს?

ნებისმიერი მოლაპარაკების პროცესში შეიძლება დაეღგეთ რეალობის წინაშე, რომელთა შეცვლა ძნელია, ან საერთოდ შეუძლებელია.

მოლაპარაკების ნებისმიერი მეთოდი უნდა გაძლევდეთ სულ ცოტა ორ შესაძლებლობას:

ა. იგი უნდა გიცავდეთ არახელსაყრელი გარიგების დადებისაგან;

ბ. იგი უნდა გაძლევდეთ მაქსიმალური სარგებლის მიღებისა და თქვენი ინტერესების უზრუნველყოფის საშუალებას.

მოკლედ განვიხილოთ ორივე ასპექტი.

დაიცავი თავი

მოლაპარაკების მონაწილეები ცდილობენ თავი დაიცვან არახელსაყრელი შედეგებისაგან. მათთვის მინიმალურად მისაღები შედეგის დადგენით. **თუ თქვენ ყიდით, ქვედა ზღვარი იქნება ყველაზე დაბალი ფასი, თუ ყიდულობთ — ყველაზე მაღალი ფასი.**

სწორად განსაზღვრული მინიმალური ზღვარი დაგეხმარებათ ადვილად დააღწიოთ თავი ზეწოლას უთანაბრო მოლაპარაკების პირობებში.

ამავე დროს, ქვედა ზღვრის დაწესება, ყოველთვის არ არის საუკეთესო გადაწყვეტილება. ასეთი სტრატეგია გზღუდავთ გამოიყენოთ მოლაპარაკების პროცესში მოპოვებული ინფორმაცია საკუთარი ინტერესებისათვის. ქვედა ზღვარი, ისეთი პოზიციაა, რომლის შეცვლა არ შეიძლება. ასეთი ზღვრის პირობებში, მხარის გადაწყვეტილებაზე გავლენას ვერ მოახდენს მეორე მხარის ვერავითარი სიტყვა და მოქმედება. დაბალი ზღვარი ზღუდავს მხარის მოტივაციას, ახალი გადაწყვეტილების მიღებაში და მხარეების ინტერესების შეთანხმებაში.

როგორც კი სავარაუდო გარიგების მინიმალურ ზღვარს დავადგენთ, ისმება კითხვა: **რა უნდა ვიღონოთ, თუ მინიმალური ზღვრით გარიგებას ვერ მოვაღწევთ?**

როდესაც მოლაპარაკებას ვიწყებთ, ვცდილობთ მივაღწიოთ უკეთეს შედეგებს, ვიდრე, ამას მივაღწევდით მოლაპარაკების გარეშე. როგორი უნდა იყოს ასეთი შედეგი? როგორია მოლაპარაკების შედეგის საუკეთესო ალტერნატივა? სწორედ ასეთი ალტერნატივა უნდა გახდეს მოლაპარაკების შედეგის შეფასების ობიექტური კრიტერიუმი.

საუკეთესო ალტერნატივა, არამარტო გადაწყვეტილების შეფა-

სების საუკეთესო საზომია, იგი იძლევა ეფექტური გადაწყვეტილების მიღების რეალურ საშუალებას. ნაცვლად იმისა, რომ უარი თქვათ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე, რომელიც არ აკმაყოფილებს წინასწარ განსაზღვრულ დაბალ ზღვარს, თქვენ შეგიძლიათ მიღებული წინადადება შეადაროთ საუკეთესო ალტერნატივას და შეაფასოთ, რამდენად პასუხობს იგი თქვენს ინტერესებს.

თუ კარგად არ მოიფიქრებთ, რას მოიმოქმედებთ წარუმატებელი მოლაპარაკებების შემთხვევაში, ჩათვალეთ, რომ თვალახვეული აწარმოებთ მოლაპარაკებას. ამავე დროს, მაშინაც კი, როდესაც ალტერნატივა განსაზღვრული გაქვთ, შეიძლება ზედმეტად ოპტიმალურად იყოს შეფასებული გადაწყვეტილების მიუღებლობის შესაძლო შედეგები.

ყველაზე გავრცელებული შეცდომაა — **ალტერნატივების სიმრავლე, ანუ, შესაძლო ალტერნატივების სიმრავლის აღქმა ერთობლიობაში.** მთელი სიძნელე იმაშია, რომ ალტერნატივების რეალიზაცია არასდროს არ ხდება ერთდროულად. მოლაპარაკებების წარუმატებლობის შემთხვევაში მოგიწევთ რომელიმე ერთზე შეაჩეროთ არჩევანი.

არანაკლებ სახიფათოა, როდესაც მხარე ცდილობს რადაც არ უნდა დაუჯდეს, მიაღწიოს შეთანხმებას. როდესაც არ არის შემუშავებული არავითარი ალტერნატივა მოლაპარაკების საგნის ირგვლივ, მოსალოდნელია სერიოზული იმედგაცრუება და ამასთან დაკავშირებული პესიმიზმი.

ეცადე, სრულად გამოიყენო შესაძლებლობები

თავის დაცვა არახელსაყრელი შეთანხმებისაგან, მხოლოდ პროცესის ერთი მხარეა. თქვენ ყველაფერი უნდა გააკეთოთ, რათა მაქსიმალური შედეგები მიიღოთ თქვენს ხელთ არსებული შესაძლებლობებისაგან.

მიიჩნევა, რომ პერსპექტივას მოლაპარაკებებში განსაზღვრავს სიმდიდრე და კავშირები მაღალ სახელისუფლებო ეშელონებში. სინამდვილეში, მხარეების სიძლიერე მოლაპარაკების პროცესში მთლიანადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მისაღები და მიმზიდველია მხარეებისათვის შეთანხმების მიღწევის შეუძლებლობა.

იმ ქმედებათა დეტალური გეგმის შემუშავება, რომლის განხორციელებასაც აპირებთ, მოლაპარაკებების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად აძლიერებს თქვენს პოზიციას. როგორც წესი, მომზადებული ალტერნატივა ყოველთვის ნათელი არ არის. ხშირად აუცილებელი ხდება მისი განვითარება და დაზუსტება. წარუმატებელი მოლაპარაკებების შემთხვევაში, წარმატებული ალტერნატიული სტრატეგიის შემუშავებისათვის აუცილებელია:

- **იმ ქმედებათა ჩამონათვლის შედგენა, რომლის განხორციელებასაც აპირებთ, მოლაპარაკების წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში;**
- **პერსპექტიული იდეების დეტალური დამუშავება და მათი პრაქტიკულ ალტერნატივად ქცევა;**
- **საუკეთესო ალტერნატივის შერჩევა.**

მოლაპარაკების შედეგი, მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მოწინააღმდეგის ალტერნატივაზე. შეისწავლეთ კონტრაგენტის ალტერნატივები. არ არის გამორიცხული, რომ მოწინააღმდეგე ზედმეტ ოპტიმიზმს იჩენს საკუთარი შესაძლებლობების მიმართ, წარუმატებელი მოლაპარაკებების შემთხვევაში, შესაძლოა მას მრავალი ალტერნატივა აქვს და განიცდის მათ გაელენას. გახსოვდეთ, რაც მეტი იცით მოწინააღმდეგის ალტერნატივების შესახებ, მით მეტი შანსი გაქვთ წარმატებით დაასრულოთ მოლაპარაკებები.

არ არის გამორიცხული, რომ მოწინააღმდეგე მხარისათვის, საუკეთესო ალტერნატივა უფრო მისაღები აღმოჩნდეს, ვიდრე, თქვენს მიერ შეთავაზებული ნებისმიერი გადაწყვეტილება.

თუ ორივე მხარეს აქვს საკმაოდ მიმზიდველი ალტერნატივა, მოლაპარაკების საუკეთესო შედეგი იქნება — შეთანხმებისგან თავის შეკავება. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, უარის თქმა შეთანხმებაზე და მშვიდობიანი დაშორება.

როდესაც მოწინააღმდეგე თამაშის სხვა წესს ირჩევს

საუბრები ინტერესების, ვარიანტების, სტანდარტების შესახებ, მცდელობა გადაწყვეტილების მიღებისათვის, მანამდეა მიზანშეწონილი, სანამ არ აღმოჩნდება, რომ მოწინააღმდეგეს თამაშის სხვა წესები აქვს არჩეული. ასეთი მდგომარეობის ნიშნები სახეზეა, რო-

დესაც კონტრაგენტი დაბეჯითებით მოითხოვს მისი წინადადებების მიღებას, იფარგლება თავისი პოზიციით, ფიქრობს მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე და გამორიცხავს ნებისმიერ კომპრომისს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღწევისათვის. ასეთ შემთხვევაში, შეიძლებოდა შეგეწყვიტა მოლაპარაკება და თავაზიანად დამშვიდობებოდით გაჯიუტებულ კონტრაგენტს. თუმცა, აჩქარებას არ გირჩევდით.

იმისათვის, რომ მოწინააღმდეგე მხარის ყურადღება გადაიტანოთ პრობლემის არსებით, მატერიალურ მხარეებზე, შეიძლება რამდენიმე საშუალების გამოყენება. მათ შორის:

• მოახდინეთ კონცენტრირება პრობლემაზე და არა მოლაპარაკების მონაწილეთა პოზიციაზე;

• თუ ამ მიდგომამ არ გაჭრა და მოწინააღმდეგე მხარე არ ფიქრობს პოზიციის შეცვლას, ეცადეთ, გავლენა მოახდინოთ მისი აზროვნების წესზე ისე, რომ პირდაპირ ნუ გადააქცევთ მის პოზიციას კრიტიკის ობიექტად;

• თუ არც ეს მიდგომა მოიტანს შედეგს, იფიქრეთ შუამავლის მოწვევაზე.

თუ მოწინააღმდეგე მხარე ფეხს არ იცვლის თავისი ზედმიწევნით ხისტი პოზიციიდან, თქვენ გიჩნდებათ ასეთი პოზიციის გაკრიტიკების სურვილი. როდესაც აკრიტიკებენ თქვენს პოზიციას, თქვენ გიჩნდებათ მისი დაცვის კანონიერი სურვილი. როდესაც მოწინააღმდეგე მხარე გიტევთ, თქვენ დაიცავთ თავს და გადახვალთ შეტევაზე. მოლაპარაკება გადადის დაძაბული პირადი ურთიერთობების ჭრილში.. როგორც წესი, ურთიერთობების ასეთი განვითარება აუცილებლად შეიყვანს ჩიხში, ნულამდე დაიყვანს, რამდენიმე მისაღები შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას.

ისმება კითხვა: როგორ დავაღწიოთ თავი ასეთ სიტუაციას? პირველ რიგში, ნუ ეცდებით სიტუაციის დრამატიზებას, ნუ მოჰყვებით თქვენი უპირატესობების დეკლარირებას. მოსმენისთანავე ნუ უარყოფთ მოწინააღმდეგის პოზიციას, რამდენადაც მიუღებლადაც არ მოგეჩვენოთ იგი. როდესაც იგი დაიწყებს თქვენი პოზიციის შტურმს, ნუ დაიწყებთ მის აქტიურ დაცვას. ეცადეთ, მისი რისხვა მიმართოთ გადასაჭრელი პრობლემის წინააღმდეგ. გამოიყენეთ მოწინააღმდეგის ძალა საერთო ამოცანის მისაღწევად.

ბუნებრივია კითხვები, როგორ შეიძლება ყოველივე ამის გაკე-

თება მოლაპარაკების პროცესში? შეიძლება კი, მოწინააღმდეგის შეტევაზე მიერთება და მისი წარმართვა პრობლემის მოსაგვარებლად?

როგორც წესი, მოწინააღმდეგე მხარის შეტევა მოიცავს სამ ძირითად ელემენტს:

1. **საკუთარი პოზიციის ენერგიული დაცვა;**
2. **თავდასხმა თქვენს იდეებზე და წინადადებებზე;**
3. **თავდასხმა პირადად თქვენზე.**

ენახოთ, როგორ შეიძლება მოლაპარაკების მონაწილემ თავი გაართვას ასეთ სიტუაციებს.

ნუ შეუტევთ მოწინააღმდეგის პოზიციას, ეცადეთ გაარკვიოთ რა დგას მის უკან. როდესაც კონტრაგენტი აყალიბებს თავის პოზიციას, თქვენ ნურც მიიღებთ და ნურც უარყოფთ მას, განიხილეთ იგი, მხოლოდ როგორც ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი, ეძიეთ მის უკან მდგარი ინტერესები,შეაფასეთ პრინციპები,რომლებსაც იგი ეფუძნება, იფიქრეთ იმაზე, როგორ შეიძლება მისი გაუმჯობესება და თქვენი ინტერესების სფეროში მოქცევა.

ნუ ეცდებით თქვენი იდეებისა და წინადადებების აქტიურ (მითუმეტეს, გააფთრებულ) დაცვას, გულდასმით მოისმინეთ კრიტიკა და რჩევები. მოლაპარაკების პროცესში ბევრი დრო მიაქვს კრიტიკას. ნაცვლად იმისა, რომ ყველა საშუალებებით წინ აღუდგეთ კრიტიკას, ეცადეთ მის სტიმულირებას. ჰკითხეთ მოწინააღმდეგეს, რა არ მოსწონს თქვენს წინადადებაში. გადაამუშავეთ თქვენი წინადადებები, ოპონენტისაგან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით. ასეთი მიდგომა საშუალებას მოგცემთ კრიტიკა, დაპირისპირების საშუალებიდან გადააქციოთ, გადაწყვეტილების მიღების პროცესის განუყოფელ და ძალზე ეფექტურ ელემენტად.

არსებობს კრიტიკის ეფექტურ ელემენტად ქცევის კიდევ ერთი საშუალება. თხოვეთ რჩევა მოწინააღმდეგეს, რაც უდავოდ შეცვლის მოლაპარაკების ატმოსფეროს, შეამცირებს დაპირისპირების მუხტს.

თქვენს პიროვნებაზე თავდასხმა განიხილეთ, როგორც შეტევა საერთო პრობლემის გადაწყვეტისათვის. როდესაც ოპონენტი პირადად თქვენზე ცდილობს თავდასხმას, ნუ აყვებით თავდაცვის, ან კონტრშეტევის ცდუნებას. მოუსმინეთ ოპონენტს, ეცადეთ გააანა-

ლიზით მოტივები. დაფიქრდით. ხომ არ არის თავდასხმა თქვენს მიერ პროვოცირებული. ეცადეთ გამოთქმული შენიშვნები წარმართოთ საერთო პრობლემის გადასაწყვეტად.

დაუსვით კითხვები და ისწავლეთ დუმილი. გართულებული მოლაპარაკების პროცესში, შესაძლოა წარმატებული გამოდგეს ისეთი ხერხები, როგორიცაა:

*** თქვენი მტკიცებულებები შეცვალეთ შეკითხვებით.** როგორც წესი, მტკიცებულებები იწვევენ წინააღმდეგობებს, კითხვები კი პასუხებს. დასმულ კითხვაზე პასუხი, მხარეს საშუალებას აძლევს სრულად და თქვენთვის გასაგებად ჩამოაყალიბოს თავისი შეხედულებები და მოსაზრებები. კითხვები აფართოებენ მხარეთა ურთიერთობის სფეროს და ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

*** დუმილი თქვენი საუკეთესო იარაღია.** ისწავლეთ დუმილი და გამოიყენეთ იგი. როდესაც მეორე მხარე გთავაზობთ მიუღებელ წინადადებას, ან გაუმართლებლად გესხმით თავს, უკეთესია მიიღოთ სახე, თითქოს ისინი არ გაგიგონიათ.

*** დუმილი ხშირად ქმნის ჩიხური სიტუაციის შთაბეჭდილებას და მეორე მხარე ცდილობს ასეთი სიტუაციიდან გამოსვლის მოძებნას** — ახალი წინადადებების შემოთავაზებით, ან თქვენს კითხვებზე პასუხის გაცემით. ყოველი კითხვის შემდეგ დაიცავით პაუზა, მიეცით ახალი კითხვები, დააზუსტეთ ადრე მიცემული კითხვები. მოლაპარაკების წარმოების უკეთესი ტაქტიკაა დუმილი, ვიდრე გაუთავებელი ლაპარაკი, რომელსაც მხარეები ერთმანეთს არ აცლიან.

გამოიყენეთ შუამავლის დახმარება. როგორც წესი, შუამავლის მომსახურების აუცილებლობა ჩნდება მაშინ, როდესაც უშედეგოდ მთავრდება მხარეთა პოზიციების დაახლოების ყველა მცდელობა.

ვინ შეიძლება იყოს შუამავალი მოლაპარაკებებში. ამ მიზნით შეიძლება მოიწვიოთ მესამე მხარე. მრავალმხრივ მოლაპარაკებებში, შუამავლის როლი შეიძლება დაეკისროს მხარეს, რომელიც ყველაზე უფროა დაინტერესებული შეთანხმების მიღწევით და მასში რომელიმე განსაკუთრებული პირობის შეტანით.

როდესაც მოწინააღმდეგე აშკარად არღვევს თამაშის წესებს

პრინციპული მოლაპარაკებები — შეთანხმების მიღწევის ძალზე ეფექტური გზაა. მაგრამ, როგორ მოიქცეთ, როდესაც თქვენი კონტრაგენტი ცდილობს თქვენს მოტყუებას, ან წონასწორობიდან გამოყვანას? რა ვილონოთ, როდესაც ყველა ძირითადი საკითხის შეთანხმების შემდეგ მხარე ზრდის თავის მოთხოვნებს?

არსებობს კიდევ მრავალი არაკეთილსინდისიერი ხერხი, რომლითაც მოწინააღმდეგე მხარე ცდილობს უპირატესობების მიღწევას მოლაპარაკების პროცესში. ასეთ ხერხებს მიეკუთვნება ტყუილი, ფსიქოლოგიური ზეწოლა და სხვა მსგავსი მეთოდები, რომლებსაც პატიოსან ბიზნესთან და სამეწარმეო ურთიერთობების ეთიკასთან არაფერი აქვთ საერთო. ასეთი მეთოდები, როგორც წესი, შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგო, არაეთიკური, ან უბრალოდ არასასიამოვნო. ასეთი ხერხების ძირითადი მიზანია მოწინააღმდეგეზე გარკვეული უპირატესობისა და სარგებლის მიღება, საკუთარი ღირსებისა და თავმოყვარეობის ჩრდილის მიყენების ფასად. ასეთი ტაქტიკა მოლაპარაკებების პრაქტიკაში ცნობილია **ბინძური ხერხების** სახელით.

როდესაც ადამიანები ხვდებიან, რომ მას ატყუებენ, მის წინააღმდეგ ბინძურ ხერხებს იყენებენ, ისინი რეაგირებენ განსხვავებულად. ერთნი წყვეტენ მოლაპარაკებებს და სიტყვას აძლევენ საკუთარ თავს, რომ არასოდეს დაიჭერენ საქმეს მატყუარა, თუ თაღლით კონტრაგენტთან. მეორენი ურიგდებიან სიტუაციას იმის იმედით, რომ მხარე დაკმაყოფილდება ბინძური გზით მიღწეულით და მეტს აღარ მოითხოვს. შესაძლოა ასეთმა ტაქტიკამ გაამართლოს, თუმცა, მეტ წილ შემთხვევებში სახეზეა არასასურველი შედეგები.

როდესაც მხარე თქვენზე ახორციელებს ზეწოლას, იგივეს იზამთ თქვენც; თუ იგი იწყებს მუქარას, დაემუქრებით თქვენც; თუ იგი ჯიუტად იცავს თავის პოზიციას, თქვენც ირჩევთ ხისტი პოზიციის გზას. ბოლოს და ბოლოს, შესაძლოა ერთმა მხარემ დათმოს, მეტწილ შემთხვევებში კი მოლაპარაკება განწირულია ჩაშლისათვის.

ასეთი ხერხები, როგორც წესი, მართლსაწინააღმდეგოა, რადგან ითვალისწინებს მხოლოდ ერთი მხარის ინტერესებს, მეორე მხარის საზიანოდ. მეორე მხარემ არ იცის ასეთი ხერხის შესახებ, ან იძულებულია ითმინოს იგი.

მოლაპარაკების დაწყების წინ მხარე აანალიზებს შემოთავაზებულ წინადადებას, ასეთი ანალიზი მოიცავს წინადადებისა და იმ პრინციპების კანონიერების შეფასებას, რომელსაც ეს წინადადება ეფუძნება.

როგორ მოვიქცეთ, როდესაც მოწინააღმდეგე მხარე ცდილობს თავს მოგვახვიოს თამაშის ბინძური წესები?

წინასწარ შეთანხმდით თამაშის წესებზე. როგორც კი შეამჩნევთ, რომ მხარე იყენებს თამაშის ბინძურ წესებს, აუცილებლად ეცადეთ მიაღწიოთ შეთანხმებას თამაშის წესებზე, რომელიც საფუძვლად დაედება მოლაპარაკების პროცესს. ასეთი შეთანხმების მიღწევის პროცესში გამოყოფენ სამ ეტაპს: **ბინძური თამაშის ტაქტიკის გამომქღავნება, ასეთი ტაქტიკის კანონიერებისა და ეთიკურობის გულახდილი განხილვა, ასეთი ტაქტიკის დასაშვებობის შეფასება.**

აუცილებელია იცოდეთ, რა ხდება. კონკრეტულად რაში მდგომარეობს ბინძური თამაში. რა დგას მის უკან. რა მიზანს ისახავს იგი, ეცადეთ აითვისოთ ის ნიშნები, რომლებიც აშკარად მიუთითებენ ტყუილზე. განსაკუთრებით საგულისხმოა ამ მხრივ ხმის, სახის ნაკვთების, სხეულის ნაწილების თავისებურებები. მოწინააღმდეგე მხარის მიერ არჩეული ბინძური ტაქტიკის დროული გამოელენის შემთხვევაში, ბევრად მაღალია მისი ეფექტური ნეიტრალიზაციის შესაძლებლობა.

როგორც კი გამოაველენით ბინძურ ტაქტიკას, დაიწყეთ მისი განხილვა მეორე მხარესთან. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს მხარის შანსს, უპირატესობა მოიპოვოს ბინძური ტაქტიკის გამოყენებით.

გამიჯნეთ პიროვნება პრობლემისაგან. ერიდეთ იმ ადამიანებთან კონფლიქტს, რომლებიც, თქვენი აზრით, იყენებენ მართლსაწინააღმდეგო ტაქტიკას. ეცადეთ განხილვის ობიექტად აქციოთ მხარის მიერ არჩეული ტაქტიკა და არა თქვენი მოწინააღმდეგის პირადი თვისებები.

გახსოვდეთ, ბევრად უფრო ადვილია მოლაპარაკების პროცესის კორექტირება, ვიდრე, თქვენი მოწინააღმდეგის პიროვნული თვისებების შეცვლა. ნუ ეცდებით გადაუხვიოთ მოლაპარაკების პროცესიდან იმიტომ, რომ დასამახსოვრებელი გაკვეთილი მისცეთ თქვენს მოწინააღმდეგეს.

ეძიეთ ინტერესების თანხვედრის გზები. წარმატებული მოლაპარაკების აუცილებელი პირობაა მხარეთა ინტერესების თანხვედრა. ასეთის მიღწევა შეიძლება განსხვავებული პოზიციების პირობებშიც. მხარეების პოზიციის მიზანია ინტერესების რეალიზაცია, დასახული მიზნის მიღწევა. როდესაც მიიღწევა ინტერესების თანხვედრა, ადვილდება პოზიციების დაახლოებაც.

ეძიეთ ურთიერთმისაღები ვარიანტები. შესთავაზეთ მხარეს ალტერნატიული ვარიანტები, რომლებიც გამორიცხავენ თამაშის წესების დარღვევას და რეალური გახდიან, თამაშის წესების დარღვევის გარეშე ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების მიღებას.

მოითხოვეთ ობიექტური კრიტერიუმების გამოყენება. პირველ ადგილზე დააყენეთ პრინციპები. ეცადეთ გარკვევით ჩამოაყალიბოთ კონკრეტული ტაქტიკის უკან მდგარი პრინციპები. ნუ მოერიდებით უკიდურესი საშუალების, მოლაპარაკების დატოვებას.

თუ თქვენ დატოვებთ მოლაპარაკებას კანონიერ საფუძველზე (მაგალითად აშკარა მოტყუების გამოვლენის შემთხვევაში), და მეორე მხარე ნამდვილადაა დაინტერესებული მოლაპარაკებების გაგრძელებასა და შეთანხმების მიღწევაში, იგი აუცილებლად გთხოვთ მოლაპარაკების მაგიდასთან დაბრუნებას.

ისეთი უკიდურესი ალტერნატივის გამოყენებისას, როგორიცაა მოლაპარაკების დატოვება, ნუ გადაიტანთ უთანხმოებას პიროვნულ ჭრილში. ეს გაუადვილებს მოწინააღმდეგე მხარეს, გთხოვოთ მოლაპარაკების განახლება, თქვენ კი მოლაპარაკების მაგიდასთან დაბრუნებას.

ზოგიერთი გავრცელებული მოლაპარაკების ბინძური ხერხი

მოლაპარაკების ბინძური ხერხები შეიძლება დავყოთ სამ კატეგორიად: **შეგნებული მოტყუება; ფსიქოლოგიური ომი და პოზიციური ზეწოლა.** თქვენ მზად უნდა იყოთ წინ აღუდგეთ სამივე მათგანს.

შეგნებული მოტყუება. განსაკუთრებით გავრცელებულია შეგნებული, წინასწარგანზრახული მოტყუება – არასწორი განცხადებები მოპირდაპირე მხარის შეცდომაში შეყვანის მიზნით.

გამოაცალკევეთ პიროვნება პრობლემისაგან. სანამ არ გაგიჩნ-

ლებათ ძალზე არსებითი საფუძველი ვისმეს ენდოთ, არ ენდოთ არავის. ეს სულაც არ გულისხმობს იმას, რომ მოწინააღმდეგეს მატყუარა, ან თაღლითი უწოდოთ. ეცადეთ, უბრალოდ, მოლაპარაკება გადაიყვანოთ სხვა ჭრილში, რომელიც არ იქნება დაკავშირებული ნდობის საკითხებთან. ნუ მისცემთ მოწინააღმდეგე მხარეს თქვენი ეჭვები შეაფასოს, როგორც თავდასხმა მის პიროვნებაზე.

არა მგონია, ვინმემ მოგცეთ მანქანა კრედიტით, მხოლოდ თქვენი განცხადების სანაცვლოდ იმის თაობაზე, რომ ბანკში ბევრი ფული გაქვთ. გამყიდველი აუცილებლად შეამოწმებს თქვენს გადახდისუნარიანობას. თქვენ სრული უფლება გაქვთ გააკეთოთ იგივე. მხარეების მიერ გაკეთებული განცხადებების შემოწმება, არსებითად ამცირებს მოტყუების შესაძლებლობას.

ორაზროვანი უფლებამოსილებები. შესაძლოა მოწინააღმდეგე მხარემ განაცხადოს უფლებამოსილებების შესახებ, როდესაც მას ასეთი უფლებამოსილებები მინიჭებული არა აქვს. ასეთი უფლებამოსილებების დაჯერების შედეგი შესაძლოა, საეჭვალო აღმოჩნდეს გულუბრყვილო მხარისათვის, როდესაც ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ გგონიათ, რომ ბოლოს და ბოლოს შეთანხმება მიღწეულია. ასეთი „უფლებამოსილი“ მხარე განგიცხადებთ, რომ მან მიღებული გადაწყვეტილება უნდა შეათანხმოს პირთან, რომლის არსებობის შესახებ კი არაფერია ცნობილი.

ნუ იფიქრებთ, რომ თქვენი მოწინააღმდეგე მხარე აღჭურვილია სრული უფლებამოსილებებით, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი იწყებს თქვენთან მოლაპარაკებას. სულ ცოტა ხანში შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ მიღწეული გადაწყვეტილება, რომელიც თქვენ საბოლოოდ მიგაჩნიათ, მეორე მხარე მას განიხილავს როგორც მხოლოდ საწყის პირობას შემდგომი მოლაპარაკებებისათვის. სანამ შეუდგებოდეთ მოლაპარაკებას, დარწმუნდით მხარის უფლებამოსილებებში. ასეთი მოთხოვნა საკსებით კანონიერი და სამართლიანია და ოდნავაც არ სცილდება ბიზნესის ეთიკის აღიარებულ ნორმებს. თუ თქვენ გაგიჩნდებათ დასაბუთებული ეჭვი კონტრაგენტის უფლებამოსილებების სისრულესა და კანონიერებაში, თქვენ უფლება გაქვთ ესაუბროთ პირს რეალური უფლებამოსილებებით, ან თქვენს მოწინააღმდეგე მხარეს არაორაზროვნად განუმარტოთ, რომ ინარჩუნებთ უფლებას, გადასინჯოთ მიღწეული გადაწყვეტილებების ნებისმიერი პუნქტი.

საეჭვო განზრახულობები. თუ თქვენ გაგიჩნდებათ ეჭვი იმის თაობაზე, რომ შესაძლოა მოპირდაპირე მხარემ არასწორად განმარტოს მიღწეული შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, თქვენ უფლება გაქვთ უშუალოდ შეთანხმებებში გაითვალისწინოთ პირობები, რომლებიც გამორიცხავენ შეთანხმების კონკრეტული პირობის ორაზროვან განმარტებას.

მხარის არასრული გულწრფელობა, არ უნდა შეფასდეს როგორც მოტყუება. ფაქტებთან და განზრახულობებთან დაკავშირებული წინასწარგანზრახული მოტყუება, სერიოზულად განსხვავდება მოლაპარაკების მონაწილე მხარის არასრული გულწრფელობისა თუ გულახდილობისაგან. მოლაპარაკებები იშვიათად მოითხოვენ მხარეებისაგან აბსოლუტურ გულახდილობას. არ უნდა გქონდეთ იმის ილუზია, რომ მოწინააღმდეგე მხარე გულუბრყვილოდ გულწრფელი იქნება მოლაპარაკებებში, უპირველესად, გაგიმხელთ თავის განზრახვებს, მიზნებსა და კონფიდენციალურ კომერციულ ინფორმაციას.

ფსიქოლოგიური ომი. ასეთი ტაქტიკის მიზანია, მოლაპარაკების პროცესში თქვენთვის დისკომფორტის შექმნა და მოლაპარაკების სწრაფად დასრულების შინაგანი სურვილის გაღვივება.

სტრესული სიტუაცია. განსაკუთრებით ყურადღებით მოეპყარით მოლაპარაკებების ადგილის შერჩევას. შესაძლოა პარადოქსალურად მოგეჩვენოთ, მაგრამ, ზოგჯერ შესაძლოა სჯობდეს მოლაპარაკების წარმართვა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. ასეთ პირობებში იგი უფრო ნაკლებად კონცენტრირებულია, უფრო ღია იქნება თქვენი წინადადებებისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში თქვენთვის ადვილი იქნება მოლაპარაკებების მიტოვება. ნებისმიერ შემთხვევაში, ძალზე ყურადღებით შეაფასეთ ამ ფაქტორის შესაძლო გავლენა მოლაპარაკებების შედეგებზე.

მოლაპარაკებების ყოველი მორიგი ეტაპის წინ ყურადღებით გაანალიზეთ, ხომ არ არის ოთახში ზედმეტი ხმაური, ხომ არ ცხელა, არის თუ არა პირობები კონფიდენციალური მოლაპარაკებებისათვის კოლეგებთან. ასეთი ფაქტორების გამოვლენის შემთხვევაში დარწმუნდით, ხომ არ არის ისინი შექმნილი საგანგებოდ, თქვენზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით.

თუ მოლაპარაკებების ფიზიკური გარემო გავლენას ახდენს თქვენზე, ნუ მოგერიდებათ ამის თაობაზე განცხადების გაკეთება

და მოითხოვენ, მოლაპარაკებებისათვის ნორმალური პირობების შექმნის შესახებ.

პიროვნული თავდასხმები. ფიზიკური პირობების გავლენასთან ერთად უნდა გაითვალისწინოთ რიგი ვერბალური და არავერბალური ფაქტორები. მათ შორის: შენიშვნები თქვენი გარეგნობის, ჩაცმულობის, სტატუსის, უფლებამოსილებების შესახებ.

შესაძლებელია, მოწინააღმდეგემ გაცდევინოთ, ისე დაიჭიროს თავი, თითქოს არ გისმენთ, მოითხოვოს თქვენი ნათქვამის გამეორება, გარიდებით თვალს და სხვა. ასეთი ფაქტორების გამოვლენა, ნებისმიერ შემთხვევაში, შეამცირებს მათ გავლენას და გაგიადვილებთ დასახული მიზნის მიღწევას.

სამიში თამაში – „კარგი ბიჭი – ცუდი ბიჭი“: ეს, მოწინააღმდეგე მხარეზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ძალზე სამიში ფორმაა, რომელიც მთლიანად მოტყუებაზეა დაფუძნებული. ფსიქოლოგიური ზემოქმედების ამ ფორმის სქემა კარგად არის ცნობილი ძველი პოლიტიკური ფილმებიდან. მოლაპარაკებებზე შეიძლება ჩამოყალიბდეს ანალოგიური სიტუაცია. ერთი მხარის ორი წარმომადგენელი იწყებს გაცხარებულ კამათს, თქვენთვის მოულოდნელად ერთი მათგანი გაცხარებით იწყებს თქვენი ინტერესების დაცვას. თუ ასეთ სიტუაციას დროულად შეამჩნევთ, მოტყუებული არ დარჩებით.

მუქარა – ყველაზე არასასიამოვნო ტაქტიკაა მოლაპარაკებების პრაქტიკაში. მუქარა, ერთი შეხედვით, ძალზე ადვილია. საკმარისია მხოლოდ რამდენიმე სიტყვა. თუ ამ ტაქტიკამ გაჭრა, მეტი ბრძოლა აღარ დაგჭირდებათ. მაგრამ, როგორც წესი, მუქარას აუცილებლად მოყვება მუქარა, დაძაბულობის ზრდა, დარღვეული მოლაპარაკებები და გაუარესებული ურთიერთობები მხარეთა შორის.

მუქარა მოლაპარაკების პროცესში ფსიქოლოგიური ზემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე უარესი და უხეში ფორმაა, რომელიც ჩვეულებრივად იწვევს საწინააღმდეგო შედეგს: შეთანხმების მიღწევა ვერ ხერხდება, დაძაბულობა იზრდება. ნაცვლად იმისა, რომ ოპონენტს გაუადვილდეს გადაწყვეტილების მიღება, მუქარა ქმნის დამატებით, ხშირად დაუძლეველ სიძნელეებს.

გამოცდილი მოლაპარაკებების მონაწილეები იშვიათად მიმართავენ მუქარას, იგი მათ არ სჭირდებათ. ყოველთვის შეიძლება მოიძებნოს უფრო მისაღები, კანონიერი და ეფექტური გზა, მოწინა-

აღმდეგე მხარისათვის აუცილებელი ინფორმაციის გადასაცემად. მაგალითად, გაფრთხილება, რომელიც ბევრად უფრო ეფექტურად მოქმედებს, ვიდრე მუქარა. რაც ძალზე მნიშვნელოვანია, იგი არ იწვევს საპასუხო მუქარას, ყველა არასასურველი შედეგით.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, მუქარა დღემდე რჩება მოლაპარაკების პრაქტიკის ერთ-ერთი ტაქტიკურ ინსტრუმენტად.

ამდენად, სასურველია მზად იყოთ მისი გამოყენებისთვისაც და შესახვედრადაც. იმისათვის, რომ მუქარა ეფექტური გახდეს, იგი გარკვევით უნდა იყოს ფორმულირებული და დასაბუთებული, რაზეც სრულადაა დამოკიდებული მუქარის ადრესატი მხარის რეაქცია. შეიძლება მუქარის იგნორირება, მისი მიჩნევა გაცხარებულ გულზე წამოსროლილ სიტყვებად, საკმაო უფლებამოსილებების გარეშე, ან საერთოდ, შემთხვევით. შეიძლება გარკვეული რისკის ფასად მუქარის მიღებაც. ზოგჯერ მუქარაც შეიძლება საკუთარი მიზნებისათვისაც გამოიყენოთ.

სახელშეკრულებო ურთიერთობებისა და მოლაპარაკების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მუქარაზე საუკეთესო რეაქცია — მშვიდი პრინციპიალობაა. ასეთი რეაქციის მაგალითებია,მშვიდი და დამაჯერებელი ტონით წარმოთქმული პასუხები მუქარაზე: **„ჩვენ მომზადებული გვაქვს რამდენიმე საპასუხო ნაბიჯი, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ წინ აღვუდგეთ თქვენს მუქარას, თუმცა დროებით გადავდეთ საპასუხო ქმედებები, რადგან იმედი გვქონდა კონსტრუქციული მიდგომისა და ურთიერთგაგებისა თქვენი მხრიდან“.**

„მე ვაწარმოებ მოლაპარაკებას კონკრეტულ საკითხზე. ჩემი რეპუტაცია უფლებას არ მაძლევს ვუპასუხო მუქარას“.

პოზიციური ზეწოლა. ზემოქმედების ეს ფორმა გამიზნულია ისეთი სიტუაციის ფორმირებისათვის, რომელშიც დათმობაზე მხოლოდ ერთი მხარე მოდის.

უარის თქმა მოლაპარაკებაზე. როგორ უნდა მოიქცეთ, როდესაც მეორე მხარე უარს ამბობს მოლაპარაკების გაგრძელებაზე?

პირველ რიგში, ასეთი ტაქტიკა განიხილეთ, როგორც შესაძლო ხერხი, მოლაპარაკებებში უპირატესობის მოსაპოვებლად. ყურადღებით გაანალიზეთ მხარის უარი მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე. ეცადეთ მიიღოთ განმარტებები უშუალოდ მხარის წარმომადგენლისგან, ან შუამავლის მეშვეობით. ნუ დაესხმებით თავს მოწი-

ნააღმდეგეს. ეცადეთ გაერკვეთ, რა მიზნითა და მოტივით ამბობს მხარე უარს მოლაპარაკებაზე.

განიხილეთ სიტუაციიდან გამოსვლის რამდენიმე ვარიანტი – მოლაპარაკების გაგრძელება მესამე მხარის მეშვეობით; წერილების გაცვლა; დაბეჯითებით მოითხოვეთ, რომ მხარემ ობიექტური პრინციპებით იხელმძღვანელოს.

გადაჭარბებული მოთხოვნები. ასეთი ტაქტიკა ძალზე გავრცელებული, თუმცა, ნაკლებად ეფექტურია. მოწინააღმდეგე მხარე ადვილად ხვდება ბლეფს, რის შემდეგაც იგი აუცილებლად მოითხოვს დათმობებზე წასვლას. თავისი არსით, ასეთი ტაქტიკა ახლოსაა მუქარასთან, შედეგიც ხშირად ადეკვატურია.

მხარის მიერ გადაჭარბებული, არარეალური მოთხოვნების წამოყენების შემთხვევაში, თქვენ მზად უნდა იყოთ მოლაპარაკების შესაწყვეტად. ასეთი ნაბიჯი შეასუსტებს მოწინააღმდეგე მხარის პოზიციას. თუ მის მიერ წამოყენებული მოთხოვნა მართლაც გადაჭარბებულია, იგი აუცილებლად შეცვლის მოთხოვნას და გადადგამს ნაბიჯებს მოლაპარაკების გასანახლებლად.

ხისტი პარტნიორი. გავრცელებული ტაქტიკაა, რომელიც გამოიყენება მოლაპარაკების პროცესში მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნის იგნორირებისათვის. ტაქტიკის სქემა ასეთია, მხარე აცხადებს, რომ მას არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ არა მისი ხისტი პარტნიორი, რომელიც არ აძლევს მას დათმობაზე წასვლის უფლებას.

ასეთი ტაქტიკის გამოცნობა არ არის რთული. იმის ნაცვლად, შეუდგეთ საკითხის განხილვას ასეთ მონაწილესთან, ეცადეთ მიიღოთ თანხმობა მისგან, სასურველია წერილობით, შემდეგ კი მოითხოვეთ შეხვედრა „ხისტ პარტნიორთან“.

შეგნებული გაჭიანურება. ხშირად ერთი მხარე შეგნებულად აჭიანურებს გადაწყვეტილების მიღებას, მისთვის ხელსაყრელი მომენტის დადგომამდე. დაუყოვნებლივ უნდა გააანალიზოთ ყოველგვარი დაუსაბუთებელი გაჭიანურების მიზეზები. ეცადეთ მიიღოთ ახსნა-განმარტება შეგნებული გაჭიანურების შესახებ მეორე მხარისაგან. ასეთი ტაქტიკის ეფექტურ კონტრაქტად მიიჩნევა, მოლაპარაკების დაწყება მესამე პირთან. ასეთი ნაბიჯი უბიძგებს მხარეს, რომელიც შეგნებულად აჭიანურებს მოლაპარაკებისა და გადაწყვეტილების მიღებას, უარი თქვას ასეთ ტაქტიკაზე და უფრო აქტიურად წარმართოს მოლაპარაკებები.

თუ თქვენ გადაწყვეტთ ასეთი ტაქტიკის გამოყენებას გახსოვდეთ, იგი საკმაოდ ძვირადღირებული და სარისკო თამაშია.

დათანხმდი, ან, წადი. კონფრონტაცია მხარეებს შორის არ არის გამორიცხული, ამაში არაფერია არც დასაძრახი და არც აბსოლუტურად მიუღებელი. პრაქტიკულად ასე სრულდება მოლაპარაკებების უდიდესი ნაწილი. შესაძლოა, ეს წესი მისაღები იყოს ბიზნესის, კერძოდ, სავაჭრო ურთიერთობებისათვის, მაგრამ, ძალზე არაეფექტურია მოლაპარაკებისათვის. ხანგრძლივი გაჭიანურებული და უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ, მხარეს არაფერი რჩება, გარდა იმისა, რომ მეორე მხარეს გაუცხადოს **„ან დათანხმდი ან წადი"**-ო, რაც უნდა გაკეთდეს თავაზიანი ფორმით. ამავე დროს ასეთი ტაქტიკა, ხშირად გამოიყენება მოწინააღმდეგეზე ფსიქოლოგიური ზეწოლისათვის.

ასეთი ტაქტიკის გამოცნობისა და ნეიტრალიზაციისათვის, რეკომენდებულია პირველ ეტაპზე მისი იგნორირება. გააგრძელეთ მოლაპარაკებები ისე, თითქოს არაფერი მოგისმენიათ, შეცვალეთ თემა და შესთავაზეთ მეორე მხარეს სხვა გადაწყვეტილება.

თუ ამ ტაქტიკის გამოყენებას თქვენ გადაწყვეტთ, ეცადეთ აგრძნობინოთ მხარეს, თუ რას დაკარგავს იგი, თუ არ იქნება მიღწეული შეთანხმება, რის შემდეგაც ისე შეცვალეთ სიტუაცია, რომ მოწინააღმდეგეს მიეცეს საშუალება გააგრძელოს მოლაპარაკება.

ნუ იქნები მსხვერპლი. ყოველთვის როდია ადვილი მოლაპარაკების ტაქტიკის განსაზღვრა. ადამიანები სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ ტაქტიკას. მოლაპარაკების ტაქტიკის არჩევისას, ეცადეთ პასუხი გასცეთ კითხვებს:

- **როგორ წარმართავდით მოლაპარაკებას, თქვენი მოწინააღმდეგე თქვენი ძმა ან ახლო მეგობარი რომ ყოფილიყო?**
- **ხომ არ განიცდიდით უხერხულობას, თქვენს მიერ წარმოებული მოლაპარაკების სტენოგრამა გაზეთში რომ გამოექვეყნებინათ?**
- **რომელი ლიტერატურული პერსონაჟის ქმედებას უფრო უახლოვდება მოლაპარაკების პროცესში თქვენს მიერ არჩეული ტაქტიკა, გმირის თუ წამებულის?**

ეს კითხვები და მათზე თქვენი პასუხები, დაგეხმარებათ უკეთესად შეაფასოთ საკუთარი შინაგანი ფასეულობები. ძნელი გასამართლებელი იქნება ისეთი ტაქტიკის შერჩევა, რომლის გამოყე-

ნებას თქვენს წინააღმდეგ მიიჩნევდით დაუშვებლად და მიუღებლად.

ამავე დროს, რასაც არ უნდა აკეთებდეთ, იყავით მზად ბინძური თამაშისათვის. **ნუ იქნებით მსხვერპლი.**

ამ თავის წაკითხვის შემდეგ, ზოგი თქვენთაგანი იფიქრებს — ეხლა მე ვიცი, რას ვაკეთებ და რატომ არ მომაქვს ზოგჯერ სასურველი შედეგი. ზოგი კი დაასკვნის — მე ვიცი, რომ თქვენ აბსოლუტურად მართალი ხართ რადგან, ყველაფერი ეს უკვე დიდი ხანია ვიცი.

გახსოვდეთ, ვერავინ ვერ გაგხდით უფრო გამოცდილს და ჭკვიანს, გარდა, თქვენი თავისა. ამავე დროს, წიგნის კითხვა ფიზკულტურისა და კარატეს შესახებ, ვერ გაგხდით უფრო ძლიერს. ვერც ჩოგბურთის შესახებ წიგნების კითხვა გაგხდით ჩოგბურთელად. იგივე შეიძლება ითქვას მოლაპარაკების ხელოვნებაზეც.

კითხვები, რომლებსაც გამოცდილი ადამიანები სვამენ მოლაპარაკების დაწყების წინ, გამოუცდელები — ჩაშლილი მოლაპარაკების შემდეგ

კითხვა პირველი. საჭიროა თუ არა ბრძოლა საწყისი პოზიციის შენარჩუნებისათვის?

არჩეული პოზიციის შენარჩუნება ადვილია. სულაც არ არის გასაკვირი, რომ უმეტეს შემთხვევაში ადამიანები სწორედ ამ გზას ირჩევენ. იგი არ მოითხოვს მომზადებას. იგი შეიძლება თითებითაც განისაზღვროს, თუ მხარეები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. ზოგჯერ სწორედ ამას ელიან და მოითხოვენ თქვენგან.

მხარეების ინტერესების ანალიზი, ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების ჩამოყალიბება, ობიექტური კრიტერიუმების ძიება და გამოყენება, ბევრად უფრო ძნელი საქმეა, რომელიც მოითხოვს: **ცოდნას, გამოცდილებას, ემოციონალურ თავშეკავებასა და ფსიქოლოგიურ სიმწიფეს.**

პრინციპული მოლაპარაკებების ტაქტიკას, პრაქტიკულად, ყოველთვის მოაქვს დადებითი შედეგი ორივე მხარისათვის, თუ მხარეებს ასეთი შედეგის მიღწევა სურთ. პრობლემა მხოლოდ იმაშია, რომ ღირს თუ არა ასეთი შედეგის მისაღწევად დამატებითი ძალისხმევა. ამ კითხვაზე სრული პასუხის გასაცემად, უნდა გავითვალისწინოთ რიგი გარემოებები და გავერკვეთ:

რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის არასასურველი შედეგისგან თავის დაღწევა;

• რამდენად რთულია მოლაპარაკების თემა და საგანი;

• რამდენად მნიშვნელოვანია კარგი ურთიერთობის შენარჩუნება კონტრაგენტთან;

• როგორია მოწინააღმდეგე მხარის იმედები მოლაპარაკების შესაძლო შედეგების ირგვლივ და რამდენად რთული იქნება მათი შეცვლა;

• როგორია თქვენი ადგილი მოლაპარაკების პროცესში. თუ საკითხებს ოდნავ განვაზოგადებთ, მივიღებთ ძალზე საგულისხმო რჩევას მოლაპარაკების მხარეებისათვის — ბატონებო, ნუ დატოვებთ ოქროს მოლაპარაკების მაგიდაზე.

კითხვა მეორე. როგორ მოვიქცეთ, თუ მეორე მხარეს ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს სამართლიანობაზე?

მოლაპარაკების მაგიდა არ არის ის ადგილი, სადაც ადვილია ერთადერთი სწორი და სამართლიანი პასუხის მიღება დასმულ კითხვაზე. ადამიანებს ძალზე განსხვავებული შეხედულებები აქვთ სამართლიანობაზე. ასეთ პირობებში, აღიარებული სტანდარტების გამოყენება საშუალებას აძლევს მხარეებს, თავისი შეხედულებები სამართლიანობაზე დაუახლოვონ საყოველთაოდ აღიარებულ განზოგადებულ შეხედულებას. სამართლიანობისა და მოლაპარაკებების აღიარებული პრაქტიკის სტანდარტების გამოყენება ამცირებს უკან დახევის, დათმობისა თუ კომპრომისის ფასს — ბევრად უფრო ადვილია დაეთანხმო აღიარებულ პრინციპს,თუ დამოუკიდებელ სტანდარტს, ვიდრე, დაუთმო მხარის პოზიციურ მოთხოვნას. სტანდარტები ყოველთვის უფრო დამაჯერებლად გამოიყურებიან, ვიდრე, მოწინააღმდეგე მხარის დაუსაბუთებელი პოზიცია.

ნუ ეცდებით, რადაც უნდა დაგიჯდეთ, მიაღწიოთ შეთანხმებას საუკეთესო სტანდარტის ირგვლივ სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გავლენით. შესაძლოა მხარეები განსხვავებულად აღიქვამდნენ ცალკეული სტანდარტის დადებით და ნაკლოვან მხარეებს. აუცილებელი რომ ყოფილიყო მხარეების აბსოლუტური ურთიერთგაგება „საუკეთესო სტანდარტის" ირგვლივ, შეუძლებელი იქნებოდა შეთანხმების მიღწევა. სტანდარტი მხოლოდ ინსტრუმენტია უთანხმოებათა დიაპაზონის შესაძლებლად და პოტენციური თანხმობის სფეროს გასაფართოებლად.

კითხვა მესამე. რამდენად აუცილებელია ვიყო სამართლიანი, როდესაც უსამართლოდ მექცევიან?

მოყვანილ რჩევებს არა აქვს იმის პრეტენზია, რომ ისინი ზუსტად განსაზღვრავენ რა არის კარგი და რა ცუდი. თქვენს წინაშეა მხოლოდ რჩევების მოკლე კრებული, რომელიც განაზოგადებს სპეციალისტთა მოსაზრებებსა და ამ სფეროში არსებულ გამოცდილებას. არავის აქვს უფლება მოგაწოდოთ იყოთ „კარგი" მხოლოდ იმისათვის, ასეთად გამოჩნდეთ ვიღაცის თვალში (თუმცა, არც ასეთი ქმედებაა განკიცხვის ღირსი), ან უარი თქვათ საკუთარ ინტერესებზე და დაეთანხმდეთ პირველივე შემოთავაზებას, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი აკმაყოფილებს სამართლიანობის სტანდარტს. არც ის მოგეთხოვებათ, რომ დაკმაყოფილდეთ იმით, რასაც მოსამართლეები, თუ არბიტრები მიიჩნევენ სამართლიანად და არ მოითხოვოთ მეტი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სამართლიანობის აღიარებული სტანდარტები დაგეხმარებათ იმის მიღებაში, რაც თქვენ გეკუთვნით, რასაც იმსახურებთ, დაგიცავთ მოყრუებისაგან და მოწინააღმდეგე მხარესთან კარგი ურთიერთობების საშუალებას მოგცემთ.

ამავე დროს, არის შემთხვევები, როდესაც გიჩნდებათ შანსი, მიიღოთ მეტი, ვიდრე თქვენ იმსახურებთ. უნდა გამოიყენოთ თუ არა იგი? ჩვენის აზრით, ასეთი შესაძლებლობა და მისი რეალიზაციის პერსპექტივა ძალზე ყურადღებით უნდა იქნეს გაანალიზებული და არა მხოლოდ მორალური და ბიზნესის ეთიკის თავისებურებების გათვალისწინებით. იმის გადასაწყვეტად, ღირს თუ არა იმაზე მეტის მიღება, ვიდრე თქვენ იმსახურებთ, ყოველმხრივ უნდა შეფასდეს ასეთი ნაბიჯის შესაძლო ყველა დადებითი და უარყოფითი შედეგი.

ამისთვის ეცადეთ პასუხი გასცეთ კითხვებს:

- **რა დაგიჯდებათ ასეთი მიდგომა;**
- **რამდენად ხანგრძლივი და მყარი აღმოჩნდება ასეთი შეთანხმება;**
- **რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ახალმა შეთანხმებამ თქვენს ურთიერთობებს მოწინააღმდეგე მხარესთან და საქმიან წრეებში მთლიანად;**
- **ხომ არ შეგაწუხებთ სინდისის ქენჯნა.**

კითხვა მეოთხე. როგორ მოვიქცეთ, როდესაც ძირითადი პრობლემა უშუალოდ ადამიანებშია?

როდესაც ვსაუბრობთ პრობლემის ადამიანებისგან გამიჯვნაზე, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანები მთლიანად უნდა დავივიწყოთ და მთელი ძალისხმევა პრობლემისკენ უნდა მივმართოთ. როგორც წესი, ადამიანური ფაქტორი ბევრად უფრო მეტ დროსა და ენერგიას მოითხოვს, ვიდრე პრობლემის მატერიალური მხარე – ამ პრობლემას ხომ ადამიანები წყვეტენ.

ჩვენი რჩევა პრობლემის ადამიანებისგან გამიჯვნის შესახებ ძალაში რჩება მაშინაც, როდესაც ძირითადი პრობლემა სწორედ ადამიანებშია. კერძოდ:

- **მოწინააღმდეგე მხარესთან ურთიერთობა წარმართეთ იმისდა მიუხედავად, თუ როგორი იქნება მოლაპარაკების შედეგები;**
- **მხარეებს შორის ურთიერთობა გახადეთ განხილვის საგანი მოლაპარაკების პირველივე ეტაპზე;**
- **მხარის მიმართ ურთიერთობას საფუძვლად დაუდეთ მისი დამოკიდებულება თქვენს მიმართ;**
- **რაციონალური რეაგირება მოახდინეთ მხარის მიერ ირაციონალობის ნებისმიერ გამოვლინებაზე.**

კითხვა მეხუთე. უნდა ვაწარმოო თუ არა მოლაპარაკება ნებისმიერთან, ანუ როდის არ შეიძლება მოლაპარაკება?

როდესაც არა გაქვთ მეტნაკლებად მიმზიდველი ალტერნატივა, რამდენადაც საეჭვოდ და არაპერსპექტიულადაც არ უნდა გამოიყურებოდეს თქვენი პოტენციალური კონტრაგენტი, საკითხის ასეთი დაყენება არ იქნება გამართლებული.

ასეთი მიდგომის სამართლიანობის ნათელი მაგალითებია მოლაპარაკებები ტერორისტებთან, განსხვავებული სარწმუნოების წარმომადგენლებთან. გახსოვდეთ, მოლაპარაკება სულაც არ ნიშნავს დათმობასა თუ დათმობისათვის მზადყოფნას.

- **როდის შეიძლება უარის თქმა მოლაპარაკებაზე?**

ამ კითხვაზე პასუხი მთლიანად არის დამოკიდებული თქვენს ხელთ არსებული ალტერნატივების მიმზიდველობაზე და იმის ალბათობის შეფასებაზე, რომ წარმატებული მოლაპარაკება მოგვიტანს უფრო ხელსაყრელ შედეგებს. ასეთი ანალიზისთვის გარკვევით უნდა გქონდეთ წარმოდგენილი თქვენი და თქვენი მოწინააღმდეგის საუკეთესო ალტერნატივები. ეცადეთ, არ დაუშვათ შეცდო-

მა. ნუ იფიქრებთ, რომ თქვენი საკუთარი ალტერნატივა უფრო ეფექტურია, ვიდრე, მოლაპარაკება. ყველაფერი გულდასმით შეაფასეთ და მხოლოდ შემდეგ მიიღეთ გადაწყვეტილება მოლაპარაკების გაგრძელებისა თუ შეწყვეტის შესახებ.

კითხვა მეექვსე. როგორ გავითვალისწინოთ მოლაპარაკების მხარეებს შორის არსებული პიროვნული, კულტურული და სხვა სახის განსხვავებები?

ერთის მხრივ, ყველა ადამიანი ერთმანეთს ჰგავს. მეორეს მხრივ, არ არსებობს ორი ერთნაირი ადამიანი. როგორ გავითვალისწინოთ ადამიანებს შორის არსებული მსგავსებები და განსხვავებები:

- **გამოავლინეთ და გაითვალისწინეთ ყველა ფაქტორი;**
- **თქვენი მიდგომები მიუსადაგეთ კონკრეტულ სიტუაციას;**
- **ყურადღება დაუთმეთ განსხვავებებს შეხედულებებში, ჩვეულებებში, ტრადიციებში;**
- **კრიტიკულად შეაფასეთ თქვენი შეხედულებები და დაშვებები, ნუ იქნებით მიკერძოებული.**

კითხვა მეშვიდე. როგორ შევარჩიოთ ადგილი, ვინ უნდა გააკეთოს პირველი განცხადება? მოკლედ მოლაპარაკების ტაქტიკის შესახებ.

არ არსებობს ტაქტიკა, რომელიც ერთნაირად მისაღები და ეფექტური იქნებოდა ნებისმიერი მოლაპარაკებისათვის. ასეთი ტაქტიკის შერჩევისათვის აუცილებელია კონკრეტულ მოლაპარაკებასთან დაკავშირებული გარემოებების ცოდნა და შეფასება.

სად სჯობია მოლაპარაკების წარმართვა. მოლაპარაკება შეიძლება წარმართოთ ნეიტრალურ ტერიტორიაზე, თქვენს, ან მოწინააღმდეგე მხარის ოფისში. მთავარია იზრუნოთ მოლაპარაკების ნორმალურ პირობებზე (განათება, ხმაური, ორგტექნიკა, კავშირგაბმულობის საშუალებები). თუ გჭირდებათ ექსპერტთა, სპეციალისტთა, კონსულტანტთა დახმარება მოლაპარაკების პროცესში, ვირჩევნიათ მოლაპარაკება აწარმოოთ საკუთარ ოფისში. **თუ ფიქრობთ, რომ შესაძლოა მოგიწიოთ მოლაპარაკებების მიტოვება, აირჩიეთ მოწინააღმდეგის ოფისი, თუ მოლაპარაკებებისათვის აუცილებელი იქნება ტექნიკური საშუალებები და ივარაუდება მონაწილეთა სიმრავლე, აირჩიეთ საკონფერენციო დარბაზი.**

ვინ უნდა გააკეთოს პირველი წინადადება. მთავარია წინადადება სრულად იქნეს გააზრებული. ასეთ შემთხვევაში წინადადების გაცხადების რიგითობას რაიმე არსებითი მნიშვნელობა არა

აქვს. თუ თქვენ არ ხართ მზად, არ ფლობთ საკმარის ინფორმაციას, სჯობს არ აჩქარდეთ. დაუთმეთ პირველი წინადადების უფლება მეორე მხარეს.

იყავით წინდახედული, მხარის პირველი წინადადების ღირებულების შესახებ, მოეკიდეთ სიფრთხილით. გახსოვდეთ, შეუთანხმებელი ფასი არის სადღაც თქვენი და მოწინააღმდეგე მხარის მიერ დასახელებულ ფასებს შორის.

რამდენად მაღალი უნდა იყოს პირველი შეთავაზება. ხშირად მოლაპარაკების მონაწილე, მოლაპარაკების შედეგს იმის მიხედვით აფასებს, თუ რამდენად დააკლო მოწინააღმდეგე მხარემ მის მიერ პირველად შეთავაზებულ ფასს.

ხშირად მყიდველი ვერ აანალიზებს ბაზარს, მას არა აქვს გასაზღვრული თავისი საუკეთესო ალტერნატივა. ამდენად, იგი ძალზე კმაყოფილია, როდესაც იხდის იმაზე ნაკლებს, ვიდრე მოითხოვს. ასეთ პირობებში, გამყიდველმა უნდა დაასახელოს ისეთი მაქსიმალური ფასი, რომელიც არ გააქცევს მყიდველს. ძალზე ეფექტურია ასეთ შემთხვევაში დამოუკიდებელ ექსპერტზე მითითება, ხაზგასმა მის კვალიფიკაციასა და კომპეტენციაზე. როდესაც ასახელებთ მაქსიმალურ ფასს, ეცადეთ დაასაბუთოთ იგი, განმარტოთ მისი განსაზღვრის პრინციპები. იცოდეთ, თუ მყიდველი მოისმენს მისთვის ცალსახად მიუღებელ ფასს, ძალზე საეჭვოა ამის შემდეგ მან მოისმინოს თქვენი განმარტებები.

ძალზე მნიშვნელოვანია. პირველი წინადადება არ გამოიყურებოდეს, როგორც საბოლოო ფასი. რაც უფრო დაჟინებით იცავთ თქვენს მიერ გაცხადებულ პირველ ფასს, მით მეტ ჩრდილს აყენებთ თქვენს რეპუტაციას.

სტრატეგია დამოკიდებულია მომზადებაზე. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოლაპარაკების ბედს წყვეტს სწორედ შერჩეული სტრატეგია. ეფექტური სტრატეგია კი სრულადაა დამოკიდებული მომზადებაზე, ასეთი მომზადების ხარისხზე.

გახსოვდეთ! სტრატეგიული გეგმა არ არის თქვენი სურვილების ჩამონათვალი. იგი უნდა იყოს რეალურ ეკონომიკურ სივრცეში, რეალურ მოწინააღმდეგესთან ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღწევის პროგრამა. თუ თქვენს მიერ დეტალური სტრატეგიული გეგმის შემუშავების შემდეგ, რომლებმაც უნდა აიძულოს მოწინააღმდეგე, მიიღოს თქვენი წინადადება, აღმოჩნდება, რომ იგი სხვა

კრიტერიუმებსა და სტანდარტებს აღიარებს და არც უფიქრია თქვენს მიერ შეთავაზებული თამაშის წესების მიღება, აუცილებლად აღმოჩნდებით ძალზე უხერხულ მდგომარეობაში.

ვინაიდან, არასდროს არ შეიძლება მოწინააღმდეგის სტრატეგიის ზუსტი განსაზღვრა, მზად უნდა იყოთ თქვენი სტრატეგიული გეგმის კორექტირებისათვის.

კითხვა მერვე. როგორ გადავიდეთ გადაწყვეტილების ცალკეული ვარიანტებიდან კონკრეტულ ვალდებულებებზე?

მოლაპარაკების ერთადერთი მიზანია ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევა მხარეებს შორის. პირდაპირ გეტყვით, რომ არც ასეთი გადაწყვეტილების მიღწევის უებარი რეცეპტი არავის მოუგონია დღემდე, ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე ზოგადი პრინციპი:

იფიქრეთ საბოლოო შეთანხმებაზე მოლაპარაკების პირველივე წუთებიდან. ჯერ კიდევ მოლაპარაკების დაწყებამდე ნათლად უნდა გქონდეთ წარმოდგენილი, თუ როგორი უნდა იყოს წარმატებული შეთანხმება. ეს საშუალებას მოგცემთ ადვილად გაართვათ თავი წამოჭრილ პრობლემებს.

შეადგინეთ ხელშეკრულების თქვენთვის მისაღები ვარიანტის პროექტი. ასეთ პროექტს ზოგჯერ შეთანხმების ჩარჩოსაც უწოდებენ, რადგან, მასში გამოტოვებულია ის პირობები, რომლებიც წარმოადგენენ მოლაპარაკების საგანს. ასეთი ჩარჩო შეთანხმების ტიპიური მაგალითია, ყიდვა-გაყიდვის ტიპიური ხელშეკრულება, რომელიც საშუალებას აძლევს მხარეს, დროულად დააზუსტოს იგი, შეიტანოს მასში ცვლილებები და დამატებები უშუალოდ მოლაპარაკების პროცესში.

ეცადეთ შეთანხმების მიღწევას აუჩქარებლად და ნაბიჯ-ნაბიჯ. შეადგინეთ და შეათანხმეთ მოწინააღმდეგე მხარესთან განსახილველი საკითხების თანმიმდევრობა. ეს შეიძლება შედგენილი იყოს ჩარჩო შეთანხმების მუხლების თანმიმდევრობის, საკითხების სირთულის ზრდის, ან შემცირების მიხედვით. მეტად მიზანშეწონილად მიიჩნევა, პირველ რიგში, შეთანხმების მიღწევა ყველაზე რთულ საკითხზე. ასეთი მიდგომის ლოგიკა მარტივია. თუ რიგი ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისა და შეთანხმების შემდეგ, მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას მთავარ საკითხზე, წყალში გადაყრილი აღმოჩნდება გაწეული სამუშაო და დახარჯული დრო.

მოლაპარაკების პროცესი არასდროს არის სწორხაზოვანი. მზად იყავით იმისათვის, რომ რამდენჯერმე დაუბრუნდეთ ერთ და იმავე საკითხს. შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ არაფერი იქნება საერთო მიღწეული შეთანხმებისა და თქვენს მიერ საგულდაგულოდ მომზადებულ ჩარჩო შეთანხმებას შორის.

გახსოვდეთ! მიუხედავად მოლაპარაკებების წარმატებული მიმდინარეობისა, არასდროს აიღოთ ვალდებულება და პასუხისმგებლობა, სანამ არ დარწმუნდებით, რომ პრობლემა ერთხელ და სამუდამოდაა გადაწყვეტილი. ჩარჩო შეთანხმების თავფურცელზე დიდი ასოებით დააწერეთ – **წინასწარი ვარიანტი, ყოველგვარი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის გარეშე.**

როდესაც უსიტყვოდაც ყველაფერი ნათელია

ვის არ მოუსმენია მორიგი საქმიანი შეხვედრისა თუ მოლაპარაკების შემდეგ გამოთქმა: **„ვიცოდი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა“** ან **„ნათელი იყო, რომ არაფერი გამოვიდოდა“**. ასეთ გამოთქმებს, როგორც წესი, აქვს სერიოზული საფუძველი, უფრო მეტიც, ხშირად არც თუ ისე ძნელია, მოლაპარაკების დაწყებისთანავე ან დაწყებამდეც, ზუსტად განსაზღვრო მისი ბედი თუ შედეგი. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დროულად, სრულად შეგიძლიათ განსაზღვროთ პარტნიორის დამოკიდებულება თქვენი წინადადების, შეთავაზებისა და საერთოდ თქვენს მიმართ, თქვენს უნარზე, ზუსტად შეაფასოთ არავერბალური საშუალებით გადმოცემული ინფორმაცია.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ ადამიანებს შორის ურთიერთობის პროცესში ინფორმაციის 55-65%-ის გადაცემა ხდება არავერბალური გზით.

როდესაც ვამტკიცებთ, რომ ადამიანს აქვს ინტუიცია, ვგულისხმობთ, მას აქვს უნარი, გაშიფროს მეორე ადამიანის არავერბალური სიგნალები და შეადაროს ისინი ბევრად უფრო ადვილად აღსაქმელ ვერბალურ სიგნალებს.

არავერბალური სიგნალების ანუ სხეულის მოძრაობის ენის სრულყოფილ ცოდნას განსაკუთრებული მნიშენელობა აქვს ბიზნესის, საქმიანი ურთიერთობების სფეროში.

ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული შეცდომა, რომელიც შესაძლოა

დაუშვას ახალბედამ სხეულის მოძრაობის ენის შესწავლისას: არის ცალკეული არავერბალური სიგნალის – ჟესტის იზოლირებული განხილვა სხვა ჟესტებისა და თანმხლები გარემოებების გაუთვალისწინებლად. ცნობილია ეს სირთულეები და გარემოებები, რომლებიც ხშირად თან სდევს ჟესტების ინტერპრეტაციას მოსაუბრის ნაციონალური თავისებურებების გაუთვალისწინებლად.

სხეულის მოძრაობის ენა, ისევე როგორც ყველა სხვა ენა, შედგება სიტყვების, წინადადებებისა და პუნქტუაციის ნიშნებისაგან. ყოველი ჟესტი წარმოადგენს ცალკეულ სიტყვას, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს რამდენიმე მნიშვნელობა. ამ სიტყვის მნიშვნელობის სრულად გაგება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ჩაესვამთ წინადადებაში, სხვა სიტყვებს შორის, შესაფერ ადგილას. ჟესტების თანმიმდევრობა ქმნის თავისებურ წინადადებებს, რომლებიც ზუსტად მიუთითებენ მოსაუბრის განწყობაზე, მის დამოკიდებულებაზე მოსაუბრეთა მიმართ.

ქვემოთ მოყვანილია ჟესტების ჯგუფი, რომელთა ათვისება კარგ სამსახურს გაგიწევთ მოლაპარაკებების წარმოების პროცესში.

ხელის თითების გადაჭდობა მიუთითებს იმედგაცრუებაზე – ადამიანის სურვილზე, დაფაროს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება.

როდესაც მოსაუბრეს სახე დაყრდნობილი აქვს თითებზე, საჩვენებელი თითი საფეთქელზე აქვს მიბჯენილი; როდესაც თავი დახრილია და ასეთ მდგომარეობაში გრძელდება საუბარი – მიუთითებს მის უარყოფით დამოკიდებულებაზე საუბრის თემისა და მოსაუბრის მიმართ (ნახ. 3; ნახ. 4);

აშკარა ნეგატიურ დამოკიდებულებაზე მიუთითებს მკერდზე გადაჯვარედინებული მკლავები მაღლა მიმართული ცერა თითებით, იგივე ჟესტები გამოიყენება დაცინვისა და უპატივცემულო დამოკიდებულების გამოსახატავად.

სხეულის მოძრაობის ენა

თითქმის ყველა ენაშია გამოთქმა: **„რამდენი ენაც იცი, იმდენი ადამიანი ხარ“!** ადამიანები სწავლობენ უცხო ენებს, პროგრამირების ენებს (ალგოლი, ფორტრანი, პორტმანი და სხვა), ტექნიკის ენას (ხაზვა, მხაზველობითი გეომეტრია), ბიზნესის ენას (ბუღალტრული აღრიცხვა, ფინანსური ანალიზი) და სხვა.

არსებობს კიდევ ერთი საერთაშორისო, ძალზე გასაგები და ყველასათვის მისაწვდომი ენა – ჟესტების, მიმიკის, სხეულის მოძრაობის ენა.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანებს შორის ინფორმაციის გადაცემა ხდება:

– სიტყვებით – 7%;

– ხმოვანი სიგნალებით (ხმის ტონი, ინტონაცია) – 38%;

– არავერბალური გზით – მიმიკით, ჟესტებით, სხეულის მოძრაობით – 58%.

ამ ენის ცოდნა აუცილებელია ბიზნესმენისათვის. განსაკუთრებული სარგებლობის მოტანა შეუძლია სხეულის მოძრაობის ენას ბიზნესმენისათვის მოლაპარაკების პროცესში და მოლაპარაკების დაწყებამდე. იგი საშუალებას მოგცემთ შეუფერხებლად გამოიცნოთ, როდესაც:

– ცრუობენ;

– არ გენდობიან;

– ცდილობენ შეაფასონ თქვენი მიზნები და განწყობილებები;

– ასეთი შეფასების შედეგები დადებითი ან უარყოფითია;

– თქვენს წინ არაკეთილგანწყობილი ოპონენტია;

– მზად არიან თანამშრომლობისათვის;

– თქვენი პარტნიორი ძალზე თავდაჯერებული და თვითკმაყოფილია;

– გაგიჭირდებათ ურთიერთობა კონტრაგენტთან.

ეს კი, თავის მხრივ საშუალებას მისცემს მეწარმეს, სწორად განსაზღვროს მოლაპარაკების ტაქტიკა, დროულად შეიტანოს დირექტივები მოლაპარაკების მსვლელობაში, მიიღოს გადაწყვეტილება მოლაპარაკების დროებით, ან საერთოდ შეწყვეტისათვის და დაზოგოს დრო და სახსრები ფუჭი მოლაპარაკებებისაგან.

სხეულის მოძრაობის ენის კიდევ ერთი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, მისი გამოყენება მოლაპარაკებების პროცესის გარდა წარმატებით გამოიყენება პირადი ურთიერთობების სფეროში – რომელიც წარმატებული საქმიანი ურთიერთობების საფუძველია.

განსაკუთრებული წარმატებით გამოიყენება სხეულის მოძრაობის ენა ისეთ პროცედურებში, როგორებიცაა: პარტნიორის დაინტერესება, კვალიფიციურად წარადგინოთ პროექტი, გადაჭრათ მოულოდნელად წამოჭრილი წინააღმდეგობები.

ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციები გაგიადვილებთ გამოიყენოთ სხეულის მოძრაობის ენა ადამიანებთან ურთიერთობაში – განაწყოთ

ისინი თქვენს მიმართ ნდობითა და სიმპათიით, თქვენს მხარეზე გად-მოიბირეთ ოპონენტები და გაიხადეთ ისინი თანამოაზრეებად.

ტყუილი, სიცრუე

როგორ შევიტყოთ, რომ პარტნიორი ცრუობს. იმ ნიშნების გა-მოცნობას, რომლებიც ტყუილსა და სიცრუეზე მიუთითებენ, განსა-კუთრებული მნიშვნელობა აქვთ ადამიანების ურთიერთობაში, მათ შორის, მოლაპარაკების წარმოების პროცესში.

საუკუნოვანი პრაქტიკა და მეცნიერების დაკვირვება გვიჩვე-ნებს, რომ ასეთი ჟესტებია – **ხელით სახის შეხება.** სხვადასხვა ცალკეულ შემთხვევაში ეს მოძრაობები შესაძლოა მიუთითებდ-ნენ: **ეჭვს, ტყუილს, რეალური ფაქტების გადაჭარბებულ შეფასებას.**

როდესაც ადამიანი ხელით სახეს ეხება, სულაც არ ნიშნავს, რომ იგი ცრუობს, თუმცა, შესაძლოა ეს იყოს ტყუილის პირველი ნიშანი, რომელიც, როგორც წესი, დასტურდება შემდგომი ურთიერთობე-ბის პროცესში.

ცდილობენ შეგაფასონ

პარტნიორისა და ოპონენტის სურვილზე, შეაფასოს თქვენი მის-წრაფებები და სურვილები, გამოიცნოს თქვენი მიზნები, მიუთითებს: სახის მუჭზე დაყრდნობა, საჩვენებელი თითის საფეთქელთან მიტა-ნა, როდესაც მოსაუბრე კარგავს ინტერესს, მაგრამ თავაზიანობის გამო ინარჩუნებს დაინტერესებას, მისი პოზა ოდნავ იცვლება; სე-რიოზული ინტერესის გამომხატველია, როდესაც ლოყის ქვეშ მო-თავსებული ხელი არ წარმოადგენს თავის საყრდენს.

ხშირად შეფასების მანიშნებელ ჟესტს აიგივებენ ინტერესის გა-მომხატველ მოძრაობებთან, არ არის გამორიცხული, რომ შეფასე-ბის მცდელობა მოულოდნელად გადაიზარდოს ოპონენტის დაინ-ტერესებაში, შესაძლოა უნდობლობაშიც, სასურველია, რომ ყოვე-ლივე ამას თქვენის მხრიდან დაუყოვნებლივ მოჰყვეს სიტუაციის ადეკვატური შეფასება და საუბრისა თუ მოლაპარაკების გეგმის შესაბამისი კორექტირება

არ ენდობიან

უნდობლობისა და უარყოფითი დამოკიდებულების მიმანიშნებელია მკერდზე ხელების გადაჯვარედინება და ცერა თითებზე აქცენტირება.

მაგალითად, მკერდზე გადაჯვარედინებული ხელები, იდაყვებში დამალული ხელის გულებითა და ვერტიკალურად მიმართული ცერა თითებით. ასეთი მიდგომა ყალიბდება საუკუნეების განმავლობაში, როდესაც მამაკაცები ფარით იცავდნენ თავს მოწინააღმდეგის შუბისა თუ ისრებისაგან. დღეს ცივილიზებული ადამიანი სწორედ ასეთი სიმბოლური ფარით იცავს თავს ოპონენტის სიტყვიერი თავდასხმისაგან.

როდესაც ადამიანი მკერდზე ხელებს გადაიჯვარედინებს შეკუმშული მუშტებით – ჩათვალეთ, რომ იგი არა მხოლოდ არ გენდობათ, თქვენ მისი მტრული დამოკიდებულებაც დაიმსახურეთ, დაუყოვნებლივ გააანალიზეთ ასეთი დამოკიდებულების მიზეზები.

შეფასება უარყოფითია

ძალზე არასასურველია, თუ თქვენ ოპონენტის უარყოფით შეფასებას დაიმსახურებთ. მიუხედავად ასეთი შეფასების ობიექტურობისა და მისდამი თქვენი დამოკიდებულებისა,პრინციპული მნიშვნელობა აქვს ასეთი შეფასების დროულ გამოვლენას.

უარყოფით შეფასებაზე მიუთითებს იდაყვებზე დაყრდნობილი მკლავები გადაჭდობილი თითებით. საბოლოოდ მიღებულ უარყოფით შეფასებაზე მიუთითებს თითებგადაჭდომილი ხელები დადებული მაგიდაზე.

როდესაც საჩვენებელი თითი ვერტიკალურად არის მიმართული საფეთქლისაკენ და ცერა თითზე ნიკაპია დაყრდნობილი, მიუთითებს თქვენი წინადადების, ინფორმაციისა და ხშირად მთლიანად თქვენი ვიზიტის საგნის ნეგატიურ შეფასებაზე. რაც უფრო დიდ ხანს ინარჩუნებს ოპონენტი ასეთ პოზას, მით უფრო სერიოზული ხდება მისი ნეგატიური განწყობილება და მცირდება თქვენი შანსი წარმატებით დაასრულოთ მოლაპარაკება – მიაღწიოთ შეთანხმებას; ასეთ სიტუაციაში როგორმე უნდა ეცადოთ ისეთი აზრი მიაწოდოთ ოპონენტს, რომელსაც იგი დადებითად მოეკიდება, დაადასტურებს, ან დაეთანხმება მას და შეიცვლის ამ თქვენთვის არასასიამოვნო და რაც მთავარია, არახელსაყრელ პოზას.

თქვენს წინ არაკეთილმოსურნეა

ეჭვის, უნდობლობის, საუბრისა თუ მოლაპარაკების საგნისადმი არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულების გამოვლინების სტანდარტული ფორმაა ხელების მკერდზე გადაჭდობა ცერა თითების აქტივიზაციის გარეშე. როდესაც დაინახავთ, რომ თქვენმა ოპო-

ნენტმა მკერდზე ხელები ასეთი სახით გადაიჭდო, ძალზე სავარაუდოა, რომ მას არ მოეწონა თქვენს მიერ დასმული საკითხი, ან იგი მას თქვენგან არ მოელოდა. თქვენ იგი აღიქვამთ კონკრეტულად, ყველა გამომდინარე შედეგით.

კიდევ უფრო დამაფიქრებელია პოზა, როდესაც ოპონენტს თავი დახრილი აქვს და ასეთ მდგომარეობაში ცდილობს თვალი თვალში გაგიყაროთ: დარწმუნებული იყავით ოპონენტის უარყოფით დამოკიდებულებაში, უფრო მეტიც, უნდა იფიქროთ, რომ იგი უსიტყვოდ კიცხავს თქვენს მოქმედებას. თქვენ აუცილებლად გექნებათ სერიოზული პრობლემები ასეთ ოპონენტთან ურთიერთობაში. თუ თქვენ ხშირად ხვდებით ოპონენტის ასეთ პოზასა და გამომეტყველებას, აუცილებლად იფიქრეთ საუბრისა და მოლაპარაკებების ტაქტიკის დახვეწაზე.

თქვენი ოპონენტი ძალზე თავდაჯერებულია

ცნობილია, რომ განსაკუთრებით ძნელია საქმიანი ურთიერთობა ზედმეტად თავდაჯერებულ ადამიანებთან, განსაკუთრებით კი მოლაპარაკებების წარმართვა და წარმატებით დასრულება ასეთ ოპონენტებთან.

თავდაჯერებულობის ყველაზე გავრცელებული ნიშანია თითების გუმბათისმაგვარი შეერთება ვერტიკალურ მდგომარეობაში.

ასეთი ჟესტით ხშირად სარგებლობენ ადამიანები, რომლებმაც ყველაფერი ყველაზე კარგად იციან, ყველაფერში ერკვევიან და არასოდეს არაფერი არ ეშლებათ. სწორედ ასეთი ჟესტის საშუალებით ცდილობენ ისინი გადმოსცენ თავისი შეუვალი კომპეტენცია და უსაზღვრო ავტორიტეტი.

ოდნავ ნაკლებად კატეგორიული ფორმით იგივეს მიუთითებს ჩამოშვებული ხელები ერთმანეთზე გადადებული მტევნებით. თვითდაჯერებულობის გამომჟღავნებას ცდილობს ოპონენტი, რომელიც თქვენთან საუბრისას, ფეხი-ფეხზე გადადებული ათვალიერებს დოკუმენტს, რომელიც საუბრისა თუ მოლაპარაკების საგანს არ ეხება.

გაგიჭირდებათ შეთანხმების მიღწევა

რამდენადმე გულდასმით დაკვირვებით, ადვილად შეიძლება გამოარჩიოთ ოპონენტები, რომლებთანაც ძალზე გაგიჭირდებათ შეთანხმების მიღწევა.

ასეთი შედეგის საიმედო საფუძველს იძლევა ოპონენტის პოზა,

როდესაც თავი ხელის გულზე აქვს დაყრდნობილი და საუბრის დროს სადღაც შორს იხედება.

დარწმუნებული იყავით, რომ ოპონენტს, რომელსაც ფეხი-ფეხზე აქვს გადადებული და წელში უკან გადაზნექილს თითები თავს უკან აქვს გადაჭდობილი, თქვენი წინადადება არ აინტერესებს. იგივე დასკვნა უნდა გააკეთოთ, როდესაც თქვენი ოპონენტი საკუთარ ფეხს ორივე ხელით იჭერს, რომ მოლაპარაკებიდან არ გაიქცეს.

როცა სავარძლის სახელურზე ფეხგადადებული ოპონენტი სახეზე არ იშორებს ღიმილს, როცა გასაღიმებელი არაფერია, საფიქრებელია, რომ დროზე უნდა შეწყვიტოთ ვიზიტი და მოლაპარაკება.

მზადყოფნა თანამშრომლობისათვის

ყველაზე უფრო საინტერესო და სასარგებლო ჟესტები, რომელთა გამოცნობის დაუფლებას, პირველ რიგში, უნდა ესწრაფოდეთ, ეს არის მზადყოფნის გამოვლენა თანამშრომლობისათვის.

ისეთი ჟესტების გამოცნობის უნარი, რომლებიც მიუთითებენ ოპონენტის მზადყოფნაზე ითანამშრომლონ და მიიღონ ურთიერთხელსაყრელი გადაწყვეტილება, არა მარტო გეხმარებათ მოლაპარაკების დადებითად დამთავრებაში, იგი საშუალებას მოგცემთ უფრო მეტი ადამიანი მიიზიდოთ და დააინტერესოთ თქვენი საქმიანობით.

თანამშრომლობისა და მიზანსწრაფულობისაკენ მიუთითებს პოზა, როდესაც თავაწეულ პარტნიორს დოინჯი აქვს შემოკრული — ხელები წელზე აქვს შემოდებული. ასეთი პოზა გარკვეულ აგრესიულობაზეც მიუთითებს, თუმცა ეს აგრესიულობა არ არის მიმართული ურთიერთობისა და მოლაპარაკებების წინააღმდეგ, იგი მიუთითებს ოპონენტის მტკიცე განზრახულობაზე, რაც უნდა დაუჯდეს, მიაღწიოს შეთანხმებას.

კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის სურვილზე მიუთითებს, როდესაც ოპონენტი იდაყვით ეყრდნობა წინ წამოწეულ ფეხს, ან წინ წამოწეული კორპუსით ხელის გულებით მუხლებზეა დაყრდნობილი.

სასურველია გვახსოვდეს, რომ ადამიანის ჟესტები მიმიკა, სხეულის მდგომარეობა უწყვეტი და ძალზე ცვალებადი პროცესია. მათი სწორი შეფასებისათვის აუცილებელია ყურადღება, დაკვირვება და სისტემატური ვარჯიში, რაც აუცილებლად მოიტანს დადებით შედეგს.

იმედგაცრუება, ცდილობს დამალოს უარყოფითი დამოკიდებულება



ვერ მალავს უარყოფით დამოკიდებულებას



არ მალავს ნეგატიურ დამოკიდებულებას



დაინტერესება არის, თუმცა, დამოკიდებულება არამეგობრულია

გაფასებენ. დამოკიდებულება კრიტიკულია

თანამოსაუბრე ორჭოფობს. არ არის დარწმუნებული წინადადებისა და გამონათქვამის სისწორეში



მოსაუბრეს აშკარად მოაბეზრეთ თავი

საუბარი დასრულებულია

მოსაუბრე იღებს გადაწყვეტილებას





გადაწყვეტილება მიღებულია, სახეზეა მზადყოფნა მოქმედებისა და თანამშრომლობისათვის

მოსაუბრე არ არის დარწმუნებული

მოსაუბრე გამოხატავს დაინტერესებას

ადამიანი ვერ გარკვეულა, რას თხოულობენ მისგან



მოსაუბრე ცდილობს დროის გაყვანას

სახელშეკრულებო ურთიერთობების ობიექტები

სამეურნეო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, ფართოვდება სამეურნეო ხელშეკრულების ობიექტების წრესაც. არც თუ ისე დიდი ხნის წინ, გარიგების ძირითად ობიექტად რჩებოდა მატერიალური სამყაროს საგნები, ანუ საქონელი კონკრეტული მოცულობით, წონით, სხვა ფიზიკური მახასიათებლებით. მოგვიანებით ხელშეკრულებების ობიექტების წრეს შეივსო არამატერიალური ფასეულობებით, პირველ რიგში, ქონებრივი უფლებებით ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებზე.

ამავე დროს, სამეურნეო ურთიერთობებში ჭარბობს ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები. ამდენად, სახელშეკრულებო ურთიერთობების ძირითად ობიექტად დღემდე რჩება — საქონელი.

საქონელი

საქონლის განმარტება და შესაბამისი კრიტერიუმები განსაზღვრულია ნაციონალური კანონმდებლობით. ზოგადი განმარტების თანახმად, საქონელი არის მატერიალური საგნები ბუნებრივი ან გადამუშავებული სახით, რომლებიც წარმოადგენენ სავაჭრო გარიგებების ობიექტს. მოცემულ კონტექსტში სავაჭრო გარიგება გულისხმობს ყიდვა-გაყიდვის, ან საქონელგაცვლის ხელშეკრულებას.

საქონელი, როგორც სამეურნეო ურთიერთობების ობიექტი, შეიძლება გამოირჩეოდეს სხვადასხვა კრიტერიუმებით. საქონლის გავრცელებული ნიშნებიდან ესენია: **ზომა, წონა** და **თვისობრიობა.** ძალზე მნიშვნელოვანია ცალკეული კრიტერიუმის განსაზღვრისა და შეფასების თავისებურებები. მაგალითად, ზოგიერთი საქონლის რაოდენობრივი მახასიათებელია წონა, ზოგის მოცულობა, ზოგის სიგრძე, ზოგი ითვლება ცალობით, კილოვოლტებით და სხვა.

არც თუ იშვიათად, ხელშეკრულების მხარეების დამოკიდებულება საქონელთან დაკავშირებით ხასიათდება პირადი შეხედულებებით, მაგალითად, ფერი, წარმოშობის ქვეყანა და სხვა.

საგულისხმოა საქონლის, როგორც სახელშეკრულებო ურთიერ-

თობების ტრადიციული ობიექტის კიდევ ერთი თავისებურება, კერძოდ, ყოველი სახელმწიფო ადგენს გარკვეულ მოთხოვნებს, როგორც საკუთარი წარმოების, ისე იმპორტირებული საქონლის ისეთი მახასიათებლების მიმართ, როგორებიცაა: **უსაფრთხოება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, მავნე ნივთიერებების შემცველობა, უტილიზაციის შესაძლებლობა და სხვა.**

მატერიალური საგნები მხოლოდ მაშინ შეიძლება მიჩნეული იქნეს საქონლად, სამეურნეო ხელშეკრულების ობიექტად, როდესაც მისი ღირებულება საიმედოდაა შეფასებული, ან მითითებულია ასეთი ღირებულების განსაზღვრის წესი.

ფული

ფული, ისევე როგორც საქონელი, რჩება სახელშეკრულებო ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითად ობიექტად. ფული, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს გაცვლითი ღირებულების საყოველთაო ექვივალენტს და ანგარიშსწორების უალტერნატივო საშუალებას, ხშირად არის გარიგების უშუალო ობიექტი, მაგალითად, სავალუტო და საკრედიტო-სასესხო ოპერაციებში.

ფულის გავრცელება აიხსნება მისი მაღალი ბრუნვადობითა და აბსოლუტური ლიკვიდურობით. იგი წარმოადგენს ანგარიშსწორების უნივერსალურ საშუალებას, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ მისი გამოყენების შემთხვევაში არ არის აუცილებელი ანგარიშსწორების ნატურალური საშუალებები.

როდესაც ფულს განვიხილავთ, როგორც სამეურნეო ხელშეკრულების ობიექტს, უნდა გვახსოვდეს რამდენიმე გარემოება:

- **არსებობს თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა, რომელიც თავისუფლად იცვლება ნებისმიერ სხვა შეზღუდულად კონვენტირებად ვალუტაზე; არაკონვენტირებადი ვალუტა, რომლის გადაცვლა ძნელია ან საერთოდ შეუძლებელია ნებისმიერ სხვა ვალუტაზე.**
- **ვალუტის ღირებულება მუდმივად იცვლება, ანუ, ვალუტის მსყიდველობითუნარიანობა შეიძლება შეიცვალოს სხვა ვალუტასთან შედარებით.**
- **ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები ნაციონალური ვალუტისაგან განსხვავებული ვალუტის გამოყენებაზე.**

ფასიანი ქაღალდები

ფასიან ქაღალდებს განსაკუთრებული ადგილი უკავია სამეურნეო ურთიერთობებში. ისინი ხელს უწყობენ საინვესტიციო საქმიანობას, ამყარებენ საქონელბრუნვას, ფულადი სესხების სწრაფ და ადვილ გადაადგილებას.

ფასიანი ქაღალდები – ინგლისურ-ამერიკული სამართლებრივი სისტემების ქვეყნებში ცნობილია საბრუნავი დოკუმენტების სახელით. ასეთი განმარტება დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდის ტრადიციულ დოკუმენტურ ფორმასთან. ბოლო დროს, განსაკუთრებით კომპიუტერული ტექნიკის განვითარებასთან ერთად, ბრუნვაში გამოჩნდა ფასიანი ქაღალდები, პირველ რიგში, ობლიგაციები და აქციები არადოკუმენტური ფორმით.

ფასიანი ქაღალდი გულისხმობს დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს გარკვეული ქონებრივი უფლებების არსებობას და შექმნილია ისე, რომ ამ უფლების გამოყენება შეიძლება მხოლოდ ამ დოკუმენტის ფლობის შემთხვევაში. ასეთი უფლების გადაცემა შეიძლება მხოლოდ ამ დოკუმენტის – **ფასიანი ქაღალდის განკარგვის გზით.**

საგულისხმოა ფასიანი ქაღალდის ორმაგი სამართლებრივი ბუნება, ერთის მხრივ, ფასიანი ქაღალდი ადასტურებს გარკვეულ ქონებრივ უფლებას, რაშიც მდგომარეობს ფასიანი ქაღალდის ძირითადი არსი და დანიშნულება; მეორეს მხრივ, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის ქონებრივ უფლებას, თვითონ არის ნივთი – მოძრავი ქონება, ასეთი ქონების ყველა დამახასიათებელი ნიშნით, შეიძლება მისი გაყიდვა, ანგარიშსწორების, დაგროვების, ვალდებულების უზრუნველყოფის, ინვესტიციების საშუალებად.

ინტელექტუალური საქმიანობის შედეგები

სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა, რომელმაც მეცნიერება და ტექნიკა ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგად აქცია, საფუძველი დაუდო ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებისა და სახელშეკრულებო ურთიერთობების გადაქცევას საკმაოდ გავრცელებულ ობიექტად.

ფიზიკური და იურიდიული პირის ერთპიროვნული უფლება მისი ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებზე, შესრულებულ სამუ-

შაოებზე, განხორციელებულ მომსახურებაზე და ინდივიდუალიზაციის საშუალებებზე იმაში მდგომარეობს, რომ მესამე პირს ყოველივე ამის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი უფლებების მფლობელის ნებართვით.

პრაქტიკულად, ყველა ქვეყნის ნაციონალური კანონმდებლობით, ინტელექტუალური საქმიანობის შედეგს მიეკუთვნება: მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოები, გამოგონებები და ფონოგრამები, სასარგებლო მოდელები და სამრეწველო ნიმუშები; ნოუ-ჰაუ და სხვა. ინდივიდუალიზაციის საშუალებებს განეკუთნება: საფირმო და სასაქონლო ნიშნები, საქონლის წარმოშობის ადგილის დასახელება და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ უფლება ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებზე, შეიძლება იყოს როგორც პირადი ქონებრივი, ისე ქონებრივი უფლება.

პირადი ქონებრივი უფლების მაგალითია საავტორო უფლება, რომლის გასხვისება არ შეიძლება. ქონებრივი უფლების რეალიზაცია კი შეიძლება ინტელექტუალური საქმიანობის შედეგის მართლზომიერი გამოყენებით, ისევე, როგორც ასეთი შედეგის გამოყენების უფლების მართლზომიერი გადაცემის გზით მესამე პირზე.

სამუშაოები და მომსახურება

სამეურნეო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისეთ გარიგებებს, როგორებიცაა: **იჯარა** და **ლიზინგი**, **კომისია** და **დავალება**, და სხვა. ამდენად, სამეურნეო ხელშეკრულების ობიექტად მატერიალურ საგნებთან და ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებთან ერთად, სულ უფრო ხშირად გვევლინება სამუშაოების შესრულება და მომსახურების გაწევა.

მიუხედავად იმისა, რომ ნარდობის ხელშეკრულების შედეგია დასრულებული ობიექტი, ნარდობის ხელშეკრულების ობიექტს ეს ობიექტი კი არა, მონარდეს მიერ შესრულებული სამუშაო წარმოადგენს. იგივე შეიძლება ითქვას კომისიის, დავალებისა და სხვა ხელშეკრულებებზე, რომლებშიც გამოიყენება მატერიალური ობიექტები. ზემოაღნიშნულ ობიექტად ითვლება ერთი პირის მიერ მეორე პირისათვის გაწეული მომსახურება და არამატერიალური ობიექტი, რომელიც წარმოადგენს ასეთი მომსახურების საგანს ან შედეგს.

ცალკეულ შემთხვევებში, ერთი პირის საქმიანობა მეორე პირის სასარგებლოდ, ყოველთვის არ არის დაკავშირებული მატერიალური საგნების შექმნასთან, იგი შეიძლება ითვალისწინებდეს ქმედებას, რომლის შედეგი არაა ახალი საგანი, რომელიც არ იქნება გამოხატული მატერიალური ფორმით, მიუხედავად იმისა, რომ ისახავს აშკარად მატერიალურ მიზნებს.

ინფორმაცია

ხელშეკრულების დამოუკიდებელი ობიექტი ასევე შეიძლება იყოს ინფორმაცია. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ცოდნა ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროსა და მთლიანად სამყაროს შესახებ, კარგა ხანია განიხილება, როგორც სამეურნეო ხელშეკრულების ობიექტი.

თავისი ბუნებით, ინფორმაცია არ წარმოადგენს მატერიალურ სუბსტანციას, თუმცა, იმისათვის, რომ იგი გახდეს სამეურნეო ხელშეკრულების ობიექტი, იგი აუცილებლად უნდა იყოს მატერიალიზებული მისაღები ფორმით ქაღალდზე, მაგნიტურ მატარებელზე და სხვა.

რეგიონალური „საერთაშორისო კანონმდებლობა"

უნივერსალურ საერთაშორისო კანონმდებლობასთან ერთად, არსებობს **„რეგიონალური საერთაშორისო კანონმდებლობაც"**. ასეთი კანონმდებლობის მიზანია ცალკეული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის ქვეყნების სამართლებრივი სისტემის, პირველ რიგში, სამეურნეო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ჰარმონიზაცია.

შესაძლოა ცნება „რეგიონალური საერთაშორისო კანონმდებლობა" მთლად დამაჯერებლად არ გამოიყურებოდეს „საერთაშორისო" და „რეგიონალური" ცნებების კონტექსტში, მაგრამ, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. როდესაც იქმნება ევროგაერთიანების დოკუმენტები, ქვეყნებს შორის საქონლის, მომსახურების, კაპიტალის გადასაადგილებლად, სახეზეა ასეთი ნორმატიული აქტების, როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონალური ხასიათი, საერთაშორისო რეგიონალური ურთიერთობებისა და შესაბამისი სამართლებ-

რიგი პრაქტიკის მაგალითები მრავალია. მათ შორისაა შეთანხმებები თავისუფალი ვაჭრობისა და საბაჟო კავშირების შესახებ: ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (NEFTA) კანადის, მექსიკისა და აშშ-ს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (NAFTA), სამხრეთ ამერიკის ქვეყნების: არგენტინის, ბრაზილიის, პარაგვაისა და ურუგვაის საერთო ბაზარი (MERCOSUR) და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნაციონალური სამართლის ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციის სამუშაოები, რომელიც ხორციელდება ევროგაერთიანების ფარგლებში. ამ გაერთიანების ერთიანი სამართლებრივი სისტემის შექმნა მიმდინარეობს ორი მიმართულებით:

- **კლასიკური საერთაშორისო ხელშეკრულებების (კონვერტირების) მეშვეობით; და**
- **ევროგაერთიანების ორგანოების აქტების მიღებით. ცნობილია ევროგაერთიანების სამი სახის ნორმატიული აქტი: დებულებები, დირექტივები და გადაწყვეტილებები.**

დებულებები – ადგენენ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც მოქმედებენ ევროგაერთიანების ყველა ქვეყანაში;

დირექტივები – აყალიბებენ ნორმებს, რომლებიც მოქმედებენ ევროგაერთიანების ფარგლებში, თუმცა, უტოვებენ სახელმწიფოებს უფლებას, დამოუკიდებლად შეიტანონ ასეთი ნორმები თავისი ქვეყნის ნაციონალურ სამართლებრივ აქტებში. ამრიგად, დირექტივა კანონად იქცევა, მხოლოდ მისი ნაციონალურ კანონმდებლობაში ჩართვის შემდეგ.

გადაწყვეტილება – წარმოადგენს უფრო ადმინისტრაციულ, ვიდრე სამართლებრივ აქტს ცალკეული საკითხის დასარეგულირებლად და შესაბამისად, არ განიხილება მთელი გაერთიანებისათვის სავალდებულო ნორმად.

რეგიონალური საერთაშორისო სამართლის ტიპიური მაგალითია დსთ-ს სისტემაში შექმნილი მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებები დსთ-ს წევრ ქვეყნებს შორის.

ხელშეკრულებების გარდა, რომლებიც ატარებენ საერთაშორისო ხასიათს, დსთ, როგორც ორგანიზაცია, თავისი აღმასრულებელი ორგანოების სახით, იღებს გადაწყვეტილებებს საოქმო გადაწყვეტილებებისა და ოქმების სახით, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილებე-

ბი უფრო სარეკომენდაციო ხასიათისაა და სავალდებულო მნიშვნელობა არა აქვთ მონაწილე ქვეყნებისათვის.

დსთ-ს ფარგლებში შემუშავებული და მიღებულია სამეურნეო ურთიერთობების მარეგულირებელი რიგი დოკუმენტები, მათ შორის: **შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ; წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესები; შეთანხმება საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში თანამშრომლობის შესახებ; შეთანხმება რეექსპორტის შესახებ.**

დსთ-ს ფარგლებში მიღებული ერთადერთი აქტი, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების საკითხებზე, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს როგორც საერთაშორისო ეკონომიკური სამართლის, ისე საერთაშორისო სავაჭრო სამართლის ნორმებს, არის შეთანხმება დსთ-ს ქვეყნებს შორის მიწოდების საერთო პირობების შესახებ (კიევი, 20.03.1992წ.). ამ შეთანხმებით, მხარეებმა დაადგინეს ურთიერთშორის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების დადების, შეცვლისა და გაუქმების წესი.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, შეთანხმება ხელმოწერილია: **აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელორუსის ყაზახეთის, ყირგიზეთის, მოლდოვას, რუსეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, უზბეკეთისა და უკრაინის მიერ.**

დსთ ძალზე არამდგრადი პოლიტიკური გაერთიანებაა, არც მისი ეკონომიკური კავშირურთიერთობები გამოირჩევა განსაკუთრებული ურთიერთსნდობითა და ეფექტურობით, დაბალია ამ გაერთიანების ნორმატიული აქტების ფაქტიური სტატუსი. ამდენად, შეიძლება არ მოეწეროს ხელი შეთანხმებას მიწოდების საერთო პირობების შესახებ, თუმცა, ძნელი იქნება ასეთი გადაწყვეტილების გამართლება და დასაბუთება, როდესაც აღნიშნული პირობები დეტალურად განსაზღვრავენ საქონლის, მომსახურების, სამუშაოების მიწოდების ყველა ძირითად, მათ შორის, პრეტენზიების რეგულირებისა და დავების გადაწყვეტის საკითხებს.

სახელშეკრულებო ურთიერთობების სამართლებრივი საფუძვლები

განასხვავებენ **საერთაშორისო** და **ნაციონალურ** სამეურნეო ხელშეკრულებებს. **საერთაშორისო ხელშეკრულება** – გამოხატავს გარიგებას, რომლის მხარეების ადგილმდებარეობა განსხვავებულ

სახელმწიფოებშია. თავის მხრივ, გარიგება, რომლის მხარეები ერთი სახელმწიფოს რეზიდენტები არიან, წარმოადგენს ნაციონალურ გარიგებას.

საერთაშორისო ხელშეკრულების სამართლებრივი რეჟიმი განსხვავდება ნაციონალური ხელშეკრულების სამართლებრივი რეჟიმისაგან. როგორც წესი, ნაციონალური ხელშეკრულების სამართლებრივი რეჟიმი რეგულირდება ნაციონალური კანონმდებლობით.

ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ საერთაშორისო გარიგება ემორჩილებოდეს მხოლოდ იმ ერთი ქვეყნის სამართალს, რომელსაც ეხება, ან რომელშიც პრაქტიკულად ხორციელდება გარიგება. ცალკეული ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულებების მხარეების მიერ სამართლის არჩევის შესაძლებლობას, მხოლოდ გარიგებათა გარკვეული ჯგუფისათვის, ან, საერთოდ გამორიცხავს კონკრეტული გარიგების მიმართ უცხო ქვეყნის სამართლებრივი ნორმების გამოყენებას, მაგალითად, გარიგებების მიმართ, რომლებიც ეხება უძრავ ქონებას, მაშინ, როდესაც ზოგი საერთაშორისო გარიგება შეიძლება დაექვემდებაროს ნებისმიერი ქვეყნის სამართალს.

ნაციონალური და საერთაშორისო ხელშეკრულებების სამართლებრივ რეჟიმებს შორის განსხვავება არ შემოიფარგლება კოლიზიურ-სამართლებრივი და იურისდიქციული საკითხებით და სულ უფრო ხშირად ელინდება, ერთის მხრივ, მატერიალური სამართლის ნორმების განვითარებით, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო სახელშეკრულებო ურთიერთობებსა და მეორეს მხრივ, იმ სპეციალური ნორმების შექმნით ნაციონალური სამართლის ფარგლებში, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო სახელშეკრულებო ურთიერთობებს.

სახელშეკრულებო ურთიერთობების მარეგულირებელი საერთაშორისო აქტებიდან აღსანიშნავია 1964 წლის ჰააგის ერთგვაროვანი კანონები მოძრავი ნივთის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვისა და ასეთი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადების შესახებ. ეს კანონები გამოიყენება იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა მხარეების კომერციული საწარმოები მდებარეობენ სხვადასხვა სახელმწიფოებში და სახეზე იყო ერთ-ერთი ქვემოთ მოყვანილი გარემოებებიდან:

• ხელშეკრულება ეხება ნივთს, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტში გადაადგილდებოდა, ან უნდა გადაადგილებულიყო ხელშეკრულების ერთი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიიდან მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

• როდესაც ოფერტისა და აქცეპტის გამომხატველი ქმედება განხორციელდა სხვადასხვა სახელმწიფოში;

• როდესაც ნივთის გადაცემა ხდება არა იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელზეც განხორციელდა ოფერტი და აქცეპტი.

ჰააგის ერთგვაროვანმა კანონებმა განსაზღვრეს საერთაშორისო სამეურნეო ხელშეკრულების ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც ეფუძნებოდნენ სუბიექტის კრიტერიუმებს, ანუ მოითხოვენას იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების მხარეების კომერციული საწარმოები უნდა ყოფილიყვნენ სხვადასხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე.

ჰააგის 1964 წლის ერთგვაროვანი კანონებით განსაზღვრულმა საერთაშორისო სამეურნეო ხელშეკრულების კრიტერიუმებმა, თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს შორის გარიგების კრიტერიუმებთან მიმართებაში გარკვეული აზრთა სხვაობა გამოიწვია, ამიტომ საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების მარეგულირებელ მომდევნო კონვენციებში გამოიყენება მხოლოდ ერთი — სუბიექტის კრიტერიუმი ნიუ-იორკის 1974 წლის კონვენცია ყიდვა-გაყიდვის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ, ვენის 1980 წლის რედაქციით და 1980 წლის ვენის კონვენცია საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების შესახებ, ვრცელდება ისეთ მხარეებს შორის დადებულ სამეურნეო ხელშეკრულებებზე, რომელთა კომერციული საწარმოები მდებარეობენ სხვადასხვა სახელმწიფოში.

ვენის კონვენციის თანახმად, თუ მხარეს აქვს თავისი კომერციული საწარმოების არაერთი ადგილმდებარეობა, მხედველობაში მიიღება იმ საწარმოს ადგილმდებარეობა, რომელიც ყველაზე უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული კონკრეტული ხელშეკრულების მიზანთან და საქმიანობასთან, გამომდინარე იმ გარემოებებიდან, რომლებიც ცნობილი იყო მხარეებისათვის ხელშეკრულების დადების წინ ან ხელშეკრულების დადების მომენტში.

კონკრეტული სახელმწიფოს მატერიალური სამართლის სპეციალური ნორმები საერთაშორისო სამეურნეო ხელშეკრულების მი-

მართ გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებების მიმართ უნდა გამოიყენებოდეს მოცემული სახელმწიფოს სამართალი.

ზოგი სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს საერთაშორისო სამართლის ცალკეული ნორმების უპირატესობას ნაციონალური სამართლის ნორმებზე.

არის შემთხვევები, როდესაც ნაციონალური სამართლის ცალკეული ნორმები გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების მიმართ მაშინაც, როდესაც ხელშეკრულება რეგულირდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობით.

ზემოთ აღნიშნული ნიუ-იორკისა და ჰააგის კონვენციების გარდა, საერთაშორისო სახელშეკრულებო ურთიერთობებში ფართოდ გამოიყენება ისეთი საერთაშორისო კონვენციები და დოკუმენტები, როგორებიცაა: **1974 წლის კონვენცია ხანდაზმულობის ვადის შესახებ საერთაშორისო სახელშეკრულებო ურთიერთობებში.** კონვენცია განსაზღვრავს პირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში, მყიდველისა და გამყიდველის, ხელშეკრულების მხარეების ურთიერთმოთხოვნები, გამომდინარე მათ შორის დადებული ხელშეკრულებიდან ან ამ ხელშეკრულების დარღვევიდან, შეწყვეტიდან, ან ბათილობიდან, აღარ შეიძლება განხორციელდეს დროის გარკვეული პერიოდის ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის გამო.

1955 წლის კონვენცია საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების მიმართ გამოყენებული სამართლის შესახებ. ამ კონვენციის თანახმად, ყიდვა-გაყიდვა და შესაბამისი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობები რეგულირდება იმ ქვეყნის ნაციონალური სამართლით, რომელზეც მხარეები შეთანხმდნენ და რომელიც მითითებულია მათ შორის დადებულ ხელშეკრულებაში.

ასეთი მითითება პირდაპირ უნდა იყოს აღნიშნული ხელშეკრულებაში ან არაორაზროვნად უნდა გამომდინარეობდეს მისი შინაარსიდან.

თუ მხარეების მიერ არ არის განსაზღვრული სამართალი, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული მხარეებს შორის დადებულ ხელშეკრულებაში, გაყიდვა რეგულირდება იმ სახელმწიფოს სამართლით, სადაც არის გამყიდველის საცხოვრებელი ადგილი, ან მისი კომერციული საწარმოს ადგილმდებარეობა მის მიერ დაკვეთის მიღების მომენტში; თუ შეკვეთა მიღებული აქვს გამყიდველის სა-

წარმოს, გაყიდვა რეგულირდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც მდებარეობს ეს საწარმო.

მიუხედავად ამისა, გაყიდვა რეგულირდება იმ ქვეყნის ნაციონალური კანონმდებლობით, სადაც მუდმივად ცხოვრობს მყიდველი, ან განთავისუფლებულია დამკვეთი საწარმო, თუ შეკვეთა მიღებულია ამავე სახელმწიფოში გამყიდველის, მისი აგენტის, ან წარმომადგენლის მიერ.

სავაჭრო ტერმინების საერთაშორისო განმარტების წესები (ინკოტერმსი). ინკოტერმსის მიზანია საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში გამოყენებული ტერმინების განმარტების ერთიანი წესის შექმნა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს უნდობლობას ამ ტერმინების განმარტებისადმი სხვადასხვა ქვეყანაში. არც თუ იშვიათად, ხელშეკრულების მხარეებისათვის უცნობია კონტრაგენტის მხარის სავაჭრო პრაქტიკა, ჩვევები და ტერმინოლოგია. ეს ხშირად ხდება მხარეებს შორის უნდობლობის, გაუგებრობისა და სასამართლო თუ საარბიტრაჟო დავების მიზეზი. ამ პრობლემების თავიდან აცილებას ისახავს მიზნად **ინკოტერმსი — სავაჭრო ტერმინების საერთაშორისო განმარტებების წესები.**

მიწოდების საერთო პირობები — მიწოდების საერთო პირობები მოიცავენ ხელშეკრულების ძირითად პირობებს და წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ასეთი სახის საერთაშორისო დოკუმენტების მაგალითებია: **ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ შემუშავებული მიწოდების საერთო პირობები საინვესტიციო საქონლისათვის, მიწოდების საერთო პირობები სამომხმარებლო საქონლის იმპორტ-ექსპორტისათვის, ასევე მეთოდური მითითებები განსაკუთრებით რთული გარიგებების დასადებად და სხვა.**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია საქონლის ყიდვა-გაყიდვის საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ

(ვენის კონვენცია. მიღებულია 1980 წელს)

ვენის კონვენციის შექმნის ძირითადი მიზანი იყო ორი დაპირისპირებული ტენდენციის შერიგება, რომლებიც სერიოზულად აფერხებენ საერთაშორისო ვაჭრობისა და მთლიანად საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. ეს ტენდენციები იყო: ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების რეგულირების ნაციონალური სამართლებრივი სისტემები და თანამედროვე სავაჭრო ურთიერთობების უნივერსალური და გამოკვეთილი საერთაშორისო ბუნება.

თანამედროვე საერთაშორისო საქონელგაცვლის პროცესების ძირითადი დამახასიათებელი ტენდენციაა სამართლებრივი ნორმების უნიფიკაცია, პირველ რიგში იმ ნორმებისა, რომლებიც არეგულირებენ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

საერთაშორისო ვაჭრობაში მიმდინარე სამართლებრივი უნიფიკაციის პროცესების გარეშე წარმოუდგენელია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი განვითარება და გაღრმავება, პირველ რიგში, თანამშრომლობის ახალი ფორმების დანერგვა იმ საწარმოების ურთიერთობაში, რომლებიც მოქმედებენ სახელმწიფოებში განსხვავებული სამართლებრივი სისტემებით.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ვენის კონვენცია ძალზე მნიშვნელოვანი მიღწევაა საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი საფუძვლების კოდიფიკაციისა და უნიფიკაციის სფეროში. იგი წარმოადგენს იმ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების საერთაშორისო უნიფიკაციას, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო სავაჭრო კონტრაქტების დადების, შესრულებისა და მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხებს.

ვენის კონვენციის მოთხოვნების შესრულება აუცილებელია კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების ტერიტორიებზე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა კონტრაქტში ამაზე საუბარი.

ამდენად, კონვენცია განიხილება, როგორც მონაწილე სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემების ნაწილი, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს მისი გამოყენების სფეროს.

კონვენციის ძირითადი დებულებები.

კონვენცია გამოიყენება იმ მხარეებს შორის, რომელთა კომერციული საწარმოები მდებარეობენ სხვადასხვა ქვეყნებში და როდესაც ეს ქვეყნები წარმოადგენენ კონვენციის მონაწილეებს (მუხლი 1).

კონვენცია არ გამოიყენება ისეთი საქონლის მიმართ, როგორებიცაა:

პირადი ან საოჯახო მოხმარებისათვის შეძენილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამყიდველმა არ იცოდა და არც უნდა სცოდნოდა, რომ საქონლის შესყიდვა ხდებოდა ასეთი მიზნებისათვის.

შეძენილი ან გაყიდული აუქციონზე, ასევე სააღმასრულებლო წარმოების წესით; ფასიანი ქაღალდები და ფული; საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის ობიექტები; ელექტროენერგია (მუხლი 2).

ხელშეკრულებები პროდუქციის წარმოებაზე და მიწოდებაზე მიეკუთვნება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებს, თუ დამკვეთი მხარე არ იღებს ვალდებულებას, გამყიდველს მიაწოდოს პროდუქციის დამზადებისათვის აუცილებელი მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი.

კონვენცია არ გამოიყენება იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომლებითაც მიმწოდებელი მხარის ვალდებულებები შემოიფარგლება ძირითადად სამუშაოების შესრულებითა და მომსახურების გაწევით (მუხლი 3);

კონვენციით რეგულირდება მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადება და მხარეების უფლებები და მოვალეობები წარმოქმნილი ასეთი ხელშეკრულებიდან. კონვენცია არ ეხება უშუალოდ ხელშეკრულების, ან მისი რომელიმე ნაწილის ნამდვილობას; იმ შედეგებს, რომელიც შესაძლოა დადგეს, გაყიდულ საქონელზე ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით (მუხლი 4);

თუ მხარეებს შორის არ არსებობს სხვა შეთანხმება, კონვენცია არ მოითხოვს კონტრაქტის წერილობით გაფორმებას და არ აწესებს რაიმე შეზღუდვას კონტრაქტის ფორმაზე. არაწერილობითი

ფორმით დადებული გარიგების ნამდვილობა შესაძლოა დადასტურდეს ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის მოწმეთა ჩვენებებით (მუხლი 11, 12, 29. 96);

კონვენციის მიზნებისათვის წერილობით ფორმად ითვლება აგრეთვე შეტყობინება ტელეგრაფითა და ფაქსით;

ხელშეკრულების დადება

წინადადება ხელშეკრულების დადების შესახებ, მიმართული ერთი, ან რამდენიმე კონკრეტული პირისადმი, რომელიც შეიცავს გარკვეულ მონაცემებს და მიუთითებს წინადადების წარმომდგენის „გარკვეულ ვალდებულებებზე - წარმოადგენს „ოფერტას“.

ითვლება, რომ წინადადება შეიცავს გარკვეულ მონაცემებს, თუ მასში მითითებულია საქონელი, საქონლის მოცულობა, ფასი, ან მითითებულია ასეთი პარამეტრების განსაზღვრის წესი.

წინადადება, მიმართული პირთა გაურკვეველი ჯგუფისადმი, განიხილება, როგორც მოწვევა ოფერტის გასაკეთებლად (მუხლი 14). ოფერტა ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების მომენტში. ოფერტა შეიძლება გამოწვეულ იქნეს ოფერტის წარმომდგენის (ოფერენტის) მიერ, თუ შეტყობინებას ოფერტის გამოწვევის შესახებ ადრესატი მიიღებს ოფერტის მიღებამდე ან მასთან ერთად (მუხლი 15);

ოფერტის გამოწვევა შესაძლებელია ოფერენტის მიერ, ხელშეკრულების დადების მომენტამდე, თუ შეტყობინება ოფერტის გამოწვევის შესახებ ადრესატმა მიიღო ოფერენტისათვის აქცეპტის გაგზავნამდე (მუხლი 16).

ოფერტის გამოწვევა დაუშვებელია თუ:

ა) ოფერტზე მითითებულია, რომ იგი არ ექვემდებარება გამოწვევას;

ბ) ოფერტის ადრესატს ჰქონდა საბაბი, ოფერტა განეხილა ისე, რომ იგი არ ექვემდებარება გამოწვევას და მოქმედებდა შესაბამისად (მუხლი 16);

ოფერტა ძალადაკარგულად ითვლება, ოფერენტის მიერ ოფერტაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებისას, იმ შემთხვევებშიც, როდესაც ოფერტა არ ექვემდებარება გამოწვევას (მუხლი 17); ოფერტის ადრესატის განცხადება ან ოფერტაზე თანხმობის ნებისმიერი სხვა სახით გამოხატვა წარმოადგენს „აქ-

ცეპტს“. ადრესატის დუმილი, ან უმოქმედობა აქცეპტად არ განიხილება.

აქცეპტი ძალაში შედის: როდესაც ოფერენტი იღებს ოფერტის ადრესატის დადებით პასუხს (მუხლი 18). პასუხი ოფერტზე, რომელიც შეიცავს დამატებებს, შეზღუდვებს, ან სხვა სახის ცვლილებებს, ნიშნავს ოფერტაზე უარის თქმას და განიხილება, როგორც შემხვედრი ოფერტა; მათ შორის ცვლილებები ფასში, გადახდის წესში, საქონლის რაოდენობასა და ხარისხში, მიწოდების პირობებში განიხილება როგორც დამატებები, რომლებსაც არსებითი ცვლილებები შეაქვთ ოფერტის პირობებში (მუხლი 19);

ოფერტით დადგენილი აქცეპტის ვადის ათვლა იწყება ტელეფონოგრამის ფოსტაში ჩაბარების მომენტიდან, ან პერიოდში აღნიშნული თარიღიდან, თუ ასეთი არ არის მითითებული, მაშინ, კონვერტზე მითითებული თარიღიდან. ტელეფონით, ფაქსით ან კავშირგაბმულობის სხვა საშუალებებით ოფერტის გაგზავნისას, აქცეპტის ვადის ათვლა იწყება ადრესატის მიერ ოფერტის მიღების მომენტიდან.

სახელმწიფო დღესასწაულები და უქმე დღეები, რომლებიც გვხვდება აქცეპტის ვადის განმავლობაში, არ გამოიქვითება აქცეპტის ვადიდან. იმ შემთხვევებში, როდესაც აქცეპტის ჩაბარების ვადის ბოლო დღე ემთხვევა სახელმწიფო დღესასწაულს ან უქმე დღეს, აქტეპტის ჩაბარების ვადა გრძელდება მომდევნო პირველ სამუშაო დღემდე (მუხლი 20);

მიუხედავად ამისა, დაგვიანებული აქცეპტი ინარჩუნებს აქცეპტის ძალას, თუ ოფერენტი დაუყოვნებლივ გაუგზავნის აქცეპტანტს შესაბამის შეტყობინებას (მუხლი 21);

აქცეპტი შესაძლოა გაუქმდეს, თუ შეტყობინებას აქცეპტის გაუქმებაზე ოფერენტი მიიღებს აქცეპტის ძალაში შესვლამდე (მუხლი 22);

ხელშეკრულება ითვლება დადებულად, როდესაც ძალაში შედის ოფერტის აქცეპტი წინამდებარე კონვენციის დებულებების შესაბამისად (მუხლი 23);

კონვენციის მიზნებისათვის ოფერტა განცხადება აქცეპტის შესახებ ან ხელშეკრულების დადების შესახებ, ნებისმიერი სხვა სახით გამოხატული თანხმობა ითვლება „მიღებულად“, როდესაც აღნიშნულის შესახებ ადრესატს ეცნობა სიტყვიერად ან გადაეცა მას

პირადად, ნებისმიერი საშუალებით, მის კომერციულ საწარმოში, ან საწარმოს იურიდიულ მისამართზე თუ მხარეს არა აქვს კომერციული საწარმო ან იურიდიული მისამართი, მაშინ მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე (მუხლი 24);

საქონლის ყიდვა-გაყიდვა

ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევა ითვლება არსებითად, თუ იგი მეორე მხარეს აყენებს ზიანს, რომლის შედეგადაც იგი მნიშვნელოვანწილად კარგავს იმას, რასაც მიიღებდა ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში:

განცხადებას, ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ, ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გაკეთებულია ერთ-ერთი მხარის მიერ წერილობით (მუხლი 26);

ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს მხარეების უბრალო შეთანხმებით, სიტყვიერი, სატელეფონო, ან ნებისმიერი სხვა სახის შეტყობინებით.

წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მის შეცვლას, ან შეწყვეტას მხარეების მხოლოდ წერილობითი შეთანხმებით - არ შეიძლება შეიცვალოს სხვა ფორმით (მუხლი 29);

გამყიდველის ვალდებულებები

გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი, გადასცეს მასთან დაკავშირებული დოკუმენტები და საქონელზე საკუთრების უფლება ხელშეკრულებისა და წინამდებარე კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად (მუხლი 30).

თუ მხარემ არ ივალდებულა საქონლის მიწოდება, რომელიმე კონკრეტულ ადგილზე, მიწოდების საკითხში მისი ვალდებულება შემოიფარგლება:

ა. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს საქონლის გადაზიდვას, მისი გადაცემით მყიდველის, ან გადამზიდავისათვის;

ბ. თუ საქონლის ინდივიდუალური ნიშნების, ან მისი მარაგების განთავსების ადგილის მიხედვით მხარეებისათვის წინასწარ იყო ცნობილი საქონლის გადაცემის ადგილი, მყიდველს საქონელი გადასცეს ამ ადგილზე;

გ. ყველა სხვა შემთხვევაში გადასცეს საქონელი მყიდველს იმ ადგილზე, სადაც ხელშეკრულების დადების მომენტში განთავსე-

ბული იყო გამყიდველის საწარმო (მუხლი 31); თუ გამყიდველი ხელშეკრულებისა და წინამდებარე კონვენციის თანახმად, საქონელს გადასცემს გადამზიდავს, იგი ვალდებულია შეატყობინოს მყიდველს გაგზავნის შესახებ საქონლის მითითებით.

თუ გამყიდველს ნაკისრი აქვს საქონლის გადაზიდვის უზრუნველყოფა, იგი ვალდებულია დადოს გადამზიდავთან ისეთი ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს მოცემულ კონკრეტულ პირობებში საქონლის ტრანსპორტირების სათანადო პირობებს.

თუ გამყიდველი არ არის ვალდებული, დააზღვიოს საქონელი გადაზიდვისას, იგი ვალდებულია მყიდველის მოთხოვნით გადასცეს მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ტვირთის დასაზღვევად მყიდველის მიერ (მუხლი 32).

გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი:

ა) თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს თარიღს, ან, იძლევა თარიღის განსაზღვრის საშუალებას - ამ თარიღში;

ბ) თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს პერიოდს, ან, იძლევა საშუალებას პერიოდის განსაზღვრისას - ამ პერიოდის ნებისმიერ მომენტში;

გ) ყველა სხვა შემთხვევაში - გონივრული ხელშეკრულების დადების შემდეგ (მუხლი 33);

თუ გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს დოკუმენტები, მან ეს უნდა გააკეთოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ფორმით, წესითა და ადგილზე. თუ ეს მოთხოვნა არ იქნება შესრულებული, ან შესრულდება არასრულად, მყიდველი ინარჩუნებს უფლებას, მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება წინამდებარე კონვენციის თანახმად (მუხლი 34);

საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან

გამყიდველის მიერ მყიდველისათვის მიწოდებული საქონელი: ხარისხით, რაოდენობით, შეფუთვითა და ტარით უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

თუ მხარეებს შორის არ არსებობს სხვა შეთანხმება, მიწოდებული საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს თუ:

ა. არ გამოდგება იმ მიზნებისათვის, რომლისთვისაც, ჩვეულებრივ, გამოიყენება მოცემული სახის საქონელი;

ბ. არ გამოიყენება ნებისმიერი იმ კონკრეტული მიზნისათვის, რომელთა შესახებ გამყიდველი პირდაპირ ან ირიბად იყო ინფორმირებული მყიდველის მიერ;

გ. არა აქვს ის ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომლებიც ჰქონდა გამყიდველის მიერ წარმოდგენილ ნიმუშსა და მოდელს;

დ. დარღვეულია ტარისა და შეფუთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია საქონლის საიმედოდ დაცვისა და შენახვის უზრუნველსაყოფად; გამყიდველი არ აგებს პასუხს იმ შეუსაბამობაზე, რომლებიც მოყვანილია ა-დ ქვეპუნქტებში, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში მყიდველმა არ იცოდა ან არ შეიძლებოდა ცოდნოდა ასეთი შეუსაბამობების შესახებ (მუხლი 35).

კონვენციის მოცემული მუხლი ძალზე ფართო და ნაკლებად კონკრეტულ განმარტებას აძლევს საქონლის შეუსაბამობას ხელშეკრულების მოთხოვნებისადმი. მასში არ არის მითითება საქონლისა და ტარის მარკირებაზე, საგარანტიო და სასარგებლო გამოყენების ვადებზე, ნორმატიულ ტექნიკურ დოკუმენტებზე და საქონლის იდენტიფიკაციის სხვა აუცილებელ მხარეებზე. ასეთი მიდგომის შედეგად, მოსალოდნელია მყიდველის მხრიდან სერიოზული პრობლემები ისეთი საქონლის მიღებისას, რომელიც არ აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს. ამისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ხელშეკრულებაში მაქსიმალურად ნათლად იქნეს ჩამოყალიბებული და შეთანხმებული პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქონლის ცალსახა და სრულ იდენტიფიკაციას (შემდგომში მოყვანილია კონვენციის წარმოდგენილი მუხლის მოკლე კომენტარი).

გამყიდველი პასუხს აგებს ხელშეკრულებისა და წინადებარე კონვენციის მიხედვით, საქონლის ნებისმიერ შეუსაბამობაზე, რომელიც არსებობს რისკის მყიდველზე გადასვლის მომენტში, მაშინაც კი, როდესაც ეს შეუსაბამობა ნათელი ხდება მოგვიანებით.

გამყიდველი ასევე პასუხისმგებელია ნებისმიერი შეუსაბამობისათვის, რომლებიც წარმოიშობა მყიდველზე რისკის გადასვლის შემდეგ და წარმოადგენს მის მიერ ნაკისრი ნებისმიერი, მათ შორის, საგარანტიო ვალდებულების დარღვევის შედეგს (მუხლი 36);

საქონლის ვადამდე მიწოდების შემთხვევაში, გამყიდველი ინარჩუნებს უფლებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდების ვა-

დის დადგომამდე მოახდინოს საქონლის დარჩენილი ნაწილის მიწოდება, ან ახლით შეცვალოს საქონლის ის ნაწილი, რომელიც რაიმე კონკრეტული მაჩვენებლებით არ შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს, ასევე გამოასწოროს ნებისმიერი გამოვლენილი შეუსაბამობა ისე, რომ ასეთმა ქმედებამ არ მიაყენოს მყიდველს არსებითი ზიანი ან გამოიწვიოს მისი მხრიდან რაიმე ხარჯები. ამავე დროს, მყიდველი ინარჩუნებს უფლებას, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება წინამდებარე კონვენციის შესაბამისად (მუხლი 37).

მიზანშეწონილია, ხელშეკრულებაში გარკვევით იყოს მითითებული ვადაზე ადრე მიწოდების პირობები, კერძოდ დროის კონკრეტული დიაპაზონი, ვადაზე ადრე მიწოდებული საქონლის მაქსიმალური მოცულობა და სხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვადამდე მიწოდებულმა საქონელმა შესაძლოა სერიოზული პრობლემები შეუქმნას მყიდველს; მათ შორის: გადმოტვირთვის, სასაწყობო მეურნეობის, შენახვის, დაცვისა და სხვა.

მყიდველი ვალდებულია დაათვალიეროს საქონელი ან უზრუნველყოს ასეთი დათვალიერება ისეთ მოკლე დროში, რაც პრაქტიკულადაა შესაძლებელი მოცემულ კონკრეტულ პირობებში:

თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს საქონლის გადაზიდვას, შესაძლოა დათვალიერებების გადადება საქონლის დანიშნულ ადგილზე მისვლამდე (მუხლი 38). ამ მუხლში მკაფიოდ არ ჩანს, რას გულისხმობს ტერმინი „დათვალიერება". სასურველია ხელშეკრულებაში გარკვევით იქნეს მითითებული საქონლის გამყიდველისგან მყიდველისთვის გადაცემის პირობები, მისაღები საქონლის შემოწმების მოცულობები და წესები.

ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა, გაუმართლებლად იქნეს მიჩნეული საქონლის დათვალიერება-შემოწმების გადადება მისი დანიშნულების ადგილზე მისვლამდე. ასეთ შემთხვევებში რაიმე არსებითი შეუსაბამობის გამოვლენა აუცილებლად გამოიწვევს მიწოდების ვადების დარღვევას და შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეუქმნას მყიდველს.

მყიდველი კარგავს უფლებას დასვას საკითხი მიღებული საქონლის ხელშეკრულებასთან შეუსაბამობაზე, თუ იგი შეუსაბამობის გამოვლენის შემდეგ დროულად არ შეატყობინებს გამყიდველს გამოვლენილი შეუსაბამობების შესახებ.

ყველა შემთხვევაში მყიდველი კარგავს უფლებას, დასვას საკითხი საქონლის ხელშეკრულებასთან შეუსაბამობის შესახებ, თუ იგი გამოვლენილი შეუსაბამობების შესახებ არ შეატყობინებს გამყიდველს ორი წლის განმავლობაში - მისთვის საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემის მომენტიდან, თუ ეს ვადა არ ეწინააღმდეგება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგარანტიო ვადას (მუხლი 39);

სასურველია ხელშეკრულებაში გარკვევით იქნეს მითითებული საგარანტიო, გამოვლენილი შეუსაბამობების შეტყობინების ვადები და ფორმები. შეუსაბამობის გამოვლენის შესახებ გამყიდველისათვის შეტყობინების გაჭიანურებამ შესაძლოა გააძნელოს შეუსაბამობის მიზეზებისა და მასშტაბების დადგენა.

გამყიდველი პასუხისმგებელია იმაზე, რომ მის მიერ მყიდველისათვის მიწოდებული საქონელი უფლებრივად თავისუფალი იყოს მესამე პირების ნებისმიერი მოთხოვნისაგან, მათ შორის, სამრეწველო და ინტელექტუალურ საკითხებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მყიდველი თანახმაა, მიიღოს ასეთი მოთხოვნებით დატვირთული საქონელი (მუხლი 41);

ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გამყიდველი თავისუფლდება, თუ:

ა) მყიდველმა იცოდა, ან უნდა სცოდნოდა მესამე პირის ასეთი უფლებების შესახებ, ან

ბ) ასეთი უფლებები წარმოიშვა მყიდველის მიერ მოწოდებული ნახაზების, ტექნოლოგიების, ან ინტელექტუალური საკუთრების სხვა ფორმების გამოყენებით (მუხლი 42). მყიდველი კარგავს უფლებას, დასვას საკითხი 41-ე და 42-ე მუხლებით განსაზღვრულ გამყიდველის ვალდებულებებზე, თუ იგი დროულად არ შეატყობინებს გამყიდველს მისთვის გადატვირთული საქონლისადმი მესამე პირის მოთხოვნების გამოვლენის თაობაზე, მას შემდეგ, რაც მან შეიტყო, ან უნდა შეეტყო ამის შესახებ (მუხლი 43).

სამართლებრივი დაცვის საშუალებები

გამყიდველის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევებში, თუ გამყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულებათა და წინამდებარე კონვენციით განსაზღვრულ რომელიმე ვალდებულებას, მყიდველს უფლება აქვს:

ა. განახორციელოს ხელშეკრულებით, ან კონვენციის 46-ე და 52-ე მუხლებით მინიჭებული უფლებები;

ბ. მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულებით ან კონვენციის 74-77-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით.

მყიდველის მიერ სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებების გამოყენება არ ართმევს მას უფლებას, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სასამართლოს არა აქვს უფლება, მისცეს გამყიდველს რაიმე გადავადება, თუ მყიდველი მიმართავს სამართლებრივი დაცვის რომელიმე საშუალებას, გამყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში (მუხლი 46);

მყიდველს უფლება აქვს, მოითხოვოს გამყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მყიდველი არ მიმართავს სამართლებრივი დაცვის ისეთ საშუალებას, რომელიც არ შეესაბამება მყიდველის მოთხოვნებს.

თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებას, მყიდველს მისი შეცვლის მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევებში თუ: გამოვლენილი შეუსაბამობა წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით დარღვევას და მოთხოვნა, საქონლის შეცვლის შესახებ გამყიდველს წარედგინა, შეუსაბამობის შესახებ შეტყობინებასთან ერთად ან გონივრულ ვადაში ასეთი შეტყობინების წარდგენის შემდეგ.

მყიდველს შეუძლია მოსთხოვოს გამყიდველს, გამოასწოროს გამოვლენილი შეუსაბამობები, გარდა ამ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი გამოსწორება მიუღებელია მყიდველისათვის რიგი გარემოებების გათვალისწინებით. მოთხოვნა გამოსწორების შესახებ გამყიდველს უნდა წარედგინოს, საქონლის ხელშეკრულებასთან შეუსაბამობის შესახებ მისთვის წარდგენილ შეტყობინებასთან ერთად, ან გამართლებულ დროში ასეთი შეტყობინების წარდგენის შემდეგ (მუხლი 46).

ხელშეკრულების მომზადების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ გარემოებების ჩამოყალიბებას, რომლებიც განსაზღვრავენ საქონლის ხელშეკრულებასთან შესაბამისობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონვენციის დებულებებმა **„ხელშეკრულების არსებითი დარღვევა“** და **„გონივრულ ვადაში გამოვლენილი შეუსაბამობების გამოსწორება“**, შესაძლოა, სერიოზული პრობლემები გაუჩინოს მყიდველს.

მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება:

ა. თუ გამყიდველის მიერ ხელშეკრულების მოთხოვნებისა და კონვენციის შეუსრულებლობა წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით დარღვევას, ან

ბ. თუ გამყიდველი არ მიაწოდებს მყიდველს დათქმულ დამატებით დროში ან თუ იგი უარს იტყვის საქონლის მიწოდებაზე;

თუ გამყიდველმა მყიდველს მიაწოდა საქონელი, მყიდველი კარგავს უფლებას განაცხადოს ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებითად არის დარღვეული მიწოდების ვადები (მუხლი 49).

თუ მიწოდებული საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს, მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ფასდაკლება. თუ გამყიდველი დროულად გამოასწორებს გამოვლენილ შეუსაბამობებს ისე, რომ ასეთი გამოსწორება ზიანს არ მიუტანს მყიდველს, ამ უკანასკნელს არა აქვს უფლება მოითხოვოს ფასდათმობა (მუხლი 50).

თუ გამოვლენილი შეუსაბამობები ეხება მხოლოდ საქონლის ნაწილს, ან გამფყიდველი მყიდველს მიაწოდებს შეთანხმებული რაოდენობის მხოლოდ ნაწილს, კონვენციის 46-50 მუხლების დებულებები გამოიყენება საქონლის მიუწოდებელი და ხელშეკრულების მოთხოვნებისადმი შეუსაბამო ნაწილის მიმართ."

მყიდველს უფლება აქვს განაცხადოს ხელშეკრულების მთლიანად გაუქმების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების ნაწილობრივი შესრულება ან მიწოდებული საქონლის ნაწილის შეუსაბამობა ხელშეკრულების მოთხოვნებისადმი წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით დარღვევას (მუხლი 51). თუ გამყიდველი მიაწოდებს საქონელს დათქმულ ვადამდე, მყიდველს შეუძლია უარი თქვას მის მიღებაზე; თუ გამყიდველი მიაწოდებს საქონლის დათქმულზე მეტ რაოდენობას, მყიდველს შეუძლია არ მიიღოს ზედმეტი საქონელი. თუ მყიდველი მიიღებს ზედმეტად მიწოდებულ საქონელს მთლიანად, ან ნაწილობრივ, იგი ვალდებულია გადაიხადოს სახელშეკრულებო ფასი (მუხლი 52).

მყიდველის ვალდებულებები

მყიდველი ვალდებულია, მიიღოს მიწოდებული საქონელი და გადაიხადოს მისი ფასი ხელშეკრულებით და წინამდებარე კონვენციით განსაზღვრული წესით (მუხლი 53).

იმ შემთხვევებში, როდესაც სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად გაფორმებულ ხელშეკრულებაში არც პირდაპირ და არც ირიბად არ არის მითითებული საქონლის ფასი და ანგარიშსწორების წესი, ასევე არ არის მითითებული მათი განსაზღვრის წესი და თუ სხვა რამ არ არის მითითებული, იგულისხმება ფასები ანალოგიურ საქონელზე, ხელშეკრულების დადების მომენტში, მსგავს გარემოებებში და ბაზრის შესაბამის სფეროში (მუხლი 55).

თუ ფასი დადგენილია საქონლის წონის მიხედვით, სადაო სიტუაციებში ფასი განისაზღვრება სუფთა (ნეტო) წონის მიხედვით (მუხლი 56); თუ მყიდველი არ არის ვალდებული, ფასი გადაიხადოს რომელიმე გარკვეულ მითითებულ ადგილზე, ვალდებულია გამყიდველთან ანგარიშსწორება მოახდინოს:

ა) გამყიდველის საწარმოში;

ბ) თუ ანგარიშსწორება უნდა მოხდეს საქონლის გადაცემისას, მაშინ საქონლის გადაცემის ადგილზე;

დამატებითი ხარჯები, გამოწვეული გამყიდველის მიერ ანგარიშსწორების წესის შეცვლით ხელშეკრულების დადების შემდეგ, მიეკუთვნება გამყიდველს (მუხლი 57).

თუ მყიდველი არ არის ვალდებული, ანგარიშსწორება მოახდინოს რომელიმე სხვა ვადაში, მან ფული უნდა გადაიხადოს იმ მომენტში, როდესაც გამყიდველი მას გადასცემს საქონელს, ან სათანადო სასაქონლო დოკუმენტაციას. გამყიდველს უფლება აქვს საქონლის გადაცემა განაპირობოს მყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდით.

თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს საქონლის გადატვირთვას, გამყიდველს უფლება აქვს, მყიდველს გადაუტვირთოს საქონელი იმ პირობით, რომ იგი საქონელსა და სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტაციას მიიღებს მხოლოდ გადახდის შემთხვევაში.

მყიდველი არ არის ვალდებული, გადაიხადოს საქონლის ღირებულება, სანამ მას არ მიეცემა საშუალება, დაათვალიეროს საქონელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეებს შორის შეთანხმებული მიწოდების პირობები არ ითვალისწინებს ასეთ დათვალიერებას (მუხლი 58).

მყიდველი ვალდებულია ანგარიშსწორება მოახდინოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, გამყიდველისათვის დამატებითი შეკითხვების, ან მისი მხრიდან რაიმე დამატებითი ფორმალობების გარეშე (მუხლი 59);

საქონლის მიღება

მყიდველის ვალდებულება, მიიღოს საქონელი გულისხმობს:

ა) ყველა იმ პროცედურების შესრულებას, რომელიც საშუალებას მისცემს გამყიდველს, დაასრულოს მიწოდება;

ბ) მყიდველის მიერ საქონლის მიღებას (მუხლი 60);

საქონლის მიღებისას მყიდველმა ყურადღებით უნდა შეამოწმოს:

ა) რამდენად შეესაბამება მიღებული საქონლის მოცულობა, შეფუთვა, მარკირება ხელშეკრულების მოთხოვნებს;

ბ) საქონლის ის ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომელთა შემოწმება და განსაზღვრა შესაძლებელია საქონლის მიღების პროცესში;

გ) თანმხლები სასაქონლო და სატრანსპორტო დოკუმენტაცია. ამ პროცედურების შედეგად შესაძლოა გამოვლინდეს ხელშეკრულების დარღვევის ისეთი გარემოებები, რომელთა გამოვლენა შემდგომ ეტაპებზე გაართულებს მყიდველის მდგომარეობას.

სასურველია მიღებული საქონლის შემოწმების ფორმები, წესები და მოცულობა გარკვევით იყოს მითითებული ხელშეკრულებაში.

სამართლებრივი დაცვის საშუალებები მყიდველის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში

როდესაც მყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულებითა და კონვენციით განსაზღვრულ ვალდებულებებს, გამყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონვენციის 62-ე და 65-ე მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები;

ბ) მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

გამყიდველის მიერ სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებების გამოყენება არ ართმევს მას უფლებას, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სასამართლოს ან არბიტრაჟს არა აქვს რაიმე გადავადების უფლება მყიდველისათვის, თუ გამყიდველი მიმართავს სამართლებრივი დაცვის რომელიმე საშუალებას მყიდველის მიერ ხელშეკრულების დარღვევისათვის (მუხლი 61);

გამყიდველს უფლება აქვს, მოსთხოვოს მყიდველს საქონლის მიღება, საფასურის გადახდა და ხელშეკრულებით განსაზღვრული

სხვა ვალდებულებების შესრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამყიდველი მიმართავს ასეთი მოთხოვნებისათვის შეუთავსებელ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს (მუხლი 62).

გამყიდველს შეუძლია დაადგინოს მყიდველის მიერ ვალდებულებების შესრულების ახალი ვადები. ამავე დროს, გამყიდველი ინარჩუნებს უფლებას მოითხოვოს დროულად გადაუხდელობის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მუხლი 63).

გამყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება:

ა) თუ მყიდველის მიერ ხელშეკრულებით, ან წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით დარღვევას.

ბ) თუ მყიდველი დამატებით ვადაში არ მოახდენს საქონლის მიღებასა და საფასურის გადახდას, ან განაცხადებს, რომ იგი დადგენილ ვადაში არ მიიღებს საქონელს და არ მოახდენს ანგარიშსწორებას (მუხლი 64).

თუ ხელშეკრულების პირობების მიხედვით მყიდველი ვალდებულია, შეადგინოს საქონლის ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა: ფორმა, მასა, ხარისხობრივი პარამეტრები და იგი არ შეადგენს და არ წარუდგენს გამყიდველს ასეთ სპეციფიკაციას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, გამყიდველი უფლებას იტოვებს, თვითონ შეადგინოს ასეთი სპეციფიკაცია მყიდველის ისეთი მოთხოვნების მიხედვით, რომლებიც შესაძლოა ცნობილი იყოს გამყიდველისათვის.

იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველი თვითონ ადგენს სპეციფიკაციას, იგი ვალდებულია მყიდველს შეატყობინოს სპეციფიკაციის შინაარსის შესახებ, დაუთქვას ვადა სპეციფიკაციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანისათვის. თუ ასეთი შეტყობინების შემდეგ გამყიდველი არ დააზუსტებს სპეციფიკაციას და დათქმულ დროში არ წარუდგენს გამყიდველს, გამყიდველის მიერ შედგენილი სპეციფიკაცია იძენს სავალდებულო ძალას (მუხლი 65).

რისკის გადასვლა

საქონლის გაფუჭება ან დაკარგვა, მას შემდეგ რაც რისკი გადავიდა მყიდველზე, არ ათავისუფლებს მას ფასის გადახდის ვალდებულებისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქონლის გაფუჭება, ან დაკარგვა გამოწვეული იყო გამყიდველის ქმედობით, ან უმოქმედობით (მუხლი 67).

თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს საქონლის ტრანსპორტირებას და გამყიდველი არ არის ვალდებული, საქონელი გადასცეს მყიდველს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პუნქტში, რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტში, როდესაც საქონელი გადაეცემა პირველ გადამზიდავს მყიდველისათვის გადასაცემად. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს გამყიდველის ვალდებულებას, საქონელი გადასცეს მყიდველს განსაზღვრულ პუნქტში, რისკი მყიდველზე გადადის მხოლოდ მისთვის საქონლის გადაცემის მომენტში.

მიუხედავად ამისა, რისკი მყიდველზე არ გადადის, სანამ არ მოხდება საქონლის სრული იდენტიფიკაცია ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად შემოწმებისა და სასაქონლო სატრანსპორტო დოკუმენტების მეშვეობით (მუხლი 68).

მყიდველისა და გამყიდველის საერთო ვალდებულებები

მხარეს უფლება აქვს, შეაჩეროს თავისი ვალდებულებების შესრულება, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ ცნობილი გახდება, რომ მეორე მხარე არ შეასრულებს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მნიშვნელოვან ნაწილს;

ამის მიზეზი შესაძლოა იყოს:

ა) საწარმოს უუნარობა შეასრულოს ვალდებულებები (პრობლემები გადახდისუნარიანობაში);

ბ) მის მიერ განხორციელებული არასაკმარისი საქმიანობა ხელშეკრულების შესრულების პირველ ეტაპზე;

თუ გამყიდველმა მყიდველს საქონელი გადაუგზავნა იმ საფუძვლის გამოვლენამდე, რომლებიც ეჭვის ქვეშ აყენებს მყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულებას, გამყიდველს შეუძლია წინ აღუდგეს მყიდველისათვის საქონლის გადაცემას მაშინაც, როდესაც მყიდველს უკვე მიღებული აქვს სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტები.

მხარე, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ხელშეკრულების შესრულებას შეჩერების შესახებ, მიუხედავად იმისა, ეს მოხდება საქონლის მყიდველისათვის გაგზავნამდე თუ ამის შემდეგ, იგი ვალდებულია მიღებული გადაწყვეტილების შესახებ შეატყობინოს მეორე მხარეს და განაგრძოს ხელშეკრულების შესრულება, თუ მეორე მხარე წარმოადგენს დასაბუთებულ გარანტიებს თავისი ვალდებულებების შესასრულებლად (მუხლი 71).

თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების თარიღამდე მხარისათვის ცნობილი გახდება, რომ მეორე მხარე არსებითად დაარღვევს ხელშეკრულებას, უფლება აქვს განაცხადოს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. თუ დრო ამის საშუალებას იძლევა, მხარემ, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს დასაბუთებული შეტყობინება, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს უზრუნველყოს მის მიერ ხელშეკრულების შესრულების საკმარისი გარანტიები (მუხლი 72);

ეს, ერთი შეხედვით, ზოგადი მუხლი, უფლებას აძლევს ხელშეკრულების მონაწილე მხარეს, პრაქტიკულად ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გააუქმოს ხელშეკრულება იმ მოტივით, რომ მისთვის ცნობილი გახდა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შესაძლო არსებითი დარღვევის შესახებ. თუ წინა 71-ე მუხლში აღნიშნული იყო ხელშეკრულება შესრულების შეწყვეტის შესახებ პრაქტიკულად ანალოგიურ პირობებში, მოცემული მუხლი მხარეს უფლებას აძლევს შეწყვიტოს ხელშეკრულება. არანაკლებ ფართო და ზოგადი ცნებაა – **„თუ დრო ამის საშუალებას იძლევა“**. ამ მუხლის გამოყენებამ შესაძლოა სერიოზული სირთულეები შეუქმნას ორივე მხარეს, განსაკუთრებით კი მას, რომლის მიმართაც აღიძვრება ეჭვი ხელშეკრულების შესაძლო შეუსრულებლობის შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულებაში კონკრეტულად უნდა იქნეს მითითებული ხელშეკრულების შეჩერებისა და შეწყვეტის პირობების შესახებ. ასევე ასეთი პირობების გამოვლენის შემთხვევაში – მეორე მხარის დროული შეტყობინების შესახებ.

თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს მიწოდებას ცალკეული პარტიებით, ნებისმიერი მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ნებისმიერ პარტიასთან მიმართებაში ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად ამ პარტიასთან მიმართებაში. შესაბამისად, მეორე მხარეს შეუძლია განაცხადოს ხელშეკრულების მოშლის შესახებ კონკრეტულად ამ პარტიასთან მიმართებაში.

თუ ერთი მხარის მიერ მისი რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობა ნებისმიერი პარტიის მიმართ მეორე მხარეს აძლევს საფუძველს ჩათვალოს, რომ იგივე გამეორდება დანარჩენი პარტიების მიმართაც, მას უფლება აქვს განაცხადოს ხელშეკრულების მოშლის შესახებ, იმ პირობით, რომ იგი დროულად გააკეთებს ასეთ განცხადებას.

მყიდველს, რომელიც აცხადებს ხელშეკრულების მოშლის შესახებ, რომელიმე ერთ პარტიასთან მიმართებაში, უფლება აქვს იმავდროულად განაცხადოს ხელშეკრულების მოშლის შესახებ უკვე მიწოდებული და მისაწოდებელი პარტიების მიმართაც. მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგაპირობებულობის მიზეზით, ისინი არ შეიძლება გამოყენებული იქნან ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისათვის (მუხლი 73).

ეს მუხლი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ შესაძლო სიძნელეებზე, რომლებიც შესაძლოა წარმოექმნას მხარეს, თუ იგი ხელშეკრულებაში ცალსახად არ მიუთითებს: პროდუქციის ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ტრანსპორტირების, შეფუთვისა და მარკირების პირობებს, ანგარიშსწორების წესებსა და რაც არა ნაკლებ არსებითია, ხელშეკრულების შეჩერების, შეწყვეტისა თუ მოშლის შესაძლო მიზეზებსა და მოტივებს.

ზარალი

მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შედეგად გამოწვეული ზარალი არის იმ ზიანის თანხა მიუღებელი სარგებლის ჩათვლით, რომელიც მიადგა მეორე მხარეს ხელშეკრულების დარღვევის შედეგად.

ასეთი ზარალი არ უნდა აღემატებოდეს იმ ზიანს, რომელიც ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს უნდა გაეთვალისწინებინა, ან შეეძლო გაეთვალისწინებინა ხელშეკრულების დადების მომენტში, როგორც ამ ხელშეკრულების დადების შესაძლო შედეგები, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც ამ მომენტში მისთვის იყო ცნობილი, ან უნდა ყოფილიყო ცნობილი (მუხლი 74).

თუ ხელშეკრულება მოიშალა და ასეთი მოშლის შემდეგ გამყიდველმა გაყიდა, ან მყიდველმა იყიდა შემცვლელი საქონელი, მხარეს, რომელიც მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას, უფლება აქვს მიიღოს სხვაობა სახელშეკრულებო ფასსა და სანაცვლოდ შესრულებული გარიგების ფასს შორის და ასევე ნებისმიერი სხვა ზიანის ანაზღაურება კონვენციის 74-ე მუხლის მიხედვით (მუხლი 75).

თუ ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონელზე არსებობს მიმდინარე ფასი, მხარეს, რომელსაც არ განუხორციელებია 75-ე მუხლით გათვალისწინებული შესყიდვა, ან გაყიდვა, უფლება აქვს მოითხოვოს სხვაობა

ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფასსა და საქონლის მიმდინარე ფასს შორის ხელშეკრულების მოშლის მომენტში, ასევე ყველა სხვა ზარალის ანაზღაურება 74-ე მუხლის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ მხარემ ხელშეკრულება მოშალა საქონლის მიღების შემდეგ და მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას, ხელშეკრულების მოშლის მომენტში მოქმედი მიმდინარე ფასის ნაცვლად გამოიყენება მიმდინარე ფასი საქონლის მიღების მომენტში.

წინა პუნქტის მიზნებისათვის მიმდინარედ მიიჩნევა ფასი, რომელიც მოქმედებს იმ ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც ხდება საქონლის მიწოდება. თუ ამ გარემოში არ არსებობს მიმდინარე ფასი, მიმდინარე ფასად მიიღება ფასი, რომელიმე სხვა ადგილზე (რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს გამართლებულ შემცვლელად), სატრანსპორტო ხარჯებში განსხვავების გათვალისწინებით (მუხლი 76).

მხარე, რომელიც აცხადებს ხელშეკრულების დარღვევის შესახებ, ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები, მოცემულ ვითარებაში ზარალის შესამცირებლად, მიუღებელი სარგებლის დარღვევის შედეგად. თუ მხარე ასეთ ზომებს არ მიიღებს, მხარეს, რომლებმაც დაარღვია ხელშეკრულება, უფლება აქვს მოითხოვოს ასანაზღაურებელი ზარალის იმ თანხით შემცირება, რომლითაც იგი შეიძლება შემცირებულიყო მეორე მხარის მიერ სათანადო ზომების მიღების შემთხვევაში (მუხლი 17);

პროცენტები

თუ მხარე დაარღვევს საქონლის ფასის, ან ნებისმიერი სხვა გადასახდელის გადახდის ვადას, მეორე მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს პროცენტი დროულად გადაუხდელი თანხიდან. პროცენტის მოთხოვნა არ ამცირებს მხარის უფლებას, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება 74-ე მუხლის საფუძველზე.

პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება

მხარე არ აგებს პასუხს ნებისმიერი მისი ვალდებულების შეუსრულებლობაზე, თუ დაამტკიცებს, რომ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის გარემოებებით, და რომ მას არ შეეძლო ასეთი გარემოებების პროგნოზირება და გათვალისწინება ხელშეკრულების დადების მომენტში, მისი თაეიდან აცილება, ან დაძლევა (მუხლი 79).

თუ მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია მესამე პირის მიზეზით, რომელიც მხარემ მოიწვია ხელშეკრულების ან მისი ნაწილის შესასრულებლად, მხარე პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას ექვემდებარება კონვენციის 78-ე მუხლის საფუძველზე:

პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება, გათვალისწინებული წინამდებარე მუხლის საფუძველზე, ვრცელდება მხოლოდ იმ პერიოდით, რომლის განმავლობაშიც გრძელდება დაუძლეველი ძალის გარემოებები.

მხარე, რომელიც განიცდის დაუძლეველი ძალის გარემოებების ზემოქმედებას, ვალდებულია მეორე მხარეს დროულად შეატყობინოს ასეთი გარემოებების მოქმედებასა და მათი გავლენის შესახებ მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. თუ მეორე მხარე დროულად არ მიიღებს შეტყობინებას მას შემდეგ, რაც დაუძლეველი ძალის გარემოებების შესახებ ცნობილი გახდა, ან უნდა გამხდარიყო ცნობილი მხარისათვის, რომელიც ვერ ასრულებს ხელშეკრულებას, ეს უკანასკნელი მხარე პასუხს აგებს იმ ზარალისათვის (ზიანით), რომელიც გამოიწვია შეტყობინების მიუღებლობამ.

მოცემული მუხლი არ ეწინააღმდეგება მხარეების მიერ მათი ნებისმიერი უფლების განხორციელებას, გარდა ზარალის (ზიანის) ანაღზაურების მოთხოვნისა, წინამდებარე კონვენციის საფუძველზე (მუხლი 79).

ხელშეკრულების მოშლის შედეგები

ხელშეკრულების მოშლა ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუმცა, ისინი მოიპოვებენ უფლებას, მოითხოვონ ზარალის (ზიანის) ანაზღაურება. ხელშეკრულების მოშლა არ ვრცელდება ხელშეკრულების იმ დებულებებზე, რომლებიც არეგულირებენ დავების გადაწყვეტისა და მხარეების ვალდებულებების საკითხებს ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში.

მხარე, რომელმაც შეასრულა ხელშეკრულება მთლიანად, ან ნაწილობრივ, უფლებამოსილია მოსთხოვოს მეორე მხარეს მიწოდებული საქონლის, ან გადახდილი თანხის დაბრუნება. თუ ორივე

მხარეა ვალდებული, დააბრუნოს მიღებული საქონელი და ფული. მათ ეს უნდა შეასრულონ ერთდროულად (მუხლი 81).

მყიდველი კარგავს ხელშეკრულების მოშლის ან მიღებული საქონლის შეცვლის მოთხოვნის უფლებას, თუ მას არა აქვს საშუალება დაუბრუნოს გამყიდველს მიღებული საქონელი იმ სახით, როგორითაც მან იგი მიიღო.

ეს პუნქტი არ გამოიყენება, თუ:

ა. საქონლის პირვანდელი სახით ან საერთოდ, საქონლის დაბრუნების შეუსრულებლობა არ არის გამოწვეული მისი ქმედებით ან დაუდევრობით;

ბ. თუ საქონლის ნაწილი გაყიდული, გამოყენებული ან გადამუშავებულ იქნა ნორმალური საქმიანობის პროცესში, მანამდე, სანამ გამოვლინდა საქონლის ხელშეკრულებასთან შეუსაბამობა (მხლი 82).

მხარე, რომელმაც დაკარგა უფლება, განაცხადოს ხელშეკრულების მოშლაზე, ან მოითხოვოს გამყიდველისაგან საქონლის შეცვლა კონვენციის 82-ე მუხლის შესაბამისად, ინარჩუნებს უფლებებს სამართლებრივი დაცვის ყველა სხვა საშუალებაზე, რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებითა და წინამდებარე კონვენციით (მუხლი 83).

საქონლის შენახვა

თუ მყიდველი აჭიანურებს საქონლის მიღებას, ან ანგარიშსწორებას, ხოლო გამყიდველი ჯერ კიდევ ფლობს და აკონტროლებს მისაწოდებელ საქონელს, იგი ვალდებულია მიიღოს მოცემული გარემოებების შესაბამისი ზომები საქონლის შენახვისა და დაცვისათვის. მას უფლება აქვს შეინარჩუნოს საქონელი, სანამ მისი ხარჯები არ იქნება კომპენსირებული მყიდველის მიერ (მუხლი 85).

თუ მყიდველმა მიიღო საქონელი, მაგრამ აპირებს განახორციელოს მისი უფლება, უარი თქვას მიღებულ საქონელზე ხელშეკრულების ან წინამდებარე კონვენციის საფუძველზე, იგი ვალდებულია მიიღოს ზომები მიღებული საქონლის შენახვისა და დაცვისათვის.

თუ მყიდველისათვის გაგზავნილი საქონელი გადაეცა მას დანიშნულების ადგილზე, მაგრამ, იგი ახორციელებს მის უფლებას, უარი თქვას მიღებულ საქონელზე, იგი ვალდებულია მიიღოს საქონელი

მფლობელობაში და უზრუნველყოს მისი შენახვა და დაცვა გამყიდველის ხარჯზე, იმ პირობით, რომ იგი არ გადაიხდის საქონლის ღირებულებას და ასეთი ქმედება მას არ შეუქმნის გაუმართლებელ უხერხულობებსა და გაუმართლებელ ხარჯებს (მუხლი 26).

მხარეს, რომელიც ვალდებულია მიიღოს ზომები საქონლის შენახვისა და დაცვისათვის, უფლება აქვს საქონელი შესანახად გადასცეს მესამე მხარეს, თუ ამისათვის გასაწევი ხარჯები არ აჭარბებს მისაღებ საზღვრებს (მუხლი 87).

მხარეს, რომელიც ვალდებულია საქონლის შენახვაზე და დაცვაზე, უფლება აქვს გაყიდოს საქონელი ნებისმიერი მისაღები ფორმით, თუ მეორე მხარე გაუმართლებლად აჭიანურებს საქონლის უკან მიღებას, ღირებულების, ან შენახვის ხარჯების გადახდას იმ პირობით, რომ მეორე მხარეს დროულად გაეგზავნა შეტყობინება საქონლის გაყიდვის განზრახვის შესახებ.

თუ საქონელი მიეკუთვნება „მალფუჭებადი" საქონლის კატეგორიას ან მისი შენახვა დაკავშირებულია გაუმართლებელ ხარჯებთან, მხარემ, რომელიც ვალდებულია შეინახოს და დაიცვას საქონელი კონვენციის 85-ე და 86-ე მუხლების შესაბამისად, უნდა მიიღოს ზომები საქონლის გაყიდვისათვის. შესაძლებლობის ფარგლებში, მან უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს საქონლის გაყიდვის განზრახვის შესახებ.

მხარეს, რომელმაც მოახდინა საქონლის რეალიზაცია, უფლება აქვს ამონაგებიდან დატოვოს თანხა იმ ხარჯების დასაფარავად, რომელიც მან გასწია საქონლის შენახვის, დაცვისა და გაყიდვისათვის. დანარჩენი თანხა მან უნდა გადასცეს გამყიდველს (მუხლი 88).

კონვენცია სასარჩელო ვადის ხანდაზმულობის შესახებ საერთაშორისო ვაჭრობაში

(მიღებულია 1974 წელს)

განსხვავებები ნაციონალური კანონმდებლობების იმ ნორმებს შორის, რომლებიც არეგულირებენ ხანდაზმულობის ვადებს, წარმოქმნიან სერიოზულ სიძნელეებს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. პირველ რიგში, აღსანიშნავია არსებითი განსხვავებები ხანდაზმულობის ვადების ხანგრძლივობაში, რომლებსაც ადგენენ სხვა ქვეყნის ნაციონალური კანონმდებლობები, ზოგიერთი მათგანი ძალზე მცირეა და ვერ პასუხობენ სარჩელის წარდგენის იმ პრაქტიკულ მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობენ საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებებიდან; ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეით იჩენს თავს დავების განხილვისას იმ საწარმოებს შორის, რომლებიც მდებარეობენ ტერიტორიულად დაშორებულ სახელმწიფოებში, განსხვავებული სამართლებრივი სისტემებით. ზოგიერთ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადები შედმიწევნით ხანგრძლივია, ვიდრე ეს საჭიროა სამეურნეო დავებიდან წარმოქმნილი სარჩელების განსახილველად და ვერ უზრუნველყოფენ მხარეების საიმედო დაცვას, ქმნიან ხანგრძლივ გაურკვეველ სიტუაციებსა და ხელშეკრულებით შეძენილი უფლებების არამდგრადობასა და დაბალ საიმედოობას. ხანგრძლივი ხანდაზმულობის ვადები ასევე ხელს უწყობენ იმ მტკიცებულებების მოძველებას, ან მათი მნიშენელობას სრულად დაკარგვას, რომლებიც ადასტურებენ სასარჩელო მოთხოვნებს, როდესაც მათი წარდგენა ხდება გაუმართლებლად ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ.

გარდა იმისა, რომ ნაციონალური კანონმდებლობები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ხშირად მათი გამოყენება საერთოდ შეუძლებელია საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებთან მიმართებაში. აღნიშნულ სიძნელეს კიდევ უფრო აღრმავებს ის გარემოება, რომ გამყიდველები და მყიდველები, ასევე მათი მომსახურე ადვოკატები ხშირად არ იცნობენ იმ ნორმებსა

და სამართლებრივ პრაქტიკას, რომლებიც გამოიყენება უცხო ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში.

არსებითმა განსხვავებებმა ნაციონალურ სამართლებრივ სისტემებს შორის ხანდაზმულობის ვადის საკითხებში, აუცილებელი გახადა საერთაშორისო კონვენციის მიღება, რომელშიც მაქსიმალურად კონკრეტულად და ცალსახად იქნებოდა ფორმულირებული ხანდაზმულობის ვადის მარეგულირებელი ნორმები. კონვენციის რეგულირების ობიექტს შეადგენს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების მხოლოდ ერთი სფერო, კერძოდ, საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება. ამდენად, კონვენციის დებულებები ჩამოყალიბებულია მაქსიმალურად კონკრეტულად და დეტალურად. შესაბამისად, კონვენცია მინიმუმამდე ამცირებს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის მარეგულირებელი ნაციონალური ნორმების გამოყენების აუცილებლობასა და შესაძლებლობას.

განვიხილოთ კონვენციის უმთავრესი დებულებები.

ძირითადი დებულებები

კონვენცია განსაზღვრავს პირობებს, როდესაც მყიდველისა და გამყიდველის ურთიერთმოთხოვნები, გამომდინარე საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებიდან, ხელშეკრულების დარღვევიდან, მისი შეწყვეტიდან ან ბათილად ცნობიდან, არ შეიძლება იქნეს განხორციელებული იმ საფუძველზე, რომ გასული დროის გარკვეული პერიოდი, რომელსაც ეწოდება „სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა" კონვენციის მიზნებისათვის:

ა) **„გამყიდველი" და „მყიდველი" ან „მხარეები"** - არიან პირები, რომლებიც ყიდულობენ, ან ყიდიან, ან თანხმდებიან იყიდონ ან გაყიდონ საქონელი, ასევე პირები, რომლებზეც გადაეცა ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები;

ბ) **„ხელშეკრულების დარღვევა"** - ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება;

გ) **„დავების განხილვა"** - სასამართლო, საარბიტრაჟო ან ადმინისტრაციული განხილვა.

დ) **„პირი"** - ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელსაც უფლება აქვს გამოეიდეს მოსარჩელად, ან მოპასუხედ, განურჩევლად იმისა, კერძო თუ საერთო სამართლის, პირებს წარმოადგენს ისინი.

ე) წერილობითი ფორმა ასევე გულისხმობს შეტყობინებას ტელეგრაფითა და ფაქსით.

ვ) **„წელი“** ნიშნავს წელს, გამოთვლილს გრიგორიანული კალენდრით.

ზ) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ითვლება საერთაშორისო ხელშეკრულებად, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში მყიდველისა და გამყიდველის კომერციული საწარმოები იმყოფებოდნენ სხვადასხვა ქვეყანაში. (მუხლი 1).

უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ პირი გახდეს **„მყიდველი“**, ან **„გამყიდველი“** მან უნდა ყიდოს, ან გაყიდოს ან დაითანხმდეს საქონლის ყიდვაზე ან გაყიდვაზე. ამდენად პირი, რომელიც მხოლოდ ამჟღავნებს სურვილს, განზრახულობას, იყიდოს, ან გაყიდოს საქონელი ან დადოს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, არ განიხილება როგორც მყიდველი, ან გამყიდველი, რადგან ხელშეკრულება, ფაქტიურად, დადებული არ არის. ამრიგად, უფლებები, რომლებიც წარმოიშობა განზრახულობის შესახებ შეთანხმებიდან, წინამდებარე კონვენციით არ რეგულირდება.

წინამდებარე კონვენცია გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) ხელშეკრულების დადების მომენტში საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულების მხარეები იმყოფებიან კონვენციას მიერთებულ სახელმწიფოებში, ან

ბ) საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების თანახმად ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება კონვენციას მიერთებული სახელმწიფოს სამართალი

კონვენცია არ გამოიყენება, თუ მხარეებმა გარკვევით აღნიშნეს ხელშეკრულებაში უარი კონვენციის გამოყენებაზე (მუხლი 3). იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები გარკვევით აღნიშნავენ ხელშეკრულებაში, არ გამოიყენონ კონვენციის დებულებები, მათი მოთხოვნები, გამომდინარე დადებული ხელშეკრულებიდან, ექვემდებარება რეგულირებას საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების შესაბამისად.

კონვენცია არ გამოიყენება იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომლებითაც გამყიდველის უფლებები და ვალდებულებები განისაზღვ-

რება ძირითადად სამუშაოს შესრულებითა და მომსახურების გაწევით.

ხელშეკრულება იმ საქონლის მიწოდებაზე, რომელიც ქვემდებარება დამზადებას, ან წარმოებას, მიიჩნევა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებად, თუ დამკვეთი მხარე არ იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსრულებელს დაკვეთილი პროდუქციის დასამზადებლად აუცილებელი მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი (მუხლი 6).

კონვენციის გამოყენების სფეროში შედის მხოლოდ ის ხელშეკრულებები, რომლის ძირითად საგანს წარმოადგენს საქონლის ყიდვა-გაყიდვა. ეს დებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ხელშეკრულებებისათვის, რომლებიც დანადგარ-მოწყობილობების კომპლექსების მიწოდებასთან ერთად ითვალისწინებენ სამონტაჟო და გამშვებ-გამმართველი სამუშაოების შესრულებას.

მოცემული დებულება არსებით სივრცეს ტოვებს იმ ფაქტის კვალიფიკაციისათვის, თუ ვალდებულებების რომელი ნაწილია ძირითადი, რადგან, კრიტერიუმების ასეთი კვალიფიკაციას კონვენცია არ იძლევა. აღნიშნულთან დაკავშირებით, გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, ხელშეკრულებაში გარკვევით უნდა განისაზღვროს საქონლის მიწოდებისა და შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები, საჭიროების შემთხვევაში შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა გაფორმდეს ცალკე ხელშეკრულებით.

კონვენციის დებულებების განმარტებისა და გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი საერთაშორისო ხასიათი და ერთგვაროვნობის მიღწევისათვის ხელშეწყობის აუცილებლობა (მუხლი 7).

მოცემულ მუხლში მოყვანილია ორი კრიტერიუმი, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული კონვენციისა და მისი ცალკეული მუხლების განმარტებისას, კერძოდ, მისი საერთაშორისო ხასიათი და მისი ერთგვაროვანი გამოყენების მიღწევის აუცილებლობა. ამ კრიტერიუმების გათვალისწინება გულისხმობს პირველ რიგში, კონვენციის დებულებების გამოყენებას, უარის თქმას იმ კონცეფციებზე, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ნაციონალური სამართლებრივი სისტემების ჩარჩოებში, თუ ისინი არ შეესაბამებიან კონცეფციის საერთაშორისო ხასიათსა და ხელს არ უწყობენ ერთგვაროვნების მიღწევას.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, მისი დაწყება და მიმდინარეობა

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა განსაზღვრება 4 წლით (მუხლი 8).

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ერთიანი ვადის დადგენა მიღწეული იქნა მთელი რიგი დაპირისპირებული მიდგომების შეთანხმებისა და გარკვეული კომპრომისების შედეგად. შეთანხმების პროცესში გათვალისწინებულ იქნა კონცეფციის ისეთი დებულებები, როგორებიცაა: ხანდაზმულობის ვადის დაწყება, სასარჩელო ვადის შეჩერება და გაგრძელება, ხანდაზმულობის ვადის წყვეტილობა და სხვა.

სასასარჩელო ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობა იწყება მოთხოვნებზე უფლების წარმოქმნის დღიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კონვენციის მე-10, მე-11 და მე-12 მუხლებით.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობის დაწყება არ გადაიდება იმისათვის, რომ:

ა) ერთ მხარეს სჭირდება მეორე მხარისათვის შეტყობინების გაგზავნა კონვენციის პირველი მუხლის თანახმად.

ბ) საარბიტრაჟო შეთანხმებებში მითითებულია, რომ არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე მოთხოვნის უფლებები არ წარმოიქმნება (მუხლი 9).

მოთხოვნის უფლება, გამომდინარე ხელშეკრულების დარღვევიდან, ითვლება წარმოქმნილად იმ დღეს, როდესაც ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების დარღვევას.

მოთხოვნის უფლება, რომელიც გამომდინარეობს გამოვლენილი დეფექტის, ან საქონლის ხელშეკრულების პირობებთან სხვა შეუსაბამობის გამო, წარმოიქმნება საქონლის მყიდველისათვის ფაქტიურად გადაცემის, ან მის მიერ საქონლის მიღებაზე უარის თქმის დღეს.

მოთხოვნის უფლება, დაფუძნებული მოტყუებაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების დადებამდე, დადებისას ან მისი შესრულების პროცესში, ითვლება წარმოქმნილად იმ დღეს, როდესაც გამომჟღავნდა, ან უნდა გამომჟღავნებულიყო მოტყუება (მუხლი 10).

გამოთქმა „საქონლის მყიდველისათვის ფაქტიური გადაცემა“

გულისხმობს საქონლის გადაცემას მყიდველის კონტროლის დაქვემდებარებაში, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა ეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილზე და დროში თუ ნებისმიერ სხვა ადგილზე და სხვა დღეს. საქონლის მიღებისას მყიდველს საშუალება უნდა ჰქონდეს მიღებამდე დაათვალიეროს საქონელი; წინააღმდეგ შემთხვევაში საქონელი არ განიხილება მყიდველისათვის ფაქტიურად გადაცემულად.

თუ გამყიდველს წარმოდგენილი აქვს საქონელზე პირდაპირი გარანტია, რომლის მოქმედების ვადა შეზღუდულია დროის გარკვეული პერიოდით ან სხვა წესით, სასარჩელო ვადის ხანდაზმულობის მიმდინარეობა, ასეთი გარანტიიდან გამომდინარე, ნებისმიერი მოთხოვნის მიხედვით იწყება მყიდველის მიერ გამყიდველის შეტყობინების დღიდან იმ ფაქტის შესახებ, რომელიც გახდა მოთხოვნის წარმოქმნის საფუძველი, მაგრამ, არაუგვიანეს საგარანტიო ვადის დასრულებისა (მუხლი 11).

იმ გარემოებების არსებობისას, რომლებიც მხარეებს უფლებას აძლევენ განაცხადონ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მისი შესრულების ვადის დადგომამდე და ისინი ახორციელებენ ასეთ უფლებას, სასარჩელო ვადის ხანდაზმულობის ათვლა იწყება მეორე მხარისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ განცხადების გაკეთების დღიდან. თუ განცხადება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ არ გაკეთებულა მისი შესრულების ვადის დადგომამდე, ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობა იწყება ხელშეკრულების შესრულების ვადის დადგომის დღიდან. სასარჩელო ხანდაზმულობა ვადის მოთხოვნებზე, წარმოქმნილი ხელშეკრულების დარღვევიდან, რომლებიც ითვალისწინებენ ეტაპობრივ მიწოდებასა და ეტაპობრივ ანაზღაურებას, იწყება ყოველი ცალკეული ეტაპის მიხედვით იმ დღიდან, როდესაც მოხდა კონკრეტული დარღვევა. თუ გამოყენებული კანონმდებლობის მიხედვით მხარეს უფლება აქვს განაცხადოს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ასეთი დარღვევის საფუძველზე და ახორციელებს ასეთ უფლებას, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება ყველა შესაბამისი ეტაპისათვის იმ დღიდან, როდესაც მხარემ გააკეთა განცხადება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ (მუხლი 12)

ამ პუნქტისათვის ცნება „ყველა შესაბამისი ეტაპი“ მოიცავს გარიგების ყველა ეტაპს, დამოუკიდებლად იმისა, ისინი წინ უსწრებდ-

ნენ, თუ მოსდევდნენ იმ მოვლენას, რომელიც გახდა ხელშეკრულების შეწყვეტაზე განცხადების გაკეთების საფუძველი.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის წყვეტილობა და გაგრძელება

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობა წყდება, როდესაც კრედიტორის ქმედება განიხილება როგორც სასამართლო საქმისწარმოების აღძვრა (იმ სახელმწიფოს სამართლის მიხედვით, სადაც ხდება სარჩელის წარდგენა) მოვალის მიმართ, ან მოთხოვნის წაყენება მოვალის წინააღმდეგ ადრე დაწყებულ სასამართლო გარჩევის პროცესში, მოთხოვნის დაკმაყოფილების, ან ამ მოთხოვნის აღიარების მიზნით (მუხლი 13).

იმის გამო, რომ განსხვავდებიან ის განმარტებები, თუ რა შეიძლება იქნეს კვალიფიცირებული, როგორც სასამართლო საქმისწარმოების აღძვრა, მუხლში მითითებულია - როდესაც კრედიტორის მოქმედება, იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, სადაც ხდება სარჩელის წაყენება, განიხილება, როგორც სასამართლო საქმისწარმოების აღძვრა. ეს მუხლი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც უკვე დაწყებული სასამართლო გარჩევის ფარგლებში მხარე წამოაყენებს დამატებით მოთხოვნებს.

თუ მხარეების შეთანხმებით მათ შორის წარმოქმნილი დავა ექვემდებარება განხილვას საარბიტრაჟო სასამართლოში, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობა ჩერდება, როდესაც ერთიერთი მხარე აღძრავს საარბიტრაჟო საქმისწარმოების, საარბიტრაჟო შეთანხმების ან საარბიტრაჟო კანონმდებლობის საფუძველზე.

საარბიტრაჟო საქმისგარჩევა დაწყებულად ითვლება იმ დღიდან, როდესაც განცხადება დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ გადაეცა მეორე მხარეს მისი კომერციული საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით, თუ ასეთი უცნობია, მაშინ მის უკანასკნელად ცნობილ საცხოვრებელ ადგილზე ან მისი კომერციული საწარმოს უკანასკნელად ცნობილ იურიდიულ მისამართზე (მუხლი 14).

რისკს, რომ შეტყობინება არ იქნება გაგზავნილი, ან დაშვებული იქნება შეცდომები მისი ადრესატისათვის გადაცემაში, ილებს შეტყობინების გამგზავნი მხარე.

იმ შემთხვევებში როდესაც დავის განხილვა ხდება წესით, რომელიც განსხვავდება მე-13 და მე-14 მუხლებში მოყვანილი წესებისაგან, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობა ჩერდება. როდესაც კრედიტორი თავის მოთხოვნებს წამოაყენებს აღნიშნული განხილვის პროცესში მოთხოვნის დაკმაყოფილების, ან მოთხოვნის აღიარების მიზნით იმ კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც არეგულირებს დავის განხილვის პროცედურას. უმეტესი ქვეყნების კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს გაკოტრების საქმისწარმოების საკითხებს, ითვალისწინებს სასარჩელე ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობის შეჩერებას ყველა იმ მოთხოვნებისათვის რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას საქმის განხილვის პროცესში.

კონვენციის მე-13, მე-14 და მე-15 მუხლებისათვის ნებისმიერი ქმედება, შესრულებული, როგორც შემხვედრი მოთხოვნა, ითვლება შესრულებულად იმავე დღეს, როდესაც შესრულდა ქმედება იმ მოთხოვნის მიმართ, რომლის წინააღმდეგაც აღიძრა შემხვედრი მოთხოვნა, იმ პირობით, რომ როგორც ძირითადი, ისე შემხვედრი მოთხოვნა ეხება ერთი და იგივე ხელშეკრულებას ან ერთი გარიგების შედეგად დადებულ რამდენიმე ხელშეკრულებას.

თუ მოთხოვნა წარდგენილია სხვა გარიგების საფუძველზე, მოთხოვნის განმცხადებელმა მხარემ იგი უნდა წარადგინოს ამ მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.

თუ მოთხოვნა წარდგენილი იქნა დავის განხილვის პროცესში კონვენციის მე-13, მე-14, მე-15 ან მე-16 მუხლების შესაბამისად, მაგრამ დავის განხილვა მოთხოვნაზე არსებითი გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე, სასარჩელე ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობა არ ჩაითვლება შეჩერებულად.

თუ ასეთი განხილვის დასრულების მომენტისათვის სასარჩელე ხანდაზმულობა ვადა ამოიწურა, ან იწურება ერთ წელზე ნაკლები ვადის განმავლობაში, კრედიტორს აქვს მოთხოვნის წაყენების უფლება ერთი წლის განმავლობაში, დავის განხილვის დასრულების დღიდან (მუხლი 17).

მოთხოვნაზე არსებითი გადაწყვეტილების მიუღებლობის მიზეზი შესაძლოა იყოს: მოსარჩელეს ეარი სარჩელზე; თუ სასამართლომ საარბიტრაჟო სასამართლო ჩათვალა არაკომპეტენტურად და სხვა;

თუ წარმოება დავის განხილვის თაობაზე აღძრულია ერთი მოვა-ლის მიმართ, სასარჩელე ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობა შე-ჩერდება ნებისმიერი სხვა მხარის მიმართ, რომლებსაც დაკისრებული აქვთ სოლიდარული პასუხისმგებლობა მოვალესთან ერთად, იმ პირო-ბით, რომ კრედიტორი გონებრივი ვადის ფარგლებში წერილობით შე-ატყობინებს მეორე მხარეს საქმისწარმოების აღძვრის შესახებ.

თუ საქმისწარმოება დავის განხილვის თაობაზე აღძრულია მყიდველის წინააღმდეგ სუბმყიდველის მიერ, სასარჩელო ხანდაზ-მულობის ვადის მიმდინარეობა შეჩერდება საქონლის გამყიდვე-ლის მიმართ წაყენებული მოთხოვნისათვის, თუ მყიდველი გონებ-რივი ვადის ფარგლებში წერილობით შეატყობინებს გამყიდველს საქმისწარმოების აღძვრის შესახებ.

მოცემულ მუხლში მითითებული საქმისწარმოების დასრულე-ბის შემდეგ, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობა კრე-დიტორის მოთხოვნაზე სოლიდარული მოვალეობის მიმართ, ან მყიდველის მოთხოვნაზე გამყიდველის მიმართ, არ ჩაითვლება შე-ჩერებულად, მაგრამ კრედიტორს ან მყიდველს ექნებათ მოთხოვ-ნის წაყენების უფლება კიდევ ერთი წლის განმავლობაში, საქმის-წარმოების დასრულების დღიდან, თუ ამ დროისათვის სასარჩელო ხანდაზმულობა ამოიწურა, ან იწურება ერთ წელზე ნაკლები ვა-დის განმავლობაში (მუხლი 18).

განხილული მუხლის მეორე ნაწილი ეხება სიტუაციას, როდესაც გამყიდველმა საქონელი მიჰყიდა მყიდველს, ამ უკანასკნელმა სა-ქონელი მიჰყიდა მესამე პირს (სუბმყიდველს), სუბმყიდველის მო-ტივით. ასეთ შემთხვევაში სუბმყიდველის მოთხოვნის დაკმაყოფი-ლება გამოიწვევს მყიდველის მოთხოვნას გამყიდველის მიმართ – რეგრესულ სარჩელს.

თუ კრედიტორი სასარჩელე ხანდაზმულობის ვადის გასვლამ-დე იმ სახელმწიფოში, რომელშიც მოვალეს აქვს თავისი კომერცი-ული საწარმო, შეასრულებს რაიმე ქმედებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული კონვენციის მე-13, მე-14, მე-15 და მე-16 მუხლე-ბით, მაგრამ, ამ სახელმწიფოს სამართლის საფუძველზე იწვევს სა-სარჩელე ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობის განახლებას, იწყე-ბა ახალი ოთხწლიანი ვადის ათვლა, დაწყებული იმ დღიდან, რო-მელიც განისაზღვრება ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით დად-გენილი წესით (მუხლი 19).

თუ მოვალე სასარჩელე ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში წერილობით აღიარებს თავის ვალდებულებას კრედიტორის მიმართ, ასეთი აღიარების დღიდან იწყება სასარჩელე ვადის ხანდაზმულობის ახალი ოთხწლიანი ვადის ათვლა. მოვალის მიერ პროცენტების გადახდა, ან ვალდებულებების ნაწილობრივ შესრულება იწვევს იგივე შედეგებს, როგორსაც მოვალის მიერ ვალის აღიარება, იმ პირობით, რომ ასეთი გადახდა, ან ასეთი შესრულება იძლევა გონივრულ საფუძველს იმისათვის, რომ აღიარებული იქნეს მოვალის მიერ ვალის ანაზღაურება (მუხლი 20).

საკითხი იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა ადგილი (ირიბ) ნაგულისხმევ აღიარებას, თუ ჰქონდა, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ გზით აღიარებულ ვადასა და ვალდებულებას, უნდა გადაწყდეს მთელი რიგი გარემოებების გათვალისწინებით. ამდენად, ამ დებულების გამოყენებისას საკმაოდ დიდია სასამართლოს აზრის მნიშვნელობა.

თუ სასარჩელე ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას კრედიტორი ვერ მოახერხებს მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, რომელთა აცილება ან დაძლევა მან ვერ შეძლო, სასარჩელე ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობა არ ჩაითვლება ამოწურულად ერთი წლის გასვლამდე აღნიშნული გარემოებების შეწყვეტის დღიდან (მუხლი 21).

ეს პრობლემა ხშირად ფიგურირებს „ფორს-მაჟორის“ ანუ შესრულების შეუძლებლობის ცნობის ფარგლებში. ტერმინი „ფორს-მაჟორი“ არ არის გამოყენებული, რადგან იგი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება განსხვავებულ სამართლებრივ სისტემებში.

დაუშვებელია სასარჩელე ხანდაზმულობის ვადის შეცვლა მხარეების შეთანხმებით, ან მათი განცხადების საფუძველზე.მოვალეს შეუძლია ნებისმიერ დროს, ხანდაზმულობის ვადის მოქმედების განმავლობაში წერილობით განუცხადოს კრედიტორს ხანდაზმულობის ვადის გაგრძელების შესახებ (მუხლი 22).

იმის გამო, რომ ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება ხელსაყრელია კრედიტორებისათვის და მათ არ აკისრებს რაიმე პასუხისმგებლობას, ამდენად მოვალის უფლება, ცალმხრივად გააგრძელოს ხანდაზმულობის ვადა, გამართლებულია.

მიუხედავად კონვენციის დებულებებისა, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა ყველა შემთხვევაში იწურება არა უგვიანეს 10 წლი-

სა მისი მიმდინარეობის დაწყების დღიდან, კონვენციის მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 მუხლების შესაბამისად.

მუხლი აწესებს საერთო ზღვრულ ვადას, რომლის გასვლის შემდეგ დაუშვებელია საქმისწარმოების აღძვრა რაგინდ სერიოზული მიზეზებიც უნდა არსებობდეს ამისათვის. ეს ვადა შეადგენს 10 წელს ხანდაზმულობის ვადის ათვლის დაწყების დღიდან.

სასარჩელო ვადის ხანდაზმულობის გასვლა მხედველობაში მიიღება დავის განხილვისას მხოლოდ იმ მხარის განცხადების საფუძველზე, რომელიც მონაწილეობს განხილვის პროცესში (მუხლი 24).

სასამართლო მხედველობაში იღებს მხარეების განცხადებას იმ დროის მონაკვეთის შესახებ, რომელიც გავიდა მოთხოვნის წარმოქმნიდან საქმისწარმოების დაწყებამდე. არის შემთხვევები, როდესაც მთელი რიგი მიზეზების გამო არ აწყობს საქმისწარმოების შეწყვეტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის მოტივით და არჩევს, ბოლომდე მიიყვანოს გარჩევა. მოთხოვნა არ ექვემდებარება აღიარებას და იძულებით შესრულებას დავების ნებისმიერი განხილვისას, რომელიც დაწყებულია სასარჩელე ვადის ხანდაზმულობის ამოწურვის შემდეგ (მუხლი 25).

პუნქტი ხაზს უსვამს კონვენციის ერთადერთ მიზანს, დაადგინოს სასარჩელე ხანდაზმულობის ვადა, რომლის განმავლობაში მხარეებმა უნდა აღძრან სადავო საქმისწარმოება თავისი მოთხოვნების სარეალიზაციოდ. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა არ ექვემდებარება განხილვას და იძულებით შესრულებას.

იმ შემთხვევაში, თუ მოვალე დაფარავს თავის დავალიანებას კრედიტორის მიმართ, სასარჩელე ვადის ხანდაზმულობის გასვლის შემდეგ, ამ საფუძველზე მას არა აქვს უფლება მოითხოვოს რესტიტუცია, მაშინაც, როდესაც თავისი ვალდებულების შესრულების მომენტში მან არ იცოდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შესახებ (მუხლი 26).

მუხლი ხელს უწყობს მხარეებს შორის დავის საბოლოო მოწესრიგებას და ამ პრიორიტეტზე დაყრდნობით გამორიცხავს მოვალის უფლებას, მოითხოვოს შესრულებული ვალდებულების უკან დაბრუნება იმ მოტივით რომ შესრულება მოხდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

ძირითადი ვალის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად,

ამოწურულად მიიჩნევა ხანდაზმულობის ვადა ძირითადი ვალის პროცენტების გადახდის შესახებ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის თაობაზე (მუხლი 27).

მოცემული მუხლი არეგულირებს დავას იმის თაობაზე, რომ პროცენტების გადახდა არ არის დაკავშირებული ძირითადი ვალის დაფარვასთან და განსაზღვრავს გარკვეულ კავშირს მათ შორის - სასარჩელო ვადის ხანდაზმულობასთან მიმართებაში.

ხანდაზმულობის ვადა იწურება იმ დღის ბოლოს, რომელიც ემთხვევა მისი ათვლის დაწყების კალენდარულ თარიღს. თუ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა ემთხვევა თვეს, რომელშიც არ არის სათანადო კალენდარული თარიღი, ვადა იწურება ამ თვის ბოლო დღეს (მუხლი 28).

თუ ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება 29 თებერვალს. ხანდაზმულობის ვადა იწურება 4 წლის შემდეგ 29 თებერვალს. თუ მოცემულ წელიწადს თებერვლის თვეში 29 რიცხვი არ აღმოჩნდება, ხანდაზმულობის ვადა დასრულებულად ჩაითვლება თვის ბოლო დღეს ანუ 28 თებერვალს. თუ ხანდაზმულობის ვადის ბოლო დღე ემთხვევა სახელმწიფო დღესასწაულს ან უქმე დღეს, ხანდაზმულობის ვადა გრძელდება იმ დღის ბოლომდე, რომელიც მოსდევს სადღესასწაულო, ან უქმე დღეს.

საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპები
(უნიდრუა-2 პრინციპები)

პრინციპების მიზნები

წინამდებარე პრინციპები ადგენს საერთო ნორმებს საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებებისათვის.

იგი გამოყენებული უნდა იქნეს იმ შემთხვევებში, როდესაც მხარეებს შორის არსებობს შეთანხმება იმის თაობაზე, რომ მათი ხელშეკრულება დარეგულირდება ამ პრინციპებით.

იგი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

- როდესაც მხარეები თანახმა არიან, რომ მათ შორის დადებული ხელშეკრულება რეგულირდებოდეს „სამართლის საერთო პრინციპებით“, „hex mercatoria“, ან ანალოგიური დებულებებით.
- საკითხის გადასაწყვეტად იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელი ხდება გამოყენებული სამართლის შესაბამისი ნორმის დადგენა.
- საერთაშორისო უნიფიცირებული სამართლებრივი ნორმების განმარტებისათვის.

პრინციპების გამოყენება შეიძლება სავაჭრო ხელშეკრულების მარეგულირებელი ეროვნული და საერთაშორისო ნორმატიული აქტების შესამუშავებლად.

თავი I. საერთო დებულებები

მუხლი 1.1. ხელშეკრულების თავისუფლება

მხარეები თავისუფალი არიან ხელშეკრულების დადებასა და ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრაში.

მუხლი 1.2. ფორმის თავისუფლება.

პრინციპი არ ადგენს რაიმე მოთხოვნას იმის შესახებ, რომ ხელშეკრულება აუცილებლად უნდა იყოს დადებული ან დადასტურებული წერილობითი ფორმით. მისი არსებობა შეიძლება დამტკიცდეს ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის მოწმეთა ჩვენებით.

მუხლი 1.3. ხელშეკრულების აუცილებლობა

სათანადო წესით დადებული ხელშეკრულება აუცილებელია მხარეთათვის. ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს მხოლოდ მისი პირობების შესაბამისად, ან მხარეების შეთანხმებით ან სხვა გზით, წინამდებარე პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 1.4. სავალდებულო (იმპერატიული) დებულებები

წინამდებარე პრინციპების არც ერთი ნორმა არ ზღუდავს ეროვნული, საერთაშორისო ან რეგიონალური წარმოშობის აუცილებელ (იმპერატიულ) ნორმებს, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს საერთაშორისო კერძო სამართლის შესაბამისად.

მუხლი 1.5. პრინციპების შეცვლა მხარეების მიერ

მხარეებს უფლება აქვთ, უარი თქვან პრინციპების გამოყენებაზე, გადაუხვიონ მის მოთხოვნებს ან შეცვალონ მისი ნებისმიერი დებულების შინაარსი, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული პრინციპებში.

მუხლი 1.6. განმარტება და დამატება

1. პრინციპების განმარტებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი საერთაშორისო ხასიათი, მიზნები, მის გამოყენებაში ერთიანობის მიღწევისათვის აუცილებელი ძალისხმევის ჩათვლით.

2. პრინციპების სფეროში შემავალი საკითხები, რომლებიც მასში პირდაპირ არ რეგულირდება, უნდა გადაწყდეს საერთო სადამფუძნებლო პრინციპების საფუძველზე.

მუხლი 1.7. კეთილსინდისიერება და კერძო საქმიანი პრაქტიკა

1. ყოველი მხარე ვალდებულია იმოქმედოს საერთაშორისო ვაჭრობაში მიღებული კეთილსინდისიერებითა და პატიოსანი საქმიანი პრაქტიკის მოთხოვნების შესაბამისად.

2. მხარეებს არა აქვთ უფლება გააუქმონ, ან შეზღუდონ ასეთი ვალდებულება.

მუხლი 1.8. ჩვეულება და პრაქტიკა

1. მხარეები ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ და დაიცვან ნებისმიერი ჩვეულება, რომელთა თაობაზეც მათ მიაღწიეს შეთანხმებას და პრაქტიკა, რომელსაც ისინი ადგენენ თავის ურთიერთობაში.

2. მხარეები ასევე ვალდებული არიან დაიცვან ჩვეულებები, რომლებიც ფართოდაა ცნობილი და მუდმივად გამოიყენება მხარეების მიერ საერთაშორისო ვაჭრობის შესაბამის სფეროში, გარდა

იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩვეულებების გამოყენება სცდება გონებრივი განსჯის ფარგლებს.

მუხლი 1.9. შეტყობინება

1. როდესაც აუცილებელი ხდება მხარის შეტყობინება, იგი შეიძლება გაიგზავნოს გარემოებების შესაბამისი ნებისმიერი საშუალებით.

2. შეტყობინება მიიჩნევა ნამდვილად, როდესაც იგი დროულად მიაღწევს პირამდე, რომელსაც იგი გაეგზავნა.

3. მე-2 პუნქტის მიზნებისათვის – **„მიაღწევს“** გულისხმობს, როდესაც შეტყობინება პირს გადაეცა სიტყვიერად, ან გადაეცა მისი კომერციული საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით, ან მის საფოსტო მისამართზე.

4. მოცემული მუხლის მიზნებისათვის – **„შეტყობინება“** მოიცავს განცხადებას, მოთხოვნას, შეკითხვას ან განზრახულობის შესახებ ინფორმაციის გადაცემას.

მუხლი 1.10. განმარტებები

წინამდებარე პრინციპებში:

„სასამართლო“ მოიცავს საარბიტრაჟო სასამართლოს (არბიტრაჟს, ტრიბუნალს);

თუ მხარეს აქვს რამდენიმე კომერციული საწარმო, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც ცნობილი იყო ან ცნობილი უნდა ყოფილიყო მხარეთათვის, ნებისმიერ დროს ხელშეკრულების დადებამდე ან დადების მომენტში, „კომერციულ საწარმოდ“ მიიჩნევა ის, რომელიც ყველაზე მეტადაა დაკავშირებული ხელშეკრულებასთან და მის შესრულებასთან.

„მოვალე“ გულისხმობს მხარეს, რომელმაც უნდა შეასრულოს ვალდებულება; **„კრედიტორად“** მიიჩნევა მხარე, რომელსაც აქვს უფლება მოითხოვოს ასეთი ვალდებულების შესრულება.

„წერილობითი ფორმა“ გულისხმობს შეტყობინების ნებისმიერ ფორმას, რომელიც იძლევა ინფორმაციის ჩაწერისა და ასეთ მდგომარეობაში შენახვის, წარმოდგენის საშუალებას.

თავი 2. ხელშეკრულების დადება

მუხლი 2.1. ხელშეკრულების დადების მეთოდი

ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს **ოფერტის, აქცეპტის** გზით, ან მხარის ისეთი ქმედებების საფუძველზე, რომელიც ადასტურებს მის თანხმობას.

მუხლი 2.2. ოფერტის განმარტება

წინადადებას ხელშეკრულების დადებაზე ეწოდება „ოფერტა“, თუ იგი გარკვევით გამოხატავს ოფერენტს, იკისროს ოფერტით განსაზღვრული ვალდებულებები, აქცეპტის შემთხვევაში.

მუხლი 2.3. ოფერტის გაუქმება

1. ოფერტა ძალაში შედის, როდესაც მას იღებს ოფერტის ადრესატი.

2. ოფერტა, მაშინაც კი, როდესაც იგი არის გამოთხოვნის გარეშე, შეიძლება გაუქმდეს, თუ შეტყობინებას ოფერტის გაუქმების შესახებ, ოფერტის ადრესატი იღებს ოფერტაზე ადრე ან მასთან ერთად.

მუხლი 2.4. ოფერტის მოთხოვნა

1. ხელშეკრულების დადებამდე ოფერტა შეიძლება გამოთხოვნილი იქნეს, თუ შეტყობინებას ოფერტის გამოთხოვნის შესახებ ადრესატი მიიღებს მის მიერ მიღებულ ოფერტაზე აქცეპტის გაგზავნამდე.

2. ოფერტა არ შეიძლება გამოთხოვილ იქნეს, თუ:

ა. ოფერტაში მითითებულია აქცეპტის გარკვეული ვადა ან სხვა ფორმით არის მითითებული იმის თაობაზე, რომ ოფერტა არის გამოთხოვნის გარეშე;

ბ. ადრესატს ჰქონდა საფუძველი ეფიქრა, რომ ოფერტა არის გამოთხოვნის გარეშე და მოქმედებდა ამ ფაქტზე დაყრდნობით.

მუხლი 2.5. უარის თქმა ოფერტაზე

ოფერტა კარგავს ძალას, როდესაც ოფერენტი ღებულობს უარს ოფერანტზე.

მუხლი 2.6. აქცეპტის სახეები

1. ოფერტის ადრესატის განცხადება ან სხვა ქმედება, რომელიც გამოხატავს მის თანხმობას ოფერტაზე, წარმოადგენს აქცეპტს. დუმილი და უმოქმედობა, თავისთავად აქცეპტი არ არის.

2. აქცეპტი ოფერტაზე ძალაში შედის, როდესაც თანხმობას იღებს ოფერენტი.

3. მხარეებს შორის არსებული ურთიერთობების ან ოფერტის ძალით, ან ჩვეულების თანახმად, ოფერტის ადრესატს შეუძლია რაიმე ქმედების გზით, შეტყობინების გარეშე, გამოხატოს თანხმობა ოფერტაზე. აქცეპტი ძალაში შედის შესაბამისი ქმედების შესრულების მომენტში.

მუხლი 2.7. აქცეპტის მომენტი

ოფერტაზე აქცეპტის მიცემა შეიძლება ოფერტაში მითითებულ

ვადაში. თუ ასეთი ვადა მითითებული არ არის, მაშინ გარკვეულ დროში (კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, გამოყენებული კავშირის საშუალებებით, ინფორმაციის გადაცემის სიჩქარის ჩათვლით). ზეპირი ოფერტის აქცეპტირება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, თუ გარემოებები სხვა რამეს არ მოითხოვენ.

მუხლი 2.8. აქცეპტი დადგენილ ვადაში

1. ოფერენტის წერილობით შეტყობინებაში მითითებული აქცეპტის ვადა იწყება შეტყობინების გასაგზავნად ჩაბარების მომენტში ან წერილზე მითითებული თარიღიდან, ასეთი თარიღის არარსებობის შემთხვევაში, იმ თარიღიდან, რომელიც მითითებულია კონვერტზე.

აქცეპტის ვადა, გადაცილებული ოფერენტის მიერ მყისიერი კავშირის საშუალებებით (ფაქსი, ტელეტაიპი, ელ. ფოსტა), დინებას იწყებს ადრესატის მიერ ოფერტის მიღების მომენტიდან.

2. აქცეპტის ვადაში მოხვედრილი სადღესასწაულო და უქმე დღეები არ გამოირიცხება აქცეპტის ვადიდან. თუ შეუძლებელია შეტყობინების ჩაბარება ოფერენტისათვის ბოლო სადღესასწაულო ან უქმე დღეს. ოფერენტის საწარმოში აქცეპტის ვადა გრძელდება მომდევნო პირველ სამუშაო დღემდე.

მუხლი 2.9. დაგვიანებული აქცეპტი, შეყოვნება გადაგზავნისას

1. დაგვიანებული აქცეპტი ინარჩუნებს ძალას, თუ ოფერენტი გაუმართლებელი დაგვიანების გარეშე შეატყობინებს ოფერტის ადრესატს და გაუგზავნის მას შესაბამის შეტყობინებას.

2. როდესაც წერილიდან ან სხვა წერილობითი შეტყობინებიდან, რომელიც შეიცავს დაგვიანებულ აქცეპტს, ჩანს, რომ იგი გაგზავნილი იყო გარემოებებში, რომ მისი ნორმალურ პირობებში გაგზავნის შემთხვევაში, ოფერენტი დროულად მიიღებდა მას, დაგვიანებული აქცეპტი ინარჩუნებს ძალას, თუ ოფერენტი გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე არ შეატყობინებს ოფერტის ადრესატს, იმის შესახებ, რომ იგი თავის ოფერტას არ მიიჩნევს ძალადაკარგულად.

მუხლი 2.10. აქცეპტის გაუქმება

აქცეპტი შეიძლება გაუქმდეს, თუ შეტყობინებას აქცეპტის გაუქმების შესახებ, ოფერენტი მიიღებს აქცეპტის ძალაში შესვლის მომენტამდე ან ამ მომენტში.

მუხლი 2.11. აქცეპტი შენიშვნებით

1. პასუხი ოფერტაზე, რომელიც წარმოდგენილია აქცეპტის სახით და შეიცავს დამატებებს, შეზღუდვებსა და სხვა ცვლილებებს, წარმოადგენს უარის თქმას აქცეპტზე და განიხილება, როგორც შემხვედრი ოფერტა.

2. პასუხი ოფერტაზე, რომელიც წარმოდგენილია აქცეპტის სახით, მაგრამ შეიცავს დამატებით და განსხვავებულ პირობებს, რომლებიც არ ცვლიან ოფერტის არსებით პირობებს, წარმოადგენს ოფერტას, თუ ოფერენტი გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე არ გამოთქვამს უთანხმოებას ასეთი ცვლილებების მიმართ. თუ იგი ამას არ გააკეთებს, ხელშეკრულების პირობებად იქცევა აქცეპტში მოყვანილი, ოფერტის შეცვლილი პირობები.

მუხლი 2.12. წერილობითი დადასტურება

ხელშეკრულების დადების შემდეგ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინება, რომლის მიზანია ხელშეკრულების დადასტურება, რომელიც შეიცავს დამატებით და განსხვავებულ პირობებს, ასეთი პირობები ხდება ხელშეკრულების ნაწილი, თუ ისინი არსებითად არ ცვლიან ხელშეკრულებას, დადასტურების მიმღები მხარე დაუსაბუთებელი გაჭიანურების გარეშე არ გამოთქვამს უთანხმოებას განსხვავებათა მიმართ.

მუხლი 2.13. ხელშეკრულების დადება, რომელიც დამოკიდებულია კონკრეტული საკითხების შეთანხმებაზე ან განსაკუთრებული ფორმის დაცვაზე

თუ მოლაპარაკების პროცესში ერთ-ერთი მხარე დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ხელშეკრულება არ დაიდება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული შეთანხმება კონკრეტულ საკითხებზე ან არ იქნება დაცული ხელშეკრულების განსაკუთრებული ფორმა, ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულად, სანამ მიღწეული არ იქნება შეთანხმება ამ საკითხების ირგვლივ ან იგი არ იქნება გაფორმებული შესაბამისი ფორმით.

მუხლი 2.14. ხელშეკრულება შეგნებულად, ღიად დატოვებული პირობებით

1. თუ მხარეებს განზრახული აქვთ ხელშეკრულების დადება, მაშინ ის გარემოებები, რომ მათ შეგნებულად დატოვეს რომელიმე პირობა მომავალში შესათანხმებლად, შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების რომელიმე მუხლს მომავალში განსაზღვრავს მესამე პირი, არ წარმოადგენენ წინააღმდეგობას ხელშეკრულების დადებისათვის.

2. ხელშეკრულებაზე გავლენას არ ახდენს ის, რომ მომავალში:

ა. მხარეებმა ვერ მიაღწიეს თანხმობას ასეთ პირობებში; ან

ბ. მესამე პირმა არ განსაზღვრა ასეთი პირობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ამ პირობის განსაზღვრის სხვა გზა, რომელიც მისაღებად მიიჩნევა მოცემულ გარემოებებში, მხარეების განზრახვათა გათვალისწინებით.

მუხლი 2.15. არაკეთილსინდისიერი მოლაპარაკებები

1. მხარეები თავისუფალი არიან აწარმოონ მოლაპარაკებები და პასუხს არ აგებენ თანხმობის მიუღწევლობისათვის.

2. როდესაც მხარე არაკეთილსინდისიერად აწარმოებს ან წყვეტს მოლაპარაკებებს, პასუხისმგებელია მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანისათვის.

3. კერძოდ, არაკეთილსინდისიერად მიიჩნევა მხარის მოლაპარაკებაში ჩართვა ან მისი წინადადება, მეორე მხარის თანხმობის მიღების განზრახულობის გარეშე.

მუხლი 2.16. კონფიდენციალურობის ვალდებულება

როდესაც ერთი მხარის მიერ მოლაპარაკების პროცესში, მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მიიჩნევა კონფიდენციალურად, მეორე მხარე ვალდებულია არ გაახმაუროს ასეთი ინფორმაცია ან არ გამოიყენოს იგი საკუთარი მიზნებისათვის დაუშვებელი ფორმით, მიუხედავად იმისა, დასრულდა თუ არა მოლაპარაკება ხელშეკრულების დადებით. შესაბამის შემთხვევებში, პასუხისმგებლობა ასეთი ვალდებულების დარღვევისათვის, შესაძლოა შეიცავდეს კომპენსაციას, რომელიც ეფუძნება ასეთი ქმედებით მეორე მხარის მიერ მიღებული სარგებლის სიდიდეს.

მუხლი 2.17. შენიშვნა ხელშეკრულების სისრულის შესახებ

წერილობითი ფორმით შედგენილი ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს შენიშვნას იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულება სრულად შეიცავს მხარეთა შორის შეთანხმებულ პირობებს, არ შეიძლება გახდეს სადავო, ან შეტანილი იქნეს დამატებები წინა განცხადებებისა და შეთანხმებების წარმოდგენით. ასეთი განცხადებები და შეთანხმებები, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს წერილობითი ხელშეკრულების განმარტებისათვის.

მუხლი 2.18. შენიშვნა წერილობითი ცვლილებების შესახებ

წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს შენიშვნას იმის თაობაზე, რომ ნებისმიერი შეთანხმება

ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით, არ შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს სხვა წესით.

მუხლი 2.19. შეთანხმება სტანდარტული პირობების შესახებ

1. თუ ხელშეკრულების დადებისას ერთი ან ორივე მხარე იყენებს სტანდარტულ პირობებს, გამოიყენება ხელშეკრულების დადების საერთო პირობები 2.20-2.22 მუხლების მოთხოვნების გათვალისწინებით.

2. სტანდარტულ პირობებს განეკუთვნება დებულებები, წინასწარ მომზადებული ერთი მხარის მიერ, გათვალისწინებული მრავალ-ჯერადი გამოყენებისათვის, რომლის გამოყენებაც ფაქტიურად შეიძლება მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

მუხლი 2.20. მოულოდნელი პირობები

1. პირობა, რომელიც ჩართულია სტანდარტული პირობების შემადგენლობაში და რომელთა ხასიათი ჩვეულებრივ პირობებში შესაძლოა, მოულოდნელი აღმოჩნდეს, მიიჩნევა ბათილად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პირობა ცალსახად იყო მიღებული ამ მხარის მიერ.

2. იმის გადასაწყვეტად, არის თუ არა ხელშეკრულების პირობა მოულოდნელი, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისი შინაარსი, ფორმა და გამოსახვის წესი.

მუხლი 2.21. წინააღმდეგობა სტანდარტულ და არასტანდარტულ პირობებს შორის

როდესაც გამოვლინდება წინააღმდეგობა ხელშეკრულების სტანდარტულ და არასტანდარტულ პირობებს შორის, უპირატესობა ენიჭება არასტანდარტულ პირობებს.

მუხლი 2.22. პროფორმების კონფლიქტი

თუ ორივე მხარე იყენებს სტანდარტულ პირობებს და აღწევენ შეთანხმებას ასეთი სტანდარტული პირობების ჩარჩოებს მიღმა, ხელშეკრულება დადებულად ითვლება შეთანხმებული პირობებისა და არსებითად თანმხვედრი სტანდარტული პირობების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ერთი მხარე წინასწარ ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მას არ სურს ასეთი ხელშეკრულებაში მონაწილეობა, ან შემდგომში გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე შეატყობინებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

თავი 3. ნამდვილობა

მუხლი 3.1. საკითხები, რომლებსაც არ ეხება პრინციპები

წინამდებარე არ ეხება საკითხებს, რომლებიც წარმოქმნილია:

1. სამართალუუნარობით;
2. უფლებამოსილებათა უქონლობით;
3. ზნეობის ნორმებთან და მართლწესრიგთან დაპირისპირებით.

მუხლი 3.2. უბრალო შეთანხმების ბათილობა

ხელშეკრულების დადება, შეცვლა და შეწყვეტა ხდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რაიმე დამატებითი მოთხოვნების გარეშე.

მუხლი 3.3. პირველადი შესრულების შეუძლებლობა

1. ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების დადების მომენტში შეუძლებელი იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, გავლენას არ ახდენს ხელშეკრულების ნამდვილობაზე.

2. ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეს არ ჰქონდა იმ ქონების განკარგვის უფლება, რომელიც წარმოადგენდა ხელშეკრულების საგანს, გავლენას არ ახდენს ხელშეკრულების ნამდვილობაზე.

მუხლი 3.4. შეცდომის ცნება

შეცდომად მიიჩნევა მცდარი შეხედულებები იმ ფაქტებისა და სამართლებრივი ნორმების შესახებ, რომლებიც არსებობდნენ ხელშეკრულების დადების მომენტში.

მუხლი 3.5. არსებითი შეცდომა

1. მხარეს უფლება აქვს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე შეცდომის მიზეზით, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში შეცდომა იმდენად ნათელი იყო, რომ საკმარისად ინფორმირებული პირი, ანალოგიურ სიტუაციაში ხელშეკრულების დადების არსებითად განსხვავებულ პირობებზე ან საერთოდ უარს იტყოდა ხელშეკრულების დადებაზე თუ მისთვის ცნობილი იქნებოდა რეალური გარემოებები, და:

ა) მეორე მხარე ასევე ცდებოდა, ხელს უწყობდა შეცდომას, ან იცოდა ან უნდა სცოდნოდა შეცდომის შესახებ და ასეთ მდგომარეობაში შეცდომაში შეყვანილი მხარის დატოვება ეწინააღმდეგებოდა კერძო საქმიანი ურთიერთობების აღიარებულ სტანდარტებს.

ბ) მეორე მხარე ხელშეკრულებაზე უარის თქმის მომენტში არ

მოქმედებდა ხელშეკრულებაზე დაყრდნობით.

2. ამავე დროს, მხარეს უფლება არა აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ:

ა. შეცდომა გამოწვეულია მისი უხეში დაუდევრობით;

ბ. შეცდომა ეხება საკითხს, რომელთან დაკავშირებით შეცდომაში შეყვანილ მხარეს გათვალისწინებული ჰქონდა შეცდომის რისკი, ან კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, შეცდომის რისკი მას ეკისრება.

მუხლი 3.6. გამოთქმის და გადაცემის შეცდომა

შეცდომა, გამოწვეული განცხადების გამოთქმაში ან გადაცემაში, მიეკუთვნება იმ პირის შეცდომას, რომლისგანაც მოდის განცხადება.

მუხლი 3.7. შეუსრულებლობასთან დაკავშირებული დაცვის სამართლებრივი საშუალებები

მხარეს არა აქვს უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე შეცდომის მიზეზით, თუ ის გარემოებები, რომლებსაც იგი ეყრდნობა, უშვებს, ან შეეძლო დაეშვა შეუსრულებლობის სამართლებრივი დაცვა.

მუხლი 3. 8. მოტყუება

მხარეს უფლება აქვს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ ხელშეკრულების დადება მოხდა მეორე მხარის ცრუ განცხადებების საფუძველზე, გამოხატვის ენისა და ქმედების ფორმით, ან ფაქტების არაკეთილსინდისიერი დამალვით, რომელიც პატიოსანი, კერძო საქმიანი პრაქტიკის ქონებრივი კომერციული სტანდარტების შესაბამისად, უნდა ვაცნობოთ მეორე მხარეს.

მუხლი 3.9. მუქარა

მხარეს უფლება აქვს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ იგი დაიდო მეორე მხარის გაუმართლებელი მუქარის საფუძველზე, რომელიც კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, იმდენად რეალური და სერიოზული იყო, რომ მეორე მხარეს არ უტოვებდა გონივრულ ალტერნატივას.

კერძოდ, მუქარა მიიჩნევა გაუმართლებლად, თუ მუქარით გამოხატული ქმედება ან უმოქმედობა თავისთავად ითვლება მართლსაწინააღმდეგოდ, ან მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა მისი გამოყენება ხელშეკრულების დადების საშუალებად.

მუხლი 3.10. არსებითი უთანასწორობა

1. მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან მის ცალკეულ პირობაზე, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში ხელშეკრულება ან მისი რომელიმე პირობა ქმნიდა მეორე მხარისათვის გაუმართლებელ უპირატესობას. მათ შორის გათვალისწინებული უნდა იყოს:

ა. მხარის მიერ ისეთი გარემოებების არაკეთილსინდისიერი გამოყენება, როგორებიცაა: მასზე მეორე მხარის დამოკიდებულება, ეკონომიკური სიდუხჭირე, უკიდურესი გაჭირვება, წინდაუხედაობა, არაინფორმირებულობა და მოლაპარაკებების წარმოების ჩვევების უქონლობა და ასევე:

ბ. ხელშეკრულების ხასიათი და მიზანი.

2. ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ხელშეკრულება ან მისი ერთი ან რამდენიმე პირობა, რათა იგი მოყვანილი იქნეს კერძო საქმიანი პრაქტიკის გონებრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისობაში.

3. სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ხელშეკრულება ან მისი პირობა, იმ მხარის მოთხოვნით, რომელმაც მიიღო შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, იმ პირობით, რომ ეს მხარე მეორე მხარეს დაუყოვნებლივ შეატყობინებს თავისი თხოვნის შესახებ, ასეთი შეტყობინების მიღებისთანავე და სანამ მეორე მხარემ დაასრულა რაიმე ქმედება მასზე დაყრდნობით, შესაბამისად გამოიყენება 3.13.2. პუნქტის მოთხოვნები.

მუხლი 3.11. მესამე პირები

1. თუ მხარის მოტყუება, არსებითი უთანასწორობა ან შეცდომა გამოწვეულია მესამე პირის მიერ, რომელზეც პასუხისმგებელი იყო მეორე მხარე, ან ამ მესამე პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამის შესახებ, ხელშეკრულებაზე უარის თქმა შეიძლება იმავე პირობით, თუ შესაბამისი ქმედება ან ინფორმაცია იქნებოდა უშუალოდ მხარის მხრიდან.

2. თუ მოტყუება, მუქარა, არსებითი უთანასწორობა, გამოწვეულია მესამე პირის მიერ, რომელზეც პასუხს არ აგებს მეორე მხარე, ხელშეკრულებაზე უარის თქმა დაიშვება, თუ ამ მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მოტყუების, მუქარის, არსებითი უთანასწორობის შესახებ ან ხელშეკრულებაზე უარის თქმისას მას არ განუხორციელებია ქმედება ხელშეკრულებაზე დაყრდნობით.

მუხლი 3.12. დადასტურება

თუ მხარე, რომელსაც უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, პირდაპირ ან გასაგები სახით ადასტურებს ხელშეკრულებას მას შემდეგ, რაც დაიწყო დროის დინება, რომელიც საჭიროა ხელშეკრულებაზე უარის თქმაზე შეტყობინებისათვის, ხელშეკრულებაზე უარის თქმა დაუშვებელია.

მუხლი 3.13. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების დაკარგვა

1. თუ მხარეს უფლება აქვს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, შეცდომასთან დაკავშირებით და მეორე მხარე განაცხადებს მზადყოფნას, შეასრულოს ხელშეკრულება ან რეალურად ასრულებს მას ისე, როგორც ეს ესმოდა მხარეს, რომელსაც აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, ხელშეკრულება ითვლება დადებულად, ისე, როგორც ეს გაგებული ჰქონდა ამ მხარეს. მეორემ ასეთი განცხადება უნდა გააკეთოს, ან უნდა განახორციელოს ასეთი შესრულება, დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა იმის შესახებ, თუ როგორ ესმის ხელშეკრულება მხარეს, რომელსაც აქვს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება. ეს უნდა მოხდეს მანამდე, სანამ ამ მხარემ განახორციელა რაიმე ქმედება ხელშეკრულების შეწყვეტაზე მითითებით.

2. ასეთი განცხადების ან შესრულების შემდეგ, მხარე კარგავს უფლებას, უარი თქვას ხელშეკრულებაზე და ძალაში არ არის არცერთი შემდგომი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 3.14. შეტყობინება ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ

ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების რეალიზაცია მხარის მიერ ხდება ამის შესახებ მეორე მხარის შეტყობინებით.

მუხლი 3.15. შეზღუდვა ვადებში

1. შეტყობინება ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ უნდა გაკეთდეს გონივრულ ვადებში, იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომელთა შემდეგ მხარემ, რომელიც უარს ამბობს ხელშეკრულებაზე, გაიგო, ან არ შეეძლო გაეგო სათანადო ფაქტების შესახებ და მიიღო რა გადაწყვეტილება, ამოქმედდა საკუთარი შეხედულებების მიხედვით.

2. თუ მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულების ცალკეულ პირობაზე 3.10 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადის დადება იწყება მომენტიდან, როდესაც მეორე მხარემ წამოაყენა ეს პირობა.

მუხლი 3.16. ნაწილობრივი უარის თქმა

თუ უარის თქმის საფუძველი ეხება ხელშეკრულების რომელიმე ერთ დებულებას, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები შემოიფარგლება ამ პირობით, თუ არსებული გარემოებების გათვალისწინებით საერთოდ არის მიზანშეწონილი დანარჩენი ხელშეკრულების შენარჩუნება.

მუხლი 3.17. უარის თქმის უკუძალა

1. ხელშეკრულებაზე უარის თქმას არა აქვს უკუძალა;

2. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ყველაფერი, რაც მან გადასცა მეორე მხარეს ხელშეკრულების ან მისი ნაწილის შესაბამისად, რომელზეც მოხდა უარის თქმა იმ პირობით, რომ ისიც ასევე დაუბრუნებს მეორე მხარეს, რაც მან მიიღო ხელშეკრულებით ან მისი ნაწილით, რომელზეც მოხდა უარის თქმა ან თუ არ ხერხდება დაბრუნება ნატურით, მხარე ახდენს ყველაფერის კომპენსაციას, რაც მიიღო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელზეც ითქვა უარი.

მუხლი 3.18. ზიანი

მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა ხელშეკრულებაზე უარის თქმა, მხარე, რომელმაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძვლის შესახებ, პასუხისმგებელია იმ ზიანზე, რომლის ანაზღაურების შემთხვევაში, მეორე მხარე ჩადგება მდგომარეობაში, რომელშიც იგი აღმოჩნდებოდა, მას ხელშეკრულება რომ არ დაედო.

მუხლი 3.19. იმპერატიული დებულება.

ამ თავის დებულებები არის იმპერატიული, გარდა იმისა, რომლებიც ეხება უბრალო შეთანხმებებს, საწყის შეუსრულებლობას და შეცდომას.

მუხლი 3.20. ცალმხრივი განცხადება

მოცემული თავის დებულებები გამოიყენება განზრახულობის ნებისმიერი შეტყობინების მიმართ, რომელსაც ერთი მხარე წარუდგენს მეორე მხარეს.

თავი 4. განმარტება

მუხლი 4.1. მხარეთა განზრახულობა

1. ხელშეკრულების განმარტება უნდა მოხდეს მხარეთა საერთო განზრახულობათა შესაბამისად.

2. თუ ასეთი განზრახულობის გამოვლენა ვერ ხერხდება, ხელშეკრულების განმარტება უნდა მოხდეს იმ მნიშვნელობათა შესაბამისად, რომლითაც ხელშეკრულებას მიანიჭებდენ მხარეების ანალოგიური კომპეტენტური პირები, ასეთივე გარემოებებში.

მუხლი 4.2. განცხადებების და სხვა ქმედებათა განმარტება

1. განცხადებების და სხვა ქმედებების განმარტება უნდა მოხდეს მის განზრახულობათა შესაბამისად, თუ მეორე მხარემ იცოდა ან არ შეიძლება არ სცოდნოდა ასეთი განზრახულობების შესახებ.

2. თუ წინა პუნქტის გამოყენება არ შეიძლება, მხარის განცხადებების და ქმედებების განმარტება უნდა მოხდეს იმ მნიშვნელობათა შესაბამისად, რომელსაც მეორე მხარის ანალოგიური კომპეტენტური პირი მიანიჭებდა მათ ასეთ გარემოებებში.

მუხლი 4.3. მხედველობაში მისაღები გარემოებები

4.1 და 4.2 მუხლების გამოყენებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა გარემოება, მათ შორის:

ა. წინასწარი მოლაპარაკებები მხარეთა შორის;

ბ. მხარეებს შორის ურთიერთობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკა;

გ. მხარეების ქცევა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

დ. ხელშეკრულების ხასიათი და მიზანი;

ე. სამეწარმეო საქმიანობის მოცემულ სფეროში მიღებული პირობებისა და გამოთქმების მნიშვნელობები;

ე. ჩვეულებები.

მუხლი 4.4. საერთო მითითებები ხელშეკრულებასა და განცხადებებზე

პირობებისა და გამოთქმების განმარტება უნდა ხდებოდეს მთელი ხელშეკრულების ან განცხადების შესაბამისად.

მუხლი 4.5. სისტემატური განმარტება

ხელშეკრულების პირობების განმარტება უნდა მოხდეს ისე, რომ განიმარტოს ყველა და არა მარტო მისი რომელიმე პირობის მნიშვნელობა.

მუხლი 4.6. წესი "Contra proterentem"

თუ ხელშეკრულებით წამოყენებულია პირობა ერთი მხარის მიერ და იგი ბუნდოვანია, უპირატესობა ენიჭება განმარტებას, რომელიც ეწინააღდეგება ამ მხარის ინტერესებს.

მუხლი 4.7. ლინგვისტური განსხვავებები

თუ ხელშეკრულება შედგენილია ორ ან მეტ ენაზე და ყოველ მათგანს აქვს თანაბარი ძალა, მაშინ ტექსტებს შორის განსხვავების გამოელენის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება და განმარტება მოხდება ხელშეკრულების იმ ვარიანტის ტექსტის მიხედვით, რომელიც პირველად იქნა შედგენილი.

მუხლი 4.8.

1. თუ მხარეებმა არ შეათანხმეს პირობა, რომელიც მნიშვნელოვანია მათი უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრისა და განმარტებისათვის, ხელშეკრულება მიიღება იმ პირობით, რომელიც მიიჩნევა შესაბამისად მოცემულ გარემოებებში.

2. იმის განსასაზღვრად, თუ რომელი პირობა მიიჩნევა შესაბამისად მოცემულ გარემოებებში, სხვა ფაქტებთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

ა. მხარეთა განზრახულობები;

ბ. ხელშეკრულების ხასიათი და მიზანი;

გ. კეთილსინდისიერი საქმიანი პრაქტიკა;

დ. საღი აზრი.

თავი 5. შინაარსი

მუხლი 5.1. პირდაპირი და სავარაუდო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულებები შეიძლება იყოს პირდაპირი და სავარაუდო.

მუხლი 5.2. სავარაუდო ვალდებულებები

სავარაუდო ვალდებულებები გამომდინარეობენ:

ა. ხელშეკრულების ხასიათიდან და მიზნიდან;

ბ. მხარეებს შორის დადგენილი (ჩამოყალიბებული) ურთიერთობების პრაქტიკიდან;

გ. კეთილსინდისიერი საქმიანი პრაქტიკიდან;

დ. საღი აზრიდან.

მუხლი 5.3. მხარეებს შორის თანამშრომლობა

ყოველი მხარე უნდა თანამშრომლობდეს მეორე მხარესთან, თუ ასეთი თანამშრომლობა მიზანშეწონილია ამ მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

მუხლი 5.4. განსაზღვრული მიზნის მიღწევის აუცილებლობა. მაქსიმალური ძალისხმევის გამოელენის აუცილებლობა

1. მხარე ვალდებულია მიაღწიოს იმ შედეგს, რომლის მიღწევაც მან დაისახა მოცემული ხელშეკრულებით.

2. როდესაც მხარე კისრულობს ვალდებულებას, განახორციელოს მაქსიმალური ძალისხმევა ცალკეული ქმედების შესასრულებლად, ეს მხარე ვალდებულია გამოიჩინოს ისეთი ძალისხმევა, როგორსაც გამოიყენებდა მისი ანალოგიური საღი აზრის მქონე პირი ასეთივე გარემოებებში.

მუხლი 5.5. აღებული ვალდებულებების შინაარსის განსაზღვრა

იმის განსასაზღვრავად, თუ რა ზომით ითვალისწინებს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები, მის ვალდებულებას გამოიჩინოს მაქსიმალური ძალისხმევა ცალკეული ქმედების შესრულებისას, ან ვალდებულებას, მიაღწიოს გარკვეულ შედეგს, მხედველობაში მიიღება:

ა. ფორმა, რომლითაც ვალდებულებაა ჩამოყალიბებული ხელშეკრულებაში;

ბ. ხელშეკრულების ფასი და ხელშეკრულების სხვა პირობები;

გ. რისკის ხარისხი, დაკავშირებული გარკვეული შედეგის მიღწევასთან;

დ. მეორე მხარის უნარი, იკისროს და შეასრულოს ვალდებულებები.

მუხლი 5.6. შესრულების ხარისხის განსაზღვრა

თუ ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული შესრულების ხარისხი ან ხელშეკრულების საფუძველზე არ შეიძლება მისი განსაზღვრა, მხარემ უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების სათანადო ხარისხი, რომელიც არ უნდა იყოს იმ საშუალო დონეზე დაბალი, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

მუხლი 5.7. ფასის განსაზღვრა

1. თუ ხელშეკრულებაში არ არის დადგენილი ფასი, ან მისი განსაზღვრის წესი, სხვა მითითების არსებობის პირობებში მიიჩნევა, რომ მხარეები გულისხმობდნენ ფასს, რომელიც არსებობდა ანალოგიურ საქონელზე და მომსახურებაზე ხელშეკრულების დადების მომენტში, სამეურნეო საქმიანობის შესაბამის სფეროში ან, თუ ასეთი ფასი არ არსებობს, მაშინ, მითითებას ფასზე, საღი აზრის ფარგლებში.

2. თუ ხელშეკრულების თანახმად, ფასი უნდა განსაზღვროს ერთმა მხარემ და მის მიერ განსაზღვრული ფასი აშკარად არარეალურია, ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის მიუხედავად, ფასი

უნდა დაზუსტდეს საღი აზრის ფარგლებში.

3. თუ ფასი უნდა დაადგინოს მესამე პირმა და იგი ამას ვერ აკეთებს, ან არ სურს გააკეთოს, სახელშეკრულებო ფასი უნდა განისაზღვროს საღი აზრის ფარგლებში.

4. თუ ფასი უნდა განისაზღვროს ფაქტორების მიხედვით, რომლებიც აღარ არსებობენ, ან შეწყვიტეს არსებობა, არ ხერხდება მათი დადგენა, მათ ნაცვლად გათვალისწინებული უნდა იქნეს ასეთი ფაქტორების ყველაზე უფრო მიახლოებული ექვივალენტები.

მუხლი. 5.8. ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით

განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერი მხარის მიერ, წინასწარი შეტყობინებით. წინასწარ შეტყობინების ვადა არ უნდა გამოდიოდეს გონებრივი განსჯის ფარგლებიდან.

თავი 6. შესრულება

ნაწილი 1. საერთო დებულებები შესრულების შესახებ

მუხლი 6.1.1. შესრულების ვადები

მხარეები ვალდებული არიან თავისი ვალდებულებები შეასრულონ:

ა. ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში, ან ვადებში, რომლებიც შეიძლება განისაზღვროს ხელშეკრულებიდან.

ბ. თუ შესრულების ვადა განსაზღვრულია ხელშეკრულებით, ან შეიძლება ხელშეკრულებიდან ასეთი ვადის განსაზღვრა, ამ ვადის ნებისმიერ მომენტში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების ან გარემოებათა თანახმად, მეორე მხარეს არა აქვს უფლება, აირჩიოს შესრულების კონკრეტული ვადა.

გ. ყველა სხვა შემთხვევაში, გონებრივი განსჯის ფარგლებში არსებულ დროში, ხელშეკრულების დადების შემდეგ.

მუხლი 6.1.2. ერთდროული ან ნაწილობრივი შესრულება

მხარეები ვალდებული არიან ერთდროულად შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ შესაძლებელია ასეთი შესრულება და გარემოებები სხვა რამეზე არ მიუთითებენ.

მუხლი. 6.1.3. ნაწილობრივი შესრულება

1. კრედიტორს უფლება აქვს, უარი თქვას ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებაზე, შესრულების ვადის დადგომისას, მიუხედა-

ვად იმისა, მიიჩნევა თუ არა ასეთი შესრულება, ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებად, თუ კრედიტორს არა აქვს კანონიერი ინტერესები ასეთ შესრულებაში.

2. კრედიტორის დამატებითი ხარჯები, გამოწვეული ნაწილობრივი მიწოდების განხორციელებასთან, ყოველგვარი ლადებითი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების გარეშე, ეკისრება მოვალე მხარეს.

მუხლი 6.1.5. შესრულების წესი

1. როდესაც მხარე ვალდებულია ვალდებულება შეასრულოს ერთდროულად, იგი ვალდებულია შესრულება განახორციელოს ერთდროულად, თუ გარემოებები სხვაზე არ მიუთითებენ.

2. როდესაც მხოლოდ ერთი მხარის მიერ შესრულება მოითხოვს გარკვეულ პერიოდს, ეს მხარე ვალდებულია პირველმა განახორციელოს შესრულება, თუ გარემოებები სხვაზე არ მიუთითებენ.

მუხლი 6.1.5. ვადამდე შესრულება

1. კრედიტორს უფლება აქვს უარი თქვას ვადამდე შესრულებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას კანონიერი ინტერესი აქვს ასეთი მოქცევისათვის.

2. მხარის მიერ ვადამდე შესრულების მიღება გავლენას არ ახდენს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ვადებზე, თუ ასეთი ვადები დადგენილი იყო მეორე მხარის მიერ ვალდებულებების შესრულებისგან დამოუკიდებლად.

3. როდესაც ვადამდე მიწოდება ხდება მოვალის თხოვნით, ასეთ მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯები ეკისრება მოვალეს, დამატებითი სამართლებრივი დაცვის საშულებების გამოყენების გარეშე (მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას ვადამდე მიწოდებაზე. ასეთი მიწოდებით გამოწვეული მოვალის ხარჯები მთლიანად ეკისრება კრედიტორს).

მუხლი 6.1.6. შესრულების ადგილი

1. თუ შესრულების ადგილი განსაზღვრული არ არის ხელშეკრულებაში ან მისი განსაზღვრა შეუძლებელია, მხარემ უნდა შეასრულოს:

ა. ფულადი ვალდებულებები კრედიტორის კომერციული საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით;

ბ. ნებისმიერი სხვა ვალდებულება – მისი კომერციული საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით.

2. მხარეს ეკისრება ხარჯების ტვირთი, გამოწვეული მისი კომერციული საწარმოს ადგილმდებარეობის შეცვლით, ხელშეკრულების დადების შემდეგ.

მუხლი 6.1.7. ანგარიშსწორება ჩეკით ან სხვა ანგარიშსწორების საშუალებით

1. ანგარიშსწორება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ფორმით, რომელიც გამოიყენება ჩვეულებრივი საქმიანი ურთიერთობების პრაქტიკაში ანგარიშსწორების ადგილზე.

2. როდესაც კრედიტორი წინა მუხლის თანახმად, ან ნებაყოფლობით იღებს ჩეკს ან ანგარიშსწორების სხვა საშუალებას ან გადახდის ვალდებულებას მოვალის მხრიდან, იგულისხმება, რომ ეს გაკეთდა მხოლოდ იმ პირობით, რომ აუცილებლად მოხდება ანგარიშსწორება.

მუხლი 6.1.8. ანგარიშსწორება გადარიცხვით

1. თუ კრედიტორმა არ მიუთითა კონკრეტული საბანკო ანგარიში, ანგარიშსწორება შეიძლება განხორციელდეს თანხის გადარიცხვით ნებისმიერ საფინანსო დაწესებულებაში, სადაც კრედიტორს გახსნილი აქვს ანგარიში და რის შესახებაც მან აცნობა მოვალეს.

2. გადარიცხვის მეშვეობით ვალდებულება შესრულებულად ითვლება, როდესაც თანხა მოხვდება კრედიტორის ანგარიშზე.

მუხლი 6.1.9. ანგარიშსწორების ვალუტა

1. როდესაც ფულადი ვალდებულება წარმოდგენილია შესრულების ადგილზე მოქმედი ვალუტისგან განსხვავებული ვალუტით, ასეთი ვალდებულების შესრულება შეიძლება მოხდეს შესრულების ადგილზე მოქმედი ვალუტით, გარდა შემთხვევებისა, როდესაც:

ა. ეს ვალუტა არ განეკუთვნება თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას;

ბ. მხარეები შეთანხმდენ, რომ ანგარიშსწორება მოხდება იმ ვალუტით, რომელშიც ვალდებულებაა გამოსახული.

2. თუ მოვალეს არა აქვს საშუალება, ანგარიშსწორება მოახდინოს იმ ვალუტაში, რომელშიც ვალდებულებაა გამოსახული, კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ანგარიშსწორება გადახდის ადგილზე მოქმედი ვალუტით.

3. ანგარიშსწორების ადგილზე მოქმედი ვალუტით ანგარიშსწორებისას, გადახდა უნდა მოხდეს იმ გაცვლითი კურსით, რომელიც ძალაშია ანგარიშსწორების ადგილზე, გადახდის თარიღისათვის.

4. იმ შემთხვევაში, თუ მოვალემ არ მოახდინა ანგარიშსწორება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ან სხვა შეთანხმებულ ვალუტაში, კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს მოვალეს, ანგარიშსწორების მოხდენა სავალუტო კურსით, რომელიც მოქმედებდა დადგენილი ანგარიშსწორების თარიღისათვის ან სავალუტო კურსით ფაქტიური ანგარიშსწორების თარიღისათვის.

მუხლი 6.1.10. როდესაც გაურკვეველია ვალუტა

თუ ფულადი ვალდებულება არ არის გამოხატული რომელიმე კონკრეტულ ვალუტაში, ანგარიშსწორება უნდა მოხდეს იმ ადგილის ვალუტით, სადაც უნდა განხორციელდეს ანგარიშსწორება.

მუხლი 6.1.11. შესრულების ღირებულება

ყოველმა მხარემ უნდა გასწიოს ხარჯები, დაკავშირებული მისი ვალდებულების შესრულებასთან.

მუხლი 6.1.12 ანგარიშსწორების რიგითობა

1. როდესაც მოვალეს აქვს ერთი კრედიტორის რამდენიმე დავალიანება, მას შეუძლია ანგარიშსწორებისას მიუთითოს ის დავალიანება, რომლის დაფარვაც ხდება მოცემული გადახდით; ამავე დროს გადახდა, პირველ რიგში, ფარავს ნებისმიერ ხარჯს, შემდეგ საპროცენტო სარგებელს და შემდეგ ძირითად თანხას.

2. თუ მოვალე არ იძლევა რაიმე მითითებას გადახდის რიგითობის შესახებ, გადახდიდან სათანადო დროის გასვლის შემდეგ, კრედიტორს უფლება აქვს განუცხადოს მოვალეს იმის თაობაზე, თუ რომელ ვალს მიაკუთვნა მან მორიგი გადახდა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ვალის დაფარვის ვადა დამდგარია, რაც უდავოა.

3. როდესაც არ არის დადგენილი ანგარიშსწორების რიგითობა, გადახდა მიეკუთვნება იმ ვალდებულებას, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ერთ-ერთ კრიტერიუმებს:

ა. ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა დადგა პირველად;

ბ. ვალდებულება, რომლისთვისაც კრედიტორს აქვს ყველაზე მცირე უზრუნველყოფა;

გ. ვალდებულება, რომელიც უფრო მძიმეა კრედიტორისათვის;

დ. ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა ყველა სხვაზე ადრე.

თუ არცერთი ეს კრიტერიუმი არ გამოიყენება, გადახდილი თანხა პროპორციულად ნაწილდება ყველა ვალდებულებაზე.

მუხლი 6.1.13. არაფულადი ვალდებულებების შესრულების რიგითობა

ფულადი დავალიანებების დაფარვის რიგითობა გამოიყენება არა-

ფულადი ვალდებულებებისთვისაც.

მუხლი 6.1.14. სახელმწიფოს ნებართვის მიღება

თუ რომელიმე ქვეყნის საკანონმდებლო ნორმა მოითხოვს სახელმწიფო ნებართვას, რომელიც გავლენას ახდენს მის ნამდვილობაზე ან შესრულებაზე და თუ ნორმა და არც ვალდებულება სხვას არ ითვალისწინებს, მაშინ:

ა. თუ მხოლოდ ერთ მხარეს აქვს კომერციული საწარმო ამ ქვეყანაში, მაშინ ეს საწარმო ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა შესაბამისი ნებართვის მოთხოვნისა და მიღებისათვის;

ბ. ყველა სხვა შემთხვევაში, მხარე, რომლის შესრულებაც მოითხოვს ნებართვას, ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები ასეთი ნებართვის დროულად მისაღებად.

მუხლი 6.1.15. ნებართვის მიღებისათვის მიმართვის პროცედურა

1. მხარე,რომელმაც უნდა მოიპოვოს ნებართვა, ვალდებულია ეს გააკეთოს გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე და გასწიოს ამ პროცედურასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

2. ეს მხარე ვალდებულია, სათანადო შემთხვევაში დაუსაბუთებელი გაჭიანურების გარეშე შეატყობინოს მეორე მხარეს ნებართვის მიღების ან ნებართვის მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 6.1.16. ნებართვის გაცემაზე უარის თქმა და გაცემაზე უარის თქმის არ არსებობა

1. თუ მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისმა მხარემ ყველაფერი გააკეთა სათანადო ნებართვის დროულად მისაღებად, მაგრამ ნებართვა ვერ იქნა მიღებული ან არ არის მიღებული, ან უარი ნებართვის გაცემაზე, შეთანხმებულ ვადაში, ხოლო თუ ასეთი ვადა არ ყოფილა შეთანხმებული, სათანადო ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების დადებიდან, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

2. თუ ნებართვა ეხება მხოლოდ ხელშეკრულების რომელიმე პირობას, წინა პუნქტი არ გამოიყენება, თუ გარემოებათა გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევა ხელშეკრულების ძალაში დატოვება, მაშინაც კი, თუ უარი იქნა მიღებული ნებართვის გაცემაზე.

მუხლი 6.1.17. უარის თქმა ნებართვის გაცემაზე

1. უარის თქმა იმ ნებართვის გაცემაზე, რომელიც განაპირობებს ხელშეკრულების ნამდვილობას, ამ ხელშეკრულებას არარაობად აქცევს. თუ პასუხი ეხება ხელშეკრულების მხოლოდ ცალკეულ პი-

რობებს, მხოლოდ ეს პირობები იქცევა ძალადაკარგულად, თუ გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლოდ მიიჩნევა ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილის ძალაში დატოვება.

2. თუ უარი ნებართვის გაცემაზე შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებას, გამოყენებული უნდა იქნეს შეუსრულებლობის მარეგულირებელი ნორმები.

ნაწილი 2. სიძნელეები

მუხლი 6.2.1. სახელშეკრულებო ვალდებულებების დაცვა

მაშინაც კი, როდესაც ხელშეკრულების შესრულება ერთი მხარისათვის ხდება განსაკუთრებით ძნელი, იგი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, სიძნელეებთან დაკავშირებული, ქვემოთ მოყვანილი დებულებების გათვალისწინებით.

მუხლი 6.2.2. სიძნელეების განმარტება

სიძნელეებად მიიჩნევა შემთხვევები, რომლებიც არსებითად არღვევენ სახელშეკრულებო ვალდებულებების წონასწორობას, იმის გამო, რომ იზრდება ერთი მხარის ხარჯები დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან, ან მცირდება ხელშეკრულების შედეგად მხარის მიერ მიღებული სარგებელი (ღირებულება) როდესაც:

ა. მოვლენები ჩნდება ან მათ შესახებ ცნობილი ხდება ხელშეკრულების დადების შემდეგ;

ბ. დაზარალებულ მხარეს არ შეეძლო გონებრივი განსჯის ფარგლებში გაეთვალისწინებინა ასეთი მოვლენების წარმოშობა და განვითარება;

გ. მოვლენა არ არის დამოკიდებული დაზარალებულ მხარეზე;

დ. ასეთი მოვლენების წარმოქმნის რისკი არ აულია დაზარალებულ მხარეს.

მუხლი 6.2.3. სიძნელეების შედეგები

1. სიძნელეების წარმოქმნის შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს მეორე მხარეს ხელშეკრულების ან მისი რომელიმე პირობის გადასინჯვის თაობაზე.

2. თხოვნა ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ, დაზარალებულ მხარეს არ აძლევს უფლებას, შეაჩეროს შესრულება.

3. მისაღებ ვადაში შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ორივე მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

4. თუ სასამართლო დაადგენს რეალური სიძნელეების არსებობას, მან შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება:

ა. შეწყვიტოს ხელშეკრულება გარკვეული თარიღიდან და გარკვეული პირობებით;

ბ. შეცვალოს ხელშეკრულება წონასწორობის აღდგენის მიზნით.

თავი 7. შეუსრულებლობა
ნაწილი 1. საერთო დებულებები

მუხლი 7.1.1. შეუსრულებლობის განმარტება

შეუსრულებლობად მიიჩნევა მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, არასათანადო შესრულებისა და შესრულების დადგენილი ვადების დარღვევის ჩათვლით.

მუხლი 7.1.2. მეორე მხარის ჩარევა

მხარე არ უნდა დაეყრდნოს მეორე მხარის მიერ დაშვებულ შეუსრულებლობას იმ ფარგლებში, რამდენადაც ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეული იყო მისი ქმედების ან უყურადღებობის, ან იმ მოვლენის შედეგად, რომლის რისკი მას ეკისრებოდა.

მუხლი 7.1.3. შესრულების შეჩერება

1. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს მხარეების მიერ ვალდებულებების ერთდროულ შესრულებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს შეაჩეროს ვალდებულების შესრულება, სანამ მეორე მხარე არ გააგრძელებს თავისი ვალდებულებების შესრულებას.

2. თუ მხარეებმა თავისი ვალდებულებები უნდა შეასრულონ თანმიმდევრობით, მხარეს, რომელმაც თავისი უფლებები უნდა შეასრულოს მოგვიანებით, უფლება აქვს შეაჩეროს ვალდებულების შესრულება, სანამ მეორე მხარე სრულად არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს.

მუხლი 7.1.4. შესწორება

1. მხარეს, რომელმაც არ შეასრულა თავისი ვალდებულებები, შეუძლია გამოასწოროს ნებისმიერი შეუსრულებლობა, იმ პირობით, რომ:

ა. იგი დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს შეუსრულებლობის გასწორების წესისა და დროის შესახებ.

ბ. შესწორება შეესაბამება მოცემულ გარემოებებს.

გ. დაზარალებულ მხარეს არა აქვს კანონიერი ინტერესი, უარი თქვას შეუსრულებლობის გასწორებაზე.

დ. გასწორება ხდება დაუყოვნებლივ.

2. გასწორების უფლება არ არის გამორიცხული შეტყობინებით ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

3. დაზარალებულმა მხარემ შეუძლია შეაჩეროს თავისი ვალდებულებების შესრულება შესწორების მოლოდინში.

4. მიუხედავად გასწორებისა, დაზარალებული მხარე ინარჩუნებს უფლებას, მოსთხოვოს მეორე მხარეს შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 7.1.5. დამატებითი ვადა შესრულებისათვის

1. როდესაც სახეზეა ერთი მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა, მეორე მხარეს უფლება აქვს შეატყობინოს შესრულებისათვის დამატებითი ვადის მიცემის შესახებ.

2. დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს, შეაჩეროს თავისი ვალდებულებების შესრულება დამატებითი ვადის განმავლობაში და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამავე დროს, მას არა აქვს სამართლებრივი დაცვის სხვა ნებისმიერი ფორმის გამოყენების საშუალება. თუ დაზარალებული მხარე მეორე მხარისაგან მიიღებს შეტყობინებას იმის თაობაზე, რომ მოცემულ ვადაში იგი ვერ მოახერხებს შეუსრულებლობის გასწორებას, ან დადგენილი ვადის შემდეგ შესწორება არ აღმოჩნდება დაზარალებული მხარისათვის მისაღები, მას შეუძლია მიმართოს სამართლებრივი დაცვის ნებისმიერ საშუალებას.

3. შესრულების უმნიშვნელო დაგვიანების შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს, მეორე მხარეს მისცეს საკმარისი დრო გამოსწორებისათვის, რომლის გასვლის შემდეგაც, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ ასეთი გზით მიცემული ვადა გამოსწორებისათვის არ იქნება საკმარისი გონებრივი განსჯის ფარგლებში, იგი უნდა გაგრძელდეს გამოსწორებისათვის აუცილებელ რეალურ ვადამდე, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს თავის შეტყობინებაში ვადის გაგრძელების თაობაზე, მიუთითოს იმის შესახებ, რომ თუ დათქმულ ვადაში არ

იქნება ვალდებულება შესრულებული, იგი შეწყვეტს ხელშეკრულებას.

4. მე-3 პუნქტი არ გამოიყენება, თუ შეუსრულებელი ვალდებულება წარმოადგენს დავალებას არშემსრულებელი მხარის ვალდებულებების უმნიშვნელო ნაწილის მიცემული ხელშეკრულების მიხედვით.

მუხლი 7.1.6. გამონაკლისის დაუშვებლობა

მითითება, რომელიც ზღუდავს ან გამორიცხავს ერთი მხარის პასუხისმგებლობას შეუსრულებლობისათვის, ან უშვებს, რომ ერთმა მხარემ განახორციელოს იმისგან განსხვავებული შესრულება, რომლის მიღებისა და მოთხოვნის უფლებაც აქვს მეორე მხარეს, არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულების მიღება გამოიწვევს აშკარა უსამართლობას, ხელშეკრულების მიზნის გათვალისწინებით.

მუხლი 7.1.7. დაუძლეველი ძალის გარემოებები (ფორსმაჟორი)

1. მხარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან შეუსრულებლობისათვის, თუ იგი დაამტკიცებს, რომ შეუსრულებლობა გამოწვეული იყო მისგან დამოუკიდებელი და დაუძლეველი ძალის გარემოებებით, რომელთა გათვალისწინება შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადების მომენტში.

2. თუ დაუძლეველი ძალის გარემოებები დროებითია, ასევე დროებითია პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებაც, იმის გათვალისწინებით, რომელსაც დაუძლეველი ძალის გარემოებები ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

ნაწილი 2. შესრულების უფლება

მუხლი 7.2.1. ფულადი ვალდებულებების შესრულება

თუ მხარე ვალდებულია გადაიხადოს ფული და ამას არ აკეთებს, მეორე მხარეს შეუძლია მოსთხოვოს მას ამის გაკეთება.

მუხლი 7.2.2. არაფულადი ვალდებულებების შესრულება

როდესაც მხარე ვალდებულია ვალდებულება შეასრულოს არაფულადი სახით და არ ასრულებს ამას, მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, თუ:

ა. შესრულება შესაძლებელია იურიდიულად და ფაქტიურად;

ბ. შესრულება შეუძლებელია ან იძულებით შესრულება იქნება გაუმართლებლად ძნელი და ძვირი;

გ. მხარეს, რომელსაც აქვს შესრულების მოთხოვნის უფლება, შეუძლია მიიღოს შესრულება სხვა უფრო ხელსაყრელი პირობებიდან;

დ. შესრულება ატარებს ცალსახად პირად ხასიათს, ან

ე. მხარე, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს შესრულება, არ გააკეთებს ამას გონივრულ ვადებში, მას შემდეგ, რაც მან გაიგო, ან უნდა გაეგო შეუსრულებლობის შესახებ.

მუხლი 7.2.3. შესწორება ან არასათანადო შესრულების შეცვლა

შესრულების მოთხოვნის უფლება, ცალკეულ შემთხვევებში, მოიცავს შესწორების, შეცვლის ან შესრულების ხარვეზების აღმოფხვრის მოთხოვნის უფლებას.

მუხლი 7.2.4. სასამართლო ჯარიმა

1. თუ სასამართლო აკისრებს მხარეს შესრულების გამოსწორებას, ასევე შეუძლია დააკისროს მას ჯარიმის გადახდაც, თუ იგი არ შეასრულებს მის გადაწყვეტილებას.

2. ჯარიმის გადახდა უნდა მოხდეს დაზარალებული მხარისათვის, თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც მოქმედებს სასამართლო, სხვა რამეს არ აწესებს.

მუხლი 7.2.5. სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენება

1. დაზარალებული მხარე, რომელმაც მოითხოვა და ვერ მიიღო არაფულადი ვალდებულების შესრულება დადგენილ ვადაში, უფლება აქვს მიმართოს სამართლებრივი დაცვის ნებისმიერ საშუალებას.

2. თუ სასამართლოს გადაწყვეტილება არაფულადი ვალდებულებების შესრულების შესახებ, არ შეიძლება აღსრულდეს იძულებით, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს, გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის ნებისმიერი საშუალება.

ნაწილი 3. შეწყვეტა

მუხლი 7.3.1. ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება

1. მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა მიიჩნევა არსებითად.

2. იმის დასადგენად, თუ რამდენად არსებითია ხელშეკრულების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

ა. რამდენად კარგავს დაზარალებული მხარე იმას, რის მიღებასაც იგი ელოდებოდა ხელშეკრულების სათანადოდ შესრულების შემთხვევაში.

ბ. რამდენად პრინციპული იყო ხელშეკრულების შეუსრულებელი პირობის პრინციპული დაცვა.

გ. შეუსრულებლობა არის შეგნებული და უხეში უყურადღებობის შედეგი.

დ. იძლევა თუ არა შეუსრულებლობის გარემოებები იმის საფუძველს, რომ შესრულება არ იქნება განხორციელებული უახლოეს მომავალში.

ე. ხომ არ მიაყენებს ხელშეკრულების შეუსრულებლობის გასწორება დაზარალებულ მხარეს მეტ ზიანს, ვიდრე ხელშეკრულების შეუსრულებლობის გასწორებით.

მუხლი 7.3.2. შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

მხარის უფლება, შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხორციელდება ამის შესახებ მეორე მხარის შეტყობინებით.

მუხლი 7.3.3. ნავარაუდევი შეუსრულებლობა

თუ შესრულების ვადის დადგომამდე, ერთი მხარისათვის ნათელი ხდება, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, ამ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 7.3.4. სათანადო შესრულების დადასტურება

მხარეს, რომელსაც აქვს საკმაო საფუძველი, ივარაუდოს მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობა, უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს იმის დადასტურება, რომ იგი სათანადოდ შეასრულებს თავის ვალდებულებებს.

თუ ასეთი დადასტურება ვერ იქნება მიღებული, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 7.3.5. ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები

1. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს ორივე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისა და ასეთი შესრულების მიღებისაგან.

2. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ართმევს მხარეებს უფლებას, მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობითა თუ შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

3. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ვრცელდება ხელშეკრულების იმ მუხლებზე, რომლითაც რეგულირდება პრეტენზიებისა და დავე-

ბის გადაწყვეტა და რომლებიც ძალაში რჩება ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

მუხლი 7.3.6. მიღებულის დაბრუნება (რესტიტუცია)

1. ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ყველაფერი იმის დაბრუნება, რაც ამ ხელშეკრულებით მან მეორე მხარეს გადასცა, იმ პირობით, რომ ისიც დაუბრუნებს მეორე მხარეს ყველაფერს, რაც მან მიიღო მისგან. თუ დაბრუნება ვერ მოხერხდება, უნდა მოხდეს ფულადი სახით, როცა ეს შესაძლებელია.

თავი 4. ზიანი

მუხლი 7.4.1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

ხელშეკრულების ნებისმიერი შეუსრულებლობა უფლებას აძლევს მეორე მხარეს, მოითხოვოს მხოლოდ შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ან სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებებთან ერთად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინამდებარე პრინციპების თანახმად,მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის.

მუხლი 7.4.2. სრული კომპენსაცია

1. დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს მიიღოს მისთვის ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის კომპენსაცია, მიუღებელი შემოსავლების ჩათვლით.

2. მიყენებული და ასანაზღაურებელი ზარალი შეიძლება იყოს არამატერიალური, მათ შორის ზიანი, მიყენებული ჯანმრთელობისათვის, ან მორალური ზიანი.

მუხლი 7.4.3. მიყენებული ზიანის ნამდვილობა

1. კომპენსაციას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც სათანადოდაა დადასტურებული.

2. კომპენსაციას ექვემდებარება ხელსაყრელი პირობების დაკარგვით გამოწვეული ზიანი, ასეთი პირობების რეალიზაციის ალბათობის პროპორციულად.

მუხლი 7.4.4. ზიანის ვარაუდი

თუ დაზარალებულმა მხარემ შეწყვიტა ხელშეკრულება და გონებრივ ვადაში დადო ახალი, შემცვლელი ხელშეკრულება, მას უფლება აქვს მოითხოვოს სხვაობის ანაზღაურება ძველი და ახალი ხელშეკრულებების ფასებს შორის.

მუხლი 7.4.5. ზიანის დადასტურება მიმდინარე ფასების საფუძველზე

თუ დაზარალებულმა მხარემ შეწყვიტა ხელშეკრულება, არ დადო შემცვლელი ხელშეკრულება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებისათვის მოქმედებს მიმდინარე ფასები, მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს სხვაობის ანაზღაურება მიმდინარე და სახელშეკრულებო ფასებს შორის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ზიანის ანაზღაურება, გამოწვეული ხელშეკრულების შეუსრულებლობითა და შეწყვეტით.

მუხლი 7.4.6. ზიანი, მიყენებული ნაწილობრივ დაზარალებული მხარის მიერ

თუ მიყენებული ზიანი ნაწილობრივ გამოწვეულია დაზარალებული მხარის მიერ, ან სხვა გარემოებათა გამო, რომელითაც რისკი ეკისრებოდა დაზარალებულ მხარეს, მის მიერ ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობა უნდა შემცირდეს იმდენით, რამდენადაც ასეთმა ფაქტებმა ხელი შეუწყვეს ზიანის წარმოქმნას, ორივე მხარის ქცევის გათვალისწინებით.

მუხლი 7.4.7. ზიანის შემცირება

1. მხარე, რომელმაც არ შეასრულა ვალდებულებები, პასუხს არ აგებს იმ ზიანზე, რომელიც მიიღო დაზარალებულმა მხარემ და რომლის შემცირებაც შეეძლო მას მისი მხრიდან სათანადო ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში.

2. დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ყველა იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლის გაწევაც მას მოუხდა შეუსრულებლობის მიზეზით გამოწვეული ხარჯების შემცირებისათვის.

მუხლი 7.4.8. პროცენტები გადახდის დაგვიანებისათვის

თუ მხარე დროულად არ იხდის თანხას, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს ამ თანხაზე პროცენტის გადახდა წლიური განაკვეთის მიხედვით, გადახდის ვალდებულების წარმოქმნის მომენტიდან, ფაქტიურ გადახდამდე. მიუხედავად იმისა, იყო თუ არა მხარე განთავისუფლებული პასუხისმგებლობისაგან არგადახდებისათვის.

მუხლი 7.4.9. პროცენტები ასანაზღაურებელ ზიანზე

თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს პროცენტების გადახდა, შეუსრულებლობით გამოწვეული, გადაუხდელი ზიანის

ანაზღაურების თანხაზე იმ მომენტიდან, როდესაც მოხდა შეუსრულებლობა.

მუხლი 7.4.10. არაფულადი ანაზღაურების წესი.

1. ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მთელი თანხით, ერთდროულად. ანაზღაურება შეიძლება მოხდეს ნაწილ-ნაწილ, თუ ზიანის ხასიათი ამის შესაძლებლობას იძლევა.

2. ზიანის ნაწილ-ნაწილ ანაზღაურების შემთხვევაში, დაზარალებულმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს გადაუხდელი თანხის ინდექსირება.

მუხლი 7.4.11. ზარალის ვალუტა

ზარალის გამოთვლა უნდა მოხდეს იმ ვალუტით, რომელშიც იყო შეფასებული ვალდებულება, ან ვალუტით, რომელშიც არის შეფასებული ზარალი, იმის მიხედვით, რომელი უფრო გამართლებულია მოცემულ გარემოებებში.

მუხლი 7.4.12. შეთანხმებული გადასახადი შეუსრულებლობისათვის

1. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს ფიქსირებული თანხის გადახდას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს სრულად მოითხოვოს ამ თანხის გადახდა, მიუხედავად მიყენებული ზიანის ფაქტიური სიდიდისა.

2. ამავე დროს, მიუხედავად რაიმე შეთანხმებისა, სხვაზე შეუსრულებლობისათვის დადგენილი ფიქსირებული თანხა შეიძლება შემცირდეს გონებრივ სიდიდემდე, შეუსრულებლობის შედეგად გამოწვეული ზიანის სიდიდისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით.

მიწოდების საერთო პირობები

თავი I. მიწოდების საერთო პირობების გამოყენება

მუხლი 1.

1.1. წინამდებარე მიწოდების საერთო პირობები გამოიყენება სამეურნეო ხელშეკრულებებში იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის. როდესაც მხარეებს შორის არსებობს შეთანხმება მისი გამოყენების შესახებ.

1.2. სახელშეკრულებო ურთიერთობაში მხარეებმა უნდა გამოიყენონ საერთო პირობების ყველა დებულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები წერილობით შეთანხმდებიან, ამოიღონ საერთო პირობების ერთი ან რამდენიმე დებულება და ასევე წერილობით შეათანხმებენ საერთო პირობებიდან განსხვავებულ დებულებებს.

თავი II. ხელშეკრულების დადება

მუხლი 2.

2.1. ხელშეკრულება ითვლება დადებულად:

ა) მხარეების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან;

ბ) ოფერენტის მიერ აქცეპტის მიღების მომენტიდან, შესწორებებისა და დამატებების გარეშე, ოფერტში მითითებულ ვადაში. თუ ოფერტში ვადა მითითებული არ არის, 20 დღის განმავლობაში ოფერტის გაგზავნის დღიდან.

2.2. თუ ოფერენტმა აქცეპტი მიიღო შესწორებებით ან ოფერტში მითითებული ვადის შემდეგ, ასეთი აქცეპტი განიხილება, როგორც ახალი ოფერტი.

თუ დაგვიანებით მიღებული აქცეპტიდან ჩანს, რომ იგი გამოგზავნილია ოფერტში მითითებულ ვადაში, ასეთი აქცეპტი მიიჩნევა დაგვიანებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოფერენტი დაუყოვნებლივ შეატყობინებს აქცეპტანტს, აქცეპტის დაგვიანებით მიღების შესახებ.

2.3. ოფერტი პასუხისმგებლობას ანიჭებს ოფერენტს, თუ სხვა პირდაპირ არ არის მითითებული მასში, ოფერტის გამოთხოვნაზე არ მიუღია მეორე მხარეს ან ოფერტი და შეტყობინება მისი გამოთხოვნის შესახებ ოფერტის ადრესატმა მიიღო ერთდროულად.

2.4. სიტყვა „ოფერტი“ გულისხმობს „დაკვეთასაც“ და „საქმი-

ანი წინადადების მიცემასაც"; „აქცეპტი" კი – „თანხმობას საქმიანი წინადადების მიღებაზე" და „თანხმობას დაკვეთის მიღებაზე".

მუხლი 3.

3.1. ოფერტი და აქცეპტი ძალაშია, როდესაც ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით. წერილობით ფორმად ასევე მიიჩნევა სათანადოდ გაფორმებული შეტყობინებები ფაქსით, ტელეტაიპით, ტელეგრაფით, ელ. ფოსტით.

3.2. ხელშეკრულების ყველა დანართი, ცვლილება და დამატება ასევე უნდა გაფორმდეს წერილობით, წინა პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 4.

ხელშეკრულების ყველა დანართი: სტანდარტები, სპეციფიკაციები, განსაკუთრებული პირობები, გამოცდების, აწონვისა და გაზომვის აქტები და სხვა, რომლებიც მითითებულია ხელშეკრულებაში, ან რომლებშიც არის მითითება შესაბამის ხელშეკრულებაზე, წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 5.

ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან მხარეებს შორის ყველა წინა მოლაპარაკება და მიმოწერა, დაკავშირებული ხელშეკრულებასთან, კარგავს ძალას.

თავი III. ნებართვები

მუხლი 6.

თუ ხელშეკრულების მონაწილე თუნდაც ერთი მხარის ან ძალაში შესვლისათვის ქვეყნის კანონმდებლობა მოითხოვს ხელშეკრულების დადებაზე მისი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს ნებართვას, მხარე, რომელიც ვალდებულია მიიღოს ასეთი ნებართვა, ვალდებულია ამის შესახებ აღნიშნოს ხელშეკრულებაში და დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ასეთი ნებართვების მისაღებად.

თუ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული მხარის მიერ სათანადო ნებართვების მიღების ვადები, ასეთი მოპოვებული უნდა იქნეს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 30 დღის განმავლობაში.

მხარე, რომელიც ვალდებულია მიიღოს ნებართვა, ვალდებულია, ნებართვის მიღების ან ნებართვის მიღებაზე უარის თქმის შესახებ

შეატყობინოს მეორე მხარეს ნებართვის მიღებისათვის დადგენილ ვადებში.

მუხლი 7.

თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს მხარის ვალდებულებას, მიიღოს ნებართვა ხელშეკრულების დადებაზე, ან მის ძალაში შესვლაზე და ასეთი ნებართვა არ იქნება მიღებული წინა მუხლით განსაზღვრულ ვადებში, ხელშეკრულების ორივე მხარეს უფლება აქვს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, რის შესახებაც წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს. ასეთ შემთხვევაში მხარეებს არა აქვთ უფლება, მოსთხოვონ ერთმანეთს ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 8.

8.1. თუ მხარე ხელშეკრულებაში არ მიუთითებს იმ ნებართვების შესახებ, რომელიც მან უნდა მიიღოს ხელშეკრულების დადებაზე, ან მის ძალაში შესვლაზე, ან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, ასეთი ნებართვის მიუღებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოსთხოვოს მოწინააღმდეგე მხარეს მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს ხელშეკრულების მხარეს, რომელსაც დროულად უნდა მიეღო სათანადო ნებართვა.

8.2. თუ სათანადო ნებართვა ხელშეკრულების დადებაზე ან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე არ იქნება მიღებული მხარის მიერ იმ მიზეზით, რომ დროულად და სათანადო წესით არ იმოქმედა მის მისაღებად, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მხარეს (რომელმაც არ შეასრულა ვალდებულება), მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რის შესახებაც წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს.

თავი IV. მიწოდების საბაზისო პირობები

მუხლი 9.

9.1. მხარეები გადაზიდვის პირობებს ირჩევენ და ათანხმებენ ინკოტერმს 2000-ის მიხედვით.

9.2. თუ მხარეები მიიჩნევენ, რომ მიწოდების პირობებში ჩართული უნდა იყოს ინკოტერმს 2000-ის შესაბამისი ტერმინის მოთხოვნებიდან განსხვავებული პირობა, ამის შესახებ გარკვევით უნდა იყოს მითითებული ხელშეკრულებაში.

თავი V. მიწოდების ვადები

მუხლი 10.

10.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

10.2. თუ ხელშეკრულებაში სხვა არ არის მითითებული, ლიდი რაოდენობის ერთგვაროვანი საქონლის პარტიებად მიწოდებისას, მიწოდება შესაძლებისდაგვარად უნდა მოხდეს თანაბრად, ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდების ვადის ფარგლებში.

10.3 სწრაფფუჭებადი, სეზონური სასოფლო-სამეურნეო და ციკლური საქონლის მიწოდების ვადები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულებაში.

10.4. კომპლექტური საწარმოების ან დანადგარების მიწოდების ვადები განისაზღვრება მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 11.

11.1. ვადიან ხელშეკრულებად მიიჩნევა ისეთი ხელშეკრულება, რომელშიც პირდაპირაა მითითებული ან მისი შინაარსიდან პირდაპირ გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მყიდველს უფლება აქვს, დაუყოვნებლივ თქვას უარი ხელშეკრულებაზე.

11.2. წინა პუნქტში მითითებული მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიწოდების ვადის გასვლის შემდეგ, გამყიდველს უფლება აქვს საქონელი მიაწოდოს მყიდველს, მხოლოდ ამ უკანასკნელის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

მუხლი 12.

12.1. გამყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ვადაზე ადრე ან ნაწილობრივი მიწოდება, მხოლოდ მყიდველის თანხმობის შემთხვევაში.

12.2. თუ საქონლის ვადაზე ადრე ან ნაწილობრივი მიწოდების შემთხვევაში, მყიდველი არ მოითხოვს და მხარეები არ შეათანხმებენ დამატებით პირობებს, მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდების პირობების შესაბამისად.

მუხლი 13.

13.1. თუ მყიდველი არ შეასრულებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, გამყიდველის წარმოების უზრუნველყოფის შესახებ ან მან შეცვალა ამ

საკითხთან დაკავშირებული ხელშეკრულების პირობები, რამაც არსებითი სირთულეები შეუქმნა გამყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის. გამყიდველს უფლება აქვს შესაბამისი ვადით გააგრძელოს ხელშეკრულების შესრულება, მაგრამ არა უმეტეს მყიდველის მიზეზით გამოწვეული შეფერხების ხანგრძლივობისა, ან მოითხოვოს მისთვის მიყენებული ფაქტიური ზიანის ანაზღაურება.

13.2. გამყიდველი ვალდებულია, მიწოდების ვადის გადაწევის შესახებ დროულად და სათანადო წესით შეატყობინოს მყიდველს.

13.3. გამონაკლის შემთხვევებში, ტექნიკურად დასაბუთებულ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით შესაძლოა დადგინდეს მოცემული მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიწოდების ვადისაგან განსხვავებული ვადა. თუ მხარეები ასეთ შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, ძალაში რჩება მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

მუხლი 14.

14.1. თუ ხელშეკრულებაში დანადგარებისა და მოწყობილობების მიწოდებაზე, არ არის მითითებული მისი ნაწილების მიწოდების ვადები, მიწოდების ვადად ითვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანადგარის/მოწყობილობის იმ ბოლო ნაწილის მიწოდების დღე, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნება მოცემული მანქანის/დანადგარის ექსპლუატაციაში გაშვება.

14.2. წინა პუნქტის დებულებები არ ართმევენ მყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაწილების მოთხოვნის უფლებას, მათი მიწოდების ვადაგადაცილების შემთხვევაში.

თავი VI. საქონლის ხარისხი

მუხლი 15.

თუ ხელშეკრულებით დადგენილი არ არის, რომ საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს განსაზღვრულ ხარისხობრივ მაჩვენებლებს, სტანდარტებს, ან მხარეებს შორის შეთანხმებულ ნიმუშებს, გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს მყიდველს ჩვეულებრივი ხარისხის საქონელი, როგორც ეს მიღებულია გამყიდველის ქვეყანაში, ანალოგიური საქონლის მიწოდებისათვის, კონტრაქტით გათვალისწინებული მიზნების ანალოგიური მიზნებისათვის.

თუ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული საქონლის დანიშნულება, უნდა მოხდეს ჩვეულებრივი ხარისხის საქონლის მიწოდე-

ბა, ამ საქონლის ჩვეულებრივი გამოყენების შესაბამისად, გამყიდველი მხარის ქვეყანაში.

მუხლი 16.

16.1. ხელშეკრულების რეალიზაციის პერიოდში, გამყიდველი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს ყველა ცვლილების და გაუმჯობესების შესახებ, რომელიც განიცადა ხელშეკრულებით გათვალისწინებულმა საქონელმა.

16.2. კონსტრუქციულ ცვლილებასთან დაკავშირებული ნებისმიერი გაუმჯობესება, ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი შეთანხმებით.

მუხლი 17.

დეფექტური დეტალების სანაცვლოდ მიწოდებული დეტალების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული იმ საქონლის ხარისხობრივ მოთხოვნებს, რომლის შემადგენელი ნაწილიც ის არის.

თავი VII. საქონლის ხარისხის შემოწმება

მუხლი 18.

18.1. საქონლის გადატვირთვის წინ გამყიდველი ვალდებულია თავისი ხარჯით შეამოწმოს საქონლის ხარისხი, მისი შესაბამისობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ და მხარეებს შორის შეთანხმებულ მოთხოვნებთან.

18.2. ასეთი მოთხოვნების არარსებობის შემთხვევაში, შემოწმება უნდა მოხდეს ჩვეულებრივი შემოწმების პირობების შესაბამისად, რომელიც მოქმედებს მოცემული საქონლის მიმართ, გამყიდველი მხარის ქვეყანაში.

18.3. საქონლის გადატვირთვა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემოწმებული საქონელი სრულად შეესაბამება ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

18.4. მასიური წარმოების სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების შემთხვევაში, სახალხო მოხმარებისა და კვების პროდუქტების ჩათვლით, ხელშეკრულებაში ხარისხობრივი მაჩვენებლების არარსებობის პირობებში, შემოწმება მოხდება შერჩევით, გამყიდველი მხარის ქვეყანაში არსებული წესების შესაბამისად.

18.5. მისაწოდებელი საქონლის გადატვირთვამდე გამყიდველის

მიერ ან მისი დავალებითა და მისი ხარჯით:

ა. დანადგარებზე და მანქანა-მოწყობილობებზე უნდა შედგეს გამოცდის ოქმი, გამოცდის თანმიმდევრობისა და მიღებული შედეგების მითითებით;

ბ. სხვა საქონლისათვის ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელიც დაადასტურებს საქონლის შესაბამისობას ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობასთან.

18.6. გამყიდველი ვალდებულია, მყიდველს გადასცეს საქონლის ხარისხის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი. გამოცდის აქტს გამყიდველი გადასცემს მყიდველს, მხოლოდ ამ უკანასკნელის მოთხოვნის შემთხვევაში.

18.7. თუ მოწყობილობის თავისებურებიდან ან სხვა ვალდებულებებიდან გამომდინარე, აუცილებელია მწარმოებლობის შემოწმება ექსპლუატაციის ადგილზე, ასეთი შემოწმება უნდა ჩატარდეს მოწყობილობის ექსპლუატაციის ადგილზე, ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ვადაში.

18.8 დიდი მოცულობის კომპლექსური მოწყობილობების მიწოდების შემთხვევაში, ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს მყიდველის მონაწილეობას მოწყობილობის ცალკეული კვანძებისა და აგრეგატების შემოწმებასა და გამოცდებში მათი დამზადების ადგილზე. ასეთი გამოცდები და შემოწმება ფორმდება სათანადო ოქმით, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

მუხლი 19.

19.1. როდესაც ხელშეკრულება ითვალისწინებს მყიდველის მონაწილეობას მოწყობილობის გამოცდაში დამზადების ადგილზე, გამყიდველი ვალდებულია მყიდველს დროულად შეატყობინოს მოწყობილობის გამოცდისათვის მზადყოფნის შესახებ.

19.2. გამყიდველი ვალდებულია, უზრუნველყოს მყიდველის შეუფერხებელი მონაწილეობა მოწყობილობის გამოცდასა და ხარისხობრივი მაჩვენებლების შემოწმებაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოცულობით ან ანალოგიური მოწყობილობებისათვის დადგენილი წესით. ასეთი სამუშაოების ჩატარების ხარჯებს მთლიანად გასწევს გამყიდველი, გარდა მყიდველის წარმომადგენლის ხარჯებისა.

19.3. მოწყობილობის გამოცდა მყიდველის წარმომადგენლის გარეშე, როდესაც ამას ითვალისწინებს ხელშეკრულება, არ შეიძლე-

ბა გახდეს მიწოდების შემაფერხებელი მიზეზი, თუ არსებობს:

ა. იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ მყიდველი დროულად იყო შეტყობინებული მოწყობილობის გამოცდის თარიღის შესახებ;

ბ. მოწყობილობამ წარმატებით გაიარა გამოცდა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოცულობით და არსებობს ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი.

19.4. მოწყობილობის გამოცდაში მყიდველის წარმომადგენლის მონაწილეობა არ ათავისუფლებს გამყიდველს პასუხისმგებლობისაგან მოწყობილობის ხარისხისათვის.

19.5. ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს მოწყობილობის, პროდუქციის გამოცდაში მონაწილეობის განსხვავებულ წესსაც, მათ შორის მონაწილეობას შეფუთვაში, მარკირებაში, რაოდენობის განსაზღვრაში.

თავი VIII. საქონლის რაოდენობა

მუხლი 20.

საქონლის რაოდენობა (ადგილები, წონა, მოცულობა) განისაზღვრება:

1. რკინიგზით გადაზიდვისას:

ა. თუ რაოდენობის განსაზღვრა მოხდა გამყიდველი ქვეყნის რკინიგზის სადგურზე, რაც დადასტურებული უნდა იყოს რკინიგზის წარმომადგენლის ხელმოწერით, სატრანსპორტო ზედდებულის შესაბამის გრაფაში – შესაბამისი სარკინიგზო სატრანსპორტო ზედდებულით;

ბ. როდესაც საქონლის რაოდენობის განსაზღვრა ხდება გამგზავნის ქვეყნის რკინიგზის სადგურზე, გამგზავნის მიერ რკინიგზის წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე:

– პირდაპირი გადატვირთვის შემთხვევაში სარკინიგზო სატრანსპორტო ზედდებულის საფუძველზე;

– როდესაც რაოდენობის განსაზღვრა ხდება ტრანსპორტირებისას საშუალედო პუნქტებში, რაოდენობის განსაზღვრის ადგილზე შედგენილი შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე;

გ. როდესაც საქონლის რაოდენობის განსაზღვრა ხდება გამგზავნის ქვეყნის რკინიგზის სადგურზე, რკინიგზის წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე:

– საშუალედო გადატვირთვის შემთხვევაში გამყიდველის, მიმღების ან სატრანზიტო ქვეყნის სასაზღვრო პუნქტში, საქონლის რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი სარკინიგზო სატრანსპორტო ზედდებულით;

– როდესაც საშუალედო გადატვირთვის შემთხვევაში ხდება საქონლის რაოდენობის განსაზღვრა გადატვირთვის ადგილზე, რკინიგზის მიერ შედგენილი კომერციული აქტის საფუძველზე.

2. საავტომობილო გადაზიდვების შემთხვევაში:

ა. თუ საქონლის ტრანსპორტირება ხდება მყიდველის სატრანსპორტო საშუალებით – სატრანსპორტო დოკუმენტის საფუძველზე;

ბ. თუ მიწოდება ხდება გამყიდველის სატრანსპორტო საშუალებებით, დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც ადასტურებს გადამზიდავის მიერ ტვირთის მიმღებისათვის გადაცემული საქონლის რაოდენობას.

3. წყლით გადაზიდვის შემთხვევაში, შესაბამისი კონოსამენტის საფუძველზე;

4. საჰაერო გადაზიდვისას, საჰაერო გადაზიდვის სატვირთო ზედდებულის საფუძველზე;

5. ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში – ფოსტის ქვითრის საფუძველზე;

6. საქონლის საწყობში გადაცემის შემთხვევაში – სასაწყობო ზედდებულის ან შენახვის ხელწერილის საფუძველზე.

მუხლი 21.

იმ საქონლის რაოდენობის შემოწმება, რომლის მიწოდება ხდება სპეციფიკური ერთეულებით (მეტრებით, ცალობით, წყვილებით, ნეტო წონით), ხდება მყიდველის მიერ გამყიდველის სპეციფიკაციების საფუძველზე.

თავი IX. შეფუთვა და მარკირება

მუხლი 22.

1. თუ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული საქონლის შეფუთვის წესი, გამყიდველი ვალდებულია საქონელი გადატვირთოს ისეთი შეფუთვით, რომელიც უზრუნველყოფს მის დაცვას ტრანსპორტირების, შუალედური გადატვირთვების, დასაწყობებისა და შენახვის პროცესებში – ტვირთისადმი სათანადო მოპყრობის პირობებში.

2. ხელშეკრულებით ან შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შეფუთვის წინ უნდა მოხდეს საქონლის ან მისი ნაწილების სათანადოდ კონსერვირება მათი შენახვისა და კოროზიისაგან დაცვის მიზნით.

მუხლი 23.

1. ყოველ სატვირთო ადგილში ჩადებული უნდა იყოს შეფუთვის ფურცელი.

2. მოწყობილობების მიწოდებისას შეფუთვის ფურცელში უნდა აღინიშნოს: დასახელება, ტიპი, მარკა, საქარხნო ნომერი, ნახაზის ნომერი, საერთო და ნეტო წონა.

3. შეფუთვის ფურცლის ერთი ეგზემპლარი, წყალგაუმტარ კონვერტში იდება ყუთში (მანქანაში) ან გარედან მაგრდება ყუთზე.

მუხლი 24.

1. გამყიდველი ვალდებულია საქონლის სატრანსპორტო დოკუმენტებთან ერთად მყიდველს გადასცეს რაოდენობის, ხარისხისა და შეფუთვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

2. ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს წინა პუნქტში მითითებული და სხვა დოკუმენტების უშუალოდ გაგზავნას მყიდველისათვის, გაგზავნის ვადასა და ეგზემპლარების რაოდენობას.

მუხლი 25.

1. საქონლის ყველა ყუთზე, ყველა სატრანსპორტო ადგილზე სალებავით უნდა იყოს აღნიშნული;
– ხელშეკრულების ნომერი და თარიღი;
– ადგილის ნომერი;
– საქონლის მიმღები;
– საერთო და ნეტო წონა;
– საქონლის დასახელება;
– დამამზადებლის სასაქონლო ნიშანი;
– ყუთის ზომები სანტიმეტრებში.

2. აუცილებლობის შემთხვევაში მარკირება უნდა ითვალისწინებდეს სპეციალურ აღნიშვნებს.

3. მარკირება ხდება როგორც გამყიდველის, ისე მყიდველის ენაზე.

4. რთული მოწყობილობის სატრანსპორტო ადგილების მარკირება ხდება ჩვეულებრივი წილადის სახით, რომლის მრიცხველია სატრანსპორტო ადგილის რიგითი ნომერი, მნიშვნელი – ადგილების საერთო რაოდენობა.

თავი X. ტექნიკური დოკუმენტაცია

მუხლი 26.

1. კონტრაქტში გარკვევით უნდა იყოს განსაზღვრული იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, ეგზემპლარების რაოდენობა და გადაცემის თარიღი, რომელიც გამყიდველმა უნდა გადასცეს მყიდველს.

2. თუ ხელშეკრულება ამ საკითხს არ არეგულირებს, გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს იმ მოცულობის დოკუმენტაცია, რომელიც მიღებულია ანალოგიური საქონლის მიწოდებისათვის გამყიდველის ქვეყანაში.

3. ტექნიკური დოკუმენტაცია ისე უნდა იყოს შესრულებული, რომ უზრუნველყოფდეს საქონლის, მოწყობილობის შეუფერხებელ გამოყენებას.

4. ტექნიკური დოკუმენტაცია შესრულებული უნდა იყოს ხელშეკრულებაში მითითებულ მხარეებს შორის შეთანხმებულ ენაზე.

5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაცია მყიდველს ეგზავნება საქონელთან ერთად, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თავი XI. ინსტრუქცია გადატვირთვის თაობაზე და შეტყობინება მიწოდების შესახებ

მუხლი 27.

1. სატრანსპორტო საშუალება თანხმდება მხარეებს შორის და აღინიშნება ხელშეკრულებაში.

2. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მყიდველმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადამდე 30 დღით ადრე უნდა შეატყობინოს გამყიდველს გადატვირთვის მონაცემები – საქონლის დასახელება, დანიშნულების პუნქტი, რაოდენობა.

მუხლი 28.

1. ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს მყიდველის უფლებას, აირჩიოს სარკინიგზო გადატვირთვის მიმართულება.

2. სარკინიგზო მიწოდებისას, გადატვირთვის ინსტრუქცია უნდა შეიცავდეს: ინფორმაციას ტარიფების, სასაზღვრო პუნქტის შესახებ და ხელშეკრულებით განსაზღვრულ სხვა მონაცემებს.

3. გამყიდველი ვალდებულია დაიცვას გადატვირთვის ინსტრუქცია. ინსტრუქციის დარღვევის შემთხვევაში, გამყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მყიდველს მიყენებული ზიანი.

4. თუ გამყიდველი, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ მიიღებს მყიდველისაგან გადაზიდვის ინსტრუქციას, მას უფლება აქვს, საქონელი მყიდველის ხარჯზე და რისკზე გადასცეს საპასუხისმგებლო შენახვაზე. ასეთ შემთხვევაში, მყიდველი გამყიდველს უნაზღაურებს საქონლის საპასუხისმგებლო შენახვაზე გადაცემის ხარჯებს.

5. საწყობში საპასუხისმგებლო შენახვაზე მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის თარიღი მიიჩნევა მიწოდების თარიღად.

6. საპასუხისმგებლო შენახვაზე საქონელი შეიძლება გადაეცეს მხოლოდ იმ საწყობს, რომელსაც აქვს შესაბამისი ტიპის მიღების, შენახვისა და დაცვის საშუალება და სასაწყობო დოკუმენტის გაცემის უფლება.

მუხლი 29.

გამყიდველი, გადამზიდავი ვალდებულია ტრანსპორტირების დაწყებისთანავე შეატყობინოს მყიდველს ამის შესახებ და სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების პუნქტში მისვლის სავარაუდო თარიღი.

მუხლი 30.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მყიდველის ყოველგვარი შეტყობინების ხარჯებს გასწევს გამყიდველი.

თავი XII. გარანტიები

მუხლი 31.

1. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს გამყიდველის გარანტიას საქონლის ხარისხზე გარკვეული ვადის განმავლობაში, გამყიდველი პასუხისმგებელია საქონლის ხარისხზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომენტიდან, საგარანტიო ვადის ბოლომდე.

2. ხარისხის გარანტია ვრცელდება, როგორც საქონლის დასამზადებლად გამოყენებულ მასალებზე, დეტალებზე, კვანძებზე და ნაკეთობებზე (რომელიც გამოყენებულია საქონლის დასამზადებლად, მაგრამ არ არის დამზადებული გამყიდველის მიერ), ისე ხელშეკრულებით განსაზღვრულ საქონლის ყველა ხარისხობრივ მაჩვენებელზე.

მუხლი 32.

საქონლის სამომხმარებლო, ტექნიკური და ეკონომიკური მაჩვენებლების გარანტიის მოცულობები და პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულებაში.

მუხლი 33.

საგარანტიო ვადის განმავლობაში, საქონლის დეფექტის გამოვლენისას, მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს დეფექტების გასწორება, დაწუნებული საქონლის შეცვლა, ფასდათმობა ან საქონლის უკან დაბრუნება.

მუხლი 34.

საგარანტიო ვადის განმავლობაში გამოვლენილი დეფექტები გამყიდველმა დაუყოვნებლივ უნდა გაასწოროს საკუთარი სახსრებით.

მუხლი 35.

როდესაც მყიდველი მოითხოვს ფასდათმობას უხარისხო საქონელზე, გამყიდველს უფლება აქვს: გამოასწოროს გამოვლენილი დეფექტი, შეცვალოს საქონელი ან მისცეს მყიდველს ფასდათმობა შეთანხმებული მოცულობით.

მუხლი 36.

გამყიდველს ეკისრება დეფექტური საქონლის დაბრუნებასთან და შეცვლასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

მუხლი 37.

მყიდველი ვალდებულია, გამყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში დაუბრუნოს მას შეცვლილი დეფექტური ნაწილები, შეცვლიდან 3 თვის განმავლობაში, გამყიდველის ხარჯითა და რისკით.

მუხლი 38.

გამყიდველი პასუხისმგებელი არ არის გარანტიაზე, თუ საქონლის დეფექტი გამოწვეულია მისი არასწორი შენახვის, ტრანსპორტირების, ექსპლუატაციის, ტექნიკური მომსახურების მიზეზებით.

მუხლი 39.

გამოვლენილი დეფექტების გასწორების, დეფექტური ნაწილების შეცვლის შემთხვევაში, საგარანტიო ვადა გრძელდება დროის იმ მონაკვეთით, რომლის განმავლობაშიც საქონელი არ გამოიყენებოდა დანიშნულების მიხედვით, გამოვლენილი დეფექტების მიზეზით.

თავი XIII. ანგარიშსწორება

მუხლი 40.

ანგარიშსწორება შეიძლება მოხდეს მხარეებს შორის შეთანხმებული ვალუტით, ექვივალენტურ ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებით, როგორც უნაღდო, ისე ნაღდი ანგარიშსწორებით; მათი

შორის, ჩეკებით, თამასუქებით, აკრედიტივებით, საგადამხდელო დავალებებითა და ინკასოს წესით.

მუხლი 41.

ანგარიშსწორების პირობებს ათანხმებენ მხარეები და ცალსახად აღნიშნავენ ხელშეკრულებაში.

მუხლი 42.

ხელშეკრულებით განსაზღვრული, მხარეებს შორის შეთანხმებული ანგარიშსწორების წესებისა და ვადების დარღვევა შესაძლოა გახდეს გამყიდველის მიერ მიწოდების შეწყვეტის, ასევე ხელშეკრულებაზე უარის თქმის მიზეზი.

თავი XIV. პრეტენზიები ხარისხზე და რაოდენობაზე

მუხლი 43.

ხელშეკრულებაში გარკვევით უნდა იქნეს მითითებული პირობები და ვადები, რომლის განმავლობაშიც მყიდველი უფლებამოსილია, პრეტენზია წაუყენოს გამყიდველს მიწოდებული საქონლის რაოდენობაზე და ხარისხზე.

მუხლი 44.

1. საპრეტენზიო განცხადებაში მითითებული უნდა იყოს:

ა. საქონლის დასახელება, ტიპი, მარკა;

ბ. კონტრაქტის ნომერი;

გ. საქონლის რაოდენობა, რომელსაც წაეყენა პრეტენზია;

დ. სასაქონლო და სატრანსპორტო დოკუმენტები, რომლითაც მოხდა საქონლის მიწოდება;

ე. პრეტენზიის არსი (დანაკლისები, კონკრეტული დეფექტები);

ვ. მყიდველის მოთხოვნები.

2. თუ საპრეტენზიო განცხადება არ შეიცავს წინა პუნქტში მითითებულ რომელიმე მონაცემს, გამყიდველი ვალდებულია განცხადების მიღებისთანავე აცნობოს მყიდველს დამატებითი ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობის შესახებ, კონკრეტული ინფორმაციის მითითებით.

მუხლი 45.

რაოდენობაზე პრეტენზიის წაყენების შემთხვევაში, მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს დანაკლისი საქონლის მიწოდება ან შესაბამისი თანხის დაბრუნება.

მუხლი 46.

ხარისხზე პრეტენზიის წაყენების შემთხვევაში, მყიდველს უფ-

ლება აქვს მოითხოვოს: დაწუნებული საქონლის შეცვლა, გასწორება, უკან დაბრუნება ან ფასდათმობა.

მუხლი 47.

ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პირობები, რომლებიც უფლებას აძლევენ მხარეებს, უარი თქვან ხელშეკრულებაზე. მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შემთხვევაში.

მუხლი 48.

1. გამყიდველი ვალდებულია, დაუყოვნებლივ განიხილოს მიღებული პრეტენზია, მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადისა.

2. თუ ასეთი ვადა არ არის მითითებული ხელშეკრულებაში, პრეტენზიის განხილვა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 30 დღისა საპრეტენზიო განცხადების მიღების დღიდან.

მუხლი 49.

მყიდველს არა აქვს უფლება, გამყიდველს დაუბრუნოს საქონელი, რომელზეც წაყენებული აქვს პრეტენზია, გამყიდველთან შეთანხმების გარეშე.

მუხლი 50.

ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს შემთხვევებს, როდესაც მყიდველს უფლება ექნება შეთანხმების გარეშე დაუბრუნოს დაწუნებული საქონელი ან გადასცეს მის განკარგულებაში.

მუხლი 51.

1. საქონლის რომელიმე პარტიაზე პრეტენზიის წაყენება უფლებას არ აძლევს მყიდველს, უარი თქვას საქონლის მომდევნო პარტიების მიღებაზე.

2. დეფექტური საქონლის განმეორებით მიღების შემთხვევაში, მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მიწოდების შეჩერება, გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრამდე.

თავი XV. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების შეუსრულებლობის, არასრულად ან არასათანადოდ შესრულებისათვის

მუხლი 52.

მხარეებს ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა ხელშეკ-

რულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრულად ან არასათანადოდ შესრულებისათვის.

მუხლი 53.

მხარე, რომელმაც მესამე პირი მოიწვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში მონაწილეობისთვის, პასუხისმგებელია მეორე მხარის წინაშე, მის მიერ მოწვეული პირის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არასათანადოდ შესრულებაზე.

მუხლი 54.

1. მხარე, რომელმაც დაარღვია ხელშეკრულება, ვალდებულია მეორე მხარეს გადაუხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმა (პირგასამტეხლო).

2. ჯარიმის გადახდის მოთხოვნის უფლება წარმოიქმნება ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების ფაქტთან ერთად.

მუხლი 55.

1. თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ჯარიმას ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადოდ შესრულებისათვის, დამრღვევი მხარე ვალდებულია ზიანი აუნაზღაუროს მეორე მხარეს;

2. ჯარიმის გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეს მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან;

3. დეფექტური საქონლის გასწორება, შეცვლა, ფასდათმობა არ ანთავისუფლებს მხარეს ჯარიმის გადახდისაგან, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, არასათანადოდ შესრულებისათვის და ასეთი შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

4. ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს პირობას, რომლის თანახმად ჯარიმის თანხა უნდა აღემატებოდეს მიყენებული ზიანის თანხას.

მუხლი 56.

მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობით, ან არასათანადოდ შესრულების შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, მხოლოდ ქვემოთ მოყვანილი გარემოებების ერთობლივად არსებობის შემთხვევაში:

ა. სახეზეა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუს-

რულებლობა, არასრულად ან არასათანადოდ შესრულება;

ბ. როდესაც ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ვალდებულებების შესრულებლობამ, მეორე მხარეს მიაყენა ზიანი;

გ. როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას, არასრულად ან არასათანადოდ შესრულებას შორის არსებობს პირდაპირი კავშირი.

დ. როდესაც არსებობს მხარის ბრალი ვალდებულებების შეუსრულებლობაში, არასრულად ან არასათანადოდ შესრულებაში.

მუხლი 57.

მხარეებს არა აქვთ უფლება, მეორე მხარეს მოსთხოვონ იმ ჯარიმების თანხების ანაზღაურება, რომლებიც მათ გადაუხადეს კონტრაგენტებს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით.

მუხლი 58.

ანაზღაურებას ექვემდებარება, როგორც პირდაპირი ზიანი, ისე მიუღებელი სარგებელი, გამოწვეული მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არასათანადოდ შესრულებით.

მუხლი 59.

მოთხოვნა ჯარიმის გადახდის შესახებ მხარეს უნდა წარედგინოს არაუგვიანეს 3 თვისა, იმ მომენტიდან, როდესაც:

ა. წარმოიშვა ასეთი ჯარიმის მოთხოვნის უფლება, და

ბ. როდესაც ჯარიმამ მიაღწია მაქსიმალურ მნიშვნელობას.

მუხლი 60.

ჯარიმის დასაბუთებული გაანგარიშება მოყვანილი უნდა იყოს პრეტენზიის საფუძველზე დართულ ანგარიშში ან უშუალოდ პრეტენზიაში.

მუხლი 61.

პრეტენზიებთან და ჯარიმებთან დაკავშირებული ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

თავი XVI. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება

მუხლი 62.

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის პასუხისმგებლობისაგან, როდესაც ასეთი შეუსრულებლობა მოხდა დაუძლეველი ძალის გარემოებების მოქმედების შედეგად, რომელიც წარმოიქმნა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

მუხლი 63.

დაუძლეველი ძალის გარემოებების არსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება მხარეს, რომელიც მიუთითებს ასეთი გარემოებების არსებობაზე.

მუხლი 64.

მხარეს არა აქვს უფლება მიუთითოს დაუძლეველი ძალის გარემოებებზე, რომელიც წარმოექმნა ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ.

მუხლი 65.

1. მხარეს, რომელსაც წარმოექმნა დაუძლეველი ძალის გარემოებები, ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს;

2. დაუძლეველი ძალის გარემოებები და ასეთი გარემოებების მოქმედების ხანგრძლივობა, დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოს, მაგალითად, ავტორიტეტული საეაჭრო პალატის მიერ.

მუხლი 66.

თუ დაუძლეველი ძალის გარემოებები გრძელდება ხელშეკრულებით განსაზღვრულზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში, მხარეებს არა აქვთ უფლება, მოსთხოვონ მეორე მხარეს ჯარიმის გადახდა, ზიანის ანაზღაურება ან უკვე განხორციელებული შესრულების დაბრუნება.

მუხლი 67.

ხელშეკრულებაში დეტალურად უნდა იყოს მითითებული ის მოვლენები, რომელსაც მხარეები მიიჩნევენ დაუძლეველი ძალის გარემოებებად, ასეთი გარემოებების დადგომისა და შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვადები და წესი.

თავი XVII. საარბიტრაჟო შეთანხმებები

მუხლი 68.

1. ხელშეკრულების შესრულებიდან წარმოქმნილი დავების გადაწყვეტას მხარეები ეცდებიან მოლაპარაკების გზით.

2. თუ ასეთი ვერ იქნება მიღწეული, მხარეები დავას გადაჭრიან არბიტრაჟის მეშვეობით.

მუხლი 69.

1. ხელშეკრულებაში მოყვანილ საარბიტრაჟო შეთანხმებაში გარკვევით უნდა იყოს მითითებული:

ა. არბიტრაჟის სრული დასახელება;

ბ. დავის განხილვის ადგილი;

გ. არბიტრების რაოდენობა, მათი დანიშვნის, შეცვლის, აცილების წესი;

დ. განხილვის ენა;

ე. მატერიალური სამართალი, რომლის საფუძველზეც მოხდება დავის განხილვა.

2. საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებული უნდა იყოს:

„არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულო იქნება მხარეებისათვის".

თავი XVIII. სხვა დებულებები

მუხლი 70.

1. პრეტენზიების წარდგენა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით;

2. პრეტენზია რაოდენობაზე შეიძლება გაგზავნილ იქნას ტელეფონით, რაც უმოკლეს ვადაში უნდა დადასტურდეს წერილით, ფაქსით, ელ. ფოსტის საშუალებით.

3. პრეტენზიას უნდა დაერთოს, დეფექტის მოცულობის, მიზეზების დამადასტურებელი დოკუმენტი, სასურველია კომპეტენტური ექსპერტების მონაწილეობით.

4. პრეტენზიის თარიღად ითვლება მისი გაგზავნის თარიღი.

5. მხარეებს არა აქვთ უფლება, ხელშეკრულებით გაითვალისწინებული უფლებები და მოვალეობები გადასცენ მესამე მხარეს, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობით.

7. ხელშეკრულება არ უნდა შეიცავდეს სიტყვიერ შეთანხმებებსა და დაპირებებს.

8. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ძალადაკარგულად ითვლება ყველა წინა მიმოწერა, სიტყვიერი და წერილობითი შეთანხმება.

მუხლი 71.

ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რომელიც არ რეგულირდება მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით, მოგვარდება:

ა. წამოჭრილი გამყიდველის ქვეყნის ტერიტორიაზე, გამყიდველის ქვეყნის მატერიალური სამართლის საფუძველზე;

ბ. წამოჭრილი მყიდველი ქვეყნის ტერიტორიაზე, მყიდველის ქვეყნის მატერიალური სამართლის საფუძველზე.

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში გამოყენებული სამართლის შესახებ

დღეს, როდესაც საერთაშორისო სამეურნეო ურთიერთობების გარეშე წარმოუდგენელია ყველაზე მცირე საწარმოს ეფექტური საქმიანობა, ხშირად ისმება კითხვა: **რომელი ქვეყნის სამართალს უნდა დაექვემდებაროს სხვადასხვა სახელმწიფოს რეზიდენტებს შორის დადებული სამეურნეო ხელშეკრულება, ანუ ხელშეკრულება საქონლის, პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების მიწოდებაზე?**

სახელშეკრულებო ურთიერთობების მარეგულირებელ საერთაშორისო და ნაციონალურ ნორმებში არის ამ საკითხთან დაკავშირებული ცალკეული ნორმები. მაგალითად: ხელშეკრულების შესრულებასთან წამოჭრილი საკითხები გამყიდველის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რეგულირდება გამყიდველის სახელმწიფოს მატერიალური სამართლით, მყიდველის სახელმწიფოს ტერიტორიაზე – მყიდველის სახელმწიფოს მატერიალური სამართლის საფუძველზე. საკითხის ასეთ გადაწყვეტას აქვს აშკარად უხერხული მხარეები. არც თუ იშვიათად, მხარეები სათანადოდ ვერ ერკვევიან მეორე მხარის სახელმწიფოს მატერიალურ სამართალში; ზოგჯერ ძნელია იმის გარკვევა, რომელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე და რომელი ქვეყნის სამართლის საფუძველზე უნდა მოხდეს საკითხის განხილვა და დავის გადაწყვეტა.

სხვადასხვა სახელმწიფოების ეკონომიკურ სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების სრულყოფის, საერთაშორისო ვაჭრობის გაადვილების მიზნით, 1955 წლის 15 ივნისს ჰააგაში ხელმოწერილ იქნა კონვენცია – საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში გამოყენებული სამართლის შესახებ.

ქვემოთ მოყვანილია ეს კონვენცია მცირე შემოკლებით.

კონვენცია საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში გამოყენებული სამართლის შესახებ

მუხლი 1. წინამდებარე კონვენცია გამოიყენება საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში.

კონვენცია არ გამოიყენება ფასიანი ქაღალდების, დარეგისტრი-

რებული საზღვაო და საჰაერო ხომალდებისა და იმ გაყიდვების მიმართ, რომლებიც ხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან იძულების სხვა რომელიმე ფორმით. იგი გამოიყენება დოკუმენტებზე დაფუძნებული გაყიდვების მიმართ.

წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას უთანაბრდება დასამზადებელი ანუ საწარმოებელი პროდუქციის მიწოდება იმ პირობით, რომ მხარე, რომელიც იღებს პროდუქციის მიწოდების ვალდებულებას, თვითონ უზრუნველყოფს დასამზადებელ თუ საწარმოებელ პროდუქციას აუცილებელი ნედლეულითა და მასალებით.

წინადადება კონვენციის პირველი მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, კონვენციის პირველი მუხლის მხარეების განცხადება კანონის გამოყენებასთან. მოსამართლის ან არბიტრის კომპეტენციასთან დაკავშირებით, არ არის საკმარისი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისათვის საერთაშორისო სტატუსის მისანიჭებლად.

მუხლი 2. ყიდვა-გაყიდვა რეგულირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ მითითებული ქვეყნის ნაციონალური სამართლით.

ასეთი მითითება პირდაპირ უნდა იყოს ჩაწერილი ან ცალსახად უნდა გამომდინარეობდეს ხელშეკრულების პირობებიდან.

მხარეების შეთანხმების პირობები, ხელშეკრულებისათვის გამოსაყენებელი სამართლის შესახებ, განისაზღვრება ამ სამართლით.

მუხლი 3. თუ მხარეების მიერ არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებისთვის გამოსაყენებული სამართალი წინა მუხლის პირობების შესაბამისად, გაყიდვა რეგულირდება იმ ქვეყნის ნაციონალური სამართლის საფუძველზე, სადაც მდებარეობს გამყიდველი დაკვეთის მიღების მომენტში.

მიუხედავად ამისა, გაყიდვა რეგულირდება მყიდველის სახელმწიფოს ნაციონალური კანონმდებლობით, თუ დაკვეთა ამ ქვეყანაში მიღებული იქნა დამკვეთის, მისი წარმომადგენლის ან აგენტის მიერ.

როდესაც გაყიდვა ხდება ბირჟაზე ან აუქციონზე, გაყიდვა რეგულირდება იმ ქვეყნის ნაციონალური კანონმდებლობით, სადაც მდებარეობს ბირჟა ან აუქციონი.

მუხლი 4. როდესაც ხელშეკრულებაში ნათლად არ არის ჩამოყალიბებული პირობები, იმ ქვეყნის ნაციონალური სამართალი, სა-

დაც უნდა მოხდეს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული საქონლის დათვალიერება, გამოიყენება ისეთი საკითხების დასარეგულირებლად, როგორიცაა: როგორ და რა ვადებში უნდა მოხდეს საქონლის დათვალიერება და რა ზომები უნდა იქნეს მიღებული საქონლის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში.

მუხლი 5. წინამდებარე კონვენცია არ გამოიყენება ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა:

ა. მხარეების სამართალუნარიანობა;

ბ. ხელშეკრულებების ფორმები;

გ. საკუთრების გადაცემა. საკუთრების უფლებისა და რისკის გადაცემის საკითხები რეგულირდება წინამდებარე კონვენციის საფუძველზე, მხარეების მიერ შეთანხმებული, ერთ-ერთი მხარის ნაციონალური სამართლის საფუძველზე;

დ. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების იურიდიული ძალა იმ პირების მიმართ, რომლებიც არ წარმოადგენენ ხელშეკრულების მხარეებს.

მუხლი 6. წინამდებარე კონვენციის საფუძველზე, მხარეების მიერ განსაზღვრული გამოსაყენებელი სამართალი შეიძლება უარყოფილ იქნეს კონვენციის მონაწილე ნებისმიერ ქვეყანაში, საჯარო წესრიგთან დაკავშირებული მოტივებით.

ე. კონვენციის მხარეები შეთანხმდნენ, წინამდებარე კონვენციის 1-6 მუხლები გაითვალისწინონ თავისი ქვეყნების ნაციონალურ კანონმდებლობაში.

ინკოტერმსი და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება

ინკოტერმსის მიზანი და გამოყენების სფერო. ინკოტერმსის მიზანია საერთაშორისო წესების ჩამოყალიბება ეკონომიკურ ურთიერთობებში (მათ შორის საერთაშორისო სავაჭრო გაცვლაში) გამოყენებული ტერმინების განმარტებისათვის, რაც საშუალებას იძლევა ავიცილოთ, ან უკიდურეს შემთხვევაში, მინიმუმამდე შევამციროთ, სხვადასხვა ქვეყანაში ამ ტერმინების განმარტებასთან დაკავშირებული გაუგებრობები.

არც თუ იშვიათად, მხარეები ხელს აწერენ კონტრაქტზე, ისე, რომ არ იცნობენ კონტრაგენტი მხარის ქვეყნის კანონმდებლობასა და სავაჭრო ჩვეულებებს, რაც ხშირად ხდება დასანანი გაუგებრობების, უთანხმოებებისა და სამართლებრივი დავების მიზეზი, ყველა გამომდინარე შედეგებით.

ყველა ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, საერთაშორისო სავაჭრო პალატამ 1931 წელს მიიღო სავაჭრო ტერმინების განმარტების დაზუსტებული წესები. ასეთი წესები ცნობილია „ინკოტერმს-36"-ის სახელით. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების თანამედროვე პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, წესებში შეტანილი იქნა ცვლილებები და დამატებები 1953, 1967, 1976, 1980, 1990 წლებში და 2000 წელს.

ალსანიშნავია, რომ *ინკოტერმსის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ხელშეკრულების მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებზე, საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ საკითხებში.* ინკოტერმსის მიზნებისათვის „*საქონელი*" გულისხმობს მხოლოდ „*მატერიალურ საქონელს*", „*მატერიალურ აქტივებს*", განსხვავებით „*არამატერიალური საქონლის*", „*არამატერიალური აქტივებისაგან*".

მიუხედავად იმისა, რომ ინკოტერმსი ძალაშია 1936 წლიდან და როგორც უკვე აღვნიშნეთ, არაერთხელ არის დაზუსტებული და კორექტირებული, პრაქტიკაში დღემდე გვხვდება ინკოტერმსის ტერმინების განსხვავებული გაგება. განსაკუთრებით ხშირია, ინკოტერმსის არასწორი გაგების სამი ვარიანტი:

ა. ინკოტერმსი უფრო მეტად უკავშირდება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას ვიდრე გადაზიდვის ხელშეკრულებას;

ბ. მცდარად მიიჩნევა, რომ ინკოტერმსის ტერმინები უნდა მოიცავდეს ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს;

გ. ინკოტერმსის ტერმინები მიიჩნევა გადაზიდვის ხელშეკრულებად.

საზგასმით უნდა ითქვას, რომ **ინკოტერმსი** დაკავშირებულია მხარეების უფლება-მოვალეობებთან, მათ შორის დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში და ისიც მხოლოდ მიწოდების ნაწილში.

იმპორტიორებმა და ექსპორტიორებმა, უნდა გაითვალისწინონ ერთის მხრივ, განსხვავებები და მეორეს მხრივ კავშირები სხვადასხვა სახის ხელშეკრულებებს შორის, რაც აუცილებელია სავაჭრო გარიგების შესრულებისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებასთან ერთად აუცილებელია ფინანსირების, გადაზიდვის, დაზღვევის ხელშეკრულებები. ყველა ასეთი ხელშეკრულების არსებობისას, **ინკოტერმსის** ტერმინები დაკავშირებულია მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებასთან, ამავე დროს, მხარეების შეთანხმება **ინკოტერმსის** კონკრეტული ტერმინის გამოყენებაზე, ძალაშია ყველა სხვა ხელშეკრულებისათვისაც. მაგალითად, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ CFR ან CIF პირობაზე, გამყიდველს არა აქვს უფლება, მიწოდება განახორციელოს ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით, გარდა საზღვაო ტრანსპორტისა, რადგან, ამ პირობების თანახმად, გამყიდველმა, მყიდველს უნდა გადასცეს **კონოსამენტი** ან სხვა საზღვაო სატრანსპორტო დოკუმენტი, რაც უბრალოდ, შეუსრულებელი იქნება ნებისმიერი სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვისას.

მიუხედავად იმისა, რომ ინკოტერმსის მიზანია ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა, მასში საერთოდ არ შედის ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. უფრო მეტიც, ინკოტერმსი საერთოდ არ ეხება ხელშეკრულების დარღვევასა და ასეთი დარღვევებისათვის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საკითხებს. ეს საკითხები რეგულირდება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესაბამისი დებულებებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

ინკოტერმსი თავიდანვე გათვალისწინებული იყო იმ ხელშეკრულებებისათვის, რომლებიც გათვალისწინებული იყო საქონ-

ლის ნაციონალურ საზღვრებზე გადაადგილებისათვის. ამდენად ინკოტერმსი განეკუთვნება საერთაშორისო ტერმინების კატეგორიას. ეს არ გამორიცხავს ამ ტერმინების შეუზღუდავ გამოყენებას ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებისათვის ქვეყნის ფარგლებშიც.

სავაჭრო ტერმინები, მათ შორის ინკოტერმსი, შეადგენს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მხოლოდ ნაწილს. თუ ხელშეკრულება განსაზღვრავს საქონლის ხარისხს, რაოდენობას და ფასს, სავაჭრო ტერმინები მოიცავენ საკითხებს, რომლებიც არეგულირებენ მხოლოდ საქონლის მიწოდებას – გადაცემას გამყიდველიდან მყიდველისათვის.

ხელშეკრულებაში ისეთი ტერმინების მითითება, როგორიცაა FOB ან CIF, ყოველთვის არ არის საკმარისი, რადგან ეს ტერმინები თავისთავად მიუთითებენ მხოლოდ იმაზე, რომ საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს განსაზღვრული ტრადიციული წესით და ამა თუ იმ ხარჯის ანაზღაურება ხდება მყიდველის, ან გამყიდველის მიერ.

ხელშეკრულების მხარეებს, როგორც წესი, სჭირდებათ მეტი ინფორმაცია. მაგალითად, ვინ მოახდენს განბაჟებას საქონლის გატანის ან შეტანისას, ვინ კისრულობს საქონლის დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯებს, როგორ ნაწილდება მხარეებს შორის საქონლის გაფუჭების ან დაკარგვის რისკი, ვინ ახორციელებს ასეთი რისკების დაცვას დაზღვევის ხელშეკრულების დადების გზით და სხვა.

ყველა ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად აუცილებელია კონკრეტული სავაჭრო ტერმინის უფრო სრული განმარტება: *ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების კონკრეტული მუხლის, გამოყენებული სამართლის ნორმების, ან სავაჭრო ჩვეულებების გათვალისწინებით.*

ნაციონალური სამართლისა და საერთაშორისო კონვენციის ნორმებისგან განსხვავებით, **„ინკოტერმსის"** ტერმინების ავტომატური ჩართვა ხელშეკრულებებში მნიშვნელოვნად შეზღუდულია. იმისათვის, რომ ასეთი ტერმინები სრულად იქნეს გამოყენებული და გათვალისწინებული, ხელშეკრულების შესრულებებიდან გამომდინარე პრობლემების მოსაგვარებლად, აუცილებელია, რომ პირდაპირ იყოს მითითებული ხელშეკრულებაში **„ინკოტერმს-2000"**.

ხელშეკრულების მომზადებისას მხარეებს აქვთ ალტერნატივა:

1. ან ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ კონკრეტული საგაჭრო ტერმინთან დაკავშირებული ყველა არსებითი ასპექტი, ან

2. გამოიყენონ უფრო პრაქტიკული გზა, შესაბამის ტერმინთან ერთად მიუთითონ „ინკოტერმს-2000".

საგულისხმოა ინკოტერმსის ტერმინების გამოყენებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი გარემოება. კერძოდ, ინკოტერმსის წესები განსაზღვრავენ გამყიდველსა და მყიდველს შორის საქონლის დაკარგვისა და გაფუჭების პასუხისმგებლობის განაწილების საკითხებს. ამავე დროს, ისინი არ არეგულირებენ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემის წესს. ამ პროცედურის ერთიანი წესების შეთანხმება ვერ მოხერხდა ვერც გაეროს კონვენციით „საერთაშორისო საგაჭრო ხელშეკრულების შესახებ". ამდენად, ხელშეკრულების მხარეებმა, თვითონ უნდა განიხილონ და შეათანხმონ ეს საკითხები ხელშეკრულებაში და მკაცრად დაიცვან გამოყენებული სამართლის ნორმები, დაკავშირებული საქონლის საკუთრების უფლების გადასვლასა და საკუთრების სხვა უფლებებთან დაკავშირებით.

ინკოტერმსი არ ეხება ხელშეკრულების შეუსრულებლობასა და ასეთი შეუსრულებლობის შედეგებს. ამიტომ ასეთი საკითხები უნდა მოგვარდეს ან ხელშეკრულებაში გათვალისწინებული სპეციალური დებულებებით, ან გამოყენებული სამართლის ნორმებით.

ინკოტერმსის ტერმინების ჯგუფები და მათი კომპონენტები. საგაჭრო ტერმინებს შორის არსებული განსხვავებები განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ამ ტერმინების კლასიფიკაციაში. ტერმინები დაჯგუფებულია ოთხ კატეგორიად, მათი დასახელების პირველი ასოების გამოყენებით.

პირველი ჯგუფი შეიცავს მხოლოდ ერთ ტერმინს EXW, ანუ ქარხნიდან. დანარჩენი სამი ჯგუფიდან, სამი ტერმინია F ჯგუფში (FCA; FAS და FOB), ოთხი ტერმინია მესამე ჯგუფში (CFR; CIF; CPT და CIP) და ხუთი ტერმინი D ჯგუფში (DAF; DES; DEQ; DDU და DDP).

ასო F გულისხმობს, რომ გამყიდველი ვალდებულია რისკისაგან თავისუფალი საქონელი გადასცეს გარკვეულ გადამზიდავს, მყიდველის ხარჯზე.

ასო C მიუთითებს იმაზე, რომ გამყიდველი ვალდებულია გასწიოს გარკვეული ხარჯები, რისკების გადაცემის საკვანძო მომენ-

ტის შემდეგაც.

ასო D მიუთითებს, რომ საქონელი უნდა მივიდეს დანიშნულების ადგილზე.

ტერმინების ასეთი კლასიფიკაცია უმარტივებს ბიზნესმენებს ტერმინების გაგებას და სწორ ორიენტაციას შესაბამისი ტერმინის არჩევაში. ქვემოთ მოტანილია ინკოტერმს-2000-ის სრული კლასიფიკაცია:

ჯგუფი E. გაგზავნა

EXW - ფრანკო ქარხანა (... შეთანხმებული ადგილი);

ჯგუფი F. ძირითადი გადაზიდვა არ არის გადახდილი:

FCA - ფრანკო გადამზიდავი (... დანიშნულების ადგილი);

FAS - თავისუფალია ხომალდის ბორტის გასწვრივ (... შეთანხმებული გადატვირთვის პორტი);

FOB - თავისუფალია ხომალდის ბორტზე (... შეთანხმებულია გადატვირთვის პორტი);

ჯგუფი C. ძირითადი გადაზიდვა ანაზღაურებულია

CFR - ღირებულება და ფრახტი (... დანიშნულების პორტი);

CIF - ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი (... დანიშნულების პორტი);

CPT - ფრახტი და გადაზიდვა გადახდილია —მდე (... დანიშნულების ადგილი);

CIP - ფრახტი, გადაზიდვა და დაზღვევა გადახდილია —მდე (... დანიშნულების ადგილი);

ჯგუფი D. მიწოდება

DAF - მიწოდება საზღვარზე (... შეთანხმებული მიწოდების ადგილი);

DES - მიწოდება ხომალდიდან (... დანიშნულების პორტი);

DEQ - მიწოდება ნავმისადგომიდან (... დანიშნულების პორტი);

DDU - მიწოდება განბაჟების გარეშე (... დანიშნულების ადგილი);

DDP - მიწოდება განბაჟებით (... დანიშნულების ადგილი);

რატომ ხდება ინკოტერმსის ტერმინების გადასინჯვა. ინკოტერმსის პერიოდული გადასინჯვისა და მისი ცალკეული დებულებების დაზუსტების ძირითად მიზეზად დღემდე რჩება მათი თანა-

მედროვე სავაჭრო პრაქტიკასთან ადაპტირების აუცილებლობა.

მაგალითად, 1980 წლის რედაქციაში შეტანილი იქნა ტერმინი **„ფრანკო გადამზიდავი“** (FCA), იმ ცალკეული შემთხვევებისათვის, როდესაც საქონლის მიღების პუნქტი, საზღვაო გადაზიდვების შემთხვევები არ წარმოადგენს FOB-ით განსაზღვრულ ტრადიციულ პუნქტს – გადასვლა. ხომალდის მოაჯირზე.

1990 წელს შეტანილმა ცვლილებებმა შესაძლო გახადა მიწოდების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტების შეცვლა, შესაბამისი ელექტრონული შეტყობინებებით, იმ პირობით, რომ მხარეები შეთანხმებული არიან კავშირ-ურთიერთობაზე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ზოგადად თუ ვიტყვით, ინკოტერმსის პერიოდული გადასინჯვისა და დაზუსტების უპირველესი ამოცანაა მისი პრაქტიკული გამოყენების გაადვილება.

„ინკოტერმს-2000“. ინკოტერმსის მორიგი რედაქტირებისათვის, რომელიც ორ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა, საერთაშორისო სავაჭრო პალატამ ჩართო მსოფლიო ვაჭრობის სხვადასხვა სფეროს სპეციალისტთა ფართო წრე, შედეგად მიღებულია **„ინკოტერმს-2000“**. ინკოტერმსის 1990 და 2000 წლების რედაქციების შედარებისას შესაძლოა დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ცვლილებები მცირერიცხოვანი და არც თუ ისე მნიშვნელოვანია. შესაძლოა ეს ასეც არის. საქმე იმაში გახლავთ, რომ ბოლო რედაქციების ძირითადი მიზანი იყო ინკოტერმსის, როგორც აღიარებული საერთაშორისო ტერმინების სტატუსის განმტკიცება და საერთაშორისო სავაჭრო პალატამ უარი თქვა შესწორებებზე მხოლოდ შესწორებებისათვის, რაც გარკვეულწილად შეიმჩნეოდა წინა რედაქტირების შედეგებში. ამავე დროს, მთელი ძალისხმევა მიმართული იყო იმისაკენ, რომ ტერმინების ფორმულირებებში სრულად ყოფილიყო ასახული საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში ბოლო წლებში მომხდარი ცვლილებები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი ორ საკითხში:

** განბაჟება და საბაჟო გადასახდელების გადახდა FAS და DEQ ტერმინების მიხედვით;*

** დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის ვალდებულება FCA ტერმინის მიხედვით.*

ყველა არსებითი და ფორმალური ცვლილება შეტანილი იქნა

ინკოტერმსის მომხმარებელთა მრავალწლიანი პრაქტიკის დეტალური შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე.

ინკოტერმსის ჩართვა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში. ის ფაქტი, რომ არსებობს ინკოტერმსის არაერთი რედაქცია, შეიძლება გახდეს გაუგებრობისა და უთანხმოების მიზეზი, თუ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში გარკვევით არ იქნა მითითებული ინკოტერმსის სრული დასახელება. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, როდესაც მხარეები შეთანხმდებიან მიწოდების განხორციელებაზე *„ინკოტერმს-2000"-ის კონკრეტული ტერმინის საფუძველზე, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში გარკვევით უნდა იყოს მითითებული, რომ მხარეები ხელმძღვანელობენ „ინკოტერმს-2000"-ით.*

ინკოტერმსის ყველა ტერმინში, მხარეების ვალდებულებები თავმოყრილია ცალკეულ მუხლებში, სადაც ყოველ ცალკეულ მუხლში მოყვანილია გამყიდველისა და მყიდველის ვალდებულებები.

ტერმინოლოგია. „ინკოტერმს-2000"-ის შემუშავების პროცესში, საკმაო ძალისხმევა დასჭირდა ტერმინებში გამოყენებული ცნებებისა და გამოთქმების შეთანხმებას. ამ გზით თავიდან იქნა აცილებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაეროს კონვენციაში გამოყენებული მნიშვნელობების გადმოსაცემად განსხვავებული ცნებების გამოყენება.

ტვირთის გამგზავნი. ზოგჯერ საჭირო ხდება ერთი და იგივე ტერმინის გამოყენება, ორი განსხვავებული მოვლენის გადმოსაცემად, მხოლოდ იმიტომ, რომ ძნელი მოსაძებნია მისაღები ალტერნატივა. მაგალითად **„ტვირთის გამგზავნი"** გულისხმობს, როგორც პირს, რომელიც საქონელს გადასცემს გადასაზიდად, იმ პირსაც, რომელიც გადამზიდავთან დებს გადაზიდვის ხელშეკრულებას. არ არის გამორიცხული, რომ ტვირთის გამგზავნი აღმოჩნდეს სხვადასხვა პირი. მაგალითად, FOB ტერმინის პირობებში, როდესაც გამყიდველი საქონელს გადასცემს გადამზიდავს, ამ უკანასკნელთან კი გადაზიდვის ხელშეკრულებას დებს მყიდველი.

მიწოდება. ასევე ორი მნიშვნელობით გამოიყენება ინკოტერმსის მიზნებისათვის ტერმინი **„მიწოდება"**. იგი გამოიყენება იმ მომენტის აღსანიშნავად, როდესაც გამყიდველმა შეასრულა თავისი ვალდებულება A.4. პუნქტის შესაბამისად. იგივე ტერმინი გამოიყენება მყიდველის ვალდებულების აღსანიშნავად A.4. პუნქტის მიხედვით, რომლის თანახმად, მყიდველი ვალდებულია მიიღოს სა-

ქონელი, როდესაც იგი მიწოდებულია A.4. პუნქტის მოთხოვნების დაცვით.

ინკოტერმსის ტერმინებში ასევე გამოიყენება ცნებები *„საქონლის გადაცემა მყიდველის განკარგულებაში“* და *„გადასცეს საქონელი“*, რომლებიც პრაქტიკულად „მიწოდების“ იდენტური ცნებებია.

ჩვეულებრივი. ეს ტერმინი გამოიყენება იმ დოკუმენტების მიმართ, რომლებიც გამყიდველმა უნდა გადასცეს მყიდველს და იმ გადაზიდვის ხელშეკრულების მიმართ, რომელიც გამყიდველმა უნდა უზრუნველყოს. ზუსტად ძნელია იმის განმარტება, თუ რას ნიშნავს „ჩვეულებრივი“ ინკოტერმსის მიზნებისათვის, თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში არ არის ძნელი იმის განსაზღვრა, თუ რას აკეთებენ სავაჭრო ოპერაციების მონაწილეები კონკრეტულ შემთხვევებში და როდის შეიძლება გახდეს ასეთი პრაქტიკა სავალდებულო, ან გასათვალისწინებელი მხარეებისათვის. მიიჩნევა, რომ ტერმინი **„ჩვეულებრივი“** მეტად მისაღები და სასარგებლოა, ვიდრე ტერმინი **„გონებრივი“**, რომელიც მოითხოვს შეფასებას ისეთი რთული კატეგორიების პოზიციებიდან, როგორებიცაა პატიოსნება, კეთილსინდისიერება და პოზიტიური ცოდნა. ამდენად, ინკოტერმსში, უპირატესობა ენიჭება ტერმინს **„ჩვეულებრივი“**.

მოსაკრებლები. საქონლის საბაჟო გაწმენდასთან და მთლიანად საბაჟო ფორმალობებთან მიმართებაში „მოსაკრებელი“ გულისხმობს იმ თანხებს, რომელიც უნდა იქნეს გადახდილი საქონლის იმპორტთან თუ ექსპორტთან დაკავშირებული ფორმალობების შესასრულებლად, რომელთა გადახდა სავალდებულოა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისათვის.

ნებისმიერი დამატებითი გადასახდელები, რომლებიც გადაიხდება კერძო ფირმების მიერ გაწეული მომსახურებისათვის შენახვაზე, დატვირთვა-გადმოტვირთვაზე და სხვა, არ მიეკუთვნება საბაჟო ფორმალობებთან დაკავშირებულ მოსაკრებლებს, თუმცა. საჯ-ხებით შესაძლებელია ისინი შევიდნენ მხარის მიერ გაწეული ხარჯების შემადგენლობაში.

„პორტი“, „ადგილი“, „პუნქტი“, „შენობა“ — გამოიყენება იმ ტერიტორიის აღსანიშნავად, სადაც უნდა მოხდეს საქონლის მიწოდება. ცალკეულ შემთხვევაში აუცილებელი ხდება მიწოდების ად-

გილის აღნიშვნა პორტის ტერიტორიაზე, სადაც უნდა მოხდეს საქონლის გადაცემა მყიდველის განკარგულებაში.

„ხომალდი“, „გემი“. ეს ტერმინები გამოიყენება სატრანსპორტო საშუალების აღსანიშნავად, როდესაც საქონლის მიწოდება ხორციელდება საზღვაო ან სამდინარო გზებით. ტერმინები **„გემი“** და **„ხომალდი“** სინონიმებია ინკოტერმსის მიზნებისათვის.

„შესწორება“, „დათვალიერება“, „ინსპექტირება“. ეს ტერმინები სინონიმები არ არიან. „დათვალიერება“ მოიცავს საქონლის მდგომარეობისა და რაოდენობის უფრო ვიზუალურ შეფასებას „შემოწმება“ და „ინსპექტირება“ კი კონკრეტული საქონლის ერთი, ან რამდენიმე პარამეტრის შესაბამისობის დადგენას ხელშეკრულების, ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნებთან.

გამყიდველის ვალდებულება. შეიძლება ითქვას, რომ ინკოტერმსის ტერმინების შინაარსი კონცენტრირებულია მიწოდებაზე გამყიდველის ვალდებულებების ირგვლივ. როდესაც მხარეებს შორის არსებობს ხანგრძლივი და ნაყოფიერი სავაჭრო-სახელშეკრულებო პრაქტიკა, მათ შორის ასეთი ვალდებულებების, პასუხისმგებლობისა და ხარჯების განაწილება რაიმე სირთულეებს არ იწვევს. ასეთი ურთიერთობების არარსებობის პირობებში განსაკუთრებული როლი ენიჭება ინკოტერმსის ტერმინებს, რომლებიც საკმაოდ ზუსტად და დეტალურად განსაზღვრავენ მიწოდებასთან დაკავშირებული მხარეების, პირველ რიგში გამყიდველის ვალდებულებებს.

რისკების გადასვლა. საქონლის გაფუჭების, დაკარგვის, აუცილებელი ხარჯების გაწევის რისკი გამყიდველიდან მყიდველზე გადადის, როდესაც გამყიდველი სრულად ასრულებს თავის ვალდებულებებს საქონლის მიწოდებაზე.

მყიდველს არა აქვს უფლება, გააჭიანუროს საქონლისა და შესაბამისად, საქონელთან დაკავშირებული რისკების ხარჯების გაწევის ვალდებულებების შესრულება მას შემდეგ, რაც გამყიდველი სრულად შეასრულებს მიწოდებას, ანუ მიწოდების პირობებით განსაზღვრულ ყველა ვალდებულებას.

ამდენად, საქონელზე რისკებისა და ხარჯების გაწევის ვალდებულების გადასვლა მყიდველზე შეიძლება მოხდეს მის მიერ საქონლის ფაქტიურად მიღებამდე - თუ იგი უარის იტყვის, ან აჭიანურებს მისთვის მიწოდებული საქონლის დროულ მიღებას. გამყიდველი-

დან მყიდველზე რისკების გადასვლის აუცილებელი პირობაა, რომ საქონელი სათანადოდ და საიმედოდ იყოს იდენტიფიცირებული მყიდველისათვის, როგორც ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონელი.

პორტის, კონკრეტული ქვეყნის სავაჭრო ჩვეულებები. ვინაიდან ინკოტერმსი გამოიყენება სხვადასხვა სავაჭრო გარიგებებში და მრავალ ქვეყანაში, ყოველთვის არ არის ადვილი, სრულად განქსაზღვროთ მხარეების ვალდებულებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხშირად აუცილებელი ხდება კონკრეტული პორტის, ან კონკრეტული საქონლით ვაჭრობაში დროთა განმავლობაში, ან მხარეთა შორის ჩამოყალიბებულ ჩვეულებებზე მითითება.

სასურველია, რომ მხარეებმა დროულად ჩააყენონ ერთმანეთი საქმის კურსში ასეთი ჩვეულებების შესახებ, წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებებისა და ხელშეკრულების პროექტის განხილვისა და შეთანხმების პროცესში. გაუგებრობებისა და უთანხმოებების წარმოქმნის პროცესში კი თავისი კანონიერი პოზიცია დაადასტურონ ხელშეკრულების შესაბამისი მუხლის სპეციალური დებულებებით. ასეთმა სპეციალურმა დებულებებმა, რომლებიც შეტანილია მხარეებს შორის დადებულ ხელშეკრულებაში, პრაქტიკულად შეიძლება შეცვალოს ინკოტერმსში მოყვანილი ფორმულირებები.

მყიდველის უფლება, შეარჩიოს საქონლის გადატვირთვის ადგილი. ზოგ შემთხვევაში, ხელშეკრულების დადების მომენტში, შეუძლებელია იმ ადგილის, ან დანიშნულების იმ პუნქტის მითითება, სადაც უნდა მიიტანოს საქონელი გამყიდველმა გადამზიდველისათვის გადასაცემად. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა ასეთ ადგილად მითითებული იქნეს საკმაოდ დიდი ტერიტორია, მაგალითად საზღვაო პორტი. ასეთ შემთხვევებში, ხელშეკრულება ითვალისწინებს მყიდველის უფლებას, მოგვიანებით დააზუსტოს მიწოდების ადგილი და მის ვალდებულებას, დროულად შეატყობინოს გამყიდველს ასეთი გადაწყვეტილების შესახებ.

თუ მყიდველი დროულად არ შეასრულებს თავის ვალდებულებას, დაზუსტებული მიწოდების ადგილის გამყიდველისათვის შეტყობინების შესახებ, მას ეკისრება საქონლის გაფუჭებისა და დაკარგვის ყველა რისკი და ხარჯი ასეთი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისათვის.

მყიდველის უარი, მიუთითოს მიწოდების კონკრეტული ადგილი მიწოდების შეთანხმებული პუნქტის ფარგლებში, უფლებას ანი-

ჭების გამყიდველს, ამავე პუნქტის ფარგლებში შეარჩიოს მისთვის ხელსაყრელი და მოხერხებული ადგილი.

განბაჟება. ამ ტერმინთან ერთად იხმარება „საბაჟო გაწმენდა", „საბაჟო გასუფთავება", „აუცილებელი საბაჟო ფორმალობები". ტერმინი განბაჟება, ანუ იმ ფორმალობებისა და ხარჯების ერთობლიობა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით აუცილებელია საქონლის საბაჟო საზღვრის გადაკვეთისათვის ექსპორტის და იმპორტის ქვეყნებში, შეიძლება გახდეს გაუგებრობისა და უთანხმოების მიზეზი ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ ხელშეკრულებაში განმარტებულ იქნეს განბაჟებასთან დაკავშირებული აუცილებელი პროცედურები საქონლის საზღვარზე გადაადგილებისათვის: *ბაჟის გადახდა, მოსაკრებლების გადახდა, ყველა სხვა ფორმალობისა და ადმინისტრაციულ ქმედებათა შესრულება და გადახდა.*

რიგ ქვეყნებში, საქონლის ექსპორტისა და იმპორტისას, არ მოითხოვება საბაჟო ფორმალობების შესრულება, ან ასეთი ფორმალობები სრულდება გამარტივებული წესით. აღნიშნულის გათვალისწინებით განბაჟებასთან დაკავშირებით შეტანილია დამატება **„თუ ასეთი აუცილებელია"**. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ასეთი დამატება არ შეეტანათ, რადგან, თუ კანონმდებლობა არ მოითხოვს საბაჟო ფორმალობების შესრულებას, ბაჟისა და სხვა მოსაკრებლების გადახდას, ექსპორტიორს/იმპორტიორს ძალიანაც რომ უნდოდეს, ასეთ ფორმალობებს ვერ შეასრულებს.

შეფუთვა. ხშირად გამყიდველმა წინასწარ იცის, როგორ უნდა იქნას შეფუთული მისაწოდებელი საქონელი. შეფუთვის პირობები, როგორც წესი, გარკვევითაა მითითებული ხელშეკრულებაში.

ამავე დროს, საქონლის შეფუთვის პირობები შეიძლება არსებითად შეიცვალოს ტრანსპორტირების პირობების გათვალისწინებით. ასეთ სიტუაციებში, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს გამყიდველის ვალდებულებას, ისე შეფუთოს საქონელი, რომ შეფუთვა იძლეოდეს მისი დაცვის, შენახვის, დატვირთვა-გადმოტვირთვის შესაძლებლობას ტრანსპორტირების პროცესში, ვიდრე მიწოდების დასრულებამდე.

საქონლის დათვალიერება. ხშირად მიზანშეწონილია, მყიდველმა საქონელი დაათვალიეროს (შეამოწმოს, მოახდინოს საქონლის ინსპექტირება), მის შეფუთვამდე და გადასაზიდად გადაცემამდე.

როგორც წესი, საქონლის გადატვირთვისწინა ინსპექტირება ჩართულია გამყიდველის ვალდებულებებში. თუ ხელშეკრულება გამყიდველის ვალდებულებებში ასეთ პირობას არ ითვალისწინებს, ინსპექტირება ხორციელდება მყიდველის ხარჯით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქონლის ინსპექტირებას მოითხოვს ექსპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობა.

სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, როდესაც გადატვირთვისწინა საქონლის შემოწმება აუცილებელია გამყიდველისათვის, მისი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელიმე ერთი ან რამდენიმე ფორმალობის შესასრულებლად, ასეთი შემოწმება უნდა განხორციელდეს გამყიდველის ხარჯით.

„ინკოტერმს-2000“ და ტრანსპორტირების ფორმა. ინკოტერმსის ტერმინებში, როგორც წესი მითითებულია ტრანსპორტირების ის ფორმა, რომლისთვისაც გამოიყენება ესა თუ ის ტერმინი.

ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით და შემოტანილი გადაზიდვებისათვის გამოიყენება ტერმინები:

EXW; FCA; CPT; CTP; DAF; DDU; DDP.

მხოლოდ საზღვაო და შიდა სამდინარო გადაზიდვებისათვის გამოიყენება ტერმინები:

FAS; FOB; CFR; CIF; DES და DEQ.

რეკომენდაციები გამოყენებაზე. როგორც წესი, ინკოტერმსის ყოველ ტერმინს დართული აქვს მოკლე შესავალი განმარტება. ასეთი განმარტება საშუალებას აძლევს ხელშეკრულების მხარეებს, სწორად შეარჩიონ საჭირო ტერმინი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შესავალ განმარტებას, როდესაც აუცილებელი ხდება არჩევანის გაკეთება ორ ტერმინს შორის, მაგალითად FCA და FOB-ს შორის. არის შემთხვევები, როდესაც მხარეები იყენებენ ტერმინ FOB, როდესაც ამისი აუცილებლობა და საჭიროება არ არსებობს. ტერმინი FOB გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც გამყიდველის ვალდებულება შესრულებულად ითვლება, საქონლის ხომალდის მოაჯირის გადაკვეთის მომენტში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, FOB-ის შესავალ განმარტებაში ხაზგასმითაა მითითებული, რომ ამ ტერმინის გამოყენება არ არის რეკომენდებული, როდესაც მხარეების შეთანხმება არ ითვალისწინებს გამყიდველის ვალდებულებას, საქონელი გადაიტანოს ხომალდის მოაჯირზე.

კონკრეტული ტერმინის შესავალი განმარტება, ასევე გამორიცხავს საზღვაო გადაზიდვებისათვის განკუთვნილი ტერმინების გამოყენებას სხვა სახის ტრანსპორტით გადაზიდვისათვის. ასეთ შემთხვევაში გამყიდველს უჩნდება სიძნელეები მყიდველისათვის ინკოტერმსის შესაბამისი ტერმინით განსაზღვრული დოკუმენტების გადაცემაში.

კონოსამენტი და ელექტრონული კავშირი. ტრადიციულად, საბორტო კონოსამენტი არის ერთადერთი მისაღები დოკუმენტი, რომელიც გამყიდველმა უნდა გადასცეს მყიდველს საქონლის მიწოდების შემთხვევაში CFR და CIF პირობით.

კონოსამენტი ასრულებს სამ ძირითად ფუნქციას:

- *ადასტურებს საქონლის დატვირთვას ხომალდზე;*
- *ადასტურებს გადაზიდვის ხელშეკრულებას;*
- *უფლებას და საშუალებას აძლევს მხარეს, საქონელი გადასცეს მყიდველს, ან მესამე მხარეს კონოსამენტის გადაცემის გზით.*

საზღვაო გადაზიდვებისას, ნებისმიერმა სხვა დოკუმენტმა შეიძლება შეასრულოს კონოსამენტის პირველი ორი ფუნქცია, მაგრამ იგი არ გამოდგება საქონლის მყიდველისათვის გადაცემის დამადასტურებლად და რაც მთავარია, არ აძლევს უფლებას მყიდველს საქონელი გადასცეს მესამე მხარეს ტრანსპორტირების პროცესში.

ის ფაქტი, რომ კონოსამენტი ადასტურებს საქონლის მყიდველისათვის გადაცემას, ანუ მიწოდების დასრულების ფაქტს, ართულებს მისი ელექტრონული შეტყობინებით შეცვლას.

სატრანსპორტო დოკუმენტი უნდა ადასტურებდეს როგორც საქონლის გადაცემას გადამზიდველისათვის, ისე იმასაც, რომ გადამზიდავმა ტვირთი მიიღო ყოველგვარი ხარვეზების გარეშე. ნებისმიერი ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ გადამზიდავმა საქონელი მიიღო ცალკეული დაზიანებებით, სატრანსპორტო დოკუმენტს აქცევს „არასუფთა დოკუმენტად", რაც ართულებს ასეთი დოკუმენტით ანგარიშსწორების პროცესს, პირველ რიგში აკრედიტივით ანგარიშსწორების პირობებში.

მიუხედავად კონოსამენტის სპეციფიკური იურიდიული თავისებურებებისა, რომლებიც ართულებენ მას შეცვლილი ექვივალენტური ელექტრონული შეტყობინებით, სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს კონოსამენტის ელექტრონული ვერსიის შექმნაზე.

ინკოტერმსის A.8 მუხლის თანახმად, წერილობითი დოკუმენტე-

ბა შეიძლება შეიცვალოს ეკვივალენტური ელექტრონული ინფორმაციით, თუ მხარეებს შორის არსებობს შეთანხმება ელექტრონული კავშირის შესახებ.

ბოლო წლებში სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებული დოკუმენტების ბრუნვა მნიშვნელოვნად გამარტივდა. საზღვაო კონოსამენტი ხშირად იცვლება „დოკუმენტით გადაცემის გარეშე". ეს დოკუმენტი ანალოგიურია სხვა სახის ტრანსპორტით გადაზიდვისას გამოყენებული სატრანსპორტო დოკუმენტებისა. ასეთი დოკუმენტები სავსებით მისაღები და საკმარისია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მყიდველს სურს, საქონელი გადასცეს მესამე მხარეს, ჯერ კიდევ ტრანსპორტირების პროცესში. მისთვის რომ ასეთი გადაცემა შესაძლებელი იყოს, აუცილებელია შენარჩუნებულ იქნეს გამყიდველის ვალდებულება, გადასცეს მყიდველს საზღვაო კონოსამენტი CFR და CIF ტერმინების შესაბამისად.

საერთაშორისო სავაჭრო ტერმინების განმარტების წესები. სავაჭრო ტერმინები წარმოადგენენ სავაჭრო ხელშეკრულებების საკვანძო ელემენტებს, რამდენადაც ისინი მიუთითებენ მხარეებს, თუ რა უნდა გააკეთონ საქონლის გადაზიდვისას გამყიდველიდან მყიდველამდე და ხარჯებისა და რისკების განაწილებაზე მათ შორის.

უკვე დიდი ხანია, ბიზნესმენები იყენებენ შემოკლებულ ტერმინებს FOB, SIF და სხვას,მხარეებს შორის ვალდებულებების, ხარჯებისა და რისკების განაწილების აღსანიშნავად. მიუხედავად ამისა, ეს ტერმინები და მათი განმარტებები დღემდე იწვევენ ცალკეულ გაუგებრობებსა და უნდობლობას მხარეებს შორის, როგორც საერთაშორისო, ისე ქვეყნის შიდა სავაჭრო ურთიერთობებში. შემოკლებული ტერმინები ძალზე მოხერხებულია, თუმცა ისინი მოითხოვენ დეტალურ განმარტებებს, რათა ისინი ერთნაირად გასაგები იყვნენ სახელშეკრულებლო ურთიერთობების ყველა მონაწილისათვის. არასწორად შერჩეულმა ტერმინმა, ან შერჩეული ტერმინის არაადექვატურმა განმარტებამ, შესაძლოა გაუთვალისწინებელი სიძნელეები და გაზრდილი რისკი შეუქმნას ხელშეკრულების შესრულებას და მხარეებს შორის ურთიერთობას.

„ინკოტერმსი" 2000 წლის რედაქციით, ჩამოყალიბებულია ლოგიკური თანმიმდევრობით. თითოეულ ტერმინში გამოყოფილია ძირითადი საკითხები, რომლებიც განლაგებულია ერთიანი ნუმერაციის ფარგლებში, რაც საშუალებას იძლევა უფრო ნათლად იქნას

წარმოდგენილი მხარეთა ვალდებულებები. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით **„ინკოტერმსი“** 2000 წლის რედაქციაში გამყიდველისა და მყიდველის ვალდებულებები სარკისებურად არის წარმოდგენილი, რაც მხარეებს საშუალებას აძლევს შეადარონ თავისი ვალდებულებები კონკრეტული ტერმინის ფარგლებში.

თითოეული ტერმინით გასაზღვრული მხარეების ვალდებულებები, დაჯგუფებულია ორი სათაურის ქვეშ: **„გამყიდველი ვალდებულია“** და **„მყიდველი ვალდებულია“**. ამ ვალდებულებათა 10 სახე დალაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით:

გამყიდველი ვალდებულია

A1 საქონლის წარდგენა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად
A2 ლიცენზიები, ნებართვები და სხვა ფორმალობები
A3 გადაზიდვის ხელშეკრულება და დაზღვევა
A4 მიწოდება
A5 რისკების გადასვლა
A6 ხარჯების განაწილება
A7 მყიდველის შეტყობინება
A8 მიწოდების მტკიცებულება სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექტრონული კავშირის სხვა ექვივალენტური შეტყობინებები
A9 შემოწმება, შეფუთვა, მარკირება
A10 სხვა ვალდებულებები

მყიდველი ვალდებულია

B1 ფასის გადახდა
B2 ლიცენზიები ნებართვები და სხვა ფორმალობები
B3 გადაზიდვის ხელშეკრულება და დაზღვევა
B4 მიწოდების მიღება
B5 რისკების გადასვლა
B6 ხარჯების განაწილება
B7 გამყიდველის შეტყობინება
B8 მიწოდების მტკიცებულება, სატრანსპორტო დოკუმენტები ან ელექტრონული კავშირის სხვა ექვივალენტური შეტყობინებები
B9 საქონლის ინსპექტირება
B10 სხვა ვალდებულებები.

სავაჭრო ჩვეულებები

უნიფიცირებული დოკუმენტები

ჩვეულებები, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს ხელშეკრულების მხარეებს შორის, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყალიბდებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვეულებების როლი სავაჭრო ურთიერთობების პრაქტიკაში. ასეთი პრაქტიკის სამართლებრივი საფუძველია მრავალი ქვეყნის სამართლებრივ სისტემებში აღიარებული მხარეთა ნების ავტონომიურობის პრინციპი. ამ პრინციპმა თავისი ასახვა ჰპოვა, როგორც სამართლის კოლიზიურ ნორმებში (в коллизионных нормах) (საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ მხარეთა შესაძლებლობებს, შეარჩიონ მათი ურთიერთობების მარეგულირებელი სამართალი), ისე სამოქალაქო სავაჭრო სამართლის ნორმებში. იგულისხმება მხარეთა უფლება და შესაძლებლობა, განსაზღვრონ თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები და პროცესის იურისდიქციის სფერო – არბიტრაჟის დავის განხილვის პროცედურის არჩევა.

ჩვეულებების ფართო გავრცელებას სახელშეკრულებო ურთიერთობებში საფუძვლად უდევს ორი ძირითადი გარემოება:

მხარეთა ნება. მხარეებს შეუძლიათ გადაწყვიტონ, რომელი ჩვეულება მიიჩნევა მათთვის სავალდებულოდ, რომელი უნდა შეიტანონ ხელშეკრულებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელშეკრულებო ურთიერთობებში ჩვეულებების გამოყენების მთავარი საფუძველია მხარის ნება.

ჩვეულებების აღიარება და გათვალისწინება სახელმწიფო სასამართლოებისა და არბიტრაჟების მიერ – როდესაც მხარეებს ასეთი ჩვეულება არ მიუთითებიათ ხელშეკრულებაში, მაგრამ სასამართლომ და არბიტრაჟმა აღიარეს იგი და გამოიყენეს, როგორც ხელშეკრულების მხარეთა შორის ურთიერთობათა რეგულირების წყარო. ბევრი სამართლებრივი სისტემა შეიცავს ნორმას, რომელიც ითვალისწინებს ჩვეულებების გამოყენებას.

საერთაშორისო სახელშეკრულებო ურთიერთობებში სერიოზული ყურადღება ეთმობა სავაჭრო ჩვეულებების უნიფიკაციას. ასეთი ძალისხმევის შედეგებია: *ინკოტერმსი, ტიპიური ხელშეკრულებები, ხელშეკრულების საერთო პირობები, სანიმუშო ხელშეკრულება და*

სხვა, რომლებიც მაქსიმალურად ითვალისწინებენ ორივე მხარის – როგორც მყიდველის, ისე გამყიდველთა ინტერესებს.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი უნიფიცირებული დოკუმენტები გარკვეულწილად ზღუდავენ მხარის ნებას ხელშეკრულების პირობების შერჩევაში, სწორედ მხარეთა ნების თავისუფალი გამოხატვა რჩება ხელშეკრულების დადების ერთადერთ საფუძვლად.

ტიპიური ხელშეკრულება

როგორც წესი, ტიპიურ კონტრაქტებს ამუშავებენ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების მონაწილე მსხვილი მონაწილეები, რომლებიც ვაჭრობენ ისეთი სტანდარტული საბირჟო საქონლით, როგორებიცაა: ნავთობი, ხორბალი და ზოგიერთი სხვა. ასეთი ხელშეკრულებები წარმოდგენილია სტანდარტული ფორმულარის სახით, რომელიც მოიცავს ხელშეკრულების ყველა ძირითად პირობას, მის შესავსებად საკმარისია ჩაიწეროს მხარეების რეკვიზიტები, საქონლის რაოდენობა, დასახელება და ფასი.

მიწოდების საერთო პირობები

ასეთი დოკუმენტი მოიცავს ხელშეკრულების ყველა ძირითად პირობას. მხარეების თანხმობის შემთხვევაში, იგი ხდება ხელშეკრულების განუყოფელი შემადგენელი ნაწილი, რის შესახებაც კეთდება შესაბამისი მითითება ხელშეკრულებაში. ასეთი მიდგომის შემთხვევაში, არ არის აუცილებელი მორიგ ხელშეკრულებაში მრავალგვერდიანი პირობის შეტანა.

სანიმუშო ხელშეკრულება

ასეთი ხელშეკრულებები, ერთი შეხედვით, წააგავს სტანდარტულ ხელშეკრულებას, იმ განსხვავებით, რომ იგი იძლევა მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის უფლებას გარიგების ცალკეული პირობისა და მხარეთა ნების გათვალისწინებით.

ასეთი ხელშეკრულების ტიპიური მაგალითია შრომის ხელშეკრულება, რომელიც იდება დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის მოქმედი შრომის კანონმდებლობის ბაზაზე. მიუხედავად ასეთი ხელშეკრულების საკმაოდ მკაცრი ფინანსური სტრუქტურისა, იგი განსხვავებული იქნება ერთის მხრივ, კონკრეტული საწარმოს ორ-

განიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, მასშტაბების, ეკონომიკური გარემოს თავისებურებებისა და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით. მეორეს მხრივ, დაქირავებულის პროფესიის, კვალიფიკაციის, ავტორიტეტის, რიგი სხვა მაჩვენებლების გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, სანიმუშო ხელშეკრულება, ხელშეკრულების თავისებური მაკეტი, ამარტივებს ხელშეკრულების გაფორმებას, ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელს ხდის ამის გაკეთებას პროფესიონალი იურისტის დახმარების გარეშე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.

ხელშეკრულების საფინანსო და სავალუტო პირობები

საფინანსო და სავალუტო პირობები წარმოადგენს ნებისმიერი ხელშეკრულების უმნიშვნელოვანეს ნაწილს. მისი მიზანია უზრუნველყოს სავაჭრო ოპერაციების მაქსიმალური ეფექტურობა.

ამ პირობების სათანადოდ განსაზღვრასა და შესრულებაზე სრულად არის დამოკიდებული მხარეებს შორის ანგარიშსწორების ვადებისა და წესების დაცვა, სავალუტო კურსების ცვალებადობასთან დაკავშირებული დანაკარგების თავიდან აცილება, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მინიმუმამდე დაყვანა.

განსაკუთრებით მაღალია სავალუტო-საფინანსო პირობების მნიშვნელობა გრძელვადიანი სამეურნეო ხელშეკრულებებისათვის, რაც აიხსნება სავალუტო კურსების ძნელად პროგნოზირებადი ცვალებადობით.

ხელშეკრულებების სავალუტო პირობები გულისხმობს:

1. გარიგების ვალუტა და სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრის წესს;

2. ანგარიშსწორების ვალუტას;

3. გადაანგარიშების წესს, როდესაც ხელშეკრულების ვალუტა და ანგარიშსწორების ვალუტა განსხვავებულია;

4. სხვადასხვა სახის მეთოდებს, რომელთა მიზანია სავალუტო კურსის ცვალებადობასთან დაკავშირებული დანაკარგების თავიდან აცილება.

ხელშეკრულების ფინანსური პირობები გულისხმობს:

1. ანგარიშსწორების სახეებსა და პირობების:

2. ანგარიშსწორების პირობებს;

3. დროული ანგარიშსწორების უზრუნველყოფის პირობებს;

4. ანგარიშსწორების საშუალებებს.

ხელშეკრულების საფინანსო და სავალუტო პირობები თანხმდება უშუალოდ მხარეებს შორის, რიგი ობიექტური და სუბიექტური პირობების გათვალისწინებით. მათ შორის:

- *რეგიონალური სავალუტო სისტემისა და ხელშეკრულებაში დაფიქსირებული საანგარიშსწორებო ვალუტის მდგომარეობა და უახლოესი პროგნოზები.*
- *მხარეების, იმპორტიორისა და ექსპორტიორის მდგომარეობა ბაზარზე. ერთი პირის ძლიერი მდგომარეობა უპირატესობას ანიჭებს მას, მოითხოვოს მისთვის უფრო მისაღები ვალუტის მიღება საანგარიშსწორებო ვალუტად;*
- *ბაზარზე დამკვიდრებული, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის რეალიზაციის წესები და ჩვეულებები;*
- *საბირჟო საქონელი (ნავთობი, ხორბალი, ხე-ტყე, ლითონი და სხვა), როგორც წესი, იყიდება სტანდარტული პირობებით.*

ხელშეკრულების დადებისას საფინანსო-სავალუტო პირობების ხასიათზე გავლენას ახდენს რიგი სხვა ფაქტორები: მხარეების ფინანსური მდგომარეობა, საქმიანი ავტორიტეტი, მხარეებს შორის ჩამოყალიბებული პრაქტიკა და სხვა.

ხელშეკრულების სავალუტო პირობები

საქართველოში ანგარიშსწორება დაიშვება მხოლოდ ეროვნული ვალუტით. კანონმდებლობა არ კრძალავს უცხო ქვეყნის კონტრაგენტებთან უცხოური ვალუტით ანგარიშსწორებას და ხელშეკრულებაში შესაბამისი პირობის შეტანას.

თანამედროვე ეკონომიკის არამდგრადობა განაპირობებს რიგი ქვეყნების ვალუტის ცვალებადობას და ასეთი ცვალებადობის დინამიკის არაპროგნოზირებადობას. მიუხედავად წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ვალუტების გარკვეული სტაბილიზაციისა, არც ამ ქვეყნების ვალუტაა დაზღვეული ცვალებადობისაგან.

პარტნიორი ქვეყნების ვალუტის კურსის ცვალებადობა სერიოზულ გავლენას ახდენს როგორც ქართული ფირმების საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების ეფექტურობაზე, ისე მათ მიერ განხორციელებული ვალუტის გაცვლის ოპერაციებზე, როდესაც მათ

ეხდება ერთი უცხოური ვალუტის გადაცვლა სხვა ვალუტაზე.

როგორც წესი, საერთაშორისო სავაჭრო გარიგებებში საანგარიშსწორებო ვალუტად ფიქსირდება მყარი, თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელშეკრულების სავალუტო პირობები თანხმდება მხარეებს შორის. ამდენად, ხელშეკრულების მხარეები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოემზადონ ასეთი მოლაპარაკებისათვის. მხოლოდ ასეთი მომზადების შედეგად შეიძლება მხარემ მიიღოს მისთვის ხელსაყრელი, ან, სულ ცოტა, მისაღები სავალუტო პირობები დადებულ ხელშეკრულებაში.

საქონლის ფასის ვალუტა. მხარეების შეთანხმებით, ხელშეკრულებაში საქონლის (მომსახურების) ვალუტა შეიძლება დაფიქსირდეს, როგორც ნებისმიერი მხარის, ისე, მესამე ქვეყნის ვალუტაში. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად ითვლება ხელშეკრულების ვალუტად, კონვერტირებადი ვალუტის დაფიქსირება.

ჩამოყალიბებული სავაჭრო პრაქტიკის თანახმად, საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტებში, რიგი საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში ხელშეკრულების ვალუტა ფიქსირდება განსაზღვრულ ვალუტაში. მაგალითად, *ნავთობზე, შაქარზე, ძვირფას ქვებზე – აშშ დოლარებში; ხე-ტყეზე, კაკაოზე, მატყლზე, ყავაზე – ფრანგულ ფუნტებში და სხვა.*

როგორც წესი, საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებებში დაფიქსირებული საქონლის ფასის ვალუტა და ანგარიშსწორების ვალუტა ემთხვევა ერთმანეთს. ამ მიზნებისათვის განსხვავებული ვალუტის გამოყენების შემთხვევაში, ხელშეკრულებაში უნდა მიუთითოს ასეთი ვალუტების საანგარიშსწორებო ვალუტაში გადაანგარიშების წესი და კურსი. მაგალითად, ანგარიშსწორება უნდა მოხდეს (საანგარიშსწორებო ვალუტის დასახელება) ანგარიშსწორების თარიღისათვის მოქმედი (საქონლის ფასის ვალუტა) ან ამ პერიოდის საშუალო კურსით. სავალუტო კურსების ცვალებადობა გავლენას ახდენს როგორც იმპორტიორის, ისე ექსპორტიორის ფინანსურ შედეგებზე. ეს ხდება პერიოდში, როდესაც სავალუტო კურსი იცვლება ხელშეკრულების დადებისა და ანგარიშსწორების თარიღებს შორის.

დამცავი მითითებები – რომელიც ითვალისწინებს სახელშეკ-

რულებო თანხის გადაანგარიშებას მისი კურსის ცვალებადობის შემთხვევაში, სხვა შერჩეულ ვალუტაში. ემსახურებიან პარტნიორის დაცვას ასეთი ცვალებადობის შედეგად გამოწვეული ზარალისაგან.

სავაჭრო პრაქტიკაში გამოიყენება რამდენიმე სახის დაცვითი მითითება.

სავალუტო მითითება – გულისხმობს საანგარიშსწორებო ვალუტის „მიბმას" რომელიმე უფრო მყარ ვალუტასთან. მაგალითად, ანგარიშსწორება მოხდება დოლარებში, ექვივალენტური ეროვნული ვალუტით, ანგარიშსწორების მომენტისათვის მოქმედი ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით.

სავალუტო მითითება შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე ირიბი.

პირდაპირი სავალუტო მითითების პირობებში – ფასისა და ანგარიშსწორების ვალუტა ემთხვევა ერთმანეთს (მაგალითად, პოლონური ზლოტი), მაგრამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში, ამ ვალუტის კურსი ფიქსირდება უფრო მყარი ვალუტის კურსით. თუ ანგარიშსწორების მომენტისათვის ფასისა და ანგარიშსწორების ვალუტების კურსი შეიცვლება, შესაბამისად, შეიცვლება კონტრაქტის საანგარიშგებო თანხაც.

ირიბი სავალუტო მითითება – ასეთი მითითება უფრო ხშირად გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში, საქონლის ფასი და ხელშეკრულების ღირებულება ფიქსირდება ერთ რომელიმე მყარ ვალუტაში; ანგარიშსწორება კი ხორციელდება მეორე, როგორც წესი, ეროვნულ ვალუტაში.

მულტივალუტიანი მითითება – გულისხმობს რომელიმე ერთ ვალუტაში გამოხატული ფასისა და ხელშეკრულების მთლიანი თანხის გადაანგარიშებას, რამდენიმე წინასწარ შეთანხმებული ვალუტის საშუალო არითმეტიკული კურსით შეცვლისას, ხელშეკრულებაში აღნიშნული საქონლის ფასთან მიმართებით.

მითითება ფასების გადასინჯვის უფლებით (მცოცავი ფასები) – ასეთი სავალუტო მითითება საკმაოდ გავრცელებულია საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში და ითვალისწინებს ხელშეკრულებით გაითვალისწინებული ფასების ცვალებადობას კრედიტით გაყიდვის შემთხვევაში, ბაზარზე ფასების ცვალებადობასა და წარმოებაზე გაწეული ხარჯების ცვალებადობის შესაბამისად. როგორც

წესი, ხელშეკრულების ეს პირობა ძალაში შედის მომენტიდან, როდესაც ფასის ცვალებადობა აჭარბებს მხარეებს შორის წინაწარ განსაზღვრულ სიდიდეს. გაცვლითი-ბარტერული ოპერაციების პირობები ითვალისწინებს ექსპორტიორის მიერ ექსპორტირებული თანხის ექვივალენტური თანხის საქონლის შეძენას იმპორტიორისაგან.

საქონელგაცვლის ამ ფორმამ განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში რეფორმების პირველ ეტაპზე, რაც გამოწვეული იყო საფინანსო-სავალუტო სისტემის არამდგრადობით.

გაცვლის ექვივალენტურობის შესანარჩუნებლად, ასეთი ოპერაციების მხარეები საქონლის ღირებულებას განსაზღვრავენ მსოფლიო ფასებში.

ხელშეკრულების ფინანსური პირობები

ხელშეკრულების ფინანსური პირობების მიზანია, უზრუნველყოს ამონაგების დროული მიღება და ანგარიშსწორების მაღალი საიმედოობა ხელშერულების საფუძველზე განხორციელებული სამეურნეო ოპერაციებიდან.

ხელშეკრულების ფინანსური პირობები, მათი ხასიათი და მოცულობა დამოკიდებულია არაერთ ფაქტორზე, მათ შორის, პირველ რიგში, მსოფლიო ბაზარზე ანალოგიური საქონლით ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ პრაქტიკაზე და ხელშეკრულების მხარეებს შორის არსებულ ურთიერთობებზე.

ხელშეკრულების ფინანსური პირობები, როგორც წესი, მოიცავენ შემდეგ საკითხებს:

1. ანგარიშსწორების სახეები და პირობები;

2. ანგარიშსწორების გამოყენებული ფორმები:

3. მხარეთა ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ფორმები.

ანგარიშსწორების ფორმას მხარეები ათანხმებენ მოლაპარაკების პროცესში, რაც ცალსახად აღინიშნება მათ შორის დადებულ ხელშეკრულებაში. სწორად დადებული ხელშეკრულება, მასში დაფიქსირებული ანგარიშსწორების პირობები, უნდა უზრუნველყოფდეს ექსპორტიორის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის სრულად და დროულად მიღების მაღალ საიმედოობას.

ანგარიშსწორების სახეები და პირობები

სავაჭრო პრაქტიკაში გამოყენება ანგარიშსწორების სამი ფორმა (პირობა):

— ნაღდი ანგარიშსწორება;

— ანგარიშსწორება კრედიტით;

— შერეული ანგარიშსწორება, რომელიც, როგორც წესი, მოიცავს ნაღდ ანგარიშსწორებას, ისე მყიდველის დაკრედიტებას.

ნაღდი ანგარიშსწორება. ანგარიშსწორების ეს ფორმა გულისხმობს თანხის გადახდას მიწოდების, საქონელზე საკუთრების უფლებისა და რისკების გადასვლის მომენტში, როდესაც მყიდველი იღებს საქონელზე საკუთრების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად **„ნაღდი ანგარიშსწორებისა"**, ანგარიშსწორება ხორციელდება გადარიცხვით, ანუ უნაღდო ანგარიშსწორებით. კუპიურებით ანგარიშსწორება, როგორც წესი, ხორციელდება გამონაკლის შემთხვევებში.

პრაქტიკაში ნაღდი ანგარიშსწორება ხორციელდება რამდენიმე ფორმით (გადარიცხვა, აკრედიტივი, ინკასოს წესით და სხვა). საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში მხარეები ხშირად დიდი მანძილებით არიან ერთმანეთისაგან დაშორებული, შესაბამისად, ერთი მხარის მიერ გადახდილი თანხა, გარკვეული დროის გაელის შემდეგ აღწევს თანხის მიმღებამდე, რაც „ნაღდ ანგარიშსწორებას" გარკვეულწილად პირობით ხასიათს აძლევს.

ნაღდი ანგარიშსწორება მყიდველის მიერ შეიძლება განხორციელდეს:

— ხელშეკრულებით გათვალისწინებული სასაქონლო და სხვა დოკუმენტების წარმოდგენით ექსპორტიორის მომსახურე ბანკში, მისივე ქვეყანაში;

— მყიდველის მიერ გამყიდველისაგან ინფორმაციის მიღების მომენტში, საქონლის მიწოდებისათვის მზადყოფნის შესახებ;

— საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტში;

— სასაქონლო და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტების წარდგენით ბანკში, იმპორტიორის ქვეყანაში.

ექსპორტიორისათვის ყველაზე სასურველია ანგარიშსწორება ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე.

იმპორტიორისათვის საუკეთესო პირობაა, ანგარიშსწორება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტში.

ნათელია, რომ ანგარიშსწორების ორივე პირობა, ცალსახად მისაღებია მხოლოდ ერთი მხარისათვის.

პირველ შემთხვევაში, იზრდება იმის ალბათობა, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში ანგარიშსწორების შემდეგ გაჩნდეს პრობლემები გამყიდველის მიერ საქონლის მიწოდებაში;

მეორე შემთხვევაში, იზრდება იმის ალბათობა, რომ მყიდველს გაუჩნდეს პრობლემები ანგარიშსწორებაში, საქონლის მიწოდებისა და შესაბამისი მიღებ-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ.

გამყიდველის ანგარიშსწორების საუკეთესო პირობაა – წინა-წარი გადახდა.

მყიდველისათვის – საქონლის მიღებისა და შესაბამისი მიღებ-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ.

ანგარიშსწორება კრედიტით. კრედიტით ანგარიშსწორება გულისხმობს ანგარიშსწორებას საქონლისა და საქონელზე საკუთრების უფლების მიღებამდე ან ასეთის მიღების შემდეგ.

პირველ შემთხვევაში კრედიტორად ითვლება მყიდველი. მას ფული გადახდილი აქვს, მაგრამ, საქონელი და შესაბამისი დოკუმენტები მიღებული არა აქვს.

მეორე შემთხვევაში, კრედიტორია გამყიდველი. მას საქონელი და შესაბამისი დოკუმენტები გადაცემული აქვს მყიდველისათვის, მაგრამ ფული არა აქვს მიღებული.

საკრედიტო ოპერაციები ძალზე გავრცელებულია სავაჭრო, მათ შორის, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. პრაქტიკულად შეუძლებელია სერიოზული სამეურნეო ოპერაციის განხორციელება კრედიტის ამა თუ იმ ფორმის გამოყენების გარეშე.

არსებობს სამეურნეო ურთიერთობებში გამოყენებული კრედიტების რამდენიმე კლასიფიკაცია:

დანიშნულების მიხედვით:

- **საწარმოო** – საწარმოო დანიშნულების აქტივების შესაძენად;
- **არასაწარმოო** – კვების, საყოფაცხოვრებო, პირველადი მოხმარების საქონლის შესაძენად.

სახეების მიხედვით:

- **სასაქონლო** – როგორც წესი, ექსპორტიორები აძლევენ იმპორტიორებს;
- **სავალუტო** – როგორც წესი, იძლევიან ბანკები, თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით.

უზრუნველყოფის მიხედვით:

- **უზრუნველყოფილი** – გაიცემა კონკრეტული ფასეულობებით უზრუნველყოფის პირობით;
- **არაუზრუნველყოფილი** – ანუ საბლანკო კრედიტი, რომელიც გულისხმობს მოვალის ვალდებულებას, დაფარის კრედიტი შეთანხმებულ ვადაში.

ვადების მიხედვით:

- **მოკლევადიანი** – 1 წლამდე ვადით;
- **საშუალოვადიანი** – 1-5 წლამდე ვადით;
- **გრძელვადიანი** – 5 წელზე მეტი ვადით.

კრედიტის ხასიათის მიხედვით:

- **კომერციული;**
- **საბანკო;**

საბროკერო;

სამთავრობო;

საერთაშორისო საფინანსო – სავალუტო ორგანიზაციის.

კრედიტის პირობების შეფასებისას, უნდა გაანალიზდეს შემდეგი მაჩვენებლები:

- **ვადები** – დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს კრედიტის გამოყენება;
- **დაფარვის ვადა** – დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ხდება კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვა;
- **შეღავათიანი ვადა** – კრედიტით სარგებლობის ვადის ამოწურვიდან ძირითადი თანხის დაფარვის მომენტამდე. შეღავათიანი პერიოდის განმავლობაში ხდება მხოლოდ კრედიტზე პროცენტის გადახდა;
- **სრული ვადა** – დროის მონაკვეთი კრედიტით სარგებლობის დაწყებიდან, მის სრულ დაფარვამდე;
- **საშუალო ვადა** – დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც კრედიტის მიმღები სარგებლობს კრედიტის სრული თანხით, ეს ვადა გამოიყენება აღებული კრედიტის ღირებულების განსაზღვრისათვის.

ანგარიშსწორების შერეული სახეები

ანგარიშსწორების შერეული, კომბინირებული სახეები ფართოდ გამოიყენება სავაჭრო პრაქტიკაში, ძირითადად მანქანებისა და მოწყობილობების ექსპორტისა და იმპორტის ოპერაციებში. ამ კა-

ტეგორიის ძირადღირებული აქტივების გაყიდვისას, მყიდველი წინასწარ უხდის გამყიდველს ხელშეკრულებით თანხის ნაწილს, დანარჩენ თანხაზე ფორმდება კრედიტი.

მსხვილი სამშენებლო პროექტების რეალიზაციისას, ხელშეკრულებები შესაძლოა ითვალისწინებდეს კრედიტის სხვადასხვა ფორმას: პროექტის ნაწილი შესაძლოა დაფინანსდეს კომერციული კრედიტით, ნაწილი უფრო იაფი ბანკის კრედიტით, დანარჩენი – რომელიმე საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო კომპანიის ან სამთავრობო კრედიტით. ფინანსირების ასეთი გზა საკმაოდ ეფექტურია ეკონომიკურად არც ისე ძლიერი ქვეყნებისათვის.

სახელშეკრულებო პოლიტიკა და გადასახადები

მიმდინარე საგადასახადო დაგეგმვა მოიცავს სამეურნეო სუბიექტის მიერ ცალკეული გადასახადების დაგეგმვას, ასევე სააღრიცხვო და სახელშეკრულებო პოლიტიკის შემუშავებას.

ცალკეულ შემთხვევებში, სამეურნეო სუბიექტს შეუძლია ისე გამოიყენოს მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის, საგადასახადო კოდექსი, რომ მიაღწიოს მისთვის ხელსაყრელ საგადასახადო დაბეგვრის რეჟიმს.

სამეურნეო ხელშეკრულების დადებისა და შეცვლისას აუცილებელია კომპლექსურად შეფასდეს ყველა მისი საგადასახადო შედეგი და გავლენა ცალკეულ გადასახადზე, გამომდინარე სამეურნეო სუბიექტის ინტერესებიდან.

სახელშეკრულებო პოლიტიკა გულისხმობს პირის მიერ ხელშეკრულების ტიპის, პარტნიორის, ხელშეკრულების პირობების შერჩევას კონსენსუსის საფუძველზე, დასახული ფინანსური შედეგების ან აქტივების სასურველი სტრუქტურის მისაღებად.

სახელშეკრულებო პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში, ყოველ კონკრეტულ ხელშეკრულებას უნდა ჩაუტარდეს სამართლებრივ-ეკონომიკური ექსპერტიზა, რომელიც მოიცავს:

- *სამოქალაქო ექსპერტიზას – ხელშეკრულების პირობების შეფასებას სამოქალაქო კოდექსის თვალსაზრისით;*
- *საბუღალტრო ექსპერტიზას – ხელშეკრულების დადების, რეალიზაციისა და შედეგების ბუღალტრული გაფორმების შესაძლო ვარიანტებს;*
- *საგადასახადო ექსპერტიზას – ხელშეკრულების განხილვას საგა-*

დასახადო ვალდებულების წარმოქმნის მიზნით, მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ამ პროცესში კომპლექსურად უნდა შეფასდეს დადებული ხელშეკრულების ყველა შესაძლო საგადასახადო შედეგი, ცალკეული გადასახადის მიხედვით.

ყურადღებით უნდა გაანალიზდეს ხელშეკრულება იურიდიულ და ფიზიკურ პირს შორის, ე.წ. სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. უნდა დაზუსტდეს ხელშეკრულების თანხა თავისთავისწინებს თუ არა დაბეგვრას გადასახადის წყაროსთან, მათ შორის, სოციალური გადასახადით.

- **ფინანსურ ექსპერტიზას** – იგი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეცვლის მაჩვენებლებს განსაზღვრავს, რომლებიც ივარაუდება სამეურნეო ხელშეკრულების დადების შედეგად (მათ შორის, ისეთი მაჩვენებლების შეცვლა, როგორებიცაა: ფინანსური დამოუკიდებლობა, რენტაბელობა და კრედიტუნარიანობა).

ხელშეკრულებას სამართლებრივ-ეკონომიკური ექსპერტიზის ძირითადი და საბოლოო მიზანია ისეთი ხელშეკრულების დადება, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს განკარგულებაში არსებული რესურსების ეფექტურ გამოყენებას და საგადასახადო ვალდებულებების ოპტიმიზაციას.

ამდენად, ერთი და იგივე სამეურნეო ოპერაციები, ანუ მსგავსი მატერიალური და ფინანსური ნაკადები, იურიდიულად სრულიად სხვადასხვაგვარად შეიძლება გაფორმდეს, რაც არსებითად შეცვლის მათ შედეგებს, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის, ისე საგადასახადო მიზნებისათვის და საწარმოს ფინანსური მდგომარეობისათვის მთლიანად.

სამეურნეო სუბიექტის სახელშეკრულებო პოლიტიკის საგადასახადო ასპექტები კარგად ჩანს არჩევანის გაკეთებისას: ყიდვა-გაყიდვისა და კომისიის (კონსიგნაციის) ხელშეკრულებებს შორის; ყიდვისა და იჯარის, ყიდვისა და ლიზინგის ხელშეკრულებებს შორის.

ხელშეკრულების სახის შერჩევა საგადასახადო ვალდებულებების ოპტიმიზაციისათვის, ზედმიწევნით ინდივიდუალურია ყოველ კონკრეტულ სიტუაციისათვის და მოითხოვს დეტალურ ანალიზს, როგორც სამართლებრივი რეგულირებისა და დაბეგვრის, ისე საწარმოს საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე და საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე მისი გავლენის დადგენის მიზნით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელშეკრულებო პოლიტიკის ეფექტური გამოყენება საგადასახადო ვალდებულებების ოპტიმიზაციისათვის, მნიშვნელოვანწილადაა არის დამოკიდებული კონკრეტული საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ხასიათსა და თავისებურებებზე.

ხელშეკრულების პროექტის მომზადების საერთო მეთოდიკა

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: *როგორი უნდა იყოს „საიმედო" ხელშეკრულება?*

ამგვარი ხელშეკრულება აუცილებლად პასუხობს ჩვენს მიზნებს, არ არღვევს მოქმედ კანონმდებლობას და ჩვენი ინტერესები საიმედოდ არის დაცული სამართლებრივი თვალსაზრისით, ხოლო ჩვენი კონტრაჰენტის პასუხისმგებლობა მკაცრად რეგლამენტირებულია მისი ვალდებულებებით. დასასრულ, იგი არ შეიცავს ეგრეთწოდებულ „იურიდიულ წყალქვეშა ქვებს" და „იურიდიულ ნაღმებს", რაც სერიოზულ საშიშროებას უქმნის მთლიანად გარიგების შესრულებას და შესაძლოა, ნულამდე დაიყვანოს ნებისმიერი ტექნიკურად და ეკონომიკურად ყოველმხრივ გააზრებული და დამუშავებული პროექტი.

პარტნიორის კომპლექსური შეფასება

როგორც წესი, ნებისმიერ გარიგებას და შესაბამისად, ხელშეკრულებას, წინ უძღვის სერიოზული სამუშაო სათანადო პარტნიორის მოსაძიებლად, ხელშეკრულების ძირითადი პარამეტრების შესათანხმებლად და სხვა. ამდენად, მეწარმისათვის, რომელიც აპირებს მომავალი ხელშეკრულების კონკრეტული პირობების შეთანხმებას, საინტერესო და სასარგებლო იქნება ქვემოთ მოტანილი რეკომენდაციები.

მოცემული თავი შეიცავს ინფორმაციას პარტნიორის კომპლექსური შეფასების შესახებ, თუმცა, არ წარმოადგენს ასეთი პროცედურის ჩატარების ამომწურავ სახელმძღვანელოს. მიუხედავად ამისა, შემოთავაზებული რეკომენდაციები კარგ დახმარებას გაგიწევთ რეალური და პოტენციური საქმიანი პარტნიორის კომპლექსური შეფასების მომზადებასა და ჩატარებაში.

რა არის კომპლექსური შეფასება?

ორ კომპანიას (პარტნიორს) შორის საქმიანი ურთიერთობების დამყარებისას ყოველი მათგანი ცდილობს, ასეთი ურთიერთობა თანასწორ პირობებში ჩამოყალიბდეს და განვითარდეს, რათა თა-

ვიდან იქნეს აცილებული კონფლიქტები და გაუგებრობები, რასაც შეუძლია დაარღვიოს საქმიანობის ნორმალური მსვლელობა. ამასთან, როგორც წესი, კონფლიქტების უმრავლესობა წარმოიშობა პარტნიორების მიერ ერთმანეთის მიზნების, მისწრაფებებისა და შესაძლებლობების არასწორი გაგების შედეგად.

ამდენად, ყოველი ხელმძღვანელის ამოცანაა, დროულად და სრულად შეაგროვოს ინფორმაცია მეორე მხარის შესახებ, მათ შორის ურთიერთობის დაწყებამდე ან ამ ურთიერთობების ახალ ფაზაში გადასვლამდე, რის შემდეგაც მნიშვნელოვნად მცირდება მხარეების მიერ სერიოზული დანაკარგებისა და გარიგების ჩავარდნის რისკი.

ინფორმაციის ასეთი შეგროვების პროცედურას ეწოდება **„კომპლექსური შეფასება“**, რაც გულისხმობს **„მთელი გულისხმიერების გამოყენებით“** პარტნიორის შესწავლას იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული იურიდიული და საქმიანი პრობლემები.

ოპონენტის კომპლექსური შეფასების სათანადოდ მომზადებული და გულისხმიერად ჩატარებული სამუშაოები საშუალებას აძლევს საწარმოს ადმინისტრაციას, თავიდან აიცილოს დროისა და სახსრების არამწარმოებლური ხარჯვა და უზრუნველყოფს დადებითი შედეგების მიღებას ორმხრივი თანამშრომლობისაგან.

კონფლიქტების თავიდან აცილება

ბევრად უფრო ძნელია კონფლიქტის შედეგად გამოწვეული ზარალის ლიკვიდაცია, ვიდრე კონფლიქტისთვის გვერდის ავლა.

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლო გართულების სრულად აცილება პრაქტიკულად შეუძლებელია, საწარმოს ადმინისტრაციის პრიორიტეტული ამოცანა უნდა იყოს სრული და საიმედო ინფორმაციის შეგროვება იმ მიზნით, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი გაუგებრობის წარმოქმნის შესაძლებლობა.

კომპლექსურ შეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირობებში, როდესაც მხარეები არ იცნობენ ერთმანეთის პრაქტიკას საქმიანი ურთიერთობების წარმართვის სფეროში, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ისინი ლაპარაკობენ განსხვავებულ ენებზე. როდესაც ორი კომპანია ცდილობს აქტიურად ითანამშრომლოს ერთმანეთთან, არ არის გამორიცხული, რომ ერთ-ერთი პარტნიო-

რი აღმოჩნდეს შედარებით ახალბედა, რომელიც ადეკვატურად ვერ შეაფასებს თანამშრომლობის ასპექტებს. შეთანხმების პროცესში განხილულ კონცეფციებს, მიზნებს, ტერმინებსა და განზრახულობებს. ამდენად, კომპლექსური შეფასების პროცედურას პირველივე ნაბიჯებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მხარეებს შორის ურთიერთობების მოწესრიგებისათვის.

რისთვის გვჭირდება კომპლექსური შეფასება? ეს კითხვა შეიძლება დაისვას უფრო კონკრეტულად - *რა შეიძლება დაკარგოს კომპანიამ, თუ საქმე მთლად კარგად ვერ წავა?* დასაკარგი კი ბევრია: ფული, საკუთრება, ავტორიტეტი, სამუშაო, კონფიდენციალურობა და ა.შ.

როგორ აღიქვამენ გარიგების მხარეები კომპლექსურ შეფასებას?

როგორც წესი, კომპანია, რომელიც აპირებს ინვესტიციის ჩადებას რომელიმე პროექტში, უწინარესად ახორციელებს პარტნიორი კომპანიის კომპლექსურ შეფასებას. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში უმჯობესია ასეთი სამუშაო ჩაატაროს ორივე კომპანიამ.

კომპანიას, რომლის კომპლექსური შეფასებაც ხდება (ასეთ კომპანიას ხშირად უწოდებენ **„შეფასების ობიექტს“**), შესაძლოა მოეჩვენოს, რომ კომპლექსური შეფასება სამრეწველო შპიონაჟს უფრო წააგავს, ვიდრე კანონიერ პროცედურას.

ნებისმიერი კომპანიისათვის არ არის ადვილი, გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ბიზნესის მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივებზე, ასევე ნება დართოს მეორე მხარეს ისეთი მნიშვნელოვანი სამსახურების დასათვალიერებლად, როგორებიცაა: **ძირითადი წარმოება, მომარაგებისა და გასაღების სამსახურები, ბუღალტერია** და სხვა. მიუხედავად ამისა, კომპლექსური შეფასების პროცესი გაგებული უნდა იქნეს, როგორც გარკვეული კანონიერი, კომერციული გარიგებისა და საქმიანი პარტნიორობის განუყოფელი ნაწილი.

კომპლექსური შეფასების საფუძველი არ არის ენდობლობა ან ეჭვი. მისი მიზანია ყურადღების კონცენტრირება **„შეფასების ობიექტის“** იმ მიმდინარე პრობლემებზე, რომლებიც შესაძლოა მოუვარდეს პოტენციური ინვესტორის დახმარებით.

რა შემთხვევებშია აუცილებელი კომპლექსური შეფასება

პარტნიორ კომპანიასთან საქმიანი ურთიერთობების დამყარებამდე ყოველთვის მიზანშეწონილია ჩატარდეს ამ კომპანიის კომპლექსური შეფასება. რიგ ქვეყნებში არსებული საქმიანი ურთიერთობების პრაქტიკა ითვალისწინებს კომპლექსური შეფასების ჩატარებას კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი მოცულობით.

არსებობს რამდენიმე ორგანიზაცია, რომლებსაც შეუძლიათ მოსთხოვონ კომპანიას, პარტნიორის კომპლექსური შეფასება მასთან საქმიანი ურთიერთობის დაწყებამდე. მათ შორის:

საქმიანი პარტნიორები. ხელშეკრულება საქმიან პარტნიორებთან შესაძლოა შეიცავდეს პირობას, რომ კომპანიამ გარკვეული მოცულობით შეასრულოს მისი პარტნიორების - პირველ რიგში, ნედლეულისა და მასალების მიმწოდებლების, სტრატეგიული გადამზიდველების კომპლექსური შეფასება. ხშირად მწარმოებელი ფირმის კლიენტებს სურთ დარწმუნებული იყვნენ, რომ მწარმოებელს საიმედო ურთიერთობები აქვს მის კონტრაგენტებთან და არ ელის სერიოზული პრობლემები ნედლეულისა და მასალების მიწოდების მოულოდნელი შეწყვეტის პირობებში.

აქციონერები. სააქციო საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტაცია შესაძლოა ითვალისწინებდეს სააქციო საზოგადოების ვალდებულებას, მოითხოვოს და შეასრულოს მისი ნებისმიერი კონტრაგენტის კომპლექსური შეფასება. ეს იცავს აქციონერებს დანაკარგებისაგან მმართველობითი შეცდომებისა და დანაშაულებრივი ქმედების შეთხვევებში.

ბანკები და კრედიტორები. ბანკები და კრედიტორები დაინტერესებული არიან იმ კომპანიის წარმატებული საქმიანობით, რომლებშიც ისინი ინვესტიციებს ახორციელებენ. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია კრედიტორების სურვილი, დარწმუნდნენ, რომ მათი პარტნიორი ფირმის მდგომარეობა სტაბილური იქნება თუნდაც უახლოესი მომავლისათვის.

საინვესტიციო ფონდები. ჩვეულებრივ, საინვესტიციო ფონდების წესდებები ითვალისწინებს ფონდის სახსრების ინვესტირების წესებსა და გარკვეულ შეზღუდვებს. იმავე ნორმებით შესაძლოა გათვალისწინებული იყოს პარტნიორების კომპლექსური შეფასება, თუ

საინვესტიციო ფონდი გარიგების პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეა.

სახელმწიფო ორგანოები. სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსური შეფასების აუცილებლობის საკითხი წამოიჭრება მაშინ, როდესაც განიხილება უცხოური პირის მონაწილეობა სტრატეგიულ პროექტებში, სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი საწარმოების პრივატიზაციაში და სხვა.

კომპლექსური შეფასების მეთოდები

კომპლექსური შეფასება გარკვეულ დანახარჯებს მოითხოვს, თუმცა ეს დანახარჯები მრავალჯერ ნაკლებია იმ დანახარჯებთან შედარებით, კომერციულ ჩავარდნებს რომ მოსდევს. კომპანიამ, რომელიც აპირებს კომპლექსური შეფასების ჩატარებას, აუცილებლად უნდა გაანალიზოს ის პირდაპირი და არაპირდაპირი დანაკარგები, რაც მოჰყვება გარიგების შესაძლო ჩავარდნას - რის მიხედვითაც უნდა მოახდინოს კომპლექსური შეფასების სამუშაოების მოცულობის კორექტირება. ფაქტიურად, უმნიშვნელო დანახარჯებით კომპანიას შეუძლია უფრო მეტად საიმედო გახადოს გარიგება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ერთჯერად გარიგებას მხარეებს შორის; ეს პროცესი ცნობილია ***„პირველი დონის“*** კომპლექსური შეფასების სახელით.

რაც შეეხება დიდმასშტაბიან ოპერაციებს (ერთობლივი საწარმოს შექმნა, ერთობლივი საქმიანობის განხორციელება, მსხვილი ინვესტიციები, საწარმოს აქციების პაკეტების შეძენა და სხვა), აუცილებელი ხდება საწარმოს ყოვლისმომცველი ანალიზი - რაც სასურველია ჩატარდეს პროფესიონალების, კვალიფიციური ბუღალტრებისა და იურისტების მონაწილეობით.

ასეთი შეფასება, როგორც წესი, ხორციელდება ორ ეტაპად:

პირველი ეტაპი – შეზღუდული კომერციული ურთიერთობები;

მეორე ეტაპი – გრძელვადიანი კომერციული ურთიერთობები.

პირველი დონის კომპლექსური შეფასება

ასეთ სამუშაოს საწარმო, ჩვეულებრივ, ასრულებს დამოუკიდებლად. ურთიერთობების პირველივე ეტაპზე დაინტერესებულმა საწარმომ პასუხი უნდა მიიღოს პოტენციური პარტნიორისაგან შემდეგ კითხვებზე:

რატომ აირჩია პოტენციურმა საწარმომ თქვენი საწარმო?

როგორ და ვისგან მოიპოვა ინფორმაცია თქვენი საწარმოს შესახებ?

მიმართია თუ არა თქვენმა მომავალმა პარტნიორმა სხვა ფირმებს ანალოგიური წინადადებით საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ?

თუ ურთიერთობებში ჩართულია მესამე ფირმა, რა არის ცნობილი ამ ფირმის შესახებ და ურთიერთობებზე ამ ფირმასა და პოტენციურ პარტნიორს შორის?

რამდენად უფლებამოსილია პირი, რომელიც წარმოადგენს პოტენციურ პარტნიორს?

ხომ არ გეჩვენებათ პოტენციური პარტნიორის წინადადება მეტისმეტად მიმზიდველად, რომ იგი დამაჯერებელი იყოს?

ამ ეტაპზე უნდა გაანალიზდეს შემოთავაზებული ოპერაცია და შემუშავდეს მოვლენების ყველაზე არასასურველი განვითარების სცენარი. ამის მიხედვით უნდა განისაზღვროს იურიდიული ძალის მქონე შეთანხმების დადებამდე შესასრულებელი კომპლექსური სამუშაოების მოცულობა.

პირველი დონის კომპლექსური შეფასების პროცესში, როგორც წესი, ხდება ისეთი ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი, როგორებიცაა:

ძირითადი მონაცემები პოტენციური პარტნიორის შესახებ, კერძოდ:

- *იურიდიული მისამართი და ფაქტიური ადგილმდებარეობა;*
- *რეგისტრაციის თარიღი და ადგილი;*
- *დირექტორების, სამეთვალყურეო საბჭოს, სტრატეგიული დამფუძნებლებისა და აქციონერების სახელები და მისამართები;*
- *ბუღალტრული ანგარიშების ასლები აუდიტორული დასკვნებით;*
- *საწარმოს წესდება და მასში შეტანილი ყველა ცვლილება.*

საბანკო რეკომენდაციები. კლიენტის შესახებ ბანკები ინფორმაციას ან საერთოდ არ იძლევიან, ან იძლევიან უშუალოდ კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე. უკეთეს შემთხვევაში ბანკისაგან შეიძლება მიიღოთ რეკომენდაციები იმის თაობაზე, თუ რამდენად საიმედოა მისი კლიენტი, რამდენად მყარია მისი რეპუტაცია და ფინანსური მდგომარეობა. ბანკის რეკომენდაციის განხილვისას

სასურველია ყურადღება მიაქციოთ ორ გარემოებას, რომ:

ა) ბანკის რეკომენდაცია ზუსტად ისეთივე საიმედოა, როგორც თვითონ ბანკი; ამდენად, აუცილებლად დაინტერესდით იმ ბანკის მდგომარეობითა და რეპუტაციით, რომელიც რეკომენდაციას აძლევს თქვენს პოტენციურ პარტნიორს.

ბ) ბანკის რეკომენდაცია არ წარმოადგენს გარანტიას და სამართლებრივადაც ვერ შეეცდებით, თუ ვერ მოახერხებთ დაამტკიცოთ, რომ ბანკმა წინასწარი განზრახვით მოგაწოდათ არასწორი ინფორმაცია მისი კლიენტის შესახებ - ეს კი ძალზე ძნელი ამოცანაა.

ინფორმაცია კრედიტუნარიანობის შესახებ. ამ ეტაპზე აუცილებელია გამოარკვიოთ, ხომ არა აქვს საწარმოს პრობლემები ანგარიშების გადახდისა და ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რამდენად ხშირად და რა მოცულობებით სარგებლობს კრედიტებით ბანკებისა და მომწოდებლებისაგან. აუცილებელია გაანალიზდეს უიმედო და საეჭვო ვალების მოცულობების დინამიკა, გადაუხდელი ვალების თაობაზე სასამართლო დავების განხილვის სიხშირე და ასეთი განხილვის შედეგები.

საქმიან პარტნიორთა რეკომენდაციები. საინტერესო ინფორმაციის მიღება შეიძლება შეფასების ობიექტის შესახებ მისი საქმიანი პარტნიორებისაგან. საწარმო თავად დაასახელებს იმ პარტნიორებს, რომლებიც მზად არიან მისცენ მას რეკომენდაციები. სასურველია რეკომენდაციები მიიღოთ შეფასების ობიექტის პარტნიორი იმ საწარმოებისაგან, რომლებიც არ მოხვდნენ მის მიერ წარმოდგენილ ჩამონათვალში.

კონტაქტები ადგილობრივ სავაჭრო პალატებთან და სახელმწიფო ორგანიზაციებთან. როგორც წესი, სოლიდური და რესპექტაბელური ფირმები გაწევრიანებული არიან სავაჭრო პალატებსა თუ სავაჭრო ასოციაციებში, თუმცა ამ ორგანიზაციათა წევრობა არ იძლევა მათი წესიერებისა და პატიოსნების რაიმე გარანტიას.

სერიოზული ინფორმაციის მიღება შეიძლება ისეთი სახელმწიფო სამსახურებისაგან, როგორიცაა: **საგადასახადო, საბაჟო, სალიცენზიო ორგანოები.** გადასახადების დამალვასა და კონტრაბანდაში მხილების, ლიცენზიების შეჩერების ან ჩამორთმევის ფაქტები საკმაოდ ნათლად მიუთითებს პოტენციური პარტნიორის „ავტორიტეტზე" და მასთან საქმიანი ურთიერთობების მოსალოდნელ

შედეგებზე.

კომპლექსური შეფასების პირველ დონეზე ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზისას ყურადღება უნდა მივაქციოთ ორ გარემოებას:

I. ამ სტადიაზე შეგროვილი ინფორმაცია საფუძველს უყრის შეფასების მეორე დონის სამუშაოებს და შემოიფარგლება ძირითადად შეფასების ობიექტის საქმიანი ავტორიტეტისა და კრედიტუნარიანობის დადგენით.

II. სასურველია ამ ეტაპზე აუცილებელი ინფორმაცია მიღებული იქნას უშუალოდ შეფასების ობიექტისაგან. ერთდროულად ანალოგიური ინფორმაცია უნდა მიიღოთ პარალელური წყაროებიდანაც. ასეთი წესით მიღებულ მონაცემებს შორის განსხვავების გამოვლენისას და მათი მოცულობის მიხედვით შემფასებელმა საწარმომ უნდა გააკეთოს ადექვატური დასკვნები.

მეორე დონის კომპლექსური შეფასება

შეფასების სამუშაოები, რომელიც ამ დონეზე უნდა განხორციელდეს, პირველ დონესთან შედარებით გაცილებით რთულია და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასურველია შესრულდეს პროფესიონალების მონაწილეობით. რა თქმა უნდა, ამ სამუშაოების შესრულება შეუძლიათ უშუალოდ იმ საწარმოს სპეციალისტებს, რომლებიც ახორციელებენ კომპლექსურ შეფასებას და უშუალოდ არიან დაინტერესებული ასეთი შეფასების შედეგებით. მით უმეტეს, რომ დღეს საქართველოში მრავლადაა ფირმები, რომელთა იურიდიულ და ფინანსურ სამსახურებს ბევრად მეტი ავტორიტეტი და შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე ზოგიერთ აუდიტურ თუ საადვოკატო ფირმას.

შეფასების მეორე დონის სამუშაოები ხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, თუ შეფასების პირველი დონის სამუშაოების შედეგები დააკმაყოფილებს შეფასების ჩამტარებელ საწარმოს. როგორც წესი, შეფასების ჩამტარებელი და შეფასების ობიექტი საწაროები ერთობლივად განიხილავენ და აანალიზებენ პირველი დონის სამუშაოების შედეგებს. თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ გარიგებას აქვს რეალური პერსპექტივები ორივე მხარისათვის, ისინი გადადიან შეფასების შედარებით ძვირადღირებულ და ხანგრძლივ სტადიაზე - **კომპლექსური შეფასების მეორე დონეზე.**

უმეტეს შემთხვევებში კომპლექსური შეფასების მეორე დონის სამუშაოებს ასრულებენ სპეციალიზებული კომპანიები, კერძოდ:

აუდიტური და საბუღალტრო ფირმები, ამომწურავი ფინანსური ანალიზის სამუშაოების შესრულების გამოცდილებით;

იურიდიული ფირმები – სადამფუძნებლო დოკუმენტებისა და ხელშეკრულებით ურთიერთობების ანალიზის გამოცდილებით;

საშემფასებლო ფირმები, უძრავი ქონების შეფასების გამოცდილებით;

მარკეტინგის, ტრანსპორტირების, ტექნიკური კონსულტატები და ექსპერტები – ეკოლოგიის საკითხთა შეფასების გამოცდილებით.

გახსოვდეთ: არ დაინანოთ დრო იმ აუდიტური, ბუღალტრული, იურიდიული, საშემფასებლო ფირმებისა და ექსპერტების კომპეტენციისა და კვალიფიკაციის დასაზუსტებლად, ვისაც ავალებთ კომპლექსური შეფასების ჩატარებას. ქვემოთ მოყვანილია შეფასების მეორე დონეზე შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი მოკლე განმარტებებით.

საკუთრების უფლებები

შეფასების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პოტენციური პარტნიორის საკუთრების უფლებებს უძრავ ქონებაზე, კერძოდ:

რა უძრავ ქონებას ფლობს შეფასების ობიექტი? კონკრეტულად რა უფლებებს ფლობს იგი?

ხელშეკრულებები ქონების იჯარით აღებაზე და გაცემაზე;

ჩანაწერები სახელმწიფო რეესტრში და მიწის კადასტრში;

მონაცემები ობიექტით კონკრეტული მოსარგებლის შესახებ;

სრული ინფორმაცია ობიექტის ირგვლივ დაურეგულირებელი დავებისა და ასეთი დავების წარმოქმნის რეალური შესაძლებლობის შესახებ და სხვა.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებები

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საწარმოს საკუთრების ისეთ ობიექტს, როგორიცაა ინტელექტუალური საკუთრება, კერძოდ: ***პატენტები, ლიცენზიები, საავტორო უფლებები, სასაქონლო ნიშნები, ნოუ-ჰაუ და სხვა.*** შეფასების პროცესში შესწავლილი უნდა იქნეს:

რამდენად სწორად და სრულად არის რეგისტრირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებები მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;

რამდენად სწორად და სრულად არის წამოჭრილი სადავო საკითხები, რომელიც დაკავშირებულია ინტელექტუალურ საკუთრების უფლებებთან;

რამდენად არის დაცული ინტელექტუალური საკუთრების უფლებები.

საწარმოს სტრუქტურა, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა

შეფასების ობიექტის ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმა შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ამ ეტაპზე გაანალიზებული უნდა იქნეს:

ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმის კონკრეტული სახე;

დამფუძნებელთა შემადგენლობა, აქციონერთა რაოდენობა;

აქციების რაოდენობა, ღირებულება, მათი განაწილება აქციების სახეების მიხედვით;

სახელმწიფოს წილი და უფლებები საწარმოში;

მართვის სქემა და გადაწყვეტილების მიღების წესი;

თუ შეფასების ობიექტი პრივატიზებულია, ყურადღებით უნდა გაანლიზდეს:

საპრივატიზებო ხელშეკრულება;

ხელშეკრულებით ან სხვა ნორმატიული აქტებით დაწესებული შეზღუდვები;

პრივატიზებულ ქონებაზე ბიუჯეტთან ანგარიშსწორების პირობები;

პრივატიზაციასთან დაკავშირებული პრეტენზიები, დავები და ასეთი დავების განხილვის შედეგები;

ურთიერთობა სხვა საწარმოებთან.

აუცილებლად უნდა დაზუსტდეს შეფასების ობიექტის ურთიერთობა სხვა საწარმოებთან, კერძოდ:

ხომ არ წარმოადგენს იგი ჰოლდინგურ კომპანიას?

ხომ არ შედის საწარმო ჰოლდინგურ კომპანიაში?

ხომ არ არის იგი შვილობილი საწარმო, ფილიალი და სხვა?

ხომ არ არის ფირმა ერთობლივი საწარმოს ან ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილე?

მარკეტინგი და რეალიზაცია

შემფასებელი საწარმოსათვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს შეფასების ობიექტის პროდუქცია, მისი ნომენკლატურა და ხარისხი. რეალიზაციის მოცულობები, შიდა და გარე ბაზარზე პროდუქციისა და მთლიანად ფირმის მდგომარეობა, რაც მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

საბაზრო პირობები;

მოთხოვნა და მიწოდება;

კონკურენტები;

ბაზრის შესწავლის სამუშაოების სიღრმე, მოცულობა, პერიოდულობა;

ფასების პოლიტიკა;

პროდუქციის რეალიზაციის არხები;

პროდუქციის სამომხმარებლო თვისებები;

პოტენციური ვალდებულებები.

შემფასებელმა საწარმომ ყოველმხრივ უნდა შეისწავლოს და გააანალიზოს არსებული და ის პოტენციური სამომავლო ვალდებულებები, რომლებიც შესაძლოა გაუჩნდეს შეფასების ობიექტს, ანუ პოტენციურ პარტნიორს, მათ შორის:

მიმდინარე და პოტენციური სასამართლო განხილვები;

გარემოსდაცვითი ვალდებულები;

გარანტიები;

შრომითი ხელშეკრულებები, პერსონალი.

სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებები

შეფასების ობიექტის მიერ დადებული ყველა ხელშეკრულება ავტომატურად იწვევს იურიდიული ძალის მქონე ვალდებულებების წარმოქმნას, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს შესრულებული. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა, როგორც წესი, ხდება სასამართლო განხილვის საგანი.

ამდენად, მოქმედი ხელშეკრულებები გავლენას ახდენს (ხან მნიშვნელოვნად, ზოგჯერ კი უმნიშვნელოდ) საწარმოს მდგომარეობაზე, რადგან ხელშეკრულებების როგორც შესრულება, ისე შეუსრულებლობა დაკავშირებულია ხარჯებთან.

კომპლექსური შეფასების ამ ეტაპზე უნდა გაანალიზდეს საწარმოს რესურსებისა და მთლიანად ფინანსური მდგომარეობის შემ-

ბლუდეველი ისეთი ფაქტორები. როგორებიცაა:

სესხები და კრედიტები;

კონტრაქტები დამკვეთებთან;

კონტრაქტები მომწოდებლებთან;

სხვა კონტრაქტები.

კომპლექსური შეფასება ურთიერთობების მხოლოდ დასაწყისია

დღეისათვის არავის უკვირს ხელშეკრულების შეუსრულებლობა, გადახდილი ფულის სანაცვლოდ მიღებული უვარგისი ან საერთოდ მიუღებელი პროდუქცია, გადატვირთული პროდუქციის შემდეგ მიუღებელი ანაზღაურება, გადაუხდელი ვალები და დაუფარავი სესხები, არაკეთილსინდისიერი უცხოელი ინვესტორები და მათი საქმენი საგმირონი, უამრავი და გაუთავებელი სასამართლო დავები და კიდევ მრავალი უსიამოვნება, რომელთა თავიდან აცილება შეიძლება, თუ დროულად დავინტერესდებით ჩვენი მომავალი პარტნიორის ვინაობით, მისი გამოცდილებით, მიზნებით, მისწრაფებებით, საქმიან წრეებში რეპუტაციითა და რაც მთავარია, კრედიტუნარიანობით.

აქვე უნდა გაგაფრთხილოთ, რომ პარტნიორის შეფასება მხოლოდ აუცილებელი ნაბიჯია, მაგრამ, არასაკმარისი.

ნებისმიერი გარიგების ოთხი ძირითადი წესი

I. აუცილებელია გარკვევით გქონდეთ წარმოდგენილი, რა გაქვთ ჩაფიქრებული, რა გინდათ გააკეთოთ, რის მიღებას აპირებთ.

სამწუხაროდ, ყველა არ იზიარებს მიდგომას „იცოდე რა გინდა“. ამ წესის მიმდევარ მეწარმეს შევახსენებთ, რომ ვერავინ და ვერასდროს ვერ დაგეხმარებათ, თუ თქვენ გადაწყვეტთ, ხელი მოაწეროთ ხელშეკრულებას და ბოლომდე არ გექნებათ გარკვეული არა მარტო გარიგების ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები, არამედ მისი ცალკეული დეტალებიც. ბუნებრივია, იფიქრებთ, რომ ეს წესი უფრო ფსიქოლოგიის სფეროს განეკუთვნება, ვიდრე სამართლისას, თუმცა ამით მისი მნიშვნელობა არ მცირდება. შეეცადეთ წარმოიდგინოთ მომავალი ოპერაციის იდეალური მოდე-

ლი. ოპერაციებისა და მოქმედებების თანმიმდევრობა, რა უნდა გააკეთოთ თქვენ, რა უნდა გააკეთოს თქვენმა კონტრაგენტმა და ა.შ. დახაზეთ მომავალი გარიგების სავარაუდო სქემა, დაყავით იგი ეტაპებად და ვადებად - დაწყებული ხელშეკრულების დადებიდან მის შესრულებამდე; მონიშნეთ ვინ და რა უნდა გააკეთოს ცალკეულ კონკრეტულ ეტაპზე; რა არის ამისათვის აუცილებელი. გამოთვალეთ შესაძლო რისკი. ამის შემდეგ თქვენ გარკვევით და სრულად გექნებათ წარმოდგენილი მომავალი ღონისძიების ყველა დეტალი, საშუალება გექნებათ ფლობდეთ და აკონტროლებდეთ სიტუაციას.

ახლა შეგიძლიათ შეუდგეთ მომავალი ხელშეკრულების პირობების ცალკეული ფორმულირებების ჩამოყალიბებას, დახმარებისათვის მიმართოთ სპეციალისტებს, ეძიოთ და მოამზადოთ აუცილებელი დოკუმენტები და სხვა.

II. მომავალი ხელშეკრულების პროექტი უმჯობესია, თავად მოამზადოთ, ვიდრე ეს გადააბაროთ კონტრაგენტს.

როდესაც გთავაზობენ პრინციპს **„უმჯობესია ხელშეკრულება თქვენ მოამზადოთ“**, როგორც წესი, არ გულისხმობენ, რომ ხელშეკრულების პროექტი პირადად თქვენ უნდა მოამზადოთ; ეს ნიშნავს, რომ ხელშეკრულების პროექტი უნდა მოამზადოს თქვენმა მხარემ. ხელშეკრულების პროექტი შეიძლება მოამზადოს თქვენმა ადვოკატმა, პირადად თქვენ ან ამისათვის მიმართოთ შესაბამისი პროფილის სპეციალისტებს.

შეგიძლიათ არ იდარდოთ, თქვენი კონტრაგენტი განსაკუთრებით არ შეიწუხებს თავს თქვენი მოგებისათვის და „დიდი შრომის“ შემდეგ შემოგთავაზებთ ტიპიური თუ სტანდარტული ხელშეკრულების ერთ-ერთ ვარიანტს, რომელშიც ბუნდოვნად იქნება გათვალისწინებული თქვენი ინტერესები. ეს სრულიად ბუნებრივია და ასეთი პროცედურის მექანიზმს ადვილად განმარტავს ნებისმიერი ფსიქოლოგი. ამდენად, თქვენ მოგიწევთ **„სხვისი ხელშეკრულება“** თქვენს პრობლემებს მოარგოთ, ინიციატივა კი უკვე ხელიდან გექნებათ გაშვებული.

ასეთი დიდი „ფორის“ მიცემა თქვენი ყველაზე პატიოსანი და საიმედო პარტნიორისათვისაც კი გაუმართლებელია.

III. არასდროს არ მოაწეროთ ხელი იმ დოკუმენტს, რომელსაც არ გაცნობიხართ და არ არის ვიზირებული თქვენი იურისტის მიერ.

ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წესია, რომელსაც მკაცრად უნდა მისდევდეს ყველა ბიზნესმენი. შემთხვევითი არ არის, რომ ამ წესს **„ბიზნესმენის ოქროს წესს“** უწოდებენ.

ნებისმიერი ხელშეკრულება, პირველ რიგში, იურიდიული დოკუმენტია და ჩალის ფასადაც არ ღირს, თუ მისი შემდგენელი პირები არაკომპეტენტურები არიან. *იურისტი შემოგთავაზებთ ფორმულირების შეცვლას, განგიმარტავთ ხელშეკრულების ამა თუ იმ პირობის სამართლებრივ შედეგებს, დააზუსტებს კონკრეტული მუხლის ცალკეულ დეტალს და სხვა.*

უცხოელი მეწარმე ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამს თავისი ადვოკატის გარეშე მოლაპარაკების, ხელშეკრულების მომზადების, შეთანხმებისა და ხელმოწერის პროცესში, რადგან მან ჩინებულად იცის, რომ იურისტის რჩევა მას თავიდან ააცილებს დიდ უსიამოვნებას, ზარალს, ზოგჯერ კი გაკოტრებასაც.

მრავალი მეწარმე პრაქტიკაში ფართოდ იყენებს სხვადასხვა სახის ხელშეკრულების ტიპიურ ფორმებს. ისინი საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი მომდევნო თავებშიც. მათი გამოყენება მნიშვნელოვნად ამარტივებს და ამოკლებს ხელშეკრულების პროექტის მომზადების პროცესს და საშუალებას აძლევს ადამიანებს, რომლებსაც არა აქვთ სპეციალური განათლება, ადვილად გაერკვნენ რთული იურიდიული ურთიერთობების ლაბირინთებში.

აუცილებელია გვახსოვდეს, რომ უნივერსალური სტანდარტული ხელშეკრულება, რომელიც საიმედოდ დაიცავს თქვენს ბიზნესს, არ არსებობს. ხელშეკრულება ზედმიწევნით ინდივიდუალური აქტია მის უკლებლივ ყველა ასპექტში და ტიპიური ფორმა ვერასდროს ვერ შეცვლის ცოცხალ, ადამიანურ მიდგომას.

IV. ხელშეკრულებაში დაუშვებელია ორაზროვნება და ბუნდოვანება.

ხელშეკრულების პირობების ფორმულირებისას არ დაუშვათ ორაზროვანი და უაზრო დებულებები, ბუნდოვანი ფრაზები, არასრული განმარტებები. **ხელშეკრულებაში მნიშვნელოვანია ყველაფერი, მათ შორის მძიმეც და წერტილიც.** თუ რაიმე გაუგებარია, მიმართეთ სპეციალისტს; ნუ დატოვებთ გაურკვევლად სიტყვებს, ფრაზებს, ტერმინებს, ხელშეკრულების კონკრეტულ მოთხოვნებსა თუ დებულებებს. გახსოვდეთ, რომ *თქვენი ხელშეკრულების ნებისმიერი ბუნდოვანი თუ ორაზროვანი ფრაზა ან მუხლი, ნებისმიერი*

არასწორად დასმული წერტილი და მძიმე აუცილებლად იქნება გამოყენებული თქვენი ინტერესების წინააღმდეგ პირველივე სადავო სიტუაციის წარმოშობისას. უფრო მეტიც, შესაძლოა თქვენმა პარტნიორმა შეგნებულად შეიტანოს ხელშეკრულებაში თქვენთვის ბუნდოვანი და მისთვის კარგად ცნობილი სიტყვა თუ დებულება, რომლითაც თქვენი ინტერესი იქნება შებღალული ყველაზე მოულოდნელი მოტივებით.

ხელშეკრულების ტექსტის გაფორმების წესი

ხელშეკრულება დადებულად ითვლება, როდესაც მხარეები მიაღწევენ შეთანხმებას ხელშეკრულების უკლებლივ ყველა პირობის ირგვლივ. ხელშეკრულების დადების მომენტად ითვლება ხელშეკრულებისათვის დადგენილი ფორმის მიცემის მომენტი.

ხელშეკრულების დადების რამდენიმე ფორმა არსებობს: **ორმხრივი, ცალმხრივი, მრავალმხრივი, სიტყვიერი, წერილობითი.**

ხელშეკრულების დადების წერილობითი ფორმა წარმოადგენს ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს. ერთიან დოკუმენტში სათაურით **„ხელშეკრულება“, „შეთანხმება“, „კონტრაქტი“**, მხარეები განსაზღვრავენ მომავალი კომერციული ოპერაციისა თუ საქმიანი ურთიერთობების ყველა არსებით პირობას. სიტყვიერი შეთანხმებისა თუ ხელშეკრულებისგან განსხვავებით, ხელშეკრულების ასეთ ფორმას აქვს ერთი უდავო უპირატესობა, იგი გამორიცხავს დავას ხელშეკრულების დადების ფაქტის შესახებ. ასეთი ფორმით შეიძლება დაიდოს ნებისმიერი სამეურნეო ხელშეკრულება.

ხელშეკრულების შესრულების ტექნიკურ-იურიდიული სტადია

ამ სტადიაზე ხდება ხელშეკრულების შესრულების შემოწმება რაოდენობრივად თუ ხარისხობრივად და ხელშეკრულების შესრულების დოკუმენტური დადასტურება.

უნდა გვახსოვდეს, რომ *მხოლოდ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება წყვეტს ხელშეკრულების მოქმედებას შესრულებაზე პასუხისმგებელი მხარისათვის.* ამასთანავე, სანამ ვალდებულ მხარეს არა აქვს მიღებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურება შესრულების მიმღები მხარისაგან, ფორმალუ-

რად და იურიდიულად იგი რჩება ვალდებულად, მაშინაც კი როდე-საც ვალდებულებები შესრულებულია.

ერთი სიტყვით, *თქვენს მიერ ვალდებულების ნებისმიერი შეს-რულება უნდა გაფორმდეს დოკუმენტურად, წინააღმდეგ შემთხვე-ვაში, ეს ნიშნავს, რომ თქვენ ვალდებულებები არ შეგისრულებიათ.* ამდენად, მიზანშეწონილია შესრულების შესახებ მეორე მხარის დოკუმენტური დასტური აღნიშნული იყოს ხელშეკრულებაში, მი-თითებული იყოს ასეთი დადასტურების ფორმა და საშუალება.

ხელშეკრულების პირობებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელმოწერილ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ცალმხრივი წესით დაუშ-ვებელია; კორექტივების შეტანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მხა-რეთა ურთიერთშეთანხმებით.

როდესაც მხარე იღებს გადაწყვეტილებას ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ან გაუქმების შესახებ, იგი ვალდებულია ამის შესახებ აუცილებლად შეატყობინოს მეორე მხარეს. შეტყობინება-ში განმარტებული უნდა იყოს გადაწყვეტილების მოტივები და მი-თითებული ვადა, რომლის განმაელობაშიაც შეტყობინების მიმღებმა მხარემ უნდა განიხილოს და უპასუხოს შეტყობინებას.

როგორც წესი, მოქმედ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება იგივე წესით, როგორც თვით ხელშეკ-რულების გაფორმება.

პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

მხარეების ვალდებულება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდე-ბულებების სრულად და დროულად შესრულებისათვის გარანტი-რებულია ქონებრივი პასუხისმგებლობის ნორმებით, რომელიც ეკის-რება იმ მხარეს, რომელიც არ ასრულებს, ან, არაჯეროვნად ასრუ-ლებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

მოქმედი კანონმდებლობით რეგულირდება ისეთი საკითხები, როგორებიცაა:

კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება;

მოვალის მიერ ვალის გადაცილება;
ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს;
ზიანის ანაზღაურების მოვალეობა.

რა არის ზარალი

ზარალში იგულისხმება ხელშეკრულების მხარის მიერ გაწეული გაუთვალისწინებელი ხარჯები, მისი კუთვნილი ქონების დაკარგვა ან დაზიანება, ასევე მიუღებელი შემოსავლები, რომელსაც იგი მიიღებდა ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში - მეორე მხარის მიერ.

ამდენად, ზარალის ცნება ყალიბდება შემდეგი ელემენტებისაგან:

- ქონების დაკარგვა, განადგურება ან სამეურნეო სარგებლობიდან ამოღება;
- საქონლის სასაქონლო სახის გაუარესება, სამომხმარებლო თვისებების შეცვლა ან დაკარგვა;
- კრედიტორის დამატებითი ხარჯები, საწარმოს მოცდენა, გადახდილი ჯარიმები და სხვა;

კრედიტორის მიერ მიუღებელი შემოსავლები. აქ იგულისხმება ყველა სახის მიუღებელი შემოსავალი, რომლის მიღებაც შეეძლო მას მეორე მხრის მხრიდან ხელშეკრულების სრულად შესრულების შემთხვევაში.

კონტრაქტების ფორმები

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები განაპირობებს კონტრაქტების ფორმების მრავალფეროვნებას. ცნობილია სავაჭრო კონტრაქტის მომზადების სამი ძირითადი გზა:

პირველი. სტანდარტული კონტრაქტის გამოყენება. ასეთი სტანდარტები გამოყენება ხდება ერთი სახის პროდუქციის მსხვილი მიმწოდებლების მიერ. მაგალითად: მარცვლეულის, ნავთობის, მადნის და სხვა. ასეთი კონტრაქტები წლების განმავლობაში არ იცვლება; ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ მყიდველის დასახელებით, საქონლის რაოდენობითა და მთლიანი საკონტრაქტო ღირებულებით.

მეორე. ტიპიური კონტრაქტები, ისინი წარმოადგენენ კონტრაქტის სანიმუშო ფორმას, რიგი უნიფიცირებული პირობებით, რომლე-

ბაც ჩამოყალიბდა მხარეებს შორის ხანგრძლივი სახელშეკრულებო ურთიერთობების სავაჭრო პრაქტიკისა და ტრადიციების საფუძველზე. მხარეებს შორის კონკრეტული გარიგების შემთხვევაში ტიპური კონტრაქტის დეტალები ზუსტდება, ყალიბდება მხარეებისათვის მისაღები და მათ შორის შეთანხმებული ფორმით. ასეთი კონტრაქტები გამოიყენება საქონლის გარკვეული ჯგუფისა და ვაჭრობის გარკვეული სფეროსათვის. მაგალითად: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, საკვები პროდუქტების ცალკეული ჯგუფები და სხვა.

მესამე. ორიგინალური კონტრაქტები. ასეთი კონტრაქტები მზადდება გარიგების კონკრეტული ობიექტისათვის, როგორც წესი, რთული ტექნოლოგიური სისტემებისა და კომპლექსების, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის, ინდუსტრიული საწარმოების, ნავთობსადენებისა და სხვა ძვირადღირებული და მსხვილმასშტაბიანი პროექტებისათვის.

ორიგინალური კონტრაქტი - კონტრაქტის ყველაზე ძვირადღირებული სახეა - მის მომზადებაში მონაწილეობას იღებენ მრავალრიცხოვანი ექსპერტები, ადვოკატები, საკმაოდ რთული და ხანგრძლივია მათი მომზადებისა და შეთანხმების პროცედურები. როგორც წესი, დიდია მათი მოცულობაც.

სამეურნეო ხელშეკრულების ძირითადი ელემენტები

მხარეებს შორის დადებული სამეურნეო ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს აუცილებელ მუხლებს, სადაც სრულად იქნება ჩამოყალიბებული ყველა საკითხი, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელშეკრულების მიზნის შესრულებას, მხარეების ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ქვემოთ მოყვანილია ასეთი მუხლების საორიენტაციო ჩამონათვალი:

1. პრეამბულა. მხარეების უფლებამოსილებები;
2. ხელშეკრულების საგანი;
3. მხარეების ვალდებულებები და უფლებები;
4. საქონლის რაოდენობა და ხარისხი:
5. მიწოდების თარიღი და ვადები;
6. მიწოდების საბაზისო პირობები;
7. ფასი;
8. საქონლის მიღება-ჩაბარება;
9. ტრანსპორტირება;
10. დაზღვევა;
11. საკუთრების უფლების გადასვლა;
12. შეფუთვა და მარკირება;
13. გარანტიები;
14. ტექნიკური მომსახურება. ტექნიკური დოკუმენტაცია;
15. ანგარიშსწორების პირობები;
16. მხარეების პასუხისმგებლობა, სანქციები;
17. პრეტენზიები;
18. ფორსმაჟორი;
19. დავების გადწყვეტა;
20. ლიცენზიების მიღება;
21. გადასახადები და მოსაკრებლები;
22. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა
23. დანართები და დამატებები;
24. დამატებითი პირობები;
24. მხარეების იურიდიული მისამართები და ხელმოწერები;

მკითხველს, შესაძლოა, დაებადოს ერთობ ლოგიკური კითხვა, ნუ-

თუ ყველა ეს მუხლი აუცილებელია ხელშეკრულებაში. პასუხი ასეთია:

• თქვენს მომავალ პრაქტიკულ საქმიანობაში აუცილებლად შეხვდებათ ხელშეკრულებები, რომლებშიც ბევრად მეტი კარი, თავი, მუხლი და მრავალი ტომი იქნება.

• შეხვდებათ ძალზე საიმედო და მხოლოდ ერთგვერდიანი ხელშეკრულებებიც.

• უფრო მეტიც, მოგიხდებათ გარიგებების დადება, სიტყვიერი შეთანხმებით, ყოველგვარი წერილობითი ხელშეკრულების გარეშე, მიღებულ ოფერტზე ფაქსით გადაცემული პასუხით, ან უბრალოდ, კონტრაგენტისათვის ხელის ჩამორთმევით.

ყველაფერი დამოკიდებულია ხელშეკრულების საგანზე და სირთულეზე, გარიგების ფასზე, შესრულებასთან დაკავშირებულ რისკების ხარისხზე, მხარეებს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებზე, მხარეთა სახელმწიფოების კანონმდებლობებზე, რიგ სხვა გარემოებებზე.

ნებისმიერი გარიგების, ზეპირი თუ წერილობითი ხელშეკრულების უკან დგას ერთადერთი ამოცანა – კანონიერების ფარგლებში უზრუნველყოს გარიგების პირობის შესრულება, მხარეების უფლებებისა და ინტერესების საიმედოდ დაცვა. სწორედ ეს ამოცანა, ამოცანის სირთულე განსაზღვრავს ხელშეკრულების ფორმას, სტრუქტურას, მოცულობას, მასში თავებისა თუ მუხლების რაოდენობას.

პრეამბულა, ხელშეკრულების მხარეები

პრეამბულა წინ უძღვის ხელშეკრულების ტექსტს და იწყება სიტყვით „ხელშეკრულება" ან „კონტრაქტი", რომელიც თავსდება ფურცლის შუა ნაწილში. იქვე იწერება ხელშეკრულების ნომერი. ქვემოთ, მარცხნივ, აღინიშნება ხელშეკრულების დადების ადგილი, მარჯვნივ – ხელშეკრულების დადების თარიღი. შემდეგ პრეამბულაში იწერება:

ა) მხარეების საფირმო დასახელებები, ანუ ის სრული დასახელება, რომლითაც ისინი რეგისტრირებულნი არიან საკუთარ ქვეყანაში, სარეგისტრაციო მონაცემებით;

ბ) მხარეების ადგილმდებარეობა და მისამართები;

გ) კონტრაგენტების დასახელება, სრული გვარი და სახელი, დაკავებული თანამდებობა, აღნიშვნები „გამყიდველი" და „მყიდვე-

ლი". „მხარეები". პირველად, როგორც წესი, იწერება ის მხარე, რომელიც წარმოადგენს გამყიდველს;

დ) მხარეების უფლებამოსილებები, ანუ ის დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ მათ უფლებამოსილებებს, აწარმოონ მოლაპარაკებები, მოაწერონ ხელი ხელშეკრულებასა და მის თანმხლებ დოკუმენტებს. მაგალითად, „ვსარგებლობ რა ჩვენი კომპანიის წესდებით მონიჭებული უფლებამოსილებით", „ვსარგებლობ რა კომპანიის პრეზიდენტის მიერ გაცემული მინდობილობით ჩემთვის მონიჭებული უფლებამოსილებებით".

მაგალითი:

*ფირმა „**სტარტი**", რეგისტრირებული საფრანგეთის კანონმდებლობით, პარიზში მესამე ოლქის სასამართლოში.*

რეგისტრაციის ნომერი და თარიღი – ——, იურიდიული მისამართი.

*პარიზი, ქორესის ბულვარი 16, მე-5 სართული, ფირმის პრეზიდენტის —— სახით, შემდგომში „**გამყიდველი**" ვსარგებლობ რა ჩემი ფირმის წესდებით მონიჭებული უფლებამოსილებებით ერთის მხრივ და*

*შპს „**მატილი**", რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობით თბილისში, დიდუბის რაიონის სასამართლოში, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი ———, მისამართი, ვახუშტი ბაგრატიონის ქ. 61, მე-3 სართული, ფირმის გენერალური დირექტორის ——— სახით, შემდგომში „**მყიდველი**", ვსარგებლობ რა ჩემი საზოგადოების წესდებით მონიჭებული უფლებამოსილებით, მეორეს მხრივ:*

შევთანხმდით:

ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც მხარეებს შორის არსებობს ჩამოყალიბებული ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობები, დასაშვებია პრეამბულის გამარტივებული ფორმა.

ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, ხელშეკრულების ნომრის მინიჭება ხდება იმ მხარის საქმისწარმოების წესების მიხედვით, რომელიც ამზადებს ხელშეკრულების პროექტს. შესაძლოა ხელშეკრულებას საბოლოო შეთანხმებისა და ხელმოწერის პროცესში მიენიჭოს ნომერი, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან, რო-

შელშიც გათვალისწინებული იქნება როგორც გამყიდველის, ისე მყიდველის საქმისწარმოების ნორმებით გათვალისწინებული ხელშეკრულების საიდენტიფიკაციო მონაცემები.

ხელშეკრულების საგანი. მხარეების უფლებები და ვალდებულებები

პრეამბულის შემდეგ უნდა ჩამოყალიბდეს ხელშეკრულების საგანი; იგი ცალსახად გასაგები უნდა იყოს მხარეებისათვის, აგრეთვე იმ რეგიონში, სადაც ხდება საქონლის მიწოდება და სადაც იმყოფება და ფუნქციონირებს მყიდველის ფირმა. ხელშეკრულების საგნის ფორმულირება უნდა შეიცავდეს საქონლის მარკას, ტიპს, მოდელსა და მისი იდენტიფიკაციისათვის აუცილებელ სხვა მახასიათებლებს. თუ საქონელი მოითხოვს უფრო სრულ დახასიათებას, ან საქონლის ასორტიმენტის დასახელებები ვრცელია, ისინი შეიტანება სპეციალურ დანართში - სპეციფიკაციაში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რის შესახებაც ხელშეკრულების ტექსტში კეთდება შესაბამისი მითითება.

ამავე თავში აღინიშნება მხარეების ძირითადი ვალდებულებები და უფლებები. მათ შორის: საქონლის მიღება-ჩაბარების, ტრანსპორტირების, დაზღვევის, ტექნიკური მომსახურების, სპეციალისტების მომზადების, სათადარიგო ნაწილების მიწოდების საკითხებში და სხვა.

მხარეების ვალდებულებებში გარკვევით უნდა იყოს მითითებული ხელშეკრულების ისეთი არსებითი პირობები, როგორებიცაა:

1. პირველი მხარის ვალდებულებები და უფლებები;
2. მეორე მხარის ვალდებულებები და უფლებები;
3. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესრულების ვადები;
4. ყოველი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ადგილი;
5. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ფორმა;

მხარეების სურვილის, ხელშეკრულების საგნის და გარიგების მასშტაბების გათვალისწინებით „მხარეების ვალდებულებები", შეიძლება ცალკე თავად (მუხლად) გამოიყოს ხელშეკრულების ტექსტში.

მაგალითი:

გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს საბურღ დანადგარს სათადარიგო ნაწილებითა და საბურღი ინსტრუმენტებით თანდართული სპეციფიკაციების თანახმად. დანართი 1-5, რომლებიც წარმოადგენენ კონტრაქტის განუყოფელ ნაწილს.

მხარეების ვალდებულებები

გამყიდველი ვალდებულებას კისრულობს:

ა) ჩაატაროს სისტემის პერიოდული ტექნიკური მომსახურება ყოველკვარტალურად. კვარტლის ბოლო თვის 20-25 რიცხვებში;

ბ) ჩაატაროს რიგგარეშე ტექნიკური მომსახურება მყიდველის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში;

გ) მიაწოდოს მყიდველს სათადარიგო ნაწილები სპეციფიკაციების მიღებიდან 1 თვის ვადაში;

დ) საგარანტიო ვადის განმავლობაში ქსასყიდლოდ გამოასწოროს ყველა გამოვლენილი ხარვეზი. დაუყოვნებლივ შეცვალოს დეფექტური დეტალები, კვანძები და აგრეგატები.

მყიდველის ვალდებულებები:

ა) მკაცრად დაიცვას სისტემის ექსპლუატაციისა და მიმდინარე ტექნიკური მომსახურების წესები;

ბ) არ გამოიყენოს მასალები და ნედლეული, რომელიც არ აკმაყოფილებს ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს;

გ) 24 საათის განმავლობაში წერილობით შეატყობინოს გამყიდველს ყველა გამოვლენილი ხარვეზი (დეპეშით, ფაქსით, ელ. ფოსტით);

დ) შეუქმნას ნორმალური საქმიანობის პირობები გამყიდველის პერსონალს სისტემის ტექმომსახურების სამუშაოების განხორციელების პერიოდში.

საქონლის რაოდენობა

ხელშეკრულებაში განსაზღვრული უნდა იყოს განზომილების ერთეული, ხელშეკრულების საგნის რაოდენობა და მისი განსაზღვრის წესი.

საქონლის რაოდენობა აღინიშნება ამ საქონლისათვის დამახასიათებელ ერთეულებში (მოცულობის, მასის, სიგრძის, ფართის პირობით ერთეულებში, ვაგონებით, ცალობით, კომპლექტებით და სხვა)

განზომილების ერთეულის შერჩევა დამოკიდებულია საქონლის სახეზე და ამ საქონლით ვაჭრობის ჩამოყალიბებულ პრაქტიკაზე.

რაოდენობა, შესაძლოა, მითითებული იყოს როგორც ფიქსირებული ციფრით, ისე გარკვეულ პირობით საზღვრებში. ისეთი საქონლისათვის, როგორიცაა მინერალური ნედლეული, ინერტული მასალები, ნავთობი და სხვა, რომელთა მიწოდება ხდება ნაყარი და ჩასასხმელი ფორმით, რაოდენობის მაჩვენებელ ციფრებს, როგორც წესი, ემატება მითითება იმის თაობაზე, რომ გარკვეულ ფარგლებში დასაშვებია გადახრა მიწოდებული საქონლის ფაქტიურ და ხელშეკრულებით მითითებულ რაოდენობებს შორის. ასეთი მითითება შესაძლოა გამოხატული იყოს სიტყვით „დაახლოებით", რომელიც აღინიშნება რაოდენობის მაჩვენებელი ციფრის წინ; იგივე შესაძლოა გამოხატული იყოს ციფრებით ან პროცენტებით, დასაშვები გადახრების სახით, მაგალითად: „დაახლოებით 20-21 ტონა"; „პლიუს-მინუს 0,1 ტონა", „პლიუს-მინუს 5%"; დანადგარ-მოწყობილობებისა და სხვა ხანგრძლივი გამოყენების საგნების რაოდენობა განისაზღვრება ცალობით ან კომპლექტებით.

ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს, შედის თუ არა ტარის წონა საქონლის რაოდენობაში. შესაბამისად არჩევენ ბრუტო და ნეტო წონებს.

საქონლის ნაწილი ტრანსპორტირებისას განიცდის ბუნებრივ დანაკარგებს. იკარგება ნახშირი, ინერტული მასალები, მინერალური მარილები და მადნები; შრება ხორცი, ბოსტნეული და ხილი, იღვრება ნავთობპროდუქტები. ასეთ შემთხვევებში მხარეები კონტრაქტის პირობებში მიუთითებენ ასეთი დანაკარგების მაქსიმალურ მაჩვენებლებს და მხარეებს შორის დანაკარგების განაწილების წესს.

მაგალითი:

გამყიდველი მყიდველს მიაწვდის 24000ტ. საქონელს. 2000ტ. ყოველთვიურად, არანაკლებ 500ტ. ყოველკვირეულად. დასაშვებია ყოველკვირეული მიწოდების შეთანხმებული რაოდენობიდან გადახრა არაუმეტეს 5%-ისა. სატრანსპორტო ნორმა თითოეული მიწოდებისათვის შეადგენს არანაკლებ 500ტ. ყოველ კონკრეტულ მიწოდებას თან უნდა ახლდეს აწონვისა და შესაბამისობის სერტიფიკატი. დანაკარგები ტრანსპორტირებისას არ უნდა აღემატებოდეს საერთო წონის 0,5%. .

შეფუთვა და მარკირება

შეფუთვის დანიშნულებაა ტრანსპორტირებისას დაიცვას საქონელი დაზიანებისაგან, ასევე, ატმოსფერული ზემოქმედებისაგან.

დასავლეთ ევროპისა და ბევრ სხვა ქვეყანაში შემუშავებულია შეფუთვის ერთიანი ნორმები. სტანდარტიზაციის საერთაშორისო და ევროპის ორგანიზაციებს შემუშავებული აქვთ ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ საექსპორტო ტვირთების შეფუთვის საკითხებს. შეფუთვის სახე დამოკიდებულია საქონლის დანიშნულებასა და რიგ სამომხმარებლო თვისებებზე.

არჩევენ გარე შეფუთვას - ტარას (ყუთები, მუყაოს კოლოფები, კასრები, კონტეინერები და სხვა) და შიდა შეფუთვას, რომელიც განუყოფელია საქონლისაგან. ტარისა თუ შიდა შეფუთვის ხარისხი დამოკიდებულია იმ მოთხოვნებზე, რომლებსაც ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ. თუ არსებობს შეფუთვის საკითხის მარეგულირებელი სტანდარტები, ტექნიკური პირობები ან სხვა ნორმატიული დოკუმენტები, შეფუთვის ხარისხის მოთხოვნების განსაზღვრა შესაძლებელია ამ დოკუმენტების მითითებით.

შეფუთვის მოთხოვნები პირობითად იყოფა ორ ჯგუფად: საერთო და სპეციალურ მოთხოვნებად. საერთო მოთხოვნების დანიშნულებაა უზრუნველყოს ტვირთის დაცვა ტრანსპორტირების, დატვირთვა-გადმოტვირთვის, შენახვის პროცესებში, სპეციალური მოთხოვნების დანიშნულებაა საქონლის სასაქონლო სახის გაუმჯობესება და კონკურენტუნარიანობის გაზრდა.

გამყიდველის მიერ საქონლის მყიდველისათვის გადაცემისა და ანგარიშსწორების მომენტში მყიდველი საქონლის ფასთან ერთად ანაზღაურებს ტარისა და შეფუთვის ღირებულებას. ანაზღაურების პირობები აღინიშნება კონტრაქტში, ტარისა და შეფუთვის ღირებულება შედის საქონლის ღირებულებაში, შეფუთვის ღირებულება განისაზღვრება პროცენტულად საქონლის ღირებულების მიხედვით, შეფუთვის ღირებულება კი - გამოცალკევებულად. შესაძლოა, ხელშეკრულება ითვალისწინებდეს ტარის დაბრუნებას.

მაგალითი:

ხელშეკრულების თანახმად მიწოდებული საქონელი დაფასოებული უნდა იყოს ლითონის კასრებში. მასა, ნეტო 75 კგ. შეფუთვა უნდა უზრუნველყოფდეს საზღვაო, სარკინიგზო და საავტომობილო

საშუალებებით ტრანსპორტირებას. შეფუთვის ღირებულება შეტანილია საქონლის ფასში.

მარკირებას განსაკუთრებული როლი ენიჭება საერთაშორისო საქონელგაცვლაში. იგი ასრულებს რამდენიმე ფუნქციას, მათ შორის:

*წარმოადგენს ისეთ სასაქონლო-სატრანსპორტო ინფორმაციას, როგორიცაა: ხელშეკრულების ნომერი, წონისა და გაბარიტების პარამეტრები, სატრანსპორტო ადგილების ნომრები და სხვა;

*სათანადო ინფორმაციას აძლევს სატრანსპორტო ფირმებსა და საქონლის მიმღებს („დაიცავით სინესტისაგან“, „დაიცავით ცეცხლისაგან“, „დაიცავით დარტყმისაგან“ და სხვა).

ეს ფუნქციები განსაზღვრავენ მარკირების აუცილებელ რეკვიზიტებს, რომლებიც ექსპორტიორმა უნდა აღნიშნოს სატრანსპორტო ტარის ორ მხარეზე - მხარეებს შორის შეთანხმებულ ენაზე (ენებზე); ტრანსის ნომერი, როგორც წესი, აღინიშნება იმპორტიორის მოთხოვნით, როდესაც მიწოდება ხდება ერთდროულად მრავალი მიმღებისათვის, დიდი მოცულობის საქონლის პარტიებისა და დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

მაგალითი:

შეფუთვა უნდა უზრუნველყოფდეს საქონლის შეუფერხებელ ტრანსპორტირებას ტრანსპორტის ყველა სახეობით, გადატვირთვის ჩათვლით. ნაკეთობები შეფუთული უნდა იყოს მუყაოს ყუთებში, მაქსიმალური წონით 20 კგ. ყუთებში ჩაფენილი უნდა იყოს წყალგაუმტარი ქაღალდის ორი ფენა. ყუთები უნდა შემოისალტოს ოთხი ლითონის ან პლასტმასის ლენტით, რომელთა ბოლოები უნდა დაპლომბოს. თითოეულ ყუთზე უნდა აღინიშნოს:

- *დანიშნულების ქვეყანა და დანიშნულების პუნქტი;*
- *ხელშეკრულების ნომერი;*
- *ადგილის ნომერი; მოცულობა, წონა, ადგილების რაოდენობა;*
- *ბრუტო და ნეტო წონა;*
- *გამგზავნისა და მიმღების მოკლე დასახელებები.*

ყოველ ყუთში უნდა იყოს შეფუთვის ფურცელი ხელშეკრულებისა და ყუთის ნომრებით, ნაკეთობის დასახელებით, რაოდენობითა და ზომებით.

საქონლის მიწოდების ტექნიკური პირობები მოყვანილია ხელ-შეკრულების № 2 დანართში.

საქონლის ხარისხი

ხელშეკრულების საქონლის ხარისხის (თვისობრიობის) განსაზღ-ვრა ნიშნავს ამ საქონლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მითი-თებას ანუ იმ პარამეტრების დადგენას, რომელთა შესწორებითაც შესაძლო იქნება დადგინდეს. თუ რამდენად შეესაბამება მიწოდე-ბული საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვ-ნებს, რამდენად შესაძლებელია ამ საქონლის გამოყენება მყიდვე-ლის მიზნებისათვის. პროდუქციის ხარისხის განსაზღვრა შეიძლე-ბა სტანდარტების, ტექნიკური პირობების, მოდელებისა და სასა-ქონლო ნიმუშების მიხედვით.

კონკრეტული პარამეტრების დადგენის აღიარებული საშუალებებია:

ა) ორგანოლეპტიკური შემოწმება, მისი გემოს, ფერის, სუნის, გე-ომეტრიული ზომების განსაზღვრა და შედარება;

ბ) ინსტრუმენტალური ანუ ლაბორატორიული მეთოდები - ქი-მიური, ფიზიკური, ბიოლოგიური ანალიზები და გამოცდები.

დანადგარ-მოწყობილობებისა და სატრანსპორტო საშუალებე-ბის გაყიდვისას ძირითადი ყურადღება ექცევა მათ სიმძლავრეს, ენერგომოხმარებას, მწარმოებლობას, საიმედობას, სასარგებლო ექ-სპლუატაციის ვადას და სხვა.

სასურველია, ხელშეკრულებაში მითითებული იყოს ყველა მნიშ-ვნელოვანი ხარისხობრივი მაჩვენებელი, მათი რიცხობრივი მნიშ-ვნელობები და დასაშვები გადახრები, მითითებული მაჩვენებლე-ბის კონტროლის მეთოდები.

თუ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული არ არის ხარისხობრი-ვი მაჩვენებლები, იგულისხმება, რომ მიწოდებული საქონლის ხა-რისხი უნდა პასუხობდეს მსგავსი საქონლის საშუალო ხარისხს, რომელიც მიღებულია გამყიდველის ან საქონლის წარმოშობის ქვეყანაში.

მისაწოდებელი ნაკეთობების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტს (ტექნიკურ პირობებს), რომელიც მითითებულია დანარ-თში და ნიმუშებს, რომლებიც წარმოადგენენ ეტალონებს, რომელ-თაგან ორი ნიმუში ინახება მყიდველთან, ერთი გამყიდველთან.

მაგალითი:

გამყიდველი მყიდველს მიაწვდის ნიობიუმის ოქსიდს, ხარისხობრივი მაჩვენებლებით:

____

____

____

ქიმიური შემადგენლობის კონტროლი განხორციელდება მახ. 2/01-15 რეგლამენტის მიხედვით.

საქონლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს დანართში მითითებულ ტექნიკურ პირობებსა და ნიმუშ-ეტალონებს, რომლებიც შეთანხმებულია მხარეთა შორის. პროდუქციის ხარისხი დადასტურებული უნდა იყოს ხარისხისა და წარმოშობის სერთიფიკატებით.

პროდუქციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს მხარეებს შორის შეთანხმებულ და დამტკიცებულ ნიმუშ-ეტალონებს, ასევე დანართში მითითებული ტექნიკური პირობების მოთხოვნებს.

ეტალონების ორი ეგზემპლარი ინახება მყიდველთან, ერთი ეგზემპლარი გამყიდველთან – 8 თვის განმავლობაში მიწოდების დასრულებიდან და წარმოადგენენ საარბიტრაჟო ნიმუშებს იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის წამოიჭრება დავა წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით.

პროდუქციის ხარისხი დადასტურებული უნდა იყოს ხარისხისა და წარმოშობის სერთიფიკატებით.

გამყიდველი ვალდებულია, საქონლის პირველ პარტიასთან ერთად, ტვირთის ყოველ მიმღებს გაუგზავნოს ეტალონის ორი დუბლიკატი წარწერით „ეტალონის დუბლიკატი“. დუბლიკატის შესაბამისობა ეტალონისადმი დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური ნეიტრალური ორგანიზაციის მიერ სათანადო აქტით, რის შესახებაც კეთდება წარწერა ეტალონის დუბლიკატის ეტიკეტზე.

მიწოდებული საქონლის სპეციფიკაციაში და ანგარიშ-ფაქტურაში უნდა იყოს აღნიშნული, რომ მოცემულ პარტიასთან ერთად იგზავნება ეტალონის დუბლიკატები. ეტალონების ღირებულებას ანაზღაურებს მყიდველი.

პროდუქციის ხარისხი დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისობის სერთიფიკატით (ორიგინალი), რომელიც გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ასეთი სერთიფიკატის უქონლობის შემთხვევაში. გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროდუქციაზე მისი სერთიფიკაციისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მიწოდების საბაზისო პირობები და ვადები

მიწოდების საბაზისო პირობები ანაწილებენ პასუხისმგებლობას მხარეებს შორის საქონლის მიწოდებისათვის და ადგენენ: მომენტს, როდესაც საქონლის შემთხვევითი დაღუპვის, დაკარგვის ან დაზიანების რისკი გამყიდველიდან გადადის მყიდველზე (ექსპორტიორიდან იმპორტიორზე); ვინ აფორმებს საბაჟო ფორმალობებს, ვინ იხდის საბაჟო გადასახადებს, ტრანსპორტირების ხარჯებს და სხვა.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობები თავისებურად განმარტავენ ცალკეულ სავაჭრო ტერმინებს, რომლებიც განსაზღვრავენ გამყიდველისაგან მყიდველზე (ექსპორტიორიდან იმპორტიორზე) რისკის გადასვლის მომენტს. ამ მომენტის განსაზღვრის მნიშვნელობა ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ გამყიდველიდან მყიდველზე რისკის გადასვლის შემდეგ, მყიდველზე გადადის მთელი პასუხისმგებლობა საქონლის დაკარგვის ან დაზიანებისათვის.

ცალკეული სავაჭრო ტერმინების განმარტება მოყვანილია საერთაშორისო სავაჭრო ტერმინების განმარტებებში „ინკოტერმს-2000", რომელიც დამუშავებულია საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ.

მიწოდების საბაზისო პირობები ფართოდ არის გავრცელებული საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში.

მიუხედავად იმისა, რომ საბაზისო პირობები დამუშავებულია საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ და უკვე მრავალი წელია გამოიყენება საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში, არის შემთხვევები, როდესაც მათ განსხვავებულად განმარტავენ სხვადასხვა ქვეყნის ბიზნესმენები. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასასურველი გაუგებრობები, ხელშეკრულებაში გარკვევით უნდა მიეთითოს: **„მიწოდების პირობები რეგულირდება „ინკოტერმს-2000" დებულებებით".**

იმ შემთხვევებში, როდესაც მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება არ მიეკუთვნება ტიპიური ხელშეკრულებების ჯგუფს, ან მხარეებს შორის არ არის ჩამოყალიბებული აპრობირებული

სახელშეკრულებო პრაქტიკა, სასურველია ხელშეკრულებაში:

– სრულად იქნას მოყვანილი საქონლის მიწოდების პირობები, ან „ინკოტერმს-2000“ დებულებებთან ერთად, დამატებით იქნეს განმარტებული მიწოდების პირობების ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა: გადაზიდვის ხელშეკრულება, დაზღვევა, გადაზიდვისა და დაზღვევის ხარჯები, რისკის გადაცემის მომენტი.

მიწოდების ვადები ხელშეკრულებაში შესაძლოა მითითებული იყოს რამდენიმე სახით, მათ შორის:

ა) კონკრეტული თარიღი - 2006 წლის 15 თებერვალი;

ბ) დროის გარკვეული მონაკვეთი - 2006 წლის 15-25 თებერვალი.

გ) დაკავშირებული იყოს გარკვეულ თარიღთან - 21 თებერვლამდე, 21 თებერვლის შემდეგ.

დ) დაკავშირებული იყოს გარკვეულ მოვლენასთან - შეტყობინების შემდეგ; მოსავლის მიღების შემდეგ; სამდინარო მიმოსვლის გახსნის შემდეგ (მდინარეებისათვის, რომლებიც იყინება) და სხვა.

იმის გამო, რომ მიწოდების ვადების დარღვევა ხშირად ხდება მხარეებს შორის არსებითი პრეტენზიებისა და დავების საფუძველი, ხელშეკრულებაში/კონტრაქტში მაქსიმალურად გარკვევით უნდა აღინიშნოს მიწოდების თარიღი თუ ვადები, ამ ვადების ათვლის წესი.

მაგალითი:

საქონლის მიწოდება მოხდება საბაზისო პირობებით EXW „ინკოტერმს-2000“-ის პირობების თანახმად. მიწოდების თარიღად ითვლება საქონლის მყიდველისათვის გადაცემის თარიღი გამყიდველის საწარმოში. გამყიდველი ვალდებულია საქონლის გადასატვირთად მზადყოფნის შესახებ მყიდველს აცნობოს ფაქსით. მყიდველი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 48 საათის განმავლობაში უზრუნველყოს საქონლის დატვირთვა ავტომანქანებზე. მიწოდების დროის დარღვევის შემთხვევაში, მყიდველი ჯარიმის სახით გადაიხდის 200 ლარს ყოველი სრული ვადაგადაცილებული საათისათვის.

საქონლის ფასი

საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებაში საქონლის ფასის განსაზღვრას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება, რადგან ძირითადად იგი განსაზღვრავს გარიგების ეფექტურობას.

ხელშეკრულებებში ფასების დადგენა ხდება:

• საქონლის ერთეულზე - კილოგრამზე, ტონაზე, ლიტრზე, მეტრკუბზე და სხვა.

• გამსხვილებულ ერთეულებზე - ას ტონაზე, ათას დეკალიტრზე, ვაგონზე და სხვა.

• წმინდა ერთეულზე საბაზისო შემადგენლობის მიხედვით - მადნეული ნედლეულის, საკვების, ქიმიური ნივთიერებების მიწოდებისას - ყოველ ას ტონა მადანზე 8%-იანი შემადგენლობით; 3%-იან ტენიანობაზე გადაანგარიშებით და სხვა.

როდესაც ერთი ხელშეკრულებით ხდება განსხვავებული საქონლის ან ერთი საქონლის განსხვავებული ტიპების მიწოდება, ფასი განისაზღვრება ყოველი ცალკეული დასახელებისათვის. კომპლექტური მოწყობილობების მიწოდებისას სპეციფიკაციაში უნდა მიეთითოს კომპლექტის ცალკეული ნაწილების ფასი.

იმისათვის, რომ საქონელგაცვლა განხორციელდეს ექვივალენტურ საფუძველზე, აუცილებელია ფასები განისაზღვროს მსოფლიო ბაზრის ფასებით. მსოფლიო ბაზრის ფასები გულისხმობს იმ ფასებს, რომელიც ყალიბდება ძირითად გამყიდველებსა და მყიდველებს შორის, ან საერთაშორისო ვაჭრობის ძირითად ცენტრებში მსხვილი და რეგულარული გარიგებების შედეგად. მსოფლიო ბაზარზე არსებობს ერთი საქონლის მრავალი სახის ფასი, ხშირად ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. საქონლის მსოფლიო ფასებზე გავლენას ახდენს: ანგარიშსწორების ვალუტა, ანგარიშსწორების წესი, მიწოდების პირობები, გაყიდვის ადგილი და დრო და კიდევ მრავალი ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორი.

ხელშეკრულებაში ფასის დაფიქსირებისას აუცილებლად და სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული მიწოდების საბაზისო პირობები, რომელსაც წინა თავში გავეცანით. სხვადასხვა პირობებით მიწოდებული საქონლის ღირებულებები არსებითად იქნება განსხვავებული, რაც პირველ რიგში განპირობებულია გამყიდველისა და მყიდველს შორის ტერიტორიული დაშორებითა და მიწოდებისათვის გამოყენებული ტრანსპორტის სახეობით, მხარეთა ვალდებულებების მოცულობებით.

მხარეების შეთანხმების საფუძველზე საქონლის სახელშეკრულებო ფასი ფიქსირდება ერთი მხარის სახელმწიფო ვალუტაში ან მესამე ქვეყნის ვალუტაში. მაგალითად, კაუჩუკზე და ფერად ლი-

თონებზე ხშირად ფასებს მიუთითებენ ბრიტანულ სტერლინგებში. ნავთობპროდუქტებზე და ბეწვეულზე კი, როგორც წესი, აშშ დოლარებში.

საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში ფასის დაფიქსირების რამდენიმე მიდგომაა გავრცელებული: მყარი, მოძრავი, მცურავი და შემდგომი ფიქსაციით.

მყარი ფასი ფიქსირდება ხელშეკრულების ხელმოწერისას და შემდგომ ცვლილებას აღარ ექვემდებარება. მაგალითად, „ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ღირებულება განისაზღვრა 1000 აშშ. დოლარი 1 მეტრიული ტონისათვის CIF ფოთი შეფუთვის ღირებულების ჩათვლით". ან „ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ფასი განსაზღვრულია 2500 ფუნტი სტერლ. ოდენობით 1 მეტრიული ტონისათვის FOB ფოთის პორტი, შეფუთვის ჩათვლით, გარდა ფრახტის ღირებულებისა. ფრახტის ღირებულება განისაზღვრება საქონლის მიწოდების მომენტში, ბაზარზე მოქმედი საფრახტო განაკვეთების შესაბამისად".

მაგალითი:

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საერთო სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 50 000 აშშ დოლარს;

2. ფასები ნომენკლატურის მიხედვით ნაჩვენებია დანართში;

3. ფასები მყარია და კორექტირებას არ ექვემდებარება;

4. ფასები განსაზღვრულია CIF ფოთის პორტი, საზღვაო შეფუთვის, მარკირებისა და მიწოდების სხვა ხარჯების ჩათვლით.

5. ყველა გადასახადი და საბაჟო მოსაკრებელი, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის მიწოდებასთან, გადაიხდება გამყიდველის მიერ მყიდველის ტერიტორიამდე, ხოლო მყიდველის ტერიტორიაზე, მყიდველის მიერ.

მოძრავი ფასი - ხელშეკრულების ხელმოწერის დროს მასში დაფიქსირებული ფასი, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მიწოდების მომენტისათვის ბაზარზე საქონლის ფასების ცვალებადობის გათვალისწინებით. როგორც წესი, ასეთ ხელშეკრულებებში აღინიშნება ფასების შესაძლო ცვალებადობის დასაშვები ფარგლები, მაგალითად 5-10%, რომლის იქით ფასების შეცვლა დაუშვებელია.

ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ინ-

ფორმაციის ის წყარო, რომელზე დაყრდნობითაც მოხდება ფასების კორექტირება.

მაგალითად:

საბაზისო პირობით მიწოდებული ნავთობის ფასია 100 აშშ დოლარი ერთი მეტრიკული ტონისათვის. ფასი იცვლება ფიქსირებული ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის და შესაძლოა, შეიცვალოს მიწოდების თარიღისათვის, არაბულ ან ერაყის ნავთობზე ფასების გამოცხადებული ცვლილებების მიხედვით. „place oilgram-ში“ გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე.

მცურავი ფასი - საქონლის ფასი, რომელიც განისაზღვრება საქონლის მიწოდების მომენტში. გამოიყენება ისეთი საქონლისათვის, რომელთა დამზადება მოითხოვს ხანგრძლივ ვადებს, მაგალითად, დიდგაბარიტიანი ჩარხები, საზღვაო და საჰაერო ლაინერები, სამშენებლო ობიექტები, ან სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რომლებიც მომავალში იქნება მოწეული და რომელთა ფასის განსაზღვრა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის განსაზღვრული არ არის. მხარეები ხელშეკრულებაში მიუთითებენ საწყის ფასსა და მის სტრუქტურას. მათ შორის, ისეთი ელემენტის პროცენტულ წილს, როგორებიცაა: ძირითადი მასალები, ენერგომატარებლები, ხელფასი, გეგმური მოგება და სხვა. სწორედ ეს პარამეტრები განაპირობებენ ფასების ცვალებადობას, რომელიც განისაზღვრება ჩამოთვლილი კონკრეტული ელემენტის ცვალებადობისა და ფასში მისი ხვედრითი წილის პროპორციულად.

ხელშეკრულებაში, როგორც წესი, აღინიშნება ფასების ფიქსაციის საერთო წესი.

მაგალითად:

„თუ საქონლის მიწოდების მომენტისათვის შეიცვლება გამყიდველის ფაქტიური დანახარჯები, რის შესახებაც იგი დასაბუთებულ წერილობითი ინფორმაციას მიაწვდის მყიდველს, მხარეები განიხილავენ ფასების კორექტირების საკითხს“. ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ფასების შესაძლო ცვალებადობის ზღვრული ფარგლები, მაგალითად, არაუმეტეს 10%-ისა.

ფასები შემდგომი ფიქსაციით - გამოიყენება ისეთ საქონელზე, რომელთა ფასი დამოკიდებულია მათ ხარისხზე ან საქონელზე, რომელთა საბაზრო ფასები განიცდიან ხშირ და არსებით კონიუნქტურულ ცვალებადობას. მაგალითად, შაეი და ფერადი ლითონის ნაგლინი, ფერადი ლითონების მადანი, სხვა მინერალური ნედლეული.

ასეთ ხელშეკრულებებში მითითებული უნდა იყოს, რომ საქონლის კონკრეტული პარტიის მიწოდების მომენტში ან მიწოდების შემდეგ დასაშვებია ფასების კორექტირება იმ წყაროს აუცილებელი მითითებით, რომელიც ადასტურებს მოცემულ კონკრეტულ საქონელზე ფასების ცვლილებას. ასეთი მითითება ხელშეკრულებაში შესაძლოა აისახოს სამი სახით:

1) მითითება „Hausse" (აწევა) გულისხმობს, რომ საქონელზე საბაზრო ფასის ნებისმიერი გაზრდა იწვევს სახელშეკრულებო ფასის გაზრდას.

2) მითითება „baisse" (შემცირება), რომლის თანახმად საქონელზე საბაზრო ფასის ნებისმიერი შემცირება იწვევს სახელშეკრულებო ღირებულების შემცირებას.

3) მითითება „ ausse-baisse" ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ღირებულების ცვლილება დამოკიდებულია საბაზრო ღირებულების ცვალებადობაზე.

როგორც წესი, მხარეები ცდილობენ ხელშეკრულებაში მიუთითონ ის ფარგლები, რომლის ზედა ზღვარს არ უნდა გადასცდეს შესყიდული საქონლისა და ქვედა ზღვარს - გაყიდული საქონლის ფასი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ხელშეკრულებაში ჩადებული სავალუტო პირობები. იმ ვალუტის შერჩევაზე, რომლითაც ფასდება საქონელი და ხდება მხარეებს შორის ანგარიშსწორება, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარიგების ეფექტურობა. არასწორად შერჩეულმა ვალუტამ, შესაძლოა მომგებიანი გარიგება ზარალით დაასრულოს.

ექსპორტიორისა და იმპორტიორის ლოგიკა, ვალუტის შერჩევის პროცესში, განსხვავდება ერთმანეთისაგან; თუმცა რომელიმე მხარისათვის ეს უნდა იქცეს თვითმიზნად, სარგებელი მიიღოს მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანის შედეგად.

მაგალითად:

ფასები ფიქსირებულია და არ ექვემდებარება შეცვლას, თუ თან-

ხა მიღებული იქნება გამყიდველის მიერ 3 თვის განმავლობაში ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან. გამყიდველი უფლებას იტოვებს, ამ ვადის გასვლის შემდეგ მოახდინოს ფასების გადასინჯვა ბაზარზე ფასების გათვალისწინებით.

ანგარიშსწორების პირობები. დოკუმენტები

ხელშეკრულების ამ მუხლში უნდა განისაზღვროს გადახდის ვალუტა, გადახდის ვადები და წესები, მხარეების მიერ ანგარიშსწორების გარანტიები.

ანგარიშსწორების პირობების ჩამოყალიბებისას ვალუტის შერჩევას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ვალუტა ყველა ერთნაირი არ არის. არჩევენ: ძლიერ, მყარ და სუსტ ვალუტას, ანუ თავისუფლად კონვერტირებად და არაკონვერტირებად ვალუტას.

როდესაც საიმპორტო ხელშეკრულების ვალუტა განისაზღვრება მყარ ვალუტაში, როგორც წესი, დანაკარგების კომპენსაციის მიზნით მყიდველი ექსპორტიორისაგან მოითხოვს სავაჭრო ფასდათმობას ან სხვა შეღავათს. საექსპორტო ხელშეკრულებებში, იმპორტიორის ინტერესებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების ფასი განსაზღვრულია სუსტ ვალუტაში, ამიტომ გამყიდველი უნდა ეცადოს, მოსალოდნელი დანაკარგების საკომპენსაციოდ გაზარდოს საქონლის ფასი.

შესაძლოა, ანგარიშსწორების ვალუტა არ დაემთხვეს საქონლის ფასის ვალუტას. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს გაცვლითი კურსი, რომლითაც მოხდება ფასის ვალუტის ანგარიშსწორების ვალუტაზე გადაყვანა. ჩვეულებრივ, გამოიყენება იმ ქვეყნის გაცვლითი კურსი, რომელიც მოქმედებს ქვეყანაში, სადაც უნდა მოხდეს ანგარიშსწორება. მაგალითად, ანგარიშსწორება საქონლისათვის მოხდება შვეიცარულ ფრანკებში. კონტრაქტის ფასის (აშშ დოლარების) გადაყვანა შვეიცარულ ფრანკებში მოხდება ანგარიშსწორების დღისათვის არსებული შვეიცარიის ბანკის საშუალო კურსის მიხედვით.

როგორც წესი, მხარეები ხელშეკრულებაში აფიქსირებენ გადახდის ვადას. თუ ვადა დაუდგენელია, ანგარიშსწორება ხდება გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საქონლის მიწოდების შესახებ შეტყობინების მომენტიდან რამდენიმე დღის განმავლობაში.

თუ იმპორტი ხორციელდება განვითარებადი ქვეყნებიდან, ფასები

განისაზღვრება განვითარებული ქვეყნების თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში. საერთაშორისო ვაჭრობაში ხშირად გამოიყენება აშშ დოლარი (60%); გერმანული მარკა (15%); ფუნტი სტერლინგი (7.5%); ფრანგული ფრანკი (6%); შვეიცარული ფრანკი და იაპონური იენი.

ანგარიშსწორების პირობები განსაზღვრავს ანგარიშსწორების მომენტს საქონლის მიწოდებასთან მიმართებაში. ანგარიშსწორების ძირითადი პირობებია: წინასწარი გადახდა, ანგარიშსწორება დაუყოვნებლივ გადახდით, ანგარიშსწორება კრედიტით გაყიდვისათვის. ანგარიშსწორების საიმედოობის თვალსაზრისით, როგორც ექსპორტიორის, ისე იმპორტიორისათვის ყველაზე ხელსაყრელია ანგარიშსწორება აკრედიტივით.

მაგალითი:

ანგარიშსწორება მოხდება სრული სახელშეკრულებო ღირებულების გადახდით ნაღდ ანგარიშზე ხელშეკრულებაში მითითებულ ბანკში დოკუმენტების კომპლექტის წარდგენისთანავე.

ანგარიშსწორება მოხდება აკრედიტივის ფორმით. მყიდველი ვალდებულებას კისრულობს, საქონლის გადატვირთვისათვის მზადყოფნის შესახებ, გამყიდველის შეტყობინების მომენტიდან 10 დღის განმავლობაში, თბილისის „კრედიტბანკში" გახსნას აკრედიტივი გამყიდველის სასარგებლოდ საქონლის სრულ საკონტრაქტო ღირებულებაზე. ანაზღაურება ხდება ბანკში დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე.

თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის მითითებული, ბანკში დოკუმენტების კომპლექტის წარდგენა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 21 დღისა, გადატვირთვის მომენტიდან. ვადის გადაცილების შემთხვევაში, ბანკს უფლება აქვს უარი თქვას გადახდაზე, რაც გაართულებს ანგარიშსწორებას.

ბანკი ამოწმებს წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას აკრედიტივში მითითებულ დოკუმენტებთან. რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში, ბანკი, არაუგვიანეს მეორე დღისა, დოკუმენტებს უბრუნებს ექსპორტიორს დასაზუსტებლად.

გადახდის პირობები

საქონლის ფასის გადახდა მოხდება დადასტურებული, გაუყოფელი, დოკუმენტირებული აკრედიტივით, რომელსაც მყიდველი გახს-

ნის თბილისის „კომპანიში" საქონლის გადატვირთვამდე 10 დღით ადრე, გამყიდველის სასარგებლოდ.

გადახდა მოხდება დოკუმენტების კომპლექტის საფუძველზე, რომელსაც გამყიდველი წარადგენს ბანკში, არაუგვიანეს 21 დღისა საქონლის გადატვირთვის მომენტიდან.

დოკუმენტები შედგება:

1. ანგარიშ-ფაქტურა ოთხ ეგზემპლარად, ყოველ გადატვირთულ პარტიაზე;

2. სუფთა საბორტო კონოსამენტის სრული კომპლექტი, გაცემული მყიდველის სახელზე;

3. წარმოშობის სერთიფიკატის ორიგინალი;

4. შეფუთვის ფურცელი სამ ეგზემპლარად;

5. ხარისხის სერთიფიკატი, გაცემული დამამზადებლის მიერ სამ ორიგინალურ ეგზემპლარად;

6. სადაზღვევო პოლისის ორიგინალი;

7. საინსპექციო შემოწმების სერთიფიკატი;

8. აწონვის სერთიფიკატი.

ყველა ჩამოთვლილი დოკუმენტი უნდა გამოიწეროს თითოეულ ცალკეულ კონტეინერზე.

საქონლის მიღება-ჩაბარება

მიწოდების პროცესში საქონლის დაცვისა და მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების შესანარჩუნებლად გამყიდველი ვალდებულია:

- დაიცვას საქონლის შეფუთვის, მარკირების, პლომბირების წესები;

- სრულად და გარკვევით შეადგინოს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პროდუქციის ხარისხს;

- დროულად მიაწოდოს (გადაუგზავნოს) მყიდველს საქონლის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები;

- დაიცვას ტვირთის ჩაბარების, დატვირთვისა და დამაგრების დადგენილი წესები.

საქონლის გადაცემა გულისხმობს მის გადაცემას მყიდველის საკუთრებაში - სარგებლობის, მფლობელობისა და განკარგვაში ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. გადაცემა არის პროცედურა, რომლის შემდეგ მყიდველს შეუზღუდავი საშუალება აქვს განახორციელოს კონტროლი შეძენილ საქონელზე. საქონლის გა-

დაცემას ექსპორტიორის მიერ იმპორტიორისათვის ანუ მიწოდებას ახორციელებს ექსპორტიორი. მიწოდება და საქონლის ჩაბარება გულისხმობს მყიდველის - იმპორტიორისათვის საქონელთან ერთად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი დოკუმენტის გადაცემას, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმითა და რაოდენობით.

საქონლის მიღება – მიწოდებული საქონლის შემოწმება, რაოდენობითა და ხარისხით, კონტრაქტთან მისი შესაბამისობის დადგენის მიზნით, ტექნიკური პირობების, სტანდარტების, ნიმუშ-ეტალონების საფუძველზე.

მიღება-ჩაბარება – ერთიანი აქტია, რომელიც ხელშეკრულებაში აღინიშნება ფორმულირებით: „საქონელი ითვლება მიწოდებულად გამყიდველის მიერ და მიღებული მყიდველის მიერ..."

მიღება-ჩაბარების წესი გულისხმობს მიღება-ჩაბარების ფორმას (წინასწარი თუ საბოლოო); მიღება-ჩაბარების ვადებს; მიღება-ჩაბარების ფაქტიურ ადგილს; ხარისხის მიხედვით მიღებისა და რაოდენობის განსაზღვრის წესებს; მიღება-ჩაბარების განმახორციელებელ ორგანოებს და მათ კომპეტენციას.

ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს გამყიდველის მიერ მიწოდებული საქონლის ფაქტიური რაოდენობის განსაზღვრის წესი - წონით (აწონის სიზუსტისა და მეთოდის მითითებით), მოცულობით, თვლით. თუ რაოდენობა მოცემულია წონის ან მოცულობის ერთეულებში, უნდა აღინიშნოს, რომელი რაოდენობა უნდა შემოწმდეს - მოწოდებული თუ გადატვირთული.

ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს კომერციული აქტის შედგენის წესები (მათ შორის, ის კომპეტენტური ორგანოები, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას მიწოდებული საქონლის ექსპერტიზაში), დაზიანებული საქონლის გამოვლენის შემთხვევაში - გამყიდველის შეტყობინების ვადები და წესი. ასევე მყიდველს უფლება აქვს მიავლინოს თავისი ინსპექტორები გამყიდველის საწარმოში და საქონლის მიღება აწარმოოს ადგილზე, მის ტრანსპორტირებისათვის შეფუთვამდე. ასეთ შემთხვევაში გამყიდველი მყიდველს ატყობინებს საქონლის მზადყოფნას ფაქსით, საქონლის მიღების დაწყებამდე 10 დღით ადრე. თუ ამ ვადაში გამყიდველი მიიღებს შეტყობინებას, რომ მყიდველის ინსპექტორები ვერ მონაწილეობენ საქონლის მიღებაში ან გამყიდველი საერ-

თუ ვერ მიიღებს რაიმე პასუხს, მას უფლება აქვს, საქონელი მიი-ღოს მყიდველის ინსპექტორების მონაწილეობის გარეშე.

საქონლის მიღების შედეგები ფორმდება აქტით, რომელსაც გამ-ყიდველი წარუდგენს მყიდველს და იგი თან უნდა დაერთოს გამ-ყიდველის შეტყობინებას, რომ საქონელი მზადაა გადასატვირთად.

თუ მყიდველის მონაწილეობით ჩატარებულ მიღების პროცეს-ში გამოვლინდება ხელშეკრულების მოთხოვნებთან შეუსაბამო სა-ქონელი, გამყიდველი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით, დაუყოვ-ნებლივ შეცვალოს დეფექტური ნაწილები. მყიდველის მოთხოვ-ნით, შესაძლოა, შეცვლის შემდეგ საქონლის მიღება მოხდეს განმე-ორებით. გამოვლენილი დეფექტური საქონლის ნაწილის შეცვლა არ აძლევს უფლებას გამყიდველს, დაარღვიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადები.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის მიწოდება მყიდველისათ-ვის ხდება მიღება-ჩაბარებისა და შესაბამისი შემოწმების პროცე-დურების გარეშე, გამყიდველი მყიდველს წარუდგენს სათანადო გარანტიას, შესაბამისობის სერთიფიკატებს, გამოცდის ოქმებს.

საქონელი ითვლება ხარისხის მიხედვით ჩაბარებულად - გამ-ყიდველის მიერ წარმოდგენილი ხარისხის სერთიფიკატის შესაბა-მისად, ხოლო რაოდენობის მიხედვით - ანგარიშ-ფაქტურაში მითი-თებული საერთო წონისა და სატრანსპორტო ადგილების რაოდე-ნობის მიხედვით. საქონლის მიღება უნდა გაფორმდეს დამოუკი-დებელი ექსპერტის მიერ, მყიდველის ხარჯზე.

მაგალითი:

საქონელი ითვლება ჩაბარებულად გამყიდველის მიერ და მი-ღებულად მყიდველის მიერ, კონოსამენტში მითითებული წონის მი-ხედვით, რომელიც გაიანგარიშება დატვირთვის პორტის სანაპი-რო რეზერვუარების აზომვის შედეგების საფუძველზე. ხარისხის მიხედვით კი, დატვირთვის პორტის ლაბორატორიის მიერ გაცემუ-ლი ხარისხის სერთიფიკატის მიხედვით.

კონოსამენტში მითითებული წონა სავალდებულოა და საბო-ლოოა ორივე მხარისათვის. დატვირთვის დაწყებამდე აღებული უნდა იქნეს ოთხი ლაბორატორიული სინჯი, რომელიც ილუქება გამყიდველისა და ტანკერის კაპიტნის (თუ დატვირთვას ესწრება მყიდველის წარმომადგენელი, მაშინ მისი ლუქით) ლუქით. ორივე

მხარე ნიმუშებს ინახავს ორი თვის განმავლობაში, დაწყებული მიწოდების თარიღიდან და გამოიყენებენ პრეტენზიების დასარეგულირებლად, თუ კი ასეთი წარმოიქმნება;

თუ გამოვლინდება გამყიდველისა და მყიდველის ლაბორატორიების მიერ ჩატარებული საარბიტრაჟო სინჯების ანალიზის შედეგებს შორის განსხვავებები, პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში. საბოლოო ანალიზი ტარდება დამოუკიდებელ და ნეიტრალურ ლაბორატორიაში, რომელიც შეირჩევა მხარეთა შეთანხმებით.

მიწოდებული საქონლის რაოდენობისა და ხარისხის შემოწმება დაიშვება მხოლოდ გამყიდველის წარმომადგენლის თანდასწრებით, მიღება-ჩაბარების აქტი ძალაშია მხოლოდ გამყიდველისა და მყიდველის ხელმოწერის შემდეგ.

ტრანსპორტირების პირობები

საქონლის მიწოდების თაობაზე სახელშეკრულებო პირობების შესრულების პროცესში მხარეები სახელშეკრულებო ურთიერთობებს ამყარებენ სატრანსპორტო ორგანიზაციებთან როგორც თავის ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. გადაზიდვისათვის ტრანსპორტის სახისა და გადამზიდავი კომპანიის შერჩევისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს: ტვირთის სახე, მანძილი, მარშრუტი, დროის ფაქტორი, გადაზიდვის ღირებულება. საერთაშორისო გადაზიდვები გამყიდველის პოზიციიდან იყოფა ორ ძირითად ეტაპად:

- ტრანსპორტირება ქვეყნიდან გასასვლელ სატრანსპორტო კვანძამდე;
- ტრანსპორტირება სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ.

პირველ ეტაპზე გამოიყენება სარკინიგზო, საავტომობილო, სამდინარო ტრანსპორტი; **მეორე ეტაპზე** - საზღვაო, როგორც ყველაზე ეფექტური ტრანსპორტირების სხვა საშუალებებთან შედარებით.

უცხოელ პარტნიორთან ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებამდე უნდა დაზუსტდეს საექსპორტო პროდუქციის ტრანსპორტირების ფასები, ანუ ხარჯები ტვირთის ექსპორტიორის საწარმოდან, იმპორტიორის მიერ მითითებულ დანიშნულების პუნქტამდე, სატრანსპორტო მომსახურების ხარისხი და საიმედობა, მარშრუტის მთელ მანძილზე. ასეთი მაჩვენებლები საერთაშორისო საქო-

ნელბრუნვაში იყოფა ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებად. რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია: გადაზიდვის გეოგრაფია, საქონლის სატრანსპორტო მახასიათებლები, დატვირთვა-გადმოტვირთვის ტექნოლოგია. ხარისხობრივი მაჩვენებლებია: ტრანსპორტირების სიჩქარე, ტვირთების დაცვის საიმედობა, ტრანსპორტის მიმოსვლის პერიოდულობა და სხვა.

საქონლის ფასი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ისეთ სატრანსპორტო ფაქტორებზე, როგორიცაა გეოგრაფიული დაშორება, მარშრუტის სირთულე, არსებული სატრანსპორტო და საბაჟო ტარიფები.

ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის არსებობს სატრანსპორტო ხარჯების განაწილების ორი ძირითადი მიდგომა. პირველი, ურთიერთხელსაყრელი, როდესაც მხარეები მზად არიან თანაბრად გაანაწილონ გადაზიდვის პრობლემები და მეორე, როდესაც გადამწყვეტ როლს თამაშობს კონკურენტულობის პრინციპი; თუ მიწოდება ჭარბობს საქონელზე მოთხოვნას, ტრანსპორტირების ხარჯების ძირითადი ტვირთი აწვება გამყიდველს და, თუ მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას, ხდება პირიქით.

არსებობს საქონლის ფასის სატრანსპორტო შემადგენელის განსაზღვრის კიდევ ერთი მიდგომა, კერძოდ, როდესაც ტრანსპორტირების ხარჯები ექსპორტიორის ან იმპორტიორის ტერიტორიაზე არ ახდენს გავლენას საქონლის საექსპორტო თუ საიმპორტო ფასებზე, საკონტრაქტო ფასი განისაზღვრება პირობით - ფრანკო ექსპორტიორის ან იმპორტიორის საზღვარი.

საერთაშორისო ვაჭრობაში ყველაზე უფრო გავრცელებულია მხარეებს შორის სატრანსპორტო ხარჯების განაწილების კონკურენტული პრინციპი.

ხშირად სატრანსპორტო ხარჯები საკმაოდ მაღალია, როგორც აბსოლუტურად, ისე საქონლის ფასში მისი ხვედრითი წილის მიხედვით, ამიტომ ჯერ კიდევ ხელშეკრულების ხელმოწერამდე, რაც შეიძლება ზუსტად უნდა იქნეს გაანგარიშებული მოსალოდნელი დანახარჯები, ტვირთის გადაადგილების სატრანსპორტო ოპერაციის ყველა რგოლში.

ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ანაზღაურებადი ოპერაციებია:

- ტვირთის მომზადება ტრანსპორტირებისათვის (წონის, ხარის-

ხის, ტარისა და შეფუთვის შემოწმება);

- დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები ქვეყნის შიგნით;
- დასაწყობება და შენახვა გადატვირთვის პუნქტებში;
- ტრანსპორტირება ქვეყნის ბოლო სატრანსპორტო პუნქტამდე;
- დაზღვევა, საბაჟო დეკლარირება;
- ტვირთის ტრანსპორტირება მყიდველის საწყობამდე.

ზღვით ტრანსპორტირების შემთხვევაში ხელშეკრულების გადაზიდვის პირობებში აღინიშნება: დატვირთვა-გადმოტვირთვის პორტები, გადატვირთვის პუნქტები, გადამზიდავი, შეტყობინების წესი გემების დატვირთვისა და პორტიდან გასვლის შესახებ;

ხელშეკრულებაში ასევე შეიძლება განისაზღვროს დატვირთვა-გადმოტვირთვის ნორმები, ასეთი ოპერაციების შესრულების ვადები, სტივიდორებისა და აგენტების დანიშვნის, დისპაჩებისა და დემერეჯების განაკვეთები და გადახდის წესი.

მაგალითი:

გამყიდველი ან მისი სახელით გადამზიდავი, დატვირთვის დამთავრებიდან 24 საათის განმავლობაში ფაქსითატყობინებს მყიდველს (ტვირთის მიმღებს) გემის დასახელებას, კონტრაქტის ნომერს, კონოსამენტის თარიღს, საქონლის დასახელებასა და რაოდენობას.

მყიდველი ან მისი აგენტი ვალდებულია არაუგვიანეს 15 დღისა, ყოველი მომდევნო თვის დაწყებამდე ფაქსით ან ტელეგრაფით შეატყობინოს გამყიდველს მომავალი თვის მიწოდების გრაფიკი. მყიდველი ვალდებულია ასეთი შეტყობინება დაადასტუროს 72 საათის განმავლობაში. მყიდველი გამყიდველს ან მის აგენტს დატვირთვის პორტში გადასცემს 12 დღიან წინასწარ და 7 დღიან საბოლოო „ნოტისს" გემის დასახელებითა და დროშის მითითებით, დასატვირთი საქონლის მოცულობის, დატვირთვის პორტში გემის მისვლის თარიღის შესახებ.

მყიდველი ავალდებულებს ხომალდის კაპიტანს, გადასცეს ხომალდის ან გამყიდველის აგენტს „ნოტისი" დატვირთვის პორტში ტელეგრაფით ან ფაქსით არა უგვიანეს 72, 48, 24 საათისა დატვირთვის პორტში გემის მისვლამდე. დატვირთვის პორტში დატვირთვის დროის ათვლა იწყება 6 საათის გასვლის შემდეგ, კაპიტნის მიერ გემის დატვირთვის ოპერაციებისათვის მზადყოფნის შესახებ

„ნოტისის" გაცემიდან, რომელიც შეიძლება გაიცეს დღისა და ღამის ნებისმიერ მომენტში, მიუხედავად იმისა, გემი დგას ნავმისადგომთან თუ არა.

გამყიდველის ქმედება —— საათი, —— მეტრული ტონის გემზე ჩასატვირთად, ხელსაყრელი ამინდის პირობებში, სადღესასწაულო და უქმე დღეების ჩათვლით. დატვირთვის ოპერაციის ნებისმიერი შეფერხება გემის მიზეზით არ ჩაითვლება დატვირთვის ვადაში. დატვირთვის ვადის გადაჭარბების შემთხვევაში —— საათზე მეტი ხნით, გამყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მყიდველს „დემერჯი" (ჯარიმა დატვირთვის ვადის გადამეტებისათვის) აშშ დოლარი ყოველი სრული 24 საათისათვის, ხოლო ვადაზე ადრე დატვირთვისათვის მიიღოს დისპაჩი — აშშ დოლარის ოდენობით ვადაზე ადრე ჩატვირთვის ყოველი სრული 24 საათისათვის.

გემის დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები პორტში რეგულირდება პორტის წესებითა და ჩვეულებებით.

დაზღვევა

ხელშეკრულების ამ მუხლში ყალიბდება დაზღვევის ოთხი ძირითადი დებულება: რისი დაზღვევა ხდება, ვინ აზღვევს, ვის სასარგებლოდ ხდება დაზღვევა და რომელი სახის რისკებისაგან ხდება დაზღვევა. როგორც წესი, საერთაშორისო ვაჭრობაში ტვირთები ეზღვევა ტრანსპორტირების პროცესში ტვირთის დაზიანებისა და დაკარგვისაგან. როდესაც საქონელი გადაადგილდება გამყიდველიდან (ექსპორტიორიდან) მყიდველამდე (იმპორტიორამდე), არსებობს მისი მთლიანად ან ნაწილობრივ დაზიანების ან დაკარგვის რისკი, რაც ზარალს აყენებს საქონლის გამყიდველს. ასეთი რისკისაგან დაცვისა და შესაძლო ზარალის თავიდან აცილების მიზნით ხდება ტვირთების დაზღვევა შერჩეულ სადაზღვევო კომპანიაში, რისთვისაც დამზღვევი (პირი, რომელიც აზღვევს ტვირთს და შესაბამისად, რისკს გადასცემს მეორე პირ-სადაზღვევო კომპანიას) გარკვეულ თანხას უხდის მზღვეველს (პირს, რომელიც ვალდებულებას იღებს აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევით (მიყენებული ზარალი) გაწეული მომსახურებისათვის. თანხა გამოითვლება პროცენტებში საქონლის საკონტრაქტო ღირებულებიდან.

გადასაზიდი ტვირთების დაზღვევა, როგორც წესი, ნებაყოფლო-

ზიით აქტია, მისი პირობები კონკრეტულად ყალიბდება კონტრაქ-ტის შესაბამის მუხლში, კერძოდ:

• გამყიდველისა და მყიდველის უფლებები და მოვალეობები ტვირთის დაზღვევის საკითხში;

• სადაზღვევო გარანტიების მოცულობა და ხანგრძლივობა;

• დაზღვევის პირობები.

დაზღვევის ოპერაცია შეიძლება განახორციელოს ნებისმიერმა პარტნიორმა, როგორც გამყიდველმა, ისე მყიდველმა; დამზღვევმა ტვირთი შესაძლოა დააზღვიოს თავის სასარგებლოდ, ასევე მეორე მხარის ან მესამე პირის სასარგებლოდ. როგორც წესი, ტვირთის დაზღვევა ხდება ტვირთის მიმღების სასარგებლოდ, იმისდა მიხედ-ვით - ვისზეა ტვირთის დაკარგვისა და დაზიანების რისკი.

„ინკოტერმს–2000“-ს კონკრეტული საბაზისო პირობა განსაზღვ-რავს დაზღვევაზე პასუხისმგებელ მხარეს. როგორც წესი საქონ-ლის მიწოდებისას, დაზღვევა ექსპორტიორის ვალდებულებაა. არის ისეთი პირობაც, რომელიც არ ითვალისწინებს დაზღვევის, ანუ დაზღ-ვევის ხელშეკრულების დადების ვალდებულებას ერთი, ან ორივე მხარისათვის. დაზღვევის ხელშეკრულება-სადაზღვევო პოლისი ან სერთიფიკატი შედის იმ დოკუმენტების კომპლექტში, რომელთა სა-ფუძველზე ხდება მხარეთა შორის ანგარიშსწორება. წინასახელ-შეკრულებო მოლაპარაკებების პროცესში მხარეები უნდა შეითანხ-მდნენ სადაზღვევო კომპანიის შერჩევაზე. სასურველია სადაზღვე-ვო ხელშეკრულება დაიდოს ავტორიტეტულ და საიმედო კომპანი-ასთან, კონტრაქტის ვალუტაში, დანიშნულების პორტამდე (ან დანიშ-ნულების პუნქტამდე) ოპტიმალურ სადაზღვევო პირობებზე.

მიუხედავად იმისა, ითვალისწინებს თუ არა მიწოდების პირობე-ბი დაზღვევაზე მხარეების ვალდებულებას, ნებისმიერ მხარეს უფ-ლება აქვს განახორციელოს დაზღვევა (შეარჩიოს სადაზღვევო ხელ-შეკრულება და დადოს დაზღვევის ხელშეკრულება) საკუთარი ინი-ციატივით, ხარჯითა და რისკით, მისთვის მისაღები მოცულობითა და საიმედობით.

სადაზღვევო გარანტიის ხანგრძლივობა, რომელიც კონტრაქტის აუცილებელი და არსებითი პარამეტრია, დამოკიდებულია იმ მაქ-სიმალურ დროზე, რაც საჭირო იქნება გამყიდველიდან მხარეებს შორის შეთანხმებული დანიშნულების პუნქტამდე ტვირთის მისა-ტანად და რომელზეც ვრცელდება გარანტია.

ჩვეულებრივ, დაზღვევის მოცულობა შეადგენს 110%-ს. მათ შორის, 10% წარმოადგენს იმ მოგების ნაწილს, რომელიც უნდა მიიღოს მყიდველმა (იმპორტიორმა) შეძენილი საქონლის გამოყენებით.

სადაზღვევო პოლისები (სადაზღვევო ხელშეკრულებები) იყოფა სამ ძირითად კატეგორიად: რეისო, ვადა და შერეული.

სარეისო პოლისით ხდება საქონლის (ტვირთის) დაზღვევა გადაზიდვის პროცესში ერთი პუნქტიდან მეორე პუნქტამდე.

ვადიანი პოლისით ტვირთის ეზღვევა დროის გარკვეულ მონაკვეთში.

შერეული პოლისით ტვირთი დაზღვეულია მოცემულ რეისისა და განსაზღვრული დროის მონაკვეთში.

პრაქტიკაში გავრცელებულია ტვირთების დაზღვევის სამი სახე:

„პასუხისმგებლობით ყველა რისკებისათვის" - როდესაც სადაზღვევო ხელშეკრულება ითვალისწინებს ნებისმიერი მიზეზით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას;

„პასუხისმგებლობით კერძო ავარიისათვის" - რომელიც ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურებას, თუ იგი გამოწვეულია სტიქიური მოვლენებითა და ავარიებით - დატვირთვა-გადმოტვირთვის ხომალდზე საწვავის მიღებისას და სხვა.

„პასუხისმგებლობის გარეშე, გარდა შეჯახების შემთხვევებისა" - როდესაც ზიანის ანაზღაურება ხდება მხოლოდ ხომალდის სრული ან ნაწილობრივ დაღუპვის, ასევე დაზიანებისათვის ხომალდების შეჯახების, მეჩეჩზე დაჯდომის, აფეთქებისა და ხანძრის შედეგად.

მხარეების ინტერესს მაქსიმალურად იცავს დაზღვევა პირობით „პასუხისმგებლობა ყველა რისკებისათვის". მინიმალურ პირობებს ითვალისწინებს პირობა „პასუხისმგებლობა კერძო ავარიებისათვის".

თუ დაზღვევა ხდება მინიმალური პირობით „პასუხისმგებლობა კერძო ავარიისათვის", მყიდველის მოთხოვნით და მის ხარჯზე გამყიდველს შეუძლია შეასრულოს დამატებითი სადაზღვევო პროცედურები, კერძოდ: დაზღვევა საომარი მოქმედებისაგან, გაფიცვებისაგან, სამოქალაქო მღელვარებისაგან და სხვა რისკებისაგან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ტვირთის ღირებულების 100%-ზე მეტი მოცულობით დაზღვევა საკუთარი ხარჯებით.

სადაზღვევო პირობების შეთანხმებისას გვახსოვდეს, რომ ყველაზე საიმედო სადაზღვევო პოლისიც კი არ ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურებას ტვირთის შეცნებულად ან აშკარა დაუდევრობით დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, კონტრაქტში კონკრეტულად უნდა იქნეს მითითებული ყველა რისკი, რომლებისგანაც ტვირთი უნდა იქნეს დაზღვეული.

მაგალითი:

გამყიდველი აზღვევს საქონელს ყველა სატრანსპორტო რისკებისაგან სრული საფაქტურო ღირებულებით. ხელშეკრულების ვალუტაში, სადაზღვევო კომპანია „შატილში". სადაზღვევო პოლისი გამოიწერება მყიდველის სახელზე.

საკუთრების უფლების გადასვლა

სავაჭრო ურთიერთობებისა და მათ შორის, საერთაშორისო სავაჭრო გაცვლის ოპერაციების ძირითადი შედეგია საქონლის მესაკუთრის შეცვლა - საკუთრების უფლების გადასვლა გამყიდველისაგან მყიდველზე, მიმწოდებლისაგან მიმღებზე, ექსპორტიორისაგან იმპორტიორზე. ამ პროცესში დაშვებული შეცდომა სერიოზულ პრობლემებს უქმნის პირველ რიგში, მყიდველს როგორც არასწორად შეძენილი ქონების (საქონლის), ისე ასეთი ქონების გამოყენებით ახალი პროდუქციის წარმოებისას.

ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია მოკლედ განვმარტოთ საკუთრების ცნება და საკუთრების უფლების შინაარსი. საკუთრება ნიშნავს პირის უფლებას, ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს ნივთს - მატერიალურ ან არამატერიალურ ქონებას.

მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, ხელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონების სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება სხვა პირთა უფლებები, ანდა თუ ეს ქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. სარგებლობის უფლება მოიცავს ასევე შესაძლებლობას, პირმა არ ისარგებლოს თავისი ნივთით.

საქონელზე საკუთრების უფლების გადასვლასთან პირდაპირაა დაკავშირებული საქონლის დაკარგვისა და გაფუჭების რისკის მყიდველზე გადასვლის მომენტი. მყიდველზე საკუთრების უფლების გა-

დასულამდე საქონელი იმპორტიორის რჩება საკუთრებაში და იგი საკუთარი ნებით განკარგავს მას.

საკუთრების უფლების გადასვლა ერთი პირისაგან მეორე პირზე, ექსპორტიორიდან იმპორტიორზე, ხშირად არ ემთხვევა უშუალოდ საქონლის გადაცემის მომენტს და როგორც წესი, განისაზღვრება მხარეების შორის დადებული ხელშეკრულებით.

მაგალითად:

საქონელზე საკუთრების უფლება და დაკარგვისა და გაფუჭების რისკი გამყიდველიდან მყიდველზე გადადის და საქონლის მიწოდება ითვლება განხორციელებულად, თუ ტვირთი პორტში გემის ბორტზეა ატანილი.

საქონელზე საკუთრების უფლება და საქონლის დაკარგვისა და გაფუჭების რისკი ექსპორტიორისაგან იმპორტიორზე გადადის მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტში, ტვირთის მიღების პუნქტში.

საქონელზე საკუთრების უფლება ჩაითვლება მყიდველზე გადასულად, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა მოხვდება გამყიდველის საბანკო ანგარიშზე.

თუ მყიდველი ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო პირობას, გამყიდველი უფლებას იტოვებს მიჰყიდოს საქონელი სხვა პირს, მყიდველთან შეთანხმების გარეშე. საქონლის სხვა პირისათვის მიყიდვით გამყიდველისათვის მიღებულ ზარალს ანაზღაურებს მყიდველი.

გარანტია

თუ გარიგების ობიექტს წარმოადგენს დანადგარები, მოწყობილობები და რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პირობები, რომელთა თანახმადაც გამყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას საქონლის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე: მწარმოებლურობაზე, ხანგამძლეობაზე, საიმედოობაზე, უსაფრთხოებაზე, ენერგომოხმარებაზე და სხვა. როგორც წესი, გამყიდველი აღნიშნულ მახასიათებლებზე პასუხისმგებლო-

ბას იღებს. ასე გარანტიას იძლევა გარკვეული დროით, რასაც საგარანტიო ვადა ეწოდება. საგარანტიო ვადა დამოკიდებულია მოწყობილობის სირთულეზე, ექსპლუატაციის პირობებზე და მხარეთა შეთანხმებაზე. მთელი რიგი მასიური წარმოების საქონელზე საგარანტიო ვადები განსაზღვრულია შესაბამისი სტანდარტებითა და ტექნიკური რეგლამენტებით. ხშირად საგარანტიო ვადების დადგენა ხდება საბაზრო კონიუნქტურული გარემოებების გათვალისწინებით. საგარანტიო ვადის ათვლა იწყება მოწყობილობის ექსპლუატაციაში შესვლის ან გაყიდვის მომენტიდან. ზოგჯერ ორივე ფაქტორი ერთდროულად გაითვალისწინება.

საგარანტიო ვადის განმავლობაში გამყიდველი ვალდებულია: დაუყოვნებლივ აღმოფხვრას გამოვლენილი ხარვეზები, მყიდველის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში შეცვალოს დეფექტური დეტალი ან კვანძი, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში - დააბრუნოს გაყიდული საქონელი ან მთლიანად შეცვალოს იგი. საგარანტიო ვალდებულებით გამყიდველი პასუხისმგებელია გამოასწოროს ხარვეზები, რომლებიც წარმოიქმნა გამყიდველის მიზეზებით. თუ ხარვეზები, ან დეფექტები გამოწვეულია ობიექტის არასწორი ექსპლუატაციით, სამუშაო რეჟიმების უხეში დარღვევით, არაკვალიფიციური პერსონალის მომსახურებით, პასუხისმგებლობა ეკისრება მყიდველს. ამდენად, საგარანტიო პირობებში ჩამოთვლილი უნდა იყოს ყველა ის შემთხვევა, რომლებზეც გარანტია არ ვრცელდება. საგარანტიო ვადა რამდენიმე თვიდან რამდენიმე წლამდეა და როგორც აღვნიშნეთ, დამოკიდებულია საქონლის ბუნებაზე, ხარისხსა და მხარეთა შეთანხმებაზე.

მაგალითად:

• *გამყიდველი იძლევა გამოყენებული მასალის მაღალი ხარისხისა და დამუშავების მაღალი სიზუსტის გარანტიას.*

• *საგარანტიო ვადაა - თვე გაყიდვიდან, მაგრამ არაუმეტეს თვე დამზადების თარიღიდან.*

• *საგარანტიო ვადის განმავლობაში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, გამყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ, სრულად და საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას ყველა დეფექტი შეკეთების, ნაწილობრივ ან მთლიანად შეცვლის გზით.*

• *გამყიდველი პასუხს არ აგებს იმ დეფექტებზე, რომელიც გა-*

მოწვეულია ტრანსპორტირების, შენახვისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევით.

• *შეცვლილი საქონელი გამყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში უბრუნდება გამყიდველს მის ხარჯზე შეთანხმებულ ვადებში.*

• *ხარვეზების რაობა და მოცულობა უნდა დადასტურდეს დამოუკიდებელი კომპეტენტური ორგანიზაციის მიერ შედგენილი აქტით.*

• *რეკლამაცია (ოფიციალური საპრეტენზიო განცხადება) ხარვეზების შესახებ უნდა წარედგინოს გამყიდველს გამოვლენის მომენტიდან არაუგვიანეს 30 დღისა ტელეგრამით ან ფაქსით, მაგრამ არაუგვიანეს ორი თვისა საგარანტიო ვადის გასვლიდან.*

გამყიდველის გარანტია არ ვრცელდება სათადარიგო და სწრაფცვეთად დეტალებზე, აგრეთვე იმ ხარვეზებზე, რომლებიც გამოწვეულია არასწორი ტრანსპორტირებითა და ექსპლოატაციის წესების დარღვევით.

ტექნიკური მომსახურება

ხშირად გარიგების ობიექტს წარმოადგენს ურთულესი დანადგარი, ტექნოლოგიური მოწყობილობა, სისტემები და კომპლექსები, რომლებიც ხასიათდებიან უმაღლესი სიზუსტით, უახლესი ტექნოლოგიების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენების მაღალი ხარისხით. ასეთი მოწყობილობა საჭიროებს ტექნიკურ მომსახურებას, უფრო ზუსტად, ტექნიკური მომსახურების სამუშაოების კომპლექსურ სისტემას, რაც სერიული მოწყობილობის სირთულის ადექვატურია.

არასრულ ან არასწორ ტექნიკურ მომსახურებას შესაძლოა მოჰყვეს ისეთი არასასურველი შედეგები, როგორიცაა: სიზუსტის, მწარმოებლობის, საიმედობის შემცირება; ენერგომატარებლების ხარჯვის, უხარისხო პროდუქციისა და საექსპლოატაციო ხარჯების ზრდა.

გამომდინარე აქედან, რთული სამრეწველო დანიშნულების დანადგარ-მოწყობილობებისა და სისტემების მიწოდების კონტრაქტებში სრულად უნდა იყოს დაფიქსირებული მხარეების ვალდებულებები ტექნიკური დახმარების, ტექნიკური მომსახურების, ინსტრუქტაჟისა და აუცილებელი ტექდოკუმენტაციის მიწოდების საკითხებზე.

ტექნიკური მომსახურების სამუშაოები, როგორც ტექნიკური, ისე

ეკონომიკური თვალსაზრისით, იყოფა ორ ჯგუფად:

ა) სამუშაოები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ტექნოლოგიური მოწყობილობების ექსპლოატაციის ადგილზე მყიდველის პერსონალის მიერ;

ბ) სამუშაოები, რომლებიც უნდა შეასრულონ გამყიდველის სპეციალისტებმა.

ხელშეკრულებაში, როგორც წესი, აღინიშნება ის სამუშაოები, რომელიც უნდა შეასრულოს გამყიდველმა. მათ შორის: სამონტაჟო და გამშვებ-გამმართავი ოპერაციები, სათადარიგო ნაწილების მიწოდება, სპეციალისტების მომზადება, პერიოდული პროფილაქტიკური მომსახურება, დახმარება ავარიული სიტუაციების წარმოქმნისას და აუცილებელი ტექნიკური დოკუმენტაციის მიწოდება.

მაგალითები:

1. გამყიდველი უზრუნველყოფს მყიდველის თანამშრომლების კონსულტირებასა და ინსტრუქტაჟს № 4 დანართის თანახმად. პერსონალის შერჩევა ხდება ერთობლივად, გამყიდველისა და მყიდველის სპეციალისტების მიერ მხარეთა შორის შეთანხმებული პროგრამით. კონსულტაციებს გამყიდველი ჩაატარებს თბილისში, მოწყობილობის ექსპლუატაციის ადგილზე. გამყიდველი პასუხისმგებელია მყიდველის პერსონალის სწავლებაზე და ვალდებულია უზრუნველყოს სწავლების სათანადო დონე მოწყობილობის მაქსიმალურად ეფექტური გამოყენებისათვის.

2. მონტაჟს ახორციელებს გამყიდველი, მყიდველის მიერ მითითებულ შენობაში ქ. თბილისში. მყიდველი პასუხს აგებს შენობის შერჩევასა და საინჟინრო ქსელებით მის უზრუნველყოფაზე გამყიდველის მიერ წარდგენილი სპეციფიკაციის თანახმად (დანართი № 1).

1. მონტაჟის სამუშაოები მოიცავს:

ა) სამირკვლებისათვის ადგილის შერჩევას;

ბ) სამირკვლების მიწისა და ბეტონის სამუშაოებს;

გ) კომუნიკაციების გამოყვანას;

დ) სავენტილაციო სისტემის მოწყობას;

ე) სამონტაჟო სამუშაოებს;

ვ) საცდელ გაშვებას;

ზ) ორკვირიან საცდელ ექსპლუატაციას.

3. მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გამყიდველის სპეციალისტები ფართით, აუცილებელი ამწე-სატრანსპორტო საშუალებებით, დამხმარე პერსონალით.

4. სამონტაჟო სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს — აშშ დოლარს და შედის საკონტრაქტო ღირებულებაში.

5. გამყიდველი მოწყობილობასთან ერთად მყიდველს მიაწოდებს:

საექსპლუატაციო ინსტრუქციას;

ტექნიკური უსაფრთხოების ინსტრუქციას.

6. გამყიდველი მოწყობილობის მონტაჟისა და გამართვის სამუშაოებს შეასრულებს — დღის ვადაში, მყიდველისაგან სამონტაჟო სამუშაოებისათვის მზადყოფნის შესახებ შეტყობინების მიღების მომენტიდან.

7. ტექნიკური მომსახურება განხორციელდება როგორც საგარანტიო ვადის განმავლობაში, ისე მისი ამოწურვის შემდეგ. ტექნიკური მომსახურება განხორციელდება რეგლამენტის მიხედვით, რომელიც მოყვანილია № 1 დანართში.

8. ტექნიკური მომსახურების სამუშაოების ღირებულებას საგარანტიო ვადის განმავლობაში გადაიხდის გამყიდველი; საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ კი მყიდველი, გამყიდველის მიერ წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე.

პრეტენზიები. რეკლამაციები

რეკლამაცია არის მყიდველის პრეტენზია, რომელიც მიწოდებული საქონლის ხარისხისა და რაოდენობის, ხელშეკრულებაში მოცემული პირობების შეუსაბამობასთანაა დაკავშირებული.

მხარეები ხელშეკრულებაში აფიქსირებენ რეკლამაციის წარდგენის წესს: შეტყობინების ვადებს, მხარეების მოვალეობებსა და უფლებებს; რეკლამაციების დარეგულირების საკითხებსა და სხვა.

რეკლამაცია წარედგინება წერილობითი ფორმით (თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული) და შეიცავს შემდეგ მონაცემებს: ხელშეკრულებისა და შეკვეთის ნომერი; საქონლის დასახელება და პარტია, რაოდენობა და აღვილმდებარეობა; რეკლამაციის საფუძველი; დაწუნებული პროდუქციის რაოდენობა და კონკრეტული მიზეზები; იმპორტიორის კონკრეტული მოთხოვნები რეკლამაციის დარეგულირებისათვის. რეკლამაციას

თან ერთვის ყველა აუცილებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტუ-რებს იმპორტიორის პრეტენზიას.

ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს: პრეტენზიის წარდგე-ნის ვადები, ფორმა, პრეტენზიაზე რეაგირების ვადები; პრეტენზიის განხილვის წესი; ასეთ განხილვაში მოპასუხე მხარისა და კომპე-ტენტური საექსპერტო ორგანიზაციის მონაწილეობის წესი.

ხარისხობრივ მაჩვენებლებზე პრეტენზიის წარდგენის შემთხ-ვევაში ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს საარ-ბიტრაჟო შემოწმების წესი,

მაგალითად:

გამოვლენილი ხარვეზებისა და დეფექტების შესახებ მყიდველ-მა წერილობით უნდა შეატყობინოს გამყიდველს დეფექტების გა-მოვლენიდან 10 დღის ვადაში.

გამყიდველი ვალდებულია, დაუდასტუროს მყიდველს პრეტენ-ზიის მიღება, მიღებიდან 24 საათის განმავლობაში:

პრეტენზია უნდა გაფორმდეს წერილობით და შეიცავდეს ინ-ფორმაციას: დეფექტების ხასიათისა და დეფექტური საქონლის მო-ცულობის შესახებ.

- *შესამოწმებლად ნიმუშების (სინჯების) აღება ხდება ტექნიკუ-რი პირობების ან სტანდარტის მიხედვით;*
- *საარბიტრაჟო შემოწმებას (ანალიზს, გამოცდას, ექსპერტიზას) ახდენს მხარეებს შორის შეთანხმებული კომპეტენტური ორგანიზა-ცია (ასეთი ორგანიზაციის ლაბორატორია, ექსპერტი, ექსპერტები);*
- *საარბიტრაჟო შემოწმებაში მონაწილეობენ ექსპორტიორისა და იმპორტიორის წარმომადგენლები;*
- *შემოწმების შედეგები გავრცელდება მხოლოდ შემოწმებულ პარტიაზე;*
- *შემოწმების შედეგად უარყოფითი შედეგების მიღების შემთხ-ვევაში, მხარეების შეთანხმებით მოხდება განმეორებითი შემოწ-მება, რომლის შედეგები საბოლოო და სავალდებულო იქნება მხა-რეებისათვის.*
- *შემოწმებით არ დადასტურდა იმპორტიორის პრეტენზია, საარ-ბიტრაჟო შემოწმების ხარჯებს გაიღებს იმპორტიორი. მაგალითები:*
- *დაწუნებული საქონლის გამოვლენის შემთხვევაში, მყიდველის სურვილის მიხედვით, გამყიდველი:*

ა) მისცეს ფასდათმობა დაწუნებულ საქონელზე;
ბ) შეცვალოს მას თავის ხარჯზე შეთანხმებულ ვადებში.

პასუხისმგებლობა ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის

იმისათვის, რომ მხარეებმა დროულად და მთლიანად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს მხარეთა პასუხისმგებლობა, ეკონომიკური და ფინანსური ზემოქმედების ფორმები და ზომები, რომლებიც გამოყენებული იქნება მხარეთა მიმართ კონტრაქტის პირობების დარღვევა-შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის.

ეკონომიკური ზემოქმედების ფორმები ძირითადად გულისხმობს ისეთ პროცედურებს, როგორებიცაა: უარის თქმა კონტრაქტზე, საქონლის უკან დაბრუნება, საქონლის შეცვლა, ხარვეზის ადგილზე გამოსწორება და სხვა.

ფინანსური სანქციებია: პირგასამტეხლოს, ჯარიმების, დაწუნებული საქონლის ღირებულების, ხელიდან გაშვებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნა.

მხარეების ყოველი კონკრეტული ვალდებულება დაცული უნდა იყოს პასუხისმგებლობის ასევე კონკრეტული ფორმით.

ხელშეკრულებაში შესაძლოა გათვალისწინებული იყოს პასუხისმგებლობა ისეთი დარღვევებისათვის, როგორიცაა

- მიწოდების ვადების დარღვევა;
- შეთანხმებული მიწოდების რაოდენობისა და მიწოდების გრაფიკის დარღვევა;
- ანგარიშსწორების ვადების დარღვევა;
- საქონლის გაყიდვა საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ;
- საქონლის გაყიდვა გაყიდვისწინა შემოწმების გარეშე;
- საქონლის ფორმის ან შეფუთვის შეცვლისათვის გამყიდველის ნებართვის გარეშე;
- საქონლის რეექსპორტისათვის მესამე ქვეყნებში;
- კონტრაქტი ცალმხრივად უარის თქმისათვის და სხვა.

მაგალითად:

მიწოდების დაგვიანების შემთხვევაში, ექსპორტიორი იმპორტიორს ჯარიმის სახით უხდის მისაწოდებელი პარტიის სახელშეკრუ-

ლები ღირებულების 0,5%-ს, ყოველი სრული 24 საათიანი ვადის გადაცილების შემთხვევაში (სრული ვადაგადაცილებული დღისათვის);

თუ იმპორტიორი დროულად არ მიიღებს საქონლის დანიშნულების პორტში, იგი:

ა) სრულად აანაზღაურებს დაგვიანებით გამოწვეულ ხარჯებს (გემისა თუ სხვა სატრანსპორტო საშუალებების მოცდენის ხარჯებს);

ბ) ჯარიმის სახით გადაუხდის გამყიდველს მიუღებელი საქონლის საკონტრაქტო ღირებულების 0,5%-ს, ყოველი სრული ვადაგადაცილებული 6 საათისათვის.

უხარისხო საქონლის ან დანაკლისით საქონლის მიწოდების შემთხვევაში:

ა) მყიდველი გამყიდველს ჯარიმის სახით უხდის დანაკლისით მიწოდებული ან უხარისხო საქონლის პარტიის საკონტრაქტო ღირებულების 2 %-ს;

ბ) გამყიდველი ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან — ღღის ვადაში გადაუტვირთოს მყიდველს საქონლის დანაკლისის რაოდენობა და გადაუხადოს მყიდველს ჯარიმა დანაკლისის საკონტრაქტო ღირებულების — 1%-ის ოდენობით;

გ) ისეთი წუნის გამოვლენის შემთხვევაში, რომელიც არ გამორიცხავს მყიდველის მიერ მიწოდებული საქონლის გამოყენებას, გამყიდველი მყიდველს მისცემს ფასდათმობას საქონლის საკონტრაქტო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მყიდველი გამყიდველის მიერ ხელშეკრულების დარღვევის საფუძველზე უარს ამბობს კონტრაქტზე, გამყიდველს არ აუნაზღაურდება ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ხარჯები.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტების მიუწოდებლობის ან არასრულად მიწოდების შემთხვევაში გამყიდველი აუნაზღაურებს მყიდველს მიყენებულ ზიანს, ხელიდან გაშვებული სარგებლის ჩათვლით და გადაუხდის პირგასამტეხლოს საკონტრაქტო ღირებულების 3%-ის ოდენობით.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი მხარე მეორე მხარეს უხდის ჯარიმის სახით, ვადაზე გადაუხდელი თანხის 2%-ს, ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეტყობინების ვადების დარღვევის შემთხვევაში (მათ შორის: საქონლის გადასატვირთავად მზადყოფნის, საქონლის მისაღებად წარმომადგენლის მოწვევის, საქონლის მიღების, წუნის გამოვლენის, სპეციფიკაციების წარდგენის შესახებ და სხვა), ხელშეკრულების დამრღვევი მხარე მეორე მხარეს უნაზღაურებს მიყენებულ ზარალს და პირგასამტეხლოს სახით უხდის 100 აშშ დოლარს ყოველი ცალკეული დაყოვნებისათვის.

თუ რეკლამაციის მიღების შემთხვევაში, გამყიდველი 5 დღის ვადაში არ გაგზავნის წარმომადგენელს დაწუნებული საქონლის შემოწმებაში მონაწილეობის მისაღებად, რეკლამაცია ითვლება აღიარებულად გამყიდველის მიერ და რეკლამაციის აქტი, შედგენილი მისი მონაწილეობის გარეშე, საბოლოო და სავალდებულოა ორივე მხრისათვის.

ჯარიმის, პირგასამტეხლოსა და სხვა საპრეტენზიო თანხები გადაიხდება მხარის მიერ მეორე მხარის წერილობითი მოთხოვნის, ან არბიტრაჟის გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

თუ ანგარიშსწორება არ მოხდება მყიდველის მიერ საქონლის მიღებიდან 10 დღის ვადაში, გამყიდველს უფლება აქვს, უარი თქვას კონტრაქტზე და:

ა) მოითხოვოს მყიდველისაგან უკვე მიწოდებული საქონლის დაბრუნება;

ბ) მოითხოვოს მყიდველისაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ჯარიმებისა და პირგასამტეხლოების გადახდა მხარეებს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მოყვანილ მაგალითში, ხელშეკრულების დარღვევების ნუსხა არასრულია, პრეცედენტების სიდიდეები და ვადები პირობითია, თუმცა, დამაჯერებლად მიუთითებს იმ პასუხისმგებლობაზე, რომლითაც მხარეები უნდა მოეკიდონ კონტრაქტის მომზადებას და პირველ რიგში, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის ყოველი ცალკეული, კონკრეტული პირობის ჩამოყალიბებას.

ფორს-მაჟორი

ხელშეკრულებების უმეტესი ნაწილი და პრაქტიკულად, ყველა საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულების უმეტესი ნაწილი შეიცავს პირობებს, რომელთა დადგომის შემთხვევაში მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულებისათვის.

მხარე არ აგებს პასუხს, მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობაზე, თუ დაამტკიცებს, რომ შეუსრულებლობა გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი, მის კონტროლს დაუქვემდებარებელი, ანუ დაუძლეველი ძალის გარემოებების შედეგად, რომელთა წინასწარ განსაზღვრა, წინააღმდეგობის გაწევა და დაძლევა აღემატებოდა რეალურ შესაძლებლობებს.

დაუძლეველი ძალის გარემოებები მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) ეს გარემოებები წარმოიშვა ხელშეკრულებების ხელმოწერის შემდეგ;

ბ) შექმნილმა გარემოებებმა იმოქმედეს, გავლენა მოახდინეს მხარის მიერ ხელშეკრულების შესრულებაზე;

გ) მხარე, რომელსაც წარმოექმნება დაუძლეველი ძალის გარემოება, შეატყობინებს მეორე მხარეს მისი ხასიათის, მიმდინარეობისა და ხელშეკრულების შესრულებაზე მისი გავლენის შესახებ. შეტყობინება დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ. ეს ორგანო შესაძლოა იყოს იმ რეგიონის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, სადაც მოქმედებს მხარე, რომელსაც წამოეჭრა დაუძლეველი ძალის გარემოება.

მაგალითები:

მხარისაგან დამოუკიდებელი ისეთი გარემოებების წარმოქმნის შემთხვევაში, რაც გამორიცხავს რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას: ხანძარი, სტიქიური მოვლენები, სამხედრო მოქმედებები, სოციალური მღელვარებები და სხვა ვალდებულებების შესრულება გადაიწევს ამ გარემოებების მოქმედების ვადით, რა დროშიც მოქმედებდა ასეთი გარემოებები.

თუ დაუძლეველი ძალის გარემოებების მოქმედება გაგრძელ-

დება 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, ასეთ შემთხვევაში არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, კომპენსაცია მოსთხოვოს მეორე მხარეს.

მხარე, რომელსაც წარმოექმნა დაუძლეველი ძალის გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს. ამგვარი გარემოების დადასტურების საკმარისი საფუძველია გამყიდველის ან მყიდველის ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ცნობა.

არცერთი მხარე არ ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების დამრღვევად და არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია მხარეებისაგან დამოუკიდებელი გარემოებებით და ამდენად, არ ექვემდებარება კონტროლს მათი მხრიდან, მათ შორის, გამოყენებულ ნედლეულზე ფასების გაუთვალისწინებელი მკვეთრი ზრდა, კლიმატური, გეოფიზიკური და ტექნოგენური კატასტროფები, საომარი მოქმედებები, გაფიცვები, სოციალური მღელვარებები, სამთავრობო გადაწყვეტილებები, საერთაშორისო და სამთავრობათაშორისო გადაწყვეტილებები და სხვა.

მხარე, რომელიც აცხადებს ფორს-მაჟორს, ვალდებულია ამის შესახებ დაზღვეული წერილით შეატყობინოს მეორე მხარეს 10 დღის განმავლობაში დაუძლეველი ძალის მოქმედების პირველი სტაბილური გამოვლენის მომენტიდან. შეტყობინებას თან უნდა ახლდეს გარემოებების სრული დახასიათება და მათი შესაძლო გავლენა მხარის მიერ კონტრაქტის შესრულებაზე.

ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოქმნისა და მოქმედების საიმედო დადასტურებად ჩაითვლება ადგილობრივი სავაჭრო-სამრეწველო პალატის სერთიფიკატი.

შეტყობინების დროული წარდგენის შემთხვევაში, ფორს-მაჟორით გამოწვეული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობა არ ჩაითვლება ხელშეკრულების შეუსრულებლობად და მხარე, რომელიც განიცდის ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედებას, თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ასეთი გარემოებებისა და მათი შედეგების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

მხარეები ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ მინიმუმამდე დაიყვანონ ფორს-მაჟორის მოქმედების შედეგები.

ფორს-მაჟორის განმცხადებელი მხარე ვალდებულია. დაუყოვნებლივ შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოებების მოქმედების შეწყვეტა და შედეგები.

მუხლი, რომელიც არეგულირებს მხარეების უფლებამოსილებებს დაუძლეველი ძალის გარემოებების წარმოქმნისა და მოქმედების პირობებში, ხელშეკრულების ძალზე მნიშვნელოვანი მუხლია. ხშირად საკმაოდ რთულია ამ მუხლის დებულებების შეთანხმების პროცედურაც. ეს განსაკუთრებული სიმწვავით იგრძნობა პოსტკომუნისტური სახელმწიფოების სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობის პირობებში.

მუხლი „ფორს-მაჟორი“ შეიძლება არ იქნეს შეტანილი ისეთ ხელშეკრულებებში:

ა) რომელთა სახელშეკრულებო თანხა უმნიშვნელოა;

ბ) რომელთა მხარეებს შორის არსებობს აქტიური, წარმატებული საქმიანი ურთიერთობების მრავალწლიანი გამოცდილება და ნდობის მაღალი ხარისხი.

დავების გადაწყვეტა. არბიტრაჟი

ხელშეკრულების ეს მუხლი განსაზღვრავს იმ დავების გადაწყვეტის წესს, რომლებიც შესაძლოა წამოიჭრას ხელშეკრულების შესრულების პროცესში და ვერ მოგვარდება მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით. ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს არბიტრაჟის სახე: მუდმივმოქმედი *არბიტრაჟი ან კონკრეტული* დავის გადასაჭრელად შექმნილი დროებითი არბიტრაჟი. თუ მხარეები შეთანხმდებიან დავები გადასაწყვეტად გადასცენ მუდმივმოქმედ არბიტრაჟს, კონტრაქტში უნდა მიეთითოს მისი დასახელება.

არბიტრაჟისათვის დავის განსახილველად გადაცემის შემთხვევაში, მოსალოდნელი გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, ხელშეკრულებაში გარკვევით უნდა იქნეს მითითებული, რომ:

ა) მხარეები დაემორჩილებიან მუდმივმოქმედი არბიტრაჟის რეგლამენტს;

ბ) არბიტრაჟში დავის განხილვის პროცედურას განსაზღვრავენ მხარეები.

ასევე სასურველია მითითებული იქნეს:

- არბიტრაჟის დასახელება და მისამართი;
- არბიტრების რაოდენობა და მათი დანიშვნის წესი;
- საარბიტრაჟო განხილვის ღია თუ დახურული ფორმა;
- საქმის განხილვის ენა;
- განხილვის წესი (ზეპირი, წერილობითი);
- გადაწყვეტილების მოტივაციის აუცილებლობა, ან შეთანხმება არამოტივირებული გადაწყვეტილების შესახებ;
- ხარჯების დაფარვის წესი;
- გამოყენებული სამართალი, ანუ სამართლებრივი სისტემა, რომლის საფუძველზეც მოხდება საქმის განხილვა.

იმ შემთხვევაში, თუ მხარეები შეთანხმდებიან დავა განსახილველად გადასცენ დროებით არბიტრაჟს, ხელშეკრულებაში განსაზღვრული უნდა იყოს: არბიტრების შერჩევის, მათი აცილების წესი; საქმის განხილვის ვადები; განხილვის პროცედურა.

აუცილებელია ხელშეკრულებაში აღინიშნოს:

„არბიტრაჟის გადაწყვეტილება სავალდებულო და საბოლოოა ორივე მხარისათვის".

მაგალითი:

ნებისმიერი დავა და უთანხმოება, დაკავშირებული კონტრაქტის შესრულებასთან, რომელიც ვერ დარეგულირდება მხარეების მორიგებით, განსახილველად გადაეცემა „კომერციულ და ინდუსტრიულ საწარმოთა საერთაშორისო ასოციაციის არბიტრაჟს" თბილისში. დავის განხილვა მოხდება არბიტრაჟის რეგლამენტის საფუძველზე.

არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულო იქნება მხარეებისათვის.

მხარეები ყოველ ღონეს იხმარენ, წამოჭრილი დავა მოაგვარონ მეგობრული მოლაპარაკების გზით. თუ ეს ვერ მოხერხდება, დავა განსახილველად გადაეცემა „კომერციულ და ინდუსტრიულ საწარმოთა საერთაშორისო ასოციაციის არბიტრაჟს", თბილისში, რომელიც დავას განიხილავს არბიტრაჟის რეგლამენტის, „კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონისა და საარბიტრაჟო განხილვის მარეგულირებელი საერთაშორისო კონვენციების საფუძველზე.

არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულო იქნება მხარეებისათვის.

ლიცენზიის მიღება

ხშირად საექსპორტო მიწოდება დაკავშირებულია აუცილებელი ლიცენზიების მიღების პროცედურებთან, როგორც ექსპორტიორის, ისე იმპორტიორის ქვეყნებში. ჩამოყალიბებული საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, ლიცენზირების მიღების საკითხს ექსპორტიორი და იმპორტიორი დამოუკიდებლად აგვარებს საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე.

როგორც წესი, სახელშეკრულებო პრაქტიკა, ხელშეკრულებები, ასევე ინკოტერმსის ტერმინები, ითვალისწინებენ მხარეების ურთიერთდახმარებას მეორე მხარისათვის ლიცენზიების, ნებართვებისა და სხვა დოკუმენტების მიღებაში, რომლებიც აუცილებელია მიწოდების განსახორციელებლად.

მაგალითები:

გამყიდველი ვალდებულია საკუთარი რისკითა და სახსრებით მიიღოს საექსპორტო ლიცენზია, მყიდველი კი ვალდებულია მიიღოს საიმპორტო ლიცენზია. გამყიდველი ვალდებულია, შეატყობინოს მყიდველს საიმპორტო ლიცენზიის მიღების შესახებ, თუ ეს აუცილებელია, ლიცენზიის მიღებიდან 2 დღის ვადაში.

გამყიდველი ვალდებულებას კისრულობს, საკუთარი ხარჯებით მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისათვის აუცილებელი საექსპორტო ლიცენზია.

თუ გამყიდველი ვერ მოახერხებს ლიცენზიის აღებას, ან აღებული ლიცენზია გამოთხოვილი იქნება ლიცენზიის გამცემი ორგანოს მიერ, ან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაკარგავს ძალას (მიიჩნევა ძალადაკარგულად)–მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულების შეუსრულებელ ნაწილზე ან მთლიანად ხელშეკრულებაზე.

ასეთ შემთხვევაში მყიდველი უბრუნებს გამყიდველს მისგან მიღებულ საქონელსა და ტექდოკუმენტაციას. გამყიდველი ვალდებულია, დაუბრუნოს მყიდველს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიღებული თანხები და ჯარიმის სახით სახელშეკრულებო თანხის 3%.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ექსპორტისათვის აუცილებელია შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული საექსპორტო, ხოლო იმპორტიორის ქვეყანაში—საიმპორტო ლიცენზიის აღება, ექსპორტიორი ვალდებულია შეასრულოს ყველა აუცილებელი ფორმალობა საექსპორტო ლიცენზიის დროულად მიღებისათვის, ასევე მყიდველი ვალდებულია შეასრულოს ყველა აუცილებელი ფორმალობა საიმპორტო ლიცენზიის დროულად მიღებისათვის.

არაუგვიანეს 20 დღისა, კონტრაქტის ხელმოწერის დღიდან. მხარეები ერთმანეთს ატყობინებენ შესაბამისი ლიცენზიების მიღებას.

მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, დახმარება აღმოუჩინონ ერთმანეთს საექსპორტო და საიმპორტო ლიცენზიების მიღების საქმეში.

გადასახადები და მოსაკრებლები

საქონლის საბოლოო თვითღირებულებაში დიდია გადასახადებისა და მოსაკრებლების ხვედრითი წილი. ხელშეკრულება ცალსახად უნდა ითვალისწინებდეს მხარეებს შორის მათი განაწილებისა და გადახდის პირობებს.

მაგალითად:

მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შორის: გადასახადები, მოსკრებლები, საბაჟო გადასახადი - გამყიდველის ქვეყანაში გადაიხდება გამყიდველის, ხოლო მყიდველის ქვეყანაში მყიდველის მიერ.

ყველა გადასახადი და მოსაკრებელი გამყიდველის ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის მომენტიდან - გადაიხდება მყიდველის მიერ.

ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს დღგ-ის, აქციზის, საბაჟო გადასახადის ჩათვლით, რომელიც დაკავშირებული იქნება წინამდებარე კონტრაქტის შესრულებასთან, გამყიდველისა და საქონ-

ლის წარმოშობის ქვეყნის ტერიტორიაზე გადაიხდის გამყიდველი, მყიდველისა და საქონლის მიმღების ტერიტორიაზე - მყიდველი.

ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს (საპორტო, სადოკო და საბანკოს ჩათვლით), დაკავშირებულს კონტრაქტის შესრულებასთან, ტვირთის დანიშნულების პუნქტამდე იხდის გამყიდველი საკუთარი სახსრებიდან.

უფლებების გადაცემა და შეზღუდვები

მხარეებს არა აქვთ უფლება, ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები და ვალდებულებები დაუთმონ, მიჰყიდონ ან ნებისმიერი სხვა ფორმით გადასცენ მესამე პირს, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. ამის შესახებ გარკვევით უნდა იყოს მითითებული ხელშეკრულებაში.

მაგალითი:

არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, გადასცეს მესამე მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაცემა უნდა გაფორმდეს წერილობით, უფლებების გადამცემი მხარის განცხადება ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებების მიმღები პირის (რომელზეც გადადის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები) მიერ. მხარე, რომელიც მესამე მხარეს გადასცემს თავის უფლებებს, ინიშნება უფლებების მიმღები პირის მიერ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესრულების გარანტორად, რასაც იგი ადასტურებს წერილობით.

გამოყენებული კანონმდებლობა და კონტრაქტის განმარტება

შესაძლო გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, ხელშეკრულებაში ცალსახად უნდა იყოს მითითებული ის კანონმდებლობა, რომლის საფუძველზეც არის მომზადებული ხელშეკრულება და

რომლის საფუძველზეც მოხდება მისი ცალკეული პირობების ინტერპრეტირება და წარმოქმნილი დავების გადაწყვეტა.

ბუნებრივია, ხელშეკრულებაში ვერ იქნება გათვალისწინებული ყველა ის შესაძლო შემთხვევა, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მხარეთა შორის ხელშეკრულების შესრულების პროცესში, ამდენად, აუცილებელია მიეთითოს ის კანონმდებლობა, რომელთა საფუძველზეც მოხდება ასეთი საკითხების გადაწყვეტა.

მაგალითი:

ყველა სხვა საკითხი, რომელიც პირდაპირ არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება გამყიდველის სახელმწიფოს კანონმდებლობით.

ყველა სხვა საკითხი, რომელიც პირდაპირ არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებით, გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

ყველა იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც პირდაპირ არ რეგულირდება ხელშეკრულების პირობებით, მხარეები იხელმძღვანელებენ ვენის 1980 წლის კონვენციის დებულებებით საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ.

წინამდებარე კონტრაქტის პირობები და ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა შორის ურთიერთობების ნორმები ინტერპრეტირებული უნდა იქნეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

საერთო პირობები

ეს მუხლი ამთავრებს კონტრაქტის ტექსტის არსებით ნაწილს და მოითხოვს მხარეების მხრიდან საიანადო ყურადღებას, რადგან მასში მოყვანილია მთელი რიგი გარემოებები, რომლებსაც აღიარებენ მხარეები და კისრულობენ მათი შესრულების ვალდებულებას და რომელთა შეუსრულებლობა დაკავშირებულია როგორც მატერიალურ, ისე მორალურ პასუხისმგებლობასთან.

მაგალითად:

ხელშეკრულების ხელმოწერამდე ახდენს ყველა ორიგინალუ-

რი ეგზემპლარის ყველა გვერდის პარაფირებას.

კონტრაქტი იდება ქართულ და ინგლისურ ენებზე. ორივე ენაზე შესრულებულ ეგზემპლარებს აქვს ერთნაირი ძალა.

ხელშეკრულების თაობაზე მიმოწერა ხორციელდება ინგლისურ ენაზე.

ხელშეკრულება შედგენილია 6 ორიგინალურ ეგზემპლარად: 3 ეგზემპლარი ქართულ ენაზე ხელშეკრულებაში თავებისა და მუხლების ნუმერაცია პირობითია და არ მიუთითებს და 3 ეგზემპლარი ინგლისურ ენებზე. ყველა ეგზემპლარს აქვს თანაბარი ძალა.

ხელშეკრულება ხელმოწერილი უნდა იყოს თითოეული მხარის ორი წარმომადგენლის მიერ.

დასაშვებია ხელშეკრულებაზე ხელი მოაწეროს პირმა, რომელსაც ამის უფლებამოსილება მიღებული აქვს მინდობილობით.

ფაქსით, ელ. ფოსტით მიღებულ მინდობილობებსა და ხელმოწერებს აქვს იურიდიული ძალა.

ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ძალადაკარგულად ითვლება კონტრაქტის საგანთან დაკავშირებული მხარეებს შორის ყოველგვარი მიმოწერა, ყველა სიტყვიერი თუ წერილობითი შეთანხმება.

ხელშეკრულება წარმოადგენს ერთადერთ შეთანხმებას მხარეებს შორის ხელშეკრულების საგნის ირგვლივ.

ხელშეკრულება არ შეიცავს საიდუმლო დანართებსა და სიტყვიერ შეთანხმებებს.

მხარეები ნიშნავენ ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობაზე პასუხისმგებელ პირებს:

გამყიდველის (გვარი, სახელი, თანამდებობა, ტელეფონი, ფაქსი);

მყიდველის (გვარი, სახელი, თანამდებობა, ტელეფონი, ფაქსი);

კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების ოპერატიული კავშირის განხორციელებისათვის მხარეები ნიშნავენ სრულუფლებიან წარმომადგენლებს:

გამყიდველის წარმომადგენელი ———

მყიდველის წარმომადგენელი ———

კონტრაქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ანულირება

ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობით. ცალკეულ

შემთხვევებში. ასეთი შეთანხმება შესაძლოა, ითვალისწინებდეს ნოტარიალური წესით დამოწმების აუცილებლობას.

მხარის განცხადებას ხელშეკრულების ანულირების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ძალა, როდესაც ასეთი განცხადება წერილობით ჩაბარდება მეორე მხარეს.

ხელშეკრულების ანულირება მხარეებს ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, გარდა ვალდებულებისა – აუნაზღაურონ მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანი.

იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველს არ შეუძლია დაუბრუნოს გამყიდველს ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილი საქონელი, ან საქონელი დაუბრუნოს იმ მდგომარეობაში, როგორიც მიიღო, მყიდველი კარგავს უფლებას მოითხოვოს კონტრაქტის ანულირება ან მიღებული საქონლის შეცვლა.

მაგალითი:

ხელშეკრულებაში დამატებების, ცვლილებების შეტანა ან ხელშეკრულების ანულირება დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობით.

ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის ან ხელშეკრულების ანულირების ინიციატორი მხარე მეორე მხარეს ატყობინებს წერილობით, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე;

მეორე მხარე ვალდებულია წერილობითი შეტყობინების მიღების მომენტიდან 10 დღის ვადაში წერილობით შეატყობინოს პარტნიორს მიღებული გადაწყვეტილება.

ხელშეკრულებაში ერთი ან რამდენიმე მუხლის ბათილად ცნობა (თუ ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილება არ არის მიღებული გამყიდველის ან მყიდველის ქვეყნების სასამართლოების ან მხარეთა შეთანხმებით შექმნილი არბიტრაჟის მიერ) არ გამოიწვევს ხელშეკრულების დანარჩენი მუხლებისა და მთლიანად ხელშეკრულების ბათილად ცნობას, თუ მხარეები სხვაზე არ შეთანხმდებიან.

მხარეებს უფლება აქვთ, დააყენონ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების, ან ხელშეკრულების ანულირების საკითხი მხოლოდ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ არ დააყენებენ საკითხს კონტრაქტში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, კონტრაქტის ხელმოწერიდან ერთი წლის განმავლობაში.

კონტრაქტის პირობები, რომლებიც არეგულირებენ საქონლის ფასს, მიწოდებისა და გადახდის პირობებს, გადასინჯვას არ ექვემდებარება.

კონტრაქტის ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულების ცალკეული მუხლებისა და მთლიანად კონტრაქტის ძალაში შესვლასა და მისი მოქმედების ვადის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული მხარეების პასუხისმგებლობა კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. როგორც წესი, ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან, შესაძლოა, ხელშეკრულება ითვალისწინებდეს, ხელშეკრულების ძალაში შესვლის განსხვავებულ წესსაც.

მაგალითები:

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად შესრულებამდე.

კონტრაქტი ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის, მხარეების ბეჭდით დამოწმებისა და ნოტარიუსის მიერ დამოწმების მომენტიდან და ძალაშია ერთი წლის განმავლობაში.

თუ ამ ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე მხარეები წერილობით არ დაადასტურებენ ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნას, ხელშეკრულება ავტომატურად ითვლება გაგრძელებულად მორიგი ერთი წლის ვადით.

ხელშეკრულება ძალაში შედის მყიდველის მიერ გამყიდველის ანგარიშზე საკონტრაქტო თანხის 30%-ის გადარიცხვის მომენტიდან და ძალაშია მხარეების მიერ კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან ერთი იყოს გასვლის შემდეგ და ძალაშია ერთი წლის განმავლობაში.

კონტრაქტის დანართები და დამატებები

ხელშეკრულებაში სრულად უნდა იყოს მოყვანილი დანართების სრული დასახელება, დოკუმენტის სამართლებრივი სტატუსი (ორიგინალი, ასლი, დამოწმებული ასლი, ფაქსი და სხვა). დანართები თანმიმდევრობით უნდა იყოს დანომრილი. ხელშეკრულების დასკვნით ნაწილში უნდა იყოს მოყვანილი დანართების სრული ნუსხა დასახელების, სარეგისტრაციო ნომრისა და სხვა აუცილებელი რეკვიზიტის მითითებით. ასევე, აუცილებლად უნდა მიეთითოს, რომ "ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ნებისმიერი ცალკეული დანართის გარეშე ხელშეკრულება ბათილია" და დანართის ფურცლების საერთო რაოდენობა.

მაგალითი:

„მხარეების ხელმოწერილი ყველა დანართი და დამატება, დაკავშირებული წინამდებარე კონტრაქტთან, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ნებისმიერი ცალკეული დანართის გარეშე ხელშეკრულება ბათილია."

მომავალში, მხარეებს შორის შეთანხმებული ყველა წერილობითი დანართი ასევე გახდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

სულ დანართები 25 ფურცელზე.

ხელშეკრულების დადებისას დაშვებული ტიპიური შეცდომები

სანამ ხელშეკრულების პროექტის მომზადების თანმიმდევრობას ჩამოვაყალიბებდეთ, განვიხილოთ ის ტიპიური შეცდომები, რომლებსაც ხშირად უშვებენ მეწარმეები უცხოელ პარტნიორთან ხელშეკრულების დადებისას.

საკმაოდ ხშირად მეწარმე არ ინტერესდება პარტნიორის სამართლებრივი სტატუსით (რას წარმოადგენს იგი სამართლებრივად როგორც საქართველოში, ისე მის ქვეყანაში; მისი და მისი წარმომადგენლების სამართალუნარიანობითა და უფლებამოსილებებით), კრედიტუნარიანობითა და ავტორიტეტით საქმიან წრეებში. ამის გამო ხშირად შეუძლებელი ხდება გადატვირთული საქონლისა თუ შესრულებული მომსახურების ღირებულების მიღება.

ამავე დროს, არ ექცევა სათანადო ყურადღება საწარმოს იურიდიული დასახელებისა და იურიდიული მისამართის ზუსტ ფორმულირებას, ხელშეკრულების ხელმოწერის ადგილსა და თარიღს. ხელშეკრულების ხელმოწერის ადგილი ხშირად განაპირობებს გარიგების მონაწილეთა სამართალუნარიანობას; გარიგებისა თუ ხელშეკრულების ფორმას; მხარეების პასუხისმგებლობის ფარგლებს; სასარჩელე ხანდაზმულობის ვადას და მისი ათვლის წესებს. არასრულად ჩამოყალიბებული იურიდიული მისამართი კი პრაქტიკულად გამორიცხავს მხარესთან საქმიან მიმოწერას, ხოლო დავის წარმოქმნის შემთხვევაში - მისთვის სასარჩელე მასალების ჩაბარებას. შეცდომები, დაშვებული ხელშეკრულების მონაწილე პირის იურიდიულ დასახელებაში (ხშირად თუნდაც უმნიშენელო) ხშირად ხდება მოპასუხის მხრიდან სარჩელზე უარის თქმის საფუძველი და როგორც წესი, იგი საერთოდ უარყოფს მოსარჩელესთან ხელშეკრულების დადების ფაქტს.

ასევე ხშირად არ ითვალისწინებენ, რომ მხარეთა ურთიერთობა და უფლება-მოვალეობები ხელშეკრულებების პირობების გარდა, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით, მიუხედავად იმისა, მითითებულია თუ არა ეს ხელშეკრულებაში. არის შემთხვევები, როდესაც მოქმედი კანონმდებლობა გამორიცხავს ხელშეკრულებაში ჩადებული ნორმისა თუ დებულების გამოყენებას.

ხელშეკრულების პროექტის მომზადებისას არცთუ იშვიათად ანგარიშს არ უწევენ განსხვავებებს მთელი რიგი ქვეყნების სამართლებრივ სისტემებს შორის და შესაბამისად, განსხვავებულ მიდგომებს ცალკეული საკითხებისადმი.

ხშირად დაობენ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში ჩამოყალიბებული ტერმინების გამოყენების გამოც. ეს უთანხმოებები ართულებენ ისეთი საკვანძო მომენტების ადეკვატურ დადგენას, როგორიცაა საქონლის მიწოდება, გამყიდველიდან მყიდველზე რისკის გადასვლა და სხვა.

გვხვდება წინააღმდეგობები ხელშეკრულების ცალკეულ მუხლებსა და დებულებებს შორის: ზოგჯერ ხელშეკრულების პირობები ჩამოყალიბებულია ბუნდოვნად, ზოგჯერ კი აშკარად ორაზროვნად, რაც იწვევს სერიოზულ დავას მათი გამოყენებისა თუ განმარტებისას.

სათანადო ყურადღება არ ექცევა იმ პირობების ფორმულირებასაც, რომლებიც მხარეს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულებისათვის (ეგრეთწოდებული „ფორს-მაჟორული გარემოებები"); არ ხდება ფორმულირების ცალკეული ნაწილების შესაძლო შედეგების გათვალისწინება.

ძალზე ხშირად ბუნდოვანია წამოჭრილი დავის გადაწყვეტის წესი. მაგალითად, "ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავა განსახილველად გადაეცემა სასამართლოს ან არბიტრაჟს მათი კომპეტენციის მიხედვით". ამ ორხაზიან ფორმულირებაში დაშვებულია ორი არსებითი უზუსტობა: საერთო სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება ნებისმიერი დავის გადაჭრის საკითხი; რაც შეეხება „არბიტრაჟს", კონკრეტულად უნდა იქნეს მითითებული ინსტიტუციონალური თუ ერთჯერადი არბიტრაჟი, რომელიც განიხილავს კონკრეტული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ დავას.

ძალზე მოკლე ხელშეკრულებებთან ერთად, რომლებიც შეიცავენ მინიმალურ ინფორმაციასა და პირობებს (იურიდიული მისამართები, საქონლის დასახელება, ფასი, მიწოდებისა და ანგარიშსწორების პირობები), გვხვდება მრავალგვერდიანი და ძალზე დეტალური ხელშეკრულებებიც. ცალსახად უნდა ითქვას, რომ ხელშეკრულების მოცულობასა და მის საიმედობას შორის რაიმე პირდაპირი კავშირი არ არსებობს. მოკლე ხელშეკრულებების დადება მხარეებისაგან მოითხოვს მეტ ყურადღებასა და დაფიქრებას; მათ ნათლად უნდა ჰქონდეთ წარმოდგენილი, თუ რით და როგორ იქნება შევსებული მოკლე კონტრაქტში გამოტოვებული დებულებები და პირობები. სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ჩვენი მეწარმეების ნაწილს ეს პრობლემა არ აფიქრებს. არც მრავალფურცლიანი ხელშეკრულებების ანალიზი იძლევა დამაიმედებელ შედეგებს. ასეთი ხელშეკრულებების აბსოლუტური უმრავლესობა დგება ხელში მოხვედრილ პირველივე ტრა-

ფარეტით, რომელიც, როგორც წესი, არ ითვალისწინებს საქონლის სახესა და ბუნებას; პრაქტიკულად, ერთნაირი პირობებია ჩადებული უამრავი დასახელებისა და დანიშნულების კვების პროდუქტების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, რთული და ძალზე რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის, სამრეწველო დანიშნულების თანამედროვე დანადგარებისა და კომპლექსებისათვის გაფორმებულ ხელშეკრულებებში და არ გაითვალისწინება, თუ რომელი ქვეყნის რეზიდენტია უცხოელი კონტრაგენტი, ან რომელი ქვეყნის სამართალი იქნება გამოყენებული ხელშეკრულების პირობების მიმართ. დამაფიქრებელია ბიზნესმენების მისწრაფებაც, ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ ყველა შესაძლო მოვლენის პირობები, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ხელშეკრულების შესრულების პროცესში. ასეთი მიდგომა ართულებს მოლაპარაკებებს, იწვევს ხელშეკრულების გადატეირთვას დებულებებით, რომლებიც უფრო გარკვევით არის ჩამოყალიბებული მოქმედ კანონმდებლობაში. სახელშეკრულებო ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკა ადასტურებს, რომ ხელშეკრულებაში ყველაფრის გათვალისწინება შეუძლებელია.

კერძო ნაწილი

ტიპიური ხელშეკრულებები

ოფერტი და აქცეპტი

გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი, ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის, ან შეწყვეტისაკენ. ნებისმიერი გამოხატვა გარიგება ვერ იქნება. გარიგება მხოლოდ ისეთი ნების გამოვლენაა, რომელიც იწვევს სამართლებრივ შედეგებს, კერძოდ, სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას, შეცვლას, ან შეწყვეტას. როგორც წესი, გარიგება სამართლებრივ სანქციასთან არის დაკავშირებული, რაც მხარეებს საშუალებას აძლევს დაიცვან დარღვეული უფლებები და ასეთი უფლებების დაცვაში დაეყრდნონ სამართლებრივ იძულებასაც.

გარიგების ყველაზე გავრცელებული ფორმაა ხელშეკრულება, მათ შორის, პირველ რიგში, სამეურნეო ხელშეკრულება.

სამეურნეო ხელშეკრულება წარმოადგენს გარიგებას ორ სამართალსუბიექტს შორის, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასხვავებენ საერთაშორისო და ნაციონალურ სამეურნეო ხელშეკრულებებს. საერთაშორისო ხელშეკრულებად – გარიგებად ჩაითვლება ნებისმიერი გარიგება, რომელიც გამოხატავს კავშირს სულ ცოტა, ორ სახელმწიფოს სამართალსუბიექტებს შორის. ხელშეკრულება, რომელიც იდება ერთი სახელმწიფოს სამართალსუბიექტებს შორის, მიიჩნევა ნაციონალურ ხელშეკრულებად. საერთაშორისო სამეურნეო ხელშეკრულებების სამართლებრივი რეჟიმი სხვადასხვა მიზეზების გამო განსხვავდება ნაციონალური ხელშეკრულებების სამართლებრივი რეჟიმისაგან.

ხელშეკრულების დადება ხდება ორი გზით:

ა. ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით; და

ბ. მხარეებს შორის წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად.

როგორც წესი, მოლაპარაკებებიც ხშირად იწყება ერთ-ერთი მხარის ოფერტის საფუძველზე, რომლის თანდათანობითი დეტალური

განხილვის შედეგად, მიიღწევა გარიგება. იგი ფორმდება ხელშეკრულებების სახით. ოფერტისა და აქცეპტის საკითხები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327–341 მუხლებით.

ოფერტი – არის წინადადება, მიმართული გარკვეული პირის ან პირთა განუსაზღვრელი ჯგუფისადმი, ხელშეკრულების დადების თაობაზე, რომელიც შეიცავს შეთავაზებული სავარაუდო ხელშეკრულების არსებით პირობებს. ოფერტი ასევე შეიძლება შეიცავდეს სხვა პირობებსაც, რომლებიც წარმოადგენენ ოფერტის განუყოფელ ნაწილს და რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ხელშეკრულების დასადებად.

ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება – ოფერტი ითვლება შეთავაზებულად, თუ იმ წინადადებაში, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირისადმი, გამოხატულია, რომ წინადადების მიმცემი (ოფერენტი) თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში, მზადაა შეასრულოს თავისი წინადადება.

წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, წარმოადგენს მოწვევას ოფერტაზე, თუ ამ წინადადებაში სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული.

თანმყოფი პირისათვის გაკეთებულ ოფერტაზე პასუხი მაშინვე უნდა იქნეს მიღებული. არათანმყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტი შეიძლება მხოლოდ იმ დრომდე იქნეს მიღებული, რა დროშიც ოფერტის მიმცემს ჩვეულებრივ, შეუძლია დაელოდოს პასუხს.

აქცეპტი – არის დადებითი პასუხი ოფერტზე. იგი წარმოადგენს ოფერტის ადრესატის ნების გამოვლენას, რომელიც გამოხატავს თანხმობას ხელშეკრულების დადებაზე, ოფერტში განსაზღვრული პირობებით.

თუ ოფერენტმა (პირი რომელიც აკეთებს ოფერტს) აქცეპტისათვის განსაზღვრა ვადა, მაშინ აქცეპტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ ვადაში.

აქცეპტად მიიჩნევა ოფერტის ადრესატის ნებისმიერი ქმედება, რომელიც საკმარისად გამოხატავს მის ნებას შეთავაზებული ხელშეკრულების დადებაზე. ამავე დროს, ადრესატის პასიური ქცევა, სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, მისი დუმილი, აქცეპტად არ ითვლება. მეტწილ სამართლებრივ სისტემებში ოფერტა მიღებულად ითვლება, როდესაც ადრესატის თანხმობა მიღებულია ოფერენტის მიერ დადგენილ ვადაში.

თუ ოფერენტს აქცეპტი დაგვიანებით მიუვა, აქცეპტიდან კი ირკვევა, რომ იგი დროულად არის გამოგზავნილი, აქცეპტი მხოლოდ

მაშინ ჩაითვლება დაგვიანებულად, თუ ოფერენტმა მეორე მხარეს დაუყოვნებლივ აცნობა ამის შესახებ.

ოფერტზე დაგვიანებით გაკეთებული აქცეპტი მიიჩნევა ახალ ოფერტად. როცა პასუხში გამოთქმულია თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე, ოღონდ სხვა პირობით, ვიდრე ამას ოფერტი ითვალისწინებდა. ასეთი პასუხი ჩაითვლება უარად ოფერტზე და ამავე დროს, ახალ ოფერტად, უკვე პირველი ოფერენტისადმი.

ვინაიდან ხელშეკრულების დადება შეიძლება მხოლოდ ოფერტის აქცეპტის შემთხვევაში, ისმება ორი საკითხი:

- *საკითხი რა ხნის განმავლობაშია ოფერენტი პასუხისმგებელი თავის ოფერტზე. ვინაიდან, გასაგები მიზეზების გამო ასეთი პასუხისმგებლობა არ შეიძლება გაგრძელდეს უსასრულოდ; და*
- *შეიძლება თუ არა უკვე გაკეთებული ოფერტის გამოთხოვა ან მისი ანულირება.* ოფერტი გაკეთებულად ითვლება, როდესაც მას მიიღებს ადრესატი. ამდენად, მიიჩნევა რომ ოფერტის გამოთხოვნა შეიძლება, თუ შეტყობინება ოფერტის გამოთხოვნის შესახებ, ოფერტის ადრესატს მიუვა ოფერტის მიღებამდე ან მასთან ერთად. რიგი სამართლებრივი სისტემები ითვალისწინებენ ნორმებს, რომლის თანახმად ოფერტი, რომელიც შეიცავს გარკვეულ ვადას აქცეპტისათვის, ძალაშია ამ ვადის ამოწურვამდე.

როგორც წესი, ოფერენტის მიერ განსაზღვრული ოფერტის ვადის განმავლობაში არ შეიძლება მისი გამოთხოვნა და თუ ადრესატი მოახდენს მის აქცეპტირებას, ხელშეკრულება ითვლება დადებულად. ოფერტი ყოველთვის ითვლება შეწყვეტილად, როდესაც:

- *მასზე უარს ამბობს ოფერტის ადრესატი;*
- *ოფერტის ადრესატი კონტროფერტს უგზავნის ოფერენტს.*
- *ოფერტით, ან კანონით დადგენილი აქცეპტის ვადის ამოწურვის შემდეგ.*

როგორც უკვე აღვნიშნეთ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს:

ა. ოფერტისა და აქცეპტის გზით. ამ პროცედურებთან დაკავშირებულია ოფერტისა და აქცეპტის გამოწვევა, აქცეპტი ოფერტის შეცვლილი პირობებით.

ბ. მხარეებს შორის მოლაპარაკებების გზით.

მოლაპარაკების პროცესი შეიძლება შეიცავდეს ისეთ ეტაპებს, როგორებიცაა: შეთანხმება განზრახულობათა შესახებ; წინასწარი ხელშეკრულება; ოქმი უთანხმოებათა შესახებ; ოქმი უთანხმოებათა შეთანხმების შესახებ.

ოფერტი
(წინადადება ხელშეკრულების დადებაზე)

გენერალურ დირექტორს ______

______

(ორგანიზაციის დასახელება)

ბატონო დირექტორო,

გთავაზობთ ხელშეკრულების დადებას ______

______

(ხელშეკრულების საგანი)

შემდეგი პირობებით:

1. ______

______

2. ______

______

3. ______

______

თქვენს პასუხს ველოდებით ______ მდე.

დუმილი, ან ქმედება, მიმართული ხელშეკრულების პირობების შესრულებისათვის აქცეპტად არ მიიჩნევა.

ხელმოწერა ______

ბ. ა.

შეტყობინება
ოფერტის გამოთხოვნის შესახებ

გენერალურ დირექტორს -

—

(ორგანიზაციის დასახელება)

ჩვენი " " ———— ———— " 2006 წ. № წერილით გამოგიგზავნეთ წინადადება ხელშეკრულების დადების თაობაზე ———— ————

———— ———— ———— ————

(ხელშეკრულების საგანი)

იმის გამო, რომ ———— ———— ———— ————

———— ———— ———— ————

(ოფერტის გამოწვევის მიზეზები)

გთხოვთ, ჩვენი შეთავაზება ხელშეკრულების დადების შესახებ ჩათვალოთ გამოწვეულად.

ხელმოწერა ———— —

ბ. ა.

საჯარო ოფერტი
(ოფერტი პირთა განუსაზღვრელი ჯგუფისადმი)

საწარმო ____

____

(საწარმოს სრული დასახელება)

____

____

____

(საწარმოს მისამართი და საკონტაქტო ტელეფონები)

სთავაზობს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ____________________

____

(ხელშეკრულების საგანი)

ქვემოთმოყვანილი პირობებით:

1. ____

____

2. ____

____

3. ____

____

თქვენ პასუხს ველოდებით ______________________________ - მდე.

დუმილი, ან სხვა ქმედება, მიმართული ხელშეკრულების პირობების შესრულებისათვის, აქცეპტად არ მიიჩნევა.

ხელმოწერა ______________________

ბ. ა.

აქცეპტი
(წერილი, რომელიც შეიცავს თანხმობას ხელშეკრულების დადებაზე ოფერტში მითითებული პირობებით)

გენერალურ დირექტორს

—— ——

(ორგანიზაციის დასახელება)

ბატონო დირექტორო,

წინამდებარე წერილით ვადასტურებთ ჩვენს თანხმობას ხელშეკრულების დადებაზე ——

(ხელშეკრულების საგანი)

თქვენი "----"--- ———————" 2006 წ № ——— წერილში ჩამოყალიბებული პირობებით.

მზად ვართ შევუდგეთ ხელშეკრულების შესრულებას.

ხელმოწერა ------ ----

ბ. ა.

შეტყობინება
აქცეპტის გამოთხოვნის თაობაზე

გენერალურ დირექტორს

——— ———

(ორგანიზაციის დასახელება)

ბატონო დირექტორო,

ჩვენი “ - ” ——————” 2006 წ. № —— — წერილით გამოვხატეთ თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე ——————————
——————————————————————————————
——————————————————————————————

(ხელშეკრულების საგანი)

თქვენი “———”— ——————————” 2006წ. № ——————— წერილში მითითებულ პირობებზე.

იმის გამო რომ ——————————————————————————
——————————————————————————————

(აქცეპტის გამოწვევის მიზეზები)

ჩვენი თანხმობა ზემოაღნიშნული ხელშეკრულების დადებაზე გთხოვთ ჩათვალოთ გამოთხოვნილად.

ხელმოწერა ———————————————

ბ. ა.

აქცეპტი
ოფერტის შეცვლილი პირობებით
(ახალი ოფერტი)

გენერალურ დირექტორს

(ორგანიზაციის დასახელება)

ბატონო დირექტორო,

წინამდებარე წერილით გადასტურებთ ჩვენს თანხმობას ხელშეკრულების დადებაზე ————————————

———————————————————————————————

———————————————————————————————

(ხელშეკრულების საგანი)

თქვენი "———"————————" 2006წ. № ——————— წერილის თანახმად, იმ პირობით რომ ხელშეკრულებაში შევა შემდეგი დებულებები:

1. ———————————————————————————

———————————————————————————

2. ———————————————————————————

———————————————————————————

3. ———————————————————————————

———————————————————————————

ხელმოწერა ———————————

ბ. ა.

შეთანხმება
განზრახულობათა შესახებ

თბილისი — — — " 2006 წ.

საწარმო საწარმოს დირექტორის

— ———

სახით, ერთის მხრივ და საწარმო ——— ————— ————

საწარმოს დირექტორის ———— ————— —— — ———

სახით მეორეს მხრივ, შემდგომში "მხარეები", ვსარგებლობთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით შევთანხმდით:

1. მხარეები ითვალისწინებენ, რომ მათ ინტერესებში შედის ხელშეკრულების დადება ———————————————————

———————————————————————————————

———————————————————————————————

(ხელშეკრულების საგანი)

2. მხარეები ითანამშრომლებენ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ საკითხებზე თანხმობის მიღწევისათვის.

3. აღნიშნულთან დაკავშირებით მხარეები მოამზადებენ შემდეგ დოკუმენტებს:

1. ——— ————————————— ————————

—— ——————————

2. — ———————————————— ————

———————————— ———

3. — ———————————————————

——— ———————————— ————

4. მხარეები პერიოდულად შეხვდებიან ერთმანეთის ხელშეკრულების

პროექტის განსახილველად.

5. წინამდებარე შეთანხმება და მასთან დაკავშირებული და მოლაპარაკებები მხარეებს არ აკისრებს რაიმე სამართლებრივ, ან მატერიალურ პასუხისმგებლობას.

6. მხარეების მისამართები და რეკვიზიტები.

საწარმო	საწარმო
ხელმოწერა	ხელმოწერა
_______________	_______________
ბ. ა.	ბ.ა.

ოქმი
უთანხმოებათა შესახებ

თბილისი " 2006წ.

" 2006წ. № ——— წერილით

- ———————————— — — დან

(ორგანიზაციის დასახელება)

მიღებული ხელშეკრულების პროექტი ———————— --------

------- ----------- ---------------------------------- -----------

(ხელშეკრულების დასახელება)

ჩვენს მიერ განხილული იქნა პროექტი. გიგზავნით შენიშვნებს ხელშეკრულების ქვემოთმოყვანილ პუნქტებზე:

საწარმო საწარმო

ხელმოწერა ხელმოწერა

–

ბ. ა. ბ.ა.

ოქმი
უთანხმოებათა შეთანხმების შესახებ

თბილისი "   " 2006წ.

საწარმო   საწარმოს სრულუფლებიანი

წარმომადგენლის   სახით

შემდგომში „პირველი მხარე", ერთის მხრივ და საწარმო ------------

---------- — სრულუფლებიანი წარმომადგენლის

------------------------ ---- სახით შემდგომში „მეორე მხარე", ვსარგებლობთ რა მონიჭებული უფლებამოსილებებით შევათანხმეთ ხელშეკრულების პროექტთან ------------ ---

------------------ ------------------ — ---

(პროექტის დასახელება და საგანი)

დაკავშირებული უთანხმოებანი:

მხარეების მისამართები, რეკვიზიტები და ხელმოწერები.

პირველი მხარე   **მეორე მხარე**

--------   -- ----

ბ. ა.   ბ. ა.

წინასწარი ხელშეკრულება

თბილისი " " 2006 წ.

საწარმოს საწარმოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის ______ სახით შემდგომში „პირველი მხარე", ერთის მხრივ და საწარმო ______ სრულუფლებიანი წარმომადგენლის ______ სახით შემდგომში „მეორე მხარე", ვსარგებლობთ რა მონიჭებული უფლებამოსილებებით შევთანხმდით:

1. მხარეები ვალდებულებას ვკისრულობთ მომავალში დავდოთ ხელშეკრულება

____

____

(ხელშეკრულების საგანი)

2. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს:

1. ____
2. ____
3. ____

3. ხელშეკრულების პროექტს ამზადებს „პირველი მხარე".

4. **„პირველი მხარე“** ამზადებს შემდეგ დოკუმენტებს:

1.

2.

3. ________________

5. **„მეორე მხარე“** ამზადებს შემდეგ დოკუმენტებს:

1. ____

2. ____

3. ____

6. **„პირველი მხარე“** ვალდებულებას იღებს ხელშეკრულების პროექტი გაუგზავნოს მეორე მხარეს ______________ ___ მდე.

7. **„მეორე მხარე“** ვალდებულებას იღებს **„პირველ მხარეს“** შეატყობინოს ხელშეკრულებაზე თანხმობის შესახებ ან გაუგზავნოს ოქმი უთანხმოებათა შესახებ – დღეში ხელშეკრულების პროექტის მიღების დღიდან.

8. **„პირველი მხარე“** ვალდებულია უთანხმოებათა შესახებ ოქმის მიღების დღიდან   დღის ვადაში შეატყობინოს **„მეორე მხარეს“** თანხმობის შესახებ, უთანხმოებათა შესახებ ოქმზე ან გამოთქმულ შენიშვნებზე უარის თქმის შესახებ

9. თუ **„პირველი მხარე“** უარს იტყვის **„მეორე მხარის“** მიერ

გამოთქმულ შენიშვნებზე. მხარეები შეხვდებიან ერთმანეთს და შეადგენენ უთანხმოებათა შეთანხმების ოქმს.

10. მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, ხელშეკრულებას ხელი მოაწერონ   " 2006 წლამდე.

11. თუ რომელიმე მხარე ეცდება თავი აარიდოს ხელშეკრულების დადებას, მეორე მხარეს უფლება აქვს მიმართოს არბიტრაჟს, მხარის ხელშეკრულების დადებაზე იძულების მიზნით.

12. მხარე, რომელიც დაუსაბუთებლად ეცდება თავი აარიდოს ხელშეკრულების დადებას, მეორე მხარეს აუნაზღაურებს მიყენებულ ზიანს.

13. მხარე, რომელიც დაუსაბუთებლად გააჭიანურებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, მეორე მხარეს გადაუხდის პირგასამტეხლოს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.

14. გადაუხდის პირგასამტეხლოს ——— ლარის ოდენობით.

15. მხარეების მისამართები, რეკვიზიტები და ხელმოწერები.

პირველი მხარე   მეორე მხარე

_______________   _______________

ბ. ა.   ბ. ა.

ნასყიდობის ხელშეკრულება

სამეურნეო ურთიერთობების ბაზისს წარმოადგენს ხელშეკრულება. როგორც მრავალმხრივ და წინააღმდეგობებით სავსე სამეურნეო ურთიერთობებში წამოჭრილი კონფლიქტების მიზეზი, ხშირად ხდება არასწორად თუ უყურადღებოდ შედგენილი ხელშეკრულება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ წარმატებული ბიზნესისათვის საკმარისი როდია იყო ენერგიული, მიზანდასახული, გამბედავი და ინიციატივიანი, ერთი სიტყვით, „საქმიანი“ ადამიანი. ამავე დროს, აუცილებელია კარგად ვიცნობდეთ და ეფექტურად ვიყენებდეთ იმ სამართლებრივ წესებსა და ნორმებს, რომლებიც არეგულირებს ადამიანების ქცევას საბაზრო ურთიერთობების პირობებში. ამ შემთხვევაშიც, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, **რომ ყველაფერი ხელშეკრულებით იწყება.** ნებისმიერი საწარმოს კომერციული გეგმის რეალიზაცია შეუძლებელია გარიგებისა და ხელშეკრულების გარეშე - იყო მეწარმე, განახორციელო სამეწარმეო საქმიანობა და არ განახორციელო გარიგება, არ დადო ხელშეკრულება - უბრალოდ წარმოუდგენელია.

ხელშეკრულება არის მხარეებს შორის ნებაყოფლობითი შეთანხმება, იურიდიული აქტი, რომელშიც გამოხატულია თანხმობა ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობაზე. ცნობილია, რომ ყველა საქმიანი ურთიერთობა სამეურნეო სუბიექტთა შორის რეგულირდება კანონმდებლობითა და იმ პირობებით, რომლებსაც ისინი ითვალისწინებენ შესაბამის ხელშეკრულებებში. ცალკეული ოპერაციისა თუ საერთოდ სამეურნეო საქმიანობის წარმატება, მნიშვნელოვნადაა განპირობებული იმით, თუ რამდენად სწორად არის შედგენილი და გაფორმებული ყოველი ცალკეული ხელშეკრულება. ეს არცაა გასაკვირი, რადგან *სწორედ ხელშეკრულება განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებებს, მათ პასუხისმგებლობას, პროდუქციისა და მომსახურების ფასებს, ხარისხს, მიწოდების ვადებს, ანგარიშსწორების წესებს და სხვა.*

სამეურნეო ხელშეკრულებების ყველაზე გავრცელებული და ერთ-ერთი ყველაზე რთული ფორმაა ყიდვა—გაყიდვის, ანუ ნასყიდობის ხელშეკრულება. საქართველოში ყიდვა—გაყიდვის ხელშეკრულება, ასეთი ხელშეკრულების მხარეების უფლებები და მო-

ვალდებულებები რეგულირდება **საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477–520 მუხლებით.**

ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი.

მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

გაყიდული ნივთის გადაცემასთან ერთად მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევითი დაკარგვის ან გაფუჭების რისკი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

თუ გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გზავნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაშინ, ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდველს, ან ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს.

საქონელი მიღებულად ჩაითვლება, თუ მყიდველი შეასრულებს ისეთ მოქმედებას, რომელიც მოწმობს მის მიღებას.

ხელშეკრულების ყოველ მხარეს შეუძლია უარი თქვას თავისი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, მეორე მხარე თავის მოვალეობათა მნიშვნელოვან ნაწილს არ შეასრულებს.

გაყიდული საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდებისას, თუ ერთი მხარის მიერ მიწოდების მხოლოდ ერთი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო შეიქმნა რეალური საშიშროება იმისა, რომ მომავალი მიწოდების ვალდებულებებიც არ შესრულდება, მაშინ, მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი.

ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს, სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით, ან, თუ ნივთის ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე.

ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო. უფლებრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია არარსებული უფლება.

თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში. გამყიდველს ეკისრება ნაკლის გამოსწორებისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, მათ შორის, ტრანსპორტირების, გზის, სამუშაოს შესრულების და მასალის ღირებულების ხარჯები. გამყიდველს შეუძლია უარი თქვას როგორც ნაკლის გამოსწორებაზე, ისევე ნივთის შეცვლაზე, თუ ეს მოითხოვს შესაბამისად დიდ ხარჯებს. თუ გამყიდველი ნაკლის გამოსწორების მიზნით მყიდველს გადასცემს უნაკლო ნივთს, მაშინ, მას შეუძლია მყიდველს მოსთხოვოს ნაკლის მქონე ნივთის უკან დაბრუნება.

მყიდველს შეუძლია ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა. გამყიდველმა უნდა აუნაზღაუროს მყიდველს გაწეული დანახარჯები.

თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას, ან ახლით მის შეცვლას გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი.

მყიდველს უფლება აქვს, უარი თქვას საქონლის მიღებაზე, თუ გამყიდველმა მას მიაწოდა საქონელი იმაზე ნაკლები რაოდენობით, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. თუ მყიდველი მიიღებს ასეთ საქონელს, მაშინ ფასს გადაიხდის სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად. თუ საქონლის რაოდენობა აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებულს, მაშინ, მყიდველს შეუძლია მიიღოს ეს რაოდენობა და მოვალეა გადაიხადოს სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად, ან მიიღოს მხოლოდ ის რაოდენობა, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული, ხოლო ზედმეტი დააბრუნოს უკანვე გამყიდველის ხარჯზე.

ნივთის ნაკლით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების დარღვევით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება ზოგადი წესების მიხედვით. მყიდველს არ წარმოეშობა უფლებები ნივთის ნაკლის გამო, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში მან იცოდა ამის შესახებ.

თუ მყიდველი მეწარმეა, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი; თუკი იგი ნაკლის აღმოჩენიდან შესაბამის ვადაში ან იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის ნაკლის არსებობა, არ წარუდგენს გამყიდველს პრეტენზიას, მას ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება. თუ გამყიდველი შეგნებულად დუმდა ნივთის ნაკლზე, მაშინ მას არ შეუძლია დაეყრდნოს ამ მუხლით გათვალისწინებულ უფლებას.

თუ გამყიდველი ნივთის ვარგისიანობის ვადას განსაზღვრავს, მაშინ ივარაუდება, რომ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი მყიდველს აძლევს მოთხოვნის უფლებას.

ხელშეკრულებით შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს გამყიდველის პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას, მაგრამ ასეთი შეთანხმება ბათილი იქნება, თუ გამყიდველი განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის შესახებ.

ნივთის ნასყიდობის მომწესრიგებელი წესები შესაბამისად გამოიყენება უფლების ან სხვა ქონების ნასყიდობის მიმართაც. უფლების გაყიდვის შემთხვევაში, გამყიდველი კისრულობს ამ უფლების ნამდვილობის დასაბუთებისა და გადაცემის ხარჯებს. თუ გაყიდულია უფლება, რომელიც იძლევა ნივთის ფლობის შესაძლებლობას, მაშინ გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი.

როდესაც ნასყიდობა ხორციელდება განვადებით ანუ კრედიტით, გამყიდველი ვალდებულია გადასცეს ნივთი მყიდველს ფასის გადახდამდე. ნივთის ფასის გადახდა მყიდველის მიერ ხდება ნაწილ-ნაწილ, დროის განსაზღვრულ შუალედებში.

განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს:

ა. ნაღდი გადახდის ოდენობა;

ბ. ნაწილ-ნაწილ გადასახადი თანხის ოდენობა და გადახდის დრო;

გ. წლიური პროცენტის ოდენობა.

3. გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნასყიდობის საბუთების ასლი.

ნასყიდობის ხელშეკრულების მომზადებისა და დადების პროცესში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ისეთი საკითხები, როგორებიცაა: *მხარეების ქმედუნარიანობა, გამყიდველი მხარის საკუთრების უფლების კანონიერება გარიგების საგანზე, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში გარიგების ნოტარიალური დამოწმების აუცილებლობა და სხვა.*

ყიდვა-გაყიდვის
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი   " 2006 წ.

—·   საწარმოს დირექტორის
——   სახით, შემდგომში „გამყიდველი" ერთის
მხრივ, და ——————————   —— საწარმოს დირექტორის
—— —— ——   ———— სახით შემდგომში
„მყიდველი" მეორეს მხრივ, ვსარგებლობთ რა ჩვენი საწარმოების
წესდებებით მინიჭებული უფლებამოსილებებით,
შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „გამყიდველი" ვალდებულებას კისრულობს გადასცეს საკუთრებაში მყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი. „მყიდველი" ვალდებულებას კისრულობს მიიღოს საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. საქონლის დასახელება ——————————————

——————————————————————

ტიპი, მარკა, სტანდარტი, არტიკული

1.3. საქონლის დამამზადებელი ——————————

——————————————————————

სრული დასახელება და რეკვიზიტები

1.4. საქონლის ადგილმდებარეობა ——————————

——————————————

სრული დასახელება და რეკვიზიტები

1.5. დოკუმენტები, რომლებიც გამყიდველმა უნდა გადასცეს გადამხდელს:

1. ——————   ——————————————   ეგზ.

2. ——— ——— ევრ.
3. ——— ——— ევრ.
1.6. დოკუმენტები, რომლებიც გამყიდველმა უნდა გადასცეს მყიდველს
1. ——————————— ევრ.
2. ევრ.
3. ——— ——— ევრ.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. „გამყიდველი" ვალდებულებას კისრულობს:

2.1.1. გადასცეს „მყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი (გადასცეს საქონელი გადამზიდავს) ხელშეკრულების ხელმოწერიდან ——————— დღის ვადაში.

2.1.2. საქონლის გადაცემა მოახდინოს მიღება-ჩაბარების აქტით.

2.1.3. საქონელთან ერთად გადასცეს მყიდველს შემდეგი დოკუმენტები:

2.1.3.1. ———————————————————————

———————————————————————————

2.1.3.2. ———————————————————————

———————————————————————————

2.1.3.3. ———————————————————————

———————————————————————————

2.2. „მყიდველი" ვალდებულებას კისრულობს:

2.2.1. დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება.

2.2.2. დროულად მიიღოს საქონელი მიღება-ჩაბარების აქტით.

2.2.3. ტრანსპორტირება განახორციელოს საკუთარი ხარჯებითა და რისკით.

3. რაოდენობა

3.1. საქონლის განზომილების ერთეული ———————————

———————————————————————————

3.2. საქონლის საერთო რაოდენობა ——————————————

———————————————————————————

4. ასორტიმენტი

4.1. საქონლის ჯგუფები და ასორტიმენტი

4.1.1. რაოდენობა

–

4.1.2. -- რაოდენობა

4.2. საქონლის სრული ასორტიმენტი განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების №1 დანართში.

5. ხარისხი

5.1. გამყიდველის მიერ მოწოდებული საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს ______________________________

____

ხელშეკრულება, სტანდარტი, სერტიფიკატი, სასაქონლო ნიმუში

მოთხოვნებს

5.2. გამყიდველის მიერ მოწოდებული საქონლის ხარისხი დადასტურებული უნდა იყოს ______________________________ ______________________________ ორიგინალებით.

5.3. საქონლის შენახვის, ექსპლუატაციის, გამოყენების საგარანტიო ვადა ______________________________

____

დამზადების გადატვირთვის, მიღების, ექსპლუატაციის დაწყების მომენტიდან

5.4. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილი ხარვეზების ან საქონლის შეცვლის ვადა ______________ ______________ ხარვეზების გამოვლენის შესახებ გამყიდველისათვის შეტყობინების მომენტიდან.

6. კომპლექტურობა

6.1. გამყიდველის მიერ მიწოდებული საქონლის კომპლექტურობა განისაზღვრება ______________

____

ხელშეკრულება, სტანდარტი, სხვა ნორმატიული დოკუმენტი

6.2. ნაკეთობები, რომლებიც არ შედის სტანდარტულ კომპლექტში, მაგრამ მოწოდებული უნდა იქნეს წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად:

____

____

____

6.3. იმ ნაკეთობათა ნუსხა, რომელიც ამოღებულ უნდა იქნეს სტანდარტული კომპლექტიდან:

____

____

____

____

7. მიწოდების ვადები და წესი

7.1. საქონელი სრულად უნდა მიეწოდოს „მყიდველს" ———————————— განმავლობაში (ხელშეკრულების ხელმოწერის, სრული ანგარიშსწორების მომენტიდან, თანდართული გრაფიკით. დანართი №2)

7.2. „გამყიდველს" (უფლება აქვს, არა აქვს უფლება) ვადამდე მიაწოდოს მყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, რის შესახებაც მყიდველსატყობინებს ——— დღეში გადატვირთვამდე, გადატვირთვის მომენტიდან.

8. ფასები

8.1. საქონლის ერთეულის ღირებულება ——————————————————————— ლარი

8.2. ფასები მითითებულია——————————————————————————— გადასახადების ჩათვლით, ჩაუთვლელად.

8.3. სულ საქონლის საერთო ღირებულებაა – ——————————————— ლარი

8.4. ფასები ითვალისწინებს საქონლის ღირებულების ——————— %-იან ფასდათმობას —————— დღეში ანაზღაურების პირობებში.

8.5. საქონლის ვადამდე მოწოდებისათვის „მყიდველი" „გამყიდველს" უხდის პრემიის სახით, მოწოდებული საქონლის ღირებულების ———— % ყოველი დღისათვის.

8.6. „გამყიდველი“ პირგასამტეხლოს სახით უხდის მყიდველს შეთანხმებულ ვადაზე ადრე მიწოდებული საქონლის ღირებულების %-ს ყოველი დღისათვის.

9. ანგარიშსწორების წესი

9.1. საქონლის სახელშეკრულებო ღირებულების %-ს ლარს, „მყიდველი“ წინასწარ უხდის „გამყიდველს“ უნაღდო ანგარიშსწორებით, „გამყიდველის“ ანგარიშზე თანხის გადარიცხვით ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ------ დღის განმავლობაში.

9.2. სახელშეკრულებო თანხის სრული გადახდის საბოლოო ვადაა --

ხელშეკრულების ხელმოწერის, საქონლის გადატვირთვის, საქონლის მიღების მომენტიდან

9.3. ანგარიშსწორების წესი --

ფოსტით, ტელეგრაფით, სხვა საშუალებით

9.4. ანგარიშსწორების სახე --

ნაღდი, უნაღდო, შერეული

9.5. ანგარიშსწორების ფორმა --

საგადასახადო დავალება, ჩეკი, აკრედიტივი

9.6. „მყიდველი“ ვალდებულია შეატყობინოს „გამყიდველს“ განხორციელებული ანგარიშსწორების შესახებ — ------------ ვადაში, საგადასახადო დავალების წარდგენის მომენტიდან (ტელეფონით, ფაქსით).

9.7. ხელშეკრულების 7.5. და 7.6. პუნქტებით გათვალისწინებული თანხების გადახდა ხდება იმავე წესით, როგორც ძირითადი თანხისა.

9.8. ხელშეკრულების 7.6. პუნქტით გათვალისწინებულ ჯარიმას „გამყიდველი“ უხდის „მყიდველს“ მისგან პრეტენზიის მიღებიდან — - დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორებით ან ახდენს ურთიერთჩათვლას.

9.9. ხელშეკრულების 5.2. პუნქტით გათვალისწინებული ნაკეთობების მიწოდებისათვის, რომელიც არ შედის მიწოდების სტანდარტულ კომპლექტში, მხარეებს შორის ანგარიშსწორება ხდება იმავე წესით, როგორც ძირითადი მიწოდებისათვის.

10. მიწოდების პირობები

10.1. მიწოდება ხორციელდება ინკოტერმსის შესაბამისი ტერმინით განსაზღვრული პირობებით.

10.2. საქონელზე საკუთრების გადაცემა ხდება ______________________________

____

10.3. საქონელზე რისკის გადაცემა ხდება ______________________________ 9.4. ხელშეკრულების თანახმად საქონლის მიწოდების პუნქტად განსაზღვრულია ______________________________

____

11. ტარა და შეფუთვა

11.1. საქონელი შეფუთული უნდა იქნეს (სტანდარტის, შეთანხმებული სასაქონლო ნიმუშის მიხედვით) ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად.

11.1.1. თუ ხელშეკრულებაში საქონლის შეფუთვის წესი მითითებული არ არის, საქონელი ისეთი წესით უნდა იქნეს შეფუთული „გამყიდველის" მიერ, რომ შეფუთვა გამორიცხავდეს საქონლის გაფუჭებას, დაზიანებას ან განადგურებას მიწოდების (ტრანსპორტირების, შენახვის, დასაწყობების) პერიოდში – საქონლის მიღებამდე „მყიდველის" მიერ.

11.2. დამატებითი მოთხოვნები შეფუთვაზე და ტარაზე ______________________________

____

11.3. ტარის დაბრუნების ვადები და წესი ______________________________

____

11.4. ანგარიშსწორების პირობები დაბრუნებული ტარისათვის ______________________________

____

12. საქონლის მარკირება

12.1. საქონელი და ტარა მარკირებული უნდა იქნეს ხელშეკრულების პირობების (სტანდარტი, საქონლის ნიმუში, დამტკიცებული პირობების) შესაბამისად.

13. გადატვირთვა და ტრანსპორტირება

13.1 ხელშეკრულება გადამზიდავთან (გადამზიდავის სრული დასახელება, ძირითადი რეკვიზიტები, გადაზიდვის ხელშეკრულების რეკვიზიტები).

13.2. გაგზავნის პუნქტი

13.3. გადატვირთვის ვადები -- ---------------- ტვირთის გადაზიდვისათვის ჩაბარების მომენტიდან.

13.4. მინიმალური სატრანსპორტო ნორმა ---------------------- ---

13.5. ტრანსპორტის სახე -- ---

13.6. გადატვირთვის განსაკუთრებული პირობები (მალფუჭებადი, ცეცხლსაშიში, სუნიანი, ნაყარი და სხვა).

13.7. **„გამყიდველი"** ვალდებულია, საქონლის გადაზიდვისათვის ჩაბარებიდან ---------- საათში, ფაქსით, ტელეფონით, დეპეშით შეატყობინოს მყიდველს: გადატვირთვის თარიღი, ტრანსპორტის სახე, დასახელება, ვაგონის ნომერი, ავტომანქანის ნომერი, თვითმფრინავის რეისი, ხელშეკრულების თარიღი და ნომერი, საქონლის დასახელება და რაოდენობა, სატრანსპორტო დოკუმენტების ნომრები.

13.8. **„გამყიდველი"** პასუხისმგებელია, გადამზიდავისათვის ყველა აუცილებელი დოკუმენტის სწორად და სრულად გაფორმებული საკმარისი ეგზემპლარების გადაცემაზე და სრულად აგებს პასუხს ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შედეგებზე.

14. საქონლის გადაცემა

14.1. საქონლის გადაცემა (მიღება-ჩაბარება) ხდება დანიშნულების პუნქტში.

14.2. საქონლის მიღება რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.3. **„მყიდველი ვალდებულია"** საქონლის მიღების შესახებ შეატყობინოს

გამყიდველის საქონლის მიღებიდან—— -----   საათში.

14.4. საქონლის მიღება-ჩაბარება.

14.4.1. საქონლის მიღება-ჩაბარება მოხდება დანიშნულების პორტში ან ტვირთის საბოლოო მიმღებთან.

14.4.2. როგორც წესი, საქონლის მიღებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით საქონლის მიღებაზე.

14.4.3. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე „მყიდველი“ ახდენს საბოლოო ანგარიშსწორებას „გამყიდველთან“, მიღებული საქონლისათვის.

14.4.4. თუ მიღების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონლის ან მისი ნაწილის ხარისხი, კომპლექტურობა, მარკირება, შეფუთვა არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების მოთხოვნებს – რაც ასახული იქნება მიღება-ჩაბარების აქტში – მყიდველს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს და მიიღოს ფასდაკლება ფაქტიური ხარისხის შესაბამისად;

ბ) წაუყენოს საჯარიმო სანქცია მომწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულების 14.4.2. პუნქტის შესაბამისად შედგენილი აქტის საფუძველზე;

გ) დაუბრუნოს უხარისხო და უკომპლექტო საქონელი „გამყიდველს“ მისივე ხარჯზე, მთლიანად ან ნაწილობრივ.

ჯარიმა და საქონლის უკან დაბრუნება არ ათავისუფლებს გამყიდველს საქონლის მიწოდების შესახებ ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14.4.5. თუ მიღებული ხარისხის შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ საქონლის ——– %-ზე მეტი არ შეესაბამება ხარისხის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მყიდველს უფლება აქვს:

ა) ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება „გამყიდველთან“;

ბ) წაუყენოს მას ჯარიმა 16.4.2. პუნქტით განსაზღვრული წესით;

გ)შეიძინოს მოუწოდებელი საქონელი მოქმედი საბაზრო ფასებით და ფასთა სხვაობა მიაკუთვნოს გამყიდველს გადასახდელად, რომელიც ვალდებულია აუნაზღაუროს „მყიდველს“ ფასთა სხვაობით მიღებული ზარალი, „მყიდველის“ მიერ ზარალის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის წაყენებიდან   დღის ვადაში;

დ) „გ“ პუნქტით განსაზღვრული ვადის გადაცილება უქმნის გამყიდველს დამატებით ვალდებულებას, გადაუხადოს მყიდველს ჯარიმის სახ გადაუხდელი თანხის —— % ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

14.4.6. „გამყიდველი“ შეუწყობს ხელს „მყიდველს“ შეამოწმოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის ხარისხი, კომპლექ-

ტურობა, შეფუთვა და მარკირება საწარმოშივე ან პორტში საქონლის გადატვირთვამდე.

14.4.6.1. თუ ასეთი შემოწმების შედეგად **„მყიდველი“** ან მისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი დაადგენს, რომ საქონლის ხარისხი, შეფუთვა, მარკირება არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, **„მყიდველს“** უფლება აქვს აკრძალოს ასეთი საქონლის გადატვირთვა, ხოლო **„გამყიდველი“** ვალდებულია თავისი ხარჯებით შეცვალოს დაწუნებული საქონელი.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია მხარეთა მიერ მის სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

16. მხარეთა პასუხისმგებლობა

16.1. მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მათ შორის, ხელიდან გაშვებული სარგებელი მოგება – მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

16.2. **„მყიდველი“** პასუხისმგებლობას კისრულობს:

16.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით **„გამყიდველს“** ვადაგადაცილებული თანხის ———% ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის;

16.2.2. ხელშეკრულების 14.3. პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების დაგვიანებისათვის გადაუხადოს **„გამყიდველს“** ჯარიმის სახით —
——— ლარი, ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის;

16.2.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მთლიანად ან ნაწილობრივ მიღებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში (თუ ეს არ არის გამოწვეული გამყიდველის მიზეზით – უხარისხობა, არაკომპლექტურობა, მოწოდების ვადების დარღვევა, შეთანხმების დარღვევა ფასების შესახებ) გადაუხადოს გამყიდველს:

ა) მიუღებელი თანხის ———%;

ბ) ჯარიმა ხელშეკრულების ცალმხრივად დარღვევისათვის
——— – ლარი.

გ) საკუთარი სახსრებით დაუბრუნოს გამყიდველს საქონლის ნაწილი, რომლის მიღებაზეც უარი თქვა საქონლის მიღებიდან ——— დღეში.

16.3. მიწოდებული საქონლის უკომპლექტობის, უხარისხობისა ან რაოდენობრივი დანაკლისის გამოვლენისას, მხარეების პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, გამოვლენილ დარღვევებში გამყიდველის, გადამზიდველის, მყიდველის ბრალის შესაბამისად.

16.4. **„გამყიდველი“** პასუხისმგებლობას კისრულობს:

16.4.1. გადაიხადოს პირგასამტეხლოს სახით **„მყიდველს“** დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ღირებულების ---%-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.

16.4.2. გადაუხადოს **„მყიდველს“** ჯარიმის სახით, მიწოდებული უხარისხო, უკომპლექტო, დანაკლისით და ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საქონლის ღირებულების -- ---%.

16.4.3. „გამყიდველის“ მიერ მიწოდებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში, იგი ჯარიმის სახით უხდის „მყიდველს“ მიუწოდებელი საქონლის ღირებულების ———%.

16.4.4. ჯარიმებისა და პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.5. ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის ბრალეული მხარე კისრულობს ასევე შემდეგ პასუხისმგებლობას:

———————————————————————

———————————————————————

———————————————————————

———————————————————————

———————————————————————

17. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის პირობები

17.1. „გამყიდველს“ უფლება აქვს, ცალმხრივად უარი თქვას ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე და პასუხისმგებლობაზე, თუ:

17.1.1. ———————————————————

———————————————————————

17.1.2. ———————————————————

———————————————————————

17.2. „მყიდველს“ უფლება აქვს, ცალმხრივად უარი თქვას ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობის შესრულებაზე, თუ

17.2.1. ———————————————————

———————————————————————

17.2.2. ———————————————————

18. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფა

18.1. ამ თავში უნდა იქნეს მითითებული როგორც **„გამყიდველის“**, ისე **„მყიდველის“** მოთხოვნები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად – თავდებობა, საბანკო გარანტია, გირავნობა, სხვა შესაბამისი დოკუმენტების დასახელება, დოკუმენტის ხელმომწერის მხარეები, ნომერი, თარიღი.

19. ფორსმაჟორი

19.1 არცერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად, ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია სტიქიური და ტექნოლოგიური კატასტროფებით, ხანძრით, საომარი მოქმედებებით, სამთავრობო გადაწყვეტილებათ, სოციალური აფეთქებებით და ეს მოვლენები დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

19.2. თუ ჩამოთვლილი გარემოებიდან, უშუალოდ რომელიმე მოქმედებს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების ვადაზე, ეს ვადა გაგრძელდება დაუძლეველი ძალის გარემოების მოქმედების ხანგრძლივობის შესაბამისად.

19.3. მხარე, რომელსაც წამოეჭრა დაუძლეველი ძალის გარემოება, ვალდებულია ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და შეწყვეტის შესახებ შეატყობინოს წერილობით მეორე მხარეს.

19.4. შეტყობინებაში ასახული ფაქტები დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი რეგიონის სავაჭრო, სამრეწველო პალატისა, ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ.

19.5. არშეტყობინება, ან დაგვიანებით შეტყობინება უფლებასართმევს მხარეს, გამოიყენოს ზემოთ მოყვანილი დაუძლეველი ძალის მოვლენები პასუხისმგებლობიდან განთავისუფლების საფუძვლად.

19.6. თუ გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას,   თვეზე მეტს გაგრძელდება, მეორე მხარეს, უფლება აქვს მთლიანად, ან ნაწილობრივ უარი თქვას ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობაზე, მხარისთვის მიყენებული შესაძლო ზარალის ანაზღაურების გარეშე.

20. პრეტენზიები

20.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული პრეტენზიები მხარეებმა ერთმანეთს უნდა წაუყენონ -   თვის ვადაში

პრეტენზიის წაყენების საფუძვლის წარმოქმნის დღიდან.

20.2. პრეტენზიის წაყენების თარიღად ითვლება საფოსტო განყოფილების შტამპის თარიღი საპრეტენზიო წერილის მიღებაზე.

20.3. პრეტენზიის მიმღები მხარე ვალდებულია, არსებითად განიხილოს იგი (მთლიანად ან ნაწილობრივ აღიაროს, ან მთლიანად თუ ნაწილობრივ უარყოს), მიიღოს გადაწყვეტილება პრეტენზიის მთლიანად, ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების, ან ასეთი დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და წერილობით აცნობოს მეორე მხარეს, არა უგვიანეს ერთი თვისა პრეტენზიის მიღებიდან.

20.4. მხარეები შეთანხმდნენ, არ წაუყენონ ერთმანეთს პრეტენზიები, რომლებიც თანხობრივად აღემატება ——-- ლარს.

21. დავის გადაწყვეტა

21.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან მოლაპარაკების გზით.

21.2. თუ ეს არ მოხერხდება, მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს ან სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

221.3. ხელშეკრულებაში გარკვევით უნდა იყოს მითითებული, არბიტრაჟის დასახელება, განხილვის ადგილი, არბიტრების რაოდენობა და მათი დანიშვნის წესი, განხილვის ენა და გამოყენებული სამართალი.

22. ხელშეკრულების შეცვლა

22.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

22.2. მხარეებს არა აქვთ უფლება, მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე, გადასცენ მესამე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები.

23. მხარეთა შორის კავშირის პირობები

23.1. ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებში მხარეების სრულუფლებიანი წარმომადგენლები არიან

გამყიდველის ————————————————————————

————————————————————————————————

გვარი, სახელი, თანამდებობა, ტელეფონი, ფაქსი

მყიდველის

გვარი, სახელი, თანამდებობა, ტელეფონი, ფაქსი

24. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

24.1. უნდა აღინიშნოს მხარეების შეთანხმება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

ა) ხარისხობრივი მაჩვენებლები, შეფუთვა, მარკირება, რაც აღემატება ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებულ პარამეტრებს;

ბ) მოწყობილობის მონტაჟი და პერიოდული ტექმომსახურება;

გ) სათადარიგო ნაწილების და სპეციალური მასალების მიწოდება;

დ) სპეციალისტების მომზადება და სხვა.

25. საერთო პირობები

25.1. ხელშეკრულება არ შეიცავს სიტყვიერ და საიდუმლო შეთანხმებებს.

25.2. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ძალადაკარგულად ითვლება ყველა წინა შეთანხმება და მიმოწერა;

25.3. ხელშეკრულება შედგენილია ——————— ორიგინალურ ეგზემპლარად, ———— ————————— ენაზე. ყველა ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

26. მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

26.1. „მყიდველი" ——————————————————————

——————————————————————————

საფოსტო მისამართი ——————————————

ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა ——————————

ანგარიშსწორების ანგარიში, ბანკის რეკვიზიტები ——————

——————————————————————

სატრანსპორტო რეკვიზიტები:

საავიონო გადაზიდვისათვის ——————

——————————————————————————

საკონტეინერო გადაზიდვისათვის ——————————

——————————————————————————

საწყლო ტრანსპორტით გადაზიდვისათვის ——————————

——————————————————————————

საჰაერო ტრანსპორტით გადატვირთვისათვის

26.2. გამყიდველი ————————————————

საფოსტო მისამართი ——

ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა

ანგარიშსწორების ანგარიში, ბანკის რეკვიზიტები ——

სატრანსპორტო რეკვიზიტები:

სავაგონო გადატვირთვისათვის ——

საკონტეინერო გადატვირთვისათვის ——————————

საწყლო ტრანსპორტით გადატვირთვისათვის ——————————

საჰაერო ტრანსპორტით გადატვირთვისათვის ——————————

26.3. ხელშეკრულების დანართები

დანართი №1

დანართი №2

მყიდველი	გამყიდველი
————————	————————
„——"————" 2006 წ.	„——"————" 2006 წ.

ყიდვა–გაყიდვის
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
(წინასწარი გადახდით)

ქ. თბილისი ________ 2006 წ.

________ საწარმოს დირექტორის ________ სახით, შემდგომში **„გამყიდველი“** ერთის მხრივ, და ________ საწარმოს დირექტორის ________ ________ ________ სახით შემდგომში **„მყიდველი“** მეორეს მხრივ, ვსარგებლობთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით,

შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. **„გამყიდველი“** ვალდებულებას კისრულობს გადასცეს საკუთრებაში **„მყიდველს“** ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულებას თანდართული სპეციფიკაციის მიხედვით.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. **„გამყიდველი“** ვალდებულებას კისრულობს:

2.1.1. გადასცეს **„მყიდველს“** ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი (გადასცეს საქონელი გადამზიდავს) მის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან ________ დღის ვადაში.

2.1.2. საქონლის გადაცემა მოხდეს მიღება-ჩაბარების აქტით.

2.13. საქონელთან ერთად გადასცეს **„მყიდველს“** შემდეგი დოკუმენტები:

2.13.1 ________________________________

2.1.3.2. ________________________________

2.1.3.3. ————

2.2. „მყიდველი“ ვალდებულებას კისრულობს:

2.2.1. დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება.

2.2.2. დროულად მიიღოს საქონელი მიღება-ჩაბარების აქტით.

2.2.3. ტრანსპორტირება განახორციელოს საკუთარი ხარჯებით და რისკით

3. რაოდენობა

3.1. საქონლის განზომილების ერთეული ————————————————

3.2. საქონლის საერთო რაოდენობა ————————————————

4. ფასები

4.1. საქონლის ერთეულის ღირებულება ———————————————— ლარი

4.2. ფასები მითითებულია ————————————————————————————————

გადასახადების ჩათვლით, ჩაუთვლელად.

4.3. სულ საქონლის საერთო ღირებულებაა ———————— ლარი

4.4. ფასები ითვალისწინებს საქონლის ღირებულების ———————— %-იან ფასდათმობის ———— დღეში ანაზღაურების პირობებში.

4.5. საქონლის ვადამდე მოწოდებისათვის „მყიდველი“ „გამყიდველს“ უხდის პრემიის სახით, მოწოდებული საქონლის ღირებულების – %-ს ყოველი დღისათვის.

4.6. „გამყიდველი“ პირგასამტეხლოს სახით უხდის „მყიდველს“ შეთანხმებულ ვადაზე ადრე მიწოდებული საქონლის ღირებულების — %-ს ყოველი დღისათვის.

5. ანგარიშსწორების წესი

5.1. საქონლის სახელშეკრულებო ღირებულებას ———————— ლარს,

„მყიდველი“ წინასწარ უხდის „გამყიდველს“ ნაღდი ანგარიშსწორებით. „გამყიდველის“ ანგარიშზე თანხის გადარიცხვით ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან   დღის განმავლობაში.

5.2. „მყიდველი“ ვალდებულია შეატყობინოს „გამყიდველს“ განხორციელებული ანგარიშსწორების შესახებ

ვადაში. საგადასახადო დავალების წარდგენის მომენტიდან (ტელეფონით, ფაქსით).

5.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული „გამყიდველის“ ვალდებულებები ძალაში შედის მის ანგარიშზე „მყიდველის“ მიერ ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების ჩარიცხვის მომენტიდან.

6. მიწოდების პირობები

6.1. მიწოდება ხორციელდება ინკოტერმსის შესაბამისი ტერმინით განსაზღვრული პირობებით.

6.2. საქონელზე საკუთრების გადაცემა ხდება ______________________________
____

6.3. საქონელზე რისკის გადაცემა ხდება ______________________________
____

6.4. ხელშეკრულების თანახმად საქონლის მიწოდების პუნქტად განსაზღვრულია ______________________________
____

7. ხელშეკრულები მოქმედების ვადა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია მხარეთა მიერ მის სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, ნაწილობრივ ან არასათანადოდ შესრულებაზე მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

8.2. ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის „მყიდველი“ „გამყიდველს“, პირგასამტეხლოს სახით უხდის ________ ლარს ყოველი

სრული ვადაგადაცილებული დღისათვის

8.3. საქონლის მიწოდების, ხელშეკრულების განსაზღვრული ვადების დარღვევისათვის „გამყიდველი“ „მყიდველს“ პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ______ ლარს ყოველი სრული დაგვიანებული დღისათვის.

8.4. საქონლის მიწოდებისათვის, რომელიც არ შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს „გამყიდველი“ „მყიდველს“ გადაუხდის ჯარიმას „მყიდველის“ მიერ წაყენებული დასაბუთებული პრეტენზიის ფარგლებში და აუნაზღაურებს მიყენებულ ზიანს.

8.5. ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის პირობები

9.1. გამყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად უარი თქვას ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე და პასუხისმგებლობაზე, თუ:

9.1.1. ——————————————————————————

——————————————————————————————

9.1.2. ——————————————————————————

——————————————————————————————

9.2. მყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად უარი თქვას ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობის შესრულებაზე, თუ

9.2.1. ——————————————————————————

——————————————————————————————

9.2.2. ——————————————————————————

——————————————————————————————

10. პრეტენზიები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული პრეტენზიები მხარეებმა ერთმანეთს უნდა წაუყენონ ——— თვის ვადაში პრეტენზიის წაყენების საფუძვლის წარმოქმნის დღიდან.

10.2. პრეტენზიის წაყენების თარიღად ითვლება საფოსტო განყოფილების შტამპის თარიღი საპრეტენზიო წერილის მიღებაზე

10.3. პრეტენზიის მიმღები მხარე ვალდებულია არსებითად განიხილოს

იგი (მთლიანად ან ნაწილობრივ აღიარის, ან მთლიანად თუ ნაწილობრივ უარყოს). მიღის გადაწყვეტილება პრეტენზიის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების, ან ასეთი დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და წერილობით აცნობის მეორე მხარეს, არა უგვიანეს ერთი თვისა, პრეტენზიის მიღებიდან.

10.4 მხარეები შეთანხმდნენ, არ წაუყენონ ერთმანეთს პრეტენზიები, რომლებიც თანხობრივად აღემატება   ლარს.

11. დავის გადაწყვეტა

11.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან მოლაპარაკების გზით.

11.2. თუ ეს არ მოხერხდება, მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს ან სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

12. ხელშეკრულების შეცვლა

12.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

12.2. მხარეებს არა აქვთ უფლება, მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე გადასცენ მესამე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები.

13. საერთო პირობები

13.1. ხელშეკრულება არ შეიცავს სიტყვიერ და საიდუმლო შეთანხმებებს.

13.2. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ძალადაკარგულად ითვლება ყველა წინა შეთანხმება და მიმოწერა;

13.3. ხელშეკრულება შედგენილია   ორიგინალურ ეგზემპლარად,   ენაზე. ყველა ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

14.1. „მყიდველი“ ——————————————

——————————————————————

საფოსტო მისამართი ——————————

ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა ——————

ანგარიშსწორების ანგარიში, ბანკის რეკვიზიტები —

სატრანსპორტო რეკვიზიტები:

სავაგონო გადატვირთვისათვის ——————————

საკონტეინერო გადატვირთვისათვის ——————————

საწყლო ტრანსპორტით გადატვირთვისათვის ——————————

საჰაერო ტრანსპორტით გადატვირთვისათვის ——————————

14.2. „გამყიდველი“ ——————————————

——————————————————————

საფოსტო მისამართი ——————————

ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა ——————

ანგარიშსწორების ანგარიში, ბანკის რეკვიზიტები ——————

——————————————————————

სატრანსპორტო რეკვიზიტები:

სავაგონო გადატვირთვისათვის ——————————

საკონტეინერო გადატვირთვისათვის ——————————

საწყლო ტრანსპორტით გადატვირთვისათვის ——————————

საჰაერო ტრანსპორტით გადატვირთვისათვის ——————————

14.3. ხელშეკრულების დანართები

დანართი № 1

დანართი № 2

მყიდველი	გამყიდველი
——————————	——————————
„———“ —————— “ 2006 წ.	„———“ —————— “ 2006 წ.

ყიდვა–გაყიდვის
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
(გაყიდვა კრედიტით)

ქ. თბილისი 2006 წ.

_______ _______ _______ საწარმოს დირექტორის _______ _______ სახით. შემდგომში **„გამყიდველი"** ერთის მხრივ, და _______ _______ საწარმოს დირექტორის _______ _______ _______ სახით შემდგომში **„მყიდველი"** მეორეს მხრივ, ვსარგებლობთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით,

შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამყიდველი ვალდებულებას კისრულობს მყიდველს საკუთრებაში გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულებაზე თანდართული სპეციფიკაციის მიხედვით.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. **„გამყიდველი"** ვალდებულებას კისრულობს:

2.1.1. გადასცეს **„მყიდველს"** ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი (გადასცეს საქონელი გადამზიდავს) ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ___ დღის ვადაში.

2.1.2. საქონლის გადაცემა მოახდინოს მიღება-ჩაბარების აქტით.

2.1.3. საქონელთან ერთად გადასცეს **„მყიდველს"** შემდეგი დოკუმენტები:

2.1.3.1. _______ _______ _______ _______

_______ _______ _______ _______

2.1.3.2. _______ _______ _______ _______

2.1.3. ——— ——— ———

——— ———

2.2 „მყიდველი" ვალდებულებას კისრულობს:

2.2.1. დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება.

2.2.2. დროულად მიიღოს საქონელი მიღება-ჩაბარების აქტით.

2.2.3. ტრანსპორტირება განახორციელოს საკუთარი ხარჯებითა და რისკით.

3. რაოდენობა

3.1. საქონლის განზომილების ერთეული ————————————

————————————————————————

3.2. საქონლის საერთო რაოდენობა ————————————

————————————————————————

4. ფასები

4.1. საქონლის ერთეულის ღირებულება ————————————

———————————— ლარი

4.2. ფასები მითითებულია ————————————

————————————————————————

გადასახადების ჩათვლით, ჩაუთვლელად.

4.3. სულ საქონლის საერთო ღირებულებაა ————————————

———— ——— ლარი

4.4. ფასები ითვალისწინებს საქონლის ღირებულების

— %-იან ფასდათმობას დღეში

ანაზღაურების პირობებში.

4.5. საქონლის ვადამდე მოწოდებისათვის „მყიდველი" „გამყიდველს" უხდის პრემიის სახით, მოწოდებული საქონლის ღირებულების ——— % ყოველი დღისათვის.

4.6. „გამყიდველი“ პირგასამტეხლოს სახით იხდის „მყიდველს“ შეთანხმებულ ვადაში აღრე მიწოდებული საქონლის ღირებულების - %-ს ყოველი დღისათვის.

5. ანგარიშსწორების წესი

5.1. საქონლის სახელშეკრულებო ღირებულებაა ლარს. „მყიდველი“ გადაიხდის ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან (საქონლის მიღების მომენტიდან) — — დღის ვადაში.

5.2. „მყიდველი“ ვალდებულია შეატყობინოს „გამყიდველს“ განხორციელებული ანგარიშსწორების შესახებ ვადაში, საგადასახადო დავალების წარდგენის მომენტიდან (ტელეფონით, ფაქსით).

6. მიწოდების პირობები

6.1. მიწოდება ხორციელდება ინკოტერმსის შესაბამისი ტერმინით განსაზღვრული პირობებით.

6.2. საქონელზე საკუთრების გადაცემა ხდება --

6.3. საქონელზე რისკის გადაცემა ხდება --

6.4. ხელშეკრულების თანახმად საქონლის მიწოდების პუნქტად განსაზღვრულია ------------------------------

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია მხარეთა მიერ მის სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ნაწილობრივ ან არასათანადოდ შესრულებაზე მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

8.2. ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის მყიდველი გამყიდველს პირგასამტეხლოს სახით უხდის ——— ლარს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის

8.3. საქონლის მიწოდების, ხელშეკრულების განსაზღვრული ვადების დარღვევისათვის გამყიდველი მყიდველს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის - ——— ლარს ყოველი სრული დაგვიანებული დღისათვის.

8.4. საქონლის მიწოდებისათვის, რომელიც არ შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს, „გამყიდველი" „მყიდველს" გადაუხდის ჯარიმას მყიდველის მიერ წაყენებული დასაბუთებული პრეტენზიის ფარგლებში და აუნაზღაურებს მიყენებულ ზიანს.

8.5. ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის პირობები

9.1. „გამყიდველს" უფლება აქვს, ცალმხრივად უარი თქვას ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე და პასუხისმგებლობაზე, თუ:

9.1.1. ———————————————————————————————

———————————————————————————————

9.1.2. ———————————————————————————————

———————————————————————————————

9.2. „მყიდველს" უფლება აქვს, ცალმხრივად უარი თქვას ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობის შესრულებაზე, თუ:

9.2.1. ———————————————————————————————

———————————————————————————————

9.2.2. ———————————————————————————————

———————————————————————————————

10. პრეტენზიები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული პრეტენზიები მხარეებმა ერთმანეთს უნდა წაუყენონ ——— იყის ვადაში პრეტენზიის წაყენების საფუძვლის წარმოქმნის დღიდან.

10.2. პრეტენზიის წაყენების თარიღად ითვლება საფოსტო განყოფილების შტამპის თარიღი საპრეტენზიო წერილის მიღებაზე.

10.3. პრეტენზიის მიმღები მხარე ვალდებულია არსებითად განიხილოს იგი (მთლიანად ან ნაწილობრივ აღიაროს, ან მთლიანად თუ ნაწილობრივ უარყოს). მისი გადაწყვეტილება პრეტენზიის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების, ან ასეთი დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და წერილობით აცნობოს მეორე მხარეს, არა უგვიანეს ერთი თვისა პრეტენზიის მიღებიდან.

10.4. მხარეები შეთანხმდნენ, არ წაუყენონ ერთმანეთს პრეტენზიები, რომლებიც თანხობრივად აღემატება ______ ლარს.

11. დავის გადაწყვეტა

11.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან მოლაპარაკების გზით.

11.2. თუ ეს არ მოხერხდება, მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს ან სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

12. ხელშეკრულების შეცვლა

12.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

12.2. მხარეებს არა აქვთ უფლება მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე გადასცენ მესამე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები.

13. საერთო პირობები

13.1. ხელშეკრულება არ შეიცავს სიტყვიერ და საიდუმლო შეთანხმებებს.

13.2. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ძალადაკარგულად ითვლება ყველა წინა შეთანხმება და მიმოწერა;

13.3. ხელშეკრულება შედგენილია ______ ორიგინალურ ეგზემპლარად, ______ ______ ______ ენაზე. ყველა ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

14.1. მყიდველი ____________

____

საფოსტო მისამართი ____________

ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა ____________

ანგარიშსწორების ანგარიში, ბანკის რეკვიზიტები

სატრანსპორტო რეკვიზიტები:

სავაგონო გადატვირთვისათვის ____________

საკონტეინერო გადატვირთვისათვის ____________

საწყლო ტრანსპორტით გადატვირთვისათვის ____________

საჰაერო ტრანსპორტით გადატვირთვისათვის ____________

14.2. გამყიდველი ____________

____

საფოსტო მისამართი ____________

ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა ____________

ანგარიშსწორების ანგარიში, ბანკის რეკვიზიტები ____________

სატრანსპორტო რეკვიზიტები:

სავაგონო გადატვირთვისათვის ____________

საკონტეინერო გადატვირთვისათვის ____________

საწყლო ტრანსპორტით გადატვირთვისათვის ____________

საჰაერო ტრანსპორტით გადატვირთვისათვის ____________

14.3. ხელშეკრულების დანართები

დანართი № 1

დანართი № 2

მყიდველი	გამყიდველი
____________	____________
„____“ ____________ 2006 წ.	„____“ ____________ 2006 წ.

ყიდვა-გაყიდვის
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
(ფიზიკურ პირებს შორის)

ქ. თბილისი "" 2006 წ.

მოქალაქე — - —
მცხოვრები — — -
შემდგომში **„გამყიდველი"** ერთის მხრივ, და მოქალაქე — - ---
-- --- -- --- -- -- --- ----- ----
მცხოვრები ------------ ----------
შემდგომში **„მყიდველი"** მეორეს მხრივ, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. **„გამყიდველი"** ვალდებულებას კისრულობს **„მყიდველს"** გადასცეს საკუთრებაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. **„გამყიდველი"** ვალდებულებას კისრულობს:

2.1.1. გადასცეს **„მყიდველს"** ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი (გადასცეს საქონელი გადაამზიდავს) ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან - -- დღის ვადაში.

2.1.2. საქონლის გადაცემა მოახდინოს მიღება-ჩაბარების აქტით.

2.1.3. საქონელთან ერთად გადასცეს მყიდველს შემდეგი დოკუმენტები:

2.1.3.1. ----
---- ------ -- ---

2.1.3.2. ------
- ------

2.1.3.3. ------
------ ------- ---- -------- ---- -----

2.2. მყიდველი ვალდებულებას კისრულობს:

2.2.1 დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება.

2.2.2 დროულად მიიღოს საქონელი მიღება-ჩაბარების აქტით.

2.2.3. ტრანსპორტირება განახორციელოს საკუთარი ხარჯებით და რისკით

3. რაოდენობა

3.1. საქონლის გაზომვის ერთეული ———————

3.2. საქონლის საერთო რაოდენობა — ———————

———————————————————————

4. ფასები

4.1. საქონლის ერთეულის ღირებულება ——————————— ლარი

4.2. ფასები მითითებულია ———————————————————

———————————————————————————————

გადასახადების ჩათვლით, ჩაუთვლელად.

4.3. სულ საქონლის საერთო ღირებულებაა ——————————— ლარი

5. ანგარიშსწორების წესი

5.1. საქონლის სახელშეკრულებო ღირებულებას ——————————— ლარს, „მყიდველი“ გადაიხდის ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან (საქონლის მიღების მომენტიდან) ——————— დღის ვადაში.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია მხარეთა მიერ მის სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, ნაწილობრივ ან არასათანადოდ შესრულებაზე, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

7.2. ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის მყიდველი გამყიდველს, პირგასამტეხლოს სახით უხდის ______ ლარს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის

7.3 საქონლის მიწოდების, ხელშეკრულების განსაზღვრული ვადების დარღვევისათვის **„გამყიდველი“ „მყიდველს„** პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ______ ლარს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

7.4. საქონლის მიწოდებისათვის, რომელიც არ შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს **„გამყიდველი“ „მყიდველს“** გადაუხდის ჯარიმას **„მყიდველის“** მიერ წაყენებული დასაბუთებული პრეტენზიის ფარგლებში და აუნაზღაურებს მიყენებულ ზიანს.

7.5. ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის პირობები

8.1. **„გამყიდველს“** უფლება აქვს, ცალმხრივად უარი თქვას ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე და პასუხისმგებლობაზე, თუ:

8.1.1. ____

____

8.1.2. ____

____

8.2. **„მყიდველს“** უფლება აქვს ცალმხრივად უარი თქვას ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობის შესრულებაზე, თუ

8.2.1. ____

____

8.2.2. ____

____

9. პრეტენზიები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული პრეტენზიები მხარეებმა ერთმანეთს უნდა წაუყენონ ______ თვის ვადაში პრეტენზიის წაყენების საფუძვლის წარმოქმნის დღიდან.

9.2. პრეტენზიის წაყენების თარიღად ითვლება საფოსტო განყოფილების შტამპის თარიღი საპრეტენზიო წერილის მიღებაზე.

9.3. პრეტენზიის მიმღები მხარე ვალდებულია არსებითად განიხილოს იგი (მთლიანად ან ნაწილობრივ აღიაროს, ან მთლიანად თუ ნაწილობრივ უარყოს), მიიღოს გადაწყვეტილება პრეტენზიის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების, ან ასეთი დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და წერილობით აცნობოს მეორე მხარეს, არა უგვიანეს ერთი თვისა პრეტენზიის მიღებიდან.

9.4. მხარეები შეთანხმდნენ, არ წაუყენონ ერთმანეთს პრეტენზიები, რომლებიც თანხობრივად აღემატება ——— ლარს.

10. დავის გადაწყვეტა

10.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან მოლაპარაკების გზით.

10.2. თუ ეს არ მოხერხდება, მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს ან სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

11. ხელშეკრულების შეცვლა

11.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

11.2. მხარეებს არა აქვთ უფლება, მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე გადასცენ მესამე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები.

12. საერთო პირობები

12.1. ხელშეკრულება არ შეიცავს სიტყვიერ და საიდუმლო შეთანხმებებს.

12.2. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ძალადაკარგულად ითვლება ყველა წინა შეთანხმება და მიმოწერა;

12.3. ხელშეკრულება შედგენილია —— ——— ორიგინალ ეგზემპლარად. ————— ენაზე. ყველა ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

13.1. მყიდველი ————————————————

————————————————————————

საფოსტო მისამართი --
ტელეფონი, ფაქსი, ელ-ფოსტა
ანგარიშსწორების ანგარიში, ბანკის რეკვიზიტები

სატრანსპორტო რეკვიზიტები:
სავაგონო გადატვირთვისათვის
საკონტეინერო გადატვირთვისათვის
საწყლო ტრანსპორტით გადატვირთვისათვის
საჰაერო ტრანსპორტით გადატვირთვისათვის

13.2. გამყიდველი ————————————————

საფოსტო მისამართი ——————
ტელეფონი, ფაქსი, ელ-ფოსტა ——————
ანგარიშსწორების ანგარიში, ბანკის რეკვიზიტები ---

სატრანსპორტო რეკვიზიტები:
სავაგონო გადატვირთვისათვის ——————
საკონტეინერო გადატვირთვისათვის ——————
საწყლო ტრანსპორტით გადატვირთვისათვის ——————
საჰაერო ტრანსპორტით გადატვირთვისათვის ——————

13.3. ხელშეკრულების დანართები

დანართი № 1
დანართი № 2

მყიდველი | გამყიდველი

-" 2006 წ | " 2006 წ.

ყიდვა-გაყიდვის
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
(დანადგარ-მოწყობილობების შეძენაზე)

ქ. თბილისი "—--- -" 2006 წ.

-- ——-- საწარმოს დირექტორის - —-—— ———-—- სახით, შემდგომში „გამყიდველი" ერთის მხრივ, და ———————————————— საწარმოს დირექტორის — ————————————————————— სახით შემდგომში „მყიდველი" მეორეს მხრიე, ესარგებლობით რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით,

შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „გამყიდველი" ვალდებულებას კისრულობს გადასცეს საკუთრებაში „მყიდველს" ხელშეკრულებით გათალისწინებული დანადგარ-მოწყობილობები. „მყიდველი" ვალდებულებას კისრულობს მიიღოს დანადგარ-მოწყობილობები და გადაიხადოს მისი ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. „გამყიდველი" ვალდებულებას კისრულობს:

2.1.1. გადასცეს „მყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანადგარ–მოწყობილობები, თანდართული სპეციფიკაციის მიხედვით, ხელშეკრულების ხელმოწერიდან —————— დღის ვადაში.

2.1.2. გადასცეს „მყიდველს" დამატებითი მოწყობილობები და სათადარიგო ნაწილები თანდართული სპეციფიკაციის მიხედვით.

2.1.3. დანადგარ–მოწყობილობების გადაცემა მოახდინოს მიღება-ჩაბარების აქტით.

2.1.4. მოახდინოს მიწოდებული დანადგარ-მოწყობილობების მონტაჟისა და გაშვების სამუშოები.

2.1.5. თავის საწარმოში მონტაჟის „მყიდველის“ სპეციალისტები.

2.1.6. გაუწიოს დახმარება „მყიდველს“ დანადგარ-მოწყობილობების ექსპლუატაციაში, მათი დამონტაჟებიდან 3 თვის განმავლობაში.

2.1.7. დანადგარ-მოწყობილობებთან ერთად გადასცეს „მყიდველს“ შემდეგი დოკუმენტები:

2.1.7.1. ______

2.1.7.2. ______

2.1.7.3. ______

2.2. მყიდველი ვალდებულებას კისრულობს:

2.2.1. დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება.

2.2.2. დროულად მიიღოს დანადგარ–მოწყობილობები მიღება-ჩაბარების აქტით.

2.2.3. ტრანსპორტირება განახორციელოს საკუთარი ხარჯებითა და რისკით.

3. ხარისხი

3.1. „გამყიდველის“ მიერ მიწოდებული დანადგარ-მოწყობილობების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს მოქმედი სტანდარტის, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

3.2. „გამყიდველის“ მიერ მოწოდებული საქონლის ხარისხი დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისობის სერთიფიკატის და დადგენილი წესით გაფორმებული გამოცდის ოქმების ორიგინალებით.

3.3. დანადგარ–მოწყობილობების საგარანტიო ვადა განისაზღვრულია ______ წლის ვადით მათი ექსპლუატაციაში გაშვების მომენტიდან.

4. კომპლექტურობა

4.1. „გამყიდველის“ მიერ მიწოდებული დანადგარ–მოწყობილობების კომპლექტურობა განისაზღვრება ______

____

ხელშეკრულება, სტანდარტი, სხვა ნორმატიული დოკუმენტი

4.2. ნაკეთობები, რომლებიც არ შედის სტანდარტულ კომპლექტში, მაგრამ მიწოდებულ უნდა იქნეს წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად: ———— ——— ———

———— ———— ———— ————

——— ———— ————

———— ———— ———— ———— ————

——— ———— ———— ———— ——— —

4.3. იმ ნაკეთობათა ნუსხა, რომელიც ამოღებულ უნდა იქნეს სტანდარტული კომპლექტიდან:

——— ——— ———— ———— ——— ———

———— ———— ——— ——————— ———

———— ——— ——————— ———————

———— ——— — ———— ———— ——————— —

5. მიწოდების ვადები და წესი

5.1. დანადგარ–მოწყობილობები სრულად უნდა მიეწოდოს მყიდველს ——— ——————————— განმაელობაში (ხელშეკრულების ხელმოწერის, სრული ანგარიშსწორების მომენტიდან, თანდართული გრაფიკით. დანართი № 2)

5.2. „გამყიდველს" (უფლება აქვს, არა აქვს უფლება) ვადამდე მიაწოდოს „მყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანადგარ-მოწყობილობები, რის შესახებაც „მყიდველს" ატყობინებს ——— დღეში გადატვირთვამდე, გადატვირთვის მომენტიდან.

6. ფასები

6.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს ———— ———— ლარის დღგ-ს ჩათვლით.

6.2. დანადგარ–მოწყობილობების კონსტრუქციული სრულყოფისა და მათში შეტანილი ტექნოლოგიური ცვლილებების გათვალისწინებით დასაშვებია ფასის ცვალებადობა, არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ისა.

7. ანგარიშსწორების წესი

7.1. საქონლის სახელშეკრულებო ღირებულების ———— %-ს ————

______ლარს. მყიდველი წინასწარ უხდის გამყიდველს ნაღდი ანგარიშსწორებით. გამყიდველის ანგარიშზე თანხის გადარიცხვით ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ______ დღის განმავლობაში.

7.2. სახელშეკრულებო თანხის სრული გადახდის საბოლოო ვადაა ______

______

ხელშეკრულების ხელმოწერის, საქონლის გადატვირთვის, საქონლის მიღების მომენტიდან.

7.3. ანგარიშსწორების წესი ______

______

ფოსტით, ტელეგრაფით, სხვა საშუალებით

7.4. ანგარიშსწორების სახე ______

______

ნაღდი, უნაღდო, შერეული

7.5. ანგარიშსწორების ფორმა ______

______

საგადასახადო დავალება, ჩეკი, აკრედიტივი

7.6. „მყიდველი" ვალდებულია, შეატყობინოს „გამყიდველს" განხორციელებული ანგარიშსწორების შესახებ - ______ ვადაში, საგადასახადო დავალების წარდგენის მომენტიდან (ტელეფონით, ფაქსით).

8. მიწოდების პირობები

8.1. მიწოდება ხორციელდება **ინკოტერმსის** შესაბამისი ტერმინით განსაზღვრული პირობებით.

8.2. დანადგარ-მოწყობილობებზე საკუთრების გადაცემა ხდება ______

______

8.3. დანადგარ-მოწყობილობებზე რისკის გადაცემა ხდება

______

8.4. ხელშეკრულების თანახმად, დანადგარ–მოწყობილობების მიწოდების პუნქტად განსაზღვრულია ______

______

9. ტარა და შეფუთვა

9.1. დანადგარ-მოწყობილობები შეფუთული უნდა იქნეს (სტანდარტის, შეთანხმებული სასაქონლო ნიმუშის მიხედვით) ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად.

9.1.1. თუ ხელშეკრულებაში დანადგარ–მოწყობილობების შეფუთვის წესი მითითებული არ არის, იგი ისეთი წესით უნდა იქნეს შეფუთული **„გამყიდველის"** მიერ, რომ შეფუთვა გამორიცხავდეს მის გაფუჭებას, დაზიანებას ან განადგურებას მიწოდების (ტრანსპორტირების, შენახვის, დასაწყობების) პერიოდში – დანადგარ–მოწყობილობების მიღებამდე **„მყიდველის"** მიერ.

10. მარკირება

10.1. დანადგარ–მოწყობილობები და ტარა მარკირებული უნდა იქნეს ხელშეკრულების პირობების (სტანდარტი, სასაქონლო ნიმუში, დამატებითი პირობების) შესაბამისად.

11. დანადგარ–მოწყობილობების გადაცემა

11.1. დანადგარ–მოწყობილობების გადაცემა (მიღება-ჩაბარება) ხდება დანიშნულების პუნქტში.

11.2. დანადგარ–მოწყობილობების მიღება რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.3. **„გამყიდველი"** შეუწყობს ხელს **„მყიდველს"** შეამოწმოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანადგარ-მოწყობილობების ხარისხი, კომპლექტურობა, შეფუთვა და მარკირება საწარმოშივე ან პორტში მის გადატვირთვამდე.

11.4. თუ ასეთი შემოწმების შედეგად **„მყიდველი"** ან მისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი დაადგენს, რომ დანადგარ-მოწყობილობების ხარისხი, შეფუთვა, მარკირება არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, **„მყიდველს"** უფლება აქვს აკრძალოს ასეთი დანადგარ-მოწყობილობების გადატვირთვა, ხოლო **„გამყიდველი"** ვალდებულია, თავისი ხარჯებით შეცვალოს დაწუნებული დანადგარ-მოწყობილობები.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია მხარეთა მიერ მის სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა

13.1. მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მათ შორის, ხელიდან გაშვებული სარგებელი მოგება – მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

13.2. **„მყიდველი“** პასუხისმგებლობას კისრულობს:

13.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით **„გამყიდველს“** ვადაგადაცილებული თანხის ––– % ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის;

13.3. მიწოდებული დანადგარ–მოწყობილობების უკომპლექტობის, უხარისხობის ან რაოდენობრივი დანაკლისის გამოვლენისას, მხარეების პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, გამოვლენილ დარღვევებში **„გამყიდველი“**, **„გადამზიდველის“**, **„მყიდველის“** ბრალის შესაბამისად.

13.4. **„გამყიდველი“** პასუხისმგებლობას კისრულობს:

13.4.1. გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით **„მყიდველს“** დაგვიანებით მიწოდებული დანადგარ–მოწყობილობების ღირებულების ––––– % ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.

13.4.2. გადაუხადოს **„მყიდველს“** ჯარიმის სახით, მიწოდებული უხარისხო, უკომპლექტო, დანაკლისით და ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი დანადგარ–მოწყობილობების ღირებულების %.

13.4.3. **„გამყიდველის“** მიერ მიწოდებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში იგი ჯარიმის სახით უხდის **„მყიდველს“** მიუწოდებელი საქონლის ღირებულების ––––– %.

13.4.4 ჯარიმებისა და პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ფორსმაჟორი

14.1 არცერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია სტიქიური და ტექნოლოგიური კატასტროფებით, ხანძრით, საომარი მოქმედებებით, სამთავრობო გადაწყვეტილებებით, სოციალური აფეთქებებით და ეს მოვლენები დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

14.2. თუ ჩამოთვლილი გარემოებიდან უშუალოდ რომელიმე მოქმედებს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების ვადაზე, ეს ვადა გაგრძელდება დაუძლეველი ძალის გარემოების მოქმედების ხანგრძლივობის შესაბამისად.

14.3. მხარე, რომელსაც წამოეჭრა დაუძლეველი ძალის გარემოება, ვალდებულია ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და შეწყვეტის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

14.4. შეტყობინებაში ასახული ფაქტები დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი რეგიონის სავაჭრო, სამრეწველო პალატის, ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ.

14.5. არშეტყობინება ან დაგვიანებით შეტყობინება უფლებას ართმევს მხარეს, გამოიყენოს ზემოთ მოყვანილი დაუძლეველი ძალის მოვლენები პასუხისმგებლობიდან განთავისუფლების საფუძვლად.

14.6. თუ გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ———— თვეზე მეტს გაგრძელდება, მეორე მხარეს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობაზე, მხარისათვის მიყენებული შესაძლო ზარალის ანაზღაურების გარეშე.

15. პრეტენზიები

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული პრეტენზიები მხარეებმა ერთმანეთს უნდა წაუყენონ ——— თვის ვადაში პრეტენზიის წაყენების საფუძვლის წარმოქმნის დღიდან.

15.2. პრეტენზიის წაყენების თარიღად ითვლება საფოსტო განყოფილების შტამპის თარიღი საპრეტენზიო წერილის მიღებაზე.

15.3. პრეტენზიის მიმღები მხარე ვალდებულია არსებითად განიხილოს იგი (მთლიანად ან ნაწილობრივ აღიაროს, ან მთლიანად თუ ნაწილობრივ უარყოს), მიიღოს გადაწყვეტილება პრეტენზიის მთლიანად ან ნაწილობრივ

დაკმაყოფილების, ან ასეთი დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და წერილობით აცნობის მეორე მხარეს, არა უგვიანეს ერთი თვისა პრეტენზიის მიღებიდან.

15.4. მხარეები შეთანხმდნენ არ წაუყენონ ერთმანეთს პრეტენზიები, რომლებიც თანხობრივად აღემატება ლარს.

16. დავის გადაწყვეტა

16.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან მოლაპარაკების გზით.

16.2. თუ ეს არ მოხერხდება, მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს ან სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

16.3. ხელშეკრულებაში გარკვევით უნდა იყოს მითითებული, არბიტრაჟის დასახელება, განხილვის ადგილი, არბიტრების რაოდენობა და მათი დანიშვნის წესი, განხილვის ენა და გამოყენებული სამართალი.

17. ხელშეკრულების შეცვლა

17.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

17.2. მხარეებს არა აქვთ უფლება, მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე გადასცენ მესამე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები.

18. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

18.1 უნდა აღინიშნოს მხარეების შეთანხმება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

ა) ხარისხობრივი მაჩვენებლები, შეფუთვა, მარკირება, რაც აღემატება ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებულ პარამეტრებს;

ბ) მოწყობილობის მონტაჟი და პერიოდული ტექმომსახურება;

გ) სათადარიგო ნაწილებისა და სპეციალური მასალების მოწოდება;

დ) სპეციალისტების მომზადება და სხვა.

19. საერთო პირობები

19.1. ხელშეკრულება არ შეიცავს სიტყვიერ და საიდუმლო შეთანხმებებს.

19.2 ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ძალადაკარგულად

ითვლება ყველა წინა შეთანხმება და მიმოწერა;

19.3 ხელშეკრულება შედგენილია ———— ორიგინალურ ეგზემპლარად, ———— ენაზე. ყველა ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

20. მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

20.1. მყიდველი ————————————————

————————————————————————

საფოსტო მისამართი ————————————

ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა ————————————

ანგარიშსწორების ანგარიში, ბანკის რეკვიზიტები ————————

სატრანსპორტო რეკვიზიტები:

სავაგონო გადატვირთვისათვის ————————————

საკონტეინერო გადატვირთვისათვის ————————————

საწყლო ტრანსპორტით გადატვირთვისათვის ————————————

საჰაერო ტრანსპორტით გადატვირთვისათვის ————————————

20.2. გამყიდველი ————————————————

————————————————————————

საფოსტო მისამართი ————————————

ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა ————————————

ანგარიშსწორების ანგარიში, ბანკის რეკვიზიტები ————————

სატრანსპორტო რეკვიზიტები:

სავაგონო გადატვირთვისათვის ————————————

საკონტეინერო გადატვირთვისათვის ————————————

საწყლო ტრანსპორტით გადატვირთვისათვის ————————————

საჰაერო ტრანსპორტით გადატვირთვისათვის ————————————

20.3. ხელშეკრულების დანართები

დანართი № 1

დანართი № 2

მყიდველი	გამყიდველი
————————————	————————————
„———“——————“ 2006 წ.	„———“——————“ 2006 წ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
ავტომანქანის შესყიდვაზე

ქ. თბილისი „——“————————“ 2006 წ.

მოქალაქე ————————————— მცხოვრები ———————————————პირადობის მოწმობა № ——————— გაცემული ——————————————————— მიერ „———“————————“ 2006 წ. შემდგომში „გამყიდველი“ ერთის მხრივ, და მოქალაქე ——————————————— მცხოვრები ——————————————————— პირადობის მოწმობა № ——————— გაცემული ——————————— მიერ „———“————“ 2006 წ. შემდგომში „მყიდველი“ მეორეს მხრივ, შევთანხმდით:

1. „გამყიდველი“ ვალდებულებას კისრულობს, გადასცეს „მყიდველს“ საკუთრებაში, „მყიდველი“ ვალდებულებას კისრულობს მიიღოს და აანაზღაუროს ავტომობილის ღირებულება:

ავტომობილის მარკა, მოდელი ———————————————————————

სარეგისტრაციო № ———————————————————————

საიდენტიფიკაციო № ———————————————————————

გამოშვების წელი ———————————————————————

ძრავის № ———————————

შასის № ———————————

ძარას № ———————————

ფერი ———————————

2. „მყიდველი“ ვალდებულებას კისრულობს, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან — ------ დღის ვადაში გადაუხადოს „გამყიდველს“ ლარი ნაღდი (უნაღდო) ანგარიშსწორებით.

3. გასაყიდი ავტომანქანა საკუთრების უფლებით ეკუთვნის „გამყიდველს“ რაც დასტურდება სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური პასპორტით სერია ———— ------

№ ---- გაცემული ----------- -- --

------- მიერ "-- -" ————————— " 200 წ.

4. შეფასების დოკუმენტის თანახმად, რომელიც შედგენილია " -- — "———— --- —" 200 წ. ავტომანქანის ღირებულება შეადგენს — ----------- ლარს. მხარეების მიერ ავტომანქანა შეფასებულია ---------- ლარად.

5. „გამყიდველი“ ვალდებულებას კისრულობს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავტომანქანა გადასცეს „მყიდველს“ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ——— დღის ვადაში.

6. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავტომანქანა არ არის გაყიდული, დაგირავებული, არ არის დატვირთული რაიმე ქონებრივი ან სხვა უფლებით.

7. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

მყიდველი	გამყიდველი
———————————	———————————
„———“----- " 2006 წ.	„———“———————" 2006 წ.

მიწოდების
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი   “ 2006 წ.

– საწარმოს დირექტორის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“ ერთის მხრივ, და საწარმოს დირექტორის – სახით შემდგომში „დამკვეთი“ მეორეს მხრივ, ვსარგებლობთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მინიჭებული უფლებამოსილებებით, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. **„მიმწოდებელი“** ვალდებულებას კისრულობს მიაწოდოს **„დამკვეთს“ დანადგარ-მოწყობილობები** თანდართული სპეციფიკაციის შესაბამისად (დანართი 1). დამკვეთი ვალდებულებას კისრულობს მიიღოს დანადგარ-მოწყობილობები და გადაიხადოს მისი ღირებულება განსაზღვრული სახელშეკრულებო ღირებულების შეთანხმების ოქმით (დანართი 2).

2. მიწოდების პირობები

2.1. მიწოდება განხორციელდება CIF – შეთანხმებული პორტი, „ინკოტერმს – 2000“ -ის მოთხოვნების შესაბამისად.

2.2. მიწოდება ხორციელდება ვადაში ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.

2.3. მიწოდებული დანადგარ-მოწყობილობა უნდა შეესაბამებოდეს შეთანხმებული ტექნიკური დოკუმენტაციის (სტანდარტი, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური დოკუმენტაცია) მოთხოვნებს.

2.4. მოწყობილობის ყველა კომპლექტს თან უნდა ახლდეს შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია (პასპორტი, ინსტრუქციები, შეფუთვის ფურცელი).

2.5. დანადგარ-მოწყობილობების შეფუთვა უნდა უზრუნველყოფდეს მის საიმედო დაცვას ტრანსპორტირების, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და შენახვის პროცესებში, დამკვეთისათვის ჩაბარების მომენტამდე.

2.6. დანადგარ-მოწყობილობები და სატრანსპორტო ტარა მარკირებული უნდა იყოს ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად.

3. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება განსაზღვრულია ———— ლარით. (ხელშეკრულების ფასის შეთანხმების ოქმი, დანართი № 2)

3.2. **„დამკვეთი“** ანგარიშსწორებას მოახდენს უნაღდო ანგარიშსწორებით, მათ შორის სახელშეკრულებო ღირებულების 40%-ს მიმწოდებლის ანგარიშზე გადარიცხავს ხელშეკრულების ხელმოწერიდან ——— თვის განმავლობაში. დანარჩენ 60%-ს საქონლის პირველი კომპლექტის მიწოდებიდან ——— ვადაში.

3.3. დასაშვებია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის შეცვლა ინფლაციის გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს ——— %-ისა.

3.4. ტრანსპორტირების პროცესში დანადგარ-მოწყობილობების დაზღვევას თავისი ხარჯით ანხორციელებს **„დამკვეთი“**.

3.5. დანადგარ-მოწყობილობების გადატვირთვის წინ მის შემოწმებას და მიღებას ახორციელებს **„დამკვეთი“**.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. **„მიმწოდებელი“** ვალდებულებას კისრულობს:

4.1.1. განახორციელოს მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით;

4.1.2. გადასცეს **„დამკვეთს“** დამატებითი მოწყობილობები და სათადარიგო ნაწილები თანდართული სპეციფიკაციის მიხედვით.

4.1.3. დროულად შეატყობინოს **„დამკვეთს“** დანადგარ-მოწყობილობების მზადყოფნის შესახებ გადატვირთვისათვის.

4.1.4. დანადგარ–მოწყობილობების გადაცემა მოახდინოს მიღება-ჩაბარების აქტით.

4.1.5. მოახდინოს მიწოდებული დანადგარ-მოწყობილობების მონტაჟისა და გაშვების სამუშაოები.

4.1.6. თავის საწარმოში მოამზადოს **„დამკვეთის"** სპეციალისტები.

4.1.7. გაუწიოს დახმარება **„დამკვეთს"** დანადგარ მოწყობილობების ექსპლუატაციაში, მათი დამონტაჟებიდან 3 თვის განმავლობაში.

4.1.8. დანადგარ–მოწყობილობებთან ერთად გადასცეს **„დამკვეთს"** შემდეგი დოკუმენტები:

4.1.8.1. ———————————————

4.1.8.2. ———————————————

4.1.8.3. ———————————————

4.1.9. უზრუნველყოს დანადგარ-მოწყობილობების შეუფერხებელი საგარანტიო მომსახურება საგარანტიო ვადის განმავლობაში.

4.2. **„დამკვეთი"** ვალდებულებას კისრულობს:

4.2.1. დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება.

4.2.2. დროულად მიიღოს დანადგარ–მოწყობილობები მიღება-ჩაბარების აქტით.

4.2.3. დანიშნულების ადგილიდან ტრანსპორტირება განახორციელოს საკუთარი ხარჯებითა და რისკით.

4.2.4. დანადგარ-მოწყობილობების გადატვირთვისათვის მზადყოფნის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ——— დღის ვადაში მოახდინოს დანადგარ-მოწყობილობების საინსპექციო შემოწმება და მიღება.

5. ხარისხი

5.1. **„მომწოდებლის"** მიერ მოწოდებული დანადგარ-მოწყობილობები უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი სტანდარტებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

5.2. მოწოდებული დანადგარ-მოწყობილობების ხარისხი დადასტურებული უნდა იყოს აკრედიტებული საინსპექციო ორგანიზაციების შესაბამისობის სერთიფიკატებით.

5.3. დანადგარ-მოწყობილობების შენახვის, ექსპლუატაციის, გამოყენების

საგარანტიო ვადა   წელი, დამზადების, გადატვირთვის, მიღების, ექსპლუატაციის დაწყების მომენტიდან

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია მხარეთა მიერ მის სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათი მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი. მათ შორის, ხელიდან გაშვებული სარგებელი მოგება – მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

7.2. „დამკვეთი" პასუხისმგებლობას კისრულობს:

7.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით მომწოდებელს დროულად გადაუხდელი თანხის ------ % ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის;

7.3. მოწოდებული დანადგარ–მოწყობილობების უკომპლექტობის, უხარისხობისა, ან რაოდენობრივი დანაკლისის გამოვლენისას, მხარეების პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, გამოვლენილ დარღვევებში მომწოდებლის, გადამზიდველის, დამკვეთის ბრალის შესაბამისად.

7.4. „მომწოდებელი" პასუხისმგებლობას კისრულობს:

7.4.1. გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით „დამკვეთს" დაგვიანებით მიწოდებული დანადგარ–მოწყობილობების ღირებულების ---- % ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.

7.4.2. გადაუხადოს „დამკვეთს" ჯარიმის სახით, მიწოდებული უხარისხო, უკომპლექტო, დანაკლისიანი და ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი დანადგარ–მოწყობილობების ღირებულების ------ %.

7.4.3. „მომწოდებლის" მიერ მიწოდებაზე ცალმხრივად უარის თქმის

შემთხვევაში, იგი ჯარიმის სახით იხდის **„დამკვეთს"** მიუწოდებელი საქონლის ღირებულების %.

7.4.4. ჯარიმებისა და პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ფორსმაჟორი

8.1. არცერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია სტიქიური და ტექნოლოგიური კატასტროფებით, ხანძრით, საომარი მოქმედებით, სამთავრობო გადაწყვეტილებებით, სოციალური აფეთქებებით და ეს მოვლენები დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

8.2 თუ ჩამოთვლილი გარემოებიდან, უშუალოდ რომელიმე მოქმედებს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების ვადაზე, ეს ვადა გაგრძელდება დაუძლეველი ძალის გარემოების მოქმედების ხანგრძლივობის შესაბამისად.

8.3. მხარე, რომელსაც წამოეჭრა დაუძლეველი ძალის გარემოება, ვალდებულია ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და შეწყვეტის შესახებ შეატყობინოს წერილობით მეორე მხარეს.

8.4. შეტყობინებაში ასახული ფაქტები დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი რეგიონის სავაჭრო, სამრეწველო პალატის, ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ.

8.5. არ შეტყობინება, ან დაგვიანებით შეტყობინება უფლებას ართმევს მხარეს, გამოიყენოს ზემოთ მოყვანილი დაუძლეველი ძალის მოვლენები პასუხისმგებლობიდან განთავისუფლების საფუძვლად.

8.6. თუ გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, — — —— თვეზე მეტს გაგრძელდება, მეორე მხარეს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობაზე, მხარისათვის მიყენებული შესაძლო ზარალის ანაზღაურების გარეშე.

9. პრეტენზიები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული პრეტენზიები მხარეებმა ერთმანეთს უნდა წაუყენონ - - თვის ვადაში

პრეტენზიის წაყენების საფუძვლის წარმოქმნის დღიდან.

9.2. პრეტენზიის წაყენების თარიღად ითვლება საფოსტო განყოფილების შტამპის თარიღი საპრეტენზიო წერილის მიღებაზე.

9.3. პრეტენზიის მიმღები მხარე ვალდებულია არსებითად განიხილოს იგი (მთლიანად ან ნაწილობრივ აღიაროს, ან მთლიანად თუ ნაწილობრივ უარყოს), მიიღოს გადაწყვეტილება პრეტენზიის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების, ან ასეთი დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და წერილობით აცნობოს მეორე მხარეს, არა უგვიანეს ერთი თვისა პრეტენზიის მიღებიდან.

9.4. მხარეები შეთანხმდნენ, არ წაუყენონ ერთმანეთს პრეტენზიები, რომლებიც თანხობრივად აღემატება ------ ლარს.

10. დავის გადაწყვეტა

10.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან მოლაპარაკების გზით.

10.2. თუ ეს არ მოხერხდება, მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს ან სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

10.3. ხელშეკრულებაში გარკვევით უნდა იყოს მითითებული არბიტრაჟის დასახელება, განხილვის ადგილი, არბიტრების რაოდენობა და მათი დანიშვნის წესი, განხილვის ენა და გამოყენებული სამართალი.

11. ხელშეკრულების შეცვლა

11.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

11.2. მხარეებს არა აქვთ უფლება, მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე გადასცენ მესამე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები.

12. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

12.1. უნდა აღინიშნოს მხარეების შეთანხმება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

ა) ხარისხობრივი მაჩვენებლები, შეფუთვა, მარკირება, რაც აღემატება

ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებულ პარამეტრებს;

ბ) მოწყობილობის მონტაჟი და პერიოდული ტექმომსახურება;

გ) სათადარიგო ნაწილებისა და სპეციალური მასალების მოწოდება;

დ) სპეციალისტების მომზადება და სხვა.

13. საერთო პირობები

13.1. ხელშეკრულება არ შეიცავს სიტყვიერ და საიდუმლო შეთანხმებებს.

13.2. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ძალადაკარგულად ითვლება ყველა წინა შეთანხმება და მიმოწერა;

13.3. ხელშეკრულება შედგენილია ________ ორიგინალურ ეგზემპლარად, ________ ________ ენაზე. ყველა ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

14.1. „დამკვეთი" ____

____

14.2. „მომწოდებელი" ____

____

14.3. ხელშეკრულების დანართები

დანართი № 1

დანართი № 2

მყიდველი ________ გამყიდველი ________

„___"________ 2006 წ. „___"________ 2006 წ.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
უძრავი ქონების გაყიდვაზე

ქ. თბილისი ——— ——" 2006 წ.

— —· საწარმოს დირექტორის ——— ——— სახით, შემდგომში „გამყიდველი" ერთის მხრივ, და ——— ——— საწარმოს დირექტორის ——— ——— სახით, შემდგომში „მყიდველი" მეორეს მხრივ, ვსარგებლობთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „გამყიდველი" ვალდებულებას კისრულობს გადასცეს „მყიდველს" საკუთრებაში ——— შემდგომში ობიექტი.

(უძრავი ქონების სრული დასახელება, აღწერილობა)

1.2. „მყიდველი" ვალდებულებას კისრულობს, მიიღოს საკუთრებაში ობიექტი და გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.

1.3. ობიექტის აღწერილობა (საერთო და სასარგებლო ფართი, სართულიანობა, კაპიტალურობის ჯგუფი, საინჟინრო კომუნიკაციები, მიწის ნაკვეთის ფართი):

——

2. მხარეების ვალდებულებები

2.1. „გამყიდველი“ ვალდებულებას კისრულობს:

2.1.1. გადასცეს მყიდველს ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან, არა უგვიანეს -- დღისა.

2.1.2 ობიექტთან ერთად გადასცეს „მყიდველს“ №1 დანართში მოყვანილი დოკუმენტები (დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

2.1.3. თავისი ხარჯით განახორციელოს „მყიდველისათვის“ ქონებისა და ქონებრივი უფლების გადაცემასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ფორმალობა.

2.2. „მყიდველი“ ვალდებულებას კისრულობს:

2.2.1. შეუფერხებლად გადასცეს „გამყიდველს“ ყველა აუცილებელი ინფორმაცია და გაუწიოს დახმარება ობიექტის „მყიდველზე“ გადაფორმებისათვის აუცილებელი პროცედურების შესასრულებლად.

2.2.2. დროულად გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები და სხვა მოსაკრებლები, რომელიც ექვემდებარება გადახდას „მყიდველის“ მიერ.

2.2.3. დროულად და სრულად გადაიხადოს უძრავი ქონების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება.

3. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ობიექტის საბაზრო ღირებულება, შეფასებული დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, განისაზღვრა -------- ლარით. (დამოუკიდებელი შემფასებლის ანგარიში, დანართი № 3).

3.2. მხარეების შეთანხმებით, ობიექტის ღირებულება განისაზღვრა ------ ლარით.

3.3. უძრავი ქონების გაყიდვის სახელმწიფო რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც უნდა გადაიხადოს „გამყიდველმა“, შეადგენს --- ------ ლარს.

3.4 უძრავი ქონების გაყიდვის სახელმწიფო რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები რომელიც უნდა გადაიხადოს „მყიდველმა“, შეადგენს ------------ ლარს.

3.5. „მყიდველი“ ანგარიშსწორებას ახდენს ნაღდი (უნაღდო) ანგარიშსწორებით უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის ნოტარიალურად დამოწმების მომენტიდან ერთი დღის ვადაში.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ანგარიშსწორების დაგვიანებისათვის მყიდველი გამყიდველს პირგასამტეხლოს სახით უხდის ვადაზე გადაუხდელი თანხის — %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.

4.2. ობიექტის „მყიდველისათვის“ გადაცემის შეფერხებისათვის გამყიდველი „მყიდველს“ პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულების ——— %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.

4.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

4.4. მხარეების პასუხისმგებლობა საკითხებზე, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

5. დავის გადაწყვეტა

5.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან მოლაპარაკების გზით.

5.2. თუ ეს არ მოხერხდება, მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს ან სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

5.3. ხელშეკრულებაში გარკვევით უნდა იყოს მითითებული არბიტრაჟის დასახელება, განხილვის ადგილი, არბიტრების რაოდენობა და მათი დანიშვნის წესი, განხილვის ენა და გამოყენებული სამართალი.

6. საერთო პირობები

6.1. ობიექტი ყიდვა-გაყიდვის მომენტისათვის არ არის გაყიდული, არ არის დატვირთული იპოთეკით, მასზე არ ვრცელდება მესამე პირების

რაიმე ქონებრივი უფლება.

6.2. ხელშეკრულება არ შეიცავს სიტყვიერ და საიდუმლო შეთანხმებებს.

6.3. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ძალადაკარგულად ითვლება ყველა წინა შეთანხმება და მიმოწერა:

6.4. ხელშეკრულება შედგენილია   ორიგინალურ ეგზემპლარად,   ენაზე. ყველა ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

7. მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

7.1. მყიდველი – ----------

------------------ ---------- ----------

7.2. გამყიდველი ------ – ---------- ----------

7.3. ხელშეკრულების დანართები

დანართი № 1

დანართი № 2

დანართი № 3

მყიდველი   გამყიდველი

------------------ –

–"----------" 2006 წ.   ---" 2006 წ.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
არასაცხოვრებელი ფართისა და მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვაზე

ქ. თბილისი —————" 2006 წ.

———— — საწარმოს დირექტორის

— სახით, შემდგომში „გამყიდველი" ერთის მხრივ, და —————————————— საწარმოს დირექტორის ———————————————— სახით, შემდგომში „მყიდველი", მეორეს მხრივ, ვსარგებლობთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამყიდველი ვალდებულებას კისრულობს გადასცეს მყიდველს საკუთრებაში უძრავი ქონება – არასაცხოვრებელი ფართი ———————————— კვმ. და მიწის ნაკვეთი ———————— კვმ.

1.2. უძრავი ქონების დახასიათება (მიწის ნაკვეთის ფართი, მდებარეობა, რელიეფის დახასიათება, არასაცხოვრებელი ფართის სართული, ოთახების რაოდენობა, საერთო და სასარგებლო ფართი, შენობის კაპიტალურობის კატეგორია, საინჟინრო კომუნიკაციების არსებობა):

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

2. მხარეების ვალდებულებები

2.1. გამყიდველი ვალდებულებას კისრულობს:

2.1.1. გადასცეს მყიდველს ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს – დღისა.

2.1.2. ობიექტთან ერთად გადასცეს მყიდველს №1 დანართში მოყვანილი დოკუმენტები (დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

2.1.3. თავისი ხარჯით განახორციელოს მყიდველისათვის ქონებისა და ქონებრივი უფლების გადაცემასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ფორმალობა

2.2. მყიდველი ვალდებულებას კისრულობს:

2.2.1. შეუფერხებლად გადასცეს გამყიდველს ყველა აუცილებელი ინფორმაცია, და გაუწიოს დახმარება ობიექტის მყიდველზე გადაფორმებისათვის აუცილებელი პროცედურების შესასრულებლად.

2.2.2. დროულად გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები და სხვა მოსაკრებლები, რომელიც ექვემდებარება გადახდას მყიდველის მიერ.

2.2.3 დროულად და სრულად გადაიხადოს უძრავი ქონების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება.

3. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ობიექტის საბაზრო ღირებულება, შეფასებული დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, განისაზღვრა —— — ლარით. (დამოუკიდებელი შემფასებლის ანგარიში, დანართი №3).

3.2. მხარეების შეთანხმებით ობიექტის ღირებულება განისაზღვრა — —— ——— ლარით.

3.3. უძრავი ქონების გაყიდვის სახელმწიფო რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც უნდა გადაიხადოს გამყიდველმა, შეადგენს ———————— ლარს.

3.4. უძრავი ქონების გაყიდვის სახელმწიფო რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც უნდა გადაიხადოს მყიდველმა, შეადგენს ————————— ლარს.

3.5. მყიდველი ანგარიშსწორებას ახდენს ნაღდი (უნაღდო) ანგარიშსწორებით, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის ნოტარიალურად დამოწმების მომენტიდან ერთი დღის ვადაში.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ანგარიშსწორების დაგვიანებისათვის მყიდველი გამყიდველს პირგასამტეხლოს სახით უხდის ვადაზე გადაუხდელი თანხის %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.

4.2 ობიექტის მყიდველისათვის გადაცემის შეფერხებისათვის გამყიდველი მყიდველს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულების — %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.

4.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

4.4. მხარეების პასუხისმგებლობა საკითხებზე, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

5. დავის გადაწყვეტა

5.1. მხარეები ცდილობენ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან მოლაპარაკების გზით.

5.2. თუ ეს არ მოხერხდება, მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს ან სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

5.3. ხელშეკრულებაში გარკვევით უნდა იყოს მითითებული არბიტრაჟის დასახელება, განხილვის ადგილი, არბიტრების რაოდენობა და მათი დანიშვნის წესი, განხილვის ენა და გამოყენებული სამართალი.

6. საერთო პირობები

6.1. ობიექტი ყიდვა-გაყიდვის მომენტისათვის არ არის გაყიდული, არ არის დატვირთული იპოთეკით, მასზე არ ვრცელდება მესამე პირების რაიმე ქონებრივი უფლება.

6.2. ხელშეკრულება არ შეიცავს სიტყვიერ და საიდუმლო შეთანხმებებს.

6.3. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ძალადაკარგულად ითვლება ყველა წინა შეთანხმება და მიმოწერა;

6.4. ხელშეკრულება შედგენილია ———————— ორიგინალურ ეგზემპლარად, —————————————ენაზე. ყველა ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

7. მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

7.1. მყიდველი ————————————————————————————

————————————————————————————————————

7.2. გამყიდველი ——————————————————————————

————————————————————————————————————

7.3. ხელშეკრულების დანართები

დანართი № 1
დანართი № 2
დანართი № 3

მყიდველი	გამყიდველი
———————— ————	————————————
„———"——— ——" 2006 წ.	„————"————————" 2006 წ.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვაზე

ქ. თბილისი " 2006 წ.

საწარმოს დირექტორის — სახით, შემდგომში „გამყიდველი" ერთის მხრივ, და საწარმოს დირექტორის -- სახით, შემდგომში "მყიდველი" მეორეს მხრივ, ვსარგებლობთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით,

შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამყიდველი ვალდებულებას კისრულობს გადასცეს მყიდველს სასოფლო-სამეურნეო (არასასოფლო – სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, შემდგომში ობიექტი, ——————— კვმ. ფართის ოდენობით.

1.2. მყიდველი ვალდებულებას კისრულობს, მიიღოს საკუთრებაში ობიექტი და გადაიხადოს ხელშერულებით გათვალისწინებული თანხა.

1.3. ობიექტის აღწერილობა (მდებარეობა, საზღვრები, ფართი, რელიეფი და სხვა)

____

____

____

2. მხარეების ვალდებულებები

2.1. გამყიდველი ვალდებულებას კისრულობს:

2.1.1. გადასცეს მყიდველს ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს დღისა.

2.1.2. ობიექტთან ერთად გადასცეს მყიდველს № 1 დანართში მოყვანილი დოკუმენტები (დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

2.1.3. თავისი ხარჯით განახორციელოს მყიდველისათვის ქონებისა და ქონებრივი უფლების გადაცემასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ფორმალობა.

2.2. მყიდველი ვალდებულებას კისრულობს:

2.2.1. შეუფერხებლად გადასცეს გამყიდველს ყველა აუცილებელი ინფორმაცია და გაუწიოს დახმარება, ობიექტის მყიდველზე გადაფორმებისათვის აუცილებელი პროცედურების შესასრულებლად.

2.2.2. დროულად გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები და სხვა მოსაკრებლები, რომელიც ექვემდებარება გადახდას მყიდველის მიერ.

2.2.3. დროულად და სრულად გადაიხადოს უძრავი ქონების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება.

3. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ობიექტის საბაზრო ღირებულება, შეფასებული დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, განისაზღვრა ——— ლარით (დამოუკიდებელი შემფასებლის ანგარიში, დანართი №3).

3.2. მხარეების შეთანხმებით ობიექტის ღირებულება განისაზღვრა – ——— ლარით.

3.3. უძრავი ქონების გაყიდვის სახელმწიფო რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც უნდა გადაიხადოს გამყიდველმა, შეადგენს ——— ლარს.

3.4. უძრავი ქონების გაყიდვის სახელმწიფო რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც უნდა გადაიხადოს მყიდველმა, შეადგენს ——— ლარს.

3.5. მყიდველი ანგარიშსწორებას ახდენს ნაღდი (უნაღდო) ანგარიშსწორებით, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის ნოტარიალურად დამოწმების მომენტიდან ერთი დღის ვადაში.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ანგარიშსწორების დაგვიანებისათვის მყიდველი გამყიდველს პირგასამტეხლოს სახით უხდის ვადაზე გადაუხდელი თანხის — %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.

4.2. ობიექტის მყიდველისათვის გადაცემის შეფერხებისათვის გამყიდველი მყიდველს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულების ——— %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.

4.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

4.4. მხარეების პასუხისმგებლობა საკითხებზე, რომლებიც არ

რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით. გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

5. დავის გადაწყვეტა

5.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან მოლაპარაკების გზით.

5.2. თუ ეს არ მოხერხდება, მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს ან სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

5.3. ხელშეკრულებაში გარკვევით უნდა იყოს მითითებული არბიტრაჟის დასახელება, განხილვის ადგილი, არბიტრების რაოდენობა და მათი დანიშვნის წესი, განხილვის ენა და გამოყენებული სამართალი.

6. საერთო პირობები

6.1. ობიექტი ყიდვა-გაყიდვის მომენტისათვის არ არის გაყიდული, არ არის დატვირთული იპოთეკით, მასზე არ ვრცელდება მესამე პირების რაიმე ქონებრივი უფლება.

6.2. ხელშეკრულება არ შეიცავს სიტყვიერ და საიდუმლო შეთანხმებებს.

6.3. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ძალადაკარგულად ითვლება ყველა წინა შეთანხმება და მიმოწერა;

6.4. ხელშეკრულება შედგენილია ———— ორიგინალურ ეგზემპლარად, ———————— ენაზე. ყველა ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

7. მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

7.1. მყიდველი ————————————————

7.2. გამყიდველი ————————————————

7.3. ხელშეკრულების დანართები

დანართი № 1
დანართი № 2
დანართი № 3

მყიდველი **გამყიდველი**

„—— ——"—— 2006 წ. „——"—— 2006 წ.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
საწარმოს ყიდვა-გაყიდვის შესახებ

ქ. თბილისი „—— —— ———“ 2006 წ.

——— საწარმოს დირექტორის ————————— სახით, შემდგომში „გამყიდველი“ ერთის მხრივ, და ————————— საწარმოს დირექტორის ————————————— სახით, შემდგომში „მყიდველი“, მეორეს მხრივ, ვსარგებლობთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით,

შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამყიდველი ვალდებულებას კისრულობს გადასცეს მყიდველს საკუთრებაში საწარმო ——— შემდგომში ობიექტი.

(უძრავი ქონების სრული დასახელება, აღწერილობა)

1.2. მყიდველი ვალდებულებას კისრულობს, მიიღოს საკუთრებაში ობიექტი და გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.

1.3. ობიექტის აღწერილობა (მიწის ნაკვეთის ფართი, მათ შორის განაშენიანებული; შენობა-ნაგებობების დახასიათება, კაპიტალურობის ჯგუფი, სართულიანობა, საერთო ფართი, საინჟინრო კომუნიკაციები, დანადგარ-მოწყობილობები, დანართი № 1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს):

——————————————————————————————

——————————————————————————————

——————————————————————————————

2. მხარეების ვალდებულებები

2.1. გამყიდველი ვალდებულებას კისრულობს:

2.1.1. გადასცეს მყიდველს ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს დღისა.

2.1.2. ობიექტთან ერთად გადასცეს მყიდველს № 2 დანართში მოყვანილი დოკუმენტები (დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

2.1.3. თავისი ხარჯით განახორციელოს მყიდველისათვის ქონებისა და ქონებრივი უფლების გადაცემასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ფორმალობა.

2.2. მყიდველი ვალდებულებას კისრულობს:

2.2.1. შეუფერხებლად გადასცეს გამყიდველს ყველა აუცილებელი ინფორმაცია და გაუწიოს დახმარება ობიექტის მყიდველზე გადაფორმებისათვის აუცილებელი პროცედურების შესასრულებლად.

2.2.2. დროულად გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები და სხვა მოსაკრებლები, რომელიც ექვემდებარება გადახდას მყიდველის მიერ.

2.2.3. დროულად და სრულად გადაიხადოს უძრავი ქონების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება.

3. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ობიექტის საბაზრო ღირებულება, შეფასებული დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, განისაზღვრა ——— ლარით. (დამოუკიდებელი შემფასებლის ანგარიში, დანართი № 3).

3.2. მხარეების შეთანხმებით, ობიექტის ღირებულება განისაზღვრა ——— ლარით.

3.3. უძრავი ქონების გაყიდვის სახელმწიფო რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც უნდა გადაიხადოს გამყიდველმა, შეადგენს —— ლარს.

3.4. უძრავი ქონების გაყიდვის სახელმწიფო რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც უნდა გადაიხადოს მყიდველმა, შეადგენს ——— ლარს.

3.5. მყიდველი ანგარიშსწორებას ახდენს ნაღდი (უნაღდო) ანგარიშ-

სწორებით, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის ნოტარიალურად დამოწმების მომენტიდან ერთი დღის ვადაში.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ანგარიშსწორების დაგვიანებისათვის მყიდველი გამყიდველს პირგასამტეხლოს სახით უხდის ვადაზე გადაუხდელი თანხის
%-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.

4.2. ობიექტის მყიდველისათვის გადაცემის შეფერხებისათვის გამყიდველი მყიდველს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულების ——— %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.

4.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

4.4. მხარეების პასუხისმგებლობა საკითხებზე, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

5. დავის გადაწყვეტა

5.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან მოლაპარაკების გზით.

5.2. თუ ეს არ მოხერხდება, მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს ან სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

5.3. ხელშეკრულებაში გარკვევით უნდა იყოს მითითებული არბიტრაჟის დასახელება, განხილვის ადგილი, არბიტრების რაოდენობა და მათი დანიშვნის წესი, განხილვის ენა და გამოყენებული სამართალი.

6. საერთო პირობები

6.1. ობიექტი ყიდვა-გაყიდვის მომენტისათვის არ არის გაყიდული, არ არის დატვირთული იპოთეკით, მასზე არ ვრცელდება მესამე პირების რაიმე ქონებრივი უფლება.

6.2. ხელშეკრულება არ შეიცავს სიტყვიერ და საიდუმლო შეთანხმებებს

6.3. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ძალადაკარგულად ითვლება ყველა წინა შეთანხმება და მიმოწერა;

6.4. ხელშეკრულება შედგენილია ———— ორიგინალურ ეგზემპლარად, ———————— ენაზე. ყველა ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

7. მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

7.1. მყიდველი ————————————————

7.2. გამყიდველი ————————————————

7.3. ხელშეკრულების დანართები

დანართი № 1

დანართი № 2

დანართი № 3

მყიდველი	გამყიდველი
————————	————————
„———“————“ 2006 წ.	„———“————“ 2006 წ.

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა
საწარმოს გაყიდვის შესახებ

საწარმოს დასახელება
მისამართი
____
____
____

დირექტორი
____

ბატონო ______________________,

გატყობინებთ, რომ შპს „სტარტის" დამფუძნებელთა საერთო კრების № __________ საოქმო გადაწყვეტილებით, ჩვენი საწარმო იყიდება, როგორც ერთიანი ქონებრივი კომპლექსი. ხელშეკრულება № __________. „______" __________ 2006წ.

აღნიშნულთან დაკავშირებით ყველა განცხადება, შეტყობინება და სხვა კორესპონდენცია, გთხოვთ გამოაგზავნოთ ქვემოთ მოყვანილ მისამართებზე:

გამყიდველი ______________________
____
____
____

მყიდველი ______________________
____
____
____

თარიღი
ხელმოწერა

ბ. ა.

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა
გადატვირთვისათვის საქონლის მზადყოფნის შესახებ

მისამართი
———————————————
———————————————
———————————————

ბატონო ——————————————————,

——————————————————————————————

ხელშეკრულების თანახმად გატყობინებთ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მზადაა გადატვირთვისათვის. საქონელი იმყოფება ჩვენს საწყობში შემდეგ მისამართზე ———
——————————————————————————————
——————————————————————————————.

პატივისცემით,

დირექტორი
——————————————————

ბ. ა.

საქონლის მიღება-ჩაბარების
ა ქ ტ ი

ქ. თბილისი „———"——————————" 200 წ.

————————————————————————————

ხელშეკრულების მხარეებმა მოახდინეთ ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიღება-ჩაბარება.

გამყიდველმა ჩააბარა, ხოლო მყიდველმა მიიღო:

————————————————————————————

————————————————————————————

————————————————————————————

————————————————————————————

————————————————————————————

————————————————————————————

————————————————————————————

————————————————————————————

————————————————————————————

————————————————————————————

————————————————————————————

საქონლის მიღება-ჩაბარების პროცესში საქონლის ხარისხთან, რაოდენობასთან, კომპლექტურობასთან, შეფუთვასა და მარკირებასთან დაკავშირებით მხარეებს რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

მიღება-ჩაბარების ფაქტს ვადასტურებთ

გამყიდველი	მყიდველი
——————	——————
ბ.ა	ბ.ა

საპრეტენზიო წერილი

____

ხელშეკრულების საფუძველზე მიმდინარე წლის " ______ ______________" 200 წ. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მივიღეთ საქონლის პირველი პარტია. ამავე დროს, მიღებული საქონლის შემოწმებისას გამოვლინდა საქონლის დანაკლისი და ასევე მისი ნაწილის შეუსაბამობა ხელშეკრულების პირობებთან, კერძოდ,

____

____

____

____

____

____

____

____

____

____

____

____

____

____

აღნიშნულთან დაკავშირებით, გთხოვთ დაუყოვნებლივ შეგვიცვალოთ დაწუნებული საქონელი.

დირექტორი

____

„______“______________“ 200 წ.

ბ. ა.

ჩ უ ქ ე ბ ა

ზოგადი ნაწილი

ჩუქების ხელშეკრულებით, მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით. ჩუქების ხელშეკრულება რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 524–530-ე მუხლებით.

ხელშეკრულება. ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან. თუ ჩუქების საგანს წარმოადგენს ისეთი ქონება, რომელზედაც საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ კანონით დადგენილი ფორმის დაცვით, ჩუქების ხელშეკრულებისათვის სავალდებულოა ამ ფორმის დაცვა.

საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას მხოლოდ მაშინ, თუ იგი სანოტარო წესითაა დადასტურებული.

პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.

თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით დამალავს გაჩუქებული ქონების ნაკლს, იგი ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

შეწირულობა. მხარეებს შეუძლიათ დაადგინონ, რომ ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია ამა თუ იმ პირობის შესრულებაზე ან განსაზღვრული მიზნის მიღწევაზე. ეს მიზანი შეიძლება იყოს საერთო-სასარგებლოც (შეწირულობა). ასეთი პირობის შესრულება, გარდა მჩუქებლისა, შეუძლია მოითხოვოს იმ პირმაც, ვის ინტერესებშიც იგი იქნა დათქმული.

გაუქმება. თუ დასაჩუქრებული პირობას არ შეასრულებს, მაშინ მჩუქებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ. თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

გამოთხოვნა. თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში. გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩააგდო თავი მძიმე მდგომარეობაში.

ჩუქების
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი "———"———————————" 2006 წ.

მოქალაქე ——————————————, მცხოვრები ——————————————————————, შემდგომში „მჩუქებელი" ერთის მხრივ და მოქალაქე ——————————————, მცხოვრები ——————————————————————, შემდგომში „დასაჩუქრებული" მეორეს მხრივ, შემდგომში მხარეები, შეუთანხმდნენ

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მჩუქებელი ვალდებულებას კისრულობს, ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცეს (აჩუქოს) № 1 დანართში მოყვანილი ქონება;

1.2. № 1 დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2. მხარეების უფლებები და ვალდებულებები

2.1. დასაჩუქრებულს უფლება აქვს, ნებისმიერ მომენტში დანართში მითითებული ქონების მისთვის გადაცემის მომენტამდე უარი თქვას მთლიანად ქონების ან მისი ნაწილის მიღებაზე; ასეთი უარის თქმა დასაჩუქრებულის მხრიდან უნდა გაფორმდეს წერილობით;

2.2. მჩუქებელს უფლება აქვს უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე, თუ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ ისე გაუარესდა მისი ოჯახური მდგომარეობა ან ჯანმრთელობა, რომ წარმოქმნილ პირობებში ხელშეკრულების შესრულება სერიოზულად გააუარესებს მისი ცხოვრების დონეს;

2.3. მჩუქებელს უფლება აქვს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე და გააუქმოს ჩუქების ხელშეკრულება, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ;

3. საერთო პირობები

3.1. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობით;

3.2. საკითხები, რომლებიც არ არის განხილული წინამდებარე ხელშეკრულებაში, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით;

3.3. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და წყდება მისი ჯეროვნად შესრულების მომენტში;

3.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ორიგინალურ ეგზემპლარად, ორივე ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა;

4. მხარეების მისამართები

მჩუქებელი	დასაჩუქრებული
______ ______	______ ______
______________	______
______ ______	___
„____“ ________ 2006 წ.	„____“ ________ 2006 წ.

ქირავნობა

ზოგადი დებულებები

ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა. ქირავნობის ხელშეკრულება რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 531-575-ე მუხლებით.

ქირავნობის ნივთის გადაცემა. გამქირავებელი მოვალეა გადასცეს დამქირავებელს გაქირავებული ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა.

გამქირავებელმა უნდა გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

ქირის შემცირება ნივთის ნაკლის გამო. თუ გაქირავებულ ნივთს აღმოაჩნდება ნაკლი, მაშინ დამქირავებელს ქირა შეუმცირდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემცირდა ნივთის ვარგისიანობა ნაკლის გამო. ნაკლის გამოსწორებისას ეს უფლება ძალას კარგავს. უმნიშვნელო ნაკლი მხედველობაში არ მიიღება.

საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლისთვის აშკარად საზიანო ქირავნობის ხელშეკრულება ბათილია.

პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ შეთანხმების ბათილობა. ბათილია შეთანხმება, რომლითაც გამქირავებელი გაქირავებული ნივთის ნაკლისათვის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ან იგი ეზღუდება, თუკი გამქირავებელმა ნაკლი განზრახ დამალა.

ხელშეკრულებაზე უარის უფლება. თუ დაქირავებული ნივთი მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცემა დამქირავებელს დაგვიანებით, ან, თუ შემდგომში მას წაერთვა სარგებლობის უფლება, მაშინ დამქირავებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ ვადის დაცვის გარეშე, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების მოშლისათვის. უარი ხელშეკრულებაზე დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამქირავებელი დამქირავებლის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ აღკვეთს სარგებლობისათვის ხელშემშლელ გარემოებებს.

საცხოვრებელი სადგომის ქირავნობისას შეთანხმება, რომელიც კრძალავს ან ზღუდავს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ხელშეკრულების მოშლის უფლებას, ბათილია.

საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა დამქირავებლის მიერ. თუ საცხოვრებელი ან ადამიანთა სამყოფლად გათვალისწინებული სხვა სადგომი ისეთ მდგომარეობაშია, რომ მისი გამოყენება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას, დამქირავებელს შეუძლია მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება ვადის დაცვის გარეშე. ეს უფლება დამქირავებელს აქვს მაშინაც, თუ ხელშეკრულების დადებისას მან იცოდა საფრთხის თაობაზე, მაგრამ არ განუცხადებია პრეტენზია.

გამქირავებლის ვალდებულება. გამქირავებელი ვალდებულია დამქირავებელს აუნაზღაუროს ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯები.

დამქირავებლის უფლება ქირავნობის ნივთისათვის მიმატებულ ნივთებზე. დამქირავებელი უფლებამოსილია დაიტოვოს ის, რითაც მან დაქირავებული ნივთი აღჭურვა.

პასუხისმგებლობა ნივთის ნორმალური ცვეთისათვის. გაქირავებული ნივთის ცვლილებების ან გაუარესებისათვის, რაც გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობით, დამქირავებელი პასუხს არ აგებს.

მიმდინარე რემონტის ხარჯები. მიმდინარე რემონტის ჩატარება, ჩვეულებრივ, ევალება დამქირავებელს. მას არა აქვს საცხოვრებელი სადგომის გადაკეთების ან რეკონსტრუქციის უფლება გამქირავებლის თანხმობის გარეშე. დამქირავებელი მოვალეა ეს სამუშაოები შეასრულოს საკუთარი ხარჯებით.

გამქირავებლის თანხმობა ქვექირავნობაზე. დამქირავებელს არა აქვს უფლება, გაქირავებული ნივთი გამქირავებლის თანხმობის გარეშე გადასცეს მესამე პირს (ქვექირავნობა). მესამე პირებად არ მიიჩნევიან დამქირავებლის ოჯახის წევრები.

გამქირავებლის უარის დაუშვებლობა ქვექირავნობაზე. გამქირავებელს არ შეუძლია უარი თქვას საცხოვრებელი სადგომის ქვექირავნობაზე, თუ საპატიო მიზეზის არსებობისას დამქირავებელს სურს მიაქირაოს მესამე პირს დაქირავებული საცხოვრებელი სადგომი მთლიანად ან მისი ნაწილი. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, თუ გამქირავებლისათვის ქვემოქირავნე წარმოადგენს მისთვის არასასურველ პიროვნებას, ან საცხოვრებელი სადგომი ზედ-

მეტად გადაიტვირთა, ან თუ სხვა მიზეზების გამო გამქირავებლისათვის მიუღებელია ქვექირავნობა.

ქირის გადახდის წესი. ქირა გადახდილ უნდა იქნეს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას. თუ ქირის გადახდა დროის მონაკვეთებით განისაზღვრება, მაშინ იგი გადახდილ უნდა იქნეს დროის ამ მონაკვეთების გასვლის შემდეგ. დამატებითი ხარჯების გადახდა მხოლოდ მაშინ არის სავალდებულო, თუ ამის თაობაზე მხარეთა შორის არსებობს შეთანხმება.

დამქირავებლის ბრალით ქირის გადაუხდელობის შედეგები. თუ დამქირავებელს ხელი ეშლება სარგებლობაში თავისი მიზეზით, იგი ქირის გადახდისაგან არ თავისუფლდება.

ხელშეკრულების ვადამდე მოშლა საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლის ინიციატივით. საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელი უფლებამოსილია ქირავნობის ხელშეკრულება ვადამდე მოშალოს, თუ იგი ერთი თვით ადრე გააფრთხილებს ამის შესახებ გამქირავებელს და შესთავაზებს მას გადახდისუნარიან და მისაღებ დამქირავებელს, რომელიც თანახმაა ქირავნობის დარჩენილ დროში იყოს დამქირავებელი.

ხელშეკრულების მოშლა გამქირავებლის ინიციატივით. გამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე, თუ დამქირავებელი, გამქირავებლის გაფრთხილების მიუხედავად, გაქირავებულ ნივთს მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას.

ხელშეკრულების მოშლა ქირის გადაუხდელობის გამო. გამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე, თუ დამქირავებელმა ქირა არ გადაიხადა სამი თვის განმავლობაში.

ხელშეკრულების შეწყვეტის ფორმა. საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა წერილობით უნდა გაფორმდეს.

დამქირავებლის მოვალეობანი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას. ნივთის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას დამქირავებელი მოვალეა დაუბრუნოს გამქირავებელს ნივთი იმ მდგომარეობაში, რომელშიც მიიღო, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით, ან იმ მდგომარეობაში, რაც ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული.

გირავნობის უფლება დამქირავებლის ნივთებზე. ქირავნობის ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, მიწის ნაკვეთის, სახლის ან ბინის გამქირავებელს აქვს გირავნობის უფლება დამქირავებლის მიერ იქ შეტანილ ნივთებზე. გირავნობის უფლება ძალას კარგავს დაქირავებული ფართობიდან ნივთების მოცილებასთან ერთად, თუკი ეს განხორციელდება ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ურთიერთობების შესაბამისად.

მიწის ნაკვეთის ქირავნობის ხელშეკრულების ფორმა. მიწის ნაკვეთის ქირავნობის ხელშეკრულება ერთ წელზე მეტი ვადით უნდა გაფორმდეს წერილობით. ფორმის დაუცველობის შემთხვევაში ივარაუდება, რომ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არის დადებული. ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ქირავნობის პირველი წლის დამთავრების შემდეგ.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობა. გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ხოლო დამქირავებელს უფლება აქვს წაუყენოს მას პრეტენზია გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ექვსი თვის განმავლობაში.

ზიანის ანაზღაურების გამო გამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება გაქირავებული ნივთის დაბრუნების მომენტიდან, ხოლო დამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადისა — ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან.

დამქირავებლის უფლებების დაცვა. დამქირავებელს უფლება აქვს დაიცვას თავისი მფლობელობა ყოველი დამრღვევისაგან, მათ შორის, მესაკუთრისაგანაც.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
საცხოვრებელი ფართის
ქირავნობაზე

ქ. თბილისი " 2006 წ.

——— ——— მცხოვრები ———

პირადობის მოწმობა № ———

შემდგომში გამქირავებელი ერთის მხრივ და ——— ——— ———

——— ——— ——— მცხოვრები ——— ———

——— პირადობის მოწმობა № ——— ——— ———

შემდგომში დამქირავებელი, მეორეს მხრივ, შეუთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამქირავებელი, დამქირავებელსა და მისი ოჯახის წევრებს წინამდებარე ქირავნობის ხელშეკრულბით გადასცემს ——— კვმ. საცხოვრებელ ფართს, რომელიც განთავსებულია მისამართზე ——— ———
——— ——— ——— ——— ———
——— ——— ——— მდებარე შენობაში;

1.2. შენობის ხელშეკრულებით დამქირავებლისათვის გადაცემული საცხოვრებელი ფართის ტექნიკური მახასიათებლები და ტექნიკური მდგომარეობა მოყვანილია თანდართულ პასპორტში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2. დამქირავებლის უფლებები და ვალდებულებები

2.1. დამქირავებლის უფლებები:

ა. დაქირავებულ ფართში შეასახლოს მისი ოჯახის წევრები მშობლებისა და ნათესავების ჩათვლით, იმ პირობით, რომ დაცული იქნება მოქმედი საცხოვრებელი ფართის დადგენილი ნორმები;

ბ. შეუფერხებლად გამოიყენოს ნაქირავები ფართი საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის;

გ. გამქირავებლის ნებართვის გარეშე განახორციელოს სარემონტო სამუშაოები, რომლებიც არ ითვალისწინებენ ფართის კონსტრუქციულ ცვლილებებს;

2.2. დამქირავებლის ვალდებულებები:

ა. უზრუნველყოს მისი და მისი ოჯახის წევრების მიერ საცხოვრებელი ფართის გამოყენების ნორმების დაცვა;

ბ. საცხოვრებელი ფართი და დამხმარე სათავსოები გამოიყენოს ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს დანარჩენი მობინადრეების ინტერესებს;

გ. გაუფრთხილდეს საცხოვრებელ ფართზე არსებულ სანიტარულ-ტექნიკური, ელექტრო და სხვა საინჟინრო ქსელების ცალკეულ ტექნიკურ ელემენტებს;

დ. შეუფერხებლად მისცეს უფლება გამქირავებელს, დაათვალიეროს გაქირავებული ფართის როგორც საცხოვრებელი, ისე დამხმარე სათავსოები;

ე. დაიცვას სახანძრო უსაფრთხოებისა და ელექტროხელსაწყოების გამოყენების წესები;

ვ. ყაირათიანად გამოიყენოს ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი;

ზ. სულ ცოტა, სამ წელიწადში ერთხელ ჩაატაროს ნაქირავები ფართის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

თ. თუ აუცილებელი გახდება ფართის ან საინჟინრო კვანძების კაპიტალური რემონტის ჩატარება, ასეთი სამუშაოები შეასრულოს გამქირავებლის ხარჯზე;

ი. დროულად გადაიხადოს ქირა და ყველა აუცილებელი კომუნალური გადასახადები;

კ. ქირავნობის ვადის ამოწურვისას დაქირავებული ფართი გამქირავებელს დაუბრუნოს ნორმალურ მდგომარეობაში, ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით;

ლ. ქირით აღებული ფართის დაბრუნება მოახდინოს მიღება-ჩაბარების აქტით.

2.3. დამქირავებლის ოჯახის წევრები სარგებლობენ დამქირავებლის ყველა უფლებებითა და ვალდებულებებით.

3. გამქირავებლის უფლებები და ვალდებულებები

3.1. გამქირავებელს უფლება აქვს:

ა. მოითხოვოს დამქირავებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებუ-

ლებების შესრულება;

ბ. დამქირავებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, მოითხოვოს მისი ბინიდან გამოსახლება კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუ:

• დამქირავებელი დაქირავებულ ფართს იყენებს არასაცხოვრებელი მიზნისათვის;

• თუ დამქირავებელი არ გადაიხდის ქირას ზედიზედ ექვსი თვის განმავლობაში;

• დამქირავებელი შეგნებულად აუარესებს ნაქირავები ფართის ტექნიკურ მდგომარეობას;

• დამქირავებელი არღვევს დანარჩენი მობინადრეების უფლებებს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

3.2. გამქირავებელი ვალდებულია:

ა. ხელშეკრულლბით გათვალისწინებული ფართი გადასცეს დამქირავებელს სათანადო მდგომარეობაში;

ბ. დროულად ჩაატაროს გაქირავებულ ფართზე ყველა აუცილებელი კაპიტალური შეკეთების სამუშაოები;

გ. თუ აუცილებელი გახდება, კაპიტალური რემონტების ჩატარებისას უზრუნველყოს დამქირავებელი დროებითი საცხოვრებელი ფართით;

დ. უზრუნველყოს შესასვლელის, კიბეების, კიბის უჯრედების, შენობის მიმდებარე ტერიტორიის დროული დასუფთავება;

4. ანგარიშსწორება

4.1. ქირის ოდენობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართისათვის განისაზღვრება ------------------- ლარის ოდენობით ყოველთვიურად.

4.2. დამქირავებელი გამქირავებელს ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე წინასწარ უხდის ------- თვის ქირას;

4.3. ყველა მომდევნო თვის ქირის გადახდა ხდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის რიცხვამდე;

4.4. ქირის ოდენობა უცვლელი დარჩება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ———— თვის განმავლობაში, რის შემდეგაც დასაშვებია ქირის კორექტირება.

5. მხარეების პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

5.2. დამქირავებელი ვალდებულია აუნაზღაუროს გამქირავებელს დაქირავებული ფართისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანი, რომელიც სცილდება ბუნებრივი ცვეთის ფარგლებს.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და შეცვლა

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ——— მდე;

6.2. თუ ხელშეკრულების ამოწურვამდე ორი თვით ადრე მხარეები არ შეთანხმდებიან ხელშეკრულების შეწყვეტაზე, იგი ითვლება გაგრძელებულად მორიგი ერთი თვის ვადით;

6.3. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მხარეები ერთმანეთს შეატყობინებენ ——— თვით ადრე;

6.4. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობით.

7. დავის გადაწყვეტა

7.1. ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტას მხარეები ეცდებიან მოლაპარაკების გზით;

7.2. თუ ასეთი არ იქნება მიღწეული, მხარეებს უფლება აქვთ, მიმართონ სასამართლოს ან არბიტრაჟს.

8. მხარეების იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

გამქირავებელი	დამქირავებელი
____________________	____________________
____________________	____________________
____________________	____________________

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
საცხოვრებელი ფართის ქირავნობაზე
კომერციული მიზნებისთვის

ქ. თბილისი "------"--------------" 2006 წ.

-------------------- მცხოვრები ------------
------------ პირადობის მოწმობა № ----------------
შემდგომში გამქირავებელი ერთის მხრივ და შპს ------------
------------ დირექტორის -------------------- სახით
შემდგომში დამქირავებელი, მეორეს მხრივ, ესარგებლობ რა ჩემი საწარმოს წესდებით მონიჭებული უფლებამოსილებით, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამქირავებელი, წინამდებარე ქირავნობის ხელშეკრულებით ქირით აძლევს დამქირავებელს -------- კვმ. საცხოვრებელ ფართს ოფისისათვის შენობაში, რომელიც განთავსებულია მისამართზე ----------
----
--;

1.2. შენობის ხელშეკრულებით დამქირავებლისათვის გადაცემული საცხოვრებელი ფართის ტექნიკური მახასიათებლები და ტექნიკური მდგომარეობა მოყვანილია თანდართულ პასპორტში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. დამქირავებლის უფლებები და ვალდებულებები

2.1. დამქირავებლის უფლებები:

ა. გამოიყენოს დაქირავებული ფართი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის;

ბ. გამქირავებლის ნებართვის გარეშე გააქირაოს ქირით აღებული ფართის ნაწილი;

გ. გამქირავებლის ნებართვის გარეშე განახორციელოს სარემონტო სამუშაოები, რომლებიც არ ითვალისწინებენ ფართის კონსტრუქციულ

ცელილებებს;

2.2. დამქირავებლის ვალდებულებები:

ა. უზრუნველყოს მის მიერ ქირით აღებული საცხოვრებელი ფართის გამოყენების ნორმების დაცვა;

ბ. მიიღოს მონაწილეობა მთლიანად სახლის და მიმდებარე ტერიტორიის გამართულ ტექნიკურ მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის აუცილებელ ხარჯებში;

გ. საცხოვრებელი ფართი და დამხმარე სათავსოები გამოიყენოს ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს დანარჩენი მობინადრეების ინტერესებს;

დ. გაუფრთხილდეს საცხოვრებელ ფართზე არსებულ სანიტარულ-ტექნიკური, ელექტრო და სხვა საინჟინრო ქსელების ცალკეულ ტექნიკურ ელემენტებს;

ე. შეუფერხებლად მისცეს უფლება გამქირავებელს, დაათვალიეროს გაქირავებული ფართის როგორც საცხოვრებელი, ისე დამხმარე სათავსოები;

ვ. დაიცვას სახანძრო უსაფრთხოებისა და ელექტროხელსაწყოების გამოყენების წესები;

ზ. ყაირათიანად გამოიყენოს ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი;

თ. სულ ცოტა, სამ წელიწადში ერთხელ, ჩაატაროს ნაქირავები ფართის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

ი. თუ აუცილებელი გახდება ფართის ან საინჟინრო კვანძების კაპიტალური რემონტის ჩატარება, ასეთი სამუშაოები შეასრულოს გამქირავებლის ხარჯზე;

კ. დროულად გადაიხადოს ქირა და ყველა აუცილებელი კომუნალური გადასახადები;

ლ. ქირავნობის ვადის ამოწურვისას, დაქირავებული ფართი გამქირავებელს დაუბრუნოს ნორმალურ მდგომარეობაში, ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით;

მ. ქირით აღებული ფართი დააბრუნოს მიღება-ჩაბარების აქტით.

3. გამქირავებლის უფლებები და ვალდებულებები

3.1. გამქირავებელი ვალდებულია:

ა. ხელშეკრულების ხელმოწერიდან ———— დღის ვადაში მიღება-ჩაბარების აქტით გადასცეს დამქირავებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართი;

ბ. საკუთარი ხარჯებით შეასრულოს ფართის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ყველა კაპიტალური და ავარიული სამუშაოები;

გ. სათანადო მდგომარეობაში იქონიოს შენობის საინჟინრო კომუნიკაციები, საერთო სარგებლობის ფართი და მიმდებარე ტერიტორია;

დ. უზრუნველყოს გაქირავებული ფართის სახანძრო და სადარაჯო დაცვა;

ე. უზრუნველყოს დამქირავებლის სტუმრების შეუფერხებელი შესვლა შენობაში.

3.2. გამქირავებლის უფლებები:

ა. შეუფერხებლად დაათვალიეროს გაქირავებული ფართი;

ბ. მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გ. მოითხოვოს დამქირავებლის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4. ანგარიშსწორება

4.1. ქირის ოდენობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართისათვის განისაზღვრება ———————— ლარის ოდენობით ყოველთვიურად.

4.2. დამქირავებელი გამქირავებელს ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე წინასწარ უხდის ———— თვის ქირას;

4.3. ყოველი მომდევნო თვის ქირის გადახდა ხდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის ——— რიცხვამდე;

4.4. ქირის ოდენობა უცვლელი დარჩება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ——— ——— თვის განმავლობაში, რის შემდეგაც დასაშვებია ქირის კორექტირება.

4.5. დამქირავებელი თავისი სახსრებით იხდის ყველა კომუნალურ (ტელეფონი, წყალი, დასუფთავება, გათბობა და სხვა) გადასახადს წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე.

5. მხარეების პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

5.2. დამქირავებელი ვალდებულია აუნაზღაუროს გამქირავებელს და-

ქირავებული ფართისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანი, რომელიც სცილდება ბუნებრივი ცვეთის ფარგლებს.

5.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართის დამქირავებლისათვის გადაცემის დაგვიანების შემთხვევაში, გამქირავებელი დამქირავებელს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის თვიური ქირის – – %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის;

5.4. დამქირავებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირის გადახდის დაგვიანებისათვის, პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის გამქირავებელს ვადაზე გადაუხდელი თანხის ––––– %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.

5.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

6. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

6.2. ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა გამქირავებლის ინიციატივით დაიშვება, თუ დამქირავებელი:

6.2.1. დაქირავებულ ფართს იყენებს მიზნებისათვის, რომელიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით;

6.2.2. მისი მუშაკების სახით სისტემატურად არღვევს დაქირავებული ფართის ექსპლუატაციის წესებს;

6.2.3. არღვევს შენობის სხვა მობინადრეების უფლებებს;

6.2.4. ზედიზედ ––––– თვის განმავლობაში არ იხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქირას.

6.2. ორივე მხარეს აქვს უფლება, ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ დაქირავებული ფართი გამოუსადეგი გახდება ექსპლოატაციისათვის;

6.3. შეწყვეტილი ხელშეკრულების აღდგენა შეიძლება მხოლოდ ახალი ხელშეკრულებით.

6.4. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მხარეები ერთმანეთს შეატყობინებენ ––––– თვით ადრე.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და შეცვლა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ––––––– მდე;

7.2. თუ ხელშეკრულების ამოწურვამდე ორი თვით ადრე მხარეები არ შეთანხმდებიან ხელშეკრულების შეწყვეტაზე, იგი ითვლება გაგრძელებულად მორიგი ერთი თვის ვადით;

7.3 ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობით;

7.4. დამქირავებელი, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებს ქირავნობის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, სარგებლობს ფართის განმეორებითი დაქირავების უპირატესი უფლებით;

8. დავის გადაწყვეტა

8.1. ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტას მხარეები ეცდებიან მოლაპარაკების გზით;

8.2. თუ ასეთი არ იქნება მიღწეული, მხარეებს უფლება აქვთ, მიმართონ სასამართლოს ან არბიტრაჟს.

9. განსაკუთრებული პირობები

9.1. გაქირავებული ფართის შემთხვევითი განადგურების რისკი ეკისრება გამქირავებელს.

10. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება, შეთანხმებული და ხელმოწერილი მხარეების მიერ, ავტომატურად ხდება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი;

10.2. ყველა საკითხი, რომელიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

11. მხარეების იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

გამქირავებელი	დამქირავებელი
________________	
________________	____
________	__

საცხოვრებელი ფართის დამქირავებლისათვის გადაცემის ა ქ ტ ი

ქ. თბილისი „————“——————————“ 2006 წ.

———————————— ხელშეკრულების საფუძველზე, გამქირავებელმა —————————————— სახით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართი გადასცა, ხოლო დამქირავებელმა ——————————————— სახით, ჩაიბარა საცხოვრებელი ფართი ოფისისათვის მისამართზე ———————— ——————————————————————————.

შენობის ტექნიკური და საექსპლუატაციო მაჩვენებლები მოყვანილია თანდართულ პასპორტში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე აქტის განუყოფელ ნაწილს.

ფართი, ყველა საინჟინრო კვანძი ნორმალურ მდგომარეობაშია.

მხარეებს რაიმე შენიშვნა და პრეტენზია ფართის მიმართ არა აქვთ.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართის გადაცემას და მიღებას ვადასტურებთ

გამქირავებელი ——————————

დამქირავებელი ——————————

საცხოვრებელი ფართის გამქირავებლისათვის დაბრუნების ა ქ ტ ი

ქ. თბილისი „——“———————————“ 2006 წ.

————————————— ხელშეკრულების საფუძველზე, დამქირავებელმა ——————————————— სახით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართი დააბრუნა, ხოლო გამქირავებელმა ———————————————————— სახით, ჩაიბარა საცხოვრებელი ფართი მისამართზე ——————————————————————————————————————.

ყველა საინჟინრო კვანძი ნორმალურ მდგომარეობაშია.

მხარეებს რაიმე შენიშვნა და პრეტენზია ფართის მიმართ არა აქვთ.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართის გადაცემას და მიღებას ვადასტურებთ

გამქირავებელი	**დამქირავებელი**
————————	————————

საცხოვრებელი ფართის
პ ა ს პ ო რ ტ ი

საცხოვრებელი ფართი განთავსებულია შენობაში, მისამართზე ________________________________

____

____

____

1. სახლის დახასიათება:

1.1. კაპიტალურობის კატეგორია ________________________

1.2. აშენების წელი ________________________

1.3. ეზოს ფართი ________________________

1.4. სართულიანობა ________________________

1.5. გათბობა ________________________

1.6. წყალსადენი ________________________

1.7. კანალიზაცია ________________________

1.8. ნაგავგამტარი ________________________

1.9. ლიფტი ________________________

2. ფართის დახასიათება:

2.1. სართული ________________________

2.2. საერთო ფართი ________________________

2.3. სასარგებლო ფართი ________________________

2.4. ოთახების რაოდენობა ________________________

2.5. დამხმარე ფართის რაოდენობა ________________________

2.6. სანკვანძი ________________________

2.7. აბაზანა ________________________

2.8. აივნები ________________________

2.9. სატელეფონო ხაზი ________________________

2.10. საკაბელო ტელევიზია ________________________

3. ფართის და საინჟინრო კვანძების ტექნიკური მდგომარეობა

____

____

____

____

გამქირავებელი   **დამქირავებელი**

________________   ________________

იჯარის ხელშეკრულება

ზოგადი ნაწილი

იჯარის ხელშეკრულება არის ორმხრივი, სასყიდლიანი და კონსენსუალური ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ხდება როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონების იჯარით გადაცემა. იჯარის საკითხები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-606-ე მუხლებით.

იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე (იჯარის ობიექტის მესაკუთრე, იჯარის გამცემი) მოვალეა გადასცეს მოიჯარეს (იჯარის ამღებს) განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზეც.

იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

საიჯარო ვადის ხანგრძლივობის მიხედვით, არჩევენ: მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან იჯარას. ფინანსური მენეჯმენტის მიზნებისათვის არჩევენ:

- მოკლევადიან, ანუ საოპერაციო (მიმდინარე იჯარას); და
- ფინანსურ (კაპიტალურ) იჯარას ანუ ლიზინგს.

ქვეიჯარა. მოიჯარეს არა აქვს ქვეიჯარის უფლება მეიჯარის თანხმობის გარეშე.

მეიჯარეს შეუძლია უარი განაცხადოს საიჯარო ქონების ცალკეული ნაწილების გაქირავებაზე, თუ ამით მას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება.

მოიჯარე პასუხს აგებს მეიჯარის წინაშე იმისათვის, რომ ქვემოიჯარემ ან დამქირავებელმა ნივთი სხვანაირად გამოიყენა, ვიდრე ეს მეიჯარის მიერ იყო ნებადართული. მეიჯარეს შეუძლია უშუა-

ლოდ შეანერის ქვემოიჯარის ან დამქირავებლის მიერ ქონების ამგვარად გამოყენება.

საიჯარო ქონების უკან დაბრუნება ვადამდე. თუ მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტამდე ქონებას უკან აბრუნებს, იგი საიჯარო ქირის გადახდისაგან მხოლოდ მაშინ თავისუფლდება, თუ თავის სანაცვლოდ შესთავაზებს ახალ გადახდისუნარიან და მეიჯარისათვის მისაღებ მოიჯარეს. ახალი მოიჯარე თანახმა უნდა იყოს, იჯარის ხელშეკრულება დადოს იმავე პირობებით.

თუ მოიჯარე ვერ შესთავაზებს ასეთ მოიჯარეს, მან საიჯარო ქირა უნდა იხადოს საიჯარო ურთიერთობათა დასრულებამდე.

იჯარის უვადო ხელშეკრულების მოშლა. თუ მიწის ნაკვეთის ან უფლების იჯარისას არ არის განსაზღვრული იჯარის ვადა, მაშინ ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მხოლოდ საიჯარო წლის ბოლოსათვის; იგი შეიძლება მოიშალოს საიჯარო წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

ეს წესები გამოიყენება მაშინაც, როცა საიჯარო ურთიერთობა შეიძლება მოიშალოს კანონით დადგენილ ვადაზე ადრე.

ზიანის ანაზღაურება საიჯარო ქონების დაუბრუნებლობისას. თუ მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ არ დააბრუნებს იჯარით აღებულ ქონებას, მაშინ მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს დათქმული საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის; მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაც.

იჯარის
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი ––– “ 2006 წ.

––– ––––––––––– ––––––– საწარმოს დირექტორის ––––––––––––––––––––––––––– სახით, შემდგომში „მეიჯარე“ ერთის მხრივ, და –––––––––––––––––– საწარმოს დირექტორის –––––––––––––––––––– სახით შემდგომში „მოიჯარე“ მეორეს მხრივ, ვსარგებლობთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მეიჯარე ვალდებულებას კისრულობს, დროებით სარგებლობაში გადასცეს მოიჯარეს წინამდებარე ხელშეკრულების № 1 დანართში აღნიშნული ქონება, შემდგომში ქონება;

1.2. ქონების გადაცემა უნდა მოხდეს ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ––––– დღის ვადაში;

1.3. საიჯარო ვადის განმავლობაში ქონება რჩება მეიჯარის საკუთრებაში;

1.4. იჯარით აღებული ქონება მოიჯარემ უნდა გამოიყენოს მხოლოდ ქვემოთ მოყვანილი მიზნებისათვის;

1.4.1. ––

1.4.2. ––

1.5. ქონების გადაცემა მოიჯარესთვის და ქონების დაბრუნება მეიჯარესათვის უნდა მოხდეს მიღება ჩაბარების აქტით;

2. მხარეების ვალდებულებები

2.1. მეიჯარე ვალდებულია:

2.1.1. ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში სრულად გადასცეს მოიჯარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება;

2.1.2. დროულად ჩაატაროს ქონების კაპიტალური რემონტის სამუშაოები;

2.1.3. უზრუნველყოს მოიჯარის მიერ იჯარით აღებული ქონების შეუფერხებელი გამოყენება;

2.2. მოიჯარე ვალდებულია:

2.2.1. იჯარით აღებული ქონება გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის;

2.2.2. უზრუნველყოს იჯარით აღებული ქონების დაცვა, ექსპლუატაციის წესების სრული დაცვა;

2.2.3. დააზღვიოს იჯარით აღებული ქონება;

2.2.4. უზრუნველყოს ქონების სადარაჯო და სახანძრო დაცვა;

2.2.5. უზრუნველყოს იჯარით აღებული ქონების მიმდინარე და ავარიული რემონტების შესრულება;

2.2.6. გასწიოს ყველა ხარჯი, დაკავშირებული იჯარით აღებული ქონების ექსპლუატაციასთან, მათ შორის დროულად გადაიხადოს კომუნალური გადასახადები; დროულად გადაიხადოს საიჯარო ქირა;

2.2.7. მისცეს მეიჯარეს საშუალება შეუფერხებლად დაათვალიეროს იჯარით გაცემული ქონება, მისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის გამოყენების წესების დაცვის შემოწმების მიზნით;

3. ანგარიშსწორება

3.1. მოიჯარე, იჯარის ქირის სახით, ყოველთვიურად გადაუხდის მეიჯარეს ——————————— ლარს;

3.2. ანგარიშსწორება მოხდება ყოველი საანგარიშო თვის მომ-

ყოველი თვის ——— რიცხვამდე;

3.3. ანგარიშსწორება დაიშვება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით;

3.3.1. ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში, ანგარიშსწორების ვადად ჩაითვლება თანხის გადახდაზე სალაროს შემოსავლის ორდერის გაცემის თარიღი;

3.3.2. უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში, მეიჯარის ანგარიშზე იჯარის ქირის ჩარიცხვის დღე;

3.4. იჯარის ქირა უცვლელი იქნება ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან 6 თვის განმავლობაში; ამ პერიოდის გასვლის შემდეგ დასაშვებია იჯარის ქირის გადახედვა მიმდინარე ინფლაციის გათვალისწინებით;

4. იჯარის ვადა

4.1. იჯარის ვადაა —————— ხელშეკრულების ხელმოწერის (საიჯარო ფართის აქტით მიღების) მომენტიდან.

4.2. თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე არც ერთი მხარე არ განაცხადებს ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, იგი ავტომატურად ითვლება გაგრძელებულად მორიგი ——————— წლით.

4.3. საიჯარო ვადა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.

5. საიჯარო ფართის და ქონების დაბრუნება

5.1. ქონების დაბრუნება უნდა მოხდეს მიღება-ჩაბარების აქტით, იჯარის ვადის გასვლიდან ——— დღის ვადაში.

5.2. მეიჯარე საიჯარო ფართს და იჯარით გაცემულ ქონებას უბრუნებს ისეთივე მდგომარეობაში, როგორიც იყო იჯარით გადაცემისას, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივი შესრულებისათვის პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

6.2. მოიჯარის პასუხისმგებლობა:

6.2.1. საიჯარო ქირის გადახდის დაგვიანებისათვის მოიჯარე პირგასამტეხლოს სახით უხდის მეიჯარეს ვადაგადაცილებული თანხის ———%-ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

6.2.2. იჯარით აღებული ქონების არამიზნობრივად გამოყენებისათვის ჯარიმის სახით უხდის მეიჯარეს, ფაქტიურად გადახდილი საიჯარო ქირის ———%-ს.

6.2.3. მეიჯარის ნებართვის გარეშე საიჯარო ქონების ქვეიჯარით გადაცემისათვის ჯარიმის სახით უხდის მეიჯარეს, ფაქტიურად გადახდილი საიჯარო ქირის ————%.

6.3. მეიჯარის პასუხისმგებლობა:

6.3.1. მოიჯარისათვის ქონების გადაცემის დაგვიანებისათვის მეიჯარე მოიჯარეს ჯარიმის სახით უხდის ——— ლარს.

6.4. მხარეებს უფლება აქვთ მოსთხოვონ მეორე მხარეს, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება;

6.5. ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულების შეცვლა და ცალმხრივად შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.

7.2. ხელშეკრულების შეწყვეტა შეიძლება მხოლოდ მხარეების წერილობითი შეთანხმებით;

7.3. მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაერთგზის, ან უხეშად დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შესახებაც იგი ვალდებულია — — დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს;

7.4. ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის მიზეზი შეიძლება იყოს:

7.4.1. მოიჯარის მიერ იჯარით აღებული ქონების გამოყენება ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მიზნებისათვის;

7.4.2. მოიჯარის მიერ იჯარით აღებული ქონების გამოყენების წესების უხეში დარღვევა;

7.4.3. მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის გადაუხდელობა ზედიზედ სამი თვის განმავლობაში;

7.4.4. ——;

7.4.5. ——.

8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები პასუხს არ აგებენ წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევისათვის, თუ ეს გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის გარემოებების მოქმედების შედეგად;

8.2. დაუძლეველი ძალის გარემოებებად მიიჩნევა კლიმატური, ტექტოგენური და ტექნოგენური კატასტროფები; საომარი მოქმედებები; სოციალური მღელვარებები; სამთავრობო და სამთავრობათშორისო გადაწყვეტილებები;

8.3. დაუძლეველი ძალის გარემოებების სტაბილური გამოვლინებისთანავე მხარემ წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.3.1. ასეთი შეტყობინება დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ;

8.4. მხარემ, ასევე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს დაუძლეველი ძალის გარემოებების მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

8.5. 8.3. და 8.4. პუნქტების მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეები უფლებას კარგავენ დაეყრდნონ დაუძლეველი ძალის გარემოებების მოქმედებას;

8.6. დაუძლეველი ძალის გარემოებები მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოქმნილია წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და ასეთმა გარემოებებმა უშუალოდ მოახდინეს გავლენა მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

9. დავების გადაწყვეტა

9.1. მხარეები ეცდებიან წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავები გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით; თუ ასეთი არ მოხერხდება, მხარეები დავას გადასაწყვეტად გადასცემენ არბიტრაჟს;

9.2. ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს არბიტრაჟის დასახელება, მისამართი, დავის განხილვის ადგილი, არბიტრების რაოდენობა, გამოყენებული სამართალი და განხილვის ენა;

9.3. არბიტრაჟის გადაწყვეტილება სავალდებულო და საბოლოო იქნება მხარეებისათვის.

10. მხარეების მისამართები და ხელმოწერები

მეიჯარე	მოიჯარე
____________________	____________________

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
არასაცხოვრებელი
ფართის იჯარაზე

ქ. თბილისი „——“———————— 2006 წ.

——————————————— საწარმოს დირექტორი ——— ————————————————————— სახით, შემდგომში „მეიჯარე“ ერთის მხრივ, და ——————————————— საწარმოს დირექტორის ——————————————— სახით, შემდგომში „მოიჯარე“ მეორეს მხრივ, ვსარგებლობთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით,

შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მეიჯარე გადასცემს, ხოლო მოიჯარე იღებს ფართს დროებით მფლობელობაში და სარგებლობაში ——— მისამართზე, სადაც განთავსებულია ფართი.

1.2. იჯარით გადასაცემი საერთო ფართი ———————— კვმ.

1.3. სართული —— ——; ოთახების ნომრები ———; ოთახების რაოდენობა ————————;

1.4. საიჯარო ფართის მდგომარეობა ხელშეკრულების შედგენის მომენტისათვის ——

1.5. საიჯარო ფართის ნაკლოვანებები ——————————————————————————

1.6. მეიჯარე მოიჯარეს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გადასცემს ტელეფონს ——————————————————————————————————

————————————————————————————

1.7. მეიჯარეს გადაეცემა აგრეთვე საიჯარო ფართში განთავსებული ქონება:

1.7.1. ————————————————————————

————————————————————————————

————————————————————

1.7.2. ————————————————————————

————————————————————————

————————————————————————

1.7.3. ————————————————————————

————————————————————————————

2. იჯარის მიზანი

2.1. საიჯარო ფართი მოიჯარეს გადაეცემა ——— (სამეურნეო დანიშნულებით, ოფისისათვის, საწყობისათვის და სხვა).

3. ფართის გადაცემის წესი

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართი და ქონება უნდა გადაეცეს მოიჯარე არაუგვეიანეს ———— დღისა, ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.

3.2. 33.1. პუნქტში მითითებულ ვადაში, მეიჯარე ვალდებულია გამოეიდეს შენობიდან, მოამზადოს იგი მოიჯარისათვის გადასაცემად და გადასცეს მას.

3.3. საიჯარო ფართისა და ქონების გადაცემა ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტით. აქტზე მხარეების ხელმოწერა ადასტურებს ფართის იჯარით გადაცემისა და მოიჯარის მიერ ფართის იჯარით ალების ფაქტს.

3.4. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან მოიჯარეს გადაეცემა ფართზე არსებული საკეტებისა და გასაღებების ყველა ეგზემპლარი, რის შემდეგაც მეიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს მოიჯარის პერსონალის, კლიენტებისა თუ სტუმრების შეუფერხებელი შეშვება საიჯარო ფართზე.

4. იჯარის ვადა

4.1. იჯარის ვადაა —————— ხელშეკრულების ხელმოწერის (საიჯარო ფართის აქტით მიღების) მომენტიდან.

4.2. თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, ერთი თვით ადრე არც ერთი მხარე არ განაცხადებს ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, იგი ავტომატურად ითვლება გაგრძელებულად მორიგი —— —————— წლით.

4.3. საიჯარო ვადა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.

5. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების წესი

5.1. საიჯარო გადასახადი განისაზღვრება ———— ლარით 1კვ. მეტრზე ერთი სრული თეისათვის, დღგ-ის ჩათვლით (დღგ-ის ჩაუთვლელად).

სულ ——————— ლარი თვეში.

5.2. საიჯარო ქირა გადაიხდება არაუგვიანეს ყოველი მომდევნო თვის ——————————— რიცხვისა.

5.3. მოიჯარე ხელშეკრულების ხელმოწერის (მიღება-ჩავარების აქტის ხელმოწერის) მომენტიდან ——— დღეში, ავანსის სახით უხდის მეიჯარეს ———————— თვის საიჯარო ქირას.

5.4. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო წესით (ნაღდი ანგარიშსწორებით).

5.5. საიჯარო ქირა ფიქსირებულია და არ ექვემდებარება გადასინჯვას, გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.6. საიჯარო ქირის გადასინჯვა დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.

5.7. საიჯარო ქირის გადასინჯვა მოხდება ყოველ ორ წელიწადში.

5.8. მოიჯარეს არ ეკალება ერთიანად გადაიხადოს იჯარის ქირა.

5.9. მოიჯარის მიერ იჯარის მთლიანი ქირის გადახდა დაიშვება მხოლოდ მეიჯარის თანხმობით, ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

5.10. მოიჯარეს უფლება აქვს წინასწარ სრულად, ან ნაწილობრივ გადაიხადოს იჯარის ქირა. ასეთ შემთხვევაში არ მოქმედებს ხელშეკრულების 5.5. პუნქტის მოთხოვნები.

5.11. კომუნალური გადასახადები შედის (არ შედის) იჯარის ქირაში.

5.12. სატელეფონო ხარჯებს მოიჯარე იხდის დამოუკიდებლად. წარმოდგენილი ანგარიშების შესაბამისად.

5.13. სხვა ხარჯები, რომლებიც არ არის დაფიქსირებული წინამდებარე ხელშეკრულებაში, მოიჯარის მიერ არ ანაზღაურდება.

6. მეიჯარის უფლებანი და ვალდებულებანი

მეიჯარე ვალდებულია:

6.1. უზრუნველყოს მოიჯარის მიერ საიჯარო ფართის შეუფერხებელი და სრული გამოყენება მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით.

6.2. შეუფერხებლად გადასცეს მოიჯარეს საჭირო რაოდენობის მუდმივი და ერთჯერადი საშვი შენობაში მოიჯარის პერსონალისა და მომსვლელების შეუფერხებლად შესვლისათვის.

6.3. საკუთარი სახსრებით შეასრულოს საიჯარო ფართისა და მასთან დაკავშირებული საინჟინრო კომუნიკაციების ავარიული რემონტი.

7. მოიჯარის უფლებები და ვალდებულებები

7.1. მოიჯარე ვალდებულებას კისრულობს:

1.1.1. საიჯარო ფართი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისათვის.

1.1.2. დროულად გადაიხადოს საიჯარო ქირა.

7.1.3. ჯეროვან წესრიგში იქონიოს საიჯარო ფართი, დაიცვას სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების წესები.

7.1.4. საკუთარი ხარჯებით შეასრულოს საიჯარო ფართის მიმდინარე რემონტის სამუშაოები.

7.1.5. არ დაუშვას მეიჯარის თანხმობის გარეშე საიჯარო ფართზე კაპიტალური სამუშაოების წარმოება; გადასცეს ფართი და იჯარით აღებული სხვა ქონება ქვეიჯარით - მეიჯარის წერილო-

ბითი თანხმობის საფუძველზე.

7.2. მოიჯარეს უფლება აქვს:

7.2.1. შეუფერხებლად ისარგებლოს შენობაში არსებული კომუნიკაციებით მოიჯარის თანხმობის შემდეგ.

7.2.2. მოაწყოს და გააფორმოს საიჯარო ფართი საკუთარი მოთხოვნების შესაბამისად.

7.2.3. მიუთითოს თავისი მდებარეობა შესაბამისი ფირნიშებისა თუ სარეკლამო სტენდების მეშვეობით, როგორც შენობაში, ისე შენობაზე და შენობის წინ.

7.2.4. გამოცვალოს საიჯარო ფართში შესასვლელი კარის გასაღები.

7.2.5. დააყენოს სიგნალიზაცია და დაიცვას სხვა საშუალებებით.

8. საიჯარო ფართის და ქონების დაბრუნება

8.1. საიჯარო ვადის გასვლისთანავე მოიჯარე ვალდებულია დაუბრუნოს მეიჯარეს საიჯარო ფართი და იჯარით აღებული სხვა ქონება.

8.1.1. ქონების დაბრუნება უნდა მოხდეს მიღება-ჩაბარების აქტით იჯარის ვადის გასვლიდან —— დღის ვადაში.

8.12. წინა 8.1.1. მუხლში მითითებულ ვადაში მოიჯარე ვალდებულია გამოვიდეს საიჯარო ფართიდან, მოამზადოს ფართი და იჯარით აღებული ქონება დასაბრუნებლად და დაუბრუნოს იგი მეიჯარეს.

8.2. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტში მოიჯარე მეიჯარეს გადასცემს ფართის გასაღებების ყველა ეგზემპლარს.

8.3. მეიჯარეს საიჯარო ფართი და იჯარით გაცემული ქონება უნდა დაუბრუნდეს იმავე მდგომარეობაში, როგორიც იყო იჯარით გადაცემისას, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

91. მოიჯარის პასუხისმგებლობა:

9.1.1. საიჯარო ქირის გადახდის დაგვიანებისათვის მოიჯარე პირგასამტეხლოს სახით უხდის მეიჯარეს ვადაგადაცილებული თანხის ———%-ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

9.1.2. იჯარით აღებული ფართის არამიზნობრივად გამოყენებისათვის ჯარიმის სახით უხდის მეიჯარეს, ფაქტიურად გადახდილი საიჯარო ქირის — —%-ს.

9.1.3. მეიჯარის ნებართვის გარეშე, საიჯარო ფართის ქვეიჯარით გადაცემისათვის ჯარიმის სახით უხდის მეიჯარეს ფაქტიურად გადახდილი საიჯარო ქირის ————%.

9.3. მოიჯარე ჯარიმებსა და პირგასამტეხლოს ხელშეკრულების დარღვევისათვის, იხდის მეიჯარის მხრიდან კონკრეტული პრეტენზიის მიღებიდან ——— დღის განმავლობაში.

9.4. ჯარიმის და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.2. მეიჯარის პასუხისმგებლობა:

9.2.1. მოიჯარისათვის ფართის გადაცემის დაგვიანებისათვის მეიჯარე მოიჯარეს ჯარიმის სახით უხდის ——— ლარს.

10. ხელშეკრულების შეცვლა და ცალმხრივად შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულების შეცვლა და მასში პუნქტების დამატება დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.

10.2. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა დაუშვებელია.

11. მხარეების მისამართები და ხელმოწერები

მეიჯარე	მოიჯარე
——————— ———	——————— ———

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
დანადგარ-მოწყობილობის იჯარაზე

ქ. თბილისი „______“______________ 2006 წ.

______________________________ საწარმოს დირექტორის ______
____ სახით, შემდგომში
„მეიჯარე“ ერთის მხრივ, და ______________________________
საწარმოს დირექტორის ______________________________________
სახით შემდგომში „მოიჯარე“ მეორეს მხრივ, ვსარგებლობთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით,

შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მეიჯარე გადასცემს, ხოლო მოიჯარე იღებს მფლობელობაში და სარგებლობაში ______________________________
____
____
____

სატრანსპორტო საშუალების, დანადგარის დასახელება, მარკა, ტიპი.

1.2. დანადგარის, სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მდგომარეობა ____
____
____

1.3. დანადგარის ნაკლოვანებები ____________________________
____
____

1.4. მეიჯარე მოიჯარეს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გადასცემს დანადგარის ექსპლუატაციისათვის აუცილებელ დამატებით მოწყობილობებს ______________________________
____
____

2. იჯარის მიზანი

2.1. დანადგარი, სატრანსპორტო საშუალება მოიჯარეს გადაეცემა ———————————————————————————

(სამეურნეო დანიშნულებით, ოფისისათვის, წყობისათვის და სხვა).

3. დანადგარის, სატრანსპორო საშუალების გადაცემის წესი

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანადგარი უნდა გადაეცეს მოიჯარეს არაუგვიანეს ——— დღისა, ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.

3.2. 3.1. პუნქტში მითითებულ ვადაში, მეიჯარე ვალდებულია მოამზადოს დანადგარი იჯარით გადსაცემად და გადასცეს მოიჯარეს.

3.3. დანადგარის იჯარით გადაცემა ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტით. აქტზე მხარეების ხელმოწერა ადასტურებს დანადგარის იჯარით გადაცემისა და მოიჯარის მიერ ფართის იჯარით აღების ფაქტს.

4. იჯარის ვადა

4.1. იჯარის ვადაა ——————— ხელშეკრულების ხელმოწერის (საიჯარო ფართის აქტით მიღების) მომენტიდან.

4.2. თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, ერთი თვით ადრე არცერთი მხარე არ განაცხადებს ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, იგი ავტომატურად ითვლება გაგრძელებულად მორიგი —— ——————— წლით.

4.3. საიჯარო ვადა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.

5. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების წესი

5.1. საიჯარო გადასახადი განისაზღვრება ———————— ———— ლარით სრული თვისათვის, დღგ-ის ჩათვლით (დღგ-ის ჩაუთვლელად), სულ ——— ლარი თვეში.

5.2. საიჯარო ქირა გადაიხდება არაუგვიანეს ყოველი მომდევ-

ნო თვის ——————— რიცხვისა.

5.3. მოიჯარე ხელშეკრულების ხელმოწერის (მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის) მომენტიდან ——— დღეში, ავანსის სახით უხდის მეიჯარეს ——————— თვის საიჯარო ქირას.

5.4. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო წესით (ნაღდი ანგარიშსწორებით).

5.5. საიჯარო ქირა ფიქსირებულია და არ ექვემდებარება გადასინჯვას, გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.6. საიჯარო ქირის გადასინჯვა დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.

5.7. საიჯარო ქირის გადასინჯვა მოხდება ყოველ ორ წელიწადში.

5.8. მოიჯარეს არ ევალება ერთიანად გადაიხადოს იჯარის ქირა.

5.9. მოიჯარეს მიერ იჯარის მთლიანი ქირის გადახდა დაიშვება მხოლოდ მეიჯარის თანხმობით ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

5.10. მოიჯარეს უფლება აქეს წინასწარ სრულად, ან ნაწილობრივ გადაიხადოს იჯარის ქირა. ასეთ შემთხვევაში არ მოქმედებს ხელშეკრულების 5.5. პუნქტის მოთხოვნები.

5.11. სხვა ხარჯები, რომლებიც არ არის დაფიქსირებული წინამდებარე ხელშეკრულებაში, მოიჯარის მიერ არ ანაზღაურდება.

6. მეიჯარის უფლებანი და ვალდებულებანი

მეიჯარე ვალდებულია:

6.1. უზრუნველყოს მოიჯარის მიერ იჯარის ობიექტის შეუფერხებელი და სრული გამოყენება მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით.

6.2. საკუთარი სახსრებით შეასრულოს დანადგარის ავარიული რემონტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ავარია გამოწვეულია მოიჯარის მიზეზით.

7. მოიჯარის უფლებები და ვალდებულებები

7.1. მოიჯარე ვალდებულებას კისრულობს:

7.1.1. დანადგარი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებით გან-

საზღვრული მიზნებისათვის.

7.1.2. დროულად გადაიხადოს საიჯარო ქირა.

7.1.3. ჯეროვან წესრიგში იქონიოს დანადგარი, დაიცვას მისი ტექნიკური მომსახურების წესები.

7.1.4. საკუთარი ხარჯებით შეასრულოს დანადგარის მიმდინარე რემონტის სამუშაოები.

7.1.5. არ გადასცეს დანადგარი ქვეიჯარით მეიჯარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

7.2. მოიჯარეს უფლება აქვს:

7.2.1. შეუფერხებლად გამოიყენოს დანადგარი ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისათვის.

8. იჯარით აღებული დანადგარ-მოწყობილობის დაბრუნება იჯარის ვადის გასვლის შემდეგ

8.1. საიჯარო ვადის გასვლისთანავე მოიჯარე ვალდებულია დაუბრუნოს მეიჯარეს დანადგარი და იჯარით აღებული სხვა ქონება.

8.1.1. ქონების დაბრუნება უნდა მოხდეს მიღება-ჩაბარების აქტით იჯარის ვადის გასვლიდან —— დღის ვადაში.

8.1.2. წინა 8.1.1. მუხლში მითითებულ ვადაში მოიჯარე ვალდებულია, მოამზადოს დანადგარი დასაბრუნებლად და დაუბრუნოს იგი მეიჯარეს.

8.2. მეიჯარეს იჯარით გაცემული ქონება უნდა დაუბრუნდეს ისეთივე მდგომარეობაში, როგორიც იყო იჯარით გადაცემისას, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მოიჯარის პასუხისმგებლობა:

9.1.1. საიჯარო ქირის გადახდის დაგვიანებისათვის მოიჯარე პირგასამტეხლოს სახით უხდის მეიჯარეს ვადაგადაცილებული თანხის ——-%-ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

9.1.2. იჯარით აღებული დანადგარის არამიზნობრივად გამოყენებისათვის ჯარიმის სახით უხდის მეიჯარეს, ფაქტიურად გადახდილი საიჯარო ქირის ———%-ს.

9.1.3. მეიჯარის ნებართვის გარეშე დანადგარის ქვეიჯარით

გადაცემისათვის ჯარიმის სახით უხდის მეიჯარეს, ფაქტიურად გა-დასდილი საიჯარო ქირის ————%.

9.2. მოიჯარე ჯარიმებისა და პირგასამტეხლოს ხელშეკრულე-ბის დარღვევისათვის, იხდის მეიჯარის მხრიდან კონკრეტული პრე-ტენზიის მიღებიდან ——— დღის განმავლობაში.

9.4. ჯარიმის და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეს-რულებისაგან.

9.2. მეიჯარის პასუხისმგებლობა:

9.2.1. მოიჯარისათვის დანადგარის გადაცემის დაგვიანებისათ-ვის მეიჯარე მოიჯარეს ჯარიმის სახით უხდის ——— ლარს.

10. ხელშეკრულების შეცვლა და ცალმხრივად შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულების შეცვლა და მასში პუნქტების დამატება დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით.

10.2. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა დაუშვებელია.

11. მხარეების მისამართები და ხელმოწერები

მეიჯარე	მოიჯარე
___________	___________

ლიზინგი

ზოგადი დებულებები

ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია ლიზინგის მიმღებს გადასცეს სარგებლობაში განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით. ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით.

ლიზინგის ხელშეკრულება რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 576–580 მუხლებითა და სპეციალური კანონით „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ".

ლიზინგის გამცემი ვალდებულია, დაამზადოს ან შეიძინოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება.

ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის მიმღებს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება ან მიენიჭოს უფლება, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იყიდოს ლიზინგის საგანი ან დაიქირავოს იგი, თუკი ხელშეკრულება საგნის სრული ამორტიზაციით არ მთავრდება. საბოლოო ღირებულების გამოთვლისას ყველა შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამორტიზაციის ფაქტი. თუ ხელშეკრულებაში არ არის შესაბამისი დებულება, მაშინ ლიზინგის მიმღები უფლებამოსილია იყიდოს ლიზინგის საგანი.

ლიზინგის ხელშეკრულების ფორმა. ლიზინგის ხელშეკრულება იდება წერილობით. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს:

ა. მთლიან ფასს;

ბ. სალიზინგო საზღაურის თანხასა და მისი გადახდის ვადებს;

გ. საბოლოო გადახდის თანხას, ხოლო ხელშეკრულების ვადამდე შესრულებისას – მისი გამოთვლის წესს.

ლიზინგის გამცემის პასუხისმგებლობა. ლიზინგის გამცემი ქირავნობის ხელშეკრულების წესების მიხედვით პასუხს აგებს ლიზინგის მიმღების წინაშე ქონების მიწოდების ვადის გადაცილების ან მიუწოდებლობისათვის, აგრეთვე ნაკლის მქონე ქონების მიწოდებისათვის.

მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ლიზინგის მიმღებმა ლიზინგის გამცემისათვის პრეტენზიის წაყენებამდე უნდა მოითხოვოს დაკმაყოფილება ქონების მიმწოდებლისაგან.

ლიზინგის მიმღების პასუხისმგებლობა. ლიზინგის მიმღების ბრალით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას ლიზინგის გამცემს არ შეუძლია წაუყენოს მას ისეთი მოთხოვნები, რომლებიც სცილდება შესრულებასთან დაკავშირებულ მის ინტერესებს. მოთხოვნის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სალიზინგო ქონების დარჩენილი ღირებულება, სალიზინგო საზღაურის დარჩენილი პროცენტები და სხვა დაზოგილი ხარჯები.

ლიზინგის მიმართ გამოყენებული სხვა წესები. ლიზინგის მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების ის წესები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან კანონის შესაბამის მოთხოვნებს.

საქართველოს კანონი
სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ

ამ კანონის მიზანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ლიზინგის ხელშეკრულებით წარმოშობილ ურთიერთობათა განვითარება და სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობა.

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ლიზინგი** – ლიზინგის საგნის გამცემის მიერ (შემდგომში - გამცემი) ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ლიზინგის საგნის მესაკუთრისაგან ან მწარმოებლისაგან ლიზინგის საგნის შეძენა (ან მისი დამზადება) ლიზინგის საგნის მიმღებისათვის (შემდგომში - მიმღები) დროებით ფასიან სარგებლობაში გადაცემის მიზნით, მისი გამოსყიდვის უფლებით ან ვალდებულებით;

ბ) **ლიზინგის საგანი** – ამორტიზაციას დაქვემდებარებული ნებისმიერი სახის ქონება;

გ) **ლიზინგის საგნის საწყისი ღირებულება** – ლიზინგის საგნის ღირებულება მისი გადაცემის მომენტისათვის;

დ) **ლიზინგის ხელშეკრულების მთლიანი ფასი** – ლიზინგის საზღაურის მთლიანი თანხა;

ე) **ლიზინგის საზღაური** – მიმღების მიერ გამცემისათვის პერიოდულად გადასახდელი ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა (ან ამ თანხის ღირებულების პროდუქცია), რომლის გადახდით (ან მიწოდებით) მიმღები გამცემს თანდათანობით უნაზღაურებს ლიზინგის საგნის საწყის ღირებულებასა (ლიზინგის საგნის ნარჩენი ღირებულების გამოკლებით) და ლიზინგის სარგებელს;

ვ) **ლიზინგის სარგებელი** – ლიზინგის ხელშეკრულების მთლიან ფასსა და ლიზინგის საგნის საწყის ღირებულებას (ლიზინგის საგნის ნარჩენი ღირებულების გამოკლებით) შორის სხვაობა;

ზ) **შეღავათიანი პერიოდი** – ლიზინგის საწყისი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მიმღები არ იხდის ლიზინგის საზღაურს;

თ) **ქველიზინგი** – მიმღების მიერ მესამე პირისათვის ლიზინგის საგნით სარგებლობის უფლების გადაცემა ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე;

ი) **ლიზინგის საგნის გამყიდველი** – ლიზინგის საგნის მესაკუთრე ან მწარმოებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ლიზინგის საგანს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადასცემს გამცემს ან მიმღებს.

მუხლი 2. ლიზინგის სახეები

ლიზინგის სახეებია:

ა) **პირდაპირი ლიზინგი**, როდესაც გამცემი თვითონ არის ლიზინგის საგნის მესაკუთრე ან მწარმოებელი;

ბ) **კომპენსაციური ლიზინგი**, როდესაც მიმღები ლიზინგის საზღაურს იხდის პროდუქციით (საქონელი, სამუშაო, მომსახურება);

გ) **სერვისული ლიზინგი**, როდესაც ლიზინგის ხელშეკრულება ითვალისწინებს გამცემის ან მის მიერ მოწვეული პირის მიერ ლიზინგის საგნის მართვას, დაზღვევას, საგარანტიო მომსახურებას, რემონტს და ა.შ.;

დ) **სუფთა ლიზინგი**, როდესაც ლიზინგის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს გამცემის მიერ ლიზინგის საგნის რაიმე სახით მომსახურებას.

თავი II. ლიზინგის ხელშეკრულება

მუხლი 3. ლიზინგის ხელშეკრულება

1. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისათვის მხარეების მიერ

დადებული ხელშეკრულება ლიზინგის ხელშეკრულებად ჩაითვლება, თუ იგი ითვალისწინებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

ა) ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლისას მიმღები ხდება ლიზინგის საგნის მესაკუთრე ისე, რომ არ იხდის დამატებით თანხას ან ეს თანხა უმნიშვნელოა;

ბ) ლიზინგის ხელშეკრულების ვადა არსებითად უთანაბრდება ან მეტია ლიზინგის საგნის ეკონომიკური მომსახურების ვადაზე და მიმღები ხდება ლიზინგის საგნის მესაკუთრე უმნიშვნელო თანხის გადახდით;

გ) ლიზინგის ხელშეკრულების ვადა არსებითად უთანაბრდება ან მეტია ლიზინგის საგნის ეკონომიკური მომსახურების ვადაზე და მიმღებს არა აქვს უფლება, შეწყვიტოს ლიზინგის ხელშეკრულება, სულ ცოტა, ლიზინგის საზღაურის სრულად გადახდის გარეშე;

დ) ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე საწყისი ვადის გასვლისას მიმღები ვალდებულია გააგრძელოს ლიზინგი, ლიზინგის საგნის ეკონომიკური მომსახურების სრული, ან არსებითად სრული ვადით, ან იყიდოს ლიზინგის საგანი;

ე) ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე საწყისი ვადის გასვლისას მიმღებს უფლება აქვს გადაწყვიტოს, გააგრძელებს თუ არა ლიზინგს ლიზინგის საგნის ეკონომიკური მომსახურების სრული ან არსებითად სრული ვადით, დამატებითი თანხის გადახდის გარეშე, ან ლიზინგის გაგრძელების მომენტისათვის ლიზინგის საგნის საბაზრო ფასზე მნიშვნელოვნად ნაკლები თანხის გადახდით;

ვ) ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე საწყისი ვადის გასვლისას მიმღებს უფლება აქვს გადაწყვიტოს, გახდება თუ არა ლიზინგის საგნის მესაკუთრე დამატებითი თანხის გადახდის გარეშე, ან მესაკუთრედ გახდომის მომენტისათვის ლიზინგის საგნის საბაზრო ფასზე მნიშვნელოვნად ნაკლები თანხის გადახდით.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი პირობისა, ლიზინგის ხელშეკრულებაში, როგორც წესი, აღნიშნული უნდა იყოს, რა შემთხვევაში ითვლება ლიზინგის საგანი მიღებულად და ლიზინგის საგნის მიღების ვადა.

მუხლი 4. ქველიზინგის ხელშეკრულება

1. ქველიზინგის ხელშეკრულება წარმოადგენს ლიზინგის ფორმის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც მიმღები ლიზინგის საგანს გადასცემს მესამე პირს.

2. გამცემის წერილობითი თანხმობის გარეშე ქველიზინგი დაუშვებელია.

მუხლი 5. ლიზინგის ხელშეკრულების რეგისტრაცია

1. გამცემს შეუძლია ლიზინგის ხელშეკრულება რეგისტრაციაში გაატაროს შესაბამის საჯარო რეესტრში.

2. თუ ლიზინგის ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული შესაბამის საჯარო რეესტრში, ეს გარემოება არ წარმოადგენს მისი ბათილად ცნობის საფუძველს.

თავი III. ლიზინგის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები

მუხლი 6. გამცემის საკუთრების უფლების დაცვა

ლიზინგის საგანი ცალკე უფლების ობიექტია და მიუხედავად იმისა, როგორ იქნება დაკავშირებული იგი სხვა უძრავ ან მოძრავ ნივთთან, გამცემის საკუთრების უფლება ლიზინგის საგანზე ძალაში რჩება ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისად, მიმღების საკუთრებაში ლიზინგის საგნის გადასვლის მომენტამდე.

მუხლი 7. გამცემის უფლება-მოვალეობები

1. გამცემს შეუძლია ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თავისი უფლებები ან მათი ნაწილი გადასცეს მესამე პირს. ამასთან, ამ უფლებების გადაცემა არ ათავისუფლებს გამცემს ლიზინგის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებისაგან და არ ცვლის ლიზინგის ხელშეკრულების არსს.

2. მიმღების მიერ ლიზინგის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამცემს უფლება აქვს მოშალოს ლიზინგის ხელშეკრულება.

3. ლიზინგის ხელშეკრულების მოშლამდე გამცემი ვალდებულია თავის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეტყობინება ლიზინგის

ხელშეკრულების მოშლის შესახებ გაუგზავნოს მიმღებს ლიზინგის ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში — მიმღების ბოლო ცნობილ მისამართზე. ამ შეტყობინებაში აღნიშნული უნდა იყოს ის ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობის გამოც გამცემი აპირებს ლიზინგის ხელშეკრულების მოშლას, და ვადა, რომელიც მიმღებს ეძლევა ვალდებულების შესასრულებლად. ეს ვადა არ უნდა იყოს 15 დღეზე ნაკლები. თუ ვალდებულება შესრულდება გამცემის მიერ განსაზღვრულ დროში, ლიზინგის ხელშეკრულება არ მოიშლება.

4. გამცემს უფლება აქვს არ განუსაზღვროს მიმღებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადა, თუ აშკარაა, რომ:

ა) მიმღებს არ შეუძლია ვალდებულების შესრულება;

ბ) ლიზინგის საგანს მნიშვნელოვნად დაზიანების საფრთხე ემუქრება;

გ) ლიზინგის საგნის ადგილსამყოფელი შეიძლება შეიცვალოს გამცემის ნებართვის გარეშე.

5. გამცემს უფლება აქვს, ლიზინგის ხელშეკრულების მოშლისთანავე დაიბრუნოს ლიზინგის საგანი.

6. მიმღების მიერ ლიზინგის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გამცემს უფლება აქვს მიმღებს მოსთხოვოს ლიზინგის საზღაურის მთლიანი თანხის გადახდა და გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის გადასვლასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ამ მუხლის შესაბამისად, ლიზინგის საგანზე მფლობელობისა და სარგებლობის უფლებების მოპოვების მომენტისათვის ლიზინგის საგნის საბაზრო ფასისა და იმ თანხის გამოკლებით, რომელიც მიმღებმა უკვე გადაიხადა ლიზინგის საზღაურის სახით. თუ ასეთი გაანგარიშების შედეგად მიიღება დადებითი რიცხვი, მიმღები ვალდებულია გადაუხადოს გამცემს ამ რიცხვის შესაბამისი თანხა, ხოლო თუ მიიღება უარყოფითი რიცხვი, გამცემი ვალდებულია გადაუხადოს მიმღებს ამ რიცხვის დადებითი ეკვივალენტის შესაბამისი თანხა.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის მიზნებისათვის, ლიზინგის საგნის საბაზრო ფასის განსაზღვრისას სხვა ფაქტორებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს გამცემის მიერ ლიზინგით გადაცემული ლიზინგის საგნის გაყიდვის ან ლიზინგის საგნის განმეორებითი ლიზინგით გადაცემის ფასი და პირობები.

მუხლი 8. მიმღების უფლება-მოვალეობები

1. მიმღებს შეუძლია ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თავისი უფლებები მესამე პირს გადასცეს მხოლოდ გამცემის წერილობითი თანხმობით.

2. მიმღების მიერ ლიზინგის საგნის მიღების მომენტიდან მთელი პასუხისმგებლობა ლიზინგის საგნის დაზიანებაზე ან დაღუპვაზე, გადადის მიმღებზე.

3. თუ მიმღების თანხმობის გარეშე ნასყიდობის ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებით მიმღებს მიადგა ზიანი ან მხარეების მიერ ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი, მიმღებს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

4. მიმღებს შეუძლია სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ ზიანის ანაზღაურებისთვის, რომელიც მას მიადგა გამცემის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და ლიზინგის ხელშეკრულების პირობების დარღვევით ლიზინგის საგნის დაბრუნებისას. ამასთან, მიმღებს არა აქვს უფლება, მოითხოვოს თავის მფლობელობაში ლიზინგის საგნის აღდგენა.

მუხლი 9. მიმღების უფლებები ლიზინგის საგნის გამყიდველის მიმართ

1. ლიზინგის საგნის გამყიდველის ყველა ვალდებულება, განსაზღვრული გამცემსა და ლიზინგის საგნის გამყიდველს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით, აგრეთვე ლიზინგის საგნის გამყიდველის მიერ გამცემისათვის მიცემული ყველა სახის გარანტია სრულდება მიმღების სასარგებლოდ ისე, თითქოს მიმღები იყოს ნასყიდობის ხელშეკრულების მხარე, თუ ლიზინგის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. გამცემი ლიზინგის საგნის გამყიდველთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ასლს გადასცემს მიმღებს ან სხვა ფორმით აცნობებს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებსა და გარანტიებს მანამ, სანამ მიმღები ვალდებული გახდება ლიზინგის ხელშეკრულებით.

თავი IV. კონტროლი

მუხლი 10. მიმღების ვალდებულებები გამცემის მიერ კონტროლის განხორციელებისას

1. გამცემს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი მიმღების

მიერ ლიზინგის ხელშეკრულებისა და სხვა თანმხლები ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე.

2. მხარეები ლიზინგის ხელშეკრულებით ან სხვა თანმხლები ხელშეკრულებებით წინასწარ განსაზღვრავენ ამავე ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზანსა და წესს.

3. მიმღები ვალდებულია უზრუნველყოს გამცემის შეუფერხებელი დაშვება ლიზინგის საგანთან და მასთან დაკავშირებულ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან.

4. გამცემს უფლება აქვს მიმღებს წერილობით მოსთხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის მიწოდება, ხოლო მიმღები ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.

თავი V. ანგარიშსწორების წესი

მუხლი 11. ანგარიშსწორების წესი

1. ლიზინგის საზღაურის მოცულობა, გადახდის წესი და პერიოდულობა განისაზღვრება ლიზინგის ხელშეკრულებით. თუ მიმღები და გამცემი ანგარიშსწორებას ახორციელებენ პროდუქციის მეშვეობით, ამ შემთხვევაში პროდუქციის ფასი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით ან მისი საბაზრო ფასით.

2. მიმღების მიერ ლიზინგის საზღაურის გადახდის ვალდებულება ძალაშია ლიზინგის საგნის მიღების მომენტიდან, რომელიც განსაზღვრულია ლიზინგის ხელშეკრულებით, ხოლო შეღავათიანი პერიოდის არსებობის შემთხვევაში – ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული თარიღიდან.

თავი VI. გაკოტრება

მუხლი 12. მიმღების გაკოტრება

მიმღების გაკოტრების შემთხვევაში ლიზინგის ხელშეკრულებით მიღებული ლიზინგის საგანი არ წარმოადგენს გაკოტრების მასის ნაწილს.

მუხლი 13. გამცემის გაკოტრება

გამცემის გაკოტრების შემთხვევაში მის კრედიტორებს არა აქვთ

იმაზე მეტი უფლება ლიზინგის საგანზე, ვიდრე გამცემს ექნებოდა ლიზინგის ხელშეკრულებით.

თავი VII. დასკვნითი დებულება

მუხლი 14. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე

თბილისი, 2002 წლის 7 მაისი.
№ 1392 - IIს.

სალიზინგო გარიგების მომზადება

კლასიკურ სალიზინგო გარიგებაში მონაწილეობს სამი ძირითადი მხარე. ესენია: ლიზინგის გამცემი, ლიზინგის მიმღები და ლიზინგის ობიექტის მიმწოდებელი, როგორც წესი, მწარმოებელი. ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში, სალიზინგო გარიგების მასშტაბებიდან გამომდინარე, სალიზინგო ოპერაციის მონაწილეები შესაძლოა გახდნენ: ბანკები ან სხვა საფინანსო-საკრედიტო კომპანიები და სადაზღვევო კომპანიები (დამფინანსებლები, თანადამფინანსებლები, მზღვეველი და გადამზღვევები).

სალიზინგო გარიგების მომზადებისა და დასაბუთების პროცესში, გარიგების ყოველ ცალკეულ მონაწილეს, საერთო მიზანთან ერთად აქვს განსხვავებული მიდგომები და ამოცანები, რომლებიც შესაძლოა არ ემთხვეოდეს, ზოგჯერ კი არსებითად განსხვავდებოდეს გარიგების სხვა მონაწილეთა მიზნების, ამოცანებისა და მიდგომებისაგან. მხარეთა მიდგომებსა და მიზნებს შორის შესაძლო განსხვავებების რეგულირება, შეთანხმება და საიმედო კონსენსუსის მიღწევა არის სალიზინგო გარიგების მონაწილეთა ამოცანა გარიგების მომზადებისა და დასაბუთების პროცესში. მოკლედ განვიხილოთ სალიზინგო გარიგების მომზადების თავისებურებები ლიზინგის გამცემის პოზიციიდან.

სალიზინგო ოპერაციის განხორციელებას. სალიზინგო ფირმების, ან ლიზინგის გამცემი ბანკების მიერ, წინ უძღვის საკმაოდ დაძაბული და საპასუხისმგებლო სამუშაოები. სალიზინგო პრაქტიკაში განასხვავებენ ორ შემთხვევას, როდესაც სალიზინგო ოპერაცია იგეგმება და ხორციელდება ლიზინგის გამცემის ინიციატივით და პირიქით, როდესაც სალიზინგო გარიგების ინიციატივა მოდის ლიზინგის მიმღებისაგან.

პირველ შემთხვევაში, ლიზინგის გამცემს უნდა გააჩნდეს საშუალება, მოამზადოს და განახორციელოს მისი სალიზინგო შესაძლებლობების ფართო რეკლამირება, პოტენციალური ლიზინგის ამღებთა სრულად ინფორმირების მიზნით. პარალელურად ხდება სალიზინგო ბაზრის შესწავლა და მისი განვითარების ტენდენციების განსაზღვრა, მოთხოვნის დადგენა დანადგარ-მოწყობილობების ცალკეულ სახეებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთი ფაქტორების შესწავლას, როგორებიცაა: საბაზრო ფასების ცვალებადობის დინამიკა დანადგარ-მოწყობილობებზე და სალიზინგო გარიგების ისეთ თანმხლებ პროცესებზე, როგორებიცაა: სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო, საპროექტო სამუშაოები, სატრანსპორტო გადაზიდვები, ენერგომომარაგება და სხვა.

სალიზინგო კომპანია აუცილებლად უნდა ფლობდეს სრულ ინფორმაციას ლიზინგის ობიექტების ფასების, მომწოდებლების; ტექნიკური, ენერგეტიკული და საექსპლუატაციო მახასიათებლების; პოტენციური ლიზინგის მიმღებთა დამფინანსებელთა და თანადამფინანსებელთა, მზღვეველი და გადამზღვევი კომპანიების შესახებ. ასეთი ინფორმაციის მოცულობა დამოკიდებულია ლიზინგის გამცემი კომპანიის სპეციალიზაციაზე. ასეთი სპეციალიზაცია ვითარდება რამდენიმე მიმართულებით:

*დანადგარ-მოწყობილობებისა და სამეურნეო საქმიანობის დარგების მიხედვით (მრეწველობის დარგები, მშენებლობა, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, სოფლის მეურნეობა და სხვა).

*საწარმოს მასშტაბებთა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით (სახელმწიფო და კერძო საწარმოები; მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოები; კოოპერატივები და სხვა).

*არსებობენ უნივერსალური სალიზინგო კომპანიები.

სალიზინგო კომპანიის უმთავრესი ამოცანაა, პოტენციური ლიზინგის მიმღების, იმ საწარმოს მოძიება, რომელიც დაინტერესებუ-

ლია სალიზინგო ოპერაციის განხორციელებაში. ასეთი მდგომა-
რეობა არ გამორიცხავს სალიზინგო ოპერაციით დაინტერესებუ-
ლი სამეწარმეო სუბიექტის ინიციატივას, როდესაც იგი თვითონ ამჩეს-
ტებს მისთვის აუცილებელი დანადგარ-მოწყობილობების მომწო-
დებელს და მიმართავს სალიზინგო კომპანიას დახმარებისათვის,
შერჩეული მოწყობილობის მისაღებად.

ლიზინგის გამცემისა და ლიზინგის მიმღების ურთიერთობის შემ-
დგომ ეტაპზე, ლიზინგის მიმღები, ლიზინგის გამცემს წარუდგენს
განაცხადს – ლიზინგის საგნის, ლიზინგით მისაღები მოწყობილო-
ბის სრულ სპეციფიკაციას. ასეთი განაცხადი დგება თავისუფალი
ფორმით. მასში დეტალურად უნდა იყოს მითითებული: ლიზინგის
ობიექტის სრული დასახელება, ძირითადი და დამხმარე მოწყობი-
ლობების ჩამონათვალი, ტექნიკური და საექსპლუატაციო პარამეტ-
რები, დამამზადებელი საწარმო ან მომწოდებელი კომპანია, მო-
წოდების პირობები და ფასი.

სალიზინგო განაცხადთან ერთად, პოტენციური ლიზინგის მიმღე-
ბი, სალიზინგო კომპანიას წარუდგენს ინფორმაციას მისი საქმიანო-
ბისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რათა გამოირიცხოს
(ან მინიმუმამდე შემცირდეს) იმის ალბათობა, რომ ლიზინგის მიმ-
ღები ვერ შეასრულებს ლიზინგის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდე-
ბულებებს, დროულად ვერ გადაიხდის სალიზინგო გადასახდელებს,
ლიზინგის გამცემი იწყებს ლიზინგის მიმღების ეკონომიკური საქმი-
ანობისა და ფინანსური მდგომარეობის გადახდისუნარიანობის ყო-
ველმხრივ შემოწმებას. ერთდროულად ხდება სალიზინგო პროექ-
ტის ანალიზი, რომლის პროცესში ზუსტდება ლიზინგის ობიექტის გან-
მეორებით ლიზინგით გაცემის შესაძლებლობა, იმ შემთხვევაში, თუ
მოხდება ლიზინგის მიმღების მიზეზით სალიზინგო ხელშეკრულე-
ბის ვადამდე მოშლა, სალიზინგო ვადის სხვადასხვა ეტაპზე.

ის მოსალოდნელი სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულია
გადახდისუნარიანობის განსაზღვრასთან გრძელვადიანი დაკრე-
დიტებისა და გრძელვადიანი იჯარის – ლიზინგის პირობებში, გა-
ნაპირობებს პოტენციური ლიზინგის მიმღების ფინანსური მდგო-
მარეობისა და ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებული მოკ-
ლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზების ყოველმხრივი ანა-
ლიზის აუცილებლობას. ასეთი ანალიზის პროცესში, ძირითადი მაჩ-
ვენებლების კოეფიციენტების (დაფარვის, ლიკვიდურობის, ფადას-

დისუნარიანობის) ანალიზთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საწარმოს ეკონომიკური მდგრადობის, მისი განვითარების პერსპექტივის, ბაზარზე მდგომარეობის სტაბილურობის, კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებსა და ასეთი მაჩვენებლების ცვალებადობის დინამიკის საპროგნოზო მაჩვენებლებს. ასეთი სამუშაოების შედეგების მიხედვით, სალიზინგო კომპანიის ანალიზური სამსახური ამზადებს დასკვნას, ლიზინგის მიმღების გადახდისუნარიანობისა და შესაბამისად, სალიზინგო გარიგების მიზანშეწონილობის შესახებ. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა სალიზინგო კომპანიამ ლიზინგის მიმღებისაგან მოითხოვოს დამატებითი გარანტიების წარდგენა, სალიზინგო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

ლიზინგის მიმღების განაცხადზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ლიზინგის გამცემი სალიზინგო კომპანია ატყობინებს ლიზინგის მიმღებს მზადყოფნის შესახებ, სალიზინგო ხელშეკრულების გაფორმებისათვის. ლიზინგთან დაკავშირებით, მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმება ფორმდება სალიზინგო ხელშეკრულებით ასეთი ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, სალიზინგო კომპანია დაკვეთას აძლევს ლიზინგის ობიექტის მომწოდებელ (დამამზადებელ) კომპანიას. ამ დოკუმენტით ლიზინგის გამცემი ატყობინებს მომწოდებელს იმის თაობაზე, რომ მან დადო ხელშეკრულება ლიზინგის მიმღებთან მოწყობილობის ლიზინგის თაობაზე და შესაბამისად, მომწოდებელს აძლევს დაკვეთას აღნიშნული მოწყობილობის მიწოდებაზე. როგორც წესი, ურთიერთობა მომწოდებელსა და ლიზინგის გამცემს შორის ფორმდება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით. ხელშეკრულებაში დეტალურად აღინიშნება ლიზინგის ობიექტის ყველა ტექნიკური და საექსპლუატაციო მახასიათებელი, სამუშაოების შესრულების ვადები, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების ფორმები, ხელშეკრულების სხვა დეტალები, მხარეების რეკვიზიტები, უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობის ფარგლები, ხელშეკრულებით გასაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივ ან არასრულად შესრულებისათვის.

დაკვეთის შესრულებისთანავე, მომწოდებელი შეტყობინებას უგზავნის ლიზინგის გამცემს დაკვეთის შესრულების შესახებ და უგზავნის ანგარიშს ორ ეგზემპლარად, ლიზინგის მიმღების მიერ ხელ-

მოწყობილი მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად.

მომწოდებლისა და ლიზინგის გამცემს შორის დადებული ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს მომწოდებლის პასუხისმგებლობას ლიზინგის გამცემის მიმართ, მიწოდების შემდგომ გამოვლენილ ხარვეზებზე და მიმწოდებლის საგარანტიო ვალდებულებებს, ასევე ვალდებულებებს სპეციალისტების მომზადებასა და ექსპლუატაციის პროცესში ტექნიკურ მომსახურებაზე.

მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშის მიღების შემდეგ, ლიზინგის გამცემი ვალდებულია შეასრულოს მისი ძირითადი ფუნქცია სალიზინგო ურთიერთობებში, მოახდინოს ანგარიშსწორება მომწოდებელთან სალიზინგო გარიგების მთლიანი თანხით. ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში, მომწოდებელსა და ლიზინგის გამცემს შორის დადებული ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს საავანსო გადახდას ლიზინგის ობიექტის სრული ღირებულების 10-30%-ის ფარგლებში. დანარჩენი თანხის გადახდა ხდება ლიზინგის გამცემის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის მიღებისთანავე.

ლიზინგის ობიექტის ტექნიკური თავისებურებების გათვალისწინებით, მიწოდება შესაძლოა ითვალისწინებდეს მიწოდებული მოწყობილობის მონტაჟსა და ექსპლუატაციაში გაშვებას. შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერა მოხდება მხოლოდ ასეთი სამუშაოების დასრულებისას ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა ტექნოლოგიური და საექსპლუატაციო პარამეტრის მიღწევის შემდეგ.

სალიზინგო გარიგების სამართლებრივი გაფორმება

სალიზინგო პროექტის განხორციელება დაკავშირებულია საკმაოდ რთულ სამართლებრივ პროცედურებთან. მათ შორისაა:

- კონტრაქტი ლიზინგის ობიექტის მომწოდებელსა და ლიზინგის გამცემს შორის;
- სალიზინგო ხელშეკრულება ლიზინგის ამღებსა და ლიზინგის გამცემს შორის;
- გირავნობის ან იპოთეკის ხელშეკრულება ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის ამღებს შორის;
- საბანკო გარანტია; საგარანტიო შეთანხმება ლიზინგის ამღებსა და საკრედიტო ორგანიზაციას შორის;
- თავდებობის ხელშეკრულება ლიზინგის ამღებსა და თავმდებ

კომპანიას შორის:

• გირაოსობის, იპოთეკის, საგარანტიო და თავდებობის ხელშეკრულებების მომზადება და დადება. ასევე შესაძლებელია აუცილებელი გახდეს სალიზინგო კომპანიასა და საკრედიტო ორგანიზაციას შორის, რომელიც მონაწილეობას იღებს სალიზინგო პროექტის (ოპერაციის, გარიგების) დაფინანსებაში.

ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი ლიზინგის ობიექტის მომწოდებელსა და სალიზინგო კომპანიას შორის. კონტრაქტი შედგება შემდეგი ძირითადი მუხლებისგან:

კონტრაქტის მხარეები – უნდა მიეთითოს კონტრაქტის მხარეების სრული დასახელება, იურიდიული მისამართი, უფლებამოსილი პირების მონაცემები, უფლებამოსილების საფუძველი;

კონტრაქტის საგანი – ყიდვა-გაყიდვის ობიექტის სრული დასახელება, ტიპი და მარკა; მიეთითოს სტანდარტი ან ტექნიკური პირობები; კომპლექტურობა, მიწოდების პირობები;

ფასები და კონტრაქტის საერთო ღირებულება – უნდა მიეთითოს ლიზინგის ობიექტის ღირებულება; თუ ობიექტი შეიცავს დამოუკიდებელ კვანძებსა და აგრეგატებს, ასეთი კვანძებისა და აგრეგატების ფასებიც, შეთანხმებულ ვალუტაში. ასევე კონტრაქტის საერთო ღირებულება დამატებითი ხარჯების გათვალისწინებით (დაზღვევა, ტრანსპორტირება, სათადარიგო ნაწილები, კადრების მომზადება, კონსულტაციები და სხვა).

ამავე მუხლში სასურველია მიეთითოს: „ფასები არის ფიქსირებული და არ ექვემდებარებიან შეცვლას კონტრაქტის მოქმედების მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში".

მიწოდების ვადები – უნდა აღინიშნოს მიწოდების დაწყებისა და დამთავრების ვადები, მიწოდების ადგილი; საჭიროების შემთხვევაში მიწოდების გრაფიკი. კონკრეტულად უნდა იქნეს მითითებული ვადების ათვლის წესი და ის, თუ რა ითვლება მიწოდების თარიღად;

გადახდის პირობები – როდის, რა გრაფიკით, რა ვალუტით, რა ფორმით ხდება ანგარიშსწორება. აქ შესაძლოა, გათვალისწინებული იქნეს გამყიდველის გარანტიები იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი მყიდველს არ მიაწოდებს კონტრაქტით გათვალისწინებულ მოწყობილობას, შეთანხმებულ ვადებში.

ამავე მუხლში უნდა იქნეს მითითებული ყველა იმ დოკუმენტის

ჩამონათვალი, რომელთა წარმოდგენის შემთხვევაშიც ხდება ანგარიშსწორება; მათ შორის:

- კომერციული ანგარიშ-ფაქტურები;
- შეფუთვის ფურცელი;
- ხარისხისა და წარმოშობის სერთიფიკატები;
- გამოცდის ოქმი და სხვა.

კონტრაქტი ასევე შეიძლება ითვალისწინებდეს გამყიდველის გარანტიას, თუ მიწოდებული მოწყობილობა ვერ მიაღწევს საპროექტო სიმძლავრეს.

თუ გარიგება იდება უცხოელ კონტრაგენტთან, კონტრაქტში გათვალისწინებული უნდა იქნეს დებულება: „ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებით, გამყიდველის ქვეყანაში ანაზღაურებს გამყიდველი, მყიდველის ქვეყანაში – მყიდველი";

მოწყობილობის ინსპექტირება და გამოცდა – უნდა მიეთითოს გამოცდის პროგრამა და ვადები, გამოცდისა და ინსპექტირების თარიღის შეტყობინების წესი; მონაწილეობს თუ არა გამოცდაში მყიდველის წარმომადგენელი. ინსპექტირებისა და გამოცდის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების წესები და ვადები; ამავე მუხლში სასურველია აღინიშნოს, რომ მოწყობილობის საბოლოო გამოცდა და მიღება-ჩაბარება მოხდება ადგილზე მონტაჟისა და ექსპლუატაციაში გაშვების მომენტში;

ხარისხის გარანტია – უნდა მიეთითოს: სტანდარტი ან ტექნიკური პირობები, რომელთან შესაბამისობის გარანტიასაც იძლევა გამყიდველი; საგარანტიო ვადა, საგარანტიო ვადის დაწყების მომენტი; საგარანტიო ვადაში გამოვლენილი ხარვეზების შესახებ შეტყობინებასა და გამყიდველის მხრიდან რეაგირების ვადები და წესი.

შეფუთვა – მოწყობილობა შეფუთული უნდა იყოს ისეთი წესით, რომელიც უზრუნველყოფს მის დაუზიანებელ ტრანსპორტირებას, დაცვას როგორც მექანიკური, ისე ატმოსფერული ზემოქმედებისაგან. ასევე მის გადაადგილებას სტანდარტული ამწე-სატრანსპორტო საშუალებებით; სასურველია მიეთითოს მოთხოვნები დროებითი ანტიკოროზიული დაფარვის მიმართ, შეფუთვის ფურცლებისა და დოკუმენტაციის ჩადების ადგილები;

მარკირება – უნდა მიეთითოს ის ინფორმაცია, რომელიც უნდა

იქნეს დატანილი ყოველ სატრანსპორტო ერთეულზე; ცალკეული სატრანსპორტო ერთეულების ნუმერაციის წესი; მარკირების ენა, შრიფტის ზომები, სიმძიმის ცენტრის ნიშნული, სხვა სპეციალური აღნიშვნები.

შეტყობინება გადატვირთვის შესახებ – უნდა აღინიშნოს გადატვირთვისათვის მზადყოფნის შესახებ მყიდველის შეტყობინების ვადა და წესი; შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს: საერთო მასა; ადგილის რაოდენობა, წონები და გაბარიტები; სატრანსპორტო საშუალების სახე; გადატვირთვამდე 24 საათით ადრე. გამყიდველმა მყიდველს უნდა შეატყობინოს: გადატვირთვის დრო, კონტრაქტის ნომერი, სატრანსპორტო საშუალების ნომერი, სატრანსპორტო დოკუმენტების მონაცემები, ტვირთის ადგილზე მისვლის სავარაუდო თარიღი;

ლიცენზიები – უნდა მიეთითოს, ვინ არის პასუხისმგებელი საექსპორტო და საიმპორტო ლიცენზიების აღებაზე; ლიცენზიების აღების ვადები. მხარეებმა ერთმანეთს უნდა შეატყობინონ ლიცენზიების აღების პროცესში წამოჭრილი სერიოზული პრობლემების შესახებ; ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ ლიცენზიის აღება საჭირო არ აღმოჩნდება;

ობიექტის მიღება მყიდველის მიერ – კონტრაქტის ეს მუხლი უნდა ითვალისწინებდეს: ობიექტის მიღებას აქტით, მისი შენახვისა და დაცვის ვალდებულებას მყიდველის მიერ; გამყიდველის შეტყობინების წესს, თუ მოწოდება აღმოჩნდება არაკომპლექტური, დარღვეული შეფუთვით, დაზიანებული და სხვა. მიღების პროცესში გამოვლენილი ხარვეზებისა და დანაკლისების კომპენსაციისა და გამოსწორების ვადები და წესები;

ობიექტის წარმადობა და საექსპლოატაციო მონაცემები – კონტრაქტში ცალსახად უნდა იქნეს აღნიშნული მოწყობილობის წარმადობა და ისეთი საექსპლუატაციო მონაცემები, როგორებიცაა:

- გამოშვება საათის, ცვლის, დღის განმავლობაში;
- I, II ხარისხის პროდუქციის ხვედრითი წილი გამოშვებულ პროდუქციაში;
- წუნის, მათ შორის გამოუსწორებელი წუნის სიდიდე;
- ენერგოტევადობა;
- მასალებისა და ენერგიის არამწარმოებლური დანაკარგები;
- მოცდენები მოწყობილობის გაუმართაობის მიზეზით;

ქნოლოგიური მახასიათებლები და სხვა.

კონტრაქტში ჩადებული ზემოთ აღნიშნული ყველა მონაცემი გარანტირებული უნდა იყოს გამყიდველის მიერ.

მონტაჟი – ამ მუხლში მითითებული უნდა იყოს მონტაჟის ვადები; თუ მხარეები შეთანხმდებიან მონტაჟში გამყიდველის მონაწილეობის შესახებ, კონტრაქტში უნდა აღინიშნოს:

- მონტაჟის სამუშაოებში გამყიდველის მონაწილეობის მოცულობა და ვალდებულებები;
- გამყიდველისათვის მონტაჟის დაწყებისათვის მზადყოფნის შესახებ შეტყობინების წესი;
- ვინ უზრუნველყოფს ფუნდამენტების მომზადებას, აუცილებელი ამწე მოწყობილობების დროულ მობილიზებას;
- როგორ ხდება მონტაჟში გამყიდველის მონაწილეობის ანაზღაურება;
- რა წესით ფორმდება აქტი სამონტაჟო სამუშაოების დასრულების შესახებ.

მხარეების პასუხისმგებლობა – კონტრაქტი უნდა ითვალისწინებდეს მხარეების პასუხისმგებლობას კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულებისათვის. კონტრაქტის ყველა მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ვალდებულებას, უზრუნველყოფილ უნდა იყოს მუხლით, რომელიც იძლევა ამ მუხლის შესრულების გარანტიას. მუხლში გათვალისწინებული უნდა იყოს ჯარიმებისა და პირგასამტეხლოს განაკვეთები, ფინანსური სანქციების მაქსიმალური ზომა; ჯარიმების გადახდის წესები, ჯარიმების გადახდის გარანტია, რომელიც გაცემული უნდა იყოს მხარეებს შორის შეთანხმებული ბანკის მიერ.

ფორსმაჟორი – აუცილებელია გარკვევით მიეთითოს ის დაუძლეველი ძალის გარემოებები, რომელთა დადგომისას მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის; ასეთი გარემოებების დადგომისა და შეწყვეტის შესახებ მეორე მხარის შეტყობინების ფორმა და ვადები; მხარეების უფლებები ფორსმაჟორული გარემოებების ხანგრძლივად გაგრძელების შემთხვევაში;

არბიტრაჟი – მხარეები უნდა შეთანხმდნენ, რომელ არბიტრაჟს უნდა გადაეცეს განსახილველად კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. სასურველია საარბიტრაჟო შე-

თანხმებებში მიეთითოს:

- არბიტრაჟის დასახელება;
  არბიტრების რაოდენობა და დანიშვნის წესი;
  საარბიტრაჟო განხილვის ადგილი;
  განხილვის ენა და სამართლებრივი ბაზა.

კონტრაქტის ძალაში შესვლა – როგორც წესი, კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება მხარეებისათვის სავალდებულოა მისი ხელმოწერის მომენტიდან. კონტრაქტი შესაძლოა ასევე ითვალისწინებდეს მისი ძალაში შესვლისათვის ისეთი ფორმალობების შესრულებას, როგორებიცაა:

ა. კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ნებართვისა და ლიცენზიის მიღება;

ბ. ავანსის მიღება გამყიდველის მიერ;

გ. სალიზინგო კონტრაქტის ხელმოწერა და გამყიდველის მიერ კონტრაქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის მიღება.

განსაკუთრებული პირობები. აქ შეიძლება აღინიშნოს:

- კონტრაქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი;
- კონტრაქტით გათვალისწინებული უფლებების მესამე პირისათვის გადაცემის დაუშვებლობა;
- რომ კონტრაქტი არ შეიცავს სიტყვიერ და საიდუმლო შეთანხმებებს;
- რომ კონტრაქტის ხელმოწერისთანავე ძალადაკარგულია კონტრაქტის საგანთან მხარეებს შორის ყველა ადრე მიღწეული სიტყვიერი და წერილობითი შეთანხმება, ასევე მიმოწერა და სხვა.

ლიზინგის ხელშეკრულება

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სალიზინგო გარიგება მრავალმხრივია და არსებითად განსხვავდება სტანდარტული ყიდვა-გაყიდვის გარიგებისაგან. დღეს ძალზე ძვირადღირებული საქონლის მნიშვნელოვანი მოცულობების მოწოდებაზე შესაძლოა, საერთოდ არ დაიდოს ხელშეკრულება და გარიგება გაფორმდეს დეპეშით, ფაქსით ან უბრალოდ ტელეფონის ზარით. რაც შეეხება სალიზინგო გარიგებას, იგი მეტად რთულია და როგორც წესი, ხასიათდება რიგი ინდივიდუალური თავისებურებებით. ამდენად, საჭიროა მეტი სიფრთხილე სალიზინგო კონტრაქტის ტიპიური ფორმის

გამოყენებისას, რადგან ვთვლით, რომ ტიპური ფორმის პირდაპირ გამოყენება, რაც საკმაოდ ხშირია დამწყები და გამოუცდელი მეწარმეებისა და იურისტების მიერ, შესაძლოა გახდეს სერიოზული პრობლემების მიზეზი სალიზინგო გარიგების სულ ცოტა ერთი მხარისათვის. სალიზინგო ურთიერთობების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ როგორც წესი, უყურადღებოდ გაფორმებული სალიზინგო კონტრაქტების შედეგად პრობლემები ექმნებათ მხოლოდ გამოუცდელ ლიზინგის ამღებს, რადგან მოწყობილობების მწარმოებელი მსხვილი ფირმების, სალიზინგო კომპანიების, ოპერაციაში მონაწილე ბანკებისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების იურიდიული სამსახურები კონტრაქტების გაფორმებაში ხარვეზებს ძალზე იშვიათად უშვებენ.

ქვემოთ მოყვანილია ის ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სალიზინგო კონტრაქტის მომზადების პროცესში.

კიდევ ერთხელ განვმარტოთ ლიზინგი – როგორც სამეწარმეო საქმიანობა, წარმართული დროებით თავისუფალი სახსრების ინვესტირებისათვის სალიზინგო კონტრაქტის საფუძველზე, როდესაც ლიზინგის გამცემი (მეიჯარე) ვალდებულებას იღებს შეიძინოს ლიზინგის კონტრაქტით განსაზღვრული მოწყობილობა და გადასცეს იგი ლიზინგის ამღებს (მოიჯარეს) დროებით სარგებლობაში სამეწარმეო მიზნებისათვის, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ.

ამდენად, სალიზინგო კონტრაქტში მითითებული უნდა იყოს გარიგების საგანი, კერძოდ: ლიზინგის გამცემი ვალდებულია საკუთარი სახსრებით შეიძინოს და გადასცეს ლიზინგის ამღებს ამ უკანასკნელის მიერ შერჩეული აქტივები. ლიზინგის მიმღებმა კონტრაქტში აუცილებლად უნდა აღნიშნოს: აქტივების დასახელება, ტიპი, მარკა, სასარგებლო გამოყენების ვადა, შემადგენელი ერთეულების რაოდენობა და მახასიათებლები; მომწოდებლის დასახელება, მიწოდების კონტრაქტის ნომერი; მიწოდების ვადები, აქტივების ფასი და კონტრაქტის საერთო ღირებულება; აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადა იანგარიშება მოქმედი საამორტიზაციო ნორმებიდან ან მხარეებს შორის შეთანხმებული დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმების მიხედვით.

როგორც წესი, ლიზინგის კონტრაქტის საგანი შესაძლოა იყოს სხვადასხვა დასახელების მოწყობილობა; ამდენად, სასურველია

კონტრაქტში მითითებული იყოს: სულ ლიზინგში მიღებული აქტივების საერთო ღირებულება სატრანსპორტო ხარჯებისა და დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

გავრცელებული სალიზინგო პრაქტიკის თანახმად, სალიზინგო გარიგების საერთო ღირებულებაში შედის:

- ტრანსპორტირების ხარჯები აქტივის ექსპლუატაციის ადგილამდე;
- მონტაჟის სამუშაოების ხარჯები;
- სპეციალისტების მომზადების ხარჯები.

როგორც წესი, ლიზინგის გამცემი მოითხოვს, კონტრაქტში მითითებული იქნეს ლიზინგის ობიექტის ექსპლუატაციის ადგილი და გამოყენების სფერო. კონტრაქტში ასეთი ინფორმაციის არსებობა საშუალებას აძლევს ლიზინგის გამცემს:

1. აკონტროლოს ლიზინგის ობიექტის მდგომარეობა და მიზნობრივი გამოყენება. საქმე იმაში გახლავთ, რომ ლიზინგის გამცემი ლიზინგის მთელი ვადის განმავლობაში რჩება ლიზინგით გაცემული აქტივების მესაკუთრედ.

2. აკონტროლოს ლიზინგის ობიექტის დაზღვევის პირობების დაცვა; დაზღვეული ობიექტის გადაადგილების,ან სადაზღვევო ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანიას უფლება აქვს უარი თქვას სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე.

კონტრაქტში მითითებული უნდა იყოს მიწოდების ვადები. კერძოდ: მიწოდება ითვლება განხორციელებულად ლიზინგის მიმღების მიერ სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტების მიღების მომენტიდან. კონტრაქტი შესაძლოა ითვალისწინებდეს პირობას, რომლის თანახმად, სალიზინგო კონტრაქტის ძალაში შესვლის თარიღად, მოწყობილობების მიწოდების თარიღის ნაცვლად ითვლება მოწყობილობის ექსპლუატაციაში გაშვების აქტის ხელმოწერის თარიღი.

კონტრაქტში ცალსახად უნდა იქნეს განსაზღვრული ლიზინგის ვადა, სალიზინგო გადასახდელების სიდიდე, პირველი გადასახდელის გადახდის თარიღი და მომდევნო გადასახდელების პერიოდულობა. როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, სალიზინგო გადასახდელის ძირითადი ელემენტებია: ამორტიზაცია, გადასახდელები საკრედიტო რესურსებისათვის; სარგებელი ლიზინგისათვის (სალი-

ზინგო ხარჯა). სალიზინგო გადასახდელის სიდიდეზე გავლენას ახდენენ: კონტრაქტის საერთო ღირებულება და ხანგრძლივობა; სალიზინგო პროცენტის განაკვეთი; ავანსის სიდიდე და გადახდების პერიოდულობა; გადასახდელების გადახდის ვადა (პერიოდის დასაწყისში თუ პერიოდის ბოლოს); ობიექტის ნარჩენი ღირებულება საკონტრაქტო ვადის ბოლოს. ყველა ამ ფაქტორების გათვალისწინებით განისაზღვრება სალიზინგო გადასახდელის საბოლოო სიდიდე.

ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის ობიექტის მიღება ფორმდება სათანადო დოკუმენტით, რომლის ეგზემპლარი ეგზავნება ლიზინგის გამცემს.

იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის მიმღები უარს ამბობს მოწყობილობის მიღებაზე იმ მოტივით, რომ იგი არ შეესაბამება დაკვეთის მოთხოვნებსა და ტექნიკურ პირობებს, იგი წერილობით ატყობინებს ლიზინგის გამცემს კონკრეტული მიზეზების მითითებით. ასეთ შემთხვევაში, ლიზინგის გამცემი თავისუფლდება ყოველგვარი პრეტენზიებისა და გარანტიებისაგან ლიზინგის მიმღებისა და მომწოდებლის მხრიდან, ისევე როგორც ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში. როგორც წესი, ლიზინგის გამცემი მოითხოვს ასეთი მუხლების შეტანას კონტრაქტში. ასეთი მოთხოვნა არ არის საფუძველს მოკლებული, რადგან ლიზინგის მიმღები დამოუკიდებლად ირჩევს მოწყობილობას, აწარმოებს მოლაპარაკებას მომწოდებელთან, აზუსტებს და ათანხმებს მოწყობილობის ტექნიკურ მახასიათებლებს და მოწოდების პირობებსა და ვადებს. ამდენად, ლიზინგის გამცემს არ შეიძლება მოეთხოვოს პასუხი ლიზინგის ამღებსა და მომწოდებელს შორის მიღწეული შეთანხმებისა და დადებული ხელშეკრულებისათვის.

კონტრაქტში მითითებული უნდა იყოს ლიზინგის ამღების ვალდებულება: მოწყობილობა გამოიყენოს მხოლოდ კონტრაქტით გათვალისწინებული მიზნებისათვის, მკაცრად დაიცვას მისი ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების წესები.

ლიზინგის გამცემები დაბეჯითებით მოითხოვენ კონტრაქტში ისეთი პირობების შეტანას, როგორებიცაა:

• ლიზინგის მიმღებს არა აქვს უფლება, მოსთხოვოს ლიზინგის გამცემს ზარალის ანაზღაურება ან გადასახდელების შემცირება, ნებისმიერი მიზეზით ლიზინგის ობიექტის განადგურების შემთხვე-

ვაში – ფორსმაჟორული გარემოებების ჩათვლით. მოწყობილობის დაზიანების ან ნაწილობრივი განადგურების შემთხვევაში, ლიზინგის ამღებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ლიზინგის გამცემს. ნებისმიერ შემთხვევაში ლიზინგის ამღებმა არ უნდა შეწყვიტოს სალიზინგო გადასახდელების გადახდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი დაზიანება და განადგურება გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით. ლიზინგის ობიექტის სრული განადგურების შემთხვევაში, ლიზინგის ამღები დაუყოვნებლივ უხდის ლიზინგის გამცემს სალიზინგო გადასახდელების მთელ თანხას, სალიზინგო კონტრაქტი მიიჩნევა დასრულებულად.

ლიზინგის ამღების მიერ ლიზინგის ობიექტის მიღების მომენტიდან, იგი სრულად აგებს პასუხს ნებისმიერ ზიანზე, რომელიც მიადგება ლიზინგის ობიექტს, ან გამოწვეული იქნება ლიზინგის ობიექტით.

როგორც წესი, ლიზინგის გამცემი (სალიზინგო კომპანია) დაბეჯითებით მოითხოვს კონტრაქტში მუხლის შეტანას, რომლის თანახმადაც ლიზინგის ამღები ვალდებულია სრულად დააზღვიოს ლიზინგის ობიექტი დაკარგვისა და განადგურებისაგან.

კონტრაქტის იმ ნაწილის მომზადებისას, რომელიც არეგულირებს ლიზინგის ობიექტის დაზღვევის წესებს, როგორც წესი, წამოიჭრება ორი ძირითადი საკითხი, მათგან პირველი უნდა გადაწყდეს სალიზინგო კონტრაქტის დადებამდე, მეორე კი ხდება აქტიური განხილვის საგანი კონტრაქტის დადების პროცესში.

პირველი საკითხი – ლიზინგის გამცემ კომპანიას, რომელიც არ აგებს პასუხს დაზღვევაზე და სადაზღვევო ხარჯებზე, უფლება აქვს შესთავაზოს ლიზინგის ამღებ კომპანიას ავტორიტეტული, პირველი კლასის სადაზღვევო და გადამზღვევველი კომპანიები.

მეორე საკითხი – ეხება ლიზინგის ობიექტის დაზღვევასთან ერთად სალიზინგო გადასახდელების გადახდის დაზღვევას.

კონტრაქტი უნდა ითვალისწინებდეს ლიზინგის ამღების ვალდებულებას, კონტრაქტის ვადის გასვლამდე სულ ცოტა, 45 დღით ადრე, შეატყობინოს ლიზინგის გამცემს მისი გადაწყვეტილების შესახებ:

- შეისყიდოს ლიზინგის ობიექტი ნარჩენი ღირებულებით;
- განაახლოს სალიზინგო კონტრაქტი შეთანხმებული (როგორც წესი, შემცირებული) სალიზინგო გადასახდელებით;

• დაუბრუნოს ლიზინგის გამცემს ლიზინგის ობიექტი.

კონტრაქტი, როგორც წესი, ითვალისწინებს ლიზინგის გამცემის უფლებას, ცალმხრივად შეწყვიტოს კონტრაქტი ლიზინგის ამღების მხრიდან კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში ლიზინგის გამცემი ვალდებულია 60 დღით ადრე აცნობოს ლიზინგის ამღებს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

სასურველია კონტრაქტში ცალსახად იყოს მითითებული ის გარემოებები, რომლებიც შესაძლოა გახდეს კონტრაქტის ცალმხრივად შეწყვეტის მიზეზი.

სალიზინგო კონტრაქტის აუცილებელი ნაწილია საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის თანახმად მხარეები კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებულ დავებს განსახილველად გადასცემენ არბიტრაჟს, არბიტრაჟის სრული დასახელების მითითებით.

სასურველია საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებული იყოს:

• არბიტრების რაოდენობა და დანიშვნის წესი;

• კანონმდებლობა, რომლის საფუძველზეც მოხდება საარბიტრაჟო განხილვა;

• განხილვის ენა და ადგილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სალიზინგო კონტრაქტი შესაძლოა ითვალისწინებდეს: გირავნობის, იპოთეკის, თავდებობის ხელშეკრულებებს, საბანკო გრანტებს, რომლებიც დგება მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

ფინანსური იჯარის
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
(ლიზინგი)

ქ. თბილისი „------“----------------“ 2006 წ.

-------------------------, საწარმოს გენერალური დირექტორის

— სახით, შემდგომში „ლიზინგის გამცემი“, ერთის მხრივ და ——
————————————————, საწარმოს გენერალური დირექტორის ——————————————————————

სახით, შემდგომში “ლიზინგის მიმღები”, მეორეს მხრივ, ვმოქმედებთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ლიზინგის მიმღების განცხადებისა და მის მიერ წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმის საფუძველზე, ლიზინგის გამცემი ყიდულობს და ლიზინგით გადასცემს ლიზინგის მიმღებს № 1 დანართში აღნიშნულ ტექნოლოგიურ კომპლექსს, შემდგომში ლიზინგის ობიექტი;

1.2. ლიზინგის ობიექტი შერჩეულია უშუალოდ ლიზინგის მიმღების მიერ;

1.3. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს მხარეების ურთიერთობას ლიზინგის ობიექტის, ლიზინგის მიმღებისათვის გადაცემასთან დაკავშირებული ურთიერთობების ფარგლებში;

1.4. ლიზინგის მიმღები ლიზინგის ობიექტს იღებს დროებით, ფლობელობასა და სარგებლობაში და ვალდებულებას იღებს, გამოიყენოს იგი მკაცრად დანიშნულების მიხედვით, სალიზინგო ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში;

1.5. ლიზინგის ობიექტის ლიზინგის მიმღებისათვის გადაცემა უნდა მოხდეს არაუგვიანეს ——————————————————————————————:

1.6. ლიზინგის გამცემმა ლიზინგის ობიექტი უნდა მიაწოდოს ლიზინგის მიმღებს მისამართზე ——————————————————————————;

2. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

2.1. ლიზინგის ობიექტი — № 1 დანართში აღნიშნული ტექნოლოგიური კომპლექსი;

2.2. გამყიდველი — იურიდიული პირი, რომელიც ლიზინგის გამცემთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ლიზინგის მიმღების მიერ შერჩეულ ტექნოლოგიურ კომპლექსს მიაწოდებს ლიზინგის მიმღებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და ადგილზე;

2.3. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ლიზინგის ხელშეკრულებას და არეგულირებს ურთიერთობებს ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის, იგი ითვალისწინებს ასევე ურთიერთობებს ლიზინგის გამცემსა და გამყიდველს შორის;

2.4. საერთო თანხა — თანხა, რომელსაც ლიზინგის მიმღები იხდის ლიზინგის ობიექტით სარგებლობისათვის ლიზინგის მთელი ვადის განმავლობაში (ლიზინგის ობიექტის საბალანსო ღირებულება);

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. ლიზინგის გამცემის უფლებები და ვალდებულებები:

3.1.1. ლიზინგის გამცემი ვალდებულებას კისრულობს შეიძინოს

ლიზინგის ობიექტი გამყიდველისაგან და გადასცეს ლიზინგის მიმღებს დროებით სარგებლობასა და მფლობელობაში, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

3.1.2. ლიზინგის ობიექტის გადაცემა ლიზინგის მიმღებისათვის გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტით;

3.1.3. ლიზინგის გამცემს უფლება აქვს შეუფერხებლად გაეცნოს ლიზინგის ობიექტის ექსპლუატაციის პირობებს, შეამოწმოს თუ რამდენად სწორად ხდება ლიზინგის ობიექტის გამოყენება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის:

3.2. ლიზინგის მიმღები ვალდებულია:

3.2.1. მიიღოს ლიზინგის ობიექტი გამყიდველისაგან მიღება-ჩაბარების აქტით;

3.2.2. ლიზინგის ობიექტის მიღებიდან არა უგვიანეს ——— დღისა შეატყობინოს გამყიდველს ლიზინგის ობიექტის მონტაჟისათვის მზადყოფნის შესახებ;

3.2.3. ლიზინგის ობიექტის დასრულებისთანავე, სათანადო აქტით გააფორმოს ლიზინგის ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლა;

3.2.4. ლიზინგის მიმღები ვალდებულია, დააზღვიოს ლიზინგის ობიექტი, სალიზინგო ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში;

3.2.5. ლიზინგის ობიექტი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისიწნებული მიზნებისათვის;

3.2.6. ლიზინგის მიმღები ვალდებულია, შეუფერხებლად მისცეს საშუალება ლიზინგის გამცემს დაათვალიეროს ლიზინგის ობიექტი, შეამოწმოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის მისი გამოყენების მდგომარეობა;

3.2.7. ლიზინგის მიმღები ვალდებულია ლიზინგის გამცემის ნებართვის გარეშე არ გაასხვისოს, ასევე არ გასცეს ქვეიჯარით ლიზინგის ობიექტი მთლიანად ან მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილი;

3.3. ლიზინგის მიმღებს უფლება აქვს:

3.3.1. გამოიყენოს ლიზინგის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამეწარმეო მიზნებისათვის;

3.3.2. ლიზინგის ვადის ბოლოს შეიძინოს ლიზინგის ობიექტი, იმ

მომენტისათვის ლიზინგის ობიექტის ნარჩენი ღირებულებით;

3.3.3. ამ უფლების გამოყენების შემთხვევაში, ლიზინგის მიმღები ვალდებულია ლიზინგის ვადის ამოწურვამდე —·— თვით ადრე შეატყობინოს ლიზინგის გამცემს ლიზინგის ობიექტის შეძენის შესახებ;

4. ანგარიშსწორება

4.1. ლიზინგის მიმღები ლიზინგის ქირის გადახდას ლიზინგის გამცემისათვის ახდენს №2 დანართში მოყვანილი გრაფიკის მიხედვით;

4.2. გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ყოველთვიურად ლიზინგის მიმღების ანგარიშზე თანხის გადარიცხვით;

4.3. მხარეების შეთანხმებით დასაშვებია ლიზინგის ქირის გადახდის ვადის გადავადება არაუმეტეს ——— თვისა;

4.4. იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის მიმღები გადაწყვეტს ლიზინგის ობიექტის შეძენას, ლიზინგის ვადის ბოლოს ობიექტის ნარჩენ ღირებულებას გადაუხდის ლიზინგის გამცემს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ხელმოწერიდან ხაზი დღის განმავლობაში;

4.5. ლიზინგის მიმღებს უფლება აქვს, ვადამდე გადაიხადოს სალიზინგო გადასახდელები, ასეთ შემთხვევაში, ლიზინგის ობიექტი ვადამდე ადრე გადავა ლიზინგის მიმღების საკუთრებაში, რაც გაფორმდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მოქმედება და შეწყვეტა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მთელი სალიზინგო ვადის განმავლობაში;

5.2. ლიზინგის მიმღები აღიარებს, რომ მთელი სალიზინგო ვადის განმავლობაში ლიზინგის ობიექტი რჩება ლიზინგის გამცემის საკუთრებაში;

5.3. ხელშეკრულების შეცვლა და შეწყვეტა დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით;

5.4. ლიზინგის გამცემს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრუ-

ლების ცალმხრივად შეწყვეტა, თუ:

5.4.1. ლიზინგის მიმღების მიზეზით უარესდება ლიზინგის ობიექტის მდგომარეობა;

5.4.2. ლიზინგის მიმღები ლიზინგის ობიექტს იყენებს ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მიზნებისათვის;

5.4.3. აგვიანებს ლიზინგის ქირის გადახდას;

5.4.4. არღვევს ლიზინგის ობიექტის ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების წესებს;

5.4.5. ლიზინგის მიმღები წყვეტს სამეწარმეო საქმიანობას;

5.4.6. მკვეთრად უარესდება ლიზინგის მიმღების ფინანსური მდგომარეობა;

5.5. ლიზინგის მიმღებს უფლება აქვს მოითხოვოს ლიზინგის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, თუ:

5.5.1. ლიზინგის გამცემი დააგვიანებს ლიზინგის მიმღებისათვის ლიზინგის ობიექტის გადაცემას;

5.5.2. ლიზინგის ობიექტი გადაცემული იქნება არაკომპლექტურად;

5.5.3. თუ ლიზინგის ობიექტის მონტაჟისა და ექსპლუატაციაში გაშვების პროცესში გამოვლინდება ლიზინგის ობიექტის სერიოზული დეფექტები;

6. მხარეების პასუხისმგებლობა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

6.2. ლიზინგის ობიექტის ლიზინგის მიმღებისათვის გადაცემის დაგვიანების შემთხვევაში, ლიზინგის გამცემი პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ლიზინგის მიმღებს ლიზინგის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულების ——— პროცენტს, ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის;

6.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების

ვადების დარღვევისათვის, ლიზინგის მიმღები ლიზინგის გამცემს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ვადაზე გადაუხდელი თანხის ———— %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის;

6.4. მხარეებს უფლება აქვთ მოსთხოვონ მეორე მხარეს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

6.5. იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის მიმღები უარს იტყვის ლიზინგის ობიექტის მიღებაზე, იგი ვალდებულია ჯარიმის სახით გადაუხადოს ლიზინგის გამცემს ლიზინგის ობიექტის ღირებულების —— %, ლიზინგის ობიექტის მიღებაზე უარის თქმიდან არაუგვიანეს ——— დღის ვადაში;

6.6. თუ ლიზინგის მიმღები, სალიზინგო ვადის ამოწურვის შემდეგ დროულად არ დაუბრუნებს ლიზინგის ობიექტს ლიზინგის გამცემს, იგი ვალდებულია ჯარიმის სახით გადაუხადოს ლიზინგის გამცემს ლიზინგის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულების —— % ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის;

6.7. პირგასამტეხლოსა და ჯარიმების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;

7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ასეთი შეუსრულებლობა გაპირობებული იქნება დაუძლეველი ძალის გარემოებებით;

7.2. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება კლიმატური, ტექტონიკური, ტექნოგენური კატასტროფები, სოციალური მღელვარება და სამთავრობო გადაწყვეტილებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებულნი მხარეების ნებაზე და მათი თავიდან აცილება აღემატება მხარეების შესაძლებლობებს;

7.3. დაუძლეველი ძალის გარემოებების სტაბილური გამოვლენისთანავე, მხარე, რომელიც დადგა ასეთი გარემოებების პირის-

პირ. ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს. ასეთი შეტყობინება დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ;

7.4. მხარე ვალდებულია, ასევე დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს დაუძლეველი ძალის გარემოებების მოქმედების ხანგრძლივობისა და შეწყვეტის თაობაზე;

7.5. 7.3. და 7.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები კარგავენ უფლებას, მიუთითონ დაუძლეველი ძალის გარემოებებზე;

7.6. იმ შემთხვევაში, თუ დაუძლეველი ძალის გარემოება გრძელდება ——— თვეზე მეტს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება ყოველგვარი პასუხისმგებლობისა და ანაზღაურების გარეშე;

7.7. დაუძლეველი ძალის გარემოებები მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი წარმოიქმნა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და საიმედოდ იქნება დადასტურებული ასეთი გარემოებების გაელენა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

8. დავების გადაწყვეტა

8.1. მხარეები ეცდებიან წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით;

8.2. თუ ასეთი ვერ მოხერხდება, დავა განსახილველად გადაეცემა არბიტრაჟს;

8.3. ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს: არბიტრაჟის დასახელება, მისამართი, დავის განხილვის ადგილი, არბიტრების რაოდენობა, მათი დანიშვნისა და აცილების წესი, გამოყენებული სამართალი, განხილვის ენა.

8.4. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულო იქნება მხარეებისათვის.

9. დამატებითი პირობები

9.1. საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან, ძალადაკარგულად ითვლება ხელშეკრულების საგანზე მხარეებს შორის ყველა მიმოწერა, სიტყვიერი და წერილობითი შეთანხმება;

9.3. ხელშეკრულების ყველა დანართი ავტომატურად ხდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი;

9.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ორიგინალურ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი ძალა.

10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულების პირობებთან და შესრულების მიმდინარეობასთან ნებისმიერი შეტყობინება იქნება ნამდვილი, თუ იგი წერილობითი ფორმით პირადად, დაზღვეული ფოსტით, ფაქსით ან ელ. ფოსტით გადაეცემა ადრესატს;

11. მხარეების იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

ლიზინგის გამცემი	ლიზინგის მიმღები
____________________	____________________
ბ. ა.	ბ. ა.

შუამავლობა

ზოგადი დებულებანი

პირი, რომელიც სხვას ჰპირდება გასამრჯელოს ხელშეკრულების დასადებად გაწეული შუამავლობისათვის, ვალდებულია გადაიხადოს ეს გასამრჯელო მხოლოდ მაშინ, თუ ხელშეკრულება ამ შუამავლობის შედეგად დაიდო. თუ ხელშეკრულება იდება გადადების პირობით, გასამრჯელო შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ ამ პირობის დადგომის შემდეგ. თუ გასამრჯელოს ოდენობა განსაზღვრული არ არის, შეთანხმებულად ითვლება ჩვეულებრივ მოქმედი გასამრჯელო. შემკვეთის საზიანოდ ამ მუხლისაგან განსხვავებულად დადებული შეთანხმება ბათილია. შუამავლობის ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 744–754 მუხლებით.

საჯაჭრო მაკლერის მიმართ გამოიყენება კანონი მეწარმეთა შესახებ.

მაკლერის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება. მაკლერის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იმ მომსახურებისათვის, რომელიც არ შედის საშუამავლო საქმიანობაში, გასამრჯელო შეიძლება შეთანხმებულ იქნეს იმისაგან დამოუკიდებლად, დაიდება თუ არა ხელშეკრულება.

მაკლერის ხარჯები აუნაზღაურდება მხოლოდ მაშინ, თუ ეს შეთანხმებული იყო. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა ხელშეკრულება ვერ დაიდო. ბათილია შეთანხმება, რომლითაც გათვალისწინებულია ანაზღაურება იმ ხარჯებისა, რომლებიც არ არის საჭირო საშუამავლო ხელშეკრულების განხორციელებისათვის.

ექსკლუზიური დავალება. თუ შემკვეთმა განსაზღვრული დროის განმავლობაში უარი უნდა თქვას სხვა მაკლერის გამოყენებაზე (ექსკლუზიური დავალება), მაშინ მაკლერი ვალდებულია ამ დროის მანძილზე ხელი შეუწყოს ხელშეკრულების დადებას. თუ შემკვეთი მოქმედებს პირველ წინადადებაში აღნიშნული ვალდებულების საწინააღმდეგოდ, მაშინ მაკლერს შეუძლია – თუ ხელშეკრულება დადებულია სხვა მაკლერის გამოყენებით – მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ზიანის ანაზღაურების ერთიანი თანხა ზიანის არსებობის დამტკიცების მიხედვით. ეს თანხა არ უნდა აღემატებოდეს

ხელშეკრულების ფასის ორ პროცენტს, თუ ხელშეკრულება მიმართული იყო ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შუამავლობაზე.

შემკვეთი უფლებამოსილია ხელშეკრულება დადოს მესამე პირთან მაკლერის გამოუყენებლადაც. ამავე დროს შეიძლება შეთანხმება, რომ შემკვეთი ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი გასამრჯელო მაშინაც, როცა იგი ხელშეკრულებას დებს მაკლერის გამოუყენებლად. გასამრჯელო არ შეიძლება აღემატებოდეს ხელშეკრულების ფასის ორ პროცენტს, თუ ხელშეკრულება მიმართული იყო ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შუამავლობაზე.

შემკვეთის საზიანოდ დადებული ამ წესებისაგან განსხვავებული შეთანხმება ბათილია.

შეთანხმება ექსკლუზიური დავალების შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას.

სამუამაელო ხელშეკრულების მოშლა. საშუამავლო ხელშეკრულება შეიძლება ნებისმიერ დროს მოიშალოს რაიმე ვადის დაუცველად, თუკი ხელშეკრულების ვადა არ იყო განსაზღვრული.

ექსკლუზიური დავალება შეიძლება მოიშალოს მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლით. ექვსი თვის გასვლის შემდეგ იგი შეიძლება ნებისმიერ დროს მოიშალოს.

ხელშეკრულების მოშლის უფლება შეიძლება დაუშვებლად იქნეს მიჩნეული მაშინაც, როცა გასულია ექვს თვეზე მეტი დრო, მაგრამ ამას მოითხოვს შუამავლობით დასადები ხელშეკრულების სახისა და საგნის თავისებურებანი.

მაკლერისათვის გასამრჯელოს მიცემის დაუშვებლობა. დაუშვებელია მაკლერისათვის გასამრჯელოს მიცემა ან ხარჯების ანაზღაურება, თუ მესამე პირთან დადებული ხელშეკრულება ეხება მაკლერის კუთვნილ საგანს; იგივე წესი გამოიყენება, როცა განსაკუთრებული გარემოებების გამო შეიძლება წარმოიშვას საფრთხე, რაც ხელს შეუშლის მაკლერს შემკვეთის ინტერესების განხორციელებაში. ეს შემთხვევებია, როცა:

ა. მაკლერი ის იურიდიული პირი ან საზოგადოებაა, რომელშიც სამართლებრივად და ეკონომიკურად მონაწილეობს მესამე პირი;

ბ. მესამე პირი ის იურიდიული პირი ან საზოგადოებაა, რომელშიც მაკლერი სამართლებრივად და ეკონომიკურად მონაწილეობს;

გ. მაკლერი მესამე პირთან სამსახურებრივ ან შრომითი ურთიერთობაშია;

დ. მაკლერი მესამე პირის მევალეა.

2. მაკლერს აქვს გასამრჯელოს მიღების ან ხარჯების ანაზღაურების უფლება, როცა იგი შემკვეთის მესამე პირთან ხელშეკრულების დადებამდე შეატყობინებს ამ გარემოებათა შესახებ.

3. მაკლერი კარგავს გასამრჯელოს ან ხარჯების ანაზღაურების უფლებას, თუ იგი ხელშეკრულების შინაარსის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა მესამე პირის სასარგებლოდ.

შუამავლობა ბინის ქირავნობისას

საბინაო მაკლერი. იმ ხელშეკრულებისათვის, რომლითაც პირი კისრულობს შუამავლობას ბინის ქირავნობის ხელშეკრულების დასადებად (საბინაო მაკლერი), გამოიყენება შუამავლობის ზოგადი წესები, თუ ბინის ქირავნობის შუამავლობიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

ბინის ქირავნობის შუამავლობის ნორმები არ გამოიყენება იმ ხელშეკრულებათა მიმართ, რომელთა საგანია საბინაო შუამავლობა ტურიზმისა და საქმიანი მოგზაურობებისას.

გასამრჯელოს მიღების დაუშვებლობა. საბინაო მაკლერის მოთხოვნა გასამრჯელოს მიღების ან დანახარჯების ანაზღაურების შესახებ დაუშვებელია მაშინ, როცა:

ა. ქირავნობის ხელშეკრულებით იმავე ბინაზე გრძელდება უკვე არსებული ქირავნობის ურთიერთობა, ან იგი სხვაგვარად იქნება შეცვლილი;

ბ. იდება ქირავნობის ხელშეკრულება საბინაო ფართზე, რომლის მართვასაც ახორციელებს საბინაო მაკლერი.

შემკვეთის საზიანოდ დადებული შეთანხმება ბათილია.

შუამავლობა სესხებისას

სასესხო მაკლერი. იმ ხელშეკრულების მიმართ, რომლითაც პირი კისრულობს სხვა პირისათვის სესხის ხელშეკრულების დადების შუამავლობას (სასესხო მაკლერი), გამოიყენება შუამავლობის ზოგადი წესები, თუ 752-ე და 753-ე მუხლებიდან სპეციფიკური წესები არ გამომდინარეობს.

ხელშეკრულების ფორმა. 1. ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით.

ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს სასესხო მაკლერის გასამრჯელოს ოდენობა სესხიდან განსაზღვრული პროცენტის მითითე-

ბით; გარდა ამისა, ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს: სესხის ოდენობა, ვადა, პროცენტი, გადახდის დრო, გადახდის კურსი, პროცენტის ვადის ხანგრძლივობა, დამატებითი ხარჯები, შემკვეთის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხა, სესხის მიმცემის სახელი და მისამართი. ეს წესები არ გამოიყენება, როცა შეკვეთა ეხება მიწის გირავნობით უზრუნველყოფილ სესხს ან მიწის ნაკვეთის შესაძენად გაცემულ სესხს, ასევე სესხს, რომელიც შემკვეთმა უნდა გამოიყენოს თავისი დამოუკიდებელი პროფესიული ან სამეწარმეო, ანდა საუწყებო თუ სამსახურებრივი საქმიანობისათვის.

ხელშეკრულების ტექსტი არ უნდა იყოს დაკავშირებული სესხის გაცემის შუამდგომლობასთან. სასესხო მაკლერმა შემკვეთს უნდა გადასცეს ხელშეკრულების ასლი.

გასამრჯელოს გადახდის მოვალეობა. შემკვეთი ვალდებულია გადაიხადოს გასამრჯელო მხოლოდ მაშინ, თუ მან შუამავლობის შედეგად მიიღო სესხი. შემკვეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ დადებული შეთანხმება ბათილია.

სასესხო მაკლერს არ შეუძლია მოითხოვოს სხვა გასამრჯელო, გარდა ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულისა, იმ მოქმედებისათვის, რომელიც დაკავშირებულია სესხის აღების შუამავლობასთან.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
საშუამავლო მომსახურებაზე

ქ. თბილისი „———“————————— 2006 წ.

———————————————————— შემდეგიში „დამკვეთი“, საწარმოს გენერალური დირექტორის ————————————— სახით, ერთის მხრივ და ——————— — შემდეგიში „შუამავალი“ საწარმოს გენერალური დირექტორის ——————————— სახით, მეორეს მხრივ, ესარგებლობით რა ჩვენი საწარმოს წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. დამკვეთი ავალებს, ხოლო შუამავალი ვალდებულებას კისრულობს შეასრულოს ქვემოთ მოყვანილი საშუამავლო მომსახურება:

————————————————————————————

————————————————————————————

————————————————————————————

————————————————————————————

————————————————————————————

————————————————————————————

————————————————————————————

2. დამკვეთის მოვალეობები

2.1. მიიღოს შუამავლის მიერ განხორციელებული საშუამავლო საქმიანობის შედეგები და დროულად აანაზღაუროს საშუამავლო წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მოცულობით, წესითა და ვადებში;

2.2. დროულად მიაწოდოს შუამავალს აუცილებელი ინფორმაცია ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების სრულად გასაწევად, № 1 დანართში მოყვანილი მოცულობით;

2.3. განიხილოს ——— დღის ვადაში შუამავლის წინადადებები

და მისცეს მას ამ წინადადებებზე წერილობითი დასკვნები;

2.4. დამკვეთის სახელით მისცეს შუამავალს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული მინდობილობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოპერაციების შესრულებაზე;

2.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საშუამავლო მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შუამავალს. აუნაზღაუროს მას ხელშეკრულების შესაბამისად უკვე შესრულებული სამუშაოების ხარჯები და გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასამრჯელოს ——— %. ხელშეკრულებაზე უარის თქმის მომენტიდან ——— საბანკო დღის ვადაში.

3. შუამავლის ვალდებულებები

3.1. დროულად და სრულად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საშუამავლო მომსახურება;

3.2. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი გახდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საშუამავლო მომსახურების გაწევა, წერილობით აცნობოს დამკვეთს ასეთი შეუძლებლობის შესახებ მისი გამოვლენის მომენტიდან ——— დღის ვადაში;

3.3. შეტყობინება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საშუამავლო მომსახურების გაწევის შეუძლებლობის შესახებ განიხილება როგორც ხელშეკრულების შეწყვეტა და არ იწვევს რაიმე პასუხისმგებლობას ხელშეკრულების მხარეების მხრიდან.

4. ანგარიშსწორება

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საშუამავლო მომსახურებისათვის დამკვეთი შუამავალს გადაუხდის ——— ლარს ———%-ს მიღებული მოგებიდან ან შესრულებული სამუშაოების მთლიანი მოცულობიდან);

4.2. ანგარიშსწორება მოხდება მომსახურების დასრულებიდან არაუგვიანეს ——— საბანკო დღის ვადაში;

4.3. გადახდა დაიშვება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით.

5. მხარეების პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში;

5.2. ჯარიმებისა და პირგასამტეხლოს გადახდა მხარეებს არ ათავისუფლებთ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6. საერთო პირობები

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის გარემოებების მოქმედებით;

6.2. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება, მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობით.

6.3. საკითხები, რომლებიც არ არის განხილული წინამდებარე ხელშეკრულებაში, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით;

6.4. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრულად განხორციელებამდე;

6.5. ხელშეკრულება შედგენილია ორ ორიგინალურ ეგზემპლარად, ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი ძალა.

7. მხარეების იურიდიული მისამართები

დამკვეთი: ______________________________

____

შემსრულებელი: ______________________________

____

დამკვეთი	**შემსრულებელი**
______________	______________
„___“ ________ 2006 წ.	„___“ ________ 2006 წ

ფრანშაიზინგის ხელშეკრულება

ზოგადი დებულებანი

ფრანშაიზინგის ხელშეკრულება გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობაა, რომლითაც დამოუკიდებელი საწარმოები ორმხრივად კისრულობენ, საჭიროების მიხედვით, სპეციფიკურ ვალდებულებათა შესრულების გზით ხელი შეუწყონ საქონლის წარმოებას, გასაღებასა და მომსახურებათა განხორციელებას. ფრანშაიზინგის ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 607-614 მუხლებით.

ფრანშაიზის მიმცემის ვალდებულებანი. ფრანშაიზის მიმცემი ვალდებულია ფრანშაიზის მიმღებს წარუდგინოს მის მიერ გამოყენებული ფორმით არამატერიალური ქონებრივი უფლებები, სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნები, ნიმუშები, შეფუთვა, საქონლის წარმოების, შეძენის, გასაღებისა და საქმიანობის ორგანიზაციის კონცეფცია, ასევე სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა გასაღებისთვის ხელშესაწყობად.

ფრანშაიზის მიმცემი ვალდებულია დაიცვას ერთიანი მოქმედების სისტემა მესამე პირთა ჩარევებისაგან, განუწყვეტლივ განავითაროს იგი და საქმიანი ჩვევების გაზიარებით, ინფორმაციების მიწოდებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით მხარი დაუჭიროს ფრანშაიზის მიმღებს.

ფრანშაიზის მიმღების ვალდებულებანი. ფრანშაიზის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური, რომლის ოდენობაც არსებითად გამოითვლება ფრანშაიზინგის სისტემის განხორციელებაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერი მეწარმის გულისხმიერებით აქტიურად განახორციელოს საქმიანობა, მიიღოს მომსახურება და შეიძინოს საქონელი ფრანშაიზის მიმცემის ან მის მიერ დასახელებულ პირთა მეშვეობით, თუკი ეს უშუალო კავშირშია ხელშეკრულების მიზანთან.

განდობილი ინფორმაციის შენახვის ვალდებულება. ხელშეკრულების დადებისას მხარეებმა დაუფარავად და სრულყოფილად უნდა გააცნონ ერთმანეთს ფრანშაიზინგთან დაკავშირებული საქმის გარემოებანი, განსაკუთრებით კი - ფრანშაიზინგის სისტემა, და ერთმანეთს კეთილსინდისიერად მისცენ ინფორმაცია. ისინი ვალდებულნი არიან არ გათქვან მათთვის განდობილი ინფორმაცია მაშინაც კი, როცა ხელშეკრულება არ დაიდება.

ხელშეკრულების ფორმა. ფრანშაიზინგის ხელშეკრულება ნამდვილობისათვის საჭიროებს წერილობით ფორმას. გარდა მხარეთა ორმხრივი ვალდებულებების, ხელშეკრულების ხანგრძლივობის, მოშლის ან ვადის გაგრძელებისა და ხელშეკრულების სხვა არსებითი ელემენტების თვალნათლივ აღნიშვნისა, მხარეებმა ხელშეკრულების ტექსტში უნდა შეიტანონ ფრანშაიზინგის სისტემის სრულყოფილი აღწერა.

ხელშეკრულების ხანგრძლივობა. ხელშეკრულების ხანგრძლივობა განისაზღვრება მხარეთა მიერ იმ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია მოცემული საქონლისა და მომსახურების გასაღებასთან.

თუ ხელშეკრულების ხანგრძლივობა აღემატება ათ წელს, ყოველი მხარე უფლებამოსილია, მოშალოს ხელშეკრულება მოშლისთვის აუცილებელი ერთწლიანი ვადის დაცვით.

თუ არც ერთი მხარე არ იყენებს ხელშეკრულების მოშლის ამ უფლებას, ხელშეკრულება გაგრძელდება ორი წლით. ვადის გასვლის გამო ან მხარეთა ინიციატივით ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, მხარეები უნდა შეეცადონ საქმიანი ურთიერთობების ფაქტობრივ დამთავრებამდე ურთიერთნდობის პრინციპების დაცვით გააგრძელონ ხელშეკრულება იმავე ან შეცვლილი პირობებით.

ლოიალური კონკურენცია. სახელშეკრულებო ურთიერთობების დამთავრების შემდეგაც მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს გაუწიონ ლოიალური კონკურენცია. ამ ფარგლებში ფრანშაიზის მიმღების მიმართ შეიძლება დაწესდეს განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში კონკურენციის აკრძალვა, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს ერთ წელს.

თუ კონკურენციის აკრძალვამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას პროფესიულ საქმიანობას, ფრანშაიზის მიმღებს უნდა მიეცეს შესაბამისი ფინანსური კომპენსაცია, მიუხედავად ხელშეკრულების ვადის დამთავრებისა.

ფრანშაიზის მიმცემის პასუხისმგებლობა. ფრანშაიზის მიმცემი პასუხს აგებს ფრანშაიზის სისტემით გათვალისწინებული უფლებებისა და ინფორმაციისათვის. თუ იგი ბრალეულად არღვევს სახელშეკრულებო ვალდებულებას, ფრანშაიზის მიმღები უფლებამოსილია შეამციროს საზღაური. შემცირების ოდენობა საბოლოოდ უნდა განისაზღვროს დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნით, რომლის ხარჯებიც ეკისრებათ მხარეებს.

ფრანშაიზინგის
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი „———“—————————“ 2006 წ.

ფრანშაიზის მიმცემი ————————————————
——— გენერალური დირექტორის ———————————
———— სახით, შემდგომში **„ლიცენზიარი“**, ერთის მხრივ და ფრანშაიზის მიმღები ————————————————
———— შემდგომში **„ლიცენზიატი“** მეორეს მხრივ, ემოქმედებით რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ლიცენზიარი გადასცემს, ხოლო ლიცენზიატი იღებს № 1 დანართში აღნიშნული პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის უფლებას, დანართში მითითებული წლიური მოცულობით, ლიცენზიარის საფირმო და სასაქონლო ნიშნით;

2. ლიცენზიატის ვალდებულებები

ლიცენზიატი ვალდებულებას კისრულობს:

2.1. მკაცრად დაიცვას № 1 დანართში მოყვანილი ფრანშაიზინგის საგნის წარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური პირობები;

2.2. უპირობოდ და სრულად შეასრულოს ტექნოლოგიური დოკუმენტაციით გათვალისწინებული:

ა. პროდუქციის წარმოებისათვის გამოყენებული ნედლეულისა და მასალების კონტროლი;

ბ. პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური რეჟიმების კონტროლი;

გ. მზა პროდუქციის გამოცდები და კონტროლი.

2.3. მკაცრად დაიცვას ლიცენზიარისაგან მიღებული კომერციული და ტექნიკური ინფორმაციის კონფიდენციალურობა;

2.4. უზრუნველყოს პროდუქციის რეკლამა ლიცენზიართან შეთანხმებული ფორმითა და მოცულობით;

2.5. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პროდუქციის რეალიზაცია მოახდინოს მხოლოდ № 2 დანართში აღნიშნული ტერიტორიების ფარგლებში;

3. ლიცენზიარის ვალდებულებები

ლიცენზიარი ვალდებულებას კისრულობს:

3.1. გადასცეს ლიცენზიატს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის წარმოებისათვის ყველა აუცილებელი საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური დოკუმენტაციის სრული კომპლექტი;

3.2. დაეხმაროს ლიცენზიატს წარმოების მომზადებაში;

3.3. დაეხმაროს ლიცენზიატს აუცილებელი დანადგარ-მოწყობილობებისა და მასალების შეძენაში;

3.4. დაეხმაროს ლიცენზიატს სპეციალისტების მომზადებაში;

3.5. სისტემატურად გაუწიოს კონსულტაციები პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

3.6. სისტემატურად გადასცეს ლიცენზიატს ინფორმაცია პროდუქციის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური გაუმჯობესების შესახებ;

3.7. ლოიალური კონკურენცია გაუწიოს ლიცენზიატს №2 დანართში აღნიშნულ ტერიტორიებზე;

4. ანგარიშსწორება

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფრანშაიზის გადაცემისათვის, წარმოების ათვისებაში გაწეული მომსახურებისათვის ლიცენზიატი ლიცენზიარს გადაუხდის ———— ლარს ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ——— დღის განმავლობაში;

4.2. ლიცენზიატი ლიცენზიარს ყოველწლიურად გადაუხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის წარმოებით მიღებული შემოსავლის ——— %;

4.3. ანგარიშსწორება მოხდება ენაღდო წესით, საანგარიშგებო

წლის მომდევნო წლის პირველ აპრილამდე;

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, ხანგრძლივობა, შეცვლა და შეწყვეტა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება იდება ------- წლით და ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან;

5.2. თუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ——— — თვით ადრე მხარეები არ განაცხადებენ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, იგი ავტომატურად ითვლება გაგრძელებულად მორიგი ერთი წლით;

5.3. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით;

5.4. მხარეებს უფლება აქვთ, მოითხოვონ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა, თუ მეორე მხარე უხეშად და არაერთგზის დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის ინიციატორი მხარე ——— თვით ადრე ატყობინებს მეორე მხარეს. შეტყობინებაში ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ სრულად უნდა იყოს დასაბუთებული ასეთი გადაწყვეტილება;

6. მხარეების პასუხისმგებლობა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის, კონსულტაციების, სხვა დახმარების გაწევის დაგვიანებისათვის ლიცენზიარი ლიცენზიატს გადაუხდის პირგასამტეხლოს სახით —— ——— ლარს ყოველი სრული დაგვიანებული დღისათვის;

6.3. ლიცენზიატი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ლიცენზიარს დროულად გადაუხდელი თანხის ——— %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის;

6.4. იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიატი წინამდებარე ხელშეკრუ-

ლებით გაითვალისწინებული პროდუქციის რეალიზაციას განახორციელებს №2 დანართში აღნიშნული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ, იგი ჯარიმის სახით გადაუხდის ლიცენზიარს ხელშეკრულების დარღვევით რეალიზებული პროდუქციის საბაზრო ღირებულების —— %-ს;

6.5. მხარეებს უფლება აქვთ, პირგასამტეხლოსა და ჯარიმების გადახდის მიუხედავად, მოსთხოვონ მეორე მხარეს ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

6.6. ჯარიმებისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;

7. დაუძლეველი ძალის გარემოებები

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ასეთი გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის გარემოებებით (ფორსმაჟორი);

7.2. დაუძლეველი ძალის გარემოებებად მიიჩნევა: კლიმატური, ტექტონიკური და ტექნოგენური კატასტროფები; საომარი მოქმედებები, სოციალური მღელვარება, სამთავრობო და სამთავრობათშორისო გადაწყვეტილებები;

7.3. მხარე, რომელსაც წარმოექმნება დაუძლეველი ძალის გარემოება, ვალდებულია, ასეთი გარემოების სტაბილური გამოვლენისთანავე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს;

7.4. დაუძლეველი ძალის გარემოებების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ;

7.5. მხარემ ასევე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს, დაუძლეველი ძალის გარემოებების მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

7.6. 7.4. და 7.5. პუნქტების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე უფლებას კარგავს მიუთითოს დაუძლეველი ძალის გარემოებებზე;

7.7. მხარეს უფლება აქვს, დაეყრდნოს დაუძლეველი ძალის გარემოებებს, თუ ასეთი წარმოიქმნა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და უშუალო გავლენა მოახდინა მხარის მი-

ერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

7.8. თუ დაუძლეველი ძალის გარემოებები გაგრძელდება — თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე;

8. დავების გადაწყვეტა

8.1. მხარეები ეცდებიან წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავები გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით; თუ ასეთი არ იქნება მიღწეული, დავა განსახილველად გადაეცემა არბიტრაჟს;

8.2. წინამდებარე საარბიტრაჟო შეთანხმებაში გარკვევით უნდა იყოს მითითებული: არბიტრაჟის სახე; არბიტრაჟის სრული დასახელება და მისამართი; არბიტრების რაოდენობა, მათი დანიშვნისა და აცილების წესი; გამოყენებული სამართალი და განხილვის ენა;

8.3. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულო იქნება მხარეებისათვის;

9. საერთო პირობები

9.1. საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით;

9.2. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ძალადაკარგულად ითვლება ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა წინა მიმოწერა, სიტყვიერი და წერილობითი შეთანხმება;

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

9.4. ხელშეკრულება შედგენილი არის ორ ორიგინალურ ეგზემპლარად, ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი ძალა;

10. მხარეების იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

ლიცენზიარი	ლიცენზიატი
______________	______________
„___“ ______ 2006 წ.	„___“ ______ 2006 წ.

ნარდობა

ზოგადი ნაწილი

ნარდობის ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეთერთმეტე თავის ნორმებით. ნარდობის ხელშეკრულება პრაქტიკულად მოიცავს სამუშაოებისა და მომსახურების ხელშეკრულებებს.

ნარდობის ცნება

1. ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.

2. თუ ნარდობა ითვალისწინებს რაიმე ნაკეთობის დამზადებას და მენარდე მას ამზადებს თავის მიერ შეძენილი მასალით, მაშინ იგი შემკვეთს გადასცემს საკუთრებას დამზადებულ ნაკეთობაზე. თუ დამზადებულია გვაროვნული ნივთი, მაშინ გამოიყენება ნასყიდობის წესები.

3. ნარდობასთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის შედგენა არ ანაზღაურდება, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

შეთანხმება ანაზღაურებაზე

ანაზღაურება უსიტყვოდაც ითვლება შეთანხმებულად, თუ გარემოებების მიხედვით ნარდობა მხოლოდ ანაზღაურებითაა მოსალოდნელი.

თუ ანაზღაურების ოდენობა შეთანხმებული არ არის, ტარიფის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სატარიფო განაკვეთი, ხოლო, თუ ტარიფები არ არსებობს, მაშინ – ჩვეულებრივი ანაზღაურება.

მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შედეგები

თუ მენარდე მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, მას შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ შეთანხმებული საზღაური, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გადახარჯვების წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო.

მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის ისეთი გაზრდის შესახებ, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადე-

ბისას, მენარდემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს. თუ შემკვეთი წყვეტს ხელშეკრულებას ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

სამუშაოს პირადად შესრულების ვალდებულება

მენარდემ პირადად უნდა შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ეს გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებებიდან ან სამუშაოს ხასიათიდან.

შემკვეთის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

მენარდეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ შემკვეთი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს. შემკვეთი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი მაშინაც, როცა იგი არ შეასრულებს სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელ მოქმედებას.

ზიანის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება, ერთი მხრივ, ვადის გადაცილების ხანგრძლივობისა და საზღაურის ოდენობის შესაბამისად, ხოლო მეორე მხრივ, — იმის მიხედვით, რასაც მენარდე მიიღებდა თავისი სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენებით, შემკვეთს რომ ვადისთვის არ გადაეცილებინა.

გირავნობის უფლება მოძრავ ნივთებზე

მენარდეს თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად შეუძლია გამოიყენოს გირავნობის უფლება მის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ მოძრავ ნივთზე, თუ ეს ნივთი დამზადების ან შეკეთების მიზნით მენარდის მფლობელობაში იმყოფება.

იპოთეკის უფლება სამშენებლო მიწის ნაკვეთზე

თუ ხელშეკრულების საგანია ნაგებობა ან ამ ნაგებობის ცალკეული ნაწილები, მაშინ მენარდეს შეუძლია ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თავისი მოთხოვნებისათვის მოითხოვოს იპოთეკა სამშენებლო მიწის ნაკვეთზე.

ხელშეკრულების მოშლა

შემკვეთს უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

ხელშეკრულების მოშლა მენარდის ინიციატივით

მენარდეს შეუძლია სამუშაოს დასრულებამდე მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ შემკვეთმა შეძლოს მომსახურე-

ბის სხვაგვარად მიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეწყვეტისათვის არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი. ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოვალეობა გამოირიცხება.

უნაკლო ნივთის წარდგენის ვალდებულება

თუ მომსახურება მოიცავს რაიმე ნაკეთობის დამზადებას, მაშინ მენარდემ შემკვეთს უნდა წარუდგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა.

უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა

ნაკეთობა უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირებს არ შეუძლიათ გამოიყენონ რაიმე უფლებები შემკვეთის წინააღმდეგ.

ნივთობრივად უნაკლო ნაკეთობა

ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს; ხოლო, თუ ეს პირობები შეთანხმებული არ არის, მაშინ ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოდ მიიჩნევა, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის.

ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ მენარდე დაამზადებს შეკვეთილისაგან განსხვავებულ ან უფრო ნაკლები რაოდენობის ნაკეთობას.

დამატებითი შესრულების მოთხოვნა

თუ ნაკეთობა ნაკლის მქონეა, შემკვეთს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი შესრულება. მენარდეს შეუძლია, თავისი არჩევანით ან აღმოფხვრას ნაკლი, ან დაამზადოს ახალი ნაკეთობა.

დამატებითი შესრულების მიზნით, მენარდე ვალდებულია გასწიოს აუცილებელი ხარჯები, მათ შორის, ტრანსპორტის, სამუშაოსა და მასალების ხარჯები. მენარდეს შეუძლია უარი თქვას დამატებითი შესრულებაზე, თუ იგი მოითხოვს არათანაზომიერ ხარჯებს.

თუ მენარდე დაამზადებს ახალ ნაკეთობას, მას შეუძლია შემკვეთის მოსთხოვოს ნაკლის მქონე ნაკეთობის უკან დაბრუნება.

ხელშეკრულებაზე უარი ნაკეთობის ნაკლის გამო

ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთს შეუძლია 405-ე მუხლის მიხედვით, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამ შემთხვევაში, მენარდე ვალდებულია აუნაზღაუროს შემკვეთს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები.

საზღაურის შემცირება ნაკეთობის ნაკლის გამო

შემკვეთს, რომელიც არც ხელშეკრულების დამატებითი შესრულებას მიიღებს საამისოდ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ

და არც უარს განაცხადებს ხელშეკრულებაზე, შეუძლია იმ თანხით შეამციროს საზღაური, რა თანხითაც ნაკლი ამცირებს ნაკეთობის ღირებულებას.

სამუშაოს შესრულება მენარდის მასალით

თუ მენარდე სამუშაოს ასრულებს თავისი მასალით, იგი პასუხს აგებს უხარისხო მასალისათვის.

მენარდე პასუხს აგებს შემკვეთის მასალის არასწორი გამოყენებისათვის. მენარდე მოვალეა, წარუდგინოს შემკვეთს მასალის ხარჯვის ანგარიში და დაუბრუნოს მას დარჩენილი მასალა.

გაფრთხილების ვალდებულება

მენარდე მოვალეა, დროულად გააფრთხილოს შემკვეთი, რომ:

ა. შემკვეთისგან მიღებული მასალა უხარისხო და გამოუსადეგარია;

ბ. თუ შემკვეთის მითითება შესრულდება, ნამუშევარი არამტკიცე ან გამოუსადეგარი იქნება;

გ. არსებობს მენარდისაგან დამოუკიდებელი სხვა რამ გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ნამუშევრის სიმტკიცესა და ვარგისიანობას.

თუ შემკვეთი, მენარდის დროული გაფრთხილების მიუხედავად, შესაბამის ვადაში არ გამოცვლის გამოუსადეგარ ან უხარისხო მასალას, არ შეცვლის მიცემულ მითითებას სამუშაოს შესრულების წესის შესახებ, ანდა არ აღმოფხვრის სხვა გარემოებას, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ნამუშევრის ვარგისიანობას ან სიმტკიცეს, მენარდეს უფლება აქვს უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საზღაურის გადახდა შესრულებული სამუშაოსათვის

შემკვეთი მოვალეა, მენარდეს გადაუხადოს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ნაწილ-ნაწილ გადახდას.

სამუშაოს მიღება

თუ ხელშეკრულების თანახმად ან შესრულებული სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროა მისი გადაცემა, მაშინ შემკვეთი მოვალეა, მიიღოს შესრულებული სამუშაო. შემკვეთი მიღებისთანავე ვალდებულია გადაიხადოს საზღაური. სამუშაო მიღებულად ჩაითვლება, თუ შემკვეთი მიიღებს შესრულებულ სამუშაოს მენარდის მიერ დადგენილ ვადაში.

მენარდის პასუხისმგებლობა შემკვეთის ქონების დაღუპვისას

მენარდე პასუხს აგებს შემკვეთის ქონების დაღუპვის ან დაზიანებისათვის გაუფრთხილებლობის დროსაც.

მენარდის რისკი

მენარდეს ეკისრება შესრულებული სამუშაოს შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი შემკვეთისათვის შესრულების გადაცემამდე. გადაცემასთან ერთად, შემკვეთზე გადადის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი. გადაცემას უთანაბრდება ისიც, როცა შემკვეთი აყოვნებს მიღებას.

მასალის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი ეკისრება მასალის მიმცემ მხარეს.

ხანდაზმულობის ვადა

მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის მანძილზე, ხოლო ისეთი მოთხოვნა, რომელიც ნაგებობას შეეხება — ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან.

ხანდაზმულობის ვადის ათვლა სამუშაოს ნაწილ-ნაწილ მიღებისას

თუ ხელშეკრულების მიხედვით სამუშაო მიღებულია ნაწილ-ნაწილ, ნაკლის გამო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა იწყება სამუშაოს მთლიანად მიღების დღიდან.

ნარდობის
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი „—“———————————— 2006 წ.

———————————————————— საწარმოს გენერალური დირექტორის ———————————————————————— სახით, შემდგომში „მენარდე“, ერთის მხრივ და ———————————— საწარმოს გენერალური დირექტორის ———————————————— სახით, შემდგომში „შემკვეთი“, მეორეს მხრივ, ვსარგებლობთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მენარდე ვალდებულებას კისრულობს შემკვეთის დავალებით შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების № 1 დანართით განსაზღვრული სამუშაოები, დანართში აღნიშნულ ვადებში, ხოლო შემკვეთი ვალდებულებას კისრულობს მიიღოს სამუშაო და გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ღირებულება;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები შესრულებული უნდა იქნეს ქვემოთმოყვანილი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების მკაცრი დაცვით:

1. ——————————————————————————
2. ——————————————————————————

2. ხელშეკრულების თანხა და ანგარიშსწორება

2.1. მენარდის მიერ სამუშაოების ანაზღაურება ხდება № 2 დანართში მოყვანილი გრაფიკით;

2.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება შეადგენს ლარს დღგ-ს ჩათვლით; სამუშაოების სრული ხარჯთაღრიცხვა მოყვანილია № 3 დანართში;

2.2. სამუშაოების სრული ანაზღაურება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან ——— დღის ვადაში;

2.3. შემკვეთი ავანსის სახით გადაუხდის მენარდეს სახელშეკრულებო ღირებულების —— %-ს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ——— დღის ვადაში;

2.4. ხელშეკრულების ღირებულება ფიქსირებულია და ხელშეკრულების ვადის მოქმედების განმავლობაში შეცვლას არ ექვემდებარება;

2.5. დასაშვებია სამუშაოების შესრულების ფაქტიური ხარჯების გადამეტება სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებასთან, არაუმეტეს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების —— %-ისა;

2.6. ანგარიშსწორება მოხდება უნდაღდო წესით, ეროვნულ ვალუტაში.

3. მხარეების უფლებები და ვალდებულებები

3.1. შემკვეთს უფლება აქვს:

3.1.1. შეასრულოს სამუშაოების საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამოუკიდებელი ექსპერტიზა საკუთარი ძალებით ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით;

3.1.2. ნებისმიერ დროს შეამოწმოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობა, მენარდეს საქმიანობაში ჩარევის გარეშე და გამოთქვას შენიშვნები სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ;

3.2. შემკვეთი ვალდებულია:

3.2.1 მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულებით შესრულებული სა-

მუშაოები და დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება;

3.3. მენარდე ვალდებულია:

3.3.1. სათანადოდ შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოცულობითა და ვადებში;

3.3.2. სამუშაოების შესრულების პროცესში მკაცრად დაიცვას სამუშაოების ხარისხის მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები;

3.3.3. დროულად შეატყობინოს შემკვეთს ქვემოიჯარადესთან დადებული ხელშეკრულებების შესახებ და უზრუნველყოს ქვემოიჯარადეების საქმიანობის ეფექტიანი კონტროლი;

3.3.4. ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, გასწიოს სამუშაოების შესრულებისათვის გამოყენებული შენობა-ნაგებობების, დანადგარ-მოწყობილობების, ნედლეულისა და მასალების დაკარგვისა და განადგურების ყველა რისკი;

3.3.5. მისცეს შემკვეთს გარანტია შესრულებული სამუშაოების ხარისხზე, სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან ———————— განმავლობაში;

3.3.6. საგარანტიო ვადის განმავლობაში დაუყოვნებლივ გამოასწოროს შესრულებულ სამუშაოებში გამოვლენილი ხარვეზი.

3.4. მენარდის უფლებები:

3.4.1. მოითხოვოს შემკვეთისაგან ანგარიშსწორების ვადების დაცვა.

4. სამუშაოს მიღება-ჩაბარება

4.1. მენარდე ვალდებულია წერილობით აცნობოს შემკვეთს სამუშაოების დასრულებისა და მიღება-ჩაბარებისათვის მზადყოფნის შესახებ;

4.2. სამუშაოების მიღება-ჩაბარება ხდება მხარეების მიერ დანიშნული კომისიის მიერ;

4.2.1. კომისია იქმნება სამუშაოების დასრულებიდან არაუგვიანეს ——— დღისა, ——— პირის შემადგენლობით;

4.3. შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამოვლენის შესახებ, შემკვეთი დაუყოვნებლივ აცნობებს მენარდეს, ადგენს სათანადო აქტს გამოვლენილი ხარვეზების, შესასრულებელი სამუშაოების, შესრულების ვადების მითითებით და წარუდგენს მენარდეს;

4.4. მენარდე ვალდებულია, წინა პუნქტში აღნიშნული აქტის მიღებიდან ——— დღის ვადაში აღმოფხვრას ხარვეზები;

4.5. სამუშაოების შესრულების თარიღად ითვლება მხარეების მიერ სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღე;

4.6. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერასთან ერთად მენარდე შემკვეთს გადასცემს ყველა აუცილებელ დოკუმენტს შესრულებული სამუშაოს ექსპლუატაციის, ბალანსზე აყვანისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციისათვის.

5. მხარეების პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადების დარღვევისათვის, მენარდე შემკვეთს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის დროულად შეუსრულებელი სამუშაოების მთლიანი ღირებულების ——— %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის;

5.3. შემკვეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის იგი მენარდეს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის დროულად გადაუხდელი თანხის ——— %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის;

5.4. მხარეებს უფლება აქვთ მოსთხოვონ მეორე მხარეს, ხელშეკრულების მოთხოვნების დარღვევით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

5.5. პირგასამტეხლოს გადახდა და მიყენებული ზიანის ანაზღა-

ქრება არ ათავისუფლებს მხარეებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, შეცვლა და შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და გრძელდება მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე;
6.2. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით;
6.3. შემკვეთს უფლება აქვს, სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი;
6.4. მენარდეს შეუძლია სამუშაოს დასრულებამდე მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ შემკვეთმა შეძლოს მომსახურების სხვაგვარად მიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეწყვეტისათვის არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი.

7. დაუძლეველი ძალის გარემოება

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ასეთი შეუსრულებლობა განპირობებული იქნება დაუძლეველი ძალის გარემოებებით;
7.2. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება კლიმატური, ტექტონიკური, ტექნოგენური კატასტროფები, სოციალური მღელვარება და სამთავრობო გადაწყვეტილებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებულები მხარეების ნებაზე და მათი თავიდან აცილება აღემატება მხარეების შესაძლებლობებს;
7.3. დაუძლეველი ძალის გარემოებების სტაბილური გამოვლენისთანავე, მხარე, რომელიც დადგა ასეთი გარემოებების პირისპირ, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს. ასეთი

შეტყობინება დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ;

7.4. მხარე ვალდებულია, ასევე დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს დაუძლეველი ძალის გარემოებების მოქმედების ხანგრძლივობისა და შეწყვეტის თაობაზე;

7.5. 7.3. და 7.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეები კარგავენ უფლებას, მოიუთითონ დაუძლეველი ძალის გარემოებებზე;

7.6. იმ შემთხვევაში, თუ დაუძლეველი ძალის გარემოება გრძელდება ——— თვეზე მეტს, მხარეებს უფლება აქვთ, შეწყვიტონ ხელშეკრულება ყოველგვარი პასუხისმგებლობისა და ანაზღაურების გარეშე;

7.7. დაუძლეველი ძალის გარემოებები მიიღება მხედველობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი წარმოიქმნა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და საიმედოდ იქნება დადასტურებული ასეთი გარემოებების გავლენა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

8. დავების გადაწყვეტა

8.1. მხარეები ეცდებიან წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით;

8.2. თუ ასეთი ვერ მოხერხდება, დავა განსახილველად გადაეცემა არბიტრაჟს;

8.3. ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს: არბიტრაჟის დასახელება, მისამართი, დავის განხილვის ადგილი, არბიტრების რაოდენობა, მათი დანიშვნის და აცილების წესი, გამოყენებული სამართალი, განხილვის ენა.

8.4. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულო იქნება მხარეებისათვის.

9. საერთო პირობები

9.1. საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან, ძალადაკარგულად ითვლება ხელშეკრულების საგანზე მხარეებს შორის ყველა მიმოწერა, სიტყვიერი და წერილობითი შეთანხმება;

9.3. ხელშეკრულების ყველა დანართი ავტომატურად ხდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი;

9.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ორიგინალურ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი ძალა.

10. ხელშეკრულების დანართები

1. ____
____.
2. ____
____
3. ____
____.

11. მხარეების იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

მენარდე	შემკვეთი
______________________	______________________
ბ. ა.	ბ. ა.

ხ Ე Ლ Შ Ე Კ Რ Უ Ლ Ე Ბ Ა
ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲔᲕᲐᲖᲔ

ქ. თბილისი „— “——— “ 2006 წ.

————————————————————, საწარმოს გენერალური დირექტორის ——————————————— სახით, შემდგომში „შემკვეთი“, ერთის მხრივ და ——————————————, საწარმოს გენერალური დირექტორის ——————————————— სახით, შემდგომში „შემსრულებელი“, მეორეს მხრივ, ვსარგებლობთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსრულებელი ვალდებულებას კისრულობს, გაუწიოს შემკვეთს წინამდებარე ხელშეკრულების №1 დანართით განსაზღვრული მომსახურება, შემდგომში „მომსახურება“, ხოლო შემკვეთი ვალდებულებას კისრულობს, მიიღოს შესრულებული მომსახურება და გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება შესრულებული უნდა იქნეს მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების მკაცრი დაცვით;

1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსამხურება მიიჩნევა განხორციელებულად მხარეების მიერ მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

2. ხელშეკრულების თანხა და ანგარიშსწორება

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მთლიანი ღირებულება შეადგენს ———— ლარს დღგ-ს ჩათვლით;

მომსახურების სრული ხარჯთაღრიცხვა მოყვანილია №2 დანართში;

2.2. შემკვეთი ავანსის სახით გადაუხდის შემსრულებელს მომსახურების სახელშეკრულებო ღირებულების —— %-ს ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან —— დღის ვადაში;

2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება მოხდება ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან ——— დღის ვადაში;

2.4. გადახდა მოხდება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით;

2.5. უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში, ანგარიშსწორების ვადად მიიჩნევა თანხის შემსრულებლის ანგარიშზე ჩარიცხვის დღე.

3. მხარეების უფლებები და ვალდებულებები

3.1. შემკვეთი ვალდებულია:

3.1.1. დროულად გადასცეს შემსრულებელს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაცია;

3.1.2. მიიღოს განხორციელებული მომსახურება და მოახდინოს ანგარიშსწორება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

3.2. შემკვეთის უფლებები:

3.2.1. შეამოწმოს მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;

3.2.2. მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

3.3. შემსრულებელი ვალდებულია:

3.3.1. სათანადო ხარისხით და დადგენილ ვადებში განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

3.3.2. მკაცრად დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნები;

3.3.3. უსასყიდლოდ და დროულად გამოასწოროს შემკვეთის მიერ მომსახურების გაწევის პროცესში და მის შემდეგ ——————— ვადაში გამოვლენილი ხარვეზები;

3.3.4. პირადად განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

3.4.1. შემსრულებლის უფლება აქვს:

3.4.1.1. მოსთხოვოს შემკვეთს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაციის დროული მიღება;

3.4.1.2. მოსთხოვოს შემკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

4. მხარეების პასუხისმგებლობა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების დარღვევისათვის, შემსრულებელი შემკვეთს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის დროულად განუხორციელებლი სამუშაოების მთლიანი ღირებულების ——— %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის;

4.3. შემკვეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის იგი შემსრულებელს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ვადაზე გადაუხდელი თანხის ——— %-ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის;

4.4. მხარეებს უფლება აქვთ, მოსთხოვონ მეორე მხარეს, ხელშეკრულების მოთხოვნების დარღვევით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

4.5. პირგასამტეხლოს გადახდა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება არ ანთავისუფლებს მხარეებს, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;

4.6. დაუშვებელია შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მესამე პირისათვის გადაცემა;

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, შეცვლა და შეწყვეტა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან;

5.2. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით;

5.3. შემკვეთს უფლება აქვს, მომსახურების განხორციელების

დასრულებამდე ნებისმიერ დროს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს შემსრულებელს განხორციელებული მომსახურებისა და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი;

5.4. შემსრულებელს შეუძლია მომსახურების დასრულებამდე მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ შემკვეთმა შეძლოს მომსახურების სხვაგვარად მიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეწყვეტისათვის არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი.

6. დაუძლეველი ძალის გარემოება

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ასეთი შეუსრულებლობა განპირობებული იქნება დაუძლეველი ძალის გარემოებებით;

6.2. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება კლიმატური, ტექტონიკური, ტექტოგენური კატასტროფები, სოციალური მღელვარება და სამთავრობო გადაწყვეტილებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებულები მხარეების ნებაზე და მათი თავიდან აცილება აღემატება მხარეების შესაძლებლობებს;

7. დავების გადაწყვეტა

7.1. მხარეები ეცდებიან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით;

7.2. თუ ასეთი ვერ მოხერხდება, დავა განსახილველად გადაეცემა არბიტრაჟს;

7.3. ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს: არბიტრაჟის დასახელება, მისამართი, დავის განხილვის ადგილი, არბიტრების რაოდენობა, მათი დანიშვნისა და აცილების წესი, გამოყენებული სამართალი, განხილვის ენა.

7.4. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულო იქნება მხარეებისათვის.

8. საერთო პირობები

8.1. საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ძალადაკარგულად ითვლება ხელშეკრულების საგანზე მხარეებს შორის ყველა მიმოწერა. სიტყვიერი და წერილობითი შეთანხმება;

8.3. ხელშეკრულების ყველა დანართი ავტომატურად ხდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი;

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ორიგინალურ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

9. ხელშეკრულების დანართები

1. ____
____

2. ____
____

10. მხარეების იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

შემსრულებელი	შემკვეთი
____________________	____________________
ბ. ა.	ბ. ა.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
აუდიტორულ მომსახურებაზე

ქ. თბილისი „———“——————————“ 2006 წ.

———————————————————————.
საწარმოს გენერალური დირექტორის ———————————
————————————————— სახით, შემდგომში **„შემკვეთი“**, ერთის მხრივ და ——————————————
საწარმოს გენერალური დირექტორის ———————————
——————————————— სახით, შემდგომში **„აუდიტორი“**, მეორეს მხრივ, შემდგომში **„მხარეები“**, ვსარგებლობთ რა ჩვენს საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. აუდიტორი ვალდებულებას კისრულობს, გაუწიოს შემკვეთს წინამდებარე ხელშეკრულების № 1 დანართით განსაზღვრული მოცულობის აუდიტორული მომსახურება, შემდგომში „მომსახურება“, ხოლო შემკვეთი ვალდებულებას კისრულობს, მიიღოს შესრულებული მომსახურება და გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება შესრულებული უნდა იქნეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება მიიჩნევა განხორციელებულად, მხარეების მიერ მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

2. ხელშეკრულების თანხა და ანგარიშსწორება

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მთლიანი ღირებულება შეადგენს ———————— ლარს დღგ-ს ჩათვლით;

მომსახურების სრული ხარჯთაღრიცხვა მოყვანილია №2 დანართში;

2.2. შემკვეთი ავანსის სახით გადაუხდის აუდიტორს მომსახურების სახელშეკრულებო ღირებულების —— %-ს ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან —— დღის ვადაში;

2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან ———— დღის ვადაში;

2.4. გადახდა მოხდება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით;

2.4.1. უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში, ანგარიშსწორების ვადა მიიჩნევა თანხის შემსრულებლის ანგარიშზე ჩარიცხვის დღე.

2.5. ანაზღაურება არ იქნება დაკავშირებული აუდიტის შედეგებთან.

3. მხარეების უფლებები და ვალდებულებები

3.1. შემკვეთი ვალდებულია:

3.1.1. დროულად გადასცეს შემსრულებელს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაცია;

3.1.2. მიიღოს განხორციელებული მომსახურება და მოახდინოს ანგარიშსწორება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

3.2. შემკვეთის უფლებები:

3.2.1. შეამოწმოს მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;

3.2.2. მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

3.3. აუდიტორი ვალდებულია:

3.3.1. სათანადო ხარისხით და დადგენილ ვადებში განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

3.3.2. მკაცრად დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნები;

3.3.3. უსასყიდლოდ და დროულად გამოასწოროს შემკვეთის მიერ მომსახურების გაწევის პროცესში და მის შემდეგ ———————— ვადაში გამოვლენილი ხარვეზები;

3.3.4. პირადად განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

3.4.1. შემსრულებელს უფლება აქვს:

3.4.1.1. მოსთხოვოს შემკვეთს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაციის დროული მიღება;

3.4.1.2. მოსთხოვოს შემკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4. მხარეების პასუხისმგებლობა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების დარღვევისათვის, შემსრულებელი შემკვეთს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის დროულად განუხორციელებელი სამუშაოების მთლიანი ღირებულების ——— %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის;

4.3. შემკვეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის იგი შემსრულებელს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ვადაზეგადაუხდელი თანხის ——— %-ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის;

4.4. მხარეებს უფლება აქვთ მოთხოვონ მეორე მხარეს ხელშეკრულების მოთხოვნების დარღვევით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

4.5. პირგასამტეხლოს გადახდა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება არ ანთავისუფლებს მხარეებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;

4.6. დაუშვებელია შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მესამე პირისათვის გადაცემა.

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, შეცვლა და შეწყვეტა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან;

5.2. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეების წე-

რაოდენობით თანხმობით;

5.3. შემკვეთს უფლება აქვს, მომსახურების განხორციელების დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე. მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს შემსრულებელს განხორციელებული მომსახურების და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი;

5.4. შემსრულებელს შეუძლია მომსახურების დასრულებამდე მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ შემკვეთმა შეძლოს მომსახურების სხვაგვარად მიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეწყვეტისათვის არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი.

6. დაუძლეველი ძალის გარემოება

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ასეთი შეუსრულებლობა განპირობებული იქნება დაუძლეველი ძალის გარემოებებით;

6.2. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება კლიმატური, ტექტონიკური, ტექნოგენური კატასტროფები, სოციალური მღელვარება და სამთავრობო გადაწყვეტილებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებულები მხარეების ნებაზე და მათი თავიდან აცილება აღემატება მხარეების შესაძლებლობებს.

7. დავების გადაწყვეტა

7.1. მხარეები ეცდებიან, წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით;

7.2. თუ ასეთი ვერ მოხერხდება, დავა განსახილველად გადაეცემა არბიტრაჟს;

7.3. ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს: არბიტრაჟის დასახელება, მისამართი, დავის განხილვის ადგილი, არბიტრების რაოდენობა, მათი დანიშვნისა და აცილების წესი, გამოყენებული სამართალი, განხილვის ენა.

7.4. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულო იქნება მხარეებისათვის.

8. საერთო პირობები

8.1. საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ძალადაკარგულად ითვლება ხელშეკრულების საგანზე მხარეებს შორის ყველა მიმოწერა, სიტყვიერი და წერილობითი შეთანხმება;

8.3. ხელშეკრულების ყველა დანართი ავტომატურად ხდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი;

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ორიგინალურ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

9. ხელშეკრულების დანართები

1. ____
____

2. ____
____

10. მხარეების იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

აუდიტორი	შემკვეთი
____________________	____________________
ბ. ა.	ბ. ა.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
მარკეტინგულ მომსახურებაზე

ქ. თბილისი „———“——— ———“ 2006 წ.

———————————————, საწარმოს გენერალური დირექტორის ——————————————————— სახით, შემდგომში „შემკვეთი“, ერთის მხრივ და ——————————, საწარმოს გენერალური დირექტორის ——————————— სახით, შემდგომში „შემსრულებელი“, მეორეს მხრივ, ვსარგებლობთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსრულებელი ვალდებულებას კისრულობს, გაუწიოს შემკვეთს საქონლის მყიდველების ბაზრის მარკეტინგული შესწავლა, განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულების № 1 დანართში, შემდგომში „მომსახურება“, ხოლო შემკვეთი ვალდებულებას კისრულობს, მიიღოს შესრულებული მომსახურება და გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება შესრულებული უნდა იქნეს მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების მკაცრი დაცვით;

1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსამხურება მიიჩნევა განხორციელებულად მხარეების მიერ მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

2. ხელშეკრულების თანხა და ანგარიშსწორება

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მთლიანი ღირებულება შეადგენს ———— ლარს დღგ-ს ჩათვლით; მომსახურების სრული ხარჯთაღრიცხვა მოყვანილია №2 დანართში;

2.2. შემკვეთი ავანსის სახით გადაუხდის შემსრულებელს მომსახურების სახელშეკრულებო ღირებულების —— %-ს ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან —— დღის ვადაში;

2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება – ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან ———— დღის ვადაში;

2.4. გადახდა მოხდება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით;

2.4.1. უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში, ანგარიშსწორების ვადად მიიჩნევა თანხის შემსრულებლის ანგარიშზე ჩარიცხვის დღე.

3. მხარეების უფლებები და ვალდებულებები

3.1. შემკვეთი ვალდებულია:

3.1.1. დროულად გადასცეს შემსრულებელს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაცია;

3.1.2. მიიღოს განხორციელებული მომსახურება და მოახდინოს ანგარიშსწორება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

3.2. შემკვეთის უფლებები:

3.2.1. შეამოწმოს მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;

3.2.2. მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

3.3. შემსრულებელი ვალდებულია:

3.3.1. სათანადო ხარისხით და დადგენილ ვადებში განახორციელოს ხელშეკრულ ბით გათვალისწინებული მომსახურება;

3.3.2. მკაცრად დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნები;

3.3.3. უსასყიდლოდ და დროულად გამოასწოროს შემკვეთის მიერ მომსახურების გაწევის პროცესში და მის შემდეგ ———— ———— ვადაში გამოვლენილი ხარვეზები;

3.3.4. პირადად განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

3.4.1. შემსრულებელს უფლება აქვს:

3.4.1.1. მოსთხოვოს შემკვეთს მომსახურების გაწევისათვის აუცი-

ლებული ინფორმაციის დროული მიღება;

3.4.1.2. მოსთხოვოს შემკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

4. მხარეების პასუხისმგებლობა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების დარღვევისათვის, შემსრულებელი შემკვეთს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის დროულად განუხორციელებელი სამუშაოების მთლიანი ღირებულების ——— %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის;

4.3. შემკვეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, იგი შემსრულებელს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ვადაზე გადაუხდელი თანხის ——— %-ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის;

4.4. მხარეებს უფლება აქვთ, მოსთხოვონ მეორე მხარეს ხელშეკრულების მოთხოვნების დარღვევით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

4.5. პირგასამტეხლოს გადახდა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს მხარეებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;

4.6. დაუშვებელია შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მესამე პირისათვის გადაცემა;

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, შეცვლა და შეწყვეტა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან;

5.2. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით;

5.3. შემკვეთს უფლება აქვს, მომსახურების განხორციელების დასრულებამდე ნებისმიერ დროს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს შემსრულებელს განხორციელე-

ბელი მომსახურების და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი;

5.4. შემსრულებელს შეუძლია მომსახურების დასრულებამდე მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ შემკვეთმა შეძლოს მომსახურების სხვაგვარად მიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეწყვეტისათვის არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი.

6. დაუძლეველი ძალის გარემოება

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის თუ ასეთი შეუსრულებლობა განპირობებული იქნება დაუძლეველი ძალის გარემოებებით;

6.2. დაუძლეველი ძალის გარემოებების მიეკუთვნება კლიმატური, ტექტონიკური, ტექტოგენური კატასტროფები, სოციალური მღელვარება და სამთავრობო გადაწყვეტილებები, რომლებიც არ არის დამოკიდებულები მხარეების ნებაზე და მათი თავიდან აცილება აღემატება მხარეების შესაძლებლობებს;

7. დავების გადაწყვეტა

7.1. მხარეები ეცდებიან, წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით;

7.2. თუ ასეთი ვერ მოხერხდება, დავა განსახილველად გადაეცემა არბიტრაჟს;

7.3. ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს: არბიტრაჟის დასახელება, მისამართი, დავის განხილვის ადგილი, არბიტრების რაოდენობა, მათი დანიშვნისა და აცილების წესი, გამოყენებული სამართალი, განხილვის ენა.

7.4. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულო იქნება მხარეებისათვის.

8. საერთო პირობები

8.1. საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ძალადაკარგულად ითვლება ხელშეკრულების საგანზე მხარეებს შორის ყველა მიმოწერა. სიტყვიერი და წერილობითი შეთანხმება;

8.3. ხელშეკრულების ყველა დანართი ავტომატურად ხდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი;

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ორიგინალურ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

9. ხელშეკრულების დანართები

1. ____

____

2. ____

____

10. მხარეების იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

შემსრულებელი	შემკვეთი
______________________	______________________
ბ. ა.	ბ. ა.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
ორგტექნიკის ტექნიკურ მომსახურებაზე

ქ. თბილისი „——“———————— 2006 წ.

————————————————————, საწარმოს გენერალური დირექტორის ——————————————————— სახით, შემდგომში „შემკვეთი“, ერთის მხრივ და ——————————————, საწარმოს გენერალური დირექტორის —————————————————————— სახით, შემდგომში „შემსრულებელი“, მეორეს მხრივ, ესარგებლობთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსრულებელი ვალდებულებას კისრულობს, გაუწიოს შემკვეთს წინამდებარე ხელშეკრულების №1 დანართით განსაზღვრული ორგტექნიკის ტექნიკური მომსახურება, შემდგომში „მომსახურება“, ხოლო შემკვეთი ვალდებულებას კისრულობს, მიიღოს შესრულებული მომსახურება და გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება შესრულებული უნდა იქნეს მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების მკაცრი დაცვით;

2. ხელშეკრულების თანხა და ანგარიშსწორება

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მთლიანი საორიენტაციო ღირებულება შეადგენს ————— ლარს დღგ-ს ჩათვლით;

2.1. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება ყოველთვიურად, შემსრულებლის მიერ ფაქტიურად გაწეულ მომ-

სახურებაზე წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურების შესაბამისად;

2.2. შემკვეთი ავანსის სახით გადაუხდის შემსრულებელს მომსახურების სახელშეკრულებო ღირებულების — %-ს ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან დღის ვადაში;

2.3. გადახდა მოხდება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით;

2.4.1. უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში, ანგარიშსწორების ვადად მიიჩნევა თანხის შემსრულებლის ანგარიშზე ჩარიცხვის დღე.

3. მხარეების უფლებები და ვალდებულებები

3.1. შემკვეთი ვალდებულია:

3.1.1. დროულად გადასცეს შემსრულებელს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაცია;

3.1.2. მიიღოს განხორციელებული მომსახურება და მოახდინოს ანგარიშსწორება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

3.2. შემკვეთის უფლებები:

3.2.1. შეამოწმოს მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;

3.2.2. მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

3.3. შემსრულებელი ვალდებულია:

3.3.1. სათანადო ხარისხით და დადგენილ ვადებში განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

3.3.2. მკაცრად დაიცვას ორგტექნიკის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტების მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები;

3.3.3. უსასყიდლოდ და დროულად გამოასწოროს შემკვეთის მიერ მომსახურების გაწევის პროცესში და მის შემდეგ ——————— ——————— ვადაში გამოვლენილი ხარვეზები;

3.3.4. პირადად განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

3.4.1. შემსრულებელს უფლება აქვს:

3.4.1.1. მოსთხოვოს შემკვეთს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაციის დროული მიღება;

3.4.1.2. მოსთხოვოს შემკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4. მხარეების პასუხისმგებლობა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების დარღვევისათვის, შემსრულებელი შემკვეთს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის დროულად განუხორციელებელი სამუშაოების მთლიანი ღირებულების ——— %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის;

4.3. შემკვეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, იგი შემსრულებელს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ვადაზე გადაუხდელი თანხის ——— %-ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის;

4.4. მხარეებს უფლება აქვთ, მოსთხოვონ მეორე მხარეს ხელშეკრულების მოთხოვნების დარღვევით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

4.5. პირგასამტეხლოს გადახდა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს მხარეებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;

4.6. დაუშვებელია შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მესამე პირისათვის გადაცემა.

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, შეცვლა და შეწყვეტა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან;

5.2. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით:

5.3. შემკვეთს უფლება აქვს, მომსახურების განხორციელების დასრულებამდე ნებისმიერ დროს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს შემსრულებელს განხორციელებული მომსახურების და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი:

5.4. შემსრულებელს შეუძლია მომსახურების დასრულებამდე მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ შემკვეთმა შეძლოს მომსახურების სხვაგვარად მიღება. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეწყვეტისათვის არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი.

6. დაუძლეველი ძალის გარემოება

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ასეთი შეუსრულებლობა განპირობებული იქნება დაუძლეველი ძალის გარემოებებით;

6.2. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება კლიმატური, ტექტონიკური, ტექნოგენური კატასტროფები, სოციალური მღელვარება და სამთავრობო გადაწყვეტილებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებულები მხარეების, ნებაზე და მათი თავიდან აცილება აღემატება მხარეების შესაძლებლობებს.

7. დავების გადაწყვეტა

7.1. მხარეები ეცდებიან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით;

7.2. თუ ასეთი ვერ მოხერხდება, დავა განსახილველად გადაეცემა არბიტრაჟს;

7.3. ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს: არბიტრაჟის დასახელება, მისამართი, დავის განხილვის ადგილი, არბიტრების

რაოდენობა, მათი დანიშვნისა და აცილების წესი. გამოყენებული სამართალი, განხილვის ენა.

7.4. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულო იქნება მხარეებისათვის.

8. საერთო პირობები

8.1. საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ძალადაკარგულად ითვლება ხელშეკრულების საგანზე მხარეებს შორის ყველა მიმოწერა, სიტყვიერი და წერილობითი შეთანხმება;

8.3. ხელშეკრულების ყველა დანართი ავტომატურად ხდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი;

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ორიგინალურ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

9. ხელშეკრულების დანართები

1. ____
____

2. ____
____

10. მხარეების იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

შემსრულებელი	შემკვეთი
____________________	____________________
ბ. ა.	ბ. ა.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
ბუღალტრულ მომსახურებაზე

ქ. თბილისი „————“———— ————“ 2006 წ.

———————————— ————, საწარმოს გენერალური დირექტორის ———————————— ———————————— სახით, შემდგომში „შემკვეთი“, ერთის მხრივ და ————————————, საწარმოს გენერალური დირექტორის ———————————— ———————— სახით, შემდგომში **„შემსრულებელი“**, მეორეს მხრივ, შემდგომში **„მხარეები“**, ვსარგებლობთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსრულებელი ვალდებულებას კისრულობს, გაუწიოს შემკვეთს წინამდებარე ხელშეკრულების №1 დანართით განსაზღვრული მოცულობის ბუღალტრული მომსახურება, შემდგომში „მომსახურება“, ხოლო შემკვეთი ვალდებულებას კისრულობს, მიიღოს შესრულებული მომსახურება და გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალსწინებული მომსახურების ღირებულება;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება შესრულებული უნდა იქნეს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, საგადასახადო ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნების მკაცრი დაცვითა და ბუღალტრული საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით.

1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება მიიჩნევა განხორციელებულად მხარეების მიერ მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

2. ხელშეკრულების თანხა და ანგარიშსწორება

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მთლიანი ღირებულება შეადგენს ———— ლარს დღგ-ს ჩათვლით; მომსახურების სრული ხარჯთაღრიცხვა მოყვანილია №2 დანართში:

2.2. შემკვეთი ავანსის სახით გადაუხდის შემსრულებელს მომსახურების სახელშეკრულებო ღირებულების —— %-ს ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან —— დღის ვადაში;

2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება ხდება ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან ———— დღის ვადაში;

2.4. გადახდა მოხდება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით;

2.4.1. უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში, ანგარიშსწორების ვადად მიიჩნევა თანხის შემსრულებლის ანგარიშზე ჩარიცხვის დღე.

2.5. ანაზღაურება არ იქნება დაკავშირებული მომსახურების პროცესში მომზადებული ბუღალტრული ანგარიშგებისა და შემკვეთის საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ფინანსურ შედეგებთან.

3. მხარეების უფლებები და ვალდებულებები

3.1. შემკვეთი ვალდებულია:

3.1.1. დროულად გადასცეს შემსრულებელს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაცია;

3.1.2. მიიღოს განხორციელებული მომსახურება და მოახდინოს ანგარიშსწორება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

3.2. შემკვეთის უფლებები:

3.2.1. შეამოწმოს მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;

3.2.2. მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

3.3. შემსრულებელი ვალდებულია:

3.3.1. მომსახურება განახორციელოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნების მკაცრი დაცვით, აღრიცხვის საერთაშორისო სტან-

დარგების მოთხოვნების გათვალისწინებით;

3.3.2. შემკვეთის მოთხოვნით, კონსულტაცია ჩამოაყალიბოს წერილობითი ფორმით და დაასაბუთოს სათანადო სამართლებრივი აქტებით;

3.3.3. პირადად განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

3.4.1. შემსრულებელს უფლება აქვს:

3.4.1.1. მოსთხოვოს შემკვეთს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაციის დროული მიღება, საჭიროების შემთხვევაში, წერილობითი ფორმით;

3.4.1.2. მოსთხოვოს შემკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, მათ შორის ანგარიშსწორების ნაწილში.

4. მხარეების პასუხისმგებლობა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2. მხარეებს უფლება აქვთ, მოსთხოვონ მეორე მხარეს ხელშეკრულების მოთხოვნების დარღვევით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

4.5. პირგასამტეხლოს გადახდა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს მხარეებს, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;

4.6. დაუშვებელია შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მესამე პირისათვის გადაცემა.

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, შეცვლა და შეწყვეტა

5.1. ხელშეკრულება იდება ერთი წლით და ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან;

5.2. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით;

5.3. შემკვეთს უფლება აქვს, მომსახურების განხორციელების დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს შემსრულებელს განხორციელებული

მომსახურებისა და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი;

5.4. შემსრულებელს შეუძლია მომსახურების დასრულებამდე მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ შემკვეთმა შეძლოს მომსახურების სხვაგვარად მიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეწყვეტისათვის არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი.

5.5. თუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე მხარეები წერილობით არ განაცხადებენ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულება ავტომატურად ითვლება გაგრძელებულად მორიგი ერთი წლის ვადით.

6. დაუძლეველი ძალის გარემოება

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ასეთი შეუსრულებლობა განპირობებული იქნება დაუძლეველი ძალის გარემოებებით;

6.2. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება კლიმატური, ტექტონიკური, ტექტოგენური კატასტროფები, სოციალური მღელვარება და სამთავრობო გადაწყვეტილებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებულები მხარეების ნებაზე და მათი თავიდან აცილება აღემატება მხარეების შესაძლებლობებს.

7. დავების გადაწყვეტა

7.1. მხარეები ეცდებიან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით;

7.2. თუ ასეთი ვერ მოხერხდება, დავა განსახილველად გადაეცემა არბიტრაჟს;

7.3. ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს: არბიტრაჟის დასახელება, მისამართი, დავის განხილვის ადგილი, არბიტრების რაოდენობა, მათი დანიშვნისა და აცილების წესი, გამოყენებული სამართალი, განხილვის ენა.

7.4. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულო იქნება მხარეებისათვის.

8. საერთო პირობები

8.1. საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ძალადაკარგულად ითვლება ხელშეკრულების საგანზე მხარეებს შორის ყველა მიმოწერა, სიტყვიერი და წერილობითი შეთანხმება;

8.3. ხელშეკრულების ყველა დანართი ავტომატურად ხდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი;

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ორიგინალურ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

9. ხელშეკრულების დანართები

1. ____

____

2. ____

____

10. მხარეების იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

შემსრულებელი	შემკვეთი
____________________	____________________
ბ. ა.	ბ. ა.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
საკონსულტაციო მომსახურებაზე

ქ. თბილისი „———"——————————" 2006 წ.

——————————————————————, საწარმოს გენერალური დირექტორის ——————————————————— სახით, შემდგომში „შემკვეთი", ერთის მხრივ და ——————————, საწარმოს გენერალური დირექტორის ————————————————————— სახით, შემდგომში „კონსულტანტი", მეორეს მხრივ, შემდგომში „მხარეები", ესარგებლობთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. კონსულტანტი ვალდებულებას კისრულობს, გაუწიოს შემკვეთს წინამდებარე ხელშეკრულების № 1 დანართით განსაზღვრული მოცულობის აუდიტორული მომსახურება, შემდგომში „მომსახურება", ხოლო შემკვეთი ვალდებულებას კისრულობს, მიიღოს შესრულებული მომსახურება და გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება.

2. ხელშეკრულების თანხა და ანგარიშსწორება

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მთლიანი ღირებულება შეადგენს ———— ლარს დღგ-ს ჩათვლით; მომსახურების სრული ხარჯთაღრიცხვა მოყვანილია № 2 დანართში;

2.2. ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად, კონსულტანტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;

2.3. შემკვეთი ავანსის სახით გადაუხდის აუდიტორს მომსახურების სახელშეკრულებო ღირებულების —— %-ს ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან —— დღის ვადაში;

2.4. გადახდა მოხდება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით;

2.4.1. უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში, ანგარიშსწორების ვადად მიიჩნევა თანხის შემსრულებლის ანგარიშზე ჩარიცხვის დღე.

2.5. ანაზღაურება არ იქნება დაკავშირებული მიღებული კონსულტაციების გამოყენების შედეგებთან.

3. მხარეების უფლებები და ვალდებულებები

3.1. შემკვეთი ვალდებულია:

3.1.1. დროულად გადასცეს შემსრულებელს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაცია;

3.1.2. მიიღოს გაწეული საკონსულტაციო მომსახურება, აღრიცხოს იგი შესაბამის ჟურნალში, დასმული კითხვის, პასუხის, კონსულტაციის სავარაუდო გამოყენების სფეროს მითითებით;

3.1.3. მოახდინოს ანგარიშსწორება მიღებული საკონსულტაციო მომსახურებისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

3.2. შემკვეთის უფლებები:

3.2.1. მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

3.3. კონსულტანტი ვალდებულია:

3.3.1. შემკვეთს გაუწიოს კვალიფიციური და კომპეტენტური საკონსულტაციო მომსახურება;

3.3.2. შემკვეთის მოთხოვნით, წერილობით ჩამოაყალიბოს დასაბუთებული პასუხები დასმულ კითხვებზე;

3.3.3. პირადად განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

3.4.1. შემსრულებელს უფლება აქვს:

3.4.1.1. მოსთხოვოს შემკვეთს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაციის დროული მიღება;

3.4.1.2. მოსთხოვოს შემკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4. მხარეების პასუხისმგებლობა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2. მხარეებს უფლება აქვთ, მოსთხოვონ მეორე მხარეს ხელშეკრულების მოთხოვნების დარღვევით მისთვის მიყენებული ზია-

ნის ანაზღაურება:

4.5. პირგასამტეხლოს გადახდა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს მხარეებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;

4.6. დაუშვებელია შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მესამე პირისათვის გადაცემა;

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, შეცვლა და შეწყვეტა

5.1. ხელშეკრულება იდება ერთი წლით და ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან;

5.2. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით;

5.3. შემკვეთს უფლება აქვს, მომსახურების განხორციელების დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს შემსრულებელს განხორციელებული მომსახურების და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი;

5.4. კონსულტანტს შეუძლია მომსახურების დასრულებამდე მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ შემკვეთმა შეძლოს მომსახურების სხვაგვარად მიღება, გარდა იმ შემთხვევებისა როცა შეწყვეტისათვის არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი.

6. დაუძლეველი ძალის გარემოება

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ასეთი შეუსრულებლობა განპირობებული იქნება დაუძლეველი ძალის გარემოებებით;

6.2. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება კლიმატური, ტექტონიკური, ტექტოგენური კატასტროფები, სოციალური მღელვარება და სამთავრობო გადაწყვეტილებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებულები მხარეების ნებაზე და მათი თავიდან აცილება აღემატება მხარეების შესაძლებლობებს;

7. დავების გადაწყვეტა

7.1. მხარეები ეცდებიან, წინამდებარე ხელშეკრულებასთან და-

კავშირებით წარმოშობილი დავები გადაწყდება მოლაპარაკების გზით;

7.2. თუ ასეთი ვერ მოხერხდება, დავა განსახილველად გადაეცემა არბიტრაჟს;

7.3. ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს: არბიტრაჟის დასახელება, მისამართი, დავის განხილვის ადგილი, არბიტრების რაოდენობა, მათი დანიშვნის და აცილების წესი, გამოყენებული სამართალი, განხილვის ენა.

7.4. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულო იქნება მხარეებისათვის.

8. საერთო პირობები

8.1. საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ძალადაკარგულად ითვლება ხელშეკრულების საგანზე მხარეებს შორის ყველა მიმოწერა, სიტყვიერი და წერილობითი შეთანხმება;

8.3. ხელშეკრულების ყველა დანართი ავტომატურად ხდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი;

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ორიგინალურ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

9. ხელშეკრულების დანართები

1. ____
____

2. ____
____

10. მხარეების იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

კონსულტანტი	შემკვეთი
______________________	______________________
ბ. ა.	ბ. ა.

დავალება

ზოგადი ნაწილი

დავალების ხელშეკრულებით **„რწმუნებული“** ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. დავალების ხელშეკრულების სამართლებრივი თავისებურებები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709–723 მუხლებით.

კანონი არ ითვალისწინებს სპეციალურ მოთხოვნებს დავალების ხელშეკრულების თაობაზე. ამიტომ, იგი შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი ისე ზეპირი ფორმით. მაგრამ დაცული უნდა იქნეს კანონის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ **„მარწმუნებელმა“ „რწმუნებულს“** უნდა მისცეს მინდობილობა.

გასამრჯელო დავალებისათვის. „მარწმუნებელი“ ვალდებულია გადაუხადოს **„რწმუნებულს“** გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით, ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

გასამრჯელო ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ გარემოებათა მიხედვით მოქმედების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოთი არის მოსალოდნელი.

თუ გასამრჯელოს ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ რაიმე ნიხრის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო გასამრჯელო, ისევე, როგორც ნიხრის არარსებობისას — ჩვეულებრივი გასამრჯელო.

დავალების გადანდობა მესამე პირისათვის. რწმუნებულმა დავალება პირადად უნდა შეასრულოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას ნება დართეს გადაენდო იგი მესამე პირისათვის, ანდა იძულებულია ასე მოიქცეს შექმნილი გარემოებების გამო. დაშვებულია დამხმარე პირთა ჩართვა.

თუ ნებადართულია დავალების გადანდობა მესამე პირისათვის, მაშინ, რწმუნებული პასუხს აგებს მხოლოდ იმ ბრალისათვის, რომელიც მას მიუძღვის გადანდობისას და ამ პირის შერჩევაში.

მარწმუნებლის მითითებიდან გადახვევა. რწმუნებული მოვალეა შეასრულოს მარწმუნებლის მითითებები.

„რწმუნებულს“ შეუძლია გადაუხვიოს **„მარწმუნებლის“** მითითებებს, თუ, გარემოებებიდან გამომდინარე, მას შეუძლია ივარაუდოს, რომ **„მარწმუნებელი“** საქმის ვითარების ცოდნის შემთხვევაში მოიწონებდა ასეთ გადახვევას. **„რწმუნებული“** მოვალეა მითითებებისაგან

გადახდევამდე შეატყობინოს „მარწმუნებელს“ და დაელოდოს მის გადაწყვეტილებას, თუკი დაყოვნებით „მარწმუნებელს“ არ შეექმნება ზიანის მიყენების საფრთხე.

თუ „რწმუნებულის“ მიერ მითითებების შესრულებამ შეიძლება „მარწმუნებელს“ მიაყენოს მნიშვნელოვანი ზიანი, მას შეუძლია მითითებების შესრულება მხოლოდ მაშინ, როცა აცნობებს „მარწმუნებელს“ ზიანის თაობაზე, ხოლო ეს უკანასკნელი კი არ შეცვლის თავის მითითებას.

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. „რწმუნებული“ მოვალეა მისცეს „მარწმუნებელს“ აუცილებელი ინფორმაცია, ხოლო მისი მოთხოვნით — მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს მას ანგარიში.

შეთანხმება, რომლითაც მომავალში შეიზღუდება ან გამოირიცხება რწმუნებულის მოვალეობები ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საჭიროებს წერილობით ფორმას.

საიდუმლოების შენახვის ვალდებულება. „რწმუნებული“ მოვალეა, არ გაახმაუროს თავისი საქმიანობის ფარგლებში მისთვის ცნობილი ფაქტები, რომელთა საიდუმლოდ შენახვითაც „მარწმუნებელი“ მართლზომიერადაა დაინტერესებული, თუკი კანონის საფუძველზე არ არსებობს საიდუმლოების გამჟღავნების მოვალეობა, ან მარწმუნებელი ნებას დართავს რწმუნებულს გაამჟღავნოს იგი.

ფაქტების გაუხმაურებლობის მოვალეობა არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობების დამთავრების შემდეგაც.

დავალების შესასრულებლად გადაცემულის უკან დაბრუნების მოვალეობა

„რწმუნებული“ მოვალეა დაუბრუნოს „მარწმუნებელს“ ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად და არ გამოიყენა ამისათვის, აგრეთვე ისიც, რაც მან შეიძინა მინდობილი მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით.

თუ „რწმუნებული“ თავისთვის იყენებს ფულს, რომელიც მას უნდა დაებრუნებინა „მარწმუნებლისათვის“ ან გამოეყენებინა მის სასარგებლოდ, „რწმუნებული“ ვალდებულია დააბრუნოს ფული პროცენტთან ერთად.

მარწმუნებლის ქონების პრეზუმფცია. ქონება, რომელიც „რწმუნებულმა“ დავალებული მოქმედების შესრულებისას შეიძინა „მარწმუნებლის“ ხარჯზე და საკუთარი სახელით, ან „მარწმუნებელმა“ გადასცა მას დავალებული მოქმედების შესასრულებლად, კრედიტო-

რებთან „რწმუნებულის“ ურთიერთობაში ჩაითვლება „მარწმუნებლის“ ქონებად.

ხარჯების ანაზღაურების მოვალეობა. „მარწმუნებელმა“ უნდა აუნაზღაუროს „რწმუნებულს“ მინდობილი მოქმედების შესასრულებლად გაწეული აუცილებელი ხარჯები.

ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მოთხოვნა არ არსებობს, თუ ხარჯები გასამრჯელოთი უნდა დაიფაროს.

„რწმუნებულს“ შეუძლია მოსთხოვოს „მარწმუნებელს“ ავანსი იმ ხარჯებისათვის, რომლებიც მას უნდა აუნაზღაურდეს.

ბრალის გარეშე დამდგარი ზიანის ანაზღაურება. „მარწმუნებელი“ მოვალეა აანაზღაუროს მისი ბრალის გარეშე დამდგარი ზიანიც, რომელიც წარმოეშვა რწმუნებულს დავალებული მოქმედების შესრულებისას, თუ ზიანი დადგა დავალებული მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საფრთხის შედეგად „მარწმუნებლის“ მითითების გამო.

პირველი ნაწილის მიხედვით მოთხოვნა არ არსებობს, თუ დამდგარი ზიანი გასამრჯელოთი უნდა დაიფაროს, ან თუ ზიანი გამოწვეულია „რწმუნებულის“ მოქმედებით. თუ სადავო გახდება გასამრჯელოთი ზიანის დაფარვა, მაშინ მტკიცების მოვალეობა ეკისრება „რწმუნებულს“.

ბრალეული მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

თუ „რწმუნებული“ უსასყიდლოდ ასრულებს მისთვის დავალებულ მოქმედებებს, იგი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანისათვის.

დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა. დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს. შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია.

თუ ხელშეკრულება „რწმუნებულმა“ მაშინ შეწყვიტა, როდესაც „მარწმუნებელი“ მოკლებული იყო შესაძლებლობას, სხვაგვარად უზრუნველეყო თავისი ინტერესები, „რწმუნებულმა“ უნდა აანაზღაუროს ხელშეკრულების შეწყვეტით მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა რწმუნებულს ამისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა.

თუ ხელშეკრულება წყდება „მარწმუნებლის“ მიერ, მაშინ ის მოვალეა აუნაზღაუროს „რწმუნებულს“ მინდობილი მოქმედების შესრულებისას გაწეული ყველა აუცილებელი ხარჯი, ხოლო, თუ ხელშეკრულება სასყიდლიანი იყო, – გადაუხადოს გასამრჯელო შესრულებული სამუშაოს კვალობაზე.

დავალების
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი „———“——————————“ 2006 წ.

———————————————————————— შემდგომში „მარწმუნებელი“ ერთის მხრივ და ———————————————————— „რწმუნებელი“ მეორეს მხრივ, შემდგომში მხარეები, შევთანხმდით

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „რწმუნებული“ ვალდებულებას კისრულობს „მარწმუნებლის“ სახელით და მის ხარჯზე განახორციელოს ქვემოთ აღნიშნული იურიდიული ქმედებანი:

————————————————————————————————

————————————————————————————————

————————————————————————————————

1.2. „რწმუნებულის“ მიერ, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული გარიგებების შედეგად წარმოქმნილი უფლებები და ვალდებულებები მიეკუთვნება უშუალოდ მარწმუნებელს.

2. მხარეების ვალდებულებები

2.1. „რწმუნებული“ ვალდებულია:

2.1.1. პირადად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალება;

2.1.2. სისტემატურად შეატყობინოს, მათ შორის მარწმუნებლის მოთხოვნის შემთხვევაში – დაუყოვნებლივ მის მიერ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ქმედებების შესახებ;

2.1.3. დავალების შესრულებისთანავე ან ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუბრუნოს „მარ-

წმუნებელს“ ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადა ამოწურული არ არის და წარუდგინოს სრული ანგარიში ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული სამუშაოების შესახებ;

2.2. „მარწმუნებელი“ ვალდებულია:

2.2.1. ხელშეკრულბის ხელმოწერიდან ——— დღის ვადაში მისცეს რწმუნებულს დადგენილი წესით გაფორმებული მინდობილობა;

2.2.2. აუნაზღაუროს „რწმუნებულს“ ხელშეკრულბის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული დასაბუთებული ხარჯები;

2.2.3. უზრუნველყოს „რწმუნებული“ ხელშეკრულებით განსაზღვრული დავალებების შესრულებისათვის აუცილებელი სახსრებით;

2.2.4. დაუყოვნებლივ მიიღოს „რწმუნებულისაგან“ მის მიერ განხორციელებული წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა შესრულება;

2.2.5. გადაუხადოს „რწმუნებულს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასამრჯელო შეთანხმებულ ვადაში;

2.2.6. „რწმუნებული“ ვალდებულია დავალება შეასრულოს „მარწმუნებლის“ მითითებების შესაბამისად;

2.2.7. „რწმუნებულს“ უფლება აქვს, „მარწმუნებლის“ ინტერესებიდან გამომდინარე, გადაუხვიოს მიღებულ მითითებებს „მარწმუნებლის“ წინასწარი ნებართვის გარეშე, რის შესახებაც მან მისაღებ ვადებში უნდა შეატყობინოს „მარწმუნებელს“.

3. რწმუნებულის გასამრჯელო

3.1. „მარწმუნებელი“ „რწმუნებულს“ გასამრჯელოს სახით გადაუხდის ———— ლარს;

3.2. გასამრჯელოს გადახდა უნდა მოხდეს ——— დღის ვადაში „რწმუნებული“ მიერ დავალების შესრულების თაობაზე სრული ანგარიშის წარმოდგენის მომენტიდან;

3.3. ანაზღურების გადახდასთან ერთად „მარწმუნებელმა“ უნდა გადაიხადოს რწმუნებულის მიერ გაწეული ხარჯები წარმოდგენილი გამამართლებელი დოკუმენტების საფუძველზე;

3.4. თუ ხელშეკრულება ვადამდე შეწყდება მარწმუნებლის ინიციატივით, მან უნდა გადაუხადოს რწმუნებულის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესრულებული სამუშაოების შესაბამისი

ანაზღაურება და დაფარვის შესაბამისი ხარჯები წარმოდგენილი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების შესაბამისად.

4. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და შეწყვეტა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია ——— მდე;

4.2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა დაიშვება მხოლოდ მხარეების თანხმობით.

4.3. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა. ხელშეკრულების ვადის ამოწურვით;

ბ. დავალების შესრულებით;

გ. **„მარწმუნებლის“** მიერ დავალების ანულირებით;

დ. **„რწმუნებულის“** ინიციატივით;

4.4. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი მხარე, მეორე მხარეს წერილობით შეატყობინებს ——— დღით ადრე.

5. საერთო პირობები

5.1. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით;

5.2. ხელშეკრულება შედგენილია ——— ორიგინალურ ეგზემპლარად. ყველა ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

6. მხარეების იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

მარწმუნებელი	**რწმუნებული**
————————	————————
„——“———— 2006 წ.	„——“———— 2006 წ.

საკომისიო
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი „———“——————————“ 2006 წ.

——————— ———————————————————

————————————————, შემდგომში **„კომისიონერი“**, წარმოდგენილი ——————————————————— სახით, მოქმედებს რა წესდების საფუძველზე, ერთის მხრივ და — ———————————————————————

————, შემდგომში **„კომიტენტი“**, წარმოდგენილი ——————
———————————————————————
სახით, მოქმედებს რა წესდების საფუძველზე, მეორეს მხრივ, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. **„კომისიონერი“** ვალდებულია **„კომიტენტის“** დავალებით და საკუთარი ფინანსური დაკმაყოფილებით გაყიდოს შემდეგი საქონელი:

დასახელება და მოკლე დახასიათება: ——————————
——————————————————————;

რაოდენობა: ——————————————————————
——————————————————————;

ერთეულის ფასი: ——————————————————
——————————————————————;

მთლიანი ღირებულება: ——————————————————
——————————————————————;

1.2. საქონელი, მიღებული **„კომისიონერის“** მიერ **„კომიტენტისაგან“**, წარმოადგენს ამ უკანასკნელის საკუთრებას.

1.3. „კომისიონერი“ უფლებამოსილია გაყიდოს საქონელი უფრო მაღალ ფასად.

2. კომისიონერის ვალდებულებები

2.1. „კომისიონერი“ ვალდებულია მიღებული განკარგულება შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, კომიტენტისათვის უფრო ხელსაყრელ პირობებში. „კომისიონერი“ უფლებამოსილია გადაუხვიოს ამ განკარგულებებს, თუ „კონკრეტული“ შეთანხმების გარემოებებში ეს აუცილებელია და „კომიტენტის“ ინტერესებშია და კომისიონერს არ შეეძლო წინასწარ მიეღო პასუხი ამის შესახებ კომისიონერისაგან ან პასუხი მის კითხვაზე არ იქნა დროულად მიღებული.

2.2. „კომისიონერი“ ვალდებულია შეასრულოს ყველა ვალდებულება და განახორციელოს ყველა უფლებამოსილება, რომლებიც გამომდინარეობს შეთანხმებიდან, რომელიც მან დადო მესამე პირებთან.

2.3. „საკომისიოდ“ საქონლის მიღება, „კომისიონერი“ ვალდებულია შეამოწმოს მიღებული საქონლის ხარისხი და კომპლექტურობა და დარწმუნდეს მის სარეალიზაციოდ ვარგისიანობაში. თუ „კომისიონერის“ მიერ საქონლის მიღებისას აღმოჩნდება საქონლის დანაკლისი ან დაზიანებები, რომელიც შესამჩნევი გახდა დათვალიერებისას, „კომისიონერი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ „კომიტენტს“.

2.4. „კომისიონერი“ ვალდებულია გაუფრთხილდეს მისთვის საკომისიოდ გადაცემულ საქონელს და დაიცვას იგი დანაკლისის, დაზიანების ან დანაკარგებისაგან.

2.5. მხარეები ყოველთვიურად, არაუგვიანეს ყოველი თვის ---------- რიცხვისა, ახორციელებენ ურთიერთანგარიშსწორებების შედარებას.

3. კომიტენტის ვალდებულებები

3.1. „კომიტენტი“ ვალდებულია „კომისიონერისაგან“ მიიღოს ყველა განკარგულების შესრულება.

3.2. „კომიტენტის“ მიერ განკარგულების შესრულებისას, ვალდებულია კომისიონერს გადაუხადოს ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. და 4.2. პუნქტების შესაბამისად.

4. საკომისიო ანაზღაურება

4.1. საკომისიო ანაზღაურება, რომელიც უნდა მიეცეს კომისიონერს, შეადგენს საქონლის რეალიზაციიდან მიღებული მთლიანი თანხის ——— %-ს.

4.2. საკომისიო ანაზღაურება იქვითება კომისიონერის მიერ კომიტენტისათვის საქონლის რეალიზაციით მიღებული თანხის გადახდის დროს.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. „კომისიონერი“ კომიტენტის წინაშე პასუხს აგებს იმ საქონლის დანაკარგების, დაზიანებების ან დანაკლისებისათვის, რომელიც მასთან იმყოფება, თუ ვერ დაამტკიცებს რომ დანაკარგები, დაზიანებები ან დანაკლისები გამოწვეული არ არის მისი ბრალით.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არ ან არასათანადოდ შესრულებისათვის, მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ ან მთლიანად შეუსრულებლობისათვის, თუ ასეთი შეუსრულებლობა წარმოადგენდა დაუძლეველი ძალის მოქმედე-

ბის შედეგს, რომელიც წარმოიშვა ხელშეკრულების დადების შემდეგ, საგანგებო ხასიათის მოვლენების შედეგად, რომლის წინასწარ განსაზღვრა და აღკვეთა შეუძლებელი იყო. ასეთი საგანგებო ხასიათის მოვლენებს მიეკუთვნება: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, აფეთქება, შტორმი, ეპიდემია, ასევე ომი და საომარი მოქმედებები.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია ——— მდე;

6.2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა დაიშვება მხოლოდ მხარეების თანხმობით.

6.3. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა. ხელშეკრულების ვადის ამოწურვით;

ბ. დაევალების შესრულებით;

გ. „კომიტენტის" მიერ დავალების ანულირებით;

დ. „კომისიონერის" ინიციატივით;

6.4. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი მხარე, მეორე მხარეს წერილობით შეატყობინებს ——— დღით ადრე.

7. საერთო პირობები

7.1. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით;

7.2. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის გარემოებების მოქმედებით;

7.3. საკითხები, რომლებიც არ არის განხილული წინამდებარე ხელშეკრულებაში, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით;

7.4. ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ დავებს მხარეები გადაჭრიან მოლაპარაკების გზით. თუ ასეთი არ მოხერხდება, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს ან არბიტრაჟს.

7.4. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრულად განხორციელებამდე;

7.5. ხელშეკრულება შედგენილია ორ ორიგინალურ ეგზემპლარად, ორივე ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა;

7.6. ხელშეკრულება შედგენილია ——— ორიგინალურ ეგზემპლარად. ყველა ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

8. მხარეების იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

კომიტენტი	კომისიონერი
________ ________	________________
„———“——— ———“ 2006 წ.	„———“————“ 2006 წ.

მინდობილობა იურიდიული პირის სახელით ხელშეკრულების დადებაზე

(სპეციალური)

ქ. თბილისი „————“———————————“ 2006 წ.

წინამდებარე მინდობილობით ——————————————————————————————————— საწარმოს გენერალური დირექტორის სახით, რომელიც მოქმედებს საწარმოს წესდებით მინიჭებული უფლებამოსილებების საფუძველზე, უფლებამოსილებას ანიჭებს მოქალაქე ——————————————————————— მცხოვრები ——————————————————— პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი № ——————————————— გაცემული ——————————————————————— მიერ, დადოს ხელშეკრულება ——————————————————————— თაობაზე, ქვემოთ მოყვანილი პირობებით: ——

და განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება დაკავშირებული წინამდებარე დავალების შესრულებასთან.

ხელმოწერა

———————————————————

ბ.ა.

მინდობილობა იურიდიული პირის სახელით ხელშეკრულების დადებაზე
(ერთჯერადი)

ქ. თბილისი „——————"———————————————" 2006 წ.

წინამდებარე მინდობილობით ——————————————————————————— საწარმოს გენერალური დირექტორის სახით, რომელიც მოქმედებს საწარმოს წესდებით მინიჭებული უფლებამოსილებების საფუძველზე, უფლებამოსილებას ანიჭებს
მოქალაქე ——————————————————————————————
მცხოვრები ——————————————————————————————
პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი № ——————————
გაცემული —————————————————————— მიერ, დადოს
ხელშეკრულება ——————————————————————————
თაობაზე, ქვემოთ მოყვანილი პირობებით: ————————————
————————————————————————————————————
————————————————————————————————————
————————————————————————————————————
————————————————————————————————————

და განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება, დაკავშირებული წინამდებარე დავალების შესრულებასთან.

წინამდებარე ხელშეკრულება გაცემულია ერთი თვით, მინდობილობით განსაზღვრული უფლებამოსილებების მესამე პირისათვის გადაცემის უფლების გარეშე.

ხელმოწერა

——————————————————————

ბ.ა.

მიბარება

მიბარების ხელშეკრულებით შემნახველი კისრულობს შეინახოს მიმბარებლის მიერ მისთვის ჩაბარებული მოძრავი ნივთი. მიბარების ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 764–799 მუხლებით.

მიბარების საზღაური. მიბარება უსასყიდლოა, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ შემნახველი ახორციელებს შენახვას სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაშინ საზღაური დუმილითაც შეთანხმებულად ჩაითვლება.

თუ საზღაურის ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ ტარიფების არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სატარიფო განაკვეთი, ხოლო ტარიფების არარსებობისას – ჩვეულებრივი საზღაური.

შემნახველის მოვალეობა უსასყიდლო მიბარებისას. თუ მიბარება უსასყიდლოა, მაშინ შემნახველი ვალდებულია ისეთივე კეთილსინდისიერებით შეინახოს ნივთი, როგორითაც საკუთარ ნივთს შეინახავდა.

მესამე პირისათვის ნივთის გადაცემის დაუშვებლობა. შემნახველს არა აქვს უფლება ნივთი შესანახად გადასცეს მესამე პირს მიმბარებლის თანხმობის გარეშე.

თუ მესამე პირისათვის შესანახად გადაცემა თანხმობით მოხდა, მაშინ შემნახველი პასუხს აგებს მხოლოდ იმ ბრალისათვის, რომელიც მას მიუძღვის მესამე პირის ან შენახვის ადგილის არჩევაში.

მიბარებული ნივთით სარგებლობის დაუშვებლობა. შემნახველს არა აქვს უფლება, ისარგებლოს მისთვის მიბარებული ნივთით მიმბარებლის თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ნივთის შენახვისათვის მისით სარგებლობა აუცილებელია.

ნივთის შენახვის წესის შეცვლა. შემნახველს უფლება აქვს აუცილებლობის შემთხვევაში შეცვალოს ნივთის შენახვის წესი. ამის თაობაზე მან უნდა აცნობოს მიმბარებელს. შემნახველმა ასევე უნდა აცნობოს მიმბარებელს მიბარებულ ნივთზე მესამე პირთა მოთხოვნების შესახებ.

ნივთის თვისებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მიმბარებელმა უნდა აუნაზღაუროს შემნახველს შესანახად მიბარებუ-

ლი ნივთის თვისებების გამო მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მან ამ ნივთის საფრთხის შემცველი თვისებების შესახებ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა.

მიბარებული ნივთის დაბრუნების ვადა

მიმბარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს შესანახად მიბარებული ნივთის დაბრუნება, — იმ შემთხვევაშიც, თუ შენახვის ვადა განსაზღვრული იყო.

მიბარებული ნივთის უკან წაღების მოვალეობა. შემნახველს შეუძლია ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მიმბარებელს შესანახად მიბარებული ნივთის უკან წაღება, თუ შენახვის ვადა განსაზღვრული არ იყო.

შემნახველს შეუძლია ეს უფლება განახორციელოს მხოლოდ ისე, რომ მიმბარებელს სხვა გზით შეეძლოს ნივთის შენახვა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი მიბარებული ნივთის უკან დაბრუნებისათვის.

მიბარებული ნივთის დაბრუნების ადგილი.

ნივთის დაბრუნება უნდა მოხდეს ხელშეკრულებაში მითითებულ ადგილას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მიღწეულია შეთანხმება სხვა ადგილზე დაბრუნების თაობაზე. ტრანსპორტირების ხარჯები ეკისრება მიმბარებელს.

მიბარებული ნივთის ნაყოფის გადაცემის ვალდებულება. შემნახველი მოვალეა, გადასცეს მიმბარებელს ის ნაყოფი, რომელიც მიიღო მიბარების განმავლობაში.

მიმბარებელი მოვალეა აუნაზღაუროს შემნახველს ნივთის შენახვისათვის გაწეული აუცილებელი ხარჯები.

შემნახველის პასუხისმგებლობა განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის. თუ მიბარებული ნივთის წასაღებად განსაზღვრულია ვადა, ამ ვადის დადგომის შემდეგ შემნახველი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის.

საზღაურის გადახდის მოვალეობა. თუ მიბარება სასყიდლიანია, მაშინ მიმბარებელი მოვალეა ხელშეკრულების შეწყვეტისას შემნახველს გადაუხადოს დათქმული საზღაური.

მიბარებული ნივთის დაკავების უფლება. კუთვნილი საზღაურის მიღებამდე და შენახვისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებამდე შემნახველს შეუძლია უარი თქვას მიბარებული ნივთის დაბრუნებაზე.

გვაროვნული ნივთის მიბარების თავისებურებანი. თუ მიბარებულია გვაროვნული ნივთი ისე, რომ საკუთრება შემნახველზე უნდა გადავიდეს, ხოლო შემნახველი ვალდებულია დააბრუნოს იმავე გვარის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი, მაშინ გამოიყენება სესხის ხელშეკრულების შესაბამისი ნორმები.

სასტუმროში მიბარების თავისებურებანი. სასტუმრო, სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი პასუხს აგებენ იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგა სტუმარს იმ ქონების დაკარგვით, განადგურებით ან დაზიანებით, რომელიც მას თან ჰქონდა. ეს წესი არ გამოიყენება ფულისა და ძვირფასეულობის მიმართ, თუ ისინი საგანგებოდ არ ყოფილა ჩაბარებული.

პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაუძლეველი ძალის გამო. პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით, სტუმრის ან მისი თანხმლები პირის მიერ, ანდა თვით ნივთის თვისებებით.

მიბარება სასაქონლო საწყობში

სასაქონლო საწყობში მიბარების ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება მიბარების ხელშეკრულების შესაბამისი ნორმები, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

შენახვის ვალდებულებათა კეთილსინდისიერად შესრულების მოვალეობა. სასაწყობო შემნახველმა საქონლის მიბარების ვალდებულებები უნდა შეასრულოს კეთილსინდისიერი მეურნის გულისხმიერებით.

საქონლის რაოდენობის შემოწმება შემნახველის მიერ. შემნახველი არ არის ვალდებული საქონლის მიღებისას შეამოწმოს მისი რაოდენობა, ზომა, წონა, სახეობა, ხარისხი ან სხვა თვისებები, თუ ამ თავის წესებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

თუ საქონელი, რომელიც შესანახად გადაეცა შემნახველს, გადაცემისას დაზიანებული ან დაუკომპლექტებელი აღმოჩნდება, რაც გარეგნული დათვალიერებითაც შესამჩნევია, მაშინ შემნახველი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის თაობაზე მიმბარებელს; თუ იგი არ შეასრულებს ამ მოვალეობას, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.

მიბარებული საქონლის დათვალიერების უფლება. შემნახველი მოვალეა სამუშაო დროის განმავლობაში ნება დართოს მიმ-

ბარებელს დაათვალიერიოს მიბარებული საქონელი, აიღოს ნიმუშები ან განახორციელოს აუცილებელი მოქმედებანი.

შეტყობინების ვალდებულება. შემნახველი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს მიმბარებელს, თუ იგი შესანახად მიბარებულ საქონელს გადაიტანს სხვა საწყობში, ან თუ აღმოაჩენს, რომ საქონლის თვისებები შეიცვალა ანდა არსებობს მისი შეცვლის საშიშროება. მან ეს უნდა შეატყობინოს სასაწყობო მოწმობის მისთვის ცნობილ ბოლო მფლობელს. ამ მოვალეობის შეუსრულებლობისას, იგი ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. შემნახველი პასუხისმგებელია შესანახად გადაცემული საქონლის დაკარგვით ან/და დაზიანებით მიყენებული ზიანისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამის თავიდან აცილება კეთილსინდისიერ შემნახველსაც არ შეეძლო.

მიბარებული საქონლის გაყიდვა. თუ შესანახად მიბარებული საქონელი ფუჭდება ან იმდენად იცვლება, რომ იგი შეიძლება გაუფასურდეს და შემნახველს დრო აღარ რჩება ამის თაობაზე შეატყობინოს ან არ შეუძლია შეატყობინოს უფლებამოსილ პირს, მაშინ ის უფლებამოსილია საქონელი გაყიდოს.

სასაწყობო მოწმობა. საქონლის მიღებისას შემნახველი ვალდებულია მიმბარებელს გადასცეს სასაწყობო მოწმობა.

სასაწყობო მოწყობის რეკვიზიტები. სასაწყობო მოწმობაში უნდა აღინიშნოს:

ა. სასაწყობო მოწმობის გაცემის თარიღი და რეგისტრაციის ნომერი;

ბ. მხარეთა ვინაობა და მისამართი;

გ. შენახვის ადგილი;

დ. საქონლის შენახვის წესი;

ე. შესანახი საქონლის აღწერა (ოდენობა, ზომა ან წონა) და ხარისხი; საქონლის შეფუთვისას – შეფუთვის აღწერა;

ვ. შენახვის საზღაურისა და სხვა აუცილებელი ხარჯების ოდენობა;

ზ. თუ შესანახი საქონელი დაზღვეულ უნდა იქნეს, მაშინ – სადაზღვევო თანხა;

თ. ხელშეკრულების მოქმედების ვადა;

ი. შემნახველის ხელმოწერა, დამოწმებული შესაბამისი ბეჭდით.

2. თუ ამ მუხლში დასახელებული პირობები სრულად არ არის ასახული სასაწყობო მოწმობაში, ეს მხარეებს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან. მხარეებს უფლება აქვთ სასაწყობო მოწმობაში შეიტანონ სხვა პირობებიც.

ვარანტი. სასაწყობო მოწმობის მფლობელს საგირავნო მოწმობის საშუალებით შეუძლია საწყობში შესაბამისად მიბარებული საქონელი დააგირაოს სხვა ვალდებულების უზრუნველსაყოფად ისე, რომ საქონელი საწყობიდან არ იყოს გატანილი (ვარანტი).

საორდერო სასაწყობო მოწმობა. თუ შემნახველი გასცემს საორდერო სასაწყობო მოწმობას, მაშინ ეს მოწმობა შეიძლება გადაეცეს მესამე პირს ინდოსამენტის მეშვეობით.

პასუხისმგებლობა ინდოსირებული სასაწყობო მოწმობისათვის. თუ სასაწყობო მოწმობა გაცემულია ინდოსამენტის მეშვეობით, მაშინ, შემნახველი პასუხს აგებს ამ მოწმობის მფლობელის წინაშე მასში მითითებული პირობების სისწორისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოწმობაში აშკარად არის მითითებული, რომ ეს მონაცემები ეფუძნება მიმბარებლის, ან მესამე პირის ინფორმაციას.

თუ შემნახველმა იცოდა, რომ მონაცემები არასწორია, მაშინ იგი პასუხს აგებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან გააკეთა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული მითითება.

შერეული შენახვისას შემნახველს არა აქვს უფლება გააკეთოს პირველ ნაწილში აღნიშნული მითითება.

ინდოსამენტის სისწორის პრეზუმფცია. შემნახველი, რომელმაც გასცა საორდერო სასაწყობო მოწმობა, ვალდებულია შესანახად მიბარებული საქონელი დაბრუნებისას გადასცეს მხოლოდ სასაწყობო მოწმობის კანონიერ მფლობელს.

თუ გაცემულია საგირავნო სასაწყობო მოწმობა, მაშინ შემნახველმა უნდა მოითხოვოს მისი დაბრუნება.

შემნახველი არ არის ვალდებული შეამოწმოს ინდოსამენტის სისწორე. გადაცემა დასტურდება სასაწყობო მოწმობაზე სათანადო წარწერით.

სასაწყობო მოწმობის დაკარგვა. 1. სასაწყობო ან საგირავნო მოწმობის დაკარგვისას ან მოსპობისას მის კანონიერ მფლობელს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს დაკარგული დოკუმენტის ბათილად ცნობა და მის ნაცვლად ახალი მოწმობის გაცემა. სასამართლო განცხადებას განიხილავს განსაკუთრებული წარმოების წესით.

სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შემნახველი ხელახლა გასცემს სასაწყობო ან საგირავნო მოწმობას.

მიბარებული საქონლის დაგირავება. სასაქონლო საწყობში შესანახად ჩაბარებული საქონლის დასაგირავებლად მესაკუთრემ საგირავნო მოწმობაზე უნდა გააკეთოს სპეციალური წარწერა (ინდოსამენტი) და ისე გადასცეს დაინტერესებულ პირს.

ინდოსამენტი უნდა ითვალისწინებდეს მიმბარებლის, კრედიტორის ვინაობასა და ვალდებულების მოცულობას.

კრედიტორისათვის საგირავნო მოწმობის გადაცემის თაობაზე ეცნობება შემნახველს, რომელიც გააკეთებს სათანადო აღნიშვნას.

გირავნობის უფლების გადასვლა სასაწყობო მოწმობის ახალ მფლობელზე. შემნახველს შენახვის ხარჯების გამო წარმოეშობა საქონლის გირავნობის უფლება მანამდე, სანამ იგი მის მფლობელობაშია.

თუ სასაწყობო მოწმობა ინდოსამენტის მეშვეობით არის გაცემული, მაშინ გირავნობის უფლება არსებობს სასაწყობო მოწმობის ახალი მფლობელის მიმართ.

მიბარებული საქონლის უკან წაღების მოთხოვნის დაუშვებლობა. 1. შემნახველს შენახვის ხარჯების გამო წარმოეშობა საქონლის გირავნობის უფლება მანამდე, სანამ იგი მის მფლობელობაშია.

2. თუ სასაწყობო მოწმობა ინდოსამენტის მეშვეობით არის გაცემული, მაშინ გირავნობის უფლება არსებობს სასაწყობო მოწმობის ახალი მფლობელის მიმართ.

დამატებითი ვადის დანიშვნა საქონლის მიღებისას. თუ შენახვის ვადის გასვლის შემდეგ სასაწყობო მოწმობის მფლობელი თავს არიდებს საწყობიდან საქონლის წაღებას, შემნახველმა უნდა დაუნიშნოს მას საქონლის წაღების დამატებითი ორკვირიანი ვადა; თუკი მოწმობის მფლობელი ამ ვადაშიც არ წაიღებს საქონელს, შემნახველს უფლება აქვს გაყიდოს იგი.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა შემნახველისათვის კუთვნილი ხარჯების გამოკლებით გადაეცემა სასაწყობო მოწმობის მფლობელს.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
საპასუხისმგებლო შენახვაზე

ქ. თბილისი „———"———— ————" 2006 წ.

———————————————————— შემდგომში „მიმ-
ბარებელი", საწარმოს გენერალური დირექტორის ——————
—————————— სახით, ერთის მხრივ და ——————————
——————————— შემდგომში „შემნახველი" საწარმოს
გენერალური დირექტორის —————————————————
სახით, მეორეს მხრივ, ვსარგებლობთ რა ჩვენი საწარმოს წესდე-
ბებით მონიჭებული უფლებამოსილებებით, შევთანხმდით

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებს საგანს წარმოადგენს შემნახ-
ველის საწყობში მიმბარებლის საქონლის დროებით შენახვა;

1.2. საქონლის შენახვას შემნახველი ახორციელებს დახურულ, და-
ცულ საწყობში, აუცილებელი ტემპერატურის შენარჩუნების პირობებში;

2. ღირებულება და ანგარიშსწორება

2.1. საქონლის შენახვისათვის მიმბარებელი **„შემნახველს"** უხ-
დის ————— ლარს, ანაზღაურების გაანგარიშება მოყვანილია
კალკულაციაში, დანართი № 1;

2.2. **„შემნახველის"** საწყობიდან მიმბარებლის საქონლის გატა-
ნა მიმბარებელზე ან მის სრულუფლებიან წარმომადგენელზე, და-
იშვება მხოლოდ **„მიმბარებელსა"** და **„შემნახველს"** შორის ანგა-
რიშსწორების სრულად განხორციელების შემდეგ;

2.3. გადახდა დაიშვება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშ-
სწორებით;

3. მხარეების ვალდებულებები

3.1. **„მიმბარებელი“** ვალდებულია:

3.1.1. გადასცეს **„შემნახველს“** საქონელი შეფუთულ მდგომარეობაში;

3.1.2. საწყობში საქონლის შეტანა და დასაწყობება მოახდინოს საკუთარი ხარჯითა და რისკით;

3.1.3. **„შემნახველს“** საქონელი ჩააბაროს მიღება-ჩაბარების აქტით;

3.2. **„შემნახველი“** ვალდებულია:

3.2.1. მკაცრად დაიცვას საქონლის შენახვის წესები;

3.2.2. არ დაუშვას საქონლის გაცემა პირებზე, მიმბარებლის სათანადოდ გაფორმებული წერილობითი ნებართვის გარეშე;

3.2.3. აწარმოოს მიბარებული საქონლის მოძრაობის აღრიცხვა დადგენილი წესით და ასეთი აღრიცხვის შედეგები პირველივე მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ წარუდგინოს მიმბარებელს;

3.2.4. გამორიცხოს მესამე პირების არასანქცირებული დაშვება შესანახად მიბარებულ საქონელთან და ასეთი საქონლის შესახებ ინფორმაციის არასანქცირებული გადაცემა მესამე პირებისათვის;

3.2.5. **„მიმბარებლის“** დავალებით, საწყობის ფარგლებში შეასრულოს მიბარებული საქონლის გადაადგილება, დათვლა, აზომვა, აწონვა. მიმბარებელი ვალდებულია, შემნახველს დამატებით აუნაზღაუროს ასეთი სამუშაოების ღირებულება წარდგენილი საანგარიშსწორებო დოკუმენტების საფუძველზე;

3.2.6. აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოს საქონლის 24 საათიანი მიღება და გაცემა;

3.2.7. უზრუნველყოს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები საკუთარი სახსრებით და რისკით, საწყობის ფარგლებში და საქონლის გაცემისას;

3.2.8. დაუყოვნებლივ გასცეს საქონელი **„შემნახველზე“** ან **„შემნახველის“** სრულუფლებიან წარმომადგენელზე ან **„შემნახველის“** ნებართვით მესამე პირზე სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში;

3.2.9. უზრუნველყოს **„მიმბარებლის“** შეუფერხებელი დაშვება

მიბარებული საქონლის დათვალიერებისა და შემოწმებისათვის;

3.2.10. დაუყოვნებლივ შეატყობინოს **„მიმბარებელს“** საქონლის დაზიანების ან ასეთი დაზიანების საშიშროების წარმოქმნის შესახებ;

3.2.11. საქონლის მიღებისთანავე მისცეს **„მიმბარებელს“** სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტი საწყობში შესანახად მიღებული საქონლის შესახებ;

4. საქონლის მიღებისა და ჩაბარების წესი

4.1. **„შემნახველის“** მიერ საქონლის მიღება **„მიმბარებლის“** წარმომადგენლისაგან ან საქონლის გაცემა **„მიმბარებლის“** წარმომადგენლისათვის, ან **„მიმბარებლის“** ნებართვით მესამე პირისათვის ხდება სათანადოდ გაფორმებული წერილობითი დოკუმენტების საფუძველზე საქონლის მიმღების შემომტანის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის აუცილებელი წარმოდგენის შემთხვევაში;

4.2. **„შემნახველის“** მიერ შესანახად საქონლის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით;

4.3. **„შემნახველი“** ვალდებულია მიმბარებელს ან მიმბარებლის მითითებით მესამე პირს საქონელი დაუბრუნოს ისეთივე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც საქონელი საწყობში იქნა შეტანილი, ბუნებრივი ცვლილებების გათვალისწინებით;

5. მხარეების პასუხისმგებლობა

5.1. **„შემნახველის“** პასუხისმგებლობა:

5.1.1. **„შემნახველს“** ეკისრება სრული მატერიალური პასუხისმგებლობა მიბარებული საქონლის დაკარგვაზე, დანაკლისზე, დაზიანებაზე, შეფასებული ღირებულების 100%-ის ფარგლებში.

საქონლის შეფასებული ღირებულება ცალსახად უნდა იყოს მითითებული მიღება-ჩაბარების აქტში და შეიძლება განსხვავდებოდეს საქონლის საფაქტურო ღირებულებისაგან;

5.1.2. **„შემნახველი“** ვალდებულია აუნაზღაუროს **„მიმბარებელს“** შენახვის პროცესში წარმოქმნილი დანაკლისი და ზიანი ასეთი

დანაკლისისა და ზიანის თაობაზე აქტის ხელმოწერის მომენტიდან 10 დღის ვადაში. ასეთი აქტი უნდა შედგეს დაუყოვნებლივ, დანაკლისისა და ზიანის გამოვლენისთანავე;

5.2. მხარეების პასუხისმგებლობა იმ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით;

6. დაუძლეველი ძალის გარემოებები

6.1. არცერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, როდესაც ასეთის შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებებით;

6.2. დაუძლეველი ძალის გარემოებების სტაბილური გამოვლინებისთანავე, მხარე, რომელიც დადგა ასეთი გარემოებების პირისპირ, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოებების შესახებ;

6.3. კომპეტენტური სავაჭრო-სამრეწველო პალატის ცნობა დაუძლეველი ძალის გარემოებების წარმოქმნისა და მოქმედების ხანგრძლივობის შესახებ განიხილება, როგორც ასეთი გარემოებების არსებობის საკმარისი მტკიცებულება;

6.4. მხარე, რომელიც დროულად არ შეატყობინებს მეორე მხარეს დაუძეველი ძალის გარემოებების წარმოქმნის, ხანგრძლივობისა და შეწყვეტის შესახებ, კარგავს უფლებას, მიუთითოს ასეთ გარემოებებზე;

6.5. დაუძლეველი ძალის გარემოებები არ შეიძლება გახდეს მხარის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი, როდესაც ასეთი გარემოებები არსებობდა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტამდე ან არ დასტურდება მათი გავლენა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებაზე;

7. საერთო პირობები

7.1. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობით;

7.2. საკითხები, რომლებიც არ არის განხილული წინამდებარე ხელშეკრულებაში, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით;

7.3. ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ დავებს მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. თუ ასეთი არ მიიღწევა, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს ან არბიტრაჟს;

7.4. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრულად განხორციელებამდე;

7.5. ხელშეკრულება შედგენილია ორ ორიგინალურ ეგზემპლარად, ორივე ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა;

8. მხარეების იურიდიული მისამართები

„მიმბარებელი“: ______________________________
____
____

„შემნახველი“: ______________________________
____
____

მიმბარებელი **შემნახველი**

____________________ ____________________

„___“ __________ 2006 წ. „___“ __________ 2006 წ.

საკუთრების მინდობა

ზოგადი ნაწილი

საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით საკუთრების მიმნდობი გადასცემს ქონებას მინდობილ მესაკუთრეს, რომელიც იღებს და მართავს მას საკუთრების მიმნდობის ინტერესების შესაბამისად.

საკუთრების მინდობის. ქონების მართვის უფლებით გადაცემის საკითხები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 724–729 მუხლებით. როდესაც ქონების მართვის უფლებით გადაცემა ხდება სამეწარმეო მიზნებისათვის გამოსაყენებლად, გათვალისწინებული უნდა იქნეს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნები.

მინდობილი მესაკუთრის უფლება-მოვალეობანი. მინდობილი მესაკუთრე მოვალეა, მართოს მინდობილი საკუთრება თავისი სახელით, მაგრამ საკუთრების მიმნდობის რისკითა და ხარჯით.

მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში სარგებლობს მესაკუთრის უფლებამოსილებით. თუ მინდობილი მესაკუთრე, საკუთრების მიმნდობის ინტერესების საწინააღმდეგოდ, არ იჩენს ისეთ გულისხმიერებას, როგორიც მას საკუთარი საქმეების მიმართ უნდა გამოეჩინა, იგი ვალდებულია აანაზღაუროს ამ მოქმედებით გამოწვეული ზიანი.

საკუთრების მინდობის ხარჯების ანაზღაურება. მინდობილი მესაკუთრე მინდობილ საკუთრებასთან დაკავშირებული საქმიანობისათვის საკუთრების მიმნდობისაგან არ იღებს გასამრჯელოს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მინდობილ საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ეკისრება საკუთრების მიმნდობს. ქონების ნაყოფი რჩება საკუთრების მიმნდობს.

საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ფორმა. საკუთრების მინდობის ხელშეკრულება იდება წერილობით.

მინდობილი მესაკუთრის პასუხისმგებლობა. მესამე პირებთან ურთიერთობაში პასუხს აგებს მინდობილი მესაკუთრე.

დავალების ხელშეკრულების წესების გამოყენება. საკუთრების მინდობის მიმართ გამოიყენება დავალების ხელშეკრულების შესაბამისი წესები.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
ქონების მართვის უფლებით გადაცემაზე

ქ. თბილისი „———"————————" 2006 წ.

————————————————, საწარმოს გენერალური დირექტორის ———————————— სახით, შემდგომში „მესაკუთრე", ერთის მხრივ და ————————————, საწარმოს გენერალური დირექტორის ———————————— სახით, შემდგომში „მმართველი", მეორეს მხრივ, ვსარგებლობთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „მესაკუთრე" „მმართველს" გადასცემს № 1 დანართში აღნიშნული ქონების მართვის უფლებას, „მმართველი" კი ვალდებულებას კისრულობს, მართოს მისთვის მართვის უფლებით გადაცემული ქონება „მესაკუთრის" ინტერესების შესაბამისად;

1.2. ქონებაზე მართვის უფლების გადაცემა არ გულისხმობს საკუთრების უფლების გადაცემას. ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში № 1 დანართში მითითებული ქონება რჩება მესაკუთრის საკუთრებაში და თავისუფალია ყოველგვარი უფლებებისაგან მესამე პირების მხრიდან;

1.3. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, სარგებლის მიმღებია ქონების მესაკუთრე;

1.4. ხელშეკრულების ძირითადი მიზანია მართვის უფლებით გადაცემული ქონების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება მესაკუთრის მიზნებისათვის. მმართველისათვის ქონების მართვის უფლებით გადაცემა ხდება ——— წლის ვადით;

2. მხარეების უფლებები და ვალდებულებები

2.1. „მესაკუთრეს“:

2.1.1. ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ——— დღის ვადაში გადასცეს „მმართველს“ №1 დანართში აღნიშნული ქონება და ქონების მართვისათვის ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია.

2.1.2. ვალდებულია გასწიოს ხელშეკრულების ნოტარიალურად დამოწმებისა და ქონების გადაცემის გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი;

2.1.2.1. ქონების გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტით. აქტში აღნიშნული უნდა იყოს: თარიღი და შედგენის ადგილი, მხარეების სრული დასახელება, მართვის უფლებით გადაცემული ქონების სრული აღწერილობა, მისი ტექნიკური მდგომარეობის ჩათვლით;

2.1.3. უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში შეუფერხებლად დაათვალიეროს მართვის უფლებით გადაცემული ქონება, შეამოწმოს მისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის გამოყენების მდგომარეობა;

2.2. „მმართველს“:

2.2.1. „მმართველს“ უფლება აქვს განახორციელოს მართვის უფლებით გადაცემულ ქონებასთან დაკავშირებით ნებისმიერი იურიდიული და ფაქტიური ქმედება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად;

2.2.1.1. „მმართველი“ პირადად აგებს პასუხს მესამე პირების მიმართ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა გადაწყვეტის უფლებამოსილება არა აქვს გადაცემული „მმართველს“ წინამდებარე ხელშეკრულებით;

2.2.1.2. ყველა უფლება, რომელსაც „მმართველი“ მოიპოვებს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ფარგლებში, ავტომატურად შედის მისთვის მართვის უფლებით გადაცემული ქონების შემადგენლობაში;

2.2.2. ვალდებულია ხელშეკრულების მიზნებისათვის გახსნას

ცალკე ანგარიში ბანკში და აწარმოოს მართვის უფლებით გადა-ცემული ქონებისა და ამ ქონებასთან დაკავშირებული საბუღალტრო ოპერაციების გამოცალკევებული ბუღალტრული აღრიცხვა და ან-გარიშგება;

2.2.3. „მმართველი“ პირადად არის პასუხისმგებელი მართვის უფლებით გადაცემული ქონებიდან წარმოქმნილი ყველა საგადა-სახადო ვალდებულებებისა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორები-სათვის;

2.2.4. „მმარეელი“ საკუთარი სახსრებით და რისკით უზრუნ-ველყოფს ქონების შენახვასა და დაცვას, ახორციელებს კაპიტალუ-რი და მიმდინარე რემონტების სამუშაოებს, საინჟინრო ქსელების ექსპლუატაციას; მართვის უფლებით გადაცემული ქონების მართ-ვასთან დაკავშირებულ ყველა კომუნალური, სხვა გადასახადისა და მოსაკრებლის გადახდას;

2.2.5. „მმართველი“ უზრუნველყოფს მისთვის მართვის უფლე-ბით გადაცემული ქონების სახანძრო და სადარაჯო დაცვას;

2.2.6. იგი ასევე უზრუნველყოფს მისთვის გადაცემულ ქონებაზე არსებულ ყველა უფლების დაცვას, მოითხოვს ასეთი უფლებების ნებისმიერი დარღვევის აღდგენას;

2.2.7. ვალდებულია სისტემატურად, ყოველი კვარტლის მომდევ-ნო თვის ——— რიცხვამდე წარუდგინოს „მესაკუთრეს“ სრული წერილობითი ინფორმაცია ქონების მართვისა და შედეგების შე-სახებ;

2.2.8. „მმართველი“ ვალდებულია პირადად განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით მისთვის გადაცემული ქონების მარ-თვა. ასეთ მართვაში მესამე პირის მოწვევა და მისთვის „მმართ-ველის“ უფლებებისა და ვალდებულებების ნაწილის დელეგირება დაიშვება მხოლოდ „მესაკუთრის“ წერილობითი ნებართვით;

2.2.9. „მმართველს“ უფლება არა აქვს „მესაკუთრის“ ნებართ-ვის გარეშე მოახდინოს:

2.2.9.1. მიწის ნაკვეთისა და ძირითადი საშუალებების გასხვისე-ბა;

2.2.9.2. მოკლევადიანი აქტივების გასხვისება, რომლის ღირებულებაც აღემატება ქონების მთლიანი საბალანსო ღირებულების ——— %-ს;

2.2.9.3. აიღოს სესხები და სხვა ვალდებულებები, რომელთა ღირებულება აღემატება ქონების საერთო ღირებულების ——— %-ს.

3. მმართველის გასამრჯელო

3.1. **„მესაკუთრე“** ყოველწლიურად, წლიური ანგარიშის წარმოდგენიდან ——— დღის ვადაში გასამრჯელოს სახით უხდის **„მმართველს“** მართვის უფლებით გადაცემული ქონების გამოყენებით მიღებული სუფთა მოგების ——— %-ს;

3.2. **„მესაკუთრე“** ასევე უნაზღაურებს **„მმართველს“** ქონების მართვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, რომელიც დადასტურებული იქნება სათანადადო წესით გაფორმებული პირველადი დოკუმენტებით;

4. მხარეების პასუხისმგებლობა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2. **„მმართველი“** ვალდებულია აუნაზღაუროს მართვის პროცესში ქონებისათვის მისი უყურადღებობით, მიყენებული ზიანი, თუ იგი არ დაამტკიცებს რომ ასეთი ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებებით;

4.3. ყველა ვალები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება მართვის უფლებით გადაცემულ ქონებასთან დაკავშირებით, დაიფარება ამ ქონებიდან, თუ ასეთი ქონება არ იქნება საკმარისი, დავალიანება დაიფარება **„მმართველის“** ქონებიდან;

4.4. თუ არც ასეთი ქონება იქნება საკმარისი, ვალდებულების დასაფარავად მიიქცევა მესაკუთრის ქონება;

4.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მმართველი გირაოს სახით გადასცემს მესაკუთრეს №2 დანართში მოყვანილ ქონებას;

5. საერთო პირობები

5.1. ხელშეკრულება იდება ——— წლით და ძალაში შედის ქონების გადაცემის კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციის მომენტიდან;

5.2. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობით;

5.3. მხარეებს უფლება აქვთ, დასაბუთებულ შემთხვევებში მოითხოვონ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობონ მეორე მხარეს ——— თვით ადრე;

5.4. ხელშეკრულების ყველა დანართი ნოტარიულად დამოწმების შემდეგ ავტომატურად ხდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი;

5.5. ხელშეკრულების ვადის ამოწურვის ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მმართველი ქონებას უბრუნებს მესაკუთრეს მიღება-ჩაბარების აქტით;

5.6. ხელშეკრულება შედგენილია ოთხ ორიგინალურ ეგზემპლარად. ოთხივე ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

6. მხარეების იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

მესაკუთრე	მმართველი
______________________	______________________
ბ. ა.	ბ. ა.

სესხის ხელშეკრულება

ზოგადი ნაწილი

სესხის ხელშეკრულებით **„გამსესხებელი“** საკუთრებაში გადასცემს **„მსესხებელს“** ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო **„მსესხებელი“** კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. სესხის ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623–628 მუხლებით.

სესხის ხელშეკრულების ფორმა. სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით.

პროცენტი სესხისათვის. სესხისათვის მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ პროცენტი, რაც გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან. ამ წესის დარღვევით პროცენტის შესახებ დადებული შეთანხმება ბათილია.

ხელშეკრულების შეწყვეტა და ვალის დაბრუნება. თუ ვალის დაბრუნების ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ, ვალი დაბრუნებულ უნდა იქნეს კრედიტორის, ან მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას.

ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს სამ თვეს. თუ პროცენტები არ არის შეპირებული, მოვალეს შეუძლია ვალი დააბრუნოს ვადამდე. პროცენტიანი სესხის ვადამდე დაბრუნება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი შეთანხმებით, ან გამსესხებლის თანხმობით.

პროცენტები გადახდილ უნდა იქნეს ყოველი წლის გასვლის შემდეგ. თუ სესხი წინასწარ არის ვადით განსაზღვრული, მაშინ ვალიცა და პროცენტიც გადახდილ უნდა იქნეს ვადის დადგომისას.

ვალის დაუყოვნებლივ მოთხოვნის უფლება. **„გამსესხებელს“** უფლება აქვს დაუყოვნებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება, თუ **„მსესხებლის“** ქონებრივი მდგომარეობა არსებითად უარესდება, რითაც საფრთხე შეექმნება სესხის დაბრუნების მოთხოვნას. ეს უფლება მაშინაც არსებობს, თუ **„მსესხებლის“** ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება წინ უსწრებდა ხელშეკრულების დადებას, ხოლო **„გამსესხებლისათვის“** იგი ცნობილი გახდა მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ.

სესხის შეპირება. სესხის შეპირებისას დამპირებელს შეუძლია უარი თქვას სესხის მიცემაზე, თუ მეორე მხარის ქონებრივი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ შეიძლება საფრთხე შეექმნას ვალის დაბრუნებას. სესხის შეპირება უნდა გაფორმდეს წერილობით.

სასესხო
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი „———"——————————" 2006 წ.

————————————————————————, საწარმოს გენერალური დირექტორის ———————————————————————— სახით, შემდგომში „გამსესხებელი", ერთის მხრივ და ———————————————————————————————, საწარმოს გენერალური დირექტორის —————————————————————————— სახით, შემდგომში „მსესხებელი" მეორეს მხრივ, ვსარგებლობთ რა ჩვენი საწარმოს წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „გამსესხებელი" ასესხებს „მსესხებელი"-ს სესხეულობს —————————— ლარს (აშშ დოლარს) წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით ——————————————————————————————————————

(სესხის დანიშნულება)

1.2. სესხი მსესხებელს გადაეცემა —————————— ვადით;

1.3. სესხი გაიცემა უპროცენტოდ.

1.4. თანხის **„მსესხებლის"** ანგარიშზე ჩარიცხვიდან დღის განმავლობაში. **„მსესხებელი"** და **„გამსესხებელი"** შეადგენენ აქტს თანხის მიღების თაობაზე, რომელშიც უნდა აღინიშნოს: აქტის შედგენის თარიღი, მხარეების დასახელება, მიღებული თანხა, დაბრუნების ვადა და მხარეების ხელმოწერები;

1.5. სესხის მიღების თარიღად ითვლება თანხის **„მსესხებლის"** ანგარიშზე ჩარიცხვის თარიღი;

2. მხარეების უფლებები და მოვალეობები

2.1. **„გამსესხებლის"** უფლებები და მოვალეობები:

2.1.1. **„გამსესხებელი"** ხელშეკრულებით განსაზღვრულ სესხის თანხას გადასცემს **„მსესხებელს"** ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ხუთი საბანკო დღის განმავლობაში, თანხის მსესხებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით;

2.1.2. **„გამსესხებელს"** უფლება აქვს, აკონტროლოს **„მსესხებლის"** მიერ სესხის გამოყენება ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისათვის;

2.2. **„მსესხებლის"** უფლებები და ვალდებულებები:

2.2.1. **„მსესხებელი"** ვალდებულია, აღებული სესხი დაუბრუნოს **„გამსესხებელს"** არაუგვიანეს ———————————;

2.2.2. მსესხებელს უფლება აქვს სესხი დააბრუნოს 2.1.1. პუნქტში აღნიშნულ ვადაზე ადრე;

2.2.3. **„მსესხებელი"** ვალდებულია, „გამსესხებლის" მხრიდან სესხის გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით, ყოველთვიურად წარუდგინოს მას ინფორმაცია აღებული სესხის გამოყენების მიმდინარეობის შესახებ, ასევე კვარტალური ფინანსური ანგარიშების ასლები;

2.2.4. სესხი ჩაითვლება დაფარულად, თანხის **„გამსესხებლის"** ანგარიშზე ჩარიცხვის მომენტიდან.

3. მხარეების პასუხისმგებლობა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3.2. **„გამსესხებლის"** მიერ **„მსესხებლისათვის"** სესხის დაგვიანებით გადაცემისათვის **„გამსესხებელი"** პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის **„მსესხებელს"** დროულად გადაუცემელი თანხის ——— %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის;

3.3. სესხის დაგვიანებით დაბრუნების შემთხვევაში **„მსესხებელი"** პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის **„გამსესხებელს"** ვადაზე გადაუხდელი თანხის ——— %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის;

3.4. აღებული სესხის არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში, **„მსესხებელი" „გამსესხებელს"** ჯარიმის სახით გადაუხდის სესხის ——— %-ს;

3.5. პირგასამტეხლოსა და ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისაგან;

3.6. ხელშეკრულების არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში, **„გამსესხებელს"** ჯარიმის მიღებასთან ერთად, უფლება აქვს მოსთხოვოს **„მსესხებელს"** აღებული სესხის ვადამდე ადრე დაბრუნება.

4. დავების გადაწყვეტა

4.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავები გადაჭრან მოლაპარაკების გზით;

4.2. თუ ასეთი ვერ იქნება მიღწეული, დავა განსახილველად გადაეცემა არბიტრაჟს (არბიტრაჟის დასახელება. არბიტრების რაოდენობა, მათი არჩევისა და აცილების წესი. დავის განხილვის ადგილი, განხილვის ენა და გამოყენებული სამართალი.

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან;

5.2. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობით.

6. დამატებითი პირობები

6.1. საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;

6.2. ხელშეკრულების ყველა წერილობითი, მხარეებს შორის შეთანხმებული დამატება, ავტომატურად ხდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი;

6.3. ხელშეკრულების ერთი ან რამდენიმე მუხლის ძალადაკარგულად აღიარება არ გამოიწვევს ხელშეკრულების გაუქმებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან;

6.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ორიგინალურ ეგზემპლარად, ორივე ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

7. მხარეების რეკვიზიტები და ხელმოწერები

გამსესხებელი	მსესხებელი
______________________	______________________
ბ. ა.	ბ. ა.

სესხის
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი „——" "———————————" 2006 წ.

მოქალაქე ———————————, მცხოვრები ———————————, პირადობის მოწმობა № ——— ———————————, გაცემული ——————————————— ———, შემდგომში **„გამსესხებელი"**, ერთის მხრივ და მოქალაქე ———————————————————, მცხოვრები ——————— ————————————————————, პირადობის მოწმობა № ———————————————————, გაცემული ——————— ——————————————————, შემდგომში **„მსესხებელი"** მეორეს მხრივ, შეეთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. **„გამსესხებელი"** ასესხებს **„მსესხებელი"** კი სესხულობს — ————————— ლარს;

1.2. სესხი **„მსესხებელს"** გადაეცემა ——————— ვადით;

1.3. სესხი გაიცემა უპროცენტოდ.

1.4. **„გამსესხებლის"** მიერ **„მსესხებლისათვის"** თანხის გადაცემა გაფორმდება „მსესხებლის" მიერ გაცემული ხელწერილით;

1.5. სესხის მიღების თარიღად ითვლება **„მსესხებლის"** მიერ თანხის მიღებაზე ხელწერილის გაცემის თარიღი;

2. მხარეების უფლებები და მოვალეობები

2.1. **„გამსესხებლის"** უფლებები და მოვალეობები:

2.1.1. **„გამსესხებელი"** ხელშეკრულებით განსაზღვრული სესხის თანხას გადასცემს **„მსესხებელს"** ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან არაუგვიანეს ——————— დღისა;

2.1.2. იმ შემთხვევაში, თუ **„გამსესხებლისთვის"** ცნობილი გახ-

დება „მსესხებლის“ ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შესახებ. მას უფლება აქვს მოსთხოვოს „მსესხებელს“ სესხის ვადამდე დაბრუნება;

2.1.3. ვალდებულია „მსესხებლის“ მიერ სესხის დაბრუნებისას გასცეს ხელწერილი სესხის დაბრუნების თაობაზე და დაუბრუნებს „მსესხებელს“ მის მიერ სესხის აღებაზე გაცემულ ხელწერილს.

2.2. „მსესხებლის“ უფლებები და ვალდებულებები:

2.2.1. „მსესხებელი“ ვალდებულია აღებული სესხი დაუბრუნოს „გამსესხებელს“ არაუგვიანეს —————————— ——;

2.2.2. „მსესხებელს“ უფლება აქვს, ვადამდე დააბრუნოს აღებული სესხი;

2.2.3. სესხი ჩაითვლება დაფარულად, „გამსესხებლის“ მიერ სესხის დაბრუნებაზე ხელწერილის გაცემის მომენტიდან.

3. მხარეების პასუხისმგებლობა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3.2. „გამსესხებლის“ მიერ „მსესხებლისათვის“ სესხის დაგვიანებით გადაცემისათვის „გამსესხებელი“ პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის „მსესხებელს“ დროულად გადაუცემი თანხის ——— — %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის;

3.3. სესხის დაგვიანებით დაბრუნების შემთხვევაში მსესსებელი პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის გამსესხებელს ვადაზე გადაუხდელი თანხის ——— %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის;

3.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისაგან;

4. დავების გადაწყვეტა

4.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავები გადაჭრან მოლაპარაკების გზით;

4.2. თუ ასეთი ვერ იქნება მიღწეული, დავა განსახილველად გადაეცემა არბიტრაჟს. არბიტრაჟის დასახელება. არბიტრების რაო-

დენობა, მათი არჩევისა და აცილების წესი. დავის განხილვის ადგილი. განხილვის ენა და გამოყენებული სამართალი.

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან;

5.2. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობით.

6. დამატებითი პირობები

6.1. საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;

6.2. ხელშეკრულების ყველა წერილობითი მხარეებს შორის შეთანხმებული დამატება, ავტომატურად ხდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი;

6.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ორიგინალურ ეგზემპლარად, ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი ძალა.

7. მხარეების რეკვიზიტები და ხელმოწერები

გამსესხებელი	მსესხებელი
____________________	____________________
ბ. ა.	ბ. ა.

საბანკო კრედიტი

ზოგადი ნაწილი

საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით, კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით. საბანკო კრედიტის ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867– 873 მუხლებით.

საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთები. მხარეთა შეთანხმებით კრედიტორისათვის შეიძლება განისაზღვროს მყარი ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი.

თუ შეთანხმებით გათვალისწინებული ცვალებადი საპროცენტო განაკვეთისა და მისი სიდიდის განსაზღვრა შეეძლო კრედიტის გამცემს, იგი ვალდებულია ეს განსაზღვროს სამართლიანობის საფუძველზე; იგი ასევე მოვალეა საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გაზრდას ან შემცირებას შეუსაბამოს თავისი საპროცენტო განაკვეთი.

პროცენტის ცვალებადობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის სადისკონტო განაკვეთს ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს.

საკრედიტო ხელშეკრულების დადებისას უნდა განისაზღვროს საპროცენტო განაკვეთის ზრდისა და შემცირების ზღვარი და ცვლილებათა მინიმალური შუალედი.

კრედიტის გამცემი მოვალეა, მისაღები ფორმით შეატყობინოს მსესხებელს კრედიტისათვის საპროცენტო განაკვეთის შესახებ.

თუ წლიური საპროცენტო განაკვეთი არ არის მითითებული, მაშინ გამოიყენება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წლიური პროცენტი. თუკი ხარჯების დაკისრება არ იყო გათვალისწინებული წლიური პროცენტის გამოთვლისას, მაშინ ეს ხარჯები არ ანაზღაურდება.

კანონით დადგენილი საპროცენტო განაკვეთი. თუ მსესხებელი აყოვნებს გადახდას, რაც მას ევალებოდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულების საფუძველზე, დავალიანების თანხას უნდა დაერიცხოს ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის შესაბამისი პერიოდისთვის ფიქსირებული საპროცენტო (ან სადისკონტო) განაკვეთის 3%-ის ოდენობით გადიდებული თანხა.

თუ კრედიტის გამცემმა სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების გამო შეწყვიტა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, მაშინ წარმოიშობა კანონით დადგენილი საპროცენტო განაკვეთის მოთხოვნის უფლება. ეს წესები არ ვრცელდება კრედიტის გამცემის ან მსესხებლის

უფლებამე, ცალკეულ შემთხვევაში ამტკიცოს მეტი ან ნაკლები ზიანის არსებობა.

დამატებითი უზრუნველყოფის გამოყენება. თუ კრედიტის გაცემისას შეთანხმებულია სანივთო ან პირადული უზრუნველყოფა, მაშინ კრედიტის გამცემს სესხის არასრულად დაფარვისას შეუძლია მოითხოვოს დამატებითი უზრუნველყოფის გამოყენება.

კრედიტის გამცემი მოვალეა კრედიტის ამღების მოთხოვნით დააბრუნოს უზრუნველყოფა, რომელიც აღემატება დაფარვის შეთანხმებულ ფარგლებს.

ხელშეკრულების შეწყვეტა. თუ კრედიტისათვის შეთანხმებულია მყარი საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრული პერიოდისათვის, მაშინ კრედიტის ამღებს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ხელშეკრულება, თუკი საპროცენტო ვალდებულება მთავრდება დაბრუნებისათვის განსაზღვრულ ვადამდე და საპროცენტო განაკვეთის შესახებ რაიმე ახალი შეთანხმება არ არის დადებული. შეწყვეტის ვადა შეადგენს ერთ თვეს.

თუ კრედიტის ამღები მომხმარებელია და კრედიტი არ არის უზრუნველყოფილი იპოთეკით, მაშინ შეწყვეტის უფლება წარმოიშობა კრედიტის აღებიდან ექვსი თვის შემდეგ. შეწყვეტის ვადა კი შეადგენს სამ თვეს.

ათი წლის გასვლის შემდეგ შეწყვეტის უფლება არსებობს ნებისმიერ შემთხვევაში. შეწყვეტის ვადა შეადგენს ექვს თვეს.

მოვალეს შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით აღებული სესხი შეწყვეტის სამთვიანი ვადის დაცვით.

ზიანის ანაზღაურება კრედიტის ვადამდე დაბრუნებისათვის. თუ კრედიტის ამღები უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე, მაშინ კრედიტის გამცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. ამასთან, ზიანის საზღაურში უნდა ჩაითვალოს დაზოგილი გასავლების ღირებულება, აგრეთვე ის სარგებელი, რომელსაც კრედიტის გამცემი მიიღებდა სასესხო ვალუტის სხვაგვარი გამოყენებიდან, ან თუ კრედიტის მიმღებმა განზრახ არ დაუშვა მისი მიღება.

საკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტა კრედიტის ნაწილ-ნაწილ დაბრუნებისას. კრედიტის გამცემს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა, თუ გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამღებმა გადააცილა ზედიზედ, სულ ცოტა, ორ ვადას. შეწყვეტა ძალაში შედის მაშინ, თუ ორკვირიანი დამატებითი ვადის მიცემის შემდეგაც არ მოხდება გადახდა.

საკრედიტო
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი „———— ———" 2006წ.

კომერციული ბანკი ————————————
————, ბანკის მმართველის ————
———————— სახით, შემდგომში „ბანკი", ერთის მხრივ და ————————————
————, საწარმოს გენერალური დირექტორის ————
—————————— სახით, შემდგომში „მსესხებელი" მეორეს მხრივ, ვსარგებლობთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მონიჭებული უფლებამოსილებებით, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ბანკი აძლევს „მსესხებელს" კრედიტს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებზე
———— ლარის ოდენობით;

1.2. კრედიტი „მსესხებელს" გადაეცემა ———— ვადით;

1.3. სესხის მიღების თარიღად ითვლება თანხის მსესხებლის ანგარიშზე ჩარიცხვის თარიღი.

2. პროცენტი

2.1. ბანკი გაცემულ კრედიტს არიცხავს სარგებელს წლიური ———— %-იანი განაკვეთით;

2.2. პროცენტების გადახდა მოხდება ყოველთვიურად მომდევნო თვის ხუთ რიცხვამდე;

2.3. პროცენტის დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში, „მსესხებელი" პირგასამტეხლოს სახით უხდის გადაუხდელი თანხის ———— %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.

3. კრედიტის გამოყენების პირობები

3.1. „მსესხებელს“ წინამდებარე ხელშეკრულებით აღებული კრედიტის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის;

3.2. კრედიტის თანხაზე, რომელიც რიცხება ბანკში „მსესხებლის“ ანგარიშზე, დაერიცხება სარგებელი წლიური ——— %-იანი განაკვეთით.

4. კრედიტის დაფარვა

4.1. „მსესხებელი“ ვალდებულებას კისრულობს აღებული კრედიტი უპირობოდ დაფაროს თანდართული გრაფიკის მიხედვით (დანართი 1);

4.2. დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში „მსესხებელი“ პირგასამტეხლოს სახით უხდის ბანკს ვადაგადაცილებული თანხის ——— %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის;

4.3. კრედიტი დაფარულად ითვლება კრედიტის თანხის, საპროცენტო სარგებლისა და დარიცხული პირგასამტეხლოს სრულად გადახდის მომენტიდან.

5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ანგარიშსწორება ხდება წელიწადში 360 დღეზე გაანგარიშებით;

5.3. ანგარიშსწორება ხდება შემდეგი თანმიმდევრობით:

ა. პირველ რიგში იფარება დარიცხული პროცენტები და პირგასამტეხლოები;

ბ. მეორე რიგში იფარება ძირითადი თანხა.

6. ბანკის კონტროლი

6.1. ბანკს უფლება აქვს აკონტროლოს „მსესხებლის“ მიერ სესხის მიზნობრივი გამოყენება;

6.2. ასეთი კონტროლის უზრუნველსაყოფად **„მსესხებელი“** ვალდებულია ბანკს ყოველთვიურად წარუდგინოს ინფორმაცია კრედიტის მიზნობრივად გამოყენების შესახებ, ასევე წარუდგინოს ყოველკვარტალური ფინანსური ანგარიშგება;

6.3. **„მსესხებლის“** მიერ კრედიტის არამიზნობრივად გამოყენების, ან მისი ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს **„მსესხებელს“** კრედიტის ვადამდე დაბრუნება;

6.4. **„მსესხებელი“** ვალდებულია, შეუფერხებლად დაუშვას ბანკის წარმომადგენლები საწარმოში კრედიტის მიზნობრივად გამოყენებაზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით.

7. ვალდებულებების უზრუნველყოფა

7.1. **„მსესხებლის“** ვალდებულებები წინამდებარე ხელშეკრულებით უზრუნველყოფილია საიპოთეკო ხელშეკრულებით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8. მხარეების პასუხისმგებლობა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9. დავების გადაწყვეტა

9.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავები გადაჭრან მოლაპარაკების გზით;

9.2. თუ ასეთი ვერ იქნება მიღწეული, დავა განსახილველად გადაეცემა არბიტრაჟს (არბიტრაჟის დასახელება; არბიტრების რაოდენობა, მათი არჩევისა და აცილების წესი; დავის განხილვის ადგილი, განხილვის ენა და გამოყენებული სამართალი).

10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

10.2. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობით.

11. საერთო პირობები

11.1. საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;

11.2. ხელშეკრულების ყველა წერილობითი, მხარეებს შორის შეთანხმებული დამატება, ავტომატურად ხდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი;

11.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ორიგინალურ ეგზემპლარად, ორივე ეგზემპლარს აქვს ერთნაირი ძალა.

7. მხარეების რეკვიზიტები და ხელმოწერები

ბანკი	მსესხებელი
____________________	____________________
ბ. ა.	ბ. ა.

სადეპოზიტო ხელშეკრულება

ზოგადი ნაწილი

იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები, მათი ეფექტურად გამოყენების, შენახვისა და სარგებლის მიღების მიზნით, შეაქვთ საბანკო, სხვა საფინანსო საკრედიტო დაწესებულებებში. ასეთ შენატანს ეწოდება ანაბარი — დეპოზიტი. ფულის შემტანს — მეანაბრესა და ფულის მიმღებს შორის დადებული ხელშეკრულება ცნობილია სადეპოზიტო ხელშეკრულების სახელით. სადეპოზიტო ხელშეკრულების სამართლებრივი თავისებურებები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 874–876 მუხლებით და შესაბამისი საკრედიტო დაწესებულების ინსტრუქციებით.

ცნება. საკრედიტო დაწესებულების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა. ფულადი თანხის შეტანით (ანაბარი) საკრედიტო დაწესებულება მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას და ვალდებულია, ვადის დადგომისას იმავე ვალუტაში დააბრუნოს მიღებული თანხა.

თუ ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ, ფულადი თანხა შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს უკან გამოთხოვილი.

ანაბრებს შესაბამისად უნდა დაერიცხოს პროცენტები.

ანაბრის მიმღები და საკრედიტო დაწესებულების დირექტორები (მენეჯერები) ვალდებულნი არიან, მეანაბრეს მიაწოდონ ინფორმაცია ბანკის ლიკვიდურობისა და ბონიტეტის შესახებ.

ის პირი, რომელიც ბრალეულად გასცემს არასწორ ინფორმაციას ან უარს ამბობს საჭირო მონაცემების მიწოდებაზე, ვალდებულია მეანაბრეს აუნაზღაუროს არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ან ინფორმაციის გაუცემლობით წარმოშობილი ზიანი.

ასევე აგებენ პასუხს სოლიდარულად ბანკის დირექტორები (მენეჯერები), რომლებიც სარეკლამო ბროშურების მეშვეობით ან სხვაგვარად საჯაროდ ავრცელებენ არასწორ მონაცემებს ბანკის ლიკვიდურობისა და ბონიტეტის შესახებ.

სადეპოზიტო
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი „— —“ ————————————“ 2006 წ.

კომერციული ბანკი ————————————————
ბანკის მმართველის ———————————— —— ————
— სახით, შემდგომში **„ბანკი“**, ერთის მხრივ და მოქალაქე ———
————————————————, მცხოვრები ————————————
———————————————, პირადობის მოწმობა № ———
——————————————, გაცემული ——————————————
——————————————————————, შემდგომში **„მეანაბრე“**,
შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მეანაბრეს შეაქვს ბანკში ვადიანი ანაბრის სახით ———— ——— ლარი;

1.2. ანაბრის ვადაა ———— წელი.

2. ბანკის უფლებები და ვალდებულებები

2.1. ბანკი ვალდებულებას კისრულობს:

2.1.1. გაუხსნას მეანაბრეს ანგარიში ანაბრის შესანახად;

2.1.2. შეინახოს ანაბარი და გადაუხადოს მეანაბრეს სარგებელი წლიური ——— %-იანი განაკვეთით;

2.1.3. ანაბრის ვადის დასრულებისთანავე დაუბრუნოს მეანაბრეს ძირითადი თანხა;

2.2. ბანკს უფლება აქვს:

2.2.1. მეანაბრის მიერ ანაბრის ვადამდე გამოტანის შემთხვევაში გაცემული სარგებელი გადაიანგარიშოს წლიური ——— %-იანი განაკვეთით.

3. მეანაბრის უფლებები და ვალდებულებები

3.1. მეანაბრე ვალდებულია:

3.1.1. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ——— დღის ვადაში შეიტანოს ბანკში ანაბარზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა;

3.1.2. ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე არანაკლებ ——— დღისა შეატყობინოს ბანკს წერილობით ხელშეკრულების შეწყვეტის ან მისი გაგრძელების შესახებ;

3.2. მეანაბრეს უფლება აქვს:

3.2.1. მოსთხოვოს ბანკს ანაბარზე შეტანილი თანხის ვადაზე ადრე დაბრუნება, რისთვისაც მან წერილობით უნდა შეატყობინოს ბანკს არანაკლებ ——— დღით ადრე.

4. ხელშეკრულების ვადები და მოქმედების პირობები

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და გრძელდება მხარეების მიერ ერთმანეთის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე;

4.2. დეპოზიტზე დამატებითი შენატანების შეტანა არ დაიშვება;

4.3. ანაბარზე სარგებლის დარიცხვა იწყება ანაბრის თანხის ბანკში შეტანის მომდევნო დღიდან;

4.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაანგარიშებებისათვის თვეებში დღეების რაოდენობა მიიღება 30, წელიწადში – 360 დღე;

4.5. საპროცენტო სარგებლის გადახდა მეანაბრისათვის ხდება ყოველთვიურად საანგარიშო თვის მომდევნო თვის ხუთ რიცხვამდე.

5. მხარეების პასუხისმგებლობა

5.1. მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულების ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

5.2. წინამდებარე ხელშეკრულების 4.5. პუნქტით გათვალისწინებული გადახდების დაგვიანების შემთხვევაში, ბანკი პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის მეანაბრეს გადაუხდელი თანხის ——— %-ს ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის;

5.3. იმ შემთხვევაში, თუ მეანაბრე დროულად არ შეატყობინებს ბანკს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ბანკი საპროცენტო სარგებელს გადაიანგარიშებს წლიური   პროცენტით.

6. დავების გადაწყვეტა

6.1. მხარეები ეცდებიან წინამდებარე ხელშეკრულებიდან წამოჭრილი დავები გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით;
6.2. თუ ასეთი ვერ მოხერხდა, მხარეები დავის გადასაწყვეტად მიმართავენ არბიტრაჟს.

7. დამატებითი პირობები

7.1. ხელშეკრულების შეცვლა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
7.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ორიგინალურ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარს აქვს ერთნაირი იურიდიული ძალა.

8. მხარეების იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

ბანკი	მეანაბრე
______________________	______________________
ბ. ა.	ბ. ა.

საბანკო გარანტია

ზოგადი ნაწილი

საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით, კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. საბანკო გარანტიის სამართლებრივი საფუძვლები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879–890 მუხლებით.

საბანკო გარანტია უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ბენეფიციარის მიმართ თავისი მოვალეობის სათანადო შესრულებას.

საბანკო გარანტიის მიცემისათვის პრინციპალი უხდის გარანტს შეთანხმებულ საზღაურს.

გარანტის ვალდებულების დამოუკიდებლობა ძირითადი ვალდებულებისაგან. საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე.

საბანკო გარანტიის გამოთხოვის დაუშვებლობა. საბანკო გარანტია არ შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი გარანტის მიერ, თუ გარანტიაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის სხვა პირისათვის გადაცემის დაუშვებლობა. საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლება გარანტის მიმართ არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საბანკო გარანტიის შესვლა ძალაში. საბანკო გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მოთხოვნის წარდგენის ფორმა. 1. საბანკო გარანტიით ბენეფი-

ციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ, უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში, ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია.

ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა.

გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მოთხოვნის მიღებისას. ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების შემდეგ გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ პრინციპალს და გადასცეს მოთხოვნის ასლი მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტითურთ.

გარანტმა ბენეფიციარის მოთხოვნა თანდართული დოკუმენტებით უნდა განიხილოს გონივრულ ვადაში და გამოიჩინოს გონივრული მზრუნველობა იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტები გარანტიის პირობებს.

გარანტის უარი ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ანდა ისინი წარედგინა გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ. გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ.

თუ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტისათვის ცნობილი გახდა, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლებით ან ბათილია, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს. გარანტის მიერ ასეთი შეტყობინების შემდეგ მიღებული ბენეფიციარის ხელმეორე მოთხოვნა ექვემდებარება გარანტის მიერ დაკმაყოფილებას.

გარანტის ვალდებულების ფარგლები. საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ შემოიფარგლება იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია.

გარანტის ვალდებულების შეწყვეტის საფუძლები. გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ წყდება:

ა. ბენეფიციარისათვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია;

ბ. გარანტიაში განსაზღვრული იმ ვადის გასვლით, რომლითაც იგი გაიცა;

გ. ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე უარის თქმისა და მათი გარანტისათვის დაბრუნებისას.

გარანტმა, რომლისთვისაც ცნობილი გახდა გარანტიის შეწყვეტის შესახებ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის თაობაზე პრინციპალს.

რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. გარანტის უფლება, მოითხოვოს პრინციპალისაგან რეგრესის წესით იმ თანხის გადახდა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს საბანკო გარანტიით, განისაზღვრება პრინციპალთან გარანტის იმ შეთანხმებით,რომლის შესასრულებლადაც გაიცა გარანტია.

გარანტს არა აქვს უფლება, მოსთხოვოს პრინციპალს იმ თანხის გადახდა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ ან ბენეფიციარის მიმართ გარანტის ვალდებულების დარღვევის გამო, თუ პრინციპალთან გარანტის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
საბანკო გარანტიაზე

თბილისი „——“————————“ 2006 წ.

კომერციული ბანკი ————————————————————————, ბანკის მმართველის ————————————————— ——————————————— სახით, შემდგომში **„გარანტი“**, ერთის მხრივ და ———, გენერალური დირექტორის ——————————————————————————————————————, შემდგომში **„საწარმო“**, მეორეს მხრივ, შემდგომში **„მხარეები“**, ვმოქმედებთ რა ჩვენი საწარმოების წესდებებით მინიჭებული უფლებამოსილებებით, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გარანტი ვალდებულებას კისრულობს, რომ საწარმო სათანადოდ შეასრულებს საწარმოსა და შემსრულებელს შორის დადებული ——————————————————— ხელშეკრულების ——— პუნქტით ნაკისრ ვალდებულებებს ანგარიშსწორების ნაწილში და გარანტიას იძლევა, რომ გადაუხდის შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას, იმ შემთხვევაში თუ საწარმო გახდება გადახდისუუნარო, ან რაიმე სხვა მიზეზით ვერ შეძლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდას.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. გარანტი ვალდებულებას კისრულობს:

2.1.1. გარანტის მიერ თავის საბანკო ანგარიშზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკომისიო ანაზღაურების მიღებიდან ——————— დღის განმავლობაში მისცეს შემსრულებელს გარანტია იმის თაობაზე, რომ გადაუხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას, არაუმეტეს ——————— ლარისა, თუ ამას ვერ

შეძლებს საწარმო გადახდისუუნარობის ან რომელიმე სხვა მიზეზის გამო.

გარანტი საგარანტიო თანხას გადაუხდის შემსრულებელს ამ უკანასკნელის მხრიდან საგარანტიო თანხის გადახდაზე წერილობითი მოთხოვნის (შემდგომში მოთხოვნა) მიღებიდან ———— დღის ვადაში. იმავდროულად, შემსრულებელმა საწარმოს უნდა წარუდგინოს სათანადოდ გაფორმებული ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტები:

————————————————————

————————————————————

————————————————————

————————————————————

————————————————————

————————————————————

გარანტის მიერ ვალდებულების შესრულებისთანავე იგი ეფორმებს კრედიტს საწარმოს საგარანტიო თანხაზე ———————— ———— ვადით და ———————— %-იანი განაკვეთით.

2.1.2. შემსრულებლის მხრიდან საგარანტიო თანხის გადახდაზე მოთხოვნის მიღებიდან ერთი დღის ვადაში წერილობით შეატყობინოს საწარმოს.

2.1.3. შემსრულებლისათვის საგარანტიო თანხის გადახდიდან ერთი დღის ვადაში წერილობით აცნობოს ამის შესახებ საწარმოს.

2.1.4. საგარანტიო ვალდებულების შესრულებიდან ———— დღის ვადაში, აწარმოოს მოლაპარაკებები საწარმოსთან გაცემული კრედიტის პირობებზე, რომელიც გათვალისწინებულია 2.1.1. პუნქტით.

2.1.5. გარანტია გაიცემა ———————————— დღით.

2.2. საწარმო ვალდებულებას კისრულობს:

2.2.1. წინამდებარე ხელშეკრულების დადებიდან ———— დღის ვადაში, საკომისიო გადასახდელის სახით გადაუხადოს გარანტს საგარანტიო თანხის ——— %.

2.2.2. მას შემდეგ, რაც გარანტი აცნობებს საწარმოს შემსრულებლის მოთხოვნის შესახებ, საწარმო ვალდებულია მიაწოდოს გარანტს აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები, რომელიც განმარტავენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მიზეზებსა

და გარემოებებს. გარანტის მიერ ვალდებულების შესრულების მიზეზებსა და გარემოებებს.

2.2.3. დროულად დაფაროს წინამდებარე ხელშეკრულების 2.1.1. პუნქტით გარანტის მიერ მისთვის მიცემული კრედიტი.

3. ხელშეკრულების შეცვლა და შეწყვეტა. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება, შეთანხმებული უნდა იყოს მხარეთა შორის და უნდა ჩამოყალიბდეს ხელშეკრულების დანართის სახით.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრებათ ქონებრივი პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.3. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ვერ შეძლებს დროულად დაფაროს მისთვის გარანტის მიერ მიცემული კრედიტი, იგი ვალდებულია, პირგასამტეხლოს სახით გადაუხადოს გარანტს დროულად გადაუხდელი თანხის ———— %, ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისათვის.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

4.2. ხელშეკრულება წყდება:

ა. საწარმოს მიერ, შემსრულებლის მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთანავე;

ბ. საწარმოს მიერ ხელშეკრულების 2.2.3. პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთანავე;

გ. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თავის ვალდებულებებს გადასცემს სხვა საწარმოს;

4.3. ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა დაუშვებელია.

5. დამატებითი პირობები

5.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ორიგინალურ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარს აქვს ერთნაირი იურიდიული ძალა.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება და დანართი არის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

5.3. მხარეები ეცდებიან, წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაწყვიტონ მოლაპარაკებების გზით. თუ ასეთი ვერ მოხერხდება, დავას განიხილავს არბიტრაჟი.

6. იურიდიული მისამართები და ხელმოწერები

6.1. გარანტი ____

____

(სრული დასახელება)

მისამართი: ____

____

საბანკო რეკვიზიტები ____

____

6.2. საწარმო ____

____

(სრული დასახელება)

მისამართი: ____

____

საბანკო რეკვიზიტები ____

____

გარანტი	საწარმო
________________	________________
ბ. ა.	ბ. ა.

სარჩევი

ზოგადი ნაწილი

შესავალი 3
წინასახელშეკრულებო მოლაპარაკება 5
ხელშეკრულება მოლაპარაკებით იწყება 5
ხანმოკლე მოლაპარაკებები 8
გაჭიანურებული მოლაპარაკებები 9
გამოიყენეთ დროის ფაქტორი 10
ერიდეთ უუფლებო შემსრულებელს 10
ნურაფერს გასცემთ, თუ სანაცვლოდ არაფერს იღებთ 11
პროფესიონალები და ბიუროკრატები 11
კარგად გაერკვიეთ, რა დგას რესპექტაბელურობის უკან 11
ყველა წესს აქვს გამონაკლისი 12
როგორ გამოვიდეთ ჩიხიდან 12
ხაზი გაუსვით საერთო მიზნებს 13
თუ შეამჩნევთ, რომ მოვლენებზე კარგავთ კონტროლს,
აიღეთ ტაიმ-აუტი 13
როგორ აღვუდგეთ თაღლითობას 14
როდესაც თქვენს წინ არაკეთილმოსურნეა 15
ნუ იქნებით ჯიუტი საკუთარი პოზიციის დაცვაში 16
ემოცია იწვევს საპასუხო ემოციას 20
როდესაც ურთიერთობა არ გამაღლებს, იგი ქვევით გექაჩება 21
როგორ მოვიქცეთ, როდესაც ისინი უფრო ძლიერები არიან 23
დაცავი თავი 24
ეცადე სრულად გამოიყენო შესაძლებლობები 25
როდესაც მოწინააღმდეგე თამაშის სხვა წესს ირჩევს 26
როდესაც მოწინააღმდეგე აშკარად არღვევს თამაშის წესებს 30
ზოგიერთი გავრცელებული მოლაპარაკების ბინძური ხერხი 32
კითხვები, რომლებსაც გამოცდილი ადამიანები
სვამენ მოლაპარაკების დაწყების წინ, გამოუცდელები
ჩაშლილი მოლაპარაკების შემდეგ 39
როდესაც უსიტყვოდ ყველაფერი ნათელია 46
სხეულის მოძრაობა 47
ტყუილი, სიცრუე 49
ცდილობენ შეგაფასონ 49
არ გენდობიან 49

შეფასება უარყოფითია 50
თქვენს წინ არაკეთილმოსურნეა 50
თქვენი ოპონენტი ძალზე თავდაჯერებულია 51
გაგიჭირდებათ შეთანხმების მიღწევა 51
მზადყოფნა თანამშრომლობისათვის. 52

სახელშეკრულებო ურთიერთობების ობიექტები 60
საქონელი 60
ფული 61
ფასიანი ქაღალდები 62
ინტელექტუალური საქმიანობის შედეგები 62
სამუშაოები და მომსახურება 63
ინფორმაცია 64

რეგიონალური "საერთაშორისო კანონმდებლობა" 64
სახელშეკრულებო ურთიერთობების სამართლებრივი საფუძვლები 66

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია საქონლის ყიდვა-გაყიდვის საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ (ვენის კონვენცია მიღებულია 1980 წელს) 67
კონვენციის ძირითადი დებულებები 72
ხელშეკრულების დადება 73
საქონლის ყიდვა გაყიდვა 75
გამყიდველის ვალდებულებები 75
გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი 76
საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან 76
სამართლებრივი დაცვის საშუალებები 79
მყიდველის ვალდებულებები 81
საქონლის მიღება 83
სამართლებრივი დაცვის საშუალებები მყიდველის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში 83
რისკის გადასვლა 84
მყიდველისა და გამყიდველის საერთო ვალდებულებები 85
ზარალი 87
პროცენტები 88
პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება 88
ხელშეკრულების მოშლის შედეგები 88
საქონლის შენახვა 90

კონვენცია სასარჩელო ვადის ხანდაზმულობის შესახებ საერთაშორისო ვაჭრობაში (მიღებულია 1974 წელს) 92
ძირითადი დებულებები 93
სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, მისი დაწყება და მიმდინარეობა 96
სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის წყვეტილობა და გაგრძელება 98
საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპები (უნიდრუა-2 პრინციპები) 104
მიწოდების საერთო პირობები 134
საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში გამოყენებული სამართლის შესახებ 153
ინკოტერმსი და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება 156
სავაჭრო ჩვეულებები 171

ხელშეკრულების საფინანსო და სავალუტო პირობები 173
ხელშეკრულების სავალუტო პირობები 174
ხელშეკრულების ფინანსური პირობები 177
ანგარიშსწორების სახეები და პირობები. 178
ანგარიშსწორების შერეული სახეები 180
სახელშეკრულებო პოლიტიკა და გადასახადები 181
ხელშეკრულების პროექტის მომზადების საერთო მეთოდიკა 183
პარტნიორის კომპლექსური შეფასება 183
რა არის კომპლექსური შეფასება? 183
კონფლიქტების თავიდან აცილება 184
როგორ აღიქვამენ გარიგების მხარეები კომპლექსურ შეფასებას? 185
რა შემთხვევებშია აუცილებელი კომპლექსური შეფასება 186
კომპლექსური შეფასების მეთოდები 187
პირველი დონის კომპლექსური შეფასება 187
მეორე დონის კომპლექსური შეფასება 190
საკუთრების უფლებები 190
ინტელექტუალური საკუთრების უფლებები 191
საწარმოს სტრუქტურა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა 192
მარკეტინგი და რეალიზაცია 193
სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებები 193
კომპლექსური შეფასება ურთიერთობების მხოლოდ დასაწყისია 194
ნებისმიერი გარიგების ოთხი ძირითადი წესი 194
ხელშეკრულების ტექსტის გაფორმების წესი 197
ხელშეკრულების შესრულების ტექნიკურ-იურიდიული სტადია 197

ხელშეკრულების პირობებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა 198
პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის 198
რა არის ზარალი 199
კონტრაქტების ფორმები 199

სამეურნეო ხელშეკრულების ძირითადი ელემენტები 201
პრეამბულა. ხელშეკრულების მხარეები 202
ხელშეკრულების საგანი 204
საქონლის რაოდენობა 205
შეფუთვა და მარკირება 207
საქონლის ხარისხი 209
საქონლის ფასი 212
ანგარიშსწორების პირობები. დოკუმენტები 217
საქონლის მიღება-ჩაბარება 219
ტრანსპორტირების პირობები 222
საკუთრების უფლების გადასვლა 228
გარანტია 229
ტექნიკური მომსახურება 231
პრეტენზიები. რეკლამაციები 233
პასუხისმგებლობა ნაკისრი ვალდებულებების
შეუსრულებლობისათვის 235
ფორს-მაჟორი 239
დავების გადაწყვეტა. არბიტრაჟი 240
ლიცენზიის მიღება 242
გადასახადები და მოსაკრებლები 243
უფლებების გადაცემა და შეზღუდვები 244
გამოყენებული კანონმდებლობა და კონტრაქტის განმარტება 244
საერთო პირობები 245
კონტრაქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ანულირება 246
კონტრაქტის ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები 248
კონტრაქტის დანართები და დამატებები 249
ხელშეკრულების დადებისას დაშვებული ტიპიური შეცდომები 249

კერძო ნაწილი

ტიპიური ხელშეკრულებები 253
ოფერტი და აქცეპტი 253
ოფერტი – წინადადება ხელშეკრულების დადებაზე 256

შეტყობინება ოფერტის გამოთხოვის შესახებ 257
საჯარო ოფერტა – ოფერტა პირთა განუსაზღვრელი ჯგუფისადმი 258
აქცეპტი – წერილი, რომელიც შეიცავს თანხმობას
ხელშეკრულების დადებაზე ოფერტში მითითებული პირობებით 259
შეტყობინება აქცეპტის გამოთხოვის თაობაზე 260
აქცეპტი ოფერტის შეცვლილი პირობებით (ახალი ოფერტა) 261
შეთანხმება განზრახულობათა შესახებ 262
ოქმი უთანხმოებათა შესახებ 264
ოქმი უთანხმოებათა შეთანხმების შესახებ 265
წინასწარი ხელშეკრულება 266

ნასყიდობის ხელშეკრულება 269
ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება 273
ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება (წინასწარი გადახდით) 287
ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება განვადებით (გაყიდვა კრედიტით) 293
ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება (ფიზიკურ პირებს შორის) 299
ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება
დანადგარ-მოწყობილობების შეძენაზე) 304
ხელშეკრულება ავტომანქანის შესყიდვაზე 313
მიწოდების ხელშეკრულება 315
ხელშეკრულება უძრავი ქონების გაყიდვაზე 322
ხელშეკრულება არასაცხოვრებელი ფართის და
მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვაზე 326
ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვაზე 329
ხელშეკრულება საწარმოს ყიდვა-გაყიდვის შესახებ 332
შეტყობინება საწარმოს გაყიდვის შესახებ 336
შეტყობინება გადატვირთვისათვის საქონლის მზადყოფნის შესახებ 337
საქონლის მიღება-ჩაბარების აქტი 338
საპრეტენზიო წერილი 339

ჩუქება 340
ზოგადი ნაწილი 340
ჩუქების ხელშეკრულება 341

ქირავნობა 343
ზოგადი დებულებები 343
ხელშეკრულება საცხოვრებელი ფართის ქირავნობაზე 347

ხელშეკრულება საცხოვრებელი ფართის ქირავნობაზე
კომერციული მიზნებისთვის 351
საცხოვრებელი ფართის დამქირავებლისათვის გადაცემის აქტი 356
საცხოვრებელი ფართის გამქირავებლისათვის დაბრუნების აქტი 357
საცხოვრებელი ფართის პასპორტი 358

იჯარის ხელშეკრულება 359
ძირითადი დებულებები 359
იჯარის ხელშეკრულება 361
ხელშეკრულება არასაცხოვრებელი ფართის იჯარაზე 367
ხელშეკრულება დანადგარ-მოწყობილობის იჯარაზე 373

ლიზინგი 378
ზოგადი დებულებები 378
საქართველოს კანონი სალიზინგო საქმიანობის
ხელშეწყობის შესახებ 379
სალიზინგო გარიგების მომზადება 386
სალიზინგო გარიგების სამართლებრიეი გაფორმება 390
ლიზინგის ხელშეკრულება 395
ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულება 401

შუამავლობა
ზოგადი დებულებანი 409
შუამავლობა ბინის ქირავნობისას 411
შუამავლობა სესხებისას 411
ხელშეკრულება საშუამავლო მომსახურებაზე 413

ფრანშაიზინგის ხელშეკრულება 416
ზოგადი დებულებანი 416
ფრანშაიზინგის ხელშეკრულება 418

ნარდობა
ზოგადი ნაწილი 423
ნარდობის ხელშეკრულება 428
ხელშეკრულება მომსახურების გაწევაზე 435
ხელშეკრულება აუდიტორულ მომსახურებაზე 440
ხელშეკრულება მარკეტინგულ მომსახურებაზე 445
ხელშეკრულება ორგტექნიკის ტექნიკურ მომსახურებაზე 450

ხელშეკრულება ბუღალტრულ მომსახურებაზე 455
ხელშეკრულება საკონსულტაციო მომსახურებაზე 460

დავალება 464
ზოგადი ნაწილი 464
დავალების ხელშეკრულება 467
საკომისიო ხელშეკრულება 470
მინდობილობა იურიდიული პირის სახელით ხელშეკრულების დადებაზე (სპეციალური) 475
მინდობილობა იურიდიული პირის სახელით ხელშეკრულების დადებაზე (ერთჯერადი) 476

მიბარება 477
მიბარება სასაქონლო საწყობში 479
ხელშეკრულება საპასუხისმგებლო შენახვაზე 483

საკუთრების მინდობა 488
ზოგადი ნაწილი 488

ხელშეკრულება ქონების მართვის უფლებით გადაცემაზე 489

სესხის ხელშეკრულება 494
ზოგადი ნაწილი 494
სესხის ხელშეკრულება იურიდიულ პირებს შორის 495
სესხის ხელშეკრულება ფიზიკურ პირებს შორის 499

საბანკო კრედიტი 502
ზოგადი ნაწილი 502
საკრედიტო ხელშეკრულება 504

სადეპოზიტო ხელშეკრულება 508
ზოგადი ნაწილი 508
სადეპოზიტო ხელშეკრულება 509

საბანკო გარანტია 512
ზოგადი ნაწილი 512
ხელშეკრულება საბანკო გარანტიაზე 515

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის

ექსპერტიზის სამსახური

ს ა ქ ე ქ ს პ ე რ ტ ი ზ ა

გთავაზობთ შემდეგ სამუშაოებს

- სასაქონლო, ტექნიკური და სამშენებლო ტექნიკური ექსპერტიზა;
- წარმოშობის ქვეყნის ექსპერტიზა;
- საბუღალტრო ექსპერტიზა;
- ალტერნატიული ექსპერტიზა;
- უძრავი და მოძრავი ქონების, არამატერიალური აქტივებისა და შემოქმედებითი პროდუქციის შეფასება;
- საბუღალტრო რევიზია;
- ფინანსური ანალიზი;
- ბიზნეს-გეგმებისა და საინვესტიციო პროექტების მომზადება;
- კონტრაქტების მომზადება;
- კონტრაქტების ექსპერტიზა;
- გამოსავლიანობის, ბუნებრივი დანაკარგებისა და ხარჯვის ნორმების დადგენა;
- ფორსმაჟორული სიტუაციების დადასტურება;
- ფინანსური და საგადასახადო აუდიტი;
- კონსულტაციები მენეჯმენტისა და მარკეტინგის საკითხებზე;
- ახალგაზრდა სპეციალისტების სტაჟირება, ესპერტიზის საკითხებში;
- სპეციალისტების სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- კომერციული ინფორმაციის მოძიება.

ჩვენი ორგანიზაციის 50 წლიანი გამოცდილება ექსპერტიზის სფეროში თქვენი წარმატების საიმედო გარანტიაა.

მისამართი: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი № 115,
ტელეფონი: 346–782.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის

ს ა ქ ე ქ ს პ ე რ ტ ი ზ ა ს

სასწავლო ცენტრი

გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

ბუღალტრების მომზადებას პროგრამით

- ფინანსური ბუღალტრული აღრიცხვა;
- მმართველობითი ბუღალტრული აღრიცხვა;
- აღრიცხვის სტანდარტები;
- საგადასახადო საქმე;
- ქონების შეფასება;
- ფინანსური ანალიზი;
- სახელშეკრულებო ურთიერთობები;
- აღრიცხვის კომპიუტერული მეთოდები.

სწავლება ინდივიდუალურად
ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე

სწავლის ხანგრძლივობა ერთიდან ხუთ თვემდე.

არაფინანსური მენეჯერებისათვის
დაჩქარებული კურსი –
მხოლოდ 12 მეცადინეობა.

მისამართი: ქ. თბილისი,
აკაკი წერეთლის გამზირი № 115,
ტელეფონი: 346-782.

საგამომცემლო-პოლიგრაფიული უზრუნველყოფა:
საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“

დირექტორი: ზაურ ნაჭყებია
რედაქტორი: თამარ დემეტრაშვილი
ტექნიკური რედაქტორი: ლევან ბოჭორიშვილი
ოპერატორი: სოფო ქილიფთარი
კორექტორები: ნონა ჯღარკავა,
ქეთევან წახნაკია

მისამართი: თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. №22
ტელ.: (899) 56-14-57; 98-39-30; 98-71-25; 92-25-23.
Email: inovacia@caucasus.net,
inovacia@hotmail.com

ფასი სახელშეკრულებო